K 155 340
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკო კეცხოველი

ალვანი და ბუნება

კანონლტბა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო კეცხოველი

ალბომი და ჯაჭვები

გამომცემლობა „განათლება“
თბილისი — 1974

502
კ 434

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავტორისაგან

წინამდებარე კრებულში დაბეჭდილია ის წერილები, რომლებიც უკანასკნელ წლებში იბეჭდებოდა ჩვენს პერიოდულ გამოცემებში (გაზეთებში — „კომუნისტი“, „ლიტერატურული საქართველო“, „ნორჩი ლენინელი“; ჟურნალებში — „საქართველოს ბუნება“, „პიონერი“ და სხვ.). ზოგიერთ წერილში მეორდება წინა წერილებში გადმოცემული აზრი, ეს იმიტომ, რომ ისინი დაწერილია სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ორგანოსათვის.

წერილების უმრავლესობა ბუნების დაცვასა და ახალგაზრდობის აღზრდას, მათ მოვალეობას შეეხება და იქნებ, სწორედ ამიტომ, დღესაც აქტუალურია და არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

М — 602 $\frac{6-1}{159-73}$

© გამომცემლობა „განათლება“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი კერის დედაბოძი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

K 155340
2

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხა

იგოეთის თავზე, აღმოსავლეთისაკენ დაქანებულ მთის ფერდობზე წარსულ საუკუნეთა ძეგლის — წითელი საყდრის ნანგრევების პირდაპირ დგას ერთი ეული, ტოტებგაშლილი მუხა. როდესაც უნდა გავიარო, ღამეც რომ იყოს, გავხედავ იქით, გავხედავ და მაინც დავინახავ, დავინახავ და მომაგონდება ბაჩანას მადლიანი სიტყვები:

მუხავ, მიყვარხარ ტიალო,
განმარტოებით მდგომარე,
ერთი შენ გპოვე გულისა
ქვეყანა შემოვიარე...

იქნებ იმიტომ მიყვარს ის, რომ გაუტეხელია, დგას შეუდრეკლად, როგორც წარსული დროის მომსწრე და ნიშანი, „ქარს არ უყადრებს თავსაო!“ და იქნებ იმიტომაც მიყვარს, რომ ქართველები მღერიან: „მუმლი მუხასაო გარს ეხვეოდაო, მუხა დამძიმდაო, წყალში ჩავარდაო, მუმლი დაიხრჩოო, მუხა გადარჩაო“.

ვახუშტი წერს:—„მუხრანმა სახელი მუხათაგან მიიღოო“. დიახ, მთელი მუხრანის ველი დაფარული იყო ისეთი ტყით, რომელშიც მუხა ჭარბობდა. ჟამთა სიავემ მოსპო ეს შესანიშნავი მუხნარი, თითოოროლა ხე თუ დგას აქა-იქ.

ალაიანის ვენახშია კიდევ ტოტებგაშლილი, შებერებული მუხა. სოფელ თეზის ბოლოზე აღმართულა ვაჟკაცურად მშვენიერი, ჯავარიანი, ქოჩორა და ამაყი. როცა ამ მუხას შევხედავ, ლამისყანელი თმაქოჩორა, შავტუხა ღამის მეხრე, ან მოჭიდავე ვაჟკაცი მაგონდება.

ძახსოვს, ბალღობაში ბიჭები დიდ ამბავში ვიყავით ხოლმე. სოფელ ტყვიავიდან სოფელ დისევში მივდიოდით, რომ გვენახა „წამალა წყაროს“ უზარმაზარი, ტოტებდოვლათიანი, ფესვმაგარი მუხა, შორიდანვე ოლესავით რომ მოჩანდა მთის ფერდობზე. გვიყვარდა ბანაობა მორევში, რომელიც ლიახვის ტოტზე, წმინდა გიორგის ჭალაში უზარმაზარი მუხის ძირში იყო.

იქნებ ამ ბავშვობის მოგონებათა ბრალია ახლაც მუხის ეს სიყვარული, მაგრამ ბევრ სხვა ადამიანსაც რომ უყვარს იგი?

ჩვენ, ქართველებს, შემთხვევით არ გვიყვარს მუხა; ჯერ კიდევ წარმართობის დროიდან მოყოლებული ჩვენს გამოთქმებში, ხალხურ ლექსებში, ზღაპრებში მუხა ისმის როგორც სიმტკიცის სიმბოლო, როგორც გამძლეობისა და უტეხობის ნიშანი. ქართველ ხალხს ხომ გვჭირდებოდა გამძლეობა, უტეხობა; უამისოდ რა გამოგვატარებდა ისტორიის იმ დიდ გზას, რომელიც გამოვიარეთ. მუხასავით შეიძლება ტოტი მოგვტეხოდა, მაგრამ მიწაში ფესვი მუდამ მაგრად გვქონდა მოკიდებული.

ამიტომ გვიყვარდა „ცხრა მუხა“, „დიდი ჭყონი“, „რკონი“, „მუხიანი“, „მუხნარი“, „ბერმუხა“, „მუხათ გვერდი“, „მუხათი“... ჩვენს საუკეთესო სოფლებს მუხის სახელი ეწოდებოდა.

და ეს მარტო კულტის საქმე როდი იყო. ისტორიულ-ბუნებრივი პირობების გამო საქართველოში სახლი მუხის გარეშე არ აშენდებოდა.

ქართლ-კახეთის მიწურ სახლებსა და დარბაზებში დედაბოძი, თავხე და კოჭი, ჭერი და გვირგვინი მუხისა იყო. საშვილიშვილოდ შენდებოდა სახლი, ისე, რომ ადვილად არ დანგრეულიყო. გურია-სამეგრელოსა და იმერეთში ოდის ბოძი აუცილებლად მუხისა უნდა ყოფილიყო, იქაურ სინესტეს ის უძლებდა. ვენახის მარგილი, სარი და ჭიგო მუხისავე უნდა ყოფილიყო, თუ მუხისა არ ჰქონდათ, ნანობდნენ, დარბოდნენ, ცდილობდნენ ეშოვათ.

სწორედ ამიტომ ჩვენი წინაპარნი მხოლოდ ტყის მუხით არ კმაყოფილდებოდნენ. მუხას უვლიდნენ, აშენებდნენ, ზრდიდნენ, ჭალის ტყეებში არსებობდა მოვლილი ნაკვე-

თები სასარე, სასხლავი, საკაფი, უკაფი, საჯალჯე, თუთნარი... სასარეში ტირიფისა, ვერხვისა, ოფისა და თელის გვიდით მუხასაც საპატიო ადგილი ეჭირა. სასარეებში ხეები იბულებოდა: ტირიფი და ვერხვი 2—3 წელიწადში ერთხელ, თელა და იფანი 3—5 წელიწადში ერთხელ, მუხა კი 5—6 წელიწადში ერთხელ. ნაბელი ერთი ძირი მუხა 5 წელიწადში ერთხელ 20—30 სარს იძლეოდა და ზოგჯერ მეტსაც, 6—7 წელიწადში ერთხელ კი 10—15 სარს. უკაფსა და საკაფში ზრდიდნენ საბოძე, სათავხევე და საკოჭე სწორ მუხას. თელა და იფანი ხელნებად, გუთნის ყელად გამოიყენებოდა.

ჭალის ტყეების აღდგენის დროს ის კარგი წესი უნდა გავიხსენოთ და სხვა ჯიშებთან ერთად მუხასაც თავისი ადგილი დავუთმოთ. მუხა, განსაკუთრებით ჩვენი ჭალის გრძელყუნწა მუხა, არც ისე ნელა იზრდება, როგორც ზოგიერთს ჰგონია. თბილისის ვაკის პარკში სხვა მერქნიანი ჯიშების ხეივნებთან ერთად, გრძელყუნწიანი მუხის ხეივანიცაა და ეს ხეივანი არც ერთ სხვა ხეივანს არ ჩამოუვარდება არც ზრდით, არც სილამაზით და არც ჩრდილით.

საქართველო მუხების ქვეყანაა. ჩვენს მხარეში 8 სახეობის მუხა იზრდება. მათი გავრცელება ძალიან საყურადღებოა და საგულისხმო.

აღმოსავლეთ საქართველოს ჭალის ტყეებში იზრდება გრძელყუნწა მუხა, მთების წინა კალთებზე კი — ქართული მუხა, მაღლა მთაში — აღმოსავლური მაღალმთის მუხა. მაშასადამე, მთების ტყეებს ქვევიდან ქართული მუხა იცავდა და იცავს, ზევიდან კი — მაღალმთის მუხა.

დასავლეთ საქართველოში დაბლობზე იმერული მუხაა, მთების წინა კალთებზე ჰართვისის მუხა, მაღლა მთებში კი აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთის მუხის ნაცვლად პონტოს მუხა იზრდება და აქაც კვლავ მუხის რკალშია მომწყვდეული ჩვენი მთების ტყეები.

გარდა ამ მუხებისა, ჭოროხის ხეობასა და ჭანეთში იზრდება ჭოროხის მუხა, ხოლო მდინარე ლიახვის ხეობაში — ხუჭუჭფოთლება.

ყველა ეს მუხა, როგორც მათი სახელწოდებიდან ჩანს, ჩვენი მხარისათვისაა დამახასიათებელი. მათი წარმოშობის

კერა საქართველოა, ხოლო გავრცელების არე — კავკასია და კავკასიის მეზობელი ქვეყნები. ჩვენი მუხა ბევრი [illegible] თვისებით ხასიათდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ მუხაზეა ზედგამოჭრილი:

ვისაც მე ვუყავ სიკეთე
ის უფრო ჩემი მტერიაო.

მართლაც სიკეთისათვის, სიკარგისათვის, იმისათვის, რომ მუხის დიდი კორომები სწორედ იქ იმყოფებოდა, სადაც ხალხის ყველაზე დიდი დასახლებანი იყო, და მუხის მასალის გამოტანა ადვილად შეიძლებოდა, პირველი გამანადგურებელი იერიში მასზე მიიტანეს. იქცეოდა მჭრელი ცულით ასწლოვანი ვეება მუხები. პირველი კაი ვაჟკაცები ტყეს თანდათანობით გამოაკლდა და როცა დაინახეს, გაიგეს, ეს რა დაგვემართაო, მაშინ გაშენებაც დაიწყეს: ჩვენ თუ არა, ჩვენს შვილიშვილებს მაინც გამოადგებათო. მაგრამ დღეისათვის მუხის კარგი კორომები თითქმის მთლიანად მოისპო. მაგალითად, აჯამეთის სატყეოში კარგი კორომები, იმასთან შედარებით, რაც გვქონდა, ფრიად მცირეა. ჯერ კიდევ სრულიად ახლო წარსულში მუხის კორომები რომ უფრო მეტი იყო, ამას ადასტურებს თითო-ოროლა დაბელილი, მაგრამ ვაჟკაცურად მდგარი მუხა მტკვრის, ალაზნის, ივრის, არაგვის, ლიახვის, ალგეთის, ქციისა და სხვა მდინარეთა ხეობებში.

ჩვენი მთების წინა კალთები შავი ზღვის დონიდან 800 მეტრის სიმაღლემდე და ვაკის დიდი ნაწილი მუხნარით იყო დაფარული, მაგრამ დროთა ვითარებაში სრულიად მოისპო, ბევრგან კი მუხნარის ნაცვლად გადარჩენილია მუხა-ჯაგრცხილის ჯაგნარი. ამ ჯაგნარის მოვლით შეიძლება მათი მუხნარტყეებად აღდგენა. ამისათვის ასეთი ადგილები უნდა გამოიჭამოს, ჯაგრცხილა, კუნელი და მისთანანი. ამოიჩეხოს, მოიჭრას მუხის დაჯაგული რტოები და გაშვებული იქნეს თამამი მოზარდი ხეები. თუ ასე მოვიქცევით, 10—15 წელიწადში მშვენიერი ტყე აღდგება და ბევრი ჩვენი ფერდობი კარგი ტყით დაიფარება.

მაღალმთის მუხა კი მშვენება და ლაზათია ჩვენი მთებისა. მაღალმთის თვისებაა ბაღნარის მაგვარი იყოს და არა კალთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკრული. მაღალმთის ტყის ხეები ურთიერთისაგან საკმაო მანძილითაა დაცილებული, ამის გამო ხე ტოტებგაშლილი, რაქიანი იზრდება.

მთის მუხას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მის ქვემოთ მოთავსებული ტყეებისათვის. მთიდან წამოსული ზვავისა და ზათქის დაჯახებას პირველად მუხა ხვდება, ნიაღვარი და თქეში მან უნდა შეანელოს და დაიჭიროს.

მთის მუხა გვალვაგამძლეა და შედარებით მშრალი ფერდობის გატყევებისათვის იხმარება. თითქოს ძმამ ძმას ხელი გაუწოდაო, იგი მაღალი მთიდან — 2 000 მეტრის სიმაღლიდან 1 400 მეტრის სიმაღლემდე ჩამოსულა, ხოლო 800—900 მეტრის სიმაღლიდან ქართული მუხაც ასულა ზევით. ორივე ჯიში მშრალი ადგილების საკმაოდ კარგი ამტანია და მათი ასეთი კონტაქტი ტყის ოსტატებს ბევრ რასმეს ეუბნება. ამიტომ თრიალეთზე, გომბორზე და კახეთის კავკასიონზე გამეჩხერებული ტყეებისა და მოტიტვლებული ფერდობების გასატყევებლად სხვა ხეებთან ერთად ქართული მუხაც და მაღალმთის მუხაც უნდა გამოვიყენოთ. მათი გვალვაგამძლეობა იმის თავდებია, რომ ნირშეშლილ ნიადაგებზე სხვაზე უკეთესად თუ არა, ნაკლებ არ იხარებენ. დასავლეთ საქართველოში კი ამავე მიზნით იმერული და ჰართვისის მუხაა კარგი.

ჩვენმა სახელოვანმა მუხამ ტყეების რეკონსტრუქციის დროს სხვა ჯიშების გვერდით თავისი საპატიო ადგილი უნდა დაიკავოს.

1959 წ.

ტყე და ქართველი კაცი

თრიალეთზე, ჭივჭივას ხევიდან ძველ სამშვილდეში რომ ახვალ, იქვე, გზის პირას საფლავის ქვა დგას. დიახ დგას, ცხენის ქანდაკებაა ლამაზი, ცალ მხარეს ამოკვეთილია ხმალი, ფარი, ხანჯალი, თოფი, საპირისწამლე, მეორე მხარეს—მხედარი, გვერდით საღვინე, ფიალა, სალამური, ჩონგური, მწყემსის

ჯოხი... სოფელ გომარეთის ძველ სასაფლაოზე კი ერთ უზარმაზარ ლოდზე ამოქანდაკებულია მშვენიერი ვაჟკაცი: ფეხთით უწევს ჭედილა, ქვის ცალ გვერდზე ამოჭრილია - მუყაბლის ჯოხი, თოფი, ხმალი, მეორეზე — გუთანი, ნამგალი, საღვინე, ჩონგური... მანგლისის ტაძრის ეზოში, კარიბჭესთან, საფლავის ქვაზე ამოკვეთილია გაშლილი გუთნეული რვა უღლით...

მთელი საქართველო მოფენილია ასეთი საფლავის ქვებით, და აი ამ პატარ-პატარა ქანდაკებებში ნათლად ჩანს ქართველი კაცის უტეხი ნებისყოფა, შემართება, შრომის სიყვარული, სიყვარული სიცოცხლისა და თავისუფლებისა; შრომობდა, მიწას ებრძოდა, შვილებს ზრდიდა, ქვეყანას იცავდა და როდესაც დროს ნახავდა, სალამურს აარაკრაკებდა, ჩონგურის სიმებს ააჟღერებდა და თავისი ნაოფლარით გემრიელ და ალალ პურს ჭამდა. უხაროდა, რომ ცოცხალი იყო, რომ ომი გადაიტანა, ქვეყნიდან მტრის განდევნაში მონაწილეობა მიიღო, სისხლი დაღვარა და სამშობლოს გატიალების უფლება არ მისცა მტრის ურდოს.

ძნელია ითქვას, რა უფრო უხაროდა — ის, რომ ცოცხალი იყო, თუ სამშობლოს თავისუფალს რომ ხედავდა. ერთიც და მეორეც. თავის სიხარულს სხვასაც უზიარებდა, ამიტომაც იყო გულღია და სტუმართმოყვარე.

ან როგორ არ დაეცვა თავისი სამშობლო, ლამაზი და ბარაქიანი, რომელიც დედის ძუძუსავით უყვარდა, და თუ იგი კაცად იხსენებოდა, სწორედ ამ სამშობლოს წყალობით. მართალია, ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბებაზე მარტო ბუნება არ მოქმედებს, მაგრამ ბუნება ერთ-ერთი ფაქტორია და ძირითადი ფაქტორიც. აი, გადავავლოთ თვალი თუნდაც ჩვენს ქვეყანას. გურული კრიმანჭული — ეს საოცრება ხალხური სიმღერისა, შეიძლებოდა წარმოშობილიყო კოპწია, მოხატულ გურიაში: კახური მრავალჟამიერი კი — ალაზნის ხეობის დაუსრულებელ ვაკეზე, რომელსაც თოვლიანი მთები დასცქერის; სვანური ლილე — უშბას კალთების მყინვარებზე, მჩქეფარე დოლრასა და ენგურის ნაპირებზე; ლილეც ხომ ისეთივე ზვიადია, როგორც ამ მხარის ზვიადი ბუნება;

და არა მარტო ჩვენს სიმღერაში გამოიხატა ჩვენი ქვეყნის ბუნება, არამედ თვით ქართველი კაცის მთელ ბუნებაშიც; იგი

ხომ გულღია და გულმართალია, პურმარილიანი და სტუმარფ-
მოყვარეა, მხიარულია, მაგრამ „თუ გაჭირდება, მჭეხარეს
სწორედ ამ ხასიათმა მოიტანა საქართველო დღევანდელ დღემ-
დე და დღეს, მოწინავე კაცობრიობასთან ერთად, პირნათლად
ასრულებს ადამიანის დიდ დანიშნულებას, ქვეყანას თვალს თა-
მამად უსწორებს. ამ საუკუნისა ქართველ კაცს არა მართებს
რა.

რად ვლაპარაკობ დღეს ამაზე? ქართველი კაცი ერთ-ერთ
ნიჭიერ, ლამაზ, შრომისმოყვარე, ხელოვნების ტრფიალ კა-
ცად ითვლება. ასეთის ჩამოყალიბებაში ჩვენი ქვეყნის ბუნე-
ბასაც მიუძღვის წილი, ჩვენს ტყესაც და მდელოსაც, რად-
გან მცენარეული საფარი ბუნების უპირველესი და მნიშვნე-
ლოვანი ნაწილია: იგი ინახავს წყალს ნიადაგში, იცავს ნია-
დაგს ეროზიისაგან (მაშასადამე, ქვეყნის დოვლათსა და სიმ-
დიდრეს), ჰავის ზომიერებას და კუროორტების სიმდიდრეს,
ხელს უწყობს მატერიალური ღირებულების დაგროვებას.

რა იქნებოდა ჩვენი ქვეყნის მთის ფერდონი ტყით რომ
არ ყოფილიყო დაფარული (ტყე მცენარეულ საფარს შორის
ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე ხვავიანია). უტყეოდ
საქართველო საქართველო არ იქნებოდა, არც ქართველი იქნე-
ბოდა ქართველი, და სწორედ ამიტომაც არის ჩვენი მცენა-
რეული საფარი (ტყე და მდელო) ძვირფასი ნატვრის თვალი,
ამიტომაც უნდა ვუფრთხილდებოდეთ თვალისჩინივით. და მე-
რე ასეა?

წარსულმა მძიმე მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მრავალგან
განადგურდა ტყე.

ჩვენმა წინდაუხედაობამ ტყეს ხეირი არც უკანასკნელ ხან-
ში, მეოცე საუკუნეში, დააყენა. ბარად ჭალის ტყეები, მთის
ფერდობებზე კი პირველ რიგში მუხნარები მოვსპეთ, რადგან
მთის ფერდობი სწორედ მუხნარით იწყება, სოფელთანაც ახ-
ლოა. ამავე დროს მუხის მერქანი ძველი სახლების, ოდებისა
თუ დარბაზების ასაგებად ყველას სჯობდა. ამჟამად საქართვე-
ლოში საძებარია კარგად გაზრდილი, სწორი, ქოჩორჯავარიანი
მუხა. მუხის ქვეყანაში მუხა საძებარი გვქონდეს?!

ჩვენში, მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის, კარგად შენა-
ხული ძელქვის ტყეები გვქონდა, ამჟამად მცირე კორომები-

ღაა გადარჩენილი, სულზე მივუსწარით კახეთში ბაბანეურის ძელქვიანებს, მაგრამ ეს წვეთი წყალია იმ ძელქვიანებთან შედარებით, რაც გვქონდა.

კოლხეთის მდინარეთა ხეობები — ბზიფის, კოდორის, ენგურის, რიონის, ცხენისწყლისა და სხვათა, დამშვენებული იყო ბზის ტევრებით. ტანმაღალი და ტანმსხვილი ბზა მოსაგონარია. ძველად ქალს მზითვად ატანდნენ უთხოვარის სარსა და ჭიგოს. იგი ვენახში სარად შედგმული ასეულ წლებსა ძლებდა. ეს ის წითელი ხეა, რომელსაც საავეჯოდ ბადალი არა აქვს. ჩრდილოეთ კავკასიაში, არდონის შენაკადის წეას ხეობაზე არის ტაძარი უთხოვრის ძელებით ნაგები, შაჰნავაზის მიერ აგებული. დღესაც კარგად დგას, მერქანს ყანდი არ შესვლია. ჩვენს ტყეში თითო-ოროლა ეული ხეღაა გადარჩენილი. დროულად რომ არ მიგვეღო ზომები, ბაწარის ხეობის უთხოვრიანებიც დაგვეღუპებოდა. იგი ნაკრძალად არის გამოცხადებული, ასევე ნაკრძალად უნდა გამოცხადდეს სტორის ხეობის უთხოვრიანებიც სოფელ ლეჩურის მახლობლად.

ასე და ამგვარად ბევრი ნაკლის ჩამოთვლა შეიძლება, ძველისაც და ახლისაც. მაგრამ ეს ჩამოთვლა ვერ გვიშველის. ამჟამად ბევრი, ძალიან ბევრი კეთდება იმისათვის, რომ ჩვენი მცენარეული საფარი შევინარჩუნოთ, გავამდიდროთ. თუნდაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწონებული ღონისძიება ორმოცდაათი მილიონი ხის დარგვის შესახებ რად ღირს? თანამედროვე აგროტექნიკის დაცვით რომ ამ ნერგებით ტყე გავაშენოთ, 5—10 ათასი ჰექტარი ტყე იქნება, ეს კი ამჟამად ცოტა არ არის, დიდი საშვილიშვილო საქმეა, მაგრამ ერთი უნდა ვიცოდეთ: გარდა იმისა, რომ უნდა შევინახოთ და თვალისჩინივით მოვუაროთ იმ ტყეს, რაც გვაქვს (2—2,5 მილიონი ჰექტარი), საჭიროა უახლოეს ხანებში აღვადგინოთ ოთხას-ხუთასი ათასი ჰექტარი ტყე, აქედან ასი ათასი მაინც ჭალებში (მტკვრის, ალაზნის, ივრის, მამავერის, ალგეთის, არაგვის, ქსნის, ლიახვის, ყვირილის, ცხენისწყლის, რიონის და სხვათა ხეობებზე), სამას-ოთხასი ათასი ჰექტარი ტყე კი მთაში. ორივე აუცილებელი და საჭიროა. ჭალის ტყე ოდითვე დიდი მოვლის საგანი იყო. ძველ სიგელგუჯრებს რომ თვალი გადავავლოთ, ვნახავთ, რომ ჭალის ტყე-

ში ქართველ კაცს ჰქონდა სასარე (სარი, ჭიგო, მარგილი), სამასალე (ურმის ხელნა, გუთნის ყელი, უღელი), საშენი (დედაბოძი, თავხე, ჭერი, კოჭი), საჯალჯე (ღობის მასალა) და სხვა მრავალი. ყოველივე ეს დღესაც გვჭირდება. გარდა ამისა, ჭალის ტყე ამაგრებს მდინარის ნაპირს, იცავს სახნავ-სათესს წალეკვისაგან, ანელებს ქარების ქროლვას, კეთილად მოქმედებს ვაკის ჰავაზე.

ჭალის ტყეების აღდგენა სტიქიურად არ შეიძლება. საჭიროა შეიქმნას სპეციალიზებული სანერგე, რომელიც გამოიყვანს ჭალის ტყისათვის საჭირო ნერგს.

მთა კი ხომ ჩვენი სიცოცხლეა. მთის გარეშე, და სწორედ ტყიანი მთის გარეშე, ჩვენს ბარს არსებობა არ შეუძლია. ჩვენი ქვეყნის ორი მესამედი მთას უჭირავს, სულ რაღაც ოცდახუთი-ოცდაათი პროცენტია ვაკე, და სწორედ ამ ნაწილშია თავმოყრილი ჩვენი სოფლის მეურნეობის დარგები. უტყეო მთა კი ეროზიის ბუდეა, მთიდან მოვარდნილი ღორღ-წყალი და ღვარცოფი წალეკავს ბარს.

მთის ტყეებისთვისაც საჭიროა სპეციალიზებული სანერგეები. ამჟამად გატაცებაა, ფიჭვით დავფაროთ ჩამოტიტვლებული მთის ფერდონი. ესეც ძალიან კარგია, მაგრამ ისიც მართალია, რომ „ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი უნდა“.

ადგილობრივი ტყის ჯიშებიც სათანადო რაოდენობით უნდა დავრგოთ. მხარეს თავისი იერი არ უნდა წაერთვას.

ჭალის ტყეებში უნდა ირგვებოდეს თეთრი ვერხვი, ოფი, გრძელყუნწა მუხა, იფნი, ნეკერჩხალი, პანტა, მაყალო, თელა (თუ გამოვუნახეთ წამალი იმ ავადმყოფობას, რომელიც ამ ბოლო დროს გაუჩნდა).

მთის ფერდობებზე არ უნდა დავივიწყოთ რცხილა, უხრავი, ქართული მუხა, მაღალ მთის მუხა, ცაცხვი, წიფელი და სხვა მრავალი. რასაკვირველია, არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი წიწვიანებიც (ნაძვი, სოჭი, ფიჭვი) იქ, სადაც ეს საჭიროა და უკეთესი.

იქნებ ამიტომ რამდენიმე ერთნაირი ხეობისათვის უნდა შეიქმნას სპეციალიზებული სანერგე, სადაც გეგმიანად გაზრდიან იმ ხეებსა და ბუჩქებს, რომელნიც ამ ხეობისათვის უფრო შესაფერი და მოსახდენია.

გაშენება კარგია, მაგრამ არსებულის მოვლაც აუცილებელია და უფრო საჭირო. ცოდო გამქლავნებული სჯობს, ნებით თუ უნებლიეთ ტყის ჭრის ელემენტარული წესებიც ეკ. ირღვევა. ბევრგან ტყე ზედმეტად არის გამეჩხერებული, ზოგან ისე, რომ ნიადაგის დაცვის, წყლის შენახვის და აღდგენის უნარი მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც დაკარგული აქვს. ტყის მჭრელთა დანაშაული ის არის, რომ მოსაჭრელი ტყისაკენ გზები არ გაჰყავთ, უზარმაზარი ტრაქტორი შეუგდიათ ტყეში და გარეული ტახივით აბუღრავებენ. გააქვს ნორჩნარს ლაწალუწი, ერთი მორის გამოტანას ათს და ოცს ნორჩს, თუ მეტს არა, ანაცვალებენ. გარდა ამისა, ტრაქტორი ნიადაგის ზედაფენას შლის და ხელს უწყობს ჩამორეცხვას. შეიძლება ზოგმა გაიოცოს, ჩამორჩენილობაც დამწამოს ამ ტრაქტორისა და, საერთოდ, ტექნიკის განვითარების ეპოქაში ლაპარაკობს ხარ-კამეჩზეო. დიახ, ღრმა ხეობებში, მთის ფერდობებზე ტრაქტორი ხარ-კამეჩით უნდა შეიცვალოს. ძველი წესის გამოყენება ყოველთვის ჩამორჩენას არ ნიშნავს, თუ ხარის გამოყენება ტყის განვითარებას ხელს შეუწყობს, იგი ფრიად პროგრესულია.

ჩვენს ტყეში მთავარია არა ხის გამოტანა, არამედ ტყის მოვლა და რაც ამას ხელს შეუწყობს, ყველა მისაღებია.

სხვათა შორის ტყის ტრანსპორტის ზოგიერთ მცოდნეს შემოაქვს წინადადება, ტყის გამოსაზიდად დირიჟაბლი გამოვიყენოთო. რატომ არ უნდა შევისწავლოთ ეს წესი და დადებითი შედეგის შემთხვევაში არ გამოვიყენოთ კიდეც!

ვგონებ, ჩვენს რესურსებს ამ სახით უკვე აღარ შეეფერება დასავლეთ საქართველოში ქაღალდის ქარხანა და ახმეტის რაიონში, როგორც ხის, ისე საფუარის ქარხანა. არც ერთი ამ ქარხნისათვის მისადგომ ადგილებში საკმაო რაოდენობით, და საერთოდაც, რესურსები არ არის. გარდა ამისა, ჩვენი მთის ნიადაგში ფერდობები ფრიად დაქანებულია და მეტისმეტი სიფრთხილეა საჭირო. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ ქაღალდის ქარხნის ზონაში უზარმაზარი კაშხალი იგება, ახმეტის ქარხნის მოქმედების არედან კი გაჰყავთ დიდი ალაზნის არხი.

სწორედ ენგურისა და ალაზნის წყალსაკრეფ სადევარში

ეროვნული ბიბლიოთეკა

(და არა მარტო აქ) უნდა შენელდეს ყოველგვარი ეროზიული მოვლენა, ამ მხარეში ნატყეევარი ადგილები სწრაფად უნდა დაიფაროს ახალი ტყით, მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ ქვეშის, ხრეშის, ქვის, ნიადაგის ჩამოტანა მდინარის კალაპოტში. წინაალმდეგ შემთხვევაში წყალსაცავი ბალასტით ამოივსება და კაშხალი თავის მნიშვნელობას დაკარგავს. მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ მდინარეთა სადევარში მთის მდელოები, მთის საძოვრებიც ნირშეშლილია. საერთოდ საქართველოს 2 მილიონი ჰექტარიდან ნახევარი მილიონიც არ გამოინახება წესიერი საძოვარი, სადაც საჭირო არ იყოს დიდი მელიორაციული ღონისძიებანი, მდელოების გაუმჯობესება, მდელოს საფარის დაშლის შეჩერება. ისევე, როგორც ტყის მოსავლელად და საექსპლოატაციოდ სატყეოები გვაქვს თავის მუშა ხალხით, სპეციალისტებით, სწორედ ასეთივე ორგანიზაციები უნდა ჩამოყალიბდეს მთებში. მათ დაევალება მდელოთა მოვლა-პატრონობა, გაუმჯობესება და ექსპლოატაციაც. ჰავის, ნიადაგისა და წყლის დაცვაში მდელოთა შენახვას ნაკლები მნიშვნელობა როდი აქვს, ვიდრე ტყეს. გარდა ამისა, მთის მდელო ხომ უეგბარი საძოვარია ჩვენი ცხვრისა და ძროხისა. მოვლილი საძოვარი სამჯერ მეტ საქონელს გამოკვებავს, ვიდრე დღეს კვებავს.

ნაკლი მრავალი ჩამოვთვალე, მაგრამ არავის ეგონოს, რომ ცოტა კეთდება იმისათვის, რომ ტყეს დავუბრუნოთ თავისი დიდება. აგრომელიორაციული ღონისძიებანი რომ არ მივიღოთ მხედველობაში, თუნდაც ქვეყნის გაზიფიკაცია რად ღირს, რომელიც უახლოეს ხუთწლედში უნდა დამთავრდეს. იგი ტყის დატვირთვას არა თუ ანახევრებს, არამედ უფრო მეტადაც ამსუბუქებს. თბილისში შეშა ცოტალა იხმარება, 200-ათასიანმა თბილისმა გაანადგურა რამდენიმე მაზრის (თბილისის, დუშეთის, ბორჩალოს და სხვათა) ტყეები. დღეს ერთმილიონიანი თბილისი გაზზე და ელექტრობაზე რომ არ იყოს გადაყვანილი, ორ-სამ წელიწადში გაანადგურებდა მრავალი ხეობის ტყეს.

სოფელში ელექტრიფიკაცია ისე უნდა იყოს დაყენებული, რომ დენი არასდროს წყდებოდეს, ყოველ ოჯახს ჰქონდეს ელექტროქურა. ეს კეთდება, მაგრამ საჭიროა უფრო აჩქარებული ტემპები.

და აი, ამგვარად აუარებელი საკითხია გადასაწყვეტი და მოსავლელი. სწორედ ამიტომ არის დროული და მნიშვნელოვანი ღონისძიება — 50 მილიონი ხის დარგვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ რიგში იქ უნდა დაირგოს, სადაც ამ ... ბუნების დღევანდელი მდგომარეობა მოითხოვს. სოფლის გზების გასწვრივ და სოფელში დარგვა კარგია, მაგრამ მთავარია ავადმყოფს მალამო იქ დაადო, სადაც დაკოდილია.

ამავე დროს უნდა მოეწყოს ახალი სანერგეები, რომლებიც 3—4 წლის შემდეგ საშუალებას მოგვცემს უფრო ენერგიულად და ერთიანი ფრონტით შევუტიოთ იმ დიდ საქმეს, რომელსაც ჩვენი ბუნების სიმშვენიერისა და ჯავარის შენარჩუნება ეწოდება. თორემ წაიღებს მტკვარი კასპიის ზღვისაკენ, ენგური, რიონი, ჭოროხი, ბზიფი და სხვანი შავი ზღვისაკენ ჩვენს მიწა-წყალს. უმიწაწყლო ქართველი კაცი დაკარგავს იმას, რაც საუკუნეთა მანძილზე შეუძენია. ძველ საფლავის ქვაზეღა დარჩება გუთანი, ხმალი, ნამგალი, სალამური და ფანდური.

1970 წ.

თავს სინანული სჯოგია გოლო ჟამს დანანებასა

ჩვენს სამშობლოს თეთრი ნახშირის ქვეყანას უწოდებენ. ჩვენ მდიდრები ვართ მთის მარად მჩქეფარე მდინარეებითა და ნაკადულებით, რომელთა დაუშრეტელი ენერგია შეიძლება ელექტროენერგიად გარდავქმნათ. ამ მხრივ ბევრი ქვეყანა ვერ დაგვედრება. აკი სოციალიზმის გარიჟრაჟზევე წყლის ეს დღემდე დაუოკებელი ენერგია ხალხის სამსახურში ჩავაყენეთ. ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებშივე საფუძველი ჩაეყარა სოციალისტური ქვეყნის ერთ-ერთი პირველი და იმ დროისათვის დიდი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას მტკვარზე, სოფელ ზემო ავჭალასთან. ზაჰესი საქართველოს ელექტრიფიკაციის პირმშო იყო, რომელსაც შემდგომ წლებში მხარში ამოუდგნენ რიონ-

ჭესი, ტირიფონჭესი, ალაზანჭესი, ჩითახევჭესი, შაორჭესი, ლაჯანურჭესი, ნამახვევჭესი და მრავალი სხვა. ამჟამად კი ენგურზე შენდება ერთ-ერთი უნიკალური ჰიდროელექტროსადგური უმაღლესი კაშხალით — ენგურჭესი. რასაკვირველია, ამაზე არ შევჩერდებით და მომავალში კიდევ ავაშენებთ ელექტროენერგიის მრავალ სხვა წყაროს. გაიმართება მრავალი წყალსაცავი და რაკი ეს არც ისე შორეული მომავლის ამბავია, მინდა, რომ ყოველი ახალი წყალსაცავი აშენდეს უზადოდ, უნაკლოდ.

ასეთი სურვილი იმიტომ დამებადა, რომ აშენებულთა შორის რაღაც ნაკლი შევნიშნე, რაღაცამ დამაფიქრა. რამ დამაფიქრა? რამ და ჩვენი წყალსაცავების შემდგომმა განვითარებამ. ავიღოთ თუნდაც ზაჰესის წყალსაცავი მცხეთასთან, არაგვისა და მტკვრის შესართავთან. პირველად დამპროექტებელნი ფიქრობდნენ, რომ კაშხალთან „ზღვა“ შეიქმნებოდა, პატარა გემებიც კი ჩამოიტანეს, მშრომელები ისეირნებენო, წყლის სადგურიც გაკეთდა, მაგრამ წყალსაცავის დიდი ნაწილი მოისილა, დაჭაობდა და ჭაობი ზოგან ტყედ გადაიქცა. თვით კაშხალთან გაჩნდა შესანიშნავი ტირიფნარი. კარსნის პატარა ხევს კი იმდენი ქვა და ღორღი, ხრეში და სილა ჩამოაქვს ამ ტყეში, რომ ისინი პატარა გორაკებად არის აკოკოლავებული. საჭირო ხდება ქვა-ღორღის გამოტანა. ჩემთვის ცხადია, პირველმა დამპროექტებლებმა ერთი ვერ გაითვალისწინეს, ან ნაკლებად გაუწიეს ანგარიში „გიჟი“, „არაგვიანი“ არაგვის ბუნებას, იმას, რომ მთიურობას იგი მცხეთამდე არ კარგავს, რომ მოდის და თან მოაქვს ქვა, ქვიშა, შლამი, რომ არაგვის ხეობაში მკაფიოდ არის გამოსახული ეროზიული მოვლენები, რომლებიც ჯერჯერობით ძლიერდება. არც მტკვარს აუღია ხელი საქართველოს ფარგლებში მთის მდინარეობაზე; იზრდება ზაჰესის ჭაობი, იმიტომ გახდა მცხეთის ნაპირიც ლაქაშიანი და ლერწმიანი.

მოისილა და გაჩნდა ჭაობი, ან ყოველ შემთხვევაში ჭაობის მცენარეულობით იფარება სამგორის არხის სათავის ტბორი სოფ. პალდოსთან, მასშიგე ჩნდება კუნძულები. მოისილა ლაჯანურჭესის, ცხენისწყლის და სხვა კაშხალები. ჩემს მიზანს ჩრდილოვანი მხარეების ჩამოთვლა როდი შეადგენს. ჩემი შემ-

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰესი, ტირიფონჰესი, ალაზანჰესი, ჩითახევჰესი, შაორჰესი, ლაჯანურჰესი, ნამახვევჰესი და მრავალი სხვა. ამჟამად კი ენგურზე შენდება ერთ-ერთი უნიკალური ჰიდროელექტროსადგური უმაღლესი კაშხალით — ენგურჰესი. რასაკვირველია, ამაზე არ შევჩერდებით და მომავალში კიდევ ავაშენებთ ელექტროენერგიის მრავალ სხვა წყაროს. გაიმართება მრავალი წყალსაცავი და რაკი ეს არც ისე შორეული მომავლის ამბავია, მინდა, რომ ყოველი ახალი წყალსაცავი აშენდეს უზადოდ, უნაკლოდ.

ასეთი სურვილი იმიტომ დამებადა, რომ აშენებულთა შორის რაღაც ნაკლი შევნიშნე, რაღაცამ დამაფიქრა. რამ დამაფიქრა? რამ და ჩვენი წყალსაცავების შემდგომმა განვითარებამ. ავიღოთ თუნდაც ზაჰესის წყალსაცავი მცხეთასთან, არაგვისა და მტკვრის შესართავთან. პირველად დამპროექტებელნი ფიქრობდნენ, რომ კაშხალთან „ზღვა“ შეიქმნებოდა, პატარა გემებიც კი ჩამოიტანეს, მშრომელები ისეირნებენო, წყლის სადგურიც გაკეთდა, მაგრამ წყალსაცავის დიდი ნაწილი მოისილა, დაჭაობდა და ჭაობი ზოგან ტყედ გადაიქცა. თვით კაშხალთან გაჩნდა შესანიშნავი ტირიფნარი. კარსნის პატარა ხევს კი იმდენი ქვა და ღორღი, ხრეში და სილა ჩამოაქვს ამ ტყეში, რომ ისინი პატარა გორაკებად არის აკოკოლავებული. საჭირო ხდება ქვა-ღორღის გამოტანა. ჩემთვის ცხადია, პირველმა დამპროექტებლებმა ერთი ვერ გაითვალისწინეს, ან ნაკლებად გაუწიეს ანგარიში „გიჟი“, „არაგვიანი“ არაგვის ბუნებას, იმას, რომ მთიურობას იგი მცხეთამდე არ კარგავს, რომ მოდის და თან მოაქვს ქვა, ქვიშა, შლამი, რომ არაგვის ხეობაში მკაფიოდ არის გამოსახული ეროზიული მოვლენები, რომლებიც ჯერჯერობით ძლიერდება. არც მტკვარს აუღია ხელი საქართველოს ფარგლებში მთის მდინარეობაზე; იზრდება ზაჰესის ჭაობი, იმიტომ გახდა მცხეთის ნაპირიც ლაქაშიანი და ლერწმიანი.

მოისილა და გაჩნდა ჭაობი, ან ყოველ შემთხვევაში ჭაობის მცენარეულობით იფარება სამგორის არხის სათავის ტბორი სოფ. პალდოსთან, მასშივე ჩნდება კუნძულები. მოისილა ლაჯანურჰესის, ცხენისწყლის და სხვა კაშხალები. ჩემს მიზანს ჩრდილოვანი მხარეების ჩამოთვლა როდი შეადგენს. ჩემი შემ-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

დგომი მოსაზრების საილუსტრაციოდ და დასამოწმებლად ესეც კმარა.

ამჟამად არის სოფ. ჟინვალთან არაგვის დაგუბების პროექტი. წყალსატევი დიდი მოცულობის იქნება. დაგუბებული წყალი დაფარავს სოფ. ანანურს და მისწვდება ისტორიული ძეგლის — ციხის ძირს. არაგვს, რომელიც წარმოიქმნება ოთხი ძირითადი ნაკადისაგან (თეთრი არაგვი, შავი არაგვი, ხევსურეთის არაგვი და ფშავის არაგვი), გზა გადაეღობება იმ ვიწროებში, საიდანაც შედარებით უფრო ვაკე ადგილი იწყება. არაგვის მთელი ჩამონატანი (რიყის ქვა და სხვა) უნდა დაგროვდეს ჟინვალ-ანანურის წყალსაცავში.

ზემოთ დასახელებული მდინარეები ტიპიური მთის მდინარეებია, შმაგი და მოუსვენარი. მათი წყალმკრეფი აუზი ბევრგან ნირშეცვლილია. წარსულში ახოების კეთებით და ტყის უყაირათო გამოყენებით ბევრი ციცაბო ფერდობი მოტიტვლდა და ეროზიის ძლიერ კერად გადაიქცა. ასეთი კერები ამ მდინარეთა ხეობებში მრავალია. ამიტომ არის, რომ არაგვს დიდი რაოდენობით ჩამოაქვს ქვა და ხრეში, ლამი და ქვიშა. ფშავის არაგვი წყალდიდობისას ჭალაში ხეებს გლეჯავს და ქვემოთკენ მიატივტივებს. ჩვენს მთებში ყოველ უტყეო ერთ ჰექტარ მიწის ფართობიდან წვიმის წყალს 15—60 ტონა მიწა და ლამი მოაქვს, ეროზიის კერებზე ხომ ეს ციფრი გაორმაგებული და გასამმაგებულია. ბევრი ხევისათვის დამახასიათებელია ღვარცოფები. ასეთი ხევები სწორედ ანანურის ზევითაა დიდი რაოდენობით, განსაკუთრებით მლეთამდე. ეს ღვარცოფები წვიმის შემდეგ თბილის-ორჯონიკიძის მთავარ გზას სხვადასხვა დროით კეტავენ. მთელი ეს მასა, ამ მდინარეთა ჩამონატანი, თავს მოიყრის ჟინვალის კაშხალთან და, რა გასაკვირველი იქნება, თუ 5—10 წლის შემდეგ წყალსაცავი ამოივსება და დაკარგავს თავის ფუნქციას.

ამიტომ საჭიროა თუ არა ასეთი წყალსაცავის აგება? და თუ მაინც და მაინც უნდა აიგოს, მაშინ, გარდა წმინდა საინჟინერო პროექტისა, უნდა გაკეთდეს აგრომელიორაციული პროექტი, რომელიც გაითვალისწინებს ეროზიასთან ბრძოლას არაგვის აუზის მთელ სადევარზე (ტყეების გაშენება, ნატყევარის აღდგენა, ოროკოების ანუ ტერასების გაკეთება. მდინა-

რის დინების შენელება, ტყეების ნაკრძალად გამოცხადება); ეს სამუშაონი უნდა შესრულდეს და დამთავრდეს ძირითად სამშენებლო პროექტის შესრულებისთანავე, ამის გარეშე შეუძლებელი იქნება კაშხალის დახურვა.

ამჟამად ევროპაში დიდ წყალსაცავებზე ხელი აიღეს. მაგალითად, საფრანგეთში მდინარე რონაზე ათამდე ჰესი აიგო და არსად დიდი საგუბარი არ გაკეთებულა, ამჯობინებენ ისეთი ჰესის გაკეთებას, რომლებისთვისაც დიდი კაშხალები არ ესაჭიროებათ. იქნებ უკეთესი იყოს ჟინვალთანაც წყლის წამოყვანა იმავე წესით განხორციელდეს, რა წესითაც ბულაჩაურ-ნატახტარიდან მოგვყავს?

მაგრამ ეს ამ წერილის საგანი არ არის.

მე ამჟამად ვაყენებ საკითხს ტყეების უაღრესად ფაქიზად მოვლის შესახებ არა მარტო არაგვის ხეობაში, არამედ ყველა იმ ხეობაში, სადაც დიდი კაშხალი აშენდა. პირველ რიგში ესენია ენგურის, არაგვის ხეობები. ცნობილია, რომ რიონი და ენგური იმ მდინარეთაგანნი არიან, რომლებსაც დიდი რაოდენობით გამოაქვთ ხრეში და ღორღი. ეს ღორღი გროვდება შავი ზღვის სანაპიროზე. მაგრამ სხვა უბედურებაც რომ არ დატრიალდეს, ამიტომ მთელს ხეობებში ინტენსიურად უნდა წარვმართოთ გატყევების სამუშაოები. უკვე ყველასათვის ცნობილია, რომ ტყე წვიმის წყალს აკავებს, ქვევით, ხევისაკენ არ უშვებს, იწოვს მას და წყაროებად აქცევს. ტყეში დადებული თოვლი 15—20 დღით გვიან დნება, ვიდრე ღია ადგილზე. ტყის თოვლი ნელა დნება, ლანქერად არასოდეს იქცევა და ნადნობი წყალიც ნიადაგში ჩადის. ამგვარად, ტყე იცავს ეროზიისაგან არა მარტო იმ ადგილს, სადაც თვითონ ხარობს, არამედ დაშორებულ ადგილებსაც. სამწუხაროდ, არაგვის ხეობაში ტყე ბევრგან მოსპობილია, ბევრგან მოითხოვს დიდ ყურადღებას, ბევრგან გაჩენილია ეროზიის დიდი კერები.

ამ ტყეთა აღდგენის ხარჯები შეტანილი უნდა იყოს კაშხალებისა და ჰესების მშენებლობის ხარჯებში და გატყევების სამუშაონი, როგორც აღვნიშნე, სხვა მშენებლობათა პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს ამ საქმეში ჩახედული ორგანოების ზედამხედველობით.

ამ ხეობებში ახლაც მიმდინარეობს სატყეო მელიორაცი-

ული სამუშაოები, მაგრამ ეს სამუშაოები იმ ტემპით როდი ხორციელდება, როგორსაც მოითხოვს თუნდაც ჩვენი ჰესების მშენებლობა. ჰესები კი 2—3 წელში უნდა ჩადგეს მწყობრში და ამ ხნისათვის ეს სამუშაოებიც დამთავრებული უნდა იყოს.

1968 წ.

ერის საზრუნავი

ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართვლისას
ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი
სიძულვილია!"
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი
მაშინვე სცნობს —
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!

(ილია ჭავჭავაძე)

ჟინვალის მახლობლად, ფშავ-ხევსურეთის არაგვის მარცხენა ნაპირზე, არის ერთი მივიწყებული, ვერანა ადგილი, რომელსაც „საგოდებელი" ეწოდება. აქ მრავალი ძველი აკლდამაა! — რად ჰქვიან-მეთქი საგოდებელი, — ვკითხე ერთ მთიელს. — როგორ რათაო, — მიპასუხა, და აკლდამაზე მიმითითა,—აქ მოდიოდნენ და ჰგოდებდნენ ქვეყნის უბედურებაზეო...

ვდგევარ ამ საგოდებელზე და გავცქერი არაგვის ხეობას: მართალია, აქ უკვე აღარავინ მოდის, საგოდებელი აღარ ჩანს თითქოს, მაგრამ რომ გავცქერი ჩვენი მთის კალთებს, რომ მაგონდება მკერდჩამოღადრული ხეობები, ვფიქრობ: დიახაც, რომ ქართველ ხალხს, დღევანდელ სიხარულთან, აქვს თავისი საგოდებელი და ძალიან დიდი საგოდებელიც. ესაა ჩვენი ბუნება, ჩვენი მიწა-წყალი, რომელიც ასე უდიერად ნადგურდებოდა ჩვენივე დაუდევრობით, უყურადღებობით, უსულგულობით და ცუდი მემკვიდრეობის შედეგად.

ძველად, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყა-

რებამდე, ტყეების გაშენებას თითქმის არ აქცევდნენ ყურადღებას. 1926 წლიდან 1953 წლამდე კი 24 ათას ჰექტარზე ახალი ტყე გაშენდა, ხოლო უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე ძილზე ტყეები დარგულია კიდევ 60 ათას ჰექტარზე.

საკმარისია ითქვას, რომ ისეთი ძვირფასი ჯიში, როგორიცაა კაკალი, ბევრგან და საკმაო დიდი რაოდენობით ირგვება.

რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის, რესპუბლიკის სხვა ორგანოებისა და საზოგადოებრიობის მიერ თბილისის გარშემო მთების ეროზიულ ფერდობზე ტყის კულტურების გასაშენებლად განხორციელდა მრავალი ღონისძიება, რაც ხელს შეუწყობს თბილისის კლიმატური პირობების გაუმჯობესებას.

ჩვენ გვაქვს ყველაფერი იმისათვის, რომ ჩვენს ბუნების სიმდიდრეს, დოვლათს, სილამაზეს მოვუაროთ და შევინახოთ, როგორც თვალისჩინი. გვაქვს მთავრობისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის უდიდესი მხარდაჭერა: კანონი ბუნების დაცვის შესახებ, დადგენილებანი, განკარგულებანი. საჭიროა მხოლოდ მათი ცხოვრებაში გატარება, განხორციელება, შესრულება.

მაგრამ ყოველთვის ასე არ ხდება, ზოგჯერ გვავიწყდება კანონიც, დადგენილებაც, ხალხისა და ქვეყნის მომავალიც და ვაკეთებთ საწინააღმდეგოს იმისას, რაც კანონში წერია.

რას უნდა მიეწეროს, თუ არა უსულგულობას, ის, რომ არაგვისპირის საბჭოთა მეურნეობამ ამოძირკვა, ძირფესვიანად დაგლიჯა ორას ძირამდე კაკალი. მთავრობამ დასაჯა ამ საქმის ჩამდენნი და ორასის ნაცვლად დაარგვევინა 2 000 ძირი, მაგრამ საქმე ისაა, შეიგნეს თუ არა მათ დანაშაული ისე, რომ შემდეგში, მითითების გარეშე, გაუფრთხილდნენ, მოუარონ და ახარონ შინაური და ველური მცენარენი, შეინახონ ტყის ფერდონი და ჭალის ტყეები.

თითქოს აღარ უნდა მომხდარიყო, რომ მთამაღალში, იქ, სადაც ერთი ხეც ბუნების უდიდესი დოვლათია, 2 200—2 300 მეტრის სიმაღლეზე შავი ზღვის დონიდან — არაგვის ხეობის ველ-კეთილზე პირაღებით გაჩეხილიყო არყნარი, მაგრამ გაუჩეხიათ და გაუჩეხიათ როგორ? პირწმინდად.

აი, ჩემს თვალწინ არის ლომისა-ალევის ქედი მლეთასთან. გავსცქერი ჯვარის ზეკარის (უღელტეხილი) აღმართიდან ამ ქედის აღმოსავლეთისაკენ დაქანებულ ფერდობებს. ... ბელი ხრამებით და ღელეებით მკერდდაღარულს, დაფლეთილს, აგერ, ქვევით, ნასოფლარიც ჩანს, რამდენიმე ადგილას ტყის ნაშთიც არის, ხეების ჯგუფი ეულად და ობლად დგას... ვიცი, ერთი ხატის ტყეა, თუმც რამდენიმე ხეღა დარჩენილა. ახლა „ხატიც“ ვეღარ იფარავს. ხალხმა გაიგო მისი „ძალა“, სასიხარულოა, რომ ხატის „ძალა“ გაიგეს, მაგრამ სამწუხაროა ის, რომ ბევრმა ვერ გაიგო ძალა და მნიშვნელობა თვითონ მცენარეული საფარისა, ბუნების სიკეთისა და, როგორც ჩანს, ჯერჯერობით სათანადოდ ვერ ავუხსენით, ვერ გავაგებინეთ.

და მაგონდება, რომ ასეთი ჩამოღადრული ადგილები, მოტიტვლებული ფერდობები საქართველოს მთებში ცოტა როდია. აი, თუნდაც ატენის ხეობა. არც აქ დასდგომია ხეირი ტყეებს, განსაკუთრებით, სოფლების ახლო-მახლო.

ტყე უნდა გამოვიყენოთ, შეშაც გვჭირია, ხე-ტყეც, ეს ყოველივე ტყემ უნდა მოგვცეს, მაგრამ ტყის გამოყენება ცოდნით უნდა; ტყესაც ისეთი სიყვარულით უნდა ვუვლიდეთ, როგორი სიყვარულითაც უვლის ჩვენი მეზვრე ვენახს, ვაზს იმაზე მეტი რქით ხომ არ დატვირთავს, რამდენსაც ძირი აიტანს! ტყეც ასეა, რის მოცემაც შეუძლია, იმაზე მეტის გამოტანა ცოდვაა. ჩვენს მთის ტყეებს კი განსაკუთრებით სათუთი მოვლა სჭირია, რადგან მთის ტყეა და მთის ფერდოზე წყალი უფრო ადვილად შლის ნიადაგის ფენას. ტყის კალთის შეკრულობის უმაღლესი ხარისხი 0,9-ია. თუ ტყის კალთის შეკრულობა 0,6-ზე დაბლა დავიდა, მაშინ ტყე კარგავს ნიადაგის დაცვისა და წყლის შენახვის ფუნქციას. ტყე მაშინ თანდათან ისპობა, ჩანათესი ან ვერ აღმოცენდება, ან თუ აღმოცენდება, ვეღარ იზრდება, ტყის მცენარის აღმონაცენს ხომ თავის დროზე დაფარვა და ჩრდილიც სჭირდება!

ნიადაგი სწრაფად ირეცხება, ერთი სანტიმეტრის ნიადაგის შექმნას კი 100 წელიწადი უნდა. ჩვენი მეცნიერების გულდასმით კვლევის შედეგად დადგენილია, რომ მცენარეულ საფარმოკლებული ერთი ჰექტარიდან ყოველწლიურად ირეცხება (ე. ი. მდინარეს მიაქვს) 15—60 ტონა ნიადაგი და მიწა, 64—440 კილოგრამი აზოტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ მთის ფერდო დაფარულია ასი პროცენტით და ტყე
მოისპო ორმოცდაათით, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ
ნილი ნახევარი თავისუფლად განვითარდება. არა, მისი განად-
გურება დაჩქარდება, დაჩქარდება პირდაპირ კატასტროფუ-
ლად.

ახლა ციფრებს მივმართოთ:

დღეს ჩვენი ტერიტორიის 35—37 პროცენტი ტყითაა და-
ფარული, აქედან 97 პროცენტზე მეტი მთის ტყეა. ჩვენი ქვე-
ყნის სამოცდათხუთმეტ პროცენტზე მეტი მთაა. ბუნებრივი
მთის ტყე განვითარებული უნდა იყოს 500 მეტრიდან მოყო-
ლებული 2 000—2 200 მეტრის სიმაღლემდე ზღვის დონიდან,
ამ ფარგლებში კი მოქცეულია ჩვენი ტერიტორიის თითქმის
სამოცი პროცენტი. მაშასადამე, ტყის მთის ზონაში 25—30
პროცენტი უტყეოა, ეს კი ფრიად დამაფიქრებელია. საქმე იმა-
შია, რომ ეს ტერიტორია უმეტეს შემთხვევაში ჩამოხრიოკე-
ბულია და ხრიოკი ადგილების ფართობი სხვადასხვა მოვლე-
ნათა შედეგად იზრდება.

ტყის ტერიტორიის კლებადობა უფრო სწრაფი ტემპით
მიმდინარეობს, ვიდრე ტყის აღდგენა. გატყევების ტემპები
დიდად ჩამორჩება ტყის უკან დახევის ტემპებს. უნდა ითქვას
კი, რომ თვით გატყევებას თუ გულით მოვეკიდებით, ნაყოფ-
საც მალე ვნახავთ, ამის მაგალითია არაგვის ხეობები — მთი-
ულეთის, გუდამაყრისა და ფშავ-ხევსურეთის არაგვისა. 20—
25 წლის წინათ ამ რაიონში (დუშეთის) მუშაობდა მეტყევე
გძელიძე. მას დაურგავს საკმაოდ დიდი რაოდენობით ფიჭვი,
მოუვლია, უხარებია; შესანიშნავად წამოსულან, ამშვენებენ ამ
ხეობებს. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ასეთი მუშაობა ამ
ხეობებში შენელებულა — 15 წელზე ახალგაზრდა ხელოვნუ-
რი ტყე ნაკლებ ჩანს. გძელიძე აღარაა, მაგრამ მისი გაკეთე-
ბული საქმე დარჩა. იგი მაგალითი უნდა იყოს.

თუ იმაზე მეტი რესურსები არ გვექნება, რაც დღეს მოგ-
ვეპოვება, ბარში ტყეების გაშენებაზე ჯერჯერობით ხელი უნ-
და ავიღოთ და მთელი შესაძლებლობანი მთას მოვახმაროთ.
ცხადზე უცხადესია, თუ მთაში ტყე მოისპო, ბარიც დაგვე-
ღუპება. დღევანდელი ჩვენი მთის მდინარენი თითქმის დაშ-
რება, დაშრება წყაროებიც. დიდი წვიმების დროს მდინარეთა

ხეობანი აივსება ღვარცოფებით, რომელნიც გამოექანებიან ვაკისაკენ, წალეკავს ბაღსა და ვენახს, ბოსტანსა და ყანასა-ფელსა და გარემოს... ასე რომ, საკმარისად სწრაფად ჩვენი მხარე გადაიქცევა უდაბნოდ. ვთქვათ ღვარცოფი არ წამოვიდა, ის ხომ ცხადია, რომ დაშრება წყალი ქსანში, ლიახვში, არაგვში. მარტო ამ მდინარეთა წყლებით ირწყვება ლიახვის მარჯვენა და მარცხენა ნაპირის ბაღ-ვენახი და მინდორი, ტირიფონის, მუხრან-წილკანისა და საგურამოს ვაკეები. უწყლობით რომ მარტო ამ მხარის ბაღ-ვენახი, მინდორ-ველი და სოფელი გადახმეს, განა საკმარისი არ არის, რომ ჩვენს მხარეს თვალი გამოსთხარო? ასეთივე ღვარცოფების მკერდზე მოედინება ყვირილა, ძირულა, რიონი, ცხენისწყალი და სხვანი.

ამ მდინარეთა ავკაცობის მაგალითი ერთი და ორი არ გვქონია ამ უკანასკნელი 30—40 წლის მანძილზე. უფრო შორს რომ არ წავიდეთ, მარტო ამ ორიოდე წლის წინათ ვანი-ჩოხატაურის რაიონებში რამდენიმე ათეული სოფელი დაიმეწყრა. საჭიროა მათი სხვაგან ჩასახლება.

არაგვის ხეობებს რომ მეტი ყურადღება მივაქციე, ეს შემდეგი მიზეზითაა გამოწვეული.

გადაწყვეტილია, სოფელ ჟინვალთან აშენდეს კაშხალი და შეიქმნას წყალსაცავი, სადაც წყალი 8—10 კილომეტრის სიღრმემდე დაგუბდება. ამ წყალსაცავმა უნდა უზრუნველყოს თბილისი სასმელი წყლით, რეალურია თუ არა ეს? თუ მთელ ხეობაში დიდი მელიორაციული საშუშაო არ იქნა ჩატარებული, წყალსაცავის ნორმალური მუშაობა საეჭვოა.

რად?

რად და იმიტომ, რომ არაგვის ოთხივე დიდ შენაკადს (მთიულეთის, გუდამაყრის, ფშავის, ხევსურეთის) თან მოაქვს აუარებელი შეტივტივებული მასალა (ქვიშა, ღორღი, ლამი, მიწა), მოაგორებს ლოდებს და ქვებს, რომლებიც დაილექება და დაგროვდება წყალსაცავში.

უკვე ვთქვით, რომ ჰექტარ უტყეო ფართობიდან წყალს 15—60 ტონა მიწა, ხრეში და სხვა მიაქვს. არაგვების ხეობაზე კი ასეთი ფართობი 30 000 ჰექტარი მაინცაა. წაღებული მიწის საშუალოს თუ 30 ტონას გაიახგარიშებთ (30 000 × 35 — 1 050 000 × 10) წელიწადში 10 500 000 ტონა დანალექს მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიღებთ. ათი მილიონი ტონა — ეს მინიმუმია, რადგან ამ ხეობათა მთის ფერდონი საკმაოდ დაღარულია და ამავე დროს ადამრეცი; გარდა ამისა, ღვარცოფებიც ხომ ჩშირი მოვლენაა. გუდამაყრის არაგვს შავ არაგვსაც უწოდებენ. იგი პატარა წვიმის შემდეგაც კი შავად მოდის და მოჩქეფს, რადგან ფიქლების ნაფხვენი მოაქვს განუწყვეტლივ. წყალი ოდნავ შეტბორდება თუ არა, იგი სწრაფად დაილექება.

სიმართლე რომ ითქვას, ჩვენს ხეობებში არც საძოვრებია კარგ მდგომარეობაში.

მთის საძოვრები ჩვენში 1 169 000 ჰექტარია. ეს თითქოს არც ისე ცოტაა, მაგრამ თუ გულდასმით დავუკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ მდგომარეობა თუ კატასტროფული არა, სავალალო მაინც არის. პასპორტიზაციის შედეგად დადგინდა, რომ ეროზიული მოვლენებით, ქვაყრილებით, ბალახის ჩლიქით ჩაქოლვით და სხვა უარყოფითი მოვლენებით მწყობრიდანაა გამოსული ზაფხულის საძოვრების თითქმის 35,4 პროცენტი, შამბით, უჭამადი და შხამიანი მცენარეულობით დაფარულია 55 პროცენტი; აგრეთვე, ბევრია საძოვრები, რომლებზედაც გაბატონებულია ისეთი ბალახები, რომელთაც საქონელი ვერ ძოვს (ძიგვა, ძირმაგარა, მარმუჭი, ბეგქონდარა და მისთანანი). ამჟამად გვაინტერესებს ნაკვეთები, რომელთაც ეროზია დაჰპატრონებია და ასეთნი ცოტა როდია. განსაკუთრებით აღმოსავლეთ კავკასიონის საძოვრებზე. ასევეა დაავადებული დასავლეთის ხეობების ზაფხულის (ალპური) საძოვრები. დღემდე თუ გამახვილებული იყო ყურადღება ტყეზე, ეს იმიტომ, რომ იგი თვალშისაცემია, მაგრამ ბალახეულ საფარსაც, მთის საძოვრებსაც დიდი მოვლა სჭირდება, რაც ჯერჯერობით ნაკლებ ხორციელდება.

გული არ მითმენს, არ დავუბრუნდე ერთ „საჭოჭმანო“ საკითხს. ესაა ყინვალის წყალსაცავის მშენებლობა. თუ ამჟამადვე, დღეიდანვე, არ დაიწყება ფართო, გაშლილი ფრონტით მუშაობა არაგვის ხეობების მთის ფერდოთა სამელიორაციოდ (გატყევება, ოროკოების, ანუ ტერასების გაკეთება, ხრამებში დინების შენელება, საძოვრების გაუმჯობესება — ეროზიის შენელება). წყალსაცავის აშენებაზე თავი უნდა შევიკავოთ, რადგან იგი თავის ფუნქციას მალე დაკარგავს. ხუმრობა ხომ

არ არის, ყოველწლიურად ერთი მილიონი ტონა ქვანახშირ-ლისა, ქვიშისა და ლამის დალექვა. ასე მოუვიდა [illegible] ყველა ჩვენს მდინარეზე აგებულ წყალსაცავს (ზაჰესის, პლადოს, ტყიბულის, ცხენისწყლის და სხვ.). გაკვეთილად ესეც კმარა!

მაგრამ, საერთოდ, როგორ ვუშველოთ ჩვენს ქვეყანას, მდიდარსა და ზურმუხტოვან მხარეს, რომლის სილამაზე და სიკეთე ხელიდან გვეცლება?

არა ერთხელ და ორჯერ გვითქვამს: თუ მთის ტყეები მოისპობა, განადგურდება, იგი ეროვნულ უბედურებად გადაიქცევა. ეს პროცესი გუშინ არ დაწყებულა. განსაკუთრებით წარსულში დიდმა უყურადღებობამ, რასაც დაემატა ჩვენი თაობის უდარდელობაც, მცენარეული საფარი მიიყვანა იმ დონემდე, როდესაც ტყეთა უკან დახევის პროცესი ძალიან სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და სწორედ ჩვენი ძირითადი ამოცანაა, ეს ტემპი არამცთუ შევანელოთ, არამედ შევაჩეროთ და შევქმნათ შეუფერხებელი აღდგენისა და განვითარების პირობები.

პირველ რიგში, მთელმა ჩვენმა ერმა, მთელმა ხალხმა უნდა გაიგოს, რა მოელის მას, თუ მცენარეული საფარი მოისპო; გაიგოს და გამოიტანოს დასკვნა. ამ საქმეში გულგრილობა არ იქნება!

მაგალითისათვის საბერძნეთს მივმართოთ. საბერძნეთის ტერიტორიის 65 პროცენტი ტყით იყო დაფარული, ამჟამად 15 პროცენტიც არაა. აქედან პროდუქტიული ტყე 4 პროცენტია. შედეგად ამისა, ქვეყანა მოიცვა ეროზიულმა პროცესებმა და სასოფლო-სამეურნეო მიწის 2 პროცენტს ძლივსღა ინარჩუნებს. მოსახლეობა ტოვებს თავის სამშობლოს და სხვა ქვეყნებში ეძებს ლუკმაპურს. ასევე ტყიანი იყო ცენტრალური ირანი, დღეს რომ უდაბნოა. შორს რად წავიდეთ, უდიდესი ნაწილი სომხეთისა ტყიანი იყო. დღეს ტყეს ამ ქვეყნის 7 პროცენტი უჭირავს, დანარჩენი კი ქვაყრილებს, ხოლო მცირე ნაწილი — სახნავს. ოთხასი-ხუთასი წლის წინათ ტყიანი იყო ჯავახეთი, წალკა, დღეს უტყეონი არიან. ასევე შორს გვახედებს აღმოსავლეთ საქართველოს ველების დიდი ნაწილი.

შეიძლება ითქვას, რომ მრეწველობის თვალსაზრისითაც ტყეს უდიერად ვეკეკვით. პალმდატი, ცნობილი ფრანგი მეც-

ნიერი, ბუნების დიდი ქომაგი, წერს, რომ ყოველდღიური დიდი გაზეთის ქაღალდისათვის, წელიწადში საჭიროა 400 ჰექტარი ტყე, რომ მარტო „ნიუ-იორკის“ საკვირაო ნომერს ეწირება 7 ჰექტარი მიწის სიცოცხლე, ამიტომ უნდა ჩავუფიქრდეთ, ხომ არ უნდა შეიქმნას ქაღალდი ახალი მასალისაგან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ დავანებოთ თავი ამას. გავყვეთ დაწყებული აზრის დინებას. ჩვენს მხარესაც სწორედ ისეთი ჩამოხრიოკება მოელის, როგორმაც მოიცვა საბერძნეთი, ირანი, მესოპოტამია და სხვანი, თუ არ შევაჩერეთ ეროზიული პროცესები.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ შევაჩეროთ ეს პროცესი?

პირველ რიგში, მთელმა ხალხმა თავის ძირითად მოთხოვნილებად უნდა გაიხადოს ქვეყნის მოვლა-პატრონობა, ბუნების დაცვა. არ უნდა მოიჭრას არც ერთი ხე, ან თუნდაც ტოტი, გარკვეული მიზანდასახულობისა და აუცილებლობის გარეშე. ყველას არ უნდა ჰქონდეს ტყეში შესვლის უფლება, ტყეს ერთადერთი პატრონი — სახელმწიფო და ამ საკითხებში გარკვეული ერთი დაწესებულება უნდა ჰყავდეს. კატეგორიულად უნდა აიკრძალოს და მოწესრიგდეს ტყეში საქონლის ძოვება. თხა კი უნდა მოვსპოთ და მის მაგივრად მოსახლეობას მივცეთ უფლება, იყოლიოს თუნდაც ერთი ზედმეტი ძროხა. თხა ერთ-ერთი ძირითადი მტერია ტყისა. იქ, სადაც თხის დატოვება აუცილებელი გახდება, თოკზე დაბმული უნდა ვაძოვოთ, მისი აშვება არ შეიძლება.

ტყეების დაცვისა და აღდგენის საქმეში ფართოდ უნდა ჩავაბათ მთელი მოსახლეობა, მთელი ხალხი. უნდა გაიშალოს ნამდვილი, გულითადი პროპაგანდა, რომლის შედეგად ყოველ მოქალაქეს შევაგნებინებთ მცენარეული საფარის მნიშვნელობას.

ქალაქის მოსახლეობას უნდა გამოეყოს მასივები, სადაც გაშენდება დასასვენებელი პარკები, ტყეები.

თბილისისათვის ასეთ ადგილად მესახება მდინარე ვერესა და ალგეთს შუა მდებარე ტყის მასივი. ეს მხარე წარსულში ფრიად დაზარალდა (ძირითადად აქ წვავდნენ ნახშირს თბილისისათვის). ამ უკანასკნელ ხანში ტყემ წამოიწია კიდეც. მაგრამ იქ, სადაც ნიადაგი დეგრადირებული იყო, რაღა ეშველებოდა! სწორედ ასეთ ადგილებშია საჭირო ხელოვნური

ტყეების გაშენება. მითუმეტეს, რომ აქ მდებარეობს მრავალი ღირსშესანიშნავი ისტორიული ძეგლიც (ბეთანია, [illegible] ტაძარი, გოხნარი, ფიტარეთი). მასივი დანაწილდება [illegible] -განიზაციების (ან რაიონების) მიხედვით, რომლებმაც უნდა ჩაატარონ სათანადო აღდგენითი სამუშაოები სატყეო კომიტეტის მიერ დამუშავებული პროექტით და მისივე ხელმძღვანელობით. ამავე დროს იგი უნდა გამოცხადდეს აბსოლუტურ ნაკრძალად. მასივებზე მიმაგრებული ორგანიზაციები ააშენებენ ერთდღიან დასასვენებელ სახლებს. გაიყვანენ წყაროებს, გზებს, გამართავენ მოედნებს...

ქალაქ რუსთავისათვის უფრო სამხროა ალგეთის ხეობა, რომელშიც უნდა ჩაერთოს ბარეთის ტბაც (წალკაზე). და ამავე დროს რუსთაველებს უნდა დაევალოთ იაღლუჯის ჩრდილო-აღმოსავლეთის ფერდობების გამწვანება-გატყიანება.

გორისათვის შეიძლება გამოიყოს ატენის ხეობისა და კვერნაკის ნაწილი, სათანადო სამუშაოთა დასახვით, რომელსაც სატყეო ინსტიტუტი უხელმძღვანელებს. და ასე, ამგვარად, ყოველ ქალაქს უნდა ჰქონდეს თავისი მასივი-ნაკრძალი, სადაც იწარმოებს აღდგენითი სამუშაო და მოსახლეობისათვის შეიქმნება დასვენების პირობები. ასევე უნდა მოაწყოს თავისი გარემო დუშეთმაც. ქარული ეროზიაც, სხვა ტიპის ეროზიებთან ერთად, საკმაოდ ხშირი მოვლენაა. სიღნაღის ფერდოთა ტყეების აღდგენით მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ანაგამ, ქვემო მაჩხაანმა, წნორისწყალმა და სხვებმა.

ვაკის კოლმეურნეობანი რომ კარგ მოსავალს იღებენ, ეს იმიტომ, რომ მთის ფერდონი ტყით არის დაფარული. მაგრამ როდესაც ბაღსა და ვენახს წალეკავს დურუჯი, თურდო, თოხლიაურის ხევი, მანავის ხევი, ლიახვი, ძირულა, ყვირილა ან ცხენისწყალი, ეს იმიტომ ხდება, რომ მთის ფერდოთა ტყე და, საერთოდ, მცენარეული საფარი მოუვლელია, დიდ ეროზიულ მოვლენებს უჩენია თავი. ამიტომ მთის ფერდოთა ტყის დაცვის საქმეში კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უნდა მიიღოს მონაწილეობა. ტყეს მთამაღალში მათაც უნდა მოუარონ. როგორი იქნება ამ სამუშაოთა ორგანიზაციული მხარე, ეს დამუშავების საქმეა.

გარდა ამისა, თვით სატყეო მეურნეობის კომიტეტმა სა-

ჭიროა მთელი თავისი მოღვაწეობა გადაიტანოს ტყის ზონაში, მდინარეთა ხეობებში. მართალია, მსგავსი სამუშაოები თვალში უცბად არ ხვდება გზაზე გამვლელ კაცს, მაგრამ სარგებლობა უფრო მეტი მოაქვს, ვიდრე გზის პირებზე დარგულ ფიჭვებს თუ კაკლებს. ქალაქში პარკები და ხეივნები ქალაქის გამწვანების განყოფილებამ უნდა აშენოს, გზის პირებზე — გზათა სამინისტროებმა. სატყეო კომიტეტმა კი ტყეში და ნატყევარზე უნდა ამრავლოს ჩვენი მეგობარი — ხე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ტყის აღდგენით ჩვენ ჩამოვრჩებით იმ ტემპებს, რომლებიც ტყის შემცირებას ახასიათებს.

საჭირო იქნება მეტყევეთა პროფილზეც ვიფიქროთ. დროულად მეჩვენება, რომ დაარსდეს მეტყევეთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი დაწესებულებანი.

1969 წ.

რას გვიამბობს თრიალეთის მუხა

გაშლილ ველზე, სადაც გაზაფხულობით მრავალნაირი ჭიოტა ყვავილი ბიბინებს, სადაც ზაფხულში დედამიწას ალმური ასდის, გადახრუკული ბალახი და ქარის წამობერვაზე, იმის მაგივრად, რომ ველს მზეკაბანმა გადაურბინოს, მტვრის კორიანტელი დგება, იშვიათად, მაგრამ მაინც შეგხვდებათ ეულად მდგარი, ტოტებგაშლილი ხე, მუხა ან თელა, ან თუნდაც ბერყენა.

ბევრი ასეთი ეულად მდგარი მუხა მინახავს, ბევრის ჩრდილში დაღლილს დამისვენია და თითქმის ყველგან ერთიდაიგივე ჩურჩული მესმოდა. მაგრამ ყველა მუხათა შორის მაინც ერთი მუხა, თრიალეთის მუხა მიდგას თვალწინ, იქნებ იმიტომ, რომ მის ახლო-მახლო მთელი დღის სავალზე სხვას ვერას ხედავს თვალი. ის მართლაც ეულად დგას. მდინარე ქციის სათავეებისკენ არის ერთი ნაქალაქარი, რომელსაც წინათ ახალქალაქს უწოდებდნენ და, რომელიც XV—XVII საუკუ-

ტყეების გაშენება. მითუმეტეს, რომ აქ მდებარეობს მრავალი ღირსშესანიშნავი ისტორიული ძეგლიც (ბეთანია, მანგლისის ტაძარი, გოხნარი, ფიტარეთი). მასივი დანაწილდება პროფესიონ-განიზაციების (ან რაიონების) მიხედვით, რომლებმაც უნდა ჩაატარონ სათანადო აღდგენითი სამუშაოები სატყეო კომიტეტის მიერ დამუშავებული პროექტით და მისივე ხელმძღვანელობით. ამავე დროს იგი უნდა გამოცხადდეს აბსოლუტურ ნაკრძალად. მასივებზე მიმაგრებული ორგანიზაციები ააშენებენ ერთდღიან დასასვენებელ სახლებს. გაიყვანენ წყაროებს, გზებს, გამართავენ მოედნებს...

ქალაქ რუსთავისათვის უფრო სამხროა ალგეთის ხეობა, რომელშიც უნდა ჩაერთოს ბარეთის ტბაც (წალკაზე). და ამავე დროს რუსთაველებს უნდა დაევალოთ იაღლუჯის ჩრდილო-აღმოსავლეთის ფერდობების გამწვანება-გატყიანება.

გორისათვის შეიძლება გამოიყოს ატენის ხეობისა და კვერნაკის ნაწილი, სათანადო სამუშაოთა დასახვით, რომელსაც სატყეო ინსტიტუტი უხელმძღვანელებს. და ასე, ამგვარად, ყოველ ქალაქს უნდა ჰქონდეს თავისი მასივი-ნაკრძალი, სადაც იწარმოებს აღდგენითი სამუშაო და მოსახლეობისათვის შეიქმნება დასვენების პირობები. ასევე უნდა მოაწყოს თავისი გარემო დუშეთმაც. ქარული ეროზიაც, სხვა ტიპის ეროზიებთან ერთად, საკმაოდ ხშირი მოვლენაა. სიღნაღის ფერდოთა ტყეების აღდგენით მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ანაგამ, ქვემო მაჩხაანმა, წნორისწყალმა და სხვებმა.

ვაკის კოლმეურნეობანი რომ კარგ მოსავალს იღებენ, ეს იმიტომ, რომ მთის ფერდონი ტყით არის დაფარული. მაგრამ როდესაც ბაღსა და ვენახს წალეკავს დურუჯი, თურდო, თოხლიაურის ხევი, მანავის ხევი, ლიახვი, ძირულა, ყვირილა ან ცხენისწყალი, ეს იმიტომ ხდება, რომ მთის ფერდოთა ტყე და, საერთოდ, მცენარეული საფარი მოუვლელია, დიდ ეროზიულ მოვლენებს უჩენია თავი. ამიტომ მთის ფერდოთა ტყის დაცვის საქმეში კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უნდა მიიღოს მონაწილეობა. ტყეს მთამაღალში მათაც უნდა მოუარონ. როგორი იქნება ამ სამუშაოთა ორგანიზაციული მხარე, ეს დამუშავების საქმეა.

გარდა ამისა, თვით სატყეო მეურნეობის კომიტეტმა სა-

ჭიროა მთელი თავისი მოღვაწეობა გადაიტანოს ტყის ზონაში, მდინარეთა ხეობებში. მართალია, მსგავსი სამუშაოები თვალშეუცბად არ ხვდება გზაზე გამვლელ კაცს, მაგრამ სარგებლობა უფრო მეტი მოაქვს, ვიდრე გზის პირებზე დარგულ ფიჭვებს თუ კაკლებს. ქალაქში პარკები და ხეივნები ქალაქის გამწვანების განყოფილებამ უნდა აშენოს, გზის პირებზე — გზათა სამინისტროებმა. სატყეო კომიტეტმა კი ტყეში და ნატყევარზე უნდა ამრავლოს ჩვენი მეგობარი — ხე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ტყის აღდგენით ჩვენ ჩამოვრჩებით იმ ტემპებს, რომლებიც ტყის შემცირებას ახასიათებს.

საჭირო იქნება მეტყევეთა პროფილზეც ვიფიქროთ. დროულად მეჩვენება, რომ დაარსდეს მეტყევეთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი დაწესებულებანი.

1969 წ.

რას გვიამბობს თრიალეთის მუხა

გაშლილ ველზე, სადაც გაზაფხულობით მრავალნაირი ჭიოტა ყვავილი ბიბინებს, სადაც ზაფხულში დედამიწას ალმური ასდის, გადახრუკულა ბალახი და ქარის წამობერვაზე, იმის მაგივრად, რომ ველს მზეკაბანმა გადაურბინოს, მტვრის კორიანტელი დგება, იშვიათად, მაგრამ მაინც შეგხვდებათ ეულად მდგარი, ტოტებგაშლილი ხე, მუხა ან თელა, ან თუნდაც ბერყენა.

ბევრი ასეთი ეულად მდგარი მუხა მინახავს, ბევრის ჩრდილში დაღლილს დამისვენია და თითქმის ყველგან ერთიდაიგივე ჩურჩული მესმოდა. მაგრამ ყველა მუხათა შორის მაინც ერთი მუხა, თრიალეთის მუხა მიდგას თვალწინ, იქნებ იმიტომ, რომ მის ახლო-მახლო მთელი დღის სავალზე სხვას ვერას ხედავს თვალი. ის მართლაც ეულად დგას. მდინარე ქციის სათავეებისკენ არის ერთი ნაქალაქარი, რომელსაც წინათ ახალქალაქს უწოდებდნენ და, რომელიც XV—XVII საუკუ-

ნეებში გაავერანეს დამპყრობთა ურდოებმა. ეს ნაქალაქარი, ნასოფლარ ეძანის, ახლანდელ სოფელ წალკას ცოტა [illegible] ქციის ღრმა ხევის თავზე მდებარეობს. მას პატარა მ[illegible] თავა დასცქერის. აი, სწორედ ამ მთის წვერზე დგას ტოტებგაშლილი და ბარაქიანი ერთადერთი მუხა. აქედან წალკის უზარმაზარ ზეგანს რომ გახედავ, ხეს ვერსად დაინახავ, აქ კი უზარმაზარი, მრავალასეულ წელთა მომსწრე, 400—500 წლის მუხა, ეულად და ობლად, მაგრამ ამაყად დგას და გასცქერის ძველი ახალქალაქის, ეძანის სოფლის ნანგრევსა და ნაოხარს. მას ახსოვს ის დრო, როცა ამ ნაქალაქარსა და ნასოფლარებში სიცოცხლე დუღდა და გადმოდუღდა, შენდებოდა ახალი სოფლები, ტაძრები, იწერებოდა წიგნები, ითესებოდა მინდვრები, შენდებოდა ბაღები, ხალხი მომავალს შეჰხაროდა. ხალხმრავალი იყო მაშინდელი თრიალეთის ეს ნაწილი და არც მუხა იყო მარტო, მის ირგვლივ ტყე იყო აქოჩრილი.

ერთ შემოდგომის ცრიატ დღეს ამ მუხის ძირში მოვხვდი, ანაზდეულად დაუბერა სუსხიანმა ჩრდილოეთის ქარმა. ახმაურდა მუხა, ტოტი ტოტს დაეჯახა, დაიჭახუნა, დაიკვნესა და რაღაც საომარი სიმღერა წამოიწყო. მის ძირში მინაბულს, ქარს მორიდებულს, ნაბადწამოსხმულს მესმოდა მისი სიმღერა:

„მრავალი საუკუნე მიცხოვრია, ბევრი ჭირი და ვარამი გადამხდენია, ბევრი თანამგზავრი გამომცლია მხრიდან, ქარსა და ქარიშხალს, გრიგალსა და ქარაშოტს ბევრჯერ გადაუვლია ჩემს თავზე, იქნებ ტოტი შეუტეხია, მაგრამ ფესვი კი ვერ შეურყევია, ვდგავარ ფესვმაგარი, ტოტებღონიერი; ომში შესულ კაი ყმასავით, უკან არ ვიხევ; ვდგავარ და ასე ვიდგები. აი, მოვესწარ იმ დროსაც, როდესაც ნატყევარ მთებსა და გორაკებს ახალი სიცოცხლის მახარობლები, წითელყელსახვევიანი ბავშვები შეესივნენ და რგავენ ხეებს, ბუჩქებს. აშრიალდება კვლავ ტყის ტევრი... ამ ყურადღებამ მეც მიშველა და ამ ლოდებს შორის აღმოცენდა ჩემი ნაშიერი. ისიც მალე გაიზრდება, მხარში ამომიდგება. იგრიალე, დაუბერე ქარიშხალო...“ — ისმის ტოტების ჭახაჭუხი, გრგვინვა და მუხა ყვება თავის თავგადასავალს...

ჩვენი მთის ზეგნები ჯავახეთი, წალკა, ზურტაკეტი ტყით ყოფილა დაფარული. ამ ტყეებს ამშვენებდნენ მთის მუხა,

ფიჭვი, ნაძვი, ნეკერჩხალი, არყი, ცირცელი და სხვა. ტყითვე ყოფილა დაფარული დაბლობის ვაკენიც. ამ დაბლობის ტყეებში ჩვეულებრივი იყო ვაკის მუხა, ქართული მუხა, მინდვრის ნეკერჩხალი, მშრალ ადგილებში კი — საკმლის ხე, აკაკი, ქართული ნეკერჩხალი, ბერყენა და სხვანი მრავალნი. ამის საბუთი მრავლად მოგვეპოვება, როგორც თვით ბუნებაში, ისევე ჩვენს ისტორიულ წერილობით წყაროებში.

მეთვრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის შესანიშნავი მკვლევარი ვახუშტი აი რას წერს ტაბისყურის შემოგარენზე:

„ტბა ტაბისყურისა არს წყალი ანკარა, სასმელად ტკბილი და შემრგო, გარემო ნაძოვანი, ტყიანი, ბალახ-ყვავილოვანი, წყროიანი და კალმახითა სავსე, დიდ-წვრილითა და ფრიად გემრიელითა“.

დღეს ტაბისყურის ახლომახლო ხე თოფის სასროლზედაც კი აღარ ჭაჭანებს, უახლოესი ტყე ოცი კილომეტრით მაინც არის დაცილებული. ნაპირნი ბალახ-ყვავილოვანია, მაგრამ ისიც შეცვლილია, ველის წარმომადგენლებს — ვაციწვერასა და წივანას შეუცვლია „ბალახ-ყავილნი“, ე. ი. ტყისა და ალპების მცენარენი, რომელთაც ვახუშტი „ბალახ-ყვავილოვანს“ უწოდებს.

თურქებმა რომ სამხრეთ საქართველო მიიტაცეს, მათ ეს მხარე, ხარკის დასადებად, გულდასმით აღწერეს და შეადგინეს „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი“. ამ დავთარში ჯავახეთი ორადაა გაყოფილი — ტყიან და უტყეო ჯავახეთად, ამავე დროს, „ტყიან მხარეში“ თანამედროვე ჯავახეთის ნახევარზე მეტია ნავარაუდევი. დღეს კი ორივე, „ტყიანიცა“ და „უტყეოც“, სრულიად უტყეოა. მხოლოდ ალაგ-ალაგ გადარჩენილა პაწაწა კორომი, ანდა თითო-ოროლა ხე (ვერხვი, მუხა, ფიჭვი, არყი, ცირცელი).

ასეთივე წერილობითი ცნობები გვაქვს ზემო და ქვემო ქართლის ვაკეების, გარეკახეთისა და სხვა რაიონების შესახებ. წერილობითი საბუთების გარდა, თვით ბუნებაში არსებობს მრავალი საბუთი იმისა, რომ ესა თუ ის მხარე წარსულში ტყით ყოფილა დაფარული.

ჩვენი ნიადაგმცოდნეების გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ მრავალ ადგილას, იქ, სადაც დღეს ველის მცენარეა გა-

ბატონეუბლი და დიდ მანძილზე ხის ჭაჭანებაც აღარ არის, ნიადაგი ტყისა შემორჩენილა. გარდა ამისა, ალაგ-ალაგ ვალისა და ნახევარუდაბნოს მცენარეთა შორის ზოგიერთი ტყის გამძლე მცენარეც გვხვდება, ზოგან — ცალკეული ტყის ხე და ზოგან კი — პატარა ოლეც.

ბევრგან, საქართველოშიც, სომხეთშიც, ველების არეში ტყის ცხოველების: კვერნის, დათვის, ირმის, ფსიტისა და მისთანების ჩონჩხები ნახეს.

ერთი სიტყვით, ამ უტყეო მხარეთა წარსულში ტყიანობის ბევრი საბუთი არსებობს. აკი ეს თრიალეთის მუხაც თავის სიმღერაში, ქარიშხალს რომ შეაგება, ამაზე გვიამბობს.

ყოველივე ამის ცოდნას შეუძლია თუ არა რაიმე სარგებლობის მოტანა? რასაკვირველია, შეუძლია. რაკი ვიცით, სად რანაირი მცენარე ხარობდა, რანაირი ტყე იყო, ამჟამადაც შეგვიძლია შევუდგეთ ამ მხარის გატყიანებას, იქ, სადაც საჭირო, სასარგებლო და აუცილებელია. მაგრამ სად არ არის იგი საჭირო? ტყე ხომ ბუნების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია. ყოველ მხარეში ტყე იმ რაოდენობით უნდა შევინარჩუნოთ, რამდენადაც საჭიროა ბუნების ჰარმონიულობის დასაცავად.

ბევრჯერ ამივლია წალკა-ჯავახეთის გზაზე და შორიდან დამინახავს წერტილივით მთის წვერზე რაღაც ხე, მაგრამ საქმე ისე მიდიოდა, რომ იმ ხესთან ახლო მისი პირველი დანახვიდან მხოლოდ მეოცე წელს მივედი. მივედი და გული სინანულითაც აივსო და სიხარულითაც. ძველი, დიდი ხნის უნახავი მეგობარივით დავუკარი თავი, ქუდი მოვუხადე და გამარჯვება ვუსურვე. დიდი გზა აქვს გამოვლილი და დღეს თუ კიდევ ცოცხალია, თითქოს იმისათვის, რომ გვითხრას:

> მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა,
> რაც უწყალო დროთ ხელით დანთქმულა,
> მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...

მართლაც, უწყალო ხელით დაინთქა ამ მუხის ირგვლივ მოშრიალე ტყე; წარსულში მტერთა ხშირი შემოსევა ცოტა ზიანს როდი აყენებდა ამ ტყეებსაც.

ზაფხულში დამპყრობთა ურდოები ჯავახეთ-წალკა-თრიალეთის გზით მოდიოდნენ (რემათა საკვები აქ უხვად იყო).

გზადაგზა მტერი ანადგურებდა ყოველივეს, რაც სამშობლოს დამცველთ თავშესაფარად გამოადგებოდათ. ერთხელ ხომ არ წამოსულა საქართველოზე მტერი და „გასტეხს ქვასაც ბაგარსა წყალი წვეთ-წვეთად მდინარი!“ — გატყდა ტყეც, ბევრ უმეტეს, ბუნების პირობების ცვალებადობა, სინესტის შემცირებაც ამას ხელს უწყობდა; ხალხიც, ხშირად ომებით წელში გაწყვეტილი, სათანადოდ ვერ უვლიდა, უთავბოლოდ ჩეხდა, აახოებდა, საქონელს აძოვებდა... და ტყე შეცვალა ველმა, ზოგან კი ნახევარუდაბნომ...

დღეს ჩვენს თრიალეთის მუხას უხარია, რომ ჩვენი ახალგაზრდობა მთა-ბარს შეესია და რგავს ხეებს: მუხასა და წიფელს, ფიჭვსა და ნაძვს, აკაკის და საკმლის ხეებს, თელასა და ნეკერჩხალს და მრავალს სხვას. სწორედ წარსულის ამ იშვიათი მოწმეების წაქეზებითაცაა, რომ ირგვება ხეები, შენდება ტყეები.

„დარგეთ, ახარეთ, გაიზრდებიან, ტყედ გადაიქცევიან, აქ წინათაც ხომ იყო ტყე!...

ქარი ჩამდგარა, მუხა ოდნავღა შრიალებს. ქარტეხილმა ვერც ახლა დააკლო რა და დროა, მეც გავუდგე ჩემს გზას.

1964 წ.

ბუჩქნარიც ტყედ ვაქციოთ

მცენარეულობას მოკლებულ მხარეს უდაბნოს უწოდებენ. უდაბნო ადამიანის წარმოდგენაში დასაბამიდან უბედურების მომასწავებელი იყო.

მცენარე და წყალი ადამიანს ყოველთვის სიცოცხლის სიმბოლოდ მიაჩნდა, უყვარდა ისინი, მაგრამ ხშირად ნებსით თუ უნებლიეთ თვითონვე სპობდა თავის ბედნიერების წყაროს — მცენარეს, ტყეს, მდელოს. ადამიანმა „უყაირათობითა და წინდაუხედაობით უდაბნოდ აქცია ოდესღაც მწვანით აქოჩრილი არაბეთი, ირანი, ანატოლია“... — ამბობდა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ფრიდრიხ ენგელსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოსავლეთ საქართველოს ველებისა და ტრამალების დიდი ნაწილი, როგორიც არის შირაქის, სამგორის, ელდარის, ქვემო ქართლის დიდი ნაწილი, ტყით იყო დაფარული, ბინადრობდნენ მშვენიერი მუხნარები, თელნარები, საკმლის ხიანები, აკაკიანები. დღეს კი მათი ნატამალიც არა ჩანს. ტყით იყო დაფარული თბილისის მიდამოები, მუხრანის ვაკე, ტირიფონა, ზემო ქართლი — ურბნის-ტაშისკარს შუა მდებარე დიდი მინდორი.

კარგია, როდესაც ნატყევარზე ბალი და ვენახი ჩნდება ან კარგად მოვლილი სახნავ-სათესი, მაგრამ ერის უბედურებად იქცევა ნატყევარი მაშინ, როდესაც იგი უპატრონოდ, ალალბედზე იქნება მიგდებული, რის შედეგად ჩამოირეცხება ნიადაგი, ღვარცოფი გადალეკავს და გაანადგურებს ასეთი ადგილის მისადევარს. ბევრჯერ გსმენიათ (და ეს ასეც არის), რომ უტყეო ქვეყნის სტუმარია გვალვა და ქარი, ღვარფოცი და თქეში.

სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენი ხალხი, პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ გამწვანებას, ტყეების აღდგენას, ტყის ახალი მასივების შექმნას, ამ მხრივ ჩვენში ცოტა როდი გაკეთდა. ბევრი მთის ფერდობი კვლავ ტყით დაიფარა; აშრიალდა წამოზრდილი ტყე, ფიჭვნარებით აიქოჩრა გორაკები.

მაგრამ ეს ყველაფერი ჯერ კარგი დასაწყისია იმ დიდი საქმისა, რომელიც წინ გვიდევს, ჯერჯერობით გასაკეთებელი ბევრია. ამ საქმიანობაში ფართოდ უნდა ჩაებას მთელი მოსახლეობა.

ახალ ტყეებს რომ ვაშენებთ, ძალიან კარგია, გზის გაყოლებაზე ხეხილის გაშენება მშვენიერია, და საერთოდ ერთი ხის დარგვა-გახარებაც დიდი საქმეა, მაგრამ ზოგჯერ დიდი ხმაურით ჩავყრით 200—300 ხეს და ამავე დროს ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ იმას, რომ ჩვენს თვალწინ ტყე ან ისეთი ბუჩქნარი, რომელიც მოვლის შედეგად შეიძლება ტყედ იქცეს, ნადგურდება. ასეთი ტყეების დიდი კატეგორია ე. წ. საკოლმეურნეო ტყეებია. მათ დიდი მოვლა-პატრონობა სჭირდებათ. ამ შემთხვევაში ეს ბუჩქნარები ჩვენს ვაკე ადგილებს მთის წინაკალთებით ემიჯნება, ესენია უმთავრესად მუხნარები, მუხნარ-რცხილნარები, რცხილნარები.

ასეთი ტყეა წითელწყაროს რაიონში შავი ტყე, ზოლიჩა, ნავისწყლის ხევისა და თვით წითელწყაროს მუხნარები, რომლებიც ჩრდილო-აღმოსავლეთის გორაკებს გასდევენ, და ასევე სიღნაღის რაიონში — ზემო მაჩხაანისა და უკანა მხარის მუხნარ-ჯაგრცხილნარები, მუხნარები; საგარეჯო-გურჯაანის მხარეში — მელაანის, კაკაბეთის, მანავის, საგარეჯოს, პატარძეულის, ხაშმის ბუჩქნარები და საერთოდ გომბორის ქედის წინა კალთების ნატყევარები შიგნითა და გარე კახეთში. გარეუბანში და მცხეთის რაიონში მარტყოფ-ნორიო-გლდან-მცხეთა-წილკან-მუხრანის მთის წინა კალთების მცენარეულობა. შიდა ქართლში იგოეთის, ქვემო ჭალის, კირბალის, მეჯვრისხევის, დისევ-არბო-ცხინვალის მიდგმა მთის ზოლი; ასევე ცხინვალიდან სოფელ ალამდე.

მოვიყვანე აქ გომბორ-კავკასიონის წინა კალთები. ასეთივე ცუდი მდგომარეობაა მტკვრის მარჯვნივ — თრიალეთის ქედის წინა კალთებზე. აქაც ნატყევარზე ბუჩქნარიღაა დაჯაგული. ამ ბუჩქნარის მოსპობის შემდეგ ღია, შიშველი ადგილები პირდაპირ მთის ტყეს — რცხილნარს და წიფლნარს მიადგება, რაც დიდ უბედურებად გადაიქცევა, რადგან ისინიც უკვე საკმაოდ მოუძლურებულნი, ტყის მოსპობით დიდ დანაკარგს მიიღებენ. ეს ბუჩქები ამ მხარეში არამც თუ მოუვლელია, არამედ დაუნდობლად ნადგურდება, იჩეხება. ეს კი ყოვლად დაუშვებელია. თუ გვინდა ტყე შევინარჩუნოთ, ამ ბუჩქნარს უნდა გავუფრთხილდეთ და აღვადგინოთ. თუ გვინდა ჩვენი ქვეყანა გაუდაბნოებას გადავარჩინოთ, ეს ბუჩქებიც კვლავ ტყედ უნდა გადავაქციოთ და ხალხის ნამდვილ სამსახურში ჩავაყენოთ.

ამ ბუჩქნარების მოვლა იმას როდი ნიშნავს, რომ ფიჩხის გამოტანაც კი ავუკრძალოთ ხალხს. არავითარ შემთხვევაში. ეს „სასოფლო ტყე“ ისე უნდა დავგეგმოთ, რომ იქიდან ფიჩხი თუ სხვა რამ გეგმიანად გამოვიტანოთ, შეიძლება იგი 10—12 ნაწილად გაიყოს და პირველ წელს ფიჩხი მარტო პირველი ნაკვეთიდან იქნას გამოტანილი, მეორე წელს — მეორიდან და ა. შ. ან ყოველ შემთხვევაში ეს საკითხი რაიონის მეტყევის დახმარებით უნდა მოგვარდეს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო სამმართველო უფრო ეფექტუ-

რად უნდა ჩაერთოს ამ დიდ საქმეში. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ „სასოფლო ტყეების“ ავკარგიანობაზეა დამოკიდებული საზელმწიფო ტყეების არსებობა და შენარჩუნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთ ბუჩქნარში შედარებით იოლი მელიორაციული ღონისძიებანი ათჯერ უფრო სწრაფად მოგვცემს ტყეს, ვიდრე ტრიალ მინდორზე ახლად ჩაყრილი. ამიტომ, თუ სიკეთე გვინდა, ახალი ტყეების გაშენება-გაძლიერებასთან ერთად მეტი ყურადღებით, სიფრთხილით და სიყვარულით უნდა მოვეკიდოთ მთების წინა კალთების ნატყევარ ბუჩქნარს. ყოველი რაიონის ბუნების დაცვის საზოგადოებამ რაიაღმასკომთან ერთად უნდა დაამუშაოს ამ ბუჩქნარების მოვლის, აღდგენისა და ტყედ გადაქცევის კონკრეტული გეგმა.

ამ ბუჩქნარებში ველობები რომ არის დარჩენილი, ისიც ტყის მცენარით უნდა დაიფაროს. ჩვეულებრივად ასეთ ადგილებში შეიძლება დაირგოს ხეხილი, მაგრამ ისეთი, რომელიც დიდ ბაღურ მოვლას არ მოითხოვს. ამ მხრივ საყურადღებოა სხვადასხვა მსხვილნაყოფიანი ტყემალი, ჭანჭური, ღოღნაშო, ქლიავი, შვინდი, კვრინჩხი და მისთანანი. ისინი მთის ფერდობებზე ტყის დანიშნულებასაც შეასრულებენ და, ამავე დროს ნაყოფსაც მოგვცემენ. თუ დიდი ნაკვეთებია — 2,3 ჰექტარი და მცირე დაქანებაც აქვს, მაშინ ასეთი ნაკვეთები ნამდვილი ბაღის გასაშენებლად უნდა გამოვიყენოთ. შესაფერ ადგილას დარგული და ნახეირები ხე თუ ხეხილი საშვილიშვილო საქმეა.

1962 წ.

ჩვენი გუთნისდედისა და მეზვრის მადლი და ბარაქა

ქართველი ხალხი ყოველთვის გულმართლად მღეროდა:

არც არავის ყმა ვყოფილვარ,
არც არავინ ყმად მყოლია,
ძველი პური, ძველი ღვინო
წლითწლობამდე გამყოლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება მრავალს უნდოდა ყმად გაეხადა იგი, მაგრამ ჩვენი ხალხი ყოველთვის იბრძოდა იმისათვის, რომ [illegible] არ ყოფილიყო. არც თვითონ ცდილა ყმა ჰყოლოდა, ცალ ხელში გუთანმომარჯვებული ცდილობდა პური და ღვინო არ გამოლეოდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დეკემბრის პლენუმზე მიღებული ღონისძიებანი სწორედ იქით არის მიმართული, რომ საბჭოთა ხალხს და, მათ შორის, ქართველ ხალხსაც პური და ღვინო დაუძველდეს, არ გამოელიოს.

ქართველ კაცს საკეთილო დავალების შესრულებაზე უკან არასდროს დაუხევია და მით უმეტეს სოფლის მეურნეობის საქმიანობაში. სოფლის მეურნეობას, ხვნა-თესვას, მევენახეობა-მეხილეობას, მეჯოგეობას ის ყოველთვის თავის ღვიძლ საქმედ სთვლიდა, და მარტო შემსრულებელი კი არ იყო იმ საქმისა, რომელიც მას მოსავლით უზრუნველყოფდა, არამედ ხვალინდელზეც ფიქრობდა, ყოველთვის ახლის მაძიებელი იყო და, რაც მთავარია, შემოქმედი და ჭეშმარიტი შემოქმედი.

ქართველმა მხვნელ-მთესველმა, მეზვრემ, მებაღემ მსოფლიო კულტურის სალარო გაამდიდრა მრავალი ძვირფასი ვაზის, პურის, ვაშლის თუ ატმის ჯიშით, სოფლის მეურნეობის წარმოების ახალი წესით. მარტო ის რად ღირს, რომ საქართველოში შექმნილია 500-ზე მეტი ადგილობრივი ქართული ვაზის შესანიშნავი ჯიში, 200-ზე მეტი ვაშლის, მსხლის, ატმის, მრავალი ხორბლის, ღომისა თუ ფეტვის ჯიში. მიუხედავად იმისა, რომ სიმინდი მე-17 საუკუნიდან არის ცნობილი, ქართველმა მხვნელ-მთესველმა მაინც მოახერხა და ჩვენი ბუნებრივი პირობების შესაბამისად გამოიყვანა მრავალნაირი მთის სიმინდი: მესხური, აჭარული, რაჭული, ჩოქელა და სხვ.

სოფლის მეურნეობის წარმოების მაღალ საფეხურზე მიგვითითებს აგრეთვე ისიც, რომ ქართველ კაცს მამულ-დედული კლასიფიცირებული ჰქონდა დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით. მამულის დიფერენციაცია, მისი გამოყენების შესაძლებლობის მიხედვით სოფლის მეურნეობის წარმოების ფრიად მაღალ საფეხურზე ლაპარაკობს, ეს რომ შემთხვევითი არ არის, იმითაც დასტურდება, რომ X—XVIII საუკუნეების სიგელ-გურჯები, ნასყიდობის წიგნები და სხვა ხელნაწერები

უეჭველად მოიხსენებენ „ნაყანებს“, „ნაიონჯარს“, „ნაწალ-
კოტარს“, „ნაბოსტნარს“, „ნაზვრებს“, „სავენახოს“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი მაგალითებიც:

„მე თაყაშვილმა დიმიტრიმ... მოგყიდე ჩემი სამკვიდრო.. ამის გარდა, ჩემი ნ ა ზ ვ რ ე ვ ი მისის ნიგვზნარითა, თუთ-ნარითა, საწყლისპიროთა, საწისქვილოთა“.

„ოდეს დიდი შიმშილობა შეიქმნა და დიდად დაგვეჭირა და მოგყიდეთ ორის დღისა ს ა ვ ე ნ ა ხ ო მიწა ბიძაანთ ვენახის გვერდზედა“.

„მოგყიდეთ... ამას გარდა ჯავშნიანში ჩემი წილი სახნავი-თა, უხნავითა, ტყითა, ველითა, ს ა ვ ე ნ ა ხ ო თ ა“...

„კიდევ იყიდეთ კახეთს დედაბრიანთაგან მიწა ს ა ვ ე-ნ ა ხ ო“.

გურჯისტანის ვილაეთის დიდ დავთარში, რომელიც პროფ. ს. ჯიქიამ გამოსცა, ბევრგან არის ნახმარი „**საიონჯე**“ მიწა.

„ვენახი სიმონის ასულის ელენე ხათუნისა... საყანე მიწა და საიონჯე მიწა“.

„ნაიონჯარი“ მოხსენებულია ხელთუბნელ თუმანიშვილე-ბის სიგელშიც:

„... ამითი მიწა იქნება ოთხის დღისა, **ნაიონჯარი** ორის დღისა, სათივეში ორის დღისა სათივის მიწა“.

ასეთ ამონაწერთა მოტანა, რომელიც ზემომოყვანილ დე-ბულებას ადასტურებს, მრავლად შეიძლება. ეს შემთხვევითი კი არ არის, არამედ გარკვეული სისტემაა. სავენახე ან ნავენა-ხარი ყოველთვის განკუთვნილი იყო ვენახისათვის და ვენახს, სადაც მოხვდებოდათ, იქ კი არ აშენებდნენ, არამედ კარგად გარკვეულ შემოწმებულ ნაკვეთებზე, სადაც ვენახისა თუ ბა-ღის გაშენება — გახარება და კარგი მოსავალი უზრუნველ-ყოფილი იქნებოდა. ცნობილია, რომ ვენახშიცა და ზვარშიც ვაზის ბაღია ნაგულისხმევი, მაგრამ ზვარი და ვენახი ხარის-ხობრივადაც და ოდენობითაც განსხვავდებოდა ურთიერთი-საგან. ზვარი უეჭველად შენდებოდა განათებულ, მზვარე ადგი-ლას. უფრო დიდიც იყო. ამგვარად დიდსა და სამხრეთის

---

* სიგელებიდან დამოწმებული ციტატები ამოღებულია ექვ. თაყაი-შვილის მიერ გამოცემული „საქართველოს სიძველეებიდან“.

ფერდოზე გაშენებულ ვენახს **„ზვარი“** ეწოდებოდა, მაშინ როდესაც ჩვეულებრივ ადგილას გაშენებულ ვაზის ბალს ბალ-ლოდ **„ვენახი“** ეწოდებოდა.

ნაიონჯარიც სახნავ-სათესს შორის ცალკე იყო ნახსენები, რადგან იგი მეტ მოსავალს იძლეოდა, ვიდრე ჩვეულებრივი მიწის ნაკვეთი, **საბოსტნედაც** ყოველთვის შესაფერი ნაკვეთი იყო გამოყოფილი, მისი ნიადაგი მსუბუქი, ნოყიერი, ადვილად დასამუშავებელი უნდა ყოფილიყო; „საბამბე“ ნაკვეთი მყუდრო ადგილას იყო ნავარაუდევი და გამოყოფილი, სათივე შედარებით — ნესტიან ადგილას და სხვ. ყველა ამ მიწას თავისი ფასი ჰქონდა. თავისი ღირებულება. ახლაც, როდესაც დეკემბრის პლენუმის დადგენილების შესაბამისად ჩვენი ვენახის ფართობი ორჯერ იზრდება, იზრდება საბოსტნე და სხვა ძვირფასი მცენარეების ფართობი, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი მიწა-წყლის კლასიფიკაციას, დახარისხებას მათი შესაძლებელი გამოყენების თვალსაზრისით და ამის მიხედვით უნდა ხდებოდეს **ვენახის, ბაღის, თუთნარის, ნიგვზნარის, სასარის** თუ სხვათა ჩაყრა-გაშენება.

ამას განსაკუთრებით ვუსვამ ხაზს იმიტომ, რომ არის შემთხვევები, როდესაც ზოგან ეს ძველი ტრადიციები დავიწყებულია. მას ყოველთვის ანგარიში არ ეწევა და მიუხედავად ყოველი კეთილი მოსაზრებისა, არის შემთხვევები, როდესაც ვენახი შენდება შემლაშებულ ნიადაგებზე, ან ბაღი ისეთ ადგილას, სადაც ნიადაგის წყალი ზედაპირთან ახლოა, ან ბოსტანი მძიმე თიხნარებში, ამის შედეგად ვიღებთ მცირე და რაც მთავარია, უხარისხო მოსავალს. განა არ შეიძლება შორაქნებში გაშენებული ვენახიდან ღვინის მოსავლის მიღება? შეიძლება. მაგრამ განა იგი იქნება ისეთი ხარისხოვანი, როგორიც არის ტიბაანის, ქვემო მაჩხაანის, ანაგის ნაზად დაქანებულ ფერდობებზე მიღებული მოსავალი? არავითარ შემთხვევაში.

გრუნტის წყალი თუ ახლოა, ისეთი ბაღი სულ რამდენიმე წელიწადში გადაგვარდება, გახმება, უნაყოფო და ბერწი გახდება.

გამოცდილი კოლმეურნეებისა და აგრონომების მონაწილეობით დავლილ უნდა იქნას კოლმეურნეობის მინდვრები და

ყოველ ნაკვეთს უნდა დაერქვას ის სახელი, რომლის ღირსიც არის იგი: „სავენახე“, „საბოსტნე“, თესლთა ბრუნვით გათვალისწინებული „სახნავი“, „სასარე“, „თუთნარი“, „ნიგვზნარი“ თუ სხვ. არავითარ შემთხვევაში ვენახი და ბაღი არ უნდა გავაშენოთ ისეთ ადგილას, სადაც ამისათვის შესაფერისი და საუკეთესო პირობები არ არის.

ვენახი წარსულშიც ქართული დოვლათის დამხვავებელი იყო. ხალხს იგი უყვარდა. იცოდა მისი ყადრი.

არც ისაა შემთხვევითი, რომ საქართველოს მოსისხლე მტრები — თემურლენგი თუ შაჰ-აბასი და სხვანი პირველ რიგში ვენახისა, თუთნარისა და ნიგვზნარის ამოჩეხვის ბრძანებას გასცემდნენ ხოლმე. მოყვარე და კეთილისმსურველი კი ყოველთვის ვენახისა, თუთნარისა და ნიგვზნარის გაშენებას გვირჩევდა.

ქართველი კაცი უვენახოდ ვერ გაძლებდა.

„გლეხმა კაცმა რა გაყიდაო? პური და ღვინოო. რა იყიდაო? ისევ ისაო“ — ნათქვამია.

ხალხური ლექსები, ანდაზები და გამოცანები, რომლებშიც ვაზი და ყურძენია ნახსენები, ერთი გარკვეული სისტემით რომ დაალაგო, ამ მცენარის აგროტექნიკის ხალხური ენციკლოპედია შედგება.

ვენახი კარგი იქნება,
თოხით ღრმად გათოხნილია,
ყოველთვის დაკრეფის დროსა
მას მტევანი აქვს მსხვილია,
გათოხნილი ვენახისა,
ღარში გადმოდის მსხვილია.
გაუთოხნავი ვენახის
მძიმედ ჩამოდის, წვრილია,
მაგრამ სწორე უნდა გითხრა,
ღვინო ის უფრო ტკბილია.

ეს სავსებით დადასტურებულია მეცნიერულად ჩატარებული ცდებითაც. ანდა ავიღოთ თუნდაც ერთი შეხედვით ასეთი ბარბაროსული თქმა:

„ვენახს უთქვამს: ნეტავი მე რომ ყვავილში შევიდე, ჩემი პატრონი ავად გახდეს, ვერც თვითონ შემოვიდეს ვენახში და ვერც სხვა შემოიყვანოსო“.

ყვავილობის დროს რქა ფრიად მაღალია და ადვილად იმტვრევა (ძველად ჰექტარზე 6—10 ათასი ძირი იყო ჩაყრილი, ე. ი. ვაზი მჭიდროდ იყო და გავლის დროს ნორჩი რქა ადვილად იმტვრეოდა).

ვაზის გასხვლის ქართული წესი (სამამულე და საკავებელი) მსოფლიოში საუკეთესო წესად არის ცნობილი და დღევანდელ ევროპულ მევენახეობაში ძირითად ფორმადაა აღიარებული.

რაკი საქართველოს ბუნებრივი პირობები მრავალფეროვანია და ყოველი კუთხე მცენარეს თავისებურ მოთხოვნილებას უყენებს, ამიტომ ქართველმა მეზვრემაც ვაზის მრავალი ჯიში გამოიყვანა, ყოველივე ბუნებრივი პირობების შესაფერისი. ამჟამად ჩვენს მეცნიერ-მევენახეებს ჩვენში გავრცელებული ქართული 500-მდე ჯიში აქვთ აღრიცხული. ჩვენი დიდი მეცნიერის ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით ძველად არსებული 400-ზე მეტი ჯიშია მოხსენებული წყაროებში: კახეთში 74-მდე, ქართლში 65-მდე, იმერეთში 45-მდე, რაჭა-ლეჩხუმში — 61-მდე, გურია-სამეგრელოში 113-მდე, აჭარა-შავშეთ-კლარჯეთში — 52-მდე და სხვ.

მსოფლიოში მეორე კუთხე არ არის ისეთი, სადაც ვაზის ჯიშების ასეთი მრავალფეროვნება და სიმდიდრე იყოს.

ამ მრავალნაირი ჯიშების გვერდით ჩვენმა მევენახემ შეძლო და გამოიყვანა ვაზის კლასიკური ჯიშებიც, ისეთნი რომელნიც ერთსა და იმავე დროს საღვინე ჯიშიც იქნებოდა, ხილად საჭმელიც და საბაქმაზე-სათათარეც, ერთ ჯიშში შეაერთა მრავალი სხვადასხვა ჯიშის თვისება: ამის საუკეთესო ნიმუშია **„რქაწითელი“**, რომელსაც როგორც საღვინე ჯიშს ბადალი არ ჰყავს, ამავე დროს იგი მეტად ლამაზია, საჭმელად გემოიანი, მისი ტკბილისაგან კარგი ფელამუში კეთდება. ამავე დროს ავადმყოფობისა არ ეშინია, გამძლეა და სხვადასხვა პირობების კარგი ამტანი. სწორედ ამიტომ იგი ფართოდ გავრცელდა საქართველოს ყველა კუთხეში, გარდა ამისა, გავრცელდა სომხეთში, აზერბაიჯანში, უკრაინაში, მოლდავეთში, ევროპის სამხრეთ ქვეყნებში (რუმინეთში, ბულგარეთში).

რქაწითელი იძლევა კარგ, მაღალხარისხოვან კახური, იმერული, ევროპული ტიპის სუფრის (ე. წ. მშრალ) ღვინოებს,

პორტვეინის ტიპის შემაგრებულ ღვინოს, შამპანურისა და კონიაკის მასალას, ყურძნის არომატულ სამკურნალო ღვინს, ბადაგს. ზამთარში ჩამიჩს, სუფრის ყურძენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაკვირველია, ასეთი მრავალფეროვნება, ერთ ჯიშში შეერთებული, შემთხვევითი როდია, ესაა ქართველი მეზვრის დიდი, მრავალ საუკუნეთა მანძილზე ჩატარებული შრომის შედეგი. გლეხს ასეთი კლასიკური ჯიშის გამოყვანას კარნახობდა მთელი ჩვენი წარსული, ეკონომიკა. გარედან შემოსული მტერი ჩვენს ქვეყანას ხშირად აოხრებდა. სხვა დოვლათთან ერთად ტიალდებოდა ვენახიც. მტრის განდევნის უმალ საჭირო იყო სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების აღდგენა. აქედან გამომდინარე, საჭირო იყო გვქონოდა ისეთი ვაზი (და პურის ჯიშიც, მაგრამ ამაზე ქვემოთ), რომელიც ჩვენს მოთხოვნილებას სწრაფად შეავსებდა. აღდგენის პერიოდში მრავალი ჯიშისადმი გამოკიდება ძნელი და მოუხერხებელი იყო. სწორედ ამიტომ შექმნეს ჯიში, რომელიც ერთდროულად აკმაყოფილებდა ვაზის პროდუქტის ყველა მოთხოვნილებას, ღვინის გარდა, საჭირო იყო კარგი ბადაგიც, რადგან ბადაგს ნაკლები მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვიდრე ღვინოს. ბადაგით ჩურჩხელა კეთდებოდა. ჩურჩხელა კი მარტო საახალწლო ნობათი და „სერის კუდი“ კი არ იყო, არამედ ომში მოსახმარი პროდუქტიც. ომში მიმავალ ვაჟკაცს თან უნდა წაეღო საგზალი, რომელიც ადვილი სატარებელი და ნოყიერი იქნებოდა. ჩურჩხელის კვებითი ძალა შოკოლადს უდრის და რაკი მასში ნიგოზიცაა, ე. ი. ცოცხალი ვიტამინებია, მაშასადამე, შოკოლადზე უკეთესიცაა.

ასეთივე გამორჩეული ჯიშებია საფერავი, გორული მწვანე, ჩინური, ცოლიკაური, ოჯალეში, ჩხავერი, ციცქა და სხვანი.

როდესაც ძირითადი ვენახი გაშენდებოდა, რომელშიც ჩაიყრებოდა წამყვანი ჯიში და ქვეყანა დაწყნარდებოდა, მაშინ ვენახში სხვა ჯიშებსაც ჩაუმატებდნენ, ზოგს — მსუბუქი ღვინისათვის (თხლაფა), ზოგს — ლალისფერისათვის (შავკაპიტო, კაპისტონი), ზოგს — ტკბილი ღვინისათვის (ხიხვი) და სხვადასხვა.

საბოლოოდ, ჩვენს ძველ ვენახში რამდენიმე ჯიშის ვაზს

ვხვდებოდით, რომლებშიც ერთი ძირითადი, წამყვანი ჯიში იყო (კახეთში — რქაწითელი, საფერავი, ქართლში — გორული მწვანე, მუხამწვანე, ჩინური, იმერეთში — ცოლიკაური, ციცქა, კრახუნა და სხვ.), სხვანი დამხმარესავით იყვნენ. ვენახში ვაზის ნაირ-ნაირობა (მხოლოდ ნაირ-ნაირობა გეგმაზომიერი) დამუშავდა მრავალ საუკუნეთა მანძილზე და მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: ჯერ ერთი ზოგი ჯიში დამტვერვის მოვალეობას ასრულებდა, ზოგი კი ძირითადი ჯიშის ღვინოს სხვადასხვა თვისებას აძლევდა — სურნელებას, ვემოს, სირბილეს ან სიმაგრეს და სხვა, ე. ი. ხდებოდა ბუნებრივი კუპაჟი.

ამჟამად არის ტენდენცია ზვარი ერთჯიშიანი ჩაყარონ, რაც უეჭველად სწორი არ არის. თუ 85 პროცენტი მთავარი ჯიში იქნება (რქაწითელი ან საფერავი, მწვანე ან ჩინური, ცოლიკაური ან კრახუნა და სხვა), 10—15 პროცენტი სხვადასხვა ჯიში უნდა იყოს, რომელთა მოსავალი სხვადასხვანაირად უნდა გამოვიყენოთ.

სხვა არა იყოს რა, უნდა შევინახოთ დიდი და ძვირფასი მემკვიდრეობა. ასეთი ჯიშთა სიმრავლე დიდი ეროვნული განძია. ჩვენი ცხოვრების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე შესაძლებელია ეს მოთხოვნილება სხვადასხვა ჯიშს წავუყენოთ: დღეს თუ ხიხვია ტკბილი ღვინისათვის მოწონებული, შეიძლება ხვალ თითა იყოს საჭირო. ასეთი შემთხვევებისათვის ყოველთვის უნდა გვქონდეს ხელთ მრავალ საუკუნეთა მანძილზე შექმნილი ჯიშები. მაგალითად, როდესაც კახეთში რომელიმე კოლმეურნეობა 20—50 ჰექტარიან ვენახს აშენებს, მან ამ ვენახში ერთ ჰექტარზე მაინც 50—50 ან 100—100 ძირი კახური ყველა ჯიში უნდა ჩაყაროს, ასევე ქართლში, იმერეთში და სხვ. იმ 1—2 კოლექციით, სადაც 10—10 ძირი ვაზია ჩაყრილი ყოველი ჯიშისა და რომელიც სამეცნიერო დაწესებულებებს აქვს, ფონს ვერ გავალთ, ეს საკმარისი არაა.

ჩვენი ახალი ცხოვრება, ძველისაგან განსხვავებით, მრავალ ახალ მოთხოვნილებას აყენებს; გარდა ჩვეულებრივი მაგარი ღვინოებისა, ჩვენ გვჭირდება მსუბუქი, თხელი ღვინოებიც.

ცნობილია, რომ ჩვენი კარგი ღვინოები კახეთში დგება

400—800 მეტრს შორის ზღვის დონიდან, იმერეთში 150—500 მეტრის სიმაღლეებს შორის, ქართლში 400—800-მდე. ... მთიან რაიონებში (გარდა რაჭა-ლეჩხუმისა) დგება მომჟაო ღვინო; ეს მასალა კი კარგია შამპანური ღვინოებისათვის. ამისათვის საჭიროა, რაც შეიძლება მალე დამუშავდეს აგროწესები მთიანი რაიონებისათვის. ჩვენ ხომ მევენახეობა 1.000 და 1.200 მეტრს ზევითაც უნდა ავწიოთ მთაში; ამავე ზონისათვის საჭიროა გამოვიყენოთ გამძლე და ადრეული ჯიშები. საქართველოში ძლიერად გაიშალა საკურორტო მშენებლობა, მთაშიც და ბარშიც; კურორტები საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ ძლიერ წყაროდ იქცევა; ამიტომ საჭირო იქნება, ჩვენი პირობებისათვის, გარდა საღვინე და საშამპანე ჯიშებისა, კარგი საჭმელი ჯიშებიც გამოვიყვანოთ და შევქმნათ. ეს ყველაფერი დიდ შრომას მოითხოვს, მაგრამ წარსულის დიდი მემკვიდრეობაც დიდი შრომის შედეგია, ადვილი გზით სიარული სოფლის მეურნეობაში არ შეიძლება, ისევე როგორც ახლა არ შეიძლება ნამყენი ვაზის შეცვლა პირდაპირი ლერწით, საკუთარ ფესვიან ვენახის გაშენებაზე გადასვლით.

ვენახი და სახნავ-სათესი, ღვინო და პური ჩვენში განუყრელი იყო. პური და ღვინო ერთად იხსენიებოდა. ზედაშე პურსა და ღვინოს გულისხმობდა. ამიტომაა, რომ ჩვენში ვენახის გვერდით ძირითადი დარგი ხვნა-თესვა იყო. ამიტომაა, რომ ძველად არსებულ გუთნებში ერთ-ერთი საუკეთესო გუთანი ქართული გუთანია, ბელტის კარგად გადამბრუნებელი, ღრმად მხვნელი.

შენი ჭირიმე გუთანო,
მაგ შენი მრუდე ყელისა,
შენა ხარ პურის მომყვანი,
დამძველებელი ქერისა.

აჩეჩამ უთხრა გუთანსა,
გუთანო პური მოტეხე,
მაშინ სად იყავ აჩეჩავ,
მე რომ ყამირი გავტეხე.

შემთხვევით კი არ მღეროდა ამ ლექსებს ჩვენი გუთნისდედა და მეხრე.

მღეროდა, ღიღნებდა და მიქროდა საუკუნე საუკუნეზე...

ღიღინებდა ოროველასა და მღეროდა კალოსპირულს. მაგრამ თავის საქმიანობაში ყოველთვის აქტიური იყო, შემოქმედი; მსოფლიო მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ საქართველო კულტურულ მცენარეთა წარმოშობის ერთ-ერთი თვალსაჩინო და ძირითადი ცენტრია. ეს მცენარენი თვით კი არ წარმოშობილან, არამედ ყოველი ცალკეული მცენარე დიდი შრომისა და ჭირის ოფლის მოწურვის შედეგია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართული დიკა (მას მეცნიერებმა „ქართული პური" უწოდეს), მთიანი ზონისათვის არის გამოყვანილი. მართლაცდა, შავი ზღვის დონიდან 1.000 მეტრის სიმაღლიდან ვიდრე 2.200 მეტრის სიმაღლემდე დიკა ჩვენი მთების ნახნავების განუყრელი თანამგზავრია. ერთი დიკა კი არ შექმნეს, არამედ რამდენიმენაირი: თეთრი დიკა, შავი დიკა, წითელი დიკა, ბოლისფერი დიკა, შავფხა დიკა, წითელთავთავა და თეთრმარცვალა, თეთრთავთავა და წითელმარცვალა და სხვ. რად იყო საჭირო დიკის შექმნა? ცნობილია, რომ მთა ბართან შედარებით ნესტიანია, ცივია. ბარის პური მთაში ზიანდებოდა, ავადმყოფდებოდა. ამიტომ შექმნეს ავადმყოფობის (სოკოვანი) გამძლე, ყინვის ამტანი მცენარე. სწორედ ამიტომაც მღეროდნენ: „გენაცვალე ქერის პურო, ანაცერო დიკისაო". და მართლაც მთიან მხარისათვის ჯერჯერობით დიკაზე უკეთესი არაფერი გვაქვს. ჩვენში დიდი შიმშილობანი, შედარებით სხვა ქვეყნებთან, იშვიათი იყო, ბარში თუ არ მოვიდოდა მოსავალი, მთაში იყო, მთაში თუ მოსცდებოდა, ბარი მიეშველებოდა, ყოველი ზონისათვის გამოყვანილი გვქონდა ხორბალიც, ვაზიც, ხილიც.

დიკა რომ ჩვენს მთაშია გამოყვანილი, ამის დამადასტურებელი ისიცაა, რომ ჩვენსავე მთებშია მოქცეული მისი ჯიშობრივი სიმრავლე; ჩვენი ქვეყნის გარდა, იგი მხოლოდ ჩვენს მეზობელ მთიან ქვეყნებში გვხვდება, მაგრამ არა ისეთი ჯიშობრივი სიმრავლით, როგორც ჩვენშია, არამედ თითო-ოროლა ჯიშით.

გარდა დიკასი, ჩვენში კარგად ცნობილია დოლის პური, რბილი პურების ერთ-ერთი სახეობა; დოლის პური ამჟამად ძირითადად ვაკე ადგილის მცენარეა. მაგრამ, როგორც ჩანს, ესეც მთაშია შექმნილი, სახელიც ბეჩოს თემის სოფ. დოლიდან

უნდა ჰქონდეს მიღებული. ზემო სვანეთში 2.200 მეტრის სიმაღლეზე მოყვანილი დოლის პურის მარცვლის სიმკვრივეც და სიმძიმემ ყველა ცნობილ დოლის პურის მარცვალს ჯობია აჭარბა. მთიდან მიღებულ მცენარეზე ბარად განაგრძეს მუშაობა და გამოიყვანეს ვაკისათვის შესაფერი ჯიშები: წითელი დოლი, თეთრი დოლი, ბოლიშფერი დოლი, თეთრმარცვალა დოლი, წითელმარცვალა დოლი, შავფხა დოლი, უფხო დოლი და სხვა მრავალი, ვიდრე 100 ქვესახეობამდე და 100 ჯიშამდე. ამ მხრივაც საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს; არსად, არცერთ მხარეში, ისეთ პატარა ადგილას, როგორიცაა საქართველო, ამდენი სხვადასხვანაირი, ძვირფასი თვისების მატარებელი დოლის პური არ მოჰყავთ. ევროპის ქვეყნებში დოლის პურიც საქართველოდან და ამიერკავკასიიდან არის გასული.

ამათ გარდა, მარტო ჩვენ ქვეყანაშია დღემდე შემორჩენილი ისეთი პურები, როგორიცაა „მახა“, „ზანდური“, „ჩელტა ასლი“, „კოლხური ასლი“. ეს ხორბლები სხვაგან, სხვა ქვეყანაში არ გვხვდება, არც ისეთი ქვეყანაა სადმე, სადაც ხორბლის მსოფლიოსთვის ცნობილ სახეობებიდან იმდენი იყოს, რამდენიც ჩვენშია.

მსოფლიო ხორბლებისა და ხვნა-თესვის საუკეთესო მცოდნე აკადემიკოსი პ. ჟუკოვსკი, არჩევს რა საქართველოს ხორბლებს თავის კაპიტალურ შრომაში, რომელსაც „კულტურული მცენარენი“ ეწოდება, დაასკვნის:

„მემკვიდრეობითობის თვალსაზრისითაც არ არსებობს საწინააღმდეგო დებულება იმისათვის, რომ საქათველოს დღევანდელი ტერიტორია არ მივიჩნიოთ კულტურული ხორბლის პირველად კერად. რბილი ხორბალიც, როგორც ჩანს, თავის საწყისს ამიერკავკასიიდან იღებს“.

ჩამოყალიბება პირველადი სახეობისა ერთი იყო და განვითარება, დამუშავება ამა თუ იმ ბუნებრივ პირობებისათვის, სხვა. დოლის პური ერთ-ერთი ისეთი ჯიშია, რომელშიც საქართველოს ისტორია და წარსულია ჩაქსოვილი და ჩახატული.

დღეს ჩვენი კომბაინერები ძველ დოლის პურს ემდურებიან: ჩაწოლა იცის, წვრილი ღერო აქვს, ძნელად ილეწება,

მარცვალი კილში მაგრადა ზისო. მართალია, მაგრამ საქმე ისაა, რომ რაც ამჟამად, კომბაინის ეპოქისათვის, უარყოფითია, წარსულში, ნამგლის ეპოქისათვის დადებითი [illegible] სწორედ თავის დროისათვის დადებითი თვისებების გაუმჯობესებაზე და განვითარებაზე მუშაობდა ჩვენი გუთნისდედა.

ყანა ძველად ნამგლით იმკებოდა, მკის დროს კი ყოველი ცალკეული მცენარე ინჯღრეოდა, ქანაობდა, მარცვალი რომ კილში მაგრა არა მჯდარიყო, ჩაიბნეოდა. სწორედ ამ თვისებისა და სხვათა გამო უცხოეთშიც გაჰქონდათ. გარდა ამისა, ძველად მტერი რომ შემოგვესეოდა, ხალხი ტყეში და მთაში იხიზნებოდა. შემოდგომაზე მტერი მტკვრის ხეობით შირვან-სალიანისკენ მიდიოდა, მტკვრის ხეობის ქვემო წელის ველებზე, ჩვენი ხალხი კი მთიდან ჩამოდიოდა, ხორბალი თოვლის ქვეშაც რომ ყოფილიყო, თავთავიდან მარცვალი მაინც არა სცვიოდა; აგროვებდნენ ასეთ თავთავს, აშრობდნენ და ცოტაოდენი მაინც ილეწებოდა. წვრილ ღეროსაც თავისი დანიშნულება ჰქონდა. საქონლის საკვებად ძველად, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, ბზე იყო. ბზეს ძველად ისეთი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ სახელმწიფო გადასახადის ობიექტიც ყოფილა. სვიმონ მეფის სიგელში ვკითხულობთ:

„არაფერი საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები არა ეთხოვებოდეს რა, არა, კოდის პური, არა საკომლე ბზე და ქათამი, არა ნახირის თავი, არა საბალახეო“.

სიგელი, რომელშიც ბზე ასე იხსენიება, მრავალი მოიპოვება.

სწორედ ამიტომ იყო, რომ პურის ღეროც ნაზი უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, პური არა მარტო მარცვლისათვის ითესებოდა, არამედ უხეში საკვების — ბზის მისაღებადაც. ჩვენი ხორბალი საბოლოოდ ჩვენმა ძველებმა კომპლექსურ კულტურულ მცენარედ ჩამოაყალიბეს. ეს კომპლექსურობა იმაშიც ჩანს, რომ იგივე დოლის პური გვალვასაც კარგად უძლებდა და ჭარბ წყალსაც. იგი ერთსა და იმავე დროს სარწყავ-ურწყავის მცენარე იყო. ამ თვისებაშიც ჩვენი წარსულის ერთი მოვლენაა ჩაქსოვილი. მტერი სარწყავ არხებსაც ანგრევდა, ამ დროს, არხების გაკეთებამდე, დოლის პურს თავისი მაინც უნდა გაეკეთებინა.

ასეთია დოლის პური, ამაზეა ნათქვამი: „კაი კაცის ნაყანევი, კაი ქალის ნაკაბევიო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი გუთნის დედაც რომ წინდახედული, გონიერი, გამრჯე არა ყოფილიყო, ვერც თავის დროისათვის შესაფერ პურს გამოიყვანდა.

დღევანდელი პირობებისათვის ახალთვისებიანი ჯიში გვჭირდება — მაღალმოსავლიანი და ხვავიანი — მის თავთავში მარცვალი ლაღად უნდა იჯდეს, რომ კომბაინმა კარგად გამოლეწოს. ღერო მაგარი და მსხვილი უნდა ჰქონდეს, რათა მინერალური სასუქით მიწის გაპატიების დროს, ღერო რომ შემაღლდება, არ ჩაწვეს (ახლა ბზესაც უკვე ძველი მნიშვნელობა არა აქვს). სამაგიეროდ, როგორც ძველად გამოჰყავდათ შესაფერი ჯიშები, ახლაც ახლანდელმა ჩვენმა გუთნისდედამ, სამეცნიერო დაწესებულებამ, საფუძვლად უნდა გამოიყენოს ძველი დოლი და სხვა ჩვენი ჯიში, განავითაროს მისი ძვირფასი თვისებები, ახალი შემატოს და მოგვცეს მაღალმოსავლიანი, თანამედროვე ეპოქისათვის შესაფერი პურის ჯიშები. სხვა არა იყოს რა, სხვაგვარად ძნელი იქნება, რომ წველადობა 1.040 კილოგრამიდან 2.500 კილოგრამამდე ავიყვანოთ, ან ყოველ 100 ჰექტარზე 60 ცენტნერი ხორცი მივიღოთ. რაც უნდა კარგი ბაღი და ვენახი, ჩაისა და ციტრუსოვანი პლანტაცია გვქონდეს, ძროხის და ცხვრის გვერდით ხვნა-თესვაც მაღალ საფეხურზე უნდა გვქონდეს დაყენებული.

„მჭადი ჭამამდის, ფაფა კარამდის და პური მთის გადასვლამდეო“ (მჭადი ფეტვს ეწოდებოდა), უთქვამს ჩვენს ხალხს და კარგადაც უთქვამს. ჩვენს მიწა-წყალზე უნდა მზეკაბანობდეს კარგი დოლის პურის, დიკის, თავთუხის, შავფხის ხოდაბუნები, ბიბინებდეს ტარომსხვილი სიმინდის მინდვრები, თავდახრილი ღომი და ფეტვი.

ქართველი მხვნელ-მთესველი, ჩვენი გუთნისდედა და მეზვრე კარგი დოვლათითა და ბარაქით მოვიდნენ და ეს ბარაქა და დოვლათი უნდა ვამრავლოთ. ახალი ცხოვრება ახალს მოითხოვს და ჩვენც შთამომავალთა წინაშე ისევე პირნათლად უნდა წარვსდგეთ, როგორი პირნათელიცაა ჩვენს წინაშე ჩვენი მამა-პაპა.

1950 წ.

საქართველოს ზვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთ საქართველოში მოგზაურობის დროს ერთ „დიდ ხნის წინათ მიტოვებულ სასაფლაოს წავაწყდი. ამ სასაფლაოს ქვა-ძეგლებზე ამ სოფლის მცხოვრებთა საქმიანობა თვალწინ დამიდგა. აი ვაჟკაცი ფარხმალიანი, მის ფერხთ ცხვარია გამოკვეთილი, გვერდით კომბალი, დუქარდი... მეცხვარე ყოფილა. მეორე ქვაზე რვაუღლიანი გუთანია, მესამეზე ხითხუროს იარაღი, მეოთხეზე კირითხუროს ჩაქუჩი, ქაფჩა და საჭრეთელი. მივდევ საფლავის ქვის რიგებს სხვადასხვა პროფესიის ხალხია მათ ქვეშ დამარხული, სხვადასხვა იარაღია ამოკვეთილი, მაგრამ თითქმის ყველა ქვაზე ორი სხვა ნიშანი ერთნაირია: ფარხმალი, ჭინჭილა და კულა.

ეს საქართველოს თრიალეთის კალთებზე ვნახე, სადაც ყურძენი სიცივეს ვერ უძლებდა, ვენახები არ იყო, მაგრამ ჩვენი შესანიშნავი ისტორიკოსის ვახუშტის თქმით „თრიალეთი... მოსავლით ვითა ტაშირი... ვენახი, ხილნი და მტილოვანნი არარაი აქა, და მთის ხილნიო მრავალნი. ტკბილს მოიტანენ ბარიდამ, ჩხასხმენ აქა, და დადგების ღვინო კეთილი და გემოიანი“, ასეთი ცნობა მთიან მხარისათვის ვახუშტის რამდენიმეჯერ აქვს მოტანილი.

მიუხედავად-მთის ბუნების სიმკაცრისა, აქაურნი ცდილობდნენ, თუ ამის ოდნავი შესაძლებლობა მაინც იყო, ვენახი მაინც ჰქონოდათ, თუნდაც მცირე, მდინარის ღრმა ხევებში, სადაც ადგილი სუსხიანი ქარებისაგან დაცული იყო.

ასეთი ვენახები ჯავახელებს გაშენებული ჰქონდათ მტკვრის ხრამის ძირობაზე, სადაც ჩვენ გამრჯე გლეხკაცს კლდეში ოროკო გამოეჭრა, მოეტანა მიწა, დაეყარა, შეექმნა ნიადაგი და ეხარებინა ვაზი. ასეთი ვენახები აფნიასა, გოგაშენს და სხვათა დღესაც აქვს ვარძიის სანახებში, მთიელების ამგვარი ვენახები ამჟამადაც იძლევიან ღვინოს ქციის, ალგეთის, ფოლადაურის, მაშავერას და სამხრეთ საქართველოს სხვა მდინარეთა ხრამის ძირებში, უმთავრესად ხელოვნურ ოროკოებზე. დიდი შრომა უნდა დაეხარჯა ადამიანს, რომ ოროკო გამოეჭრა, მიწა მოეტანა და ზედ ვაზი ეხარებინა და ახარებდა კიდეც, რადგან ვაზში ხედავდა სიმბოლოს სიცოცხლისას, ვაზისგან

აყენებდა ზედაშეს, რომლითაც სიცოცხლის ხანგრძლივობას უსურვებდა თავის ქვეყანას, თავის ერს, თავის შინაურს, ...ზობელს, სტუმარს სამეგობროდ მოსულს, ეს რომ ასე... ფილიყო თავის ტაძრებზე იგი არ ამოკვეთდა მსხმოიარე ვაზს, ტაძარი ხომ ღვთის სახლი იყო. წინათ ქართველი კაცი ღვთის სახელზე ხატების გვერდით, მხოლოდ ფრიად საყვარელ მცენარეს თუ გამოაქანდაკებდა.

კიდევ თავისებური ქვა. ძეგლად ცხენია გამოკვეთილი, მასზე შუაში თვით მხედარია, გვერდით თოფი, ხმალი, ხანჯალი. მარჯვნივ კომბალი და დუქარდი (ძირითადი საქმიანობის იარაღები), მარცხნივ ჭინჭილა, კულა, ყანწი.

ყოველივე ეს იმის დამადასტურებელია, რომ ვაზი და მისი პროდუქტი ჩვენი ყოფის განუყრელი იყო, მას სათრობელად არავინ ხმარობდა. ჩვენი ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე ოთხმოცდაათიან წლებში ერთ წერილში წერდა: ქართველების ჯარი თუ სახლის გარეშე დიდხანს სძლებდა ეს იმიტომ, რომ მას თანა ჰქონდა ჩურჩხელა, ტკბილის კვერი, ხმიადი და სულგუნიო.

ცნობილია რომ რუსთა მეფის ელჩები საქართველოში რამდენჯერმე იყვნენ. მათ ნანახი ჰქონდათ საქართველო შაჰ-აბაზის აოხრებათა შემდეგ, როდესაც მტერმა გადაკაფა ვენახი, გაჩეხა თუთა და კაკალი, გაატიალა ქვეყანა და ნასოფლარებზე მხოლოდ უპატრონო ძაღლთა ყმუილიღა ისმოდა.

ამის შემდეგ ზოგმა ელჩმა საქართველო რამდენიმე წლის შემდეგ მოინახულა და გაოცებული დარჩა. ქვეყანას ველარ იცნობდიო: ბაღი და ვენახი კვლავ ყვაოდა, სახლებიდან ბოლი ამოდიოდა, მინდორში ჰოპუნა გუგუნებდა, „უცნაური ქვეყანაა საქართველო, იგი სწრაფად იწყებს აღდგენასო". ვენახი ერთ-ერთი საფუძველი რომ იყო ჩვენი ეკონომიკისა, ამაზე შარდენიც, ფრანგი მოგზაური, ამბობს: „... არც იმისთანა ქვეყანა მოიპოვება, სადაც იმდენსა და ისეთ კარგ ღვინოს სვამენ, (რამდენსაც საქართველოში). ტფილისიდან ბლომად მიაქვთ ღვინო სომხეთში, მიდიაში და ისპაჰანში"...

ხუმრობა საქმე არ არის, რომ საქართველოს განმანათლებელს ნინოს, რომელმაც ჯავახეთის უვენახო ქვეყანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადმოიარა, ხალხის წარმოდგენამ ვაზის ჯვარი მისცა, ძველი საქართველოს მსოფლმხედველობის მიხედვით ეს იყო ამ მცენარისთვის უმაღლესი რანგის მინიჭება.

ამიტომ იყო, რომ ვენახის მოვლა, ღვინის დაყენება ჩვენმა ხალხმა შესანიშნავად იცოდა. ვენახის მოვლაში პირველ რიგში ითქმოდა მიწის არჩევა. ვენახს ყველა მიწაზე კი არ გააშენებდნენ, არამედ ვენახისათვის შერჩეულ სავენახეზე, მიწა კი ჩვენში დახარისხებული იყო სოფლის მეურნეობის დარგების მიხედვით: იყო მიწის ნაკვეთები: სავენახე, საბაღე, საბოსტნე, სახნავ-სათესი, საიონჯე და სხვა (ესეც ჩვენი მიწათმოქმედების მაღალი კულტურის მაჩვენებელია). ვენახს აშენებდნენ მზვარე (მზიან) ფერდობზე, რადგან ვენახი კარგ ღვინოს სწორედ ასეთ ადგილებში იძლეოდა. ჩრდილის ფერდოზე ვენახს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში თუ გააშენებდნენ, მაგრამ ღვინო ასეთი ადგილის ვენახიდან არა ფასობდა. კარგი ღვინო დგებოდა სწორედ მთის წინაკალთებიდან და აი, მართლაც თვალი გადავავლოთ ჩვენი ცნობილი ღვინოების გეოგრაფიას, ყველა მთის კალთების, მზვარე ადგილების ვენახის პროდუქტია (ხვანჭკარა, ტვიშური, ორბელის ოჯალეში, სვირული, ატენური, მანავის მწვანე, ანაგა, კარდანახი, წინანდალი და სხვა).

თუ გვინდა ჩვენს ღვინოს ძველი სიხალისე, სიცქრიალე, კრიალობა, არომატი და გემო შევუნარჩუნოთ, საღვინე ვენახები კვლავ ასეთ ადგილებში უნდა გავაშენოთ. სამარკო ღვინოები ასეთი ადგილების ვენახის ყურძნიდან უნდა დავაყენოთ. ვაკე ადგილის ღვინო საქართველოსათვის დამახასიათებელ ღვინოს ვერ მოგვცემს. მისგან სხვა პროდუქტი დამზადდება (კონიაკის სპირტი, ყურძნის წვენი, შემაჭრებული ღვინო). მთის ფერდო რომ უფრო მეტი ზვრებით დავფაროთ, ამისათვის გარდა მეზვრისა უნდა იზრუნოს ჩვენმა სოფლის მექანიზატორმა, სოფლის მეურნეობის მანქანა-იარაღების კონსტრუქტორმა. პირველ რიგში უნდა დავაჩქაროთ კარგა ხნის წინათ დაწყებული საქმის დაგვირგვინება: მთის ტრაქტორის გაკეთება, მისი მისაბმელი იარაღების შექმნა.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც ჩვენი მეზვრე დიდ ყურადღებას აქცევდა, ეს იყო ვენახის ჯიშური შემადგენ-

ლობა. საქართველო, როგორც ცნობილია, მრავალფეროვანი ქვეყანაა, ყოველი ცალკეული მხარე ცალკეული ხეობაც თავისებურია: ჰავით, ნიადაგით, მცენარეული საფარით და სხვა. რიონის ხეობა განსხვავდება ცხენის წყლის ხეობისაგან, ხანის-წყლისა — სულორის ხეობისაგან, ატენისა — თეძამის ხეობისაგან, ლიახვისა — არაგვის ხეობისაგან, ივრისა — ალაზნისაგან და სხვა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ თითოეული დიდი მდინარის შენაკადების ხეობებიც მკვეთრად განსხვავდება ურთიერთისაგან. ალაზნის შენაკადების დურუჯის, ლოპოტის, სტორის, ილტოს, თურდოს, ჭერმის და სხვათა ხეობებისა და მათი გამოტანის კონუსების ღვინოები თავის გემოთი, სურნელებით, შემადგენლობით უნიკალური არიან, თავისთავადნი, ერთმანეთს არ წააგავან, ასეთია ის ღვინოები, რომელთაც ეწოდება „ქინძმარაული“, „ენისელი“, „ნაფარეული“, „ახმეტა“, „წინანდალი“, „გურჯაანი“, „ტიბაანი“ და სხვა.

ამ ბუნებრივ პირობებს ანგარიშს უწევდა ჩვენი ხალხი, ყოველი თავისებური მხარისათვის გამოჰყავდათ ვაზის შესაფერისი ჯიში და შედეგად საქართველოს მეზვრემ დღევანდლამდე შექმნა 500 ჯიშამდე ადგილობრივი კულტურული ჯიში, რომელთა შორის არის ისეთი კლასიკური, მაღალხარისხოვანი ჯიშები, როგორიც არის: რქაწითელი, საფერავი, მწვანე, გორულა, ჩინური, ციცქა, ცოლიკაური, ალექსანდროული, ოჯალეში, ჩხავერი და სხვა მრავალი, რომელთაც მსოფლიო ასორტიმენტში თავისებური ღვინის დასაყენებლად ბადალი არა აქვს. ყველა ჯიშები დაყენების მიხედვით სხვადასხვა ტიპის ღვინოს იძლევა, ზოგი მაჭარსა და ძველ ღვინოს, ზოგი ცქრიალას, კრიალას, შუშხუნას და სხვა.

მთელს საბჭოთა კავშირში 1 200 ჯიშამდე ითვლება, აქედან საქართველოში 500 ჯიშზე მეტია 40—45%, მსოფლიოს ჯიშებთან შედარებით 2,5%. ჩვენში 5,5 ჯერ მეტია ვიდრე სომხეთში, 3-ჯერ მეტი ვიდრე აზერბაიჯანში, 2,5-ჯერ მეტი ვიდრე შუა აზიაში.

ჩვენს ჯიშებში საჭმელი ჯიშები ცალკე არაა გამოყვანილი, სამაგიეროდ ერთ ჯიშშია შეერთებული, რამდენიმე ისეთი თვისება, რაც სხვა ქვეყნის ჯიშებში დანაწილებულია რამდენიმე ჯიშში. ამის საუკეთესო მაგალითია ისეთი კლასიკური ვა-

ზი, როგორიცაა რქაწითელი. ამ ჯიშისაგან ამზადებენ: ლეხურს, იმერულს, ევროპულ სუფრის ღვინოებს, შემაგრებულ ღვინოებს, შამპანური ტიპის ღვინოს, საკონიაკე მასალას, არომატულ ტკბილ ყურძნის წვენს; ბადაგს საზამთროდ, ჩამიჩს, რქაწითელის ყურძენი საუკეთესო სუფრის ყურძენია. იშვიათად მოიპოვება ასორტიმენტში ისეთი ჯიში, რომელშიც ამდენი, ურთიერთისაგან განსხვავებული თვისება იყოს თავმოყრილი. აქაც ქართული ხალხის შემოქმედებითი მუშაობის ერთ-ერთი გენიაა გამომჟღავნებული და საერთოდ, ხუთასი ჯიშის გამოყვანა ეს პატარა საქმე როდია. მოგეხსენებათ რა ზარზეიმით აღინიშნება ხოლმე ერთი რომელიმე ჯიშის გამოყვანა თანამედროვე მეცნიერთა მიერ და ჩვენ კი გვაქვს დღემდე შემორჩენილი 500-ზე მეტი ჯიში (მათი კოლექცია არსებობს თელავში, ვაზისუბანში, თბილისში, საქარაში — მევენახეობის, მეხილეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის ვენახებშია, მაგრამ ამ დიდ საუნჯეს, დიდ განძს, საფრთხე მოელის. საქმე იმაშია, რომ რაიონების მიხედვით დარაიონებულია 5—6 ჯიში, საბჭოთა მეურნეობა და კოლმეურნეობა ამ ხუთიოდე ჯიშს ავრცელებს, მით უმეტეს კოლმეურნენიც მრავალი ჯიშის გავრცელებას აღარ მისდევენ და არის საშიშროება, რომ მრავალ საუკუნეთა მანძილზე შექმნილი და დღემდე მოტანილი ჯიშები დაგვეკარგება. საჭიროა: ყოველ საბჭოთა მეურნეობაში და კოლმეურნეობის ვენახში გაშენდეს რაიონისათვის დამახასიათებელი თითოეული ძველი ჯიში არა ნაკლებ 200—300 ძირისა.

ეს ღონისძიება საშუალებას მოგვცემს შევინარჩუნოთ დიდი სიმდიდრე. ყოველი ეპოქა, ყოველი დრო, თავისებურ მოთხოვნილებას უყენებს ჯიშს, შეიძლება დღეს გავრცელებულ ციცქისა და ალიგოტეს ღვინოზე მეტად ხვალ ძელშავისა და ბუდეშურის ღვინო მოეწონათ.

ჩვენ გვაქვს საშუალება ჩვენი ისედაც მდიდარი ასორტიმენტი გავამდიდროთ ახალი უნიკალური ღვინოებით. იგივე კახეთი, ხომ იძლევა მრავალ შესანიშნავ თავისებურ ღვინოს, კიდევ მეტის მოცემა შეუძლიან, ყოველი ხევის გამოტანის კონუსი თავისებური მინერალური შემადგენლობისაა. მაშასადამე თავისებურია ნიადაგიც, თავისებური იქნება აგრეთვე იმ

ვაზის პროდუქტი, რომელიც აქ მოდის. ქართლში ვამზადებთ საგარეო ღვინოს ატენურსა და მუჯრანულს, ამავე დროს აქ არის მიკრორაიონები (ყასპი, მეჯვრისხევი, ფლავანი, ცხინვალი და სხვა), რომელნიც ფრიად თავისებურ ღვინოს იძლევა და საჭიროა ამასაც სათანადო ყურადღება მიექცეს. ასევე იმერეთში, გურიასა და აჭარაში, აფხაზეთსა და სამეგრელოში. კახეთის მეღვინეობის რაიონში 30 მიკრორაიონია, ქართლში 20—30, იმერეთში 20—25, რაჭა-ლეჩხუმში 5—8, აფხაზეთში 8, სამეგრელოში 3—5, გურიაში 5, აჭარაში 3 და სხვა.

ორდინარული ღვინოების წარმოებით ჩვენ ვერ დავედრებით მოლდავეთს, სამხრეთ უკრაინას და სხვას, მაგრამ მრავალნაირი უნიკალური, თავისებური ძვირფასი ღვინოების წარმოებაში ჩვენ ვერავინ დაგვედრება, საფრანგეთიც კი, თუ ამავე დროს დავიცავთ წარმოების ტექნოლოგიაში სიფაქიზეს, აბსოლუტურ სისუფთავეს. გაგეგონებათ, რთვლის წინ როგორ რეცხდა ქართველი კაცი ქვევრს, ერთი პატარა ქვევრი მთელი დღე ირეცხებოდა, 5—8-ჯერ ევლებოდა და ეცვლებოდა ნარეცხი წყალი, ასე სუფთავდებოდა საწნახელი და სხვა ინვენტარი. უმწიფარს, ისვრიმს, შელახულ მტევანს, საწნახელში არ ჩაუშვებდნენ, ღვინოს წუნს გაატანსო. უსრულო და ზადიანი მტევანი ცალკე იწურებოდა, მას სხვა გამოყენება ჰქონდა (ძმარი და სხვა).

ერთი კიდევ, საქართველოში, ჩვენს დედაქალაქში ღვინის გამოყენება-მოხმარების საკითხი.

დღეს ევროპის ბევრ ქალაქში არსებობს ღვინის თავისებური სარდაფები, სადაც მხოლოდ რომელიმე რაიონისათვის დამახასიათებელი ღვინო იყიდება და სადაც შეიძლება ფეხზე მდგომელმა, დახლთან, შეიძინოს ერთი ჭიქა და იქვე დალიოს, გემო ჩაატანოს. რატომ არ შეიძლება თბილისში გვქონდეს ფარდული, სარდაფი, სათანადო რაიონებისათვის დამახასიათებელი სტილით გაფორმებული, იყიდებოდეს ერთი, რომელიმე მარკის ღვინო, მაგალითად სვირული, ან ხვანჭკარა, ოჯალეში ან ჩხავერი, ატენური ან მუჯრანული, ქინძმარაული ან ენისლური, ანაგური ან კარდანახული და სხვა. შეივლი, ერთ ჭიქას დალევ, დააჭაშნიკებ, დააყოლებ ერთ-ორ

თხილს ან ნიგოზს და განაგრძობ გზას. საერთოდ კი, ლვინის მოხმარების კულტურა ჩვენში ზოგან და ზოგან შეირყვნა და მას ყურადღების მიქცევა სჭირია.

ჩვენი ვაზი მრავალ საუკუნეთა მანძილზე ემსახურა ჭაბ-თველ კაცს, კიდევ მრავალ საუკუნეთა მანძილზე იქნება მისი მადლი ჩვენს ქვეყანაში, ამიტომ მას დღესაც ისეთივე სიყვარული სჭირია, როგორც უყვარდათ იგი წარსულში. ვაზი, მევენახეობა ჩვენი სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგია.

1950 წ.

ჩვენი ვაზის დედანი

ხშირად მომაგონდება ხოლმე ერთი პატარა, თითქმის უმნიშვნელო ამბავი, რომელიც უმაღლესი სასწავლებლის ერთმა მუშაკმა მიამბო. იგი ჩემთვის ბევრის მთქმელია, იქნებ სხვისთვისაც ასე იყოს.

— საღამო ხანი იყო, — დაიწყო მან, — აგვისტოს ცხელი დღე მიიწურა, უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები მიმდინარეობდა და მე, დაღლილი, ეზოში დავდიოდი. ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა შუახნის გლეხკაცმა, რომელიც თითქოს გარს უვლიდა შენობას, რაღაც ეძებდა და გზა ვერ გაეკვლია.

როდესაც დავუპირისპირდი, მივესალმე და შევეკითხე:

— რად გარჯილხარ, აქ რას დადიხარ?!

— აბა აქ რიყის ქვის შესაგროვებლად ხომ არ მოვიდოდი, მიჭირს და მოვედი.

— მაინც რა?

— აბა, ძმაო, სხვა სხვის ომში ბრძენიაო, შენ ალბათ შენი ჯავრი გაქვს...

— მაინც, რაზე შეწუხებულხარ? ხომ იცი ჩვენს ძველებს უთქვამთ: — დიდი ლხინია ჭირთა თქმაო.

— შვილი მყავს, გამოცდას იჭერს და მე მინდა უფროსი ვნახო, ვუთხრა ჩემი ბიჭის ავიცა და კარგიცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგას რა თქმა უნდა, თუ კარგია, თვითონ ვერ [illegible] შეარჩევენ...

— რა ვიცი... იქნებ ისე ვერ შეარჩიონ.

— ხომ გეუბნები, კარგს შეარჩევენ...

— შენ ვენახი გქონია?

— მერე?

— გაგისხლავს?

— ეგეც მისინჯია.

— თუ ეგეც გისინჯია, ისიც გეცოდინება, რომ მეზვრე ყველა რქას როდი ტოვებს დედანზე. ზოგი რქა გაპატრიარქებულია, შეხედავ, იმას არა სჯობია რა, ზოგი თითქო დაჩაგრულია. კარგი მეზვრე მოკიდებს ხელს გაპატრიარქებულ რქას, გააქნევს თავს, ამოუსვამს სასხლებას და მოკვეთავს. ზოგს, პატარას, სიყვარულით გადუსვამს ხელს, ზედმეტს შეაცლის და დატოვებს ან სამამულედ, ანდა სამოსავლოდ და არც ტყუვდება... ჰო, და, მასწავლებელიც მეზვრეა. ბევრში კარგი უნდა დაინახოს, თუნდაც არა ჩანდეს...

ამ პატარა დიალოგში ნათლად ჩანს ქართველი ხალხის სიყვარული ვაზისადმი — ესმის მისი და გრძნობს მას. „ძლიერ“ ტოტს მოჭრის, „სუსტს“ დატოვებს, მაგრამ ინტუიციით იცის, რომ ეს „სუსტი“ უფრო ძლიერია, უკეთესია.

ეს ინტუიცია, ეს თავისებური ინსტინქტი შესაძლებელია გამომუშავებულიყო საუკუნეთა მანძილზე. ამ დიდ მანძილზე დამუშავდა ვაზის დიფერენცირებული აგროტექნიკა, ყოველი ცალკეული ძირი თავისებურ მიდგომას მოითხოვს: რამდენი რქა დავუტოვოთ, რომელი იყოს სამამულე ამათში, რამდენი კვირტი იყოს რქაზე და სხვა.

ქართველი ბავშვები ვნახე ერთხელ ზვარში, მათ ჯერ არც თოხი აეღოთ ხელში და არც ბარი, არც მაკრატელი და არც სასხლება. მეზვრემ აჩვენა გასხვლის წესები, თითო-ოროლა ძირი გაასხვლევინა... „აბა, ახლა თქვენ იცითო“... და შორი-ახლო მისდევდა, თვალებში ნაპერწკლები უბრწყინავდა, სახე უღიმოდა.

— კაცო, გეგონებათ თავის დღენი ზვარში ყოფილან და

იქ უმუშავიათო... არა, არ გახმება ვაზის ძირი საქართველოში!

თქვა იმედიანად და მართლაც რა გაახმობს: ვაზი, ხომ ... ქართველოს სოფლის მეურნეობის და მისი ეკონომიკის ... ერთი ძირითადი საყრდენი იყო და არის დღესაც.

ჩვენი ხალხი უმღეროდა ვაზს, აქებდა მას, არც ერთი სხვა მცენარის შესახებ არ არის იმდენი ლექსი, ანდაზა, გამოცანა, ხატოვანი თქმა, რამდენიც ვაზის შესახებ.

ამას წინათ, კავთისხევის მიდამოებში გავიგონე კიდევ ერთი ვარიანტი სიძე-სიდედრის შეკამათებისა:

სიდედრო შავგვრემანობით
რად დაიწუნე სიძეა?
მიდგმა და მოდგმა იკითხე,
მისი ვენახის სიგრძეა.

თვითონ ეს ლექსი და ამ ლექსის მრავალი ვარიანტი, რომლებიც არსებობს, ლაპარაკობს იმაზეც, თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ ეკონომიურ სიძლიერეს და ამ ეკონომიკაში რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვენახს. გარდა იმისა, რომ ვენახი, ვაზი და მისი პროდუქტი სახალხო დოვლათი იყო, ღვინო ქართველი კაცისათვის ყოველდღიური საკვები პროდუქტიც იყო, მისი ცხოვრების დამამშვენებელი, გამხალისებელი.

კაცსა სტუმარი ეწვიოს,
სტუმარი არ ნახულისა,
დააპოს ურმისა მორგვი.
ზაფხულის შენახულისა,
დასწვას ფიწალი, ორთითი,
ცეცხლი დაანთოს გულისა,
ოთხკუთხივ ბოლი ავიდეს,
დასვას და ანადიმოსა,
ატლასის კაბა ჩააცვას,
და ცხენსაც შესვას პილოსა,
ყველა ტყუილად ჩაუვლის
თუკი არ ასმევს ღვინოსა.
(დიღომი)

ღვინოს ხმარობდნენ პურთან ერთად (ბოღლიწო) და სხვა. სწორედ ამიტომ იყო, რომ საუკუნეთა მანძილზე ჩვენი ხალხი ელოლიავებოდა მას და „შვილივით უვლიდა“, „შვილი-

ვით მოვლა“ კი ეს იყო, პირველ რიგში, დიდი სიყვარულით, მთელი სულითა და გულით, მთელი ცოდნის გამოყენებით მოვლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ამ სიყვარულისა და ცოდნის შედეგად ჩვენ-მიგვაგია მოყვანილია 500-ზე მეტი ჯიშის ვაზი. არც ერთ ქვეყანაში, არც ერთ ერს, ამდენი ჯიშით არ გაუმდიდრებია კაცობრიობის სოფლის მეურნეობა (აზერბაიჯანში 200-მდე ჯიშია, სომხეთში — 90-მდე, შუა აზიაში — 200-მდე, მოლდავეთში — 30, ყირიმში, ისიც უმრავლესობა სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი, 50-მდე). კულტურული ვაზის წარმოშობის ცენტრი რამდენიმეა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრია ჩვენი მხარე.

ჩვენი ჯიშები უმთავრესად წარმოშობილი, გამოყვანილი და აღზრდილია ადგილობრივ, საქართველოში. ჩვენს ჯიშებში ნასესხები თითქმის არ მოიძებნება, მაშინ, როდესაც აქედან ბევრია გასული უცხო მხარეში.

საქართველო რომ ერთ-ერთი ძირითადი კერა იყო კულტურული ვაზის წარმოშობისა, ამის დამადასტურებელი საბუთი მრავალი არსებობს. ჩვენში ბევრი მოიპოვება ნამდვილი ველური (და არა მარტო გაველურებული) ვაზი; ამავე დროს, ორი ურთიერთისაგან განსხვავებული ჯგუფისა; ერთი, ფოთოლშებუსვილი ჯიშები, აღმოსავლეთ საქართველოს ჭალის და ვაკის ტყეებშია გავრცელებული. ამ ველური ჯიშების ნიშანთვისებებს ატარებს აღმოსავლეთ საქართველოს კულტურული ჯიშები. დასავლეთ საქართველოს ჭალის, ვაკის და მთის წინა კალთების ტყეებში გავრცელებულია უმთავრესად შიშველფოთლიანი ველური ჯიშები. ამ თვისების მატარებელნი არიან დასავლეთ საქართველოს ვაზის ჯიშები, ეს კი იმას ადასტურებს, რომ შორეული წინაპრები ჩვენი ჯიშებისა აქაურებია.

ჩვენი ლექსიკა ასახავს იმასაც, რომ ტყიდან ვაზების გადმოტანა-მოშინაურება ჩვეულებრივი ამბავი იყო: ჩვენს ენახებში მოიპოვება ჯიშები „ტყიური“, „ტყის ვაზი“ და სხვა. მეორე დიდი საბუთი ჩვენი ჯიშების აბორიგენობისა ისაა, რომ ისინი სავსებით ასახავენ ჩვენს ბუნებრივ პირობებს, ხალხის ეკონომიკას. ჩვენი მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებისათვის გამოყვანილია შესაფერი ჯიშები.

საქმე მარტო გამოყვანა კი არ არის, საქმე შენარჩუნებაა და ამ ჯიშების გამოტარება 20—30 საუკუნის მანძილზე დაგზა მათი დახვეწა, მათში ძვირფასი თვისებების შენარჩუნებაა; და მართლაც, მაგალითად, კახური საფერავი — ეს ხომ ის ერთ-ერთი ფრიად იშვიათი ჯიშია მსოფლიოს ჯიშებიდან, რომლის წვენიც შეღებილია, მაშინ, როდესაც სხვა წითელი ჯიშების ყურძნის მხოლოდ კანია შეღებილი.

განა რომელიმე ჯიში შეედრება ქართლისათვის გორულას, მწვანეს, ჩინურს? იმერეთისათვის — კრახუნას, ციცქას; გურიისათვის — ჩხავერს, ალადასტურს; სამეგრელოსთვის — ოჯალეშს, ზერდაგს; რაჭა-ლეჩხუმისათვის — ალექსანდროულს, თეთრას და სხვას; ხუთასი ჯიში, სხვა არა იყოს რა, ხუთასი სიტყვაა, ხუთასი სახელწოდება, ერის დიდი საგანძურია, ასე უხვად გამდიდრებული მარტო ვაზის ჯიშების სახელწოდებებით.

ჩვენი ჯიშების აბორიგენობის დასადასტურებლად ისიც გამოდგება, რომ ძველი ხელნაწერები ამ ჯიშებს ხშირად იხსენიებენ, ძველ ჩუქურთმებში გამოქანდაკებულია ვაზის ესა თუ ის დღესაც არსებული ჯიში.

უცხოეთის ჯიშებში ჩვენი ჯიშები არ გვხვდება, თუ გვხვდება შენარჩუნებული აქვს ქართული სახელწოდება: „თავკვერი“, „საფერავი“, „რქაწითელი“ და სხვ.

ქსენოფონტეს (431 წელი ჩვენს ერამდე) და სტრაბონის (200 წელი ჩვენს ერამდე) ცნობებით მევენახეობა საქართველოში კარგად იყო განვითარებული და ღვინოს ქვევრებში აყენებდნენო, ქვევრებამდე მისვლას ხომ უნდოდა მრავალი საუკუნე. ჩვენი მეცნიერნი (კერძოდ, აკად. გ. წერეთელი) აღნიშნავენ, რომ ღვინის სახელწოდება მსოფლიო ერების ენებში ქართულიდან უნდა იყოს შესულიო.

ეს მრავალი ჯიში საფუძველი იყო მრავალფეროვანი ღვინოების დასაყენებლად. მჭახე, მაგარი ღვინოებისათვის გამოყენებული იყო რქაწითელი; ნაზი, მსუბუქ ღვინოებისათვის — ბუდეშური; მუქი-წითელი ღვინისთვის — საფერავი; წითელი ღვინისთვის — ოჯალეში; ლალისფერი ღვინისთვის — კაპის-

ტონი, შავკაპიტო, ჩხავერი; ტკბილი ღვინისთვის — ქისი, ალექსანდროული და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ერთია ცნობილი და აშკარა, რომ მარტო ეროვნული ... შისაგან ღვინოს (განსაკუთრებით თეთრს) არ აყენებდნენ. ღვინის დასაყენებლად ძალიან კარგად დამუშავებული კუპაჟის წესი არსებობდა; კუპაჟი ვენახიდანვე იწყებოდა, სადაც ძირითადი ვაზი ერთი იყო, მაგალითად, თეთრი ღვინოებისათვის კახეთში — რქაწითელი; მას ჩვეულებრივად, ვენახის 75—85 პროცენტი ჰქონდა დათმობილი, დანარჩენი 15—25 პროცენტი განაწილებული იყო სხვა ჯიშებს შორის, რომელნიც ღვინოს აძლევდნენ სინაზეს, სურნელებას (ღრუბელა, კახური მწვანე, ძაღლიარჭამა, ბუდეშური, ქისი, მცვივანი და სხვ.). ქართლში ძირითადი იყო ან გორული მწვანე, ან ჩინური, საკუპაჟოდ გამოყენებული იყო ბუდეშური, გორული, ღრუბელა, ხარისთვალა და სხვ. იმერეთის ღვინოებისათვის ძირითადი ციცქა და ცოლიკაური იყო, საკუპაჟოდ რგავდნენ: დონდღლაბს, თეთრ თითას, ღრუბელას და სხვ.

სამწუხაროა, რომ ვენახებში ეს წესი დაივიწყეს; ამის გამო ჩვენმა ღვინოებმა შეიძლება დაკარგოს ის თავისებური ჰარმონიულობა, რომელიც მათ ახასიათებდა და რომელმაც საკმაოდ შორს გაუთქვა სახელი. ჯერ ხომ ძველი მოგზაურნიც აღნიშნავდნენ, რომ ღვინო საქართველოდან საზღვარგარეთ გაჰქონდათ — მიდიაში, სპარსეთში (შარდენი). ამიტომ საჭიროა ამ საკითხს (ბუნებრივ, ვენახიდანვე დაწყებულ კუპაჟს) დიდი ყურადღება მიექცეს, შესწავლილ იქნას და კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს მიეცეს სათანადო რეკომენდაცია. სხვა არა იყოს რა, მარტო თითო-ოროლა ჯიშით ვენახის გაშენება იმას ნიშნავს, რომ საუკუნეების მანძილზე დაგროვილი დიდი დოვლათი, მრავალი ჯიში დავკარგოთ სამუდამოდ და მომავალ თაობათა მიმართ დანაშაული ჩავიდინოთ.

ერთ საკითხსაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ესაა — ჯიში და თანამედროვე პირობები. ჩვენი ჯიშები გამოყვანილია იმ დროს, როდესაც ხალხი ვაზის პროდუქტს სხვა მოთხოვნილებას უყენებდა. ამჟამად საჭიროა ვაზს შევუნარჩუნოთ ყველა ის დადებითი თვისებანი, რომელნიც

ჩვენ ჯიშებს აქვს და ამასთან, სათანადო სასელექციო მუშაობით შევძინოთ ახალი თვისებანი: გამძლეობა დაავადებათა წინააღმდეგ, ახალი, თანამედროვე ეტაპის შესაფერი ტეხნოლოგიური თვისებანი. ამ მხრივ ჩვენი ქვეყნის წინაშე ჩვენი თაობა ჯერ კიდევ დიდ ვალშია.

გარდა იმისა, რომ ღვინის ტიპზე მოქმედებდა და მოქმედებს ჯიში, დიდი ზეგავლენის მომხდენია გარემო პირობები და აგროტექნიკა, მოვლა-მოშენების წესი. აი, თუნდაც, რქაწითელი: გურჯაანსა და ენისელის რქაწითელისაგან დაყენებული ღვინო ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. თუ გურჯაანული მჭახე და ვაქკაცურია, ენისლური — ნაზია და მოალერსე. საფერავისაგან კარდანახში დაყენებული ღვინო შავია, სქელი, სამაგიეროდ ნაფარეულის ღვინო მუქი-ლალისფერია, ნაზი და სურნელოვანი.

დიდი ყურადღება ექცეოდა ღვინის სიმაგრესაც, რაც კარგად ჩანს ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში.

ღვინო კი მათრობელი სჯობს,
ძაღლი თეოზე მყეფარი.

ამბობს ერთი ლექსი და მას ეხმაურება მეორე:

ველისციხის ღვინოები
შავი არის და სქელია,
იმით დამთვრალი კაცები,
ტკბილსა ხმაზედა მღერიან.

მოვლის სათანადო წესის მიხედვით აყენებდნენ თავისებურ ღვინოს, რაც ბუნებრივ პირობებთან იყო შეგუებული. ჩვენში ძირითადი ვენახები მთის წინაკალთებზე, ფერდობებზე იყო გაშენებული. კახეთში საუკეთესო ღვინო დგებოდა. ზღვის დონიდან 400 მეტრის სიმაღლიდან 800 მეტრამდე, მის ზევით დგებოდა მომჟაო, თხელი ღვინო, 400 მეტრის ქვევით, ვაკეზე დგებოდა ზოგან თხელი, შესაფერ არომატს მოკლებული, ან უხეში, ბლანტე ღვინო. ასეთივე სურათი გვაქვს დასავლეთ საქართველოში, სადაც კარგი და თავისებური ღვინოები მთების წინა კალთებზე, გორაკებიან მხარეში დგება (სვირი, ხვანჭკარა, ორბელი, სალხინო და სხვა), ასევე ქართლში (ოძისი, ქსოვრისი, დამპალო, მეჯვრისხევი, ატენი და სხვა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს, როდესაც ჩვენი მევენახეობა აღმავლობის გზაზეა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს — ამ მეურნეობის ნავ ძველ გამოცდილებას. ძირითადად ვენახები მთის ფერდობებზე უნდა გავაშენოთ, გამოვიყენოთ მზვარე ადგილები.

ჩვენი ვენახები, მაგალითად შიგნით კახეთში და გარე კახეთში, გაშენებულია მთის კალთებზე, უმთავრესად მდინარის მიერ გამოტანილ კონუსებზე, ყოველი ამ კონუსის ნიადაგი, როგორც ჩანს, თავისებური შემადგენლობისაა — ღვინო ყველა ამ მიკრორაიონიდან თავისებური გამოდის. მარტო კახურ ღვინოებში ადგილმდებარეობის მიხედვით შეიძლება გამოიყოს შემდეგი ღვინოები: ტიბაანური, ხირსული, ბოდბისხეური, ანაგური, წარაფები; კარდანახული, გურჯაანული, მუკუზნური, წინანდლური, ვარდისუბნური, იყალთოური, ახმეტური, ფშაური, ენისლური, ქინძმარაული, ყვარლური და სხვა მრავალი, ეს სხვაობანი შესაძლებელია მიღებულ იქნას ერთი ჯიშისაგან. ის უკვე სხვაა, რომ სხვადასხვა ვაზის ჯიშები, სხვადასხვა რაიონში, სხვადასხვა ტიპის ღვინოს მოგვცემენ. ასეა საქართველოს სხვა კუთხეებშიაც.

საჭიროა თუ არა ღვინოების ასეთი მრავალფეროვნება? საჭიროა. საქართველოსთანა ნაზი, სურნელოვანი და ნაირნაირი სასუფრე ღვინო (მშრალ ღვინოს, რომ ეძახიან) საბჭოთა კავშირის არცერთ კუთხეში არ მოდის. საბჭოთა კავშირის სამხრეთ რაიონებში — მოლდავეთში, უკრაინაში, კრასნოდარის ოლქში, დონზე, ვოლგაზე, ჩრდილო კავკასიაში შენდება და გაშენდება მრავალი ასიათასი ჰექტარი ვენახი, რომელიც მოგვცემს ფართო მოხმარების ღვინოს (ორდინალურ ღვინოს, რომ უწოდებენ), საქართველოში კი უნდა შევინარჩუნოთ ძვირფასი, უნიკალური ჯიშის ღვინოები, რისთვისაც ვენახები უნდა გავაშენოთ მთების წინა კალთებზე. ვაკე ადგილებზე ამ ბოლო დროს ფართოდ აშენებენ ვენახებს. მექანიზაცია უფრო ადვილიაო; ეს მართალია, მაგრამ ამას არ უნდა შეეწიროს ძვირფასი და უნიკალური პროდუქცია. ფერდობზე მექანიზაცია უფრო ძნელია, მაგრამ ამისათვის საჭიროა ჩვენმა მექანიზატორებმა დაამუშაონ ახალი მანქანა-იარაღები, მთის ფერდო უნდა დაიძლიოს; გარდა ამისა, თვით ნიადაგის დამუშავება, ვენახის გაშენება გარდიგარდმო და სხვა — გააადვილებს მექანიზაციას.

თუ არ დაგვიშლია, დაბლობებზეც შეიძლება გამუნდეს ვენახი, მაგრამ მის ღვინოს არ უნდა ერქვას „ქართული ღვინო“, დაბლობების ვენახების მოსავალი ძირითადად გამოყენებული უნდა იქნეს სხვა პროდუქტების დასამზადებლად, ჯერ ერთი, ყურძენი შეიძლება გამოვიყენოთ საჭმელად, სასუფრედ. ასეთი პროდუქტიც ხომ დიდი რაოდენობით გვჭირდება, მეორე, ასეთი ვენახების ტკბილისაგან უნდა დამზადდეს საკონიაკე სპირტი, ყურძნის წვენი, ტკბილი კვერი, ჩურჩხელები და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაკვირველია, ერთ წერილში არ შეიძლება ყველა საკითხზე პასუხის გაცემა, მაგრამ ის ამბავი, რომ 13 სექტემბერს საქართველოში მუშაობა დაიწყო მეღვინეობის მსოფლიო მეათე კონგრესმა, შემთხვევითი არ არის; კონგრესმა მუშაობის ადგილად საბჭოთა კავშირი აირჩია, რადგან საბჭოთა კავშირში იწყება მეღვინეობის განვითარების ახალი, ინდუსტრიული ერა.

არც ისაა შემთხვევითი, რომ კონგრესი იკრიბება დიდი ტრადიციების მქონე ქვეყნის — საქართველოს დედაქალაქში, ქვეყანაში, სადაც საბჭოთა წყობილების მანძილზე, მისმა ხალხმა ძველი საუნჯე გაამდიდრა ახალი მეთოდებით, ახალი წესებით. ამ დიდი საგანძურიდან თანამედროვე მსოფლიომ შეიძლება ამოირჩიოს არა ერთი და ორი მარგალიტი, რომელიც დაამშვენებს იმ ქვეყანასაც კი, რომელსაც მევენახეობისა და მეღვინეობის დიდი ტრადიცია აქვს.

ქართველი ერის მონაპოვარი ამ დარგშიც ისეთივე ძვირფასია, როგორც ძვირფასია მისი კულტურის სხვა მონაპოვარი.

1966 წ.

მარად ყვაოდეს ჩვენი ბაღი და ვენახი

„ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე დაიბეჭდა ელიზბარ მაისურაძის წერილი „ვაშლი და ჭარხალი“. მართალია, ამ წერილის ავტორი სოფლის მეურნეობის სპეცია-

ლისტი არ არის, მაგრამ ამან სრულიადაც არ შეუშალა ხელი ჩვენი სოფლის მეურნეობის ზოგიერთი საჭირბოროტო საკითხი დაეყენებინა (თუმცა მის წერილში არის ისეთი სიგილები და გამოთქმები, რომლებიც ზოგიერთმა პოლემისტმა შესაძლოა იმისთვის გამოიყენოს, რომ მთავარი საკითხის გეზს ააცდინოს კაცი).

საკითხის ასე მწვავედ დაყენება ღირდა და საჭიროა, თუმცა თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობის მესვეურნი ცოტას როდი ფიქრობენ და მუშაობენ ამ საკითხებზე.

ბევრი რამაა გასარკვევი. ჯერ ერთი, თუ ბაზარზე კარგი ხილი არაა, ვისი ბრალია? რასაკვირველია, ყოველთვის მებაღე არ ტყუის; ხშირად კარგი ხილი ისეა გამოტანილი დახლზე, რომ გული არ მიგივა; ამიტომ საჭიროა ვიფიქროთ ხილის დამამზადებლებზეც და გამყიდველებზეც. ყველას არ შეუძლია ეს საქმე კარგად წარმართოს. ამასაც დიდი ცოდნა და გამოცდილება უნდა. თორემ ამჟამად ბაღი უფრო ნაკლები როდი გვაქვს, ვიდრე 20—30 წლის წინათ; მეტიცაა, და ახალი ბაღები ხომ შენდება და შენდება.

მართალია, ჩვენს ბაღში ბევრი იყო ისეთი მაღალხარისხოვანი ჯიში, რომელიც ამჟამად აღარ გვხვდება. მაგალითად, ვაშლებიდან: თეთრი კალვილი, წითელი კალვილი, ლაგოდეხის რენეტი; მსხლებიდან: პასკრასანი, ბერგამოტი, სენჟემენი და მრავალი და მრავალი სხვა. ესენი თან გადაჰყვნენ თავის დროზე ხილის მოვლის თავისებური სპეციფიკის უგულვებელყოფას.

საქმე ისაა, რომ ხილს მრავალი თავისებური სოკოვანი დაავადება აქვს, მრავალი მტერი ჰყავს, მათ უნდა ვებრძოლოთ ერთობლივად, თუ სოფელში ავადმყოფობა გაჩნდა, მთელი სოფლის ბაღებს და ხეებს უნდა ვუწამლოთ, არ შეიძლება დავტოვოთ უწამლური ბაღი და ხე. ბაღებში უმეტესად შეგვრჩა ის ჯიშები, რომლებიც შედარებით უკეთ უძლებს ავადმყოფობას და მავნებლებს, მაგრამ ხარისხით ჩამორჩება ზემოთ დასახელებულთ.

ბევრგან ბაღები ნაკლებ მსხმოიარობენო. ესეც მართალია, საქმე ისაა, რომ ყოველ ერთ ჰექტარ ბაღზე ორი ძირი

(სკა) ფუტკარი მაინც უნდა იდგეს. აბა მოვავლოთ თვალი ჩვენი მებაღეობის მხარეებს, სადაა ფუტკარი? იშვიათად შევამჩნევთ სადმე. ან ფუტკრის მოვლა არ იციან და იმიტომ არ ჰყავთ (ფუტკარმაც იცის ავადმყოფობა და მკურნალობა სჭირდება), ან არადა ხეების მკურნალობის დროს ავიწყდებათ, რომ ფუტკარიც მწერია. მავნე მწერთა წინააღმდეგ შხამებს რომ აპკურებენ ხეებს, იგი ფუტკარსაც ხოცავს. აქ საჭიროა საწამლავთა შესხურების დროს რამდენიმე დღით ფუტკარი დავამწყვდიოთ და ხელოვნურად ვკვებოთ. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბაღში ფუტკარი მოსავლის ზრდისათვის გვყავს და არა მარტო თაფლისათვის. ამ შემთხვევაში თაფლი დამატებითი ღალაა. გარდა ამისა, მავნებელთა წინააღმდეგ საბრძოლველად ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ბიოლოგიური მეთოდი, მწერებს მწერივე უნდა მივუსიოთ (არიან ასეთნიც, თუნდაც — პოეტების საყვარელი ჭია-მაია), რისთვისაც საჭიროა უფრო ფართოდ მოვაწყოთ ასეთ მწერთა მოსაშენებელი ფერმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვრილი ხილი სად წავიდაო. აქაც დაფიქრება გვჭირდება, თვალის გადავლება ისტორიისა. მართალია, ცოტაა ჭანჭური, დამასხი, ტყემალი, ალუბალი, ქლიავი და მისთანანი. საქმე ისაა, რომ ახალი ბაღების გაშენების დროს ამ ხილს აღარ აშენებენ, ძველი ხეები დაბერდა. ძველადაც, გარდა მესხეთისა, ჭანჭურისა და თუთის წმინდა ბაღები ფრიად იშვიათი იყო, მაგრამ „წვრილი ხილი“ კი ბევრი გვქონდა.

ქართველი ხალხის მიწათმოქმედურმა გენიამ სხვა შესანიშნავ ქმნილებებთან ერთად (500-მდე ვაზის ჯიში, 300-მდე ხილეულის ჯიში, თუშური ცხვარი და ცხენი, მეგრული ძროხა და თხა, ხევსურული ძროხა) მიწისზედა სივრცის გამოყენების, როგორც ბუნებრივი საწარმოო ძალის, თავისებური წესი დაამუშავა. წვრილი ხილი ბაღ-ვენახის ირგვლივ იყო შემოვლებული და ქარსაფარის დანიშნულებასაც ასრულებდა. ისეთი მაღალი ხეხილი, როგორიც იყო კალოს მსხალი, ჭანჭური, ბალი, ქაშა-ვაშლები, ტყემალი თვითონ ღობის მწკრივში იყო ჩარიგებული და ზედ იყო აშვებული ბაბილო-ვაზი. მათ შორის ირგვებოდა უფრო დაბალი ხეები: „ალუბალი, ღოღნოშო,

ზღმარტლი, თხილი. მათ ქვეშ და მათ შორის — ჯონჯოლი, ... სულ ბოლოს — ხუნწი, ხურტკმელი და სხვა ამგვარნ... ვხედავთ, რომ ხეთა დგომის ოთხი იარუსია, ხეები ისეა შერჩეული, რომ ერთმანეთს არ უშლიან, ქვევით ჩრდილის ამტანნი არიან, ზევით — მზისა, სინათლისა, ჰაერის ხუთი ფენაა გამოყენებული. ამავე დროს, მათი ტანით ღობეც გამაგრებულია, ქარსაფარიც იყო შექმნილი და „წვრილი ხილიც", სხვადასხვანაირი დიდი რაოდენობით შემოდიოდა და, გარდა ამისა, სპეციალურ მოვლასაც არ საჭიროებდა. ამჟამად ახალი ბაღ-ვენახების გაშენების დროს მას არ ითვალისწინებენ. თითო-ოროლა ასეთი ბაღ-ვენახი კიდევ გვხვდება არაგვის ხეობაში, მაშავერაზე, ჭალებზე, მაგრამ იქაც სულს ღაფავენ. მცირემამულიანობის დროს იარუსებიანი ბაღის გაშენება ფრიად და ფართოდ ხელსაყრელია. დიდი მემკვიდრეობის გონიერად გამოყენება ხომ თავდებია გამარჯვებისა.

ღობის პირის ხილნართან უნდა მოვიგონოთ სასარეც. გვერდით ვენახს და ბაღს წვრილი ხილი ჰქონდა ჩამოყოლებული, თავზე — სასარე, ბოლოზე კაკალი ედგა. ძველად ერთი კაკალი ერთი ძროხის ბადალი იყო. სასარეები იყო ცალკე გაშენებულიც, სასარედ გამოყოფილი იყო ჭალაში ნაკვეთი. ყველა მეურნეს ჰქონდა სასარე, დიდს დიდი, პატარას — პატარა. სასარეები ჩვენს სიგელ-გუჯრებში მერვე-მეცხრე საუკუნეებიდან იხსენება. ეს დიდი ღონისძიება იყო. ყოველი სარისათვის და ჭიგოსთვის ხომ არ ირბენდა ტყეში, აქვე ხელთ ჰქონდა. სასარეებში ხარობდა ტირიფი, ვერხვი, იფანი, თელა, მუხა. ყველა მათგანი სათანადო ხარისხის მასალას იძლეოდა. მასაც ისე უვლიდნენ, როგორც ბაღს. ეს სასარე-სამასალე ყოველ ბაღს და ვენახს დღესაც სჭირდება, ერთი-ორი აკაციის სასარე საქმეს ვერ უშველის. მართალია, ვენახში ჭიგო რკინა-ბეტონის ბოძმა შეცვალა, მაგრამ სასარე არც ვენახში კარგავს მნიშვნელობას.

საქართველო მთიანი ქვეყანაა, სამოცდათხუთმეტი პროცენტი მისი ტერიტორიისა მთას უჭირავს. თუ მთა ტყით არაა დაფარული, იგივე მთა ქვეყნის უბედურებად გადაიქცევა. ღვარცოფებით დაიფარება მთელი მხარე. წყალდიდობების, გზების ჩახერგვისა და მიწების ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ ტყის

მეურნეობაში ყველაფერი რიგზე არ არის. ვჩეხავთ იმაზე მეტს, ვიდრე უნდა ვჩეხავდეთ. ქვევიდანაც შეთხელებულია მთის წინა კალთები, ქართლის და გარე კახეთის გვერდის ... ტიტვლებულია, ზოგან — ჩამოფხეკილიც. სწორედ მთის კალთებზე, ნატყევარებზე, ბაღებისა და, საერთოდ, ხეხილის გაშენება ორი კურდღლის დაჭერა იქნება. ჯერ ერთი, მთის ფერდობებს კვლავ ხეებით დავფარავთ და ტყის თავისებურ იმიტაციას შევქმნით და ვაკეს დავიცავთ ღვარცოფებისაგან, მეორე და მთავარი — ხეხილს მოვაშენებთ. გარდა ამისა, ხეხილი დანახარჯს უფრო ადრე აგვინაზღაურებს, ვიდრე ტყე. რასაკვირველია, აქ საჭიროა დამუშავდეს ტიპი ფერდობების ბაღებისა და ტყე-ბაღებისა, არა მარტო საერთოდ, არამედ მდინარის ხეობების მიხედვით. ჩვენში ყოველი ხეობა თავისებური ბუნებრივი პირობებით და ისტორიული განვითარებით ხასიათდება.

ჯიშის შემოტანის დროს განსაკუთრებული ყურადღებით და სიფრთხილით უნდა ვიქცეოდეთ. მართალია ელიზბარ მაისურაძე: ჩვენი მხარე განთქმული იყო როგორც ადგილობრივი ატმებით, ისე ევროპული, ჩვენში კარგად შეგუებული ჯიშებით. მაგრამ ამ რამდენიმე ხნის წინათ დაიწყო კვლავ უცხოური (ამერიკული) ატმის ჯიშებით გატაცება, თითქმის დაივიწყეს ადგილობრივი შესანიშნავი ჯიშები (ხიდისთაური, გავაზური, გორული, კეზევაძისეული და სხვანი). მაგრამ ამჟამად ამ საკითხსაც მოევლო, ჩვენი სანერგეები ძველ, ნაცად და მაღალხარისხოვან ჯიშებს კვლავ დაუბრუნდნენ. რასაკვირველია, კარგმა უცხოურმა ჯიშმაც თავისი ადგილი უნდა დაიჭიროს, მაგრამ სიფრთხილე და წინდახედულება ყოველთვის უნდა გვახსოვდეს.

ელიზბარ მაისურაძე ერთხელ კიდევ აყენებს შაქრის ჭარხლის საკითხს. ჭარხლის დატოვება ან გაძევება ქვეყნის ეკონომიკაზეა დამოკიდებული. ჩვენი აზრით ჩვენი თანადროული ეკონომიკა ძალას არ გვატანს, რომ შაქარიც ჩვენ ვაწარმოოთ. მაშინ, როდესაც მის მაგივრად უფრო შემოსავლიანი კულტურების მოშენება შეიძლება (ეს კია, ჭარხალი იმავე წელს ანაზღაურებს დანახარჯს და ხორბლეულის კარგი წი-

ნამორბედია. მსხალ-ვაშლის ბაღი 8—10 წლის შემდეგ იწ-
ყებს დანახარჯის დაბრუნებას, ატამ-გარგარისა მესამე წელს
დიდი ბაღები შემჭიდროებული უნდა ვაშენოთ. რიგთაშორის
ნაგალა ხეები ვრგოთ, მწკრივთაშორის — ატამი და გარგა-
რი, ასეთი ბაღი დანახარჯის დაბრუნებას მესამე წელს იწ-
ყებს. ჩვენში მივიწყებულია ხუნწი და ხურტკმელი, ასეთ ბა-
ღებში მისი ჩართვაც შეიძლება, განსაკუთრებით, შავი ხუნწისა.

ზოგიერთ რაიონში ხომ გვაქვს მარტო ჩაი, სიმინდისთ-
ვისაც არ რჩება ადგილი. ჭარხალი ჩვენში მოდის ისეთ მხარე-
ებში, სადაც ძვირფასი ხილეული ხარობს. ამიტომ ჩვენს ეკო-
ნომიკაზე შაქრის ჭარხლის ამოღემა უარყოფითად ვერ იმოქ-
მედებს.

საქმის სიყვარული ყოველ დარგსა სჭირდება, სიყვარულის
გარეშე ვერაფერი მადლიანი ვერ გაკეთდება, ეს სიყვარული
კი გაათკეცებული სჭირდება სოფლის მეურნეობას, თუ არ
იცი, რაა ცოცხალი არსება, თუ არ გიყვარს იგი, მისთვის
თოვლჭყაპში მთელი ღამე ფეხზე არ იდგები ჯოხზე დაყრდნო-
ბილი (მეცხვარე), თოვლჭყაპში დახუთული ხელებით ვერ (ან
არ) გასხლავ ხეებს. ამიტომ, ჩემის აზრით, საჭიროა, ეს ცოდ-
ნა და სიყვარული ბავშვს თავიდანვე ჩავუნერგოთ, ამიტომ
სოფლის სკოლა თავის პროგრამით, აგებულებით, მოწყობი-
ლობით უნდა განსხვავდებოდეს ქალაქის, ინდუსტრიალური
ცენტრის სკოლისგანაც.

ეს იმას არ ნიშნავს, საბოლოო ჯამი ცოდნისა განსხვავე-
ბული იყოს იმ ცოდნისაგან, რომელიც საჭიროა. თანამედ-
როვე სოფლის სკოლას ახალგაზრდა რომ ამთავრებს, მიღებუ-
ლი ცოდნა მიწისკენ კი არ ეძახის, არამედ საწინააღმდეგო მხა-
რისკენ. საჭიროა ამ საკითხს ღრმად ჩავწვდეთ, გადავჭრათ იგი
და მაშინ ბაღიც უფრო კარგად მოისხამს და ვენახიც.

ერთი რამ კიდევ: ერთ რაიონში თუ გადაუწყვეტიათ ბაღე-
ბის გაშენება, ეს საერთო სახელმწიფო ღონისძიებათა ანარეკ-
ლია. ეს კია — ყოველ ღონისძიებას კარგი შესრულება სჭირ-
დება.

1967 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევინარჩუნოთ ჩვენი სამშობლოს უჯკნობი სილამაზე

მეოცე საუკუნეში ჩქარი ტემპით ვითარდება ცხოვრება. შენდება ახალი ქალაქები, გაგვყავს ახალი გზები, უკაცრიელ ადგილებში გადის სარწყავი არხები, სახლდება სოფლები, მთების სიღრმეში ითხრება მაღაროები და შენდება ქარხნები. ერთი სიტყვით, დღემდე მშვიდად მყოფი ბუნება „შეაწუხა“ ადამიანის მჩქეფარე მოღვაწეობამ; მიუვალი და მიუღწეველი ადგილები ადვილად მისასვლელი და მისადგომი გახდა.

რაკი ბუნება ასეთი ადვილი მისაწვდომი გახდა, სწორედ ამიტომაა საჭირო ზომების მიღება მის დასაცავად, მისი სიმშვენიერის შესანარჩუნებლად. ყველას ხომ თანაბრად კარგად არ ესმის, თუ რა დაუშრეტელი სიმდიდრეა ადამიანისათვის მცენარეთა და ცხოველთა სამყარო. მცენარეულობა რომ არ იყოს დედამიწის ზურგზე, არც ცხოველები იქნება და არც ადამიანი. რამდენადაც მეტია ამა თუ იმ ქვეყანაში მცენარეულობა, ტყე და მდელო, ბაღი და ვენახი, ყანა და სათიბი, იმდენად უფრო დოვლათიანია ქვეყანა, იმდენად უფრო ჯანმრთელია ჰავა და საღია ხალხი.

სწორედ ამიტომაა ჩვენი ქვეყანა ასეთი მშვენიერი, ჩვენი ხალხი მშრომელი, გამრჯე და ხალისიანი, რომ მის ბუნებაში ჯერ წონასწორობა არ დარღვეულა, ერთი მესამედი ჩვენი ტერიტორიისა ტყეს უჭირავს, ერთი მესამედი — მდელოს და ველს და დანარჩენი — ბაღსა და ვენახს, ყანასა და სათიბს, სოფელსა და ქალაქს.

საკმარისია, ჩვენი მთის ფერდობებზე მოვსპოთ ტყეები, რომ დაიწყება წყალდიდობა. ნიაღვარი წალეკავს სოფელს, ბაღსა და ვენახს, გავერანდება და გატიალდება ქვეყანა, ჩამოფხავდება მთის ფერდობები; ამოწყდება და გადაიხვეწება ტყის ნადირი და ფრინველი, გაღარიბდება და გაღატაკდება ხალხი.

თუ სადმე ერთხელ ტყე მოისპო, მისი აღდგენა ძალიან გაჭირდება. თავის დროზე ირანი და სირია, პალესტინა და ანატოლია ტყით იყო დაფარული, მაგრამ უვიცობისა და შეუგნებლობის გამოს მოსპეს და გაანადგურეს ტყეები. დღეს ეს

მხარეები უდაბნოებად და ნახევრად უდაბნოებადაა ქცეული, სადაც ცხოვრება მხოლოდ ოაზისებშია შესაძლებელი და ისიც გაჭირვებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ამიტომაა, რომ ჩვენს ქვეყანაში ბუნების დაცვას უდიდესი ყურადღება ექცევა. შექმნილია საზოგადოება „ბუნების მეგობარი", რომელიც ბუნების დაცვის მრავალ ენთუზიასტს აერთიანებს. ამ საზოგადოების წევრები ფხიზლად ადევნებენ თვალყურს, რომ ბუნებას უდიერად არ მოექცნენ.

მაგრამ ნებაყოფლობითი ორგანიზაცია ვერას გახდება, მთავრობა და პარტია რომ არ უმაგრებდეს ზურგს ამ საზოგადოებას.

1966 წლის 23 ივნისს, დილის 10 საათზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე მოწვევის მერვე სესია. სესიამ მოისმინა „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ბუნების დაცვის შესახებ".

სესიამ გულდასმით განიხილა 1958 წლის 28 ნოემბრის კანონის შესრულების მიმდინარეობა.

ეს კანონი ეხება საქართველოში ბუნების დაცვას, მის მოვლას, მის პატრონობას. ბევრი კარგი რამ ითქვა ამ სესიაზე. დეპუტატები ერთხმად გმობდნენ ბუნების გამჩანაგებლებს და საბოლოოდ დაისახა ღონისძიება, თუ როგორ უნდა მოვუაროთ მას, როგორ უნდა გავუფრთხილდეთ და, თუ იარა მიუყენებია შეუგნებელსა და რეგვენს, მოვუშუშოთ იგი.

ჩვენს პიონერებს ამ დიდ საქმეში პირველი სიტყვა ეკუთვნით. პიონერების სახით ბუნების ნორჩ მეგობართა მთელი არმია გვყავს. ჩვენი პიონერი ფხიზელი თვალია „ბუნების მეგობრისა". თუ სადმე შეამჩნიეთ, რომ საქმე ისე არ არის, როგორც საჭიროა: უთავბოლოდ ჩეხენ ტყეს, არ უფრთხილდებიან ქარსაფარ ზოლებს, ანადგურებენ ახალ ნარგავებს და ტყის ნორჩნარს, უდიერად ხოცავენ ნადირ-ფრინველს ან აზიანებენ ბუნების რომელიმე ძეგლს, სწრაფად უნდა აცნობოთ „ბუნების მეგობრის" საბჭოს.

ბავშვებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოთ „ტყის დღის" მუშაობაში. ყოველმა თქვენგანმა 2—3 ხე რომ დარგოს და ახაროს, დიახ, ახაროს — ეს უკვე ყოველწლიურად

რამდენიმე მილიონი ხეა. აბა წარმოიდგინეთ 2—3 წელიწადში რა დიდი სარგებლობის მოტანა შეგიძლიათ! პიონერებმა უნდა იკისროთ ახალგაშენებული ტყის რომელიმე ნაკვეთის მოვლა-პატრონობა, თვალყური უნდა ადევნოთ ახალ ნარგაუბს და მზრუნველობა არ მოაკლოთ.

უნდა გავუფრთხილდეთ ცხოველთა სამყაროსაც 1920 წლამდე დასავლეთ საქართველოს ულრან ტყეებში კიდევ იყო დომბა — ეს იშვიათი უზარმაზარი ცხოველი, დღეს კი ეს ცხოველი გადაშენებულია, ოცდაოდ წლის წინათ შირაქში კიდევ ნავარდობდნენ ჭურციკები (ჯეირნები), დღეს ერთიც აღარ არის. ამბობენ, რომ ამოწყვეტის პირსაა ნიამორიც. მალე ამ დღეში შეიძლება ჩავარდეს მთების ამაყი ბინადარი ჯიხვი, ფსიტი და მრავალი სხვა.

მართალია, დღეს გარეულ ცხოველს კანონი იცავს, მაგრამ ბოროტი და შეუგნებელი ადამიანები ჯერ კიდევ არიან და ყოველმხრივ უნდა შეებრძოლოთ მათ.

შევინარჩუნოთ ჩვენი სამშობლოს უჭკნობი სილამაზე!

1966 წ.

ადიდებულა ტანაო, მთები თან მოიტანაო

ისეთი ქვეყნისათვის როგორიც საქართველოა, ტყე მარტო პირდაპირი პროდუქტის მერქნის, ხილის, წამლეულის და სხვათა მომცემი კი არ არის, არამედ იგი სული და გულია ხალხისათვის, იგია ჩვენი სიცოცხლის ცხოველმყოფელობის გამგრძელებელი, ჰაერის გამზავებელი სიცოცხლისათვის საჭირო ნივთიერებით, მხარის დამშვენებელი და გამლამაზებელი, წყლის რესურსების შემნახველი და დამზოგველი, ნიადაგის უდიდესი მეგობარი, მისი მფარველი და სიცოცხლის გამგრძელებელი. სხვა რომ არა იყოს რა, წყალი და ნიადაგი ხომ ძირითადი საყრდენია სოფლის მეურნეობისა. ტყე იცავს ნიადაგს, ტყე აწვდის სოფლის მეურნეობას და სხვა დარგებს

წყალს გამოზოგვით, მაგრამ შეუფერხებლად. უტყეო ქვეყნები უდაბნოებადაა ქცეული, განსაკუთრებით თუ ასეთი ქვეყანა მთა-გორიანია. უტყეო ფერდოდან წვიმის წყალი ადვილად ჩაირბენს ხესა და ბუჩქს მოკლებულ ფართობს, რეცხავს და ატიტვლებს მას. ბალახის საფარიც ასეთ ფერდობზე ურიგო არ არის, მაგრამ თუ სადმე ბელტი დაიშალა ამ ადგილიდან წყალი ნელ-ნელა ანგრევს ნიადაგის ფენას და ფერდობს აშიშვლებს, აჩენს კლდეს და საერთოდ უნაყოფო ფენას. ეს კიდევ არაფერი, რომ ფერდმა დაკარგა ნაყოფიერება. საქმე იმაშია, რომ ასეთი მოშიშვლებული ფერდოდან, განსაკუთრებით თავსხმა და თქეშისებური წვიმის დროს მოვარდნილი წყლის ნიაღვარი უკვე ღვარ-ცოფია, მოაქვს ქვიშა და შლამი, ქვა და ღორღი, იშლება ვაკეზე და წარიყავს ხოლმე ბაღსა და ვენახს, სახნავსა და უხნავს, სათიბსა და საძოვარს, სახლსა და კარმიდამოს. ყველას გაგეგონებათ რამდენი ცოდობრალი დაატრიალა და რამდენჯერ თერგმა და დურუჯმა, ტანამ და ძირულამ და სხვა მრავალმა ჩვენმა მდინარემ, ბევრი სოფელი ააცირა, ბევრი საქვეყნო დოვლათი გაატიალა და გაავერანა. ბევრ მდინარეს ჯებირი აუშენეს ნაპირზე ვეღარ გადმოვარდებაო, მაგრამ ამან ვერ უშველა, მდინარის ჩამოტანილმა ქვა და ღორღმა ამოავსო კალაპოტი და მდინარემ ზევიდან დაიწყო დინება, გადმოვარდნის საშიშროებაც გაძლიერდა. ქართული ანდაზაა: „წყალი სათავიდან უნდა დაწყდესო“. აქაც ასეა, მთის ფერდონი, რომლებიც ტყიანი იყო და რომლებიც ჩვენმა დაუდევრობამ თუ გაუფრთხილებლობამ მოსპო, კვლავ ტყით უნდა დავფაროთ ჩვენი ტერიტორიის 35—37% ტყითაა დაფარული, ეს ტყეები მთის ტყეებია, ამიტომ თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ მათ, სამწუხაროდ ეს ყველგან არ ესმით, ან ესმით, მაგრამ ყოველ დღიურ საჭიროების ადვილად დაკმაყოფილებას ანაცვალებენ ხოლმე ხალხის, ქვეყნის მომავალს. ჩვენი მხარე უტყეოდ უდაბნოს დაემსგავსება, წყლები დაშრება, წვიმების დროს კი ადიდდება და ღვარცოფის ბუდეებად გადაიქცევა. ჰიდროელექტროსადგურებს წყალი არ ეყოფათ, ვერავითარი კაშხალები და ხელოვნური საგუბრები ვერ გვიშველის. რაც უნდა კარგი კაშხალი ავაგოთ, რაც უნდა დიდმთაგორიანი საგუბა-

რი გავაკეთოთ საქმეს ვერ ვუშველით, უტყეო, გამეჩხერებული ტყიდან მოვარდნილი ნიადვარი საგუბარს ნარიყითა და ქვა-ღორღით ამოავსებს, ამის მაგალითი არა ერთი და ორი გვაქვს. გარდა იმისა, რომ სატყეო დარგში მომუშავე ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ მუშაობა: უფრო კარგად დაიცვან ტყეები, უფრო მეტი ახალი ტყეები გააშენონ სწორედ მთის ფერდობებზე, საჭირო იქნება, ელექტროსადგურების მშენებლობის ხარჯთაღრიცხვებში გათვალისწინებული იყვეს ღონისძიებანი და დაბანდებანი, რომელნიც უზრუნველყოფენ წყლის თანაბარ და მუდმივ დებეტს, თანაბარ დინებას.

მეტად ბევრი გვაქვს დაკარგული, ყოველდღე ძლიერდება ბუნებრივ პირობათა ნგრევა. საჭიროა მისი შეჩერება და აი, სწორედ ამიტომაა საჭირო მთებში ტყის მეურნეობის უფრო ფართოდ გაშლა, უფრო ინტენსიურად რგვა და ტყეების აღდგენა.

ამ დიდ სამუშაოთა გვერდით არ უნდა დავივიწყოთ სხვა სამუშაონი, რომელნიც ხელს შეუწყობენ ტყეების შენახვას. მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომლითაც აკრძალულია ნაძვის ხის და სხვა წიწვოვანთა მოჭრა საახალწლოდ, იგი უნდა შეიცვალოს ხელოვნური საახალწლო ხით. დადგენილებაში გათვალისწინებულია, რომ დეკემბერ-იანვარში გაძლიერდეს საგუშაგონი ტყის პირებზე და ახალნარგაობათა ირგვლივ, რათა ვინმემ თვითნებურად არ მოჭრას ხე.

გარდა ამისა, შემდეგისათვის უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი ღონისძიებაც. ერთ ან ორ მთის კოლმეურნეობას უნდა მიეცეს გეგმა საახალწლო ხის გამოყვანისა, ხოლო ჯიში წიწვიანი ხისა უნდა მიეცეს ისეთი, რომელიც ჩვენი ჯიშებისაგან მკვეთრად განსხვავდება. არის ასეთი ჯიშებიც, ერთი ჰექტარი შვიდ-ცხრა ათას საახალწლო ხეს მოგვცემს 5—7 წლის შემდეგ. თითო ხე რომ ორ მანეთადაც გაიყიდოს შემოსავალი მაინც დიდია. სქემა ასეთი სანერგის გაშენებისა შეიძლება შემდეგი იყოს. ყოველ წელს დაითესოს თითო ჰექტარი ექვსი-შვიდი წლის შემდეგ უკვე მოიჭრება პირველ წელს დათესილი და კვლავ დაითესება. ამის შემდეგ ყოველწლიურად გვექნება საახალწლო ხედ მომწიფებული ერთი ჰექტარი ანუ ექვსი-შვიდი ათასი ხე.

სოფლის გაზიფიკაცია, განსაკუთრებით მთის სოფლებისა, რასაკვირველია უდიდესი ღონისძიებაა ჩვენი ტყეების შენახვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრი, ძალიან ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლიან ჩვენ მცენარეულ საფარს და ამისათვის მის მოვლა-შენახვას უნდა ჩავაქსოვოთ ბევრი და დიდი სიყვარული. ეს საქვეყნო საქმეა, ნათქვამია: მარტო კაცი პურის ჭამაშიც ბრალიაო. მარტო ერთი და ორი ამ საქმეს ვერ მოუვლის. იგი საქვეყნო საქმეა ყველა ჩვენთაგანისათვის.

1967 წ.

მთა და ბარი ვის გაუყვია

ოდითვე ქართველ კაცს მთა და ბარი განუყოფლად ჰქონდა წარმოდგენილი. კიდევ მეტი, მთას ყოველთვის მოწიწებით უცქერდა, პატივსა სცემდა, „ბარში რომ ჭკუა დაიკარგება, მთაში მოსძებნიანო“, ამბობდნენ ბარად. მთიელი ბარელს ყოველთვის რაინდად ესახებოდა.

მთიელო, მთაში გაზრდილო,
ხმალს როდი მოგიშივდება,
ომში შეხვალ და გამოხვალ,
გული არ შეგიშინდება.
სისხლისა ნაგუბარზედა ფეხი
არ მოგიცურდება.
უკანდახევა არ იცი, სისხლი
რო შეგიხურდება.

ამიტომ არის, რომ ვაჟაც შესთხოვს მთას, ნუ გაამაყდებიო:

შენი ძმა არის ბარიცა
სთველ-ზაფხულ ბარაქიანი,
გმირთ სისხლით შეღებილი აქვს
ველები ბალახიანი.

არც ის იყო შემთხვევითი, რომ სულმნათმა ილიამ პირველად მთიელს, მოხევეს ათქმევინა: „ჩვენი თავი ჩვენსავე გვეყუდნესო“ და მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლების განმათავისუფლებელი მოძრაობის მებრძოლებმა ეს თავის დროშას წააწერეს როგორც თავიანთი კაცობის ნიშანსვეტი.

მთა არასდროს არ ყოფილა მხოლოდ რომანტიკული გატაცების ობიექტი. ბარმა კარგად იცოდა, რომ ჩვენი მთა ბევრსა შრომობდა ჩვენი კულტურის საუნჯის გასამრავლებლად. ჯერ ერთი, საერთოდ ცნობილია, რომ კულტურა სწორედ ხეობებში წარმოიშვა და იქიდან გამოვიდა ველად, ვაკეზე. ამ გზას არც საქართველო ასცდენია. ცნობილია, რომ ქვის ხანის სამაროვნები დიდი რაოდენობით არის მოძიებული ჩვენს მთებში.

ჩვენმა მთამ შექმნა შინაური პირუტყვის იშვიათი და ძვირფასი ჯიშები: თუშური ცხვარი, თუშური ცხენი, ხევსურული ძროხა, ოსური ძროხა, მეგრული ძროხა და სხვა მრავალი.

თუშურ ცხვარს ჩვენი პირობების მთა-ბარული მეურნეობებისათვის ბადალი არა ჰყავს, თუშური ცხენი მთის ჭირკვალიან ბილიკებზე 150—180 კილოგრამ ტვირთს თავისუფლად ატარებს, ხევსურული ძროხა ყველაზე ღალიანია, მეგრული ძროხის გამოზრდილი ხარი საუკეთესო იყო კოლხეთში.

ისეთი მაღალი ღირსების ხორბლები, როგორიც თეთრი დოლის მრავალი ჯიშია და დიკა, ჩვენს მთებშია წარმოშობილი და შემდეგ ბარში ჩამოსული. მახა და ზანდური ხომ პირმშოა კოლხეთის მთებისა.

ძველთაგანვე მთა დღევანდლამდე ისე მოვიდა, რომ წუთითაც არ შეუწყვეტია ბართან ერთად ჩვენი კულტურის საკურთხეველზე თავისი წვლილის მიტანა. კრწანისის ველზე მთიელთა ბრძოლა დარჩა როგორც მარად მისაბაძი ლეგენდა. სწორედ ამიტომ იტყოდნენ: „მთა და ბარი ვის გაუყვიაო“.

ჩვენს გადარჩენას, როგორც ერისას, ხელი შეუწყო სწორედ მთამაც. ჩვენი ისტორიის ავბედობის დროს მიწის პირიდან იგვებოდა ბარის სოფლები, ქალაქები, ხალხიც ბევრი იჟლიტებოდა და ნაოხარზე ძაღლებიღა ყმუოდნენ. გადარჩენილი მოსახლეობა მთას აფარებდა თავს. მთიელები ძმურად

ეროვნული ბიბლიოთეკა

იღებდნენ გაჭირვებაში ჩავარდნილ ძმებს, მათი ჭირი თავიანთ ჭირად მიაჩნდათ. ბარელის ბევრ უვაჟკაცოდ დარჩენილ ოჯახში მთიელი ზესიძედ შედიოდა, ბარად ჩამოდიოდა. ბევრ ოჯახ ხარზეც მთიელი სახლდებოდა, რის შედეგად ბარად ბევრი იყო ტაბარუკი — ახალმოსახლე. ამით აიხსნება, რომ შუა ქართლში ბევრია მთიულური გვარი: წიკლაური, ოდიშვილი, მიგრიაული, პატაშური და სხვანი, არაგვისა თუ ქსნის სათავეებიდან ჩამოსულნი. ზემო ქართლში კი ფრონეების ხეობაზე ბევრია ზემოიმერული და რაჭული გვარები — ნიორაძე, ნოზაძე, მაისურაძე, მეტრეველი, კვინიკაძე, კილასონია, თურმანიძე და სხვა. ამ ხეობების სოფლები დგანი, ავლევი, ნული, წორბისი, ბრეთი, წვერი, ერკნეთი, ულუმბა, ალი, უწლევი, ნაბახტევი, ბრილი, ბროლოსანი და სხვა მრავალი ლეკიანობის დროს თითქმის ამოწყდა, გადარჩენილმა ხალხმა ზემო იმერეთს და რაჭას შეაფარა თავი, სადამდეც მტერი ვერ უწევდა, მშვიდობის დროს გადარჩენილი ბრუნდებოდა მამა-პაპათა ნაფუძარზე და თან მოჰყავდა ახლად შეძენილი ძმა თუ ზესიძე. სწორედ ამაში იყო საქართველოს ძალა და სიმტკიცე. სწორედ ამიტომ იყო, რომ გავერანებული ბარი სწრაფად აღდგებოდა ხოლმე. ამან ათქმევინა რუსთა მეფის ერთ-ერთ ელჩს, რომელსაც ათი წლის წინათ ენახა შაჰაბასის მიერ აოხრებული საქართველოს ბარი და კვლავ ხედავდა აყვავებულ მხარეს: „უცნაურია საქართველო, იგი ძალიან მალე აღორძინდება ხოლმე“.

დრონი იცვალნენ, წარსულის შავბნელი დღეები ისტორიას ჩაბარდა. ახალ დროებას კი ბარისა და მთის ურთიერთობა მოუმზადებელი შეხვდა.

მთა ბარს ჩამორჩა როგორც ეკონომიკის, ისე კულტურის დარგში, ამის მიზეზი ბევრია: ერთ-ერთი უგზოობაა, ძველი მჭიდრო კავშირი ერთგვარად შეწყდა, მეორე — ახალი, თანამედროვე გზების გაყვანის სიძნელენი, მთის კუთხეებში მისი თემების ურთიერთდაცილება (ხევსურეთში პირიქითის და პირაქეთის ხევსურეთი, მთა-თუშეთში: ჩაღმის, გომეწრის, პირიქითის თემები და სხვა). მთა თითქოს ჩაიკეტა, ბარს იშვიათადღა აკითხებდა. ერთადერთი მესაქონლეობა იყო, რომელიც აკავშირებდა მთასა და ბარს, განსაკუთრებით მემთაბარუ-

ლი-მეცხვარეობა, მაგრამ ახალ ვითარებაში მთა და ბარის ჰარმონიულად გასავითარებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. უახლოეს წარსულში ჩვენი ცხოვრების წარმმართველი ზოგიერთი ორგანოს მიერ სპეციფიკური საკითხების გაუთვალისწინებლობამაც ამ საკითხს დააჩნია თავისი დაღი.

ამჟამად მთის საკითხი რეალურად დადგა რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ყურადღების ცენტრში. ამიტომ საჭიროდ ვთვლი ზოგიერთი ისეთი საკითხი აღვნიშნო, რაც კარგი იქნება თუ ჩვენი საზოგადოების ყურადღებას მიიპყრობს.

საქართველოს ბართან ყველა ჩვენი მთის მხარეა დაკავშირებული შარა, საავტომობილო გზით, გარდა მთა-თუშეთისა. ამიტომ არის, რომ მთა-თუშეთი ცარიელდება. ეს კი ჩვენი ქვეყნის ჰარმონიული განვითარებისათვის დაუშვებელია. მთა-თუშეთი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა, ჯერ ერთი, ზაფხულის საძოვრების დიდი ნაწილი აქ არის თავმოყრილი. მეორე, ჩვენი ფიჭვნარების საუკეთესო წმინდა კორომები (თორმეტი ათასი ჰექტარი) მთა-თუშეთშია, სადაც ზაფხული მშრალი და მზიანი იცის, მაშასადამე კლიმატური კურორტებისათვის საუკეთესო მხარე ყოფილა. აქ სოფლები ზღვის დონიდან 1 600 მეტრიდან 2 200 მეტრის სიმაღლემდე მდებარეობს. იშვიათია, კლიმატური კურორტებისათვის სოფლები: ხახაბო, შანაქო, ომალო და სხვანი. ამ მხარეში პირველ რიგში გზის გაყვანაა აუცილებელი. ხალხი დაუბრუნდება თავის სოფელს. უფრო მეტად განვითარდება მესაქონლეობა, გაიმართება კლიმატური კურორტები და ბარისა და მთის ინტერესები კვლავ გადაიჯაჭვება.

ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ: ვაკეზე კოლმეურნეს უფლება აქვს ჰქონდეს ნახევარი ჰექტარი ჩაის პლანტაცია, ან ვენახი, ან ბაღი და სხვა, მთაშიც თვითეულ კომლს იმდენი საქონელი უნდა ჰყავდეს თავისი საძოვრით, რომლის შემოსავალი ბარის კოლმეურნის საშუალო შემოსავალს უნდა უდრიდეს. რასაკვირველია, ეს ფრიად რთული საკითხია, თუნდაც საძოვრების გამოყოფის საკითხი (ზაფხულისა და ზამთრის), მაგრამ საკითხი თავისთავად იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სიძნელემ არ უნდა შეგვაშინოს. ამ საკითხის გადაწყვეტასთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ წარსულის დიდი და ღვაწლი

ფრიად საჭირო მემკვიდრეობის შენარჩუნება. აქ პირველ რიგში ვგულისხმობთ მთაში გამოყვანილ და მრავალ საუკუნეთა მანძილზე გამოცდილ შინაურ პირუტყვს: თუშურ ცხენს, თუშურ ცხვარს, მთის ძროხას. ჯერჯერობით ჩვენი მთებისათვის ამათზე უკეთესი არცა გვაქვს და არცა გვყავს. საბჭოთა მეურნეობებთან სათანადო რაიონებში უნდა ჩამოყალიბდეს ამ საქონელთა წმინდა საჯიშენი, სადაც იმუშავებენ ამ ჯიშთა გაუმჯობესება-დაწმენდასა და გამრავლებაზე, აქედან კოლმეურნემ უნდა მიიღოს დაწმენდილი და გაუმჯობესებული ჯიში. ყოველ საკოლმეურნეო კომლს უნდა ჰყავდეს 1—2 ცხენი. მთაში უცხენოდ ცხოვრება ძნელია. სამანქანო გზა ცენტრამდე მივა, აქეთ-იქით სავალად ცხენია საჭირო. მთას თავისი მთა აქვს. სოფელი თუ 1 600—2 000 მეტრს სიმაღლეზეა, საძოვარი 2 500—3 000 მეტრ სიმაღლეზეა.

რაკი გაძლიერდება მესაქონლეობა-მეცხვარეობა და ხალხი კვლავ ფეხს მოიკიდებს მთაში, უნდა გაძლიერდეს და ბევრგან აღდგეს შინამრეწველობის ისეთი სახეობანი, როგორიც არის, მაგალითად, მთა-თუშეთში ფარდაგების, ღაზლის, ფეხსაცმლის, ჩითების, თექების ქსოვა-კეთება; ხევსურეთში ნაქარგ-ნაქსოვი ფაფანაგისა და გულისპირების დამზადება. სვანეთში თავისებური, სველი თოვლის გამძლე ქსოვილის — აშკის ქსოვა, ხის დამუშავება და სხვ. მრავალი ხევსურული ქსოვილი თავისი ფერების შეხამებით ხომ შეუდარებელი შედევრია. თუკი პალეხელმა ხატების კეთების ოსტატებმა, როდესაც მათ ყურადღება მიაქციეს მაქსიმ გორკის მეთაურობით, შექმნეს მხატვრული შედევრები, რა დაუდგება წინ იმას, რომ ჩვენმა მთიელებმა შექმნან ხელოვნების ნამდვილი შედევრები. თუ, რასაკვირველია, ამ საქმეს სათავეში ნამდვილი მოღვაწე ჩაუდგება და არა საქმოსანი. ნამდვილი ქართული სუვენირი ამ გზითაც შეიქმნება.

მთის ქსოვილების ხელოვნების აღდგენა ჭედურობის აღდგენას უდრის.

ზოგიერთი მცენარის მოშენებას მარტო რენტაბელობის თვალსაზრისით არ უნდა შევხედოთ, არამედ იმითაც, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას ხალხის კულტურის თვალსაზრისით. ჩვენ ვუფრთხილდებით ჯვრის მონასტერს, სამთავისს და სხვა

ისტორიულ ძეგლებს, როგორც ერის გენიის გამომჟღავნების საბუთს, და განა ნაკლები შემოქმედებითი ეროვნული ენერგია დახარჯული, ისეთი პურის ჯიშებზე, როგორიც არის დიკა, თეთრი დოლი, ან რქაწითელი, საფერავი, თურაშაული და სხვა მრავალი? განა ისინიც ჩვენი კულტურის ძეგლები არ არიან? საქართველო ცნობილია მრავალ კულტურულ მცენარეთა წარმოშობის ერთ-ერთ კერად.

ისეთი ხორბლები, როგორიც არის მახა, ზანდური, დიკა, დოლის პურის მრავალი ჯიში, აქ, მთაშია წარმოშობილი. მახა და ზანდური რაჭა-ლეჩხუმში, სადაც იგი ითესებოდა, უკვე ოც წელზე მეტია აღარ გვხვდება. დიკის ერთ-ერთი ძლიერი კერა იყო ლიახვის, ქსნის და არაგვის ხეობანი, მაგრამ 1970 წელს ორ პატარა ნათესს ძლივს მივაკვლიეთ. ამავე დროს ეს ჯიშები უკვე გატანილია ევროპაში, ამერიკაში, იაპონიაში, სადაც ახალ, მაღალმოსავლიანი ჯიშების ბაზად არიან გამოყენებულნი.

ზემოჩამოთვლილი საქონელი, ხორბლები და ზოგი სხვა მცენარე (ესპარცეტი, ცერცველა) უდიდესი ეროვნული განძია, რომელიც მთამ შესძინა თავის სამშობლოს. დავკარგოთ ის, რაც საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდა, ეს მეტად მძიმე დანაშაულად დაგვაწვება (ეს საკითხი ეხება მრავალ ბარის მცენარესაც).

ამავე კატეგორიას ეკუთვნის ბაღ-ბოსტან-ვენახის თავისებური ტიპი, რომელიც უმთავრესად მთის მოსახლეობის მიერ არის შემუშავებული. თრიალეთელებს (ს. გომარეთი) ბაღ-ბოსტან-ვენახი გამართული ჰქონდათ და აქვთ კიდევ ჭალის ნაპირებზე, უმთავრესად სამხრეთის, მზვარე ნაპირზე, თავისი სოფლიდან საკმაოდ მოშორებით და დაბლა. სოფელს დაშორებული იყო 5—6 კილომეტრით და სიმაღლის მიხედვით სოფელსა და ბაღს შორის სხვაობა 500—700 მეტრს უდრიდა. ვინაიდან ღრმა კანიონში მოქცეული ვაკე ან ნაკლებ დაქანებული ნაპირი მცირეა, ამიტომ შემუშავდა მთის მებაღეობა-მებოსტნეობის მეურნეობის თავისებური ტიპი, რომლის მეშვეობით ბუნებრივი პირობები მაქსიმალურად იქნებოდა გამოყენებული. დამუშავდა ჰაერის სივრცეში ხილის თუ ბოსტნეულის სართულებრივი განაწილება: პირველი სარ-

თული ეჭირა მაღალმოზარდ ხეხილს (ვაშლი და მსხალი), რომელზეც უშვებდნენ ვაზს — ბაბილოს. მეორე სართული — ქლიავს, ჭანჭურს, დამასხს და მისთანათა, ამათ ქვეშეთ ... და დაბლარი ვაზი იყო, შემდეგ ითესებოდა ბოსტნეული. ხეები და ვაზი იმგვარად იყო განაწილებული, რომ ნიადაგს მზე საკმაოდ მოხვედროდა. ეს ინტენსიური მეურნეობის იშვიათი ნიმუშია. იგი კიდევ არის ზოგან გადარჩენილი. საჭიროა შევისწავლოთ, მეცნიერულად დავასაბუთოთ და კვლავ დავნერგოთ.

გარდა ამისა, მთის მოსახლეობას ერთი დიდი საქმეც უნდა დაეკისროს — სათანადო ანაზღაურებით. ეს არის ტყის მოვლა, ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე ჩვენს მეურნეობათა დარგებს შორის, რადგან, როგორც უკვე ვიცით, მთიან ქვეყანაში ბარის სოფლის მეურნეობა ვერ იხეირებს, თუ მთის ტყე კარგად არ არის მოვლილი. ჩვენს ტყეს გაცილებით მეტი მოვლა სჭირდება, ვიდრე დღეს აქვს. საჭიროა ტყის ყოველ დარგს მივამაგროთ ბრიგადა, რომელიც იზრუნებს არსებულის შენარჩუნებაზე, მოვლაზე, დანაკლისის აღდგენაზე, წამლობა-მკურნალობაზე. ამას კი დიდი თანხა სჭირდება. შესაძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაძნელდეს მისი გამოყოფა. თუ გურია-აჭარაში ჩაის და ციტრუსების კარგი მოსავალი გვაქვს, ეს იმიტომ, რომ გურია-აჭარის ქედი, ტყით არის დაფარული. კახეთის ვენახის მოსავალი დიდად არის დამოკიდებული კახეთის კავკასიონის და გომბორის ქედის ტყიანობაზე. აქ რომ ტყე მოისპოს, იგივე დღე დაადგება მას, რაც დურუჯმა დღე დააყარა ყვარლის ნაწილს. ასევეა სხვა მხარის ვაკეები დამოკიდებული მთაზე. ლოგიკურია, ვაკის კოლმეურნეობამ მონაწილეობა უნდა მიიღოს ტყის მოვლა-მოშენებაში, როგორ და რანაირად, ეს დამოკიდებულია საერთო ფინანსურ გეგმაზე. მე კი ასე მესახება: ჩვენმა ვაკის კოლმეურნეობამ თავისი შემოსავლიდან ტყის მოსავლელად უნდა გაიღოს განსაზღვრული პროცენტი.

აქ დასმული საკითხების გადაჭრას მრავალი სიძნელე ახლავს თან, მაგრამ ჩვენს ხალხს ბევრი სიძნელე დაუძლევია და ვფიქრობ ამასაც დაძლევს. უნდა დავძლიოთ კი რაც შეიძლება მალე.

1971 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყე ერის საუნჯეა!

ტყე ყოველ ქვეყანაში დიდი ეროვნული სიმდიდრეა. ისეთ მთიან ქვეყანაში კი, როგორიც ჩვენი სამშობლოა, ტყე არამცთუ ეროვნული სიმდიდრეა, არამედ მისი სასიცოცხლო საწყისების, მისი სულიერი ცხოვრების მნიშვნელოვანი და ერთ-ერთი ძირითადი საფუძველიცაა.

ჩვენი მთის კალთები ტყით რომ არ იყოს დაფარული, ბარად არც ასეთი უხვმოსავლიანი ბაღ-ვენახები, ჩაისა და ციტრუსების, სამკურნალო და ტექნიკური მცენარეების პლანტაციები გვექნებოდა; ჩვენი ქვეყანა კურორტებითა და კლიმატური სადგურებითაც არ იქნებოდა განთქმული, უტყეოდ ჩვენი მთის მდინარენი — ელექტროენერგიის დაუშრეტელი წყარო — ბაღვენახებისა და ყანების მაცოცხლებელი კი არ იქნებოდა, არამედ ხალხის უბედურების წყაროდ გადაიქცეოდა. ჩვენი ხალხის ჯანმრთელობაც არ იქნებოდა ისეთი, როგორიც არის.

ამჟამად საქართველოს ტერიტორიის 36 პროცენტი ტყითაა დაფარული. მართალია ახლო წარსულში ეს პროცენტი უფრო მაღალი იყო, მაგრამ თუ არსებულ ტყეებს გონივრულად გამოვიყენებთ, არც ესაა ძალიან ცოტა. მიუხედავად ამისა ტყის პირდაპირი გამოყენების თვალსაზრისით ჩვენ უტყეო ქვეყნად ჩავითვლებით, რადგან ჩვენი ტყეების 95 პროცენტზე მეტი მთის ტყეა, ე. ი. ტიპიური ნიადაგის დამცველი, წყლის შემნახველი და მისი მარეგულირებელი ტყე.

იქ, სადაც მთის ფერდობზე ტყე ისპობა, ძლიერდება ეროზია. ნიადაგის ჩამორეცხვა, ქანების დაშლა და ამის გამო გასაქანი ეძლევა ღვარცოფებს. ეს პროცესები განსაკუთრებით მკვეთრადაა გამოსახული ისეთ მხარეში, სადაც მთის ფერდობებს დიდი დაქანება აქვს და მთის ქანებიც ადვილად მშლელები არის.

თავისებური წარსულის გამო კავკასიონის ქედის სამხრეთი კალთები ციცაბოა. ამავე დროს ისეთი ქანებისაგან არიან შექმნილნი (ქვიშაქვები, ფიქლები, კირქვები, კონგლომერატები და სხვ.), რომელნიც ძალიან ადვილად იშლებიან, საკმარისია მთის ფერდობზე ტყე გაიჩეხოს, რომ ეს ფერდობი

ღვარცოფის დაუშრეტელ წყაროდ გადაიქცეს. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ ჩვენი მდინარეების უმრავლესობა მთიანი ნარეა, კალაპოტიც ძლიერ დაქანებული აქვს. ზაფხულობით ფერდობზე წყალი ნიადაგში ან სრულიად არ იჟონება, ან ფრიად ცოტა და ნიადაგის ზედაპირზე ნიაღვრად მოდის, ამის გამო მდინარის კალაპოტი სულ მცირე ხანში წყლითა და შლამ-ხრეშით ივსება, მდინარე ვაკისაკენ დიდი სისწრაფით მოექანება, ვაკის კალაპოტში ვეღარ ეტევა, ამოდის ნაპირებიდან და ფარავს ყანებს, პლანტაციებს, ბაღ-ვენახებს და წყალდიდობის გავლის შემდეგ თვალწინ იშლება განადგურების საშინელი სურათი: მრავალი ასეული ჰექტარი ან წყლისაგანაა მოტაცებული, ან წარიყულია.

ვის არ ახსოვს, მდინარე დურუჯის ღვარცოფმა ყვარელში რა საშინელება დაატრიალა: მოულოდნელად მოვარდნილმა ღვარცოფმა სოფელ ყვარლის ერთი უბანი შლამში დამარხა. 1953 წელს ღვარცოფმა და ნაპირებიდან მოვარდნილმა თერგმა დიდი ზარალი მიაყენა თერგის ხეობას, მრავალ კილომეტრზე დაანგრია გზა, წალეკა ხიდები და სხვ. ასევე დიდ ზარალს აყენებენ სოფლებს და ქალაქებს სხვა მდინარენიც იმ ხეობებში, სადაც ტყეს უდიერად ეპყრობოდნენ და ეპყრობიან.

მეცხრამეტე საუკუნის 80-იან წლებში ატენის ხეობის ტყეები მისმა მფლობელმა ერისთავებმა მიჰყიდეს გერმანელ მრეწველს ვინმე ზეზემანს. მან ხეობაში გაიყვანა ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა და ოცდაოდე წლის განმავლობაში მთელი ხეობის შესანიშნავი ფიჭვნარები, ნაძვნარები და სოჭნარები პირწმინდად გადაჩეხა და მოსპო. ამის შედეგად პატარა მდინარე ტანა ხეობის სოფლების უბედურებად გადაიქცა: გახშირდა მდინარის მოულოდნელი ადიდება, რომელიც ანგრევდა სახლებს, ატიალებდა ბაღ-ვენახებს, სახნავ-სათესს. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ტანას მიერ მოთხრილი და მოტაცებული ღვინით სავსე ქვევრი მტკვრის რიყეზე, მეტეხთან თუ გრაკალთან უნახავთ. ხალხმა ტანაზე ლექსიც კი გამოთქვა:

ადიდებულა ტანაო,
მთები თან მოიტანაო.

ეროვნულ უბედურებად გადაიქცა ტყეთა მოსპობა შვეიცარიაში, იტალიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, საბერძნეთში, ინდოეთში და ყველგან, სადაც კი ტყეს ეპყრობოდნენ და არ უფრთხილდებოდნენ. ინდოეთში ხშირი და დამღუპველი წყალდიდობანი შედეგია კოლონიზატორების მიერ ტროპიკული ტყეების დაურიდებელი განადგურებისა. შეერთებულ შტატებში, მდინარე ორინოკოს ხეობაში, XIX საუკუნის ამერიკის მტაცებლურმა კაპიტალმა პირაღებით მოსპო შესანიშნავი ტყეები, რისი შედეგიც იქაურმა მოსახლეობამ მალე იწვნია. აზვირთებულმა მდინარე ორინოკომ მოსპო, წალეკა და გაანადგურა მრავალი ქალაქი და სოფელი.

მარქსიზმის კლასიკოსებმა ამ მოვლენას თავიდანვე მიაქციეს ყურადღება. ფ. ენგელსი ბუნების დიალექტიკაში წერს: „იმ ადამიანებს, რომელთაც მესოპოტამიაში, საბერძნეთში, მცირე აზიაში და სხვაგან ტყეები ამოაგდეს, რათა ამ გზით სახნავი მიწა ეშოვნათ, არც კი დასიზმრებიათ, რომ ამით საფუძველი ჩაუყარეს ამ ქვეყნების ახლანდელ გაუდაბნოებას...“

თუ საქართველოში არ გავაძლიერეთ ტყეების მოვლა და დაცვა, ჩვენს მხარესაც ასეთივე დღე მოელის ნაცვლად აყვავებული სოფლებისა, ძვირფასი მცენარეების პლანტაციებისა, ზვრებისა და ბაღებისა, ოქროს თავთავიანი ყანებისა, ნახევრად უდაბნოღა შეგვრჩება ხელში.

ტყე ბუნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. ჰავა, კლიმატი შედეგია ბუნებრივ პირობათა მთელი კომპლექსისა. თუ რომელიმე ამ პირობათაგანი დაირღვა, იცვლება ჰავაც, ტყე ჰავის გამთანაბრებელია. ტყით დაფარული ზედაპირი არც უცბად ხურდება და არც უცბად კარგავს სითბოს. ტყეში ღია ადგილთან შედარებით საშუალო ტემპერატურა ზაფხულში 0,5 გრადუსით უფრო დაბალია, ზამთარში კი — 0,3 გრადუსით მაღალი. ამგვარად, ტყე ჩვენი ბუნებრივი პირობების ერთ-ერთი დამდგენელთაგანია. ჩვენი მთის ფერდობნი რომ უტყეონი იყოს, დასავლეთ საქართველოში არ გვექნებოდა ის ზომიერი და რბილი ჰავა, რომელიც საშუალებას იძლევა შავი ზღვის სანაპიროზე გავაშენოთ სუბტროპიკული მცენარენი; აღმოსავლეთ საქართველოს კლიმატიც უფრო კონტინენტალური იქნებოდა, გაჭირდებოდა ვაზისა და სხვა ნაზი მცენარეების დარგვა-მოშენებაც.

ტყე ამდიდრებს ჰაერს ადამიანისათვის საჭირო ნივთიერებით. მაგალითად, ჟანგბადი ტყის ჰაერში მეტია, ვიდრე სხვა უტყეო ადგილებში. ფისოვანი ნივთიერების სურნელებანი ... ზიანებს სასუნთქ ორგანოებს, რაც ინტენსიურ სუნთქვას იწვევს. ფიჭვი, მუხა და სხვა მცენარენი გამოყოფენ ფიტონციდებს, რომელნიც სხვადასხვა მიკრობებს ანადგურებენ ან ანელებენ მათ განვითარებას; გარდა ამისა, ტყე ხელს უწყობს სხვადასხვა სამკურნალო წყლების არსებობას და მას სხვა მრავალი სიკეთეც მოაქვს. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წიწვიან ტყეებს, რომელიც არც ისე ბევრი გვაქვს და მით უმეტეს გვჭირია მათი გულდასმითი მოვლა.

ჩვენი საკავშირო მნიშვნელობის კლიმატური კურორტები — აბასთუმანი, ბორჯომი, ლიკანი, შოვი, ცემი, ბაკურიანი, ჯავა, მანგლისი და სხვა მრავალი — ძირითადად ჩვენი მთის ტყეების გავრცელების ზონაშია მოქცეული და, თუ ისინი კურორტობენ მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ირგვლივ არის ნაძვნარი, სოჭნარი, ფიჭვნარი და მათი შესანიშნავი კორომები და ტევრები. რა კურორტი იქნება ბორჯომი ან აბასთუმანი, მათ ირგვლივ ტყე რომ ამოიკაფოს? არავითარი.

ჩვენს რესპუბლიკაზე ამბობენ, რომ ყველაზე მდიდარიაო „თეთრი ნახშირით“ — მთის მდინარეებით, რომლებზედაც ელექტროსადგურები აიგება. ეს კარგია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს სიმდიდრეც მთლიანად დამოკიდებულია ტყეზე, ტყე რომ არ იყოს წვიმებისა და თოვლის დნობის დროს მდინარე ადიდდება, ზაფხულში დაშრება, რადგან უტყეო ხეობა წყალს ვერ ინახავს. ცნობილია, რომ ტყე რომ არ ყოფილიყო, წყალი უცბად ჩამოირბენდა, ნიადაგში ვეღარ გაიჟონებოდა და მდინარეს ზაფხულში მკვებავი წყალიც არ ექნებოდა. ტყეს, როგორც წყლის მარეგულირებელს, მარტო ელსადგურებისათვის კი არა აქვს მნიშვნელობა, არამედ სარწყავი წყლისთვისაც. აღმოსავლეთ საქართველოში ბევრია ისეთი ადგილი, სადაც ურწყავად ძეძვიც ძლივს იხარებდა, სარწყავი არხის გაყვანით კი აყვავებული და აქოჩრილია ბაღვენახებით, სახნავ-სათესით.

აღმოსავლეთ საქართველოში კიდევ ბევრი გვაქვს მოსარწყავი, მაგრამ წყალი არა გვყოფნის, იორმა, ალაზანმა, არაგ-

ვმა, ქციამ, ლიახვმა, ქსანმა, მტკვარმა და სხვა მისმა შენაკადებმა კიდევ რომ იკლოს, კატასტროფა იქნებოდა არა მარტო ჩვენთვის, არამედ მეზობელი აზერბაიჯანისთვისაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლხეთის ჭაობების დაშრობაზე დიდი ენერგია და ფული იხარჯება. კოლხეთის დაჭაობების ძირითადი წყარო რიონი და მისი შენაკადებია. ჭაობთა დაშრობის ერთ-ერთი საშუალება მდინარეთა სათავეებში ტყის კარგად მოვლაცაა: თუ სადმე ამოჩეხილია, კვლავ ტყით უნდა დავფაროთ, აღვკვეთოთ ექსპლოატაციის ყოველგვარი სახე, გარდა მოვლითი ჭრებისა. ჩვენი ტყეების ზონის ყოველი უტყეო ადგილის ერთი ჰექტარიდან წვიმის წყალს 15—60 ტონა მიწა, ხრეში, ლამი და ღორღი მიაქვს, მთის მდინარე კი ყოველივე ამას ბარისაკენ მოაქანებს და, რაკი აქ მდინარება მდორეა, ამიტომ ეროზიის პროდუქტები ილექება ფსკერზე, რაც ამაღლებს კალაპოტის ფსკერს, რის გამოც წყალდიდობის დროს მდინარე ადვილად გადმოდის ნაპირებზე. თუ წყალმკრეფ აუზში შევამცირებთ მდინარის მიერ ეროზიის პროდუქტების წამოღებას, ამით შევანელებთ ნაპირიდან წყლის ამოვარდნასაც.

არასდროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მაღლა, მთაში გაზრდილ ნაძვსა და ფიჭვზე, სოჭსა და წიფელზე, მუხასა და რცხილაზე და მათი, თუ სხვა ჯიშის ტყეების, კეთილდღეობასა და სიცოცხლეზეა დამოკიდებული ბარად პურისა და სიმინდის, ჩაისა და ლიმონ-მანდარინის, ყურძნისა და მსხალ-ვაშლის, თამბაქოსა და ბამბის, თუ სხვათა მოსავალი.

ეს ასეა, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ახლო წარსულში (რევოლუციამდელ საქართველოში) ჩვენში ტყეს სათანადოდ არ უფრთხილდებოდნენ, უთავბოლოდ და უყაირათოდ ჩეხდნენ და ანადგურებდნენ, არ ფიქრობდნენ მის აღდგენასა და მოვლაზე, მთაში თუ ბარში მოტიტვლდა დიდი ფართობი. ჯავახეთი ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში ტყიანი იყო. ისტორიული დოკუმენტები ტაბისყურის ნაპირებზე ფიჭვისა და ნაძვის ტევრებს მოიხსენიებენ; ზემო ქართლის ვაკეზე, იმავე წყაროების ცნობით, ისეთი უსიერი ტყეები ყოფილა, რომ სახელმწიფოს თავს აუღია სოფლების დასასახლებლად მათი გაჩეხვა. ასევე ტყიანი ყოფილა ქვემო ქართლი. დღეს კი ეს ადგილები დაფარულია მშრალი ადგილების ბალახეული მცე-

ნარეებით. მაშასადამე, გადაუდებელი და დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა ტყეების უკან დახევა გონივრული ჩარეგის შედეგად შევაჩეროთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს ტყეში ხე თუ მოიჭრება, მხოლოდ ისეთი უნდა მოიჭრას, რომლის მოცილებით სხვა ხეების, უფრო ჯანსაღებისა და კარგების მდგომარეობა გაუმჯობესდება. ჩვენი ტყიდან ხე-ტყის გამოტანა უნდა ემსახურებოდეს ტყის მოვლას, ტყის გაჯანსაღებას, ტყის განახლებას. მით უმეტეს, რომ გადაბერებული კორომი ბევრი გვაქვს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ კოროშებამდე მისვლა ჩვენს ტყის მრეწველებს უძნელდებათ. გზის პირებს უმარჯვებენ და ხშირად ჯანსაღ ხეებს ჩეხენ. მათი წმინდა ვალია მიაღწიონ გადაბერებულ კორომებამდე და აწარმოონ მხოლოდ მოვლითი და ამორჩევითი ჭრები, გაიყვანონ ახალი გზები და ტყის მოვლა მეცნიერულ საფუძველზე დააყენონ. ჩვენმა მეცნიერებამ შექმნა ჩვენი ტყეების მოვლის რაციონალური, მეცნიერულ საფუძველზე დადგენილი მეთოდები. ტყის ექსპლოატაციის დროს მხოლოდ ამ მეთოდებით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

უკანასკნელ 4—5 წლის განმავლობაში ტყის გაშენების საკითხებს დიდი ყურადღება მიექცა. თბილისის გარშემო 4.000 ჰექტარზე დაირგა ფიჭვი და სხვა მცენარე. ყოველწლიურად ნატყევარ ადგილზე 2.000 ჰექტარზე ირგვება ფიჭვი, თეთრი აკაცია, იფნი, ცაცხვი, კაკალი და სხვა მცენარენი, 1957 წლიდან დაიწყო ჭალის ტყეების აღდგენა. ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ იმასთან შედარებით რაც დავკარგეთ, ჯერ კიდევ წვეთია ზღვაში. ტყეების აღდგენის საქმეში მთელი მოსახლეობა უნდა ჩაებას. ტყის მოვლა-გაშენება, არსებულის შენარჩუნება ჩვენი ქვეყნის ყოველი მოქალაქის წმინდა ვალია.

1958 წ.

ჩვენი კერის დედაბოძი

დალოცვილ ჩვენს ხალხს ერთი შესანიშნავი თქმულება შეუქმნია:

„ტყეში ხმა გავარდა: „სოფელში დარბაზი დაინგრაო“.

„ჩვენი ბიჭი ხომ არ ერიაო შიგ?“ იკითხა თურმე მუხამ და როდესაც უპასუხეს არაო, მაშინ თქვა: „კიდეც მაგიტომ დანგრეულაო“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ეს თქმულებაა შემთხვევითი, არც დარბაზი და არც მუხა.

მუხაცა და დარბაზის დედაბოძიც საქართველოში სიმბოლო იყო ჩვენი ხალხის უკვდავებისა, სიძლიერისა, ძირმაგრობისა. ის ადგილები, სადაც მუხები იზრდებოდა, ყოველთვის, წარმართობიდან დღევანდლამდე იყო ხალხის თავყრილობის ადგილი. აქ იხდიდნენ დღეობებს, იკრიბებოდნენ და წყვეტდნენ საქვეყნო საქმეებს. არც ის იყო შემთხვევითი, რომ სწორედ დედაბოძზე იყო მოჩუქურთმებული მზე, როგორც სიცოცხლის მარადიულობის სიმბოლო.

ქართულ დარბაზში დედაბოძიც, თავხეც და კოჭებიც მუხისა იყო. თუ სახლი ქვითკირისა და ბანიანი იყო, ჭერიც მუხისა იყო; თუ ხისა, მაშინ კედელი წაბლისა და ცაცხვისა იყო, თავხე და ბოძი კვლავ მუხა რჩებოდა.

ყოველივე ეს ტყეში თავის ნებაზე ამოზრდილი ხისაგან კი არ იყო გამოჭრილი, გამოთლილი და სახლში მოტანილი, არამედ ბოძიც, თავხეც და კოჭიც ჯერ კიდევ პაპისა და პეპერას მიერ დარგული და მოვლილი იყო, შვილთა და შვილიშვილთა მიერ გამოყენებული, რომელნიც, თავის მხრივ, ასევე ზრუნავდნენ თავის შთამომავალზე.

ვაკე ადგილებში, სადაც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ორ შესამედზე მეტია დასახლებული, ძველთაგანვე არსებობდა (წერილობითი საბუთი მეათე საუკუნიდან გვაქვს) ტყის მეურნეობის ისეთი წესი, რომელმაც ევროპაში თავი იჩინა მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნეში.

ეს წესი შემდეგი იყო: ჭალის ტყეში გამოარჩევდნენ ისეთ ნაკვეთს, სადაც კარგი ხეები იზრდებოდა, შექმნიდნენ სასარეს, საკაფს, უკაფს, საჯალჯეს და სხვ. მერე დაიწყებდნენ ამ ნაკვეთის ისე მოვლას, როგორც მოითხოვდა გამიზნული მეურნეობა: სასარეში არსებობდა ხის დაბელვის წესი. დაბელილი ხე 2—5 წელიწადში ერთხელ (ხის ჯიშზე იყო დამოკიდებული) იჩეხებოდა, სასარეში ჯაგსა და ბუჩქს არ ტო-

ვებდნენ. სასარეებში ჭარბობდა ვერხვი, ხვალო, ოფი, ტირიფი (ესენი 2—3 წელიწადში იძლეოდნენ სარს), იფანი, თუთა, თელა (სარს 3—4 წელიწადში ერთხელ იძლეოდნენ), ჭალი, მუხა (სარს 5—7 წელიწადში ერთხელ იძლეოდა). უ ... ზრდიდნენ ხეებს სამასალედ, უმთავრესად თელას, იფანს (ურმის ხელნა, გუთნის ყელი, ღერძი, დანდალი, ჭალი, უღელი), საშენებლად მოვლილი და გაზრდილი იყო მუხა (დედაბოძი, თავხე, კოჭი, ჭერი), ამ ხეებს 2—3 წელიწადში ერთხელ გვერდის ტოტებს აჭრიდნენ, ასე ასხეპილი ხე სწორი იზრდებოდა. საჯალჯეში იჭრებოდა ეკლიანი ბუჩქი (ქაცვი, კუნელი, ჩიტავაშლა, კვრინჩხი, კატაფშატა და მისთანანი) ღობეს მასალად. საშეშე განმარტებას არ მოითხოვს. არსებობდა აგრეთვე მოსაჭრელი ნაკვეთი, საკაფი და სხვ.

თუ ჭალის ტყეში არ იყო შესაფერი ნაკვეთი, სასარე ან სამასალე ნაკვეთი რომ ამოერჩიათ, მაშინ სასარეს ან სამასალეს საგულდაგულოდ აშენებდნენ, რისთვისაც რგავდნენ ან თესდნენ ამისათვის გამოსაყენებელ ხის ნერგსა და თესლს. ყოველ ნაკვეთს თავისი მოვლის წესი ჰქონდა.

ჭალის ტყის ნაკვეთებში დიდი ყურადღება ექცეოდა პანტის მოშენებასაც. იგი გამოყენებული იყო არა მარტო ნაყოფისათვის, არამედ მერქნისათვის, რომელიც მშვენიერ საჭურჭლე მასალას წარმოადგენდა. მისგან კეთდებოდა კოვზი, ჯამი, სივირა, ხონჩა, ლანგარი, ორომი; ამ ტყეში შვინდი და კვრინჩხიც თავისებურ პატივში იყო, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ შვინდი მაგარსა და კარგს წნელს იძლეოდა, მისგან დაწნული გოდორი და ლასტი სხვა წნელისაგან დაწნულზე დიდხანსა სძლებდა, მეორეც იმიტომ, რომ შვინდისა და კვრინჩხის ჩურჩა და კერკი ხალხის საკვებსაც წარმოადგენდა.

დიდი ყურადღება ექცეოდა ნიგვზნარებისა და თუთნარების შექმნას. XII—XIII საუკუნის ძეგლები მათ ხშირად იხსენიებენ. ასეთი ნაკვეთები ვენახისა და ბაღის გვერდით ბევრი იყო მთელ საქართველოში. „ერთი ძირი კაკალი ერთ ძროხას უდრისო“, ამბობდა ჩვენი ხალხი და მართალიც იყო. კაკალს ხალხის კეთილდღეობის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და ეს მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს. თუთა

ხომ აბრეშუმის საკვები იყო და მეაბრეშუმეობა კი ჩვენში კარგად იყო განვითარებული.

არის ისტორიული საბუთები (X—XVIII სს. სიგელ-გუჯრები, მზითვის წიგნები), რომლებითაც დასტურდება, რომ გათხოვილი ქალისათვის მზითვად სასარე გაუტანებიათ, სიგელ-გუჯრებში ხშირად ჩანს ასეთი ტექსტი:

„ჩვენ ჯავახიშვილთა შალვას ძეთა... მოგვიყიდია თქვენთვის, სააკაძეთა შიაოშის შვილთა გიორგის ძესა ავთანდილისათვის, მკვიდრი მამული სასახლე არჯევენაული მამული მისითა სახნავითა, ნაფუძვრითა, მთითა, ბარითა, ჭ ა ლ ი თ ა, ს ა ს ა რ ი თ ა, ს ა ჯ ა ლ ჯ ი თ ა, ს ა კ ა ფ ი თ ა, წყლითა, წისქვილითა“.

სხვა დოკუმენტებში ჩანს საშეშე, უკაფი, საკაფი და სხვა ტიპის ნაკვეთები.

ვახტანგ VI-ის კანონებით ტყე სახელმწიფო ქონებად იყო გამოცხადებული: „ტყე, ბალახი და წყალი, ხელმწიფისაო“, მაგრამ, იმავე დროს, იმავე კანონებში ეწერა: „სამი რამ არ დაეჭირების კაცსა, ტყე, ბალახი და წყალიო“. ამ მუხლშიც, პირველ რიგში, მოჩანს ტყის მნიშვნელობის, საჭიროების მაღალი და ღრმა გაგება.

ტყის დასაცავად, მასში მეურნეობის წესიერად წასამართავად გამოყოფილი იყვნენ სახელმწიფო მოხელენი: ტყის მცველები, მეყორეულეები. ალექსანდრე მეფის 1 430 წლის სიგელში, მეფის სხვა მოხელეთა შორის, ტყის მცველიც საპატიო ადგილასაა მოხსენებული. მეჩვიდმეტე საუკუნის სიგელში (ნაზარალიხანის 1 690 წლის სიგელი), ცნობილ პირობათა გამო, ტერმინი „ტყის მცველი“ შეცვლილია „მეყორეულით“, (მასაც ტყის დაცვა ეკისრებოდა), „მერმე არჯავნის მ ე ყ ო რ ე ულ ე ო ბ ა თქვენთვის გვიბოძებია“.

ჩვენი ხალხი და მისი ძველი კანონმდებლობა თუ დიდად აფასებდა ტყეს, თუ იცავდა და ამუშავებდა მას, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ტყეს ჩვენი ქვეყნის ბუნების დედაბოძად სთვლიდა. მრავალ წელთა მანძილზე დაკვირვებამ ხალხს დაანახვა, რომ ტყე არა მარტო საწვავისა და საშენი მასალის მომცემია, არამედ მთელი ქვეყნის კეთილდღეობა დამყარებულია ტყეზე, რადგან ტყეზეა დამოკიდებული სოფლის

მეურნეობის განვითარება, ქვეყნის ჰავის ზომიერება. ტყეს უვლიდნენ ისე როგორც ვენახს, ბაღს, ბოსტანს. ყურადღებას არ აკლებდნენ, სასარეში და სამასალეში საქონელს არ უშვებდნენ. იცოდნენ, და კარგადაც იცოდნენ, რომ ტყე მოუვლელობით დაიღუპებოდა, იცოდნენ, რომ ტყე ქვეყნის ეკონომიკის პირდაპირი და არაპირდაპირი დედაბოძი იყო.

ტყე მთიან ქვეყანაში, პირველ რიგში, არის წყლისა და ჰავის შემნახველი და მომწესრიგებელი, ნიადაგის შემნახველი და დამცველი, ბევრგან შემქმნელიც; გარდა ყოველივე ამისა, ტყე ჯავარია და მშვენება ქვეყნისა. განა ტყუილად მღეროდა ჩვენი ხალხი:

მეჯვრიხეო მშვენიერო
წინ მინდორო, უკან ტყეო.

ხალხი სიმშვენიერეს ტყეში ხედავდა; უმღეროდა მინდვრისა და ტყის შეზავებას, შერწყმას; ტყეზეა მარტო დამოკიდებული ჩვენი კლიმატური კურორტების არსებობა. ტყე არეგულირებს მინერალური წყლის დებეტს, ჰაერში ოზონს, ამცირებს ქარების ქროლვას, ახალისებს თვალს, აწყნარებს ნერვებს, ანადგურებს მავნე ბაქტერიებს. ტყეში, ღია ადგილთან შედარებით, ზაფხულში 0,2—0,5 გრადუსით უფრო გრილა, ზამთარში კი 0,1—0,3 გრადუსით უფრო თბილა. მზიან დღეში ტყისა და ღია ადგილის ტემპერატურა ხშირად 10—12 გრადუსით განსხვავდება. ტყეში თუ 20—25 გრადუსია, ღია ადგილას 30—37°-ია; ამჟამად იქ, სადაც ტყე მოსპობილია და სხვა პირობების მიხედვით კი (მინერალური წყაროები, ზღვის ჰავა) კურორტის მოწყობა შეიძლება და სასარგებლოა. პირველ რიგში, ტყეს ვაშენებთ, რაგინდ დიდ თანხებს არ უნდა მოითხოვდეს ეს ღონისძიება; ამის მაგალითია წყალტუბო, მალთაყვა და სხვანი; ჩვენში ბევრია ისეთი ადგილი, სადაც შესანიშნავი სამკურნალო წყარო ან ტალახია, მაგრამ ჯერ კურორტად ვერ ვაცხადებთ, რადგან აქ ტყე თავიდანვე არ ყოფილა, ან მოსპობილა და ახალი კი არ გაგვიშენებია ჯერჯერობით.

ტყეზეა დამოკიდებული ჩვენი მდინარეების წყლის მარა-

გი; ელექტროენერგია, სარწყავი არხების მოქმედება ტყის გულშია ჩამარხული.

მთიან ქვეყნებში, და ისეთ მთიან ქვეყნებში, როგორიც ჩვენი მხარეა, სადაც მთის ფერდოთა უმრავლესობა ციცაბოა და ისეთი ქანებისაგან შედგება, რომლებიც ადვილად იშლება (ქვიშაქვები, ფიქლები, კონგლომერატები, თიხები), ამ მთათა ადვილად და სწრაფად დაშლა ქვეყანას დიდ საშიშროებას უქმნის; ეს ნაშალი, წყალში გარეული, ღვარცოფებსა ქმნის. უცბად წამოსული ღვარცოფი, მთის ხეობიდან ვაკეზე გამოვარდნილი, გადმოდის ნაპირებიდან, სახნავ-სათესს, ბაღსა და ვენახს, სოფელსა და მის გარემოს ჰფარავს ქვიშით, რიყით და ღორღით, ხშირად ამ საფარის სისქე რამდენიმე მეტრს უდრის.

ღვარცოფებმა მსოფლიოს უზარმაზარი ზარალი მიაყენეს. ასე, მაგალითად, 1842 წლიდან 1852 წლამდე ქვედა ალპების დეპარტამენტში 25.000 ჰექტარი სახნავ-სათესი და ბაღ-ვენახი ან ქვიშა-ღორღით დაიფარა, ან ნიაღვარმა მოიტაცა და გააუდაბნოა. ასეთივე ცოდო-ბრალი, მხოლოდ უფრო დიდი მასშტაბით, დაატრიალეს ჩრდილო ამერიკის მდინარეებმა; მას შემდეგ, რაც მეცხრამეტე საუკუნის მეტაცებლურმა კაპიტალმა მოსპო და გაანადგურა ამერიკის შესანიშნავი უღრანი ტყეები, ორინოკოსა და სხვა ხეობებში წყალდიდობამ და ღვარცოფმა მრავალი ქალაქი და სოფელი მიწის პირიდან აღგავა.

არც ინდოეთის ტყეებს დაადგათ ხეირი. ინგლისის კაპიტალმა ჩამოატიტვლა მთის ფერდონი, ყველა მაღალი სამასალედ გამოსადეგი ხე მოჭრა და გამოიტანა. იქ, კი, სადაც წლიური ნალექი 10—12 ათას მილიმეტრს აღწევს (თბილისში ყოველწლიურად 500 მმ მოდის), უტყეო ფერდო, სადაც თუნდაც ბუჩქი და ლეშამბოა დარჩენილი, წყალს ვეღარ იჭერს, წყალი ნიადაგში ჩაჟონვას ვეღარ ასწრებს და მოექანება ხეობისაკენ, სადაც იგი კალაპოტს ავსებს, ვაკეზე გამოჭრილი ნაპირებიდან ამოდის და მრავალ მილიონ ადამიანს უსახლკაროდ ტოვებს; ტყის მოსპობა, განსაკუთრებით მთიან ქვეყანაში, უბედურებაა და ათჯერ უბედურება წვიმაუხვ ქვეყანაში.

ამ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე დიდი წყალდიდობანი იტალიაში, თურქეთში, ინდოეთში და სხვაგან პირდაპირ დაკავშირებულია ტყეების მოსპობასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოც ერთ-ერთი ისეთი ქვეყანაა, სადაც ტყის მოსპობას ასეთივე უბედურებანი მოსდევს, ჩვენი ქვეყნის ფართობის 75 პროცენტამდე მთიანია, ტყით დაფარულია მთელი ტერიტორიის მხოლოდ 35—37 პროცენტი, აქედან 3—4 პროცენტი ვაკეზეა, დანარჩენი მთის ტყეა. ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც ჩვენი ქვეყანაა, ეს ძალიან ცოტაა; ტყიანი ტერიტორია ჩვენს ქვეყანაში თანაბრად რომ იყოს განაწილებული, მაშინ კიდევ არა უშავს-რა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ბევრგან ტყეების უყაირათო ჭრით მთელი ხეობები თითქმის მთლიანად მოტიტვლებულია, რის შედეგადაც ასეთი ხეობის მოსახლეობის არსებობის პირობები გაძნელებულია, ნიადაგი ველარ უნაზღაურებს შრომას და ხალხიც ასეთ ხეობებს თავს ანებებს, იყრება და სხვაგან სახლდება. ესაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ქსნისა და არაგვის ხეობების მრავალი სოფლისა და თემის მცხოვრებლებმა ისევ ტყიან მხარეებს მიაშურეს (თრიალეთის ქედი, გომბორის ქედი); სამწუხაროდ, ტყეებს აქაც ისეთივე დღე დაადგათ, რაც დაადგა ძველ ხეობებში, მაგრამ აქედან წასასვლელი სხვა ადგილი აღარსადაა.

ღვარცოფი ჩვენშიც ჩვეულებრივი მოვლენაა, განსაკუთრებით ისეთ ხეობებში, როგორიცაა მტკვრის ხეობის ზემო წელი (მესხეთი), თერგის, ქსნის, არაგვის, ალაზნის ხეობები და სხვები.

ღვარცოფები განსაკუთრებით ხშირია და დიდ ზარალს აყენებს ქვეყანას თერგის ხეობაში, ატენის ხეობაში, შიგნით კახეთში. კახეთში ეს იმითაცაა გამოწვეული, რომ კახეთის კავკასიონი ალაზნის ჭალისაკენ უცბადაა ჩამოკვეთილი, ბევრგან ქედის სიმაღლე ზღვის დონიდან 3.500 მეტრია და რაღაც 20—25 კილომეტრის მანძილზე 200—300 მეტრის სიმაღლემდე ეცემა. ამ ადგილებში კავკასიონის ძირითადი შემადგენელი ქანები ფრიად ფხვიერი და ადვილად შლადია; ბევრგან ნიადაგის ფენის ქვეშ უკვე დაშლილი და ფხვიერი სქელი ფენა მდებარეობს.

მარცხენა მხრიდან ალაზანს ერთვიან: სტორი, ლოპოტა,

ინწობი, ჩელტი, დურუჯი, ბურსა, შარახევი, კაბალი, ლაგოდეხურა და სხვა მრავალი. მარჯვენა ნაპირიდან კი — ფაფარის ხევი, ჭერმის ხევი, კისის ხევი, მაწანწარას ხევი, ბურდო, ხოდაშნის ხევი და სხვ. ეს მდინარენი და ხევები ზაფხულის განმავლობაში წყალძუნწნი არიან, სამაგიეროდ წვიმის დროს წყალმრავალნი არიან და დიდი ადიდებაც იციან.

ალაზნის მარცხენა ნაპირის ხევები და მდინარენი თავის სათავეს იღებენ კავკასიონზე, უმთავრესად ფიქლებში, მარჯვენა ნაპირისა კი გომბორის ქედზე, სადაც ჭარბობენ ქვიშა ქვები, კონგლომერატები, კირქვები.

შიგნით კახეთში წლიურად 800—1.000 მილიმეტრზე მეტი ნალექი მოდის, დაახლოებით 2-ჯერ უფრო მეტი, ვიდრე თბილისში. მაღლა მთაში კი, ზღვის დონიდან 2.500 — 3.000 მეტრის სიმაღლეზე ნალექი მატულობს და 1.500 მილიმეტრზე მეტს აღწევს. ამ მთებში წვიმა, ძალიან ხშირად, თქეშის სახით მოდის. ზოგჯერ თითქოს ცა ჩამოინგრაო, ისე კოკისპირულად ასხავს ციდან წყალი, ასეთი წვიმის დროს თუ მთის ფერდო ბალახით, ბუჩქით ან ტყით არ არის დაფარული, წვიმის წყალი ნიადაგში ვერ იჟონება და ციცაბო ფერდოდან თავქვე მოექანება, თან მოაქვს ხრეში და ღორღი, ქვიშა და ლამი; ამ დროს, ასეთი მთის ხეობის წყალი წყალს არ გავს, იგი რაღაც შედედებული სითხეა, გეგონებათ კედლის საშენი კირია არეულიო; ზოგჯერ ამ მდინარის „წყალს“ მუჭითაც კი ვერ ამოიღებთ, ისეთი სქელია. ეს უცნაური მასა მოექანება ვაკისაკენ, საშინელი სისწრაფით მოგორავს. თან მოაქვს ძირფესვიანად მოგლეჯილი ხეები, უზარმაზარი ლოდები (1899 წელს დურუჯის ღვარცოფმა 1.000 ფუთიანი ლოდი ჩამოიტანა ს. ყვარელში). სანამ ეს მასა ვიწრო ხეობაშია, მას დიდი ბოროტების მიყენება არ შეუძლია, თუ ხევში არ მოუსწრო ნახირს ან ცხვრის ფარას, მაგრამ გამოიჭრება თუ არა ხეობიდან, ფაფარაყრილი ლომივით მოღრიალე მოედება ბაღსა და ვენახს, მინდორსა და ველს, სოფელსა და ქალაქს, ანგრევს სახლებს, ბოსლებს, კედლებს, ჯებირებს, მიწისპირიდან ჰგვის ყველაფერს, რაც კი წინ დახვდება.

ტიალდება და ვერანდება ბაღი, ვენახი, ყანა და ბოსტანი, ინგრევა სოფელი, სულ რაღაც 30—40 წუთის განმავლობაში

შეიძლება აყვავებული სოფლის ნაცვლად დაგვხვდეს ნაგრეგები, ნასოფლარი და ნაოხარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინწობის, ჩელთის, დურუჯის, ბურსის, კაბალის, ...თა ხეობებში დღესაც შემორჩენილი გვაქვს შესანიშნავი წიფლნარი ტყეები, რომლებსაც ერევა წაბლი, ცაცხვი, იფანი, ბოყვი, თელადუმა, ვერხვი, რცხილა, თამელი, ბალამწარა. მთის ქვემო ნაწილში ბევრია ქართული მუხა, მაღლა მთაში მთის ბოყვი, მთის მუხა, არყი, ცირცელი, მდგნალი; ამ ხეობის მიუდგომელ ადგილებში გადარჩენილია უთხოვარი, ეს ჩვენი ტყეების სიმშვენიერე და ოქროს მადანი.

ჟამთა სავის გამო თვით ჩვენს ხალხში თითქოს ერთგვარი ფსიქოლოგიური გარდატეხა მოხდაო, ბევრი კარგი ტრადიცია დავივიწყეთ და ტყეს მტრულად ვეკიდებოდით, ტყე ბევრგან უდიერი მოპყრობისა და მოუვლელობის გამო ან გამეჩხერდა ანდა მოისპო. თუ მაღლა მთაში ტყე საძოვრებზე გადადის, საძოვარიც უყურადღებოდ და მოუვლელადაა დატოვებული, ე. ი. იქ, სადაც ერთ ჰექტარზე ზაფხულში 2—3 ცხვრის მეტი ვერ გამოიკვებებოდა, 10—15 ცხვარი სძოვდა; ასეთ საძოვრებზეც ბალახის საფარი მოისპო, ჩამოირეცხა ნიადაგი და დაჩნდა ისეთი დედაქანი, რომელიც ადვილად იშლება, ჩნდება ღვარცოფის დაუშრეტელი წყარო, რომელიც ყოველი დიდი წვიმის დროს აურაცხელ ზარალს გვაყენებს.

ერთი ამბავიც უნდა ვიცოდეთ: მთათა დაშლა, გადარეცხვა, მათი რელიეფის ცვალებადობა — გეოლოგიური პროცესია, ადამიანი მას ვერ შეაჩერებს. მაგრამ უყაირათო მეურნეობით მან ეს პროცესი კი არ უნდა დააჩქაროს, არამედ უნდა შეანელოს. „ბუნებაში ცვლილება უნდა შეიტანოს და წარმართოს თავის სურვილებისამებრ და თავის სასარგებლოდ, იმგვარად, რომ იგი ხალხის უბედურებად არ გადააქციოს, თორემ უფრო ხშირად გავიგონებთ: „ადიდდა მდინარე, დაანგრია სოფლები, წარიყა ვენახი, მოგლიჯა სახნავ-სათესი, დაახრჩო ხალხი, საქონელი“.

ხშირად ყოფილა შემთხვევა, როდესაც მთიდან წამოსული ცხვარი უცბად მოვარდნილ ნიაღვარსა თუ ღვარცოფს მთლიანად გაუტაცია, ზოგჯერ მწყემსებიანადაც კი.

როგორც დავინახეთ, ღვარცოფების კერები უმთავრესად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქცეულია იქ, სადაც ნიადაგის ზედაპირმა მცენარეული საფარი დაკარგა (მცირე ნაწილი ღვარცოფებისა დაკავშირებულია მყინვარის და თოვლის კატასტროფიულ დნობასთან). ეს რომ ლიტონი სიტყვები არ არის, დაადასტურა მრავალ წელთა მანძილზე წარმოებულმა დაკვირვებამ და გამოკვლევამ.

ბალახეულით დაფარულ ფერდოდან წვიმის წყალს 10-ჯერ ნაკლები მაგარი ნაწილები (მიწა, კენჭი, ქვიშა) ჩამოაქვს, ვიდრე ბალახის საფარმოკლებულ ფერდოდან. ატენის ხეობაში პირველი მაისიდან 2 სექტემბრამდე 340 მილიმეტრამდე ნალექი მოვიდა. ბალახმოკიდებულ ფერდოს 1 ჰექტარიდან ჩამოირეცხა 1.500 კილოგრამამდე მიწა და ხრეში, ბალახით დაფარულ ფერდოდან კი მხოლოდ 155 კილოგრამამდე. ისეთ ტყეში, რომლის კალთა შეკრულია, წვიმის წყალს მაგარი ნაწილები სულ არ გამოუტანია, მეჩხერი ტყიდან რამდენიმე ტონა მიწა (1 ჰექტარიდან) გამოიტანა. რამდენადაც წვიმა ინტენსიურია, კოკისპირულია, იმდენად უფრო სწრაფად მიდის ნიადაგის დაშლა, ძირს ჩამოტანა, ფერდოს დაღარვა, მასზე ხევებისა და ხრამების გაჩენა. რაკი ნიადაგი ერთხელ დაიშლება, რაკი ზედაპირი დედაქანებამდე მივა, მასზე ტყის ბუნებრივად აღდგენაზე ლაპარაკი ზედმეტია, ხელოვნურადაც მხოლოდ დიდი შრომის შემდეგ აღდგება.

ჩვენმა ხალხმა იცის ღვარცოფისა და ნიაღვარის მიერ მოტანილი უბედურება, ტყუილად კი არ უთქვამს: „ნაღვარევსა ჩასტიროდე, ნაკვალევსა ჩასცინოდეო“. ამავე ხალხს ისიც უთქვამს, რომ „ცულმა მუხას შეუტია, გამიმაგრდი, უნდა მოგჭრაო, მუხამ კი უპასუხა, შენ ვერას დამაკლებდი, ჩემი ძმა რცხილა, რომ ტარად არ გეყაროსო“.

ტყის მიმართ ჩვენი უცოდინარობაა ცულის ტარი, ზოგჯერ უდარდელობა, მომავალის გაუთვალისწინებლობა. მით უმეტეს, რომ „ზოგი კაცი თუ კაცია, ზოგი კიდევ კაცუნაა“ და ასე ფიქრობს: „მე დღეს მჭირია, დღეს უნდა მოვიხმარო. ჩემს შემდეგ ქვა ქვაზედ ნუ იქნებაო“, მაგრამ ასე მხოლოდ მტერს შეუძლია თქვას და მოიქცეს. ჩვენს წინაპართა კარგ საქმეს ხომ ალალი გულით ვაქებთ, კეთილი სიტყვით ვიხსენებთ მათ. ასევე უნდა მოგვიგონონ ჩვენმა შვილიშვილებმა.

სწორედ ასეთი საშვილიშვილო საქმე გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ, რომელმაც განიხილა ბუნების დაცვის საკითხი და მიიღო ბუნების დაცვის კანონი, სადაც [illegible] ადგილი ეთმობა ტყის შენახვის, მისი მოვლის, გაშენებისა და აღდგენის საკითხებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავინ ამბობს იმას, რომ ტყიდან ხე-ტყე და შეშა არ გამოიტანოთო. უნდა გამოვიტანოთ, მაგრამ ტყიდან ხეტყისა და შეშის გამოტანა უნდა ემსახურებოდეს ტყის მოვლას, ტყის დაცვას. ამიტომ ტყიდან უნდა გამოვიტანოთ დაავადებული, გადაბერებული ან ისეთი ხე, რომელიც სხვას, უფრო კარგს, უშლის ხელს; ასეთი ხეების ტყიდან გამოტანა ჩვენს სახალხო მეურნეობას დიდ შემოსავალს მისცემდა, მაგრამ როდესაც ვლაპარაკობთ ტყეში ხეს ნუ მოვჭრითო, ვლაპარაკობთ იმ შემთხვევებზე, როდესაც ზოგიერთი დამამზადებელი არ ითვალისწინებს ჩვენს ბუნებრივ პირობებს, არ ითვალისწინებს შედეგებს და მთის კალთებზე ტყეს ან ზედმეტად ამეჩხერებს, სჭრის უმთავრესად ჯანსაღ და კარგ ხეს, ანდა ზოგჯერ პირწმინდად აპირებს ტყის მოჭრას.

> რაც კაცი თავისთავს უზამს,
> მტერი არ მოეკიდებაო.

სწორედ ასეთ შემთხვევაზე ითქმება. მთის ფერდოზე ტყის პირწმინდად ჩეხვა, ტყის მოსპობა უარესობისაკენ შეცვლის ჩვენს ჰავას, ჩვენს ნიადაგს, მოისპობა ჩვენი ვენახი და ბაღი, ჩაისა და ციტრუსების პლანტაცია, მოისპობა კურორტი, სახნავი და სათესი... რაღა იქნება მაშინ ჩვენი ქვეყანა!

ამიტომ გადაუდებელი ამოცანაა, ამავე დროს, დიდი და საპატიო ამოცანაც, გავუფრთხილდეთ ტყეს თვალისჩინივით, მოვუაროთ, გავაძლიეროთ, იქ, სადაც საჭიროა, ახალი ტყე გავაშენოთ, ჩამოხრიოკებული ფერდობი ახალი ტყით დავფაროთ.

ენგურის ქაღალდის ქარხანა აუარებელ ტყეს ჭამს, სვანეთის ტყის მარაგი მალე ამოიწურება; ამიტომ ერთ-ერთი დიდი ამოცანაა დასავლეთ საქართველოს მდინარეების ჭალარიყენი (ენგურის, მოქვის, რიონის, ცხენისწყლის) დავფა-

როთ ისეთი სწრაფად მოზარდი ხეებით და საერთოდ ტყით, რომელიც 10—15 წელიწადში ერთხელ ქაღალდის მრეწველობაში გამოსაყენებელ მერქანს მოგვცემს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარად, ცხადია, რომ ჩვენს მთიან ქვეყანაში უტყეო ადგილას ტყე უნდა გავაშენოთ, აღვადგინოთ. მაგრამ როგორი და რანაირი ჯიშებით? მარტო ჩვენებური ჯიშებით, თუ უცხოურიც უნდა შემოვიტანოთ? ზოგჯერ უცხოური ჯიშებით ან უმართებულოდ არიან გატაცებულნი (ევკალიპტი), ან ზოგჯერ კარგი უცხოური ჯიში უყურადღებოდაა დატოვებული. ყველგან ერთნაირი მიდგომა არ შეიძლება. ირკვევა, რომ ზოგიერთი უცხოური ჯიში ჩვენში უფრო კარგ შედეგს იძლევა; მაგალითად, ბაკურიანში ევროპული ნაძვი ჩვენს ნაძვზე უკეთესად, უფრო სწრაფად იზრდება. ამ ადგილას 44 წლის წინათ დარგული ევროპული ნაძვები საშუალოდ 20 მეტრის სიმაღლისა და 40 სანტიმეტრის სისქისაა, ჩვენებური, აღმოსავლური ნაძვი, ევროპული ნაძვის გვერდით იმავე წელს დარგული, საშუალოდ 10—12 მეტრის სიმაღლისაა და 10—11 სანტიმეტრი სისქისა. იქ, სადაც ესა თუ ის ჯიში გამოიცადა და ვიცით, რომ უცხოური ჯიში კარგ შედეგს იძლევა, მას არ უნდა მოვერიდოთ.

ჩვენს ტყეებში ველურად იზრდება მრავალი ხილეული: მაჟალო, პანტა, ტყემალი, წაბლი, კაკალი, ბალამწარა, ზღმარტლი, ბალღოჯი, შოთხვი, ცირცელი, შვინდი, კვრინჩხი, ხუნწი, ხურტკმელი, ლამაზად მოყვავილე უცვეთელა, კუნელი და სხვა მრავალი. მთის ფერდობებზე ტყის აღდგენის დროს უეჭველად უნდა გამოვიყენოთ ხილის მომცემი მცენარენიც, ეს ჯიშები ტყის მოვალეობასაც შეასრულებენ და ცოტაოდენ ხილსაც მოგვცემენ. განა ტყეში ტყემალი ცოტას იძლევა? ან წაბლი და კაკალი, ან სხვა? ტყეში ჩვეულებრივი ბუჩქნარის ნაცვლად უნდა დაირგას ზღმარტლი, ხუნწი, ხურტკმელი, უცვეთელა და სხვა ამგვარნი. რასაკვირველია ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთის ფერდოზე ყველგან ეს დავრგათ, არამედ იქ, სადაც მოუხდება. „ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი დაიჭერსო“ ნათქვამია და აქაც მთავარი ყურადღება ადგილობრივ გამოცდილებას უნდა მიექცეს.

გადაუდებელი ამოცანაა ვაკე ადგილებზე, ჭალის ტყის

ნაალაგევზე, რიყეზე, ჭალაში კვლავ აღვადგინოთ ჭალის ტყე. ეს აუცილებელია იმ დიდი ამოცანების გადასაწყვეტად, რომ-ლის მიხედვით საქართველოში ბაღისა და ვენახის ფართობი უნდა გაიზარდოს 78000 ჰექტარით. უნდა გავაშენოთ სასარე-ები, საჭიგოვე. გარდა ძველი ჯიშებისა (ვერხვი, ხვალო, ოფი, ტირიფი, თელა, იფნი, გრძელყუნწა მუხა, ნეკერჩხალი და სხვ.), ამ ტყეში შეიძლება გავაშენოთ თეთრი აკაცია, კანადური ვერხვი და სხვა სწრაფად მოზარდი ხეები.

ქარსაფარების, მინდორსაცავი ზოლების, მთის ფერდობზე ტყის გაშენება, მოსპობილი ტყის აღდგენა მარტო დღევანდე-ლი დღისათვის ზრუნვა კი არ არის, არამედ ხვალინდელი დღისათვისაც. ეს ჩვენი ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნ-ვაა.

1958 წ.

გუნების სილამაზის ძალა და ბარაქა

ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობისათვის, მისი შენარ-ჩუნებისათვის ბუნების სილამაზეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ბუნების სილამაზის ჯავარი კი მისი მცენარეულობაა, გან-საკუთრებით ტყე.

ვინ არ მოუხიბლავს ჩვენს ზურმუხტოვან მთასა და ბარს, დამშვენებულს ტყითა და ბაღ-ვენახით, რომლის სილამაზე გაძლიერებულია ლალითა და იაგუნდით, ქარვითა და მარგა-ლიტით. რაც უნდა ჭმუნვა შემოაწვეს გულზე კაცს, როდე-საც ვენახში . თვალს შეავლებს ქარვისფერი რქაწითელისა და ლალისფერი შავკაპიტოს მტევანს, გული გაეხსნება, სახე-ზე ღიმილი გადაურბენს.

სწორედ ამიტომ იბრძვის ადამიანი ბუნების სილამაზის შესანარჩუნებლად, მის გასაძლიერებლად. ჯერ კიდევ ძველ რომში ციცერონი ამბობდა: „ვინც ტყეს ანადგურებს, ადა-მიანის მტერიაო“.

ესმოდათ მცენარეული საფარის მნიშვნელობა კაცობრიობის მოწინავე ადამიანებს, მაგრამ ამის მიუხედავად, მცენარეული საფარი, ბუნების სილამაზის ეს შესანიშნავი ფენომენი, ყოველთვის საფრთხის წინაშე იდგა.

ბევრი ქვეყანა, წინათ ტყით დაფარული, ახლა ან უდაბნოა ან უდაბნოს კარს მიმდგარა. თურქეთის მრავალი ვილაიეთი, არაბეთის დიდი ნაწილი, ირანი, სომხეთი და სხვა ადგილები წინათ შესანიშნავი ტყით იყო დაფარული.

„ტაბისყურის ნაპირნი ნაძოვან-ფიჭოვანიო“, — წერდა ვახუშტი ბატონიშვილი. დღეს აქ ფიჭვისა და ნაძვის ნატამალიც კი არ არის. ჯავახეთი, წალკა ტყით იყო დაფარული. ტყიანი იყო შირაქისა და აღმოსავლეთ საქართველოს ვაკეთა დიდი ნაწილი. ამ ძველი ტყეების ნაშთები პატარა რელეებად დღესაც ჩანს (წილკანთან, გომთან, ქ. ხაშურთან და ა. შ.).

ყოველივე ეს უცებ არ მოსპობილა. წარსულში ადამიანის შეუგნებელმა მოქმედებამ, „დღევანდელი დღით“ ცხოვრებამ, ხვალინდელი დღის უგულებელყოფამ მოსპო, გაანადგურა ეს ტყეები და ნამოქმედარის შედეგით ადამიანი სახტად დარჩა, მაგრამ გვიანღა იყო თითზე კბენა. ნატყევარზე დაუნდობლად ამოქმედდა ადამიანის უდიდესი მტერი — ეროზია. ეროზია წყლისა და ქარის. ჩვეულებრივად, როდესაც ეროზიაზე ლაპარაკობენ, წყლის უარყოფითი მოქმედება აქვთ მხედველობაში, როდესაც წვიმის წყლისაგან და მოვარდნილი თქეშის მიერ ირეცხება უტყეო მთის ფერდობთა ნიადაგი, როდესაც წამოღებული ხრეშით გაზავებული წვიმის წყალი ღვარცოფად გადაიქცევა და დაუნდობლად ანადგურებს ბაღსა და ვენახს, ბაღჩასა და მინდორს, სახლსა და კარს. ასეთი ღვარცოფებით ზიანდება ალაზნის, თერგის, არაგვის, ლიახვისა და სხვა ხეობათა სოფლები.

არა ნაკლებ ზარალს აყენებს სოფლის მეურნეობას ქარისმიერი ეროზია: საერთოდ ცნობილია უდაბნოებში მტვრიან-ქვიშიანი ქარიშხლები, როდესაც ამოვარდნილ ქარს მრავალი მილიონი ტონა მიწა ერთი ადგილიდან მეორეზე გადააქვს, დიდ ფართობზე იტაცებს მიწას, ნიადაგის ფენას და ამგვარად, სამუდამოდ ან დიდი ხნით ატიალებს მიწათმოქმედებას.

ასეთი ქარისმიერი ეროზია ჩვენში ჩვეულებრივი ამბავია,

განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს ველებში, თბილისის ქვემოთ. მხვნელ-მთესველისაგან ხშირად გაგონილა დით: რაღა როგორ ვარ, მიწა ქარმა მომტაცაო. მარილიც ამ მოდგომის ნათესი აღმოსავლეთის (ქვენა) ქარს ხშირად მთლიანად მოუტაცნია. ქარისაგან ეს მიწის მოტაცება დღესაც გრძელდება იქ, სადაც ჯერჯერობით ქარსაფარი ზოლები გაშენებული არ არის.

ამგვარად, მცენარეული საფარი მარტო ბუნების სილამაზე კი არ არის, არამედ ხალხის ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია. ჩვენი მთის ფერდოები ტყით რომ არის დაფარული, სწორედ ამიტომ გვაქვს უხვმოსავლიანი ბაღი და ვენახი, ციტრუსებისა და ჩაის პლანტაციები, სიმინდისა და პურის მინდვრები, მრავალი თვალწარმტაცი კურორტი და კლიმატური სადგური. მთის ფერდობები ტყით რომ არ იყოს შემოსილი, მდინარეთა უმრავლესობა ელექტროენერგიის დაუშრეტელი წყარო და ბაღ-ვენახების მაცოცხლებელი კი არ იქნებოდა, არამედ ხალხის უბედურების საწყისად გადაიქცეოდა.

სწორედ ამიტომ ჩვენი მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევს ტყეების შენახვას, მოვლას, მოშენებას.

ვისაც კი თბილისის მიდამოებისათვის თვალი გადაუვლია, დარწმუნდება, თუ რა უზარმაზარი მასშტაბებია გახრიოკებული. ახლა შენდება ქარსაფარი ზოლები, მინდორსაცავი ტყეები და ა. შ. ამ მხრივ ჩვენი რესპუბლიკა მისაბაძიც არის, მაგრამ ნურვის ეგონება, რომ მარტო ე. წ. საბიუჯეტო ღონისძიებანი ეყოს მრავალი ათეული წლის მანძილზე ნაზარალევ საქმის სწრაფად გამოსწორებას. ამ სახელმწიფო ღონისძიებების განხორციელებაში მთელი რესპუბლიკის მოსახლეობამ უნდა მიიღოს მონაწილეობა და ამ დიდ საშვილიშვილო საზრუნავში თავისი წვლილი შეიტანოს.

მცენარეული საფარის მოვლა, ტყის აღდგენა, ქარსაფარი ზოლების გაშენება საქვეყნო, სახალხო საქმედ უნდა გადაიქცეს. ყოველმა მოქალაქემ ვალად უნდა იდოს 1—2 ხის გახარება ყოველწლიურად, თვალყურის დევნება იმისა, რომ ხეს და ტყეს უდიერად არ მოექცნენ.

ნურავის ეგონება, რომ დღეს ყველგან საქმე რიგზე გვქო-

ნდეს. აი, თუნდაც თბილისის მიდამოები: ვერეს ხევისკენ, ნახშირგორის ფერდობებზე ტყეს ვაშენებთ (ფიჭვს, მუხას, იფანს). ტყეს ვაშენებთ დელისის ფერდობებზე, მაგრამ ვე მთის ჩრდილოეთის ფერდოზე, ნათლიცემის ფერდობზე ტყის ნაშთებს, ტყეს ვერ ვუვლით, წინდაუხედავად იჩეხება.

აი, ამიტომ არის ფხიზელი თვალი საჭირო. ამიტომ არის მისასალმებელი ჩვენი უნივერსიტეტის მრავალათასიანი კოლექტივის თაოსნობა — „თბილისის ზღვის“ მიდამოებში პარკისა და ტყის გაშენება. ეს ისეთი საქმეა, რაზეც მომავალი თაობებიც ილაპარაკებენ. როდესაც ასეთი პარკი გაშენდება, მას არ უნდა მოაკლდეს მზრუნველი ხელი, განსაკუთრებით მაცოცხლებელი წყალი და, რაც მთავარია, ახალგაზრდობის სიყვარული.

მაშ, ყველანი ჩავებათ უნივერსიტეტელთა წამოწყებულ ფერხულში, დედაქალაქის მიდამოები, „თბილისის ზღვის“ სანაპირონი ვარდ-ყვავილებით, ბაღ-ვენახებით, ხეივნებითა და პარკებით დავამშვენოთ.

სიტყვა და საქმე თქვენზეა, ახალგაზრდებო!

1962 წ.

გონივრულად გამოვიყენოთ ხალხის გამოცდილება

საქართველოს ტერიტორია 6 548 600 ჰექტარია. სიმაღლეების მიხედვით ეს ტერიტორია შემდეგნაირად არის განაწილებული: 0—200 მეტრი ზღვის დონიდან — 12,8%, 201—500—10,7%, 501—1 000—22,7%, 1 001—1 500—16,6%, 1 501—2 000—17,4%, 2 001 მეტრის ზევით — 19,8%.

ამ ტერიტორიის 35—37 პროცენტი, დაახლოებით 2 946 900 ჰექტარი, ტყეს, ტყის ბუჩქნარს, ტყის მდელოს და ტყეში მოტიტვლებულ ადგილებს უჭირავს (ნამდვილი ტყე 2 067 900 ჰექტარია), 42,5 პროცენტი, ანუ 3 152 100 ჰექტარი — სა-

სოფლო-სამეურნეო აგარებია (სახნავ-სათესი, ბაღ-ვენახი, სა-თიბ-საძოვარი და სხვა), 1 549 600 ჰექტარი უჭირავს ქალაქებს, სოფლებს, გზებს, წყლით დაფარულ არეებს, კლდოვან-ღორღიან ადგილებს, რიყეებს.

ამ ცნობებიდან ნათლად ჩანს, რომ ჩვენი ქვეყანა წმინდა მთიანი ქვეყანაა, 25 პროცენტი უჭირავს ვაკეებსა და დაბლობებს, დანარჩენი მხარე მთიანი, გორაკიანი, ხევ-ღრანტიანია.

თავისებურმა ბუნებრივმა პირობებმა შესაფერისი გავლენა მოახდინა როგორც ხალხის ყოფაზე, ისე სოფლის მეურნეობის ტიპსა და მის განვითარებაზე. რასაკვირველია, ადამიანი ბუნებას თავის სურვილებს უმორჩილებს, მაგრამ ეს „დამორჩილება“ უფრო ეფექტური იქნება მაშინ, როდესაც ადამიანი თავის მოქმედებაში გარემოს ანგარიშს გაუწევს, გაითვალისწინებს მის თავისებურებას და თავის მოქმედებაში ამას სათანადო ხარკს მიუზღავს.

ჩვენში არსებობს სოფლის მეურნეობის წარმოების მრავალნაირი სახეობა, რომელნიც საუკუნეთა მანძილზე ყალიბდებოდნენ, იხვეწებოდნენ და ჩვენამდე მოაღწიეს შედარებით სრულყოფილად. ერთ-ერთი ასეთი ტიპი მეურნეობისა არის მთის ფერდობზე ნიადაგის მოვლისა და შენახვის ჩვენებური წესი.

იქ, სადაც იცოდნენ მიწის ყადრი, სადაც ნამდვილი ქართველი მიწათმოქმედი მოღვაწეობდა, რაგინდ დაქანებული ყოფილიყო მთის ფერდო, თუ მასზე კულტურული ნაკვეთი იყო, მას ისე უვლიდნენ, რომ საუკუნეთა მანძილზე ნიადაგის ფენა კარგად ყოფილიყო შენარჩუნებული, ნიადაგს პოხიერება არ დაეკარგა, ყოველთვის მიეღოთ ბარაქა და მაღალი მოსავალი.

ამის მაგალითია ჩვენი მთის სოფლები, სადაც ძველი მხვნელ-მთესველი ხალხია დასახლებული (სვანეთი, ლაშხეთ-ლეჩხუმი, რაჭა და სხვ.). ამ ადგილებში სახნავ-სათესი ხშირად 10—30 გრადუსითაა დაქანებული. მაგრამ მიწა მრავალ საუკუნეთა მანძილზე მაინც რჩებოდა პატრონის მკვებავად, დედა-მიწად, ეს იმიტომ, რომ უვლიდნენ მას.

ეს მოვლა პირველ რიგში იმაში მდგომარეობდა, რომ ნიადაგის ძირითადი ფენა და მისი სინოყივრე შეენარჩუნებინათ, არ ჩამოერეცხა წვიმის წყალს, ნიაღვარს.

სამხრეთ საქართველოში აკეთებდნენ იშვიათად მარჯვე ოროკოებს (ტერასებს). აქ ოროკოს შუბლი ჩვეულებრივად მშრალად წყობილი ქვით იყო ამოყვანილი, სადაც [illegible] ნიადაგს ზემოთ 20—25 სანტიმეტრით იყო ამოწეული, [illegible] ქარსა და წყალს ოროკოს გულის მიწა არ გადმოეტანა. ამ ოროკოებზე ნიადაგი თუ თხელი იყო, ტყის გულიდან გადმოჰქონდათ მიწა (უმთავრესად სახედრებით) და ოროკოს გულის ნიადაგის ფენას ასქელებდნენ ერთ ბარისპირამდე მაინც. ასეთი ოროკოები უმთავრესად თოხით, ბარითა და ბარფიწლით მუშავდებოდა, ხოლო დასამუშავებელი ოროკოებიანი აგარების გარდა ჩვენს მთებში დიდი რაოდენობით იყო და დღესაც არსებობს გუთნით, ჯილღით და კავით ან მათი შემცვლელი თანამედროვე იარაღით დასამუშავებელი მთის ფერდობებზე განლაგებული სახნავ-სათესები.

ცხადია, პირველად ეს სახნავ-სათესი ტყის გაახოვების შედეგია, მაგრამ გაახოება ხელაღებით როდი ხდებოდა. პირველ რიგში სოფელი ან სოფლის განსაზღვრული უბანი მთის ფერდობზე ტყეში ირჩევდა ისეთ ნაკვეთს, რომელიც შედარებით ნაკლებ დაქანებულ ადგილზე იყო და ნიადაგიც კარგი ჩანდა. შემდეგ ააოებდნენ ისეთ ნაკვეთს, რომელიც 2—3 ჰექტარზე მეტი არ იყო, უფრო ხშირად 0,5 —1 ჰექტარის ქვემო და ზემო ნაპირზე ხელუხლებლად ტოვებდნენ 5—10 მეტრის სიგანის ტყის ზოლს.

ამის შემდეგ კეთდებოდა მეორე ნაკვეთი, რომელსაც ქვემო ხელუხლებელი ზოლი პირველი ნაკვეთის ზემო ზოლად გამოადგებოდა ხოლმე. ეს ციწრო ზოლის მცენარეები სავსებით კარგად ინახავდნენ როგორც თავისი ნაკვეთის მიწას, ისე თვით სახნავ-სათესსაც, რომელიც თანდათანობით დამუშავების გამო, მთელ სიბრტყეზე სწორდება და საბოლოოდ ტიპობრივი ოროკოს გულის იერს იღებს. აქაც დატოვებული ტყის ზოლი განიერი ოროკოს შუბლის მოვალეობას ასრულებს. ერთმანეთის მიყოლებით ხშირად 8 და 10 მინდორია განლაგებული.

მინდვრების ტყიან შუბლზე ამ ზონაში გავრცელებული ტყის ხე და ბუჩქები იზრდება (წიფელი, ფიჭვი, ნაძვი, სოჭი, რცხილა, მუხა, თელა, თელადუმა, შქერი, ცაცხვი, ნეკერჩხალი, პანტა, მაჟალო, ცირცელი, ჯახველი, წყავი, ბაძგი, თაგვის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა, კუნელი, ჭანჭყატა, ხეჭრელი, ჩიტავაშლა, სირვაშლა, ცვიდო, კვრინჩხი და სხვა მრავალი). იმ შემთხვევაში, თუ-რომ მიზეზით ეს ზოლი გამეჩხერდებოდა, ხელოვნურად ირგვებოდა ახალი, შესაფერისი მცენარე, ან არსებული ტოტი გადიწიდნებოდა.

ამ ხალხური დაკვირვებისა და გამოცდილების მეოხებით დატოვებულ ზოლებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს.

დღეს ზოგან არის ტენდენცია ამ ზოლების ამოჩეხვისა იმ მოსაზრებით, რომ დამუშავებისათვის სადეკარი უფრო კარგი იქნებაო. ტყის ამ ზოლის გაუქმება დიდი შეცდომა იქნება, რადგან ჩამოირეცხება და მალე მოსახვნელიც არა იქნება რა.

1959 წ.

დამ იცოცხლონ ხოხობმა და კაკაბმა

ჩემისთანა კაცი თოფს თუ აიღებს ხელში, მხოლოდ იმიტომ, რომ მიზეზი ჰქონდეს თავი დააღწიოს ქალაქის ალიაქოთს, ხმაურს, მოუსვენრობას; გავიდეს მინდვრად, ველად, გაუდგეს გზას და თავი მისცეს ფიქრებს, ოცნებას... გახედოს ცასა და დედამიწას, თვალი შეავლოს ლაჟვარდში ავარდნილ ტოროლას, მის დაუშრეტელ ჟღურტულს მიუგდოს ყური. გაეღიმოს, როდესაც ჯეჯილიდან გაიგონებს მწყრის ძახილს: „ქვით-კიროო“ და წაიჩურჩულოს — „სადა გაქვს კირი და ქვა, სახლს უსაძირკველოს აშენებო“. გაიცხოს გუნებაში გუგული, რომელიც გაღმა ჭალებიდან გამოღმელებს გამოსძახის: „გუგუ, თესე, კაფე, გუგუ!“... „რაღა ვთესო, გუგულო? რაც დასათესი იყო, დავთესე. მაგრამ შენ? შენ არცა ხნავ, არცა თესავ, მაგრამ იმკი კი.“

თქვენი არ ვიცი, მაგრამ, როდესაც კაკლებიან ვენახებს გადავუვლი თავზე, ხშირი ფოთლებიდან მოლაღურის გულამოსკვნილი ქვითინი ჩამომესმის: „თუთა-ბალი შემოსულა, შენ კი სად ხარ ბიჭო გოგიაო“, გული ყელს მომებჯინება.

ბევრ კარგად დაწერილ ნოველას მირჩევნია შაშვის გალობა, გულიანი სიყვარულით სავსე, ასე, რომ ამხიარულებს ჭალებსა და ტყის პირებს. მიყვარს იგი იმიტომაც, რომ ჩემი სოფლის მეგობრის, უდროოდ დაღუპული მთის ნიავის ლექსი შაშვის გალობაზე იყო დაწერილი და „თემის“ რედაქციაში ერთად წავიღეთ. ეს გალობა მის სიცოცხლეს მაგონებს, მასავით ლამაზს, გულიანს, მაგრამ ხანმოკლეს.

ასე, ფიქრებში, მოგონებებში გართულს ნარის ბუჩქიდან შეგიფრთხიალდება თავწითელა, ბოლოყორანა, პაწაწინა ჩიტების გუნდი და ატეხენ ერთ ჟივილ-ხივილს: „ბზე იწვის, ბზე იწვის, შენ კი აქეთ რა გინდაო“. გაგეღიმება, გაგეცინება და თავს მისცემ ისევ ფიქრებს.

თუ სადმე ბელტს ან ქვას წამოჰკარ ფეხი, შეიძლება მაშინღა დაუბრუნდე სინამდვილეს და თვალი შეავლო შენს მოწყენილ მეძებარს, რომელიც კუდის ქიცინით შემოგცქერის და რაღაცას გეხვეწება თითქოს.

— არა, ჩემო ასარა, თოფს არაფერს ვესვრით, დაე იცოცხლოს მწყერმაც, კაკაბმაც, შაშვმაც. არას ვერჩით არა? და რახან ეს ასეა, რას აგვიკიდია თოფი, ტყვია-წამალი. სხვა რამით შევცვალოთ თოფი, სიარულს კი ნუ მოვიშლით, — გადავწყვიტეთ ერთ დღეს მე და ასარამ და მეორე წამოსვლის დროს, არც თოფი წამოგვიღია, არც ტყვია-წამალი. ეს ყოველივე ფოტოაპარატმა შეცვალა და მაპატიონ მონადირეებმა, ფოტოაპარატმა არა ნაკლებ მასიამოვნა. იცით, რამდენი და რა მდიდარი დავლა იცის ფოტოაპარატმა! რამდენ ძვირფას სურათს აღნიშნავს ფირი, ხშირად გაუმეორებელს. ხშირად შეიძლება, ისეთი რამ ნახო, რასაც მეორედ ვერც შენ შეხვდები და ვერც სხვა. ფოტოფირი კი აღბეჭდავს მას.

ბებრის ციხესთან, არაგვის ფლატესთან, გორაკის თხემზე, თაგვისარა იზრდებოდა. ეს დასავლეთ საქართველოს ტყეების ჩვეულებრივი მცენარე, აქ აშკარა მოწამე იყო იმისა, თუ როგორ წარმოიშვა აღმოსავლეთ საქართველოს მცენარეულობა; შესანიშნავი ცოცხალი მოწმე ჩვენი გეოლოგიური წარსულისა. ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს ამ ადგილისაკენ წავიყვანდი, ვაჩვენებდი. სურათი ვერ გადავიღე. მოვესწრები მეთქი — ვიფიქრე. ერთ მშვენიერ დღეს კი არც

თავვისარა დამხვდა, არც გორაკი, ბულდოზერებით მოეთხარათ აგური ქარხნისათვის. ამ შემთხვევამ ბევრი რამ მასწავლა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გახდა ფოტოაპარატი ჩემი განუყრელი თანამგზავრი, საჭირო და სასარგებლო თანამგზავრი. ვინ იცის სად არ ვყოფილვარ, რამდენი რამ მინახავს ამ ჩვენს ლამაზ მხარეში; მთათუშეთი და სვანეთი, ივრის სათავე და ლებარდე, შირაქი და პალიასტომი, სუფსის სათავე და ლიახვის პირველი წვეთები, ტანას წყალი დაქცია, დურუჯის ტალახიანი ხევი და ანკარა კოდორი, და დღეს, როდესაც ჩვენი მხარის სხვადასხვა კუთხის რამდენიმე ათასიანი ფოტოსურათების კოლექციას მივუახლოვდები ხოლმე, ისე მეღიმება, როგორც მონადირეს, რომელსაც წინ ნანადირევი უწყვია: თუნდაც აფრიკული ვეფხვი და ლომი, ან ჩვენებური დურაჯისა და კაკბის მთელი გალა.

ყოველი სურათი მართლაც ნანადირევია, შედეგია თავისებური ნადირობისა. გრძელი გზისა, კლდე-ღრეებში ხეტიალისა, დიდი შრომისა და განცდისა...

ერთხელ დაღლილ-დაქანცული ტყის პირას, მუხის ჩრდილში ვისვენებდი. ირგვლივ არაფერი საგულისხმო არ მეგულებოდა. რცხილნარ-მუხნარი ტყე თავისი ბუჩქებით, ბალახითა და ჩხიკვებით ისეთივე ნაცნობი იყო ჩემთვის, როგორც ერთი უბნის გოგო-ბიჭები იცნობენ ერთმანეთს სოფლებში.

მუხის ზროს ვიყავ მიყრდნობილი, გავსცქეროდი კამკამა, დაუსრულებელ ლაჟვარდ ცას. რა სჯობს ასეთ ცას განსაკუთრებით მაშინ, როცა მის ტატნობზე ბამბის თეთრი ქულებივით ღრუბლებია დაგროვილი. კრაზანამ გადაიფრინა და მზერა გავაყოლე. იგი მოპირდაპირე ტყის პირას დატრიალდა და გავოცდი. თითქოს დაბურული ბუჩქნარიდან ტყის დედოფალი გამოვიდა, პირნათელი, ყუჟუნათვალებიანი დედოფალი. შევკრთი, თვალები დავხუჭე: მელანდება-მეთქი — გავიფიქრე.

გავახილე თვალი და ტყის დედოფლის ნაცვლად ამ ადგილას უჩვეულო სილამაზის ყვავილი დავინახე, ტანწერწეტა, კოპწია, პირისფერი გვირგვინით შემკული. იდგა და შემომცინოდა, როგორც მართლაც ტყის დედოფალი. გულის ფანცქალით მივედი მასთან. ეს ხომ რაღაც „იორდასსალამია!“ ასეთი

რამ ჯერ არსად მინახავს! მოვიმარჯვე ფოტოაპარატი და გადავიღე მისი სურათი მრავალნაირად... პირველი ჩვენი შეხვედრა ამით აღვნიშნე. გული ისეთი სიხარულით ამევსო, [illegible] ახალბედას გაუხარდება პირველი დავლა, პირველი [illegible], პირველი კაკაბი, და მართლაც ეს მცენარე ახალი აღმოჩნდა მეცნიერებისათვის, მას „მაიკოს იორდასსალამი“ ეწოდა.

შემდეგში ბევრი ვეძებე, მაგრამ ისეთი ლამაზი, ისეთი კოპწია გადასაღებად მარჯვე, როგორიც იყო პირველი „მაიკოს იორდასსალამი“ აღარსად შემხვედრია. ძალიან იშვიათია იგი. როგორ ვინაღვლებდი, რომ მაშინ ფოტოაპარატი არ მქონოდა.

მიდიხარ ჩვენს მთებში, მიიწევ მაღლა-მაღლა, გაინტერესებს რა უნდა იყოს თოვლის პირზე, ყინულებთან... თოვლის პირზე ამსვლელს ისეთივე მუხლი უნდა ჰქონდეს, როგორც ჯიხვზე და შურთხზე მონადირეს. ისე ძნელია თოვლსა და ყინულს შორის მოყვავილე მცენარის მოძებნა, როგორც შურთხისა ქვების ნაზვავში, ან კიდევ როჭოსი დეკიანში. მაგრამ კლდის ნაპრალში ჩაჟუჟულ მოელვარე წითელ ფურუსელას, ან ქარცხვს თუ დაინახავ, გულიც საგულეში ჩავარდება, მუხლიც შეწყვეტს კანკალს და სწრაფად მოიმარჯვებ ფოტოაპარატს, დაუმიზნებ და, თუ საჭიროა, წამოუწვები კიდეც, მოსწევ ჩახმახს, არა საკეტს, ჩააჩხაკუნებ, „არის“! კიდევ ერთხელ, კიდევ... და გულსავსე, რომ კარგი ნანადირევი, არა, ფოტოსურათი გადაიღე, გადაინაცვლებ ახალ ადგილისაკენ, ახალი ნანადირევის საძებნელად.

ან ძებნა რად გინდა, შენ წინ ამართულია თეთნულდი და უშბა, შხარა და შტავლერი, გულგადაშლილია რიონის ხეობა და ენგური... ბუმბერაზნი ურთიერთის მჯობნი, განუმეორებელნი. გასცქერი და ფიქრობ, როდისღა ამოხვალ ამ სიმაღლეზე, დროს ხომ თავისი მიაქვს, მიაქვს მუხლიც და გულიც... და იბეჭდება ფოტოფირზე ჩვენი ბუნების სილამაზე, მთა და ბარი, ტყე და მდელო, ხევი და ღრანტე, მყინვარი და თოვლი... მრავალ წელთა შემდეგ დახედავს ჩვენი შთამომავალი ამ სურათს და კვლავ აღეძვრება სურვილი იქით წასვლისა.

განა მარტო მთებია სავსე ასეთი მოულოდნელობით! ველი კიდევ გადამეტია. ვინ იტყვის, რომ ზაფხულში, განსაკუთრე-

ბით, გვალვის დროს, შირაქის ყამირში, სადაც 40 გრადუსიანი სიცხეა და დაბერილი ძარღვები მტრედის გულივით ... ნახავს ისეთ რამეს, რაც დაავიწყებს, სიცხესაც, უწყლობასაც?

მაგრამ აქაც ისეთივე ლამაზია ბუნება, როგორც მთაში, აქაც ისევე ბევრია „სანადირო“, თუ არ დაიზარებ, თუ გაირჯები.

ისეთი გვალვა, როგორიც 1961 წლის ზაფხულში დაიჭირა, საქართველოში 60 წელია არ ყოფილა. მიწას ცეცხლი ეკიდებოდა, საქონელი შიმშილისაგან ბღაოდა. მიდიოდა გადამხმარ მინდორზე და ნატერფალზე მტვერი ასდიოდა. პირი უშრებოდა, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა; სადღაც „შავჩოხიანი“ გადისრიალებს და გეზს შეგაცვლევინებს. „რა მინდოდა ამ პაპანაქებაში, რა მომარბენინებდა“, — გავიფიქრებ. მაგრამ, ბიჭოს! რა ღაღანებს ასე მწვანედ, ასე ხასხასა რა უნდა იყოს?

გული გიფანცქალებს და ისე მიდიხარ ამ უჩვეულო მწვანე მცენარისაკენ. ვეებერთელა მწვანე ბალახის ბუჩქია. ეს ხომ ქარქვეტაა, გაზაფხულზე, რომ კრეფენ და მწნილად დებენ. ნუთუ ასეთი გვალვის გამძლეა? ირგვლივ ყოველი გადამწვარა, მტვრად ქცეულა, სახედარიც კი ვერას პოულობს, რომ კბილი მოჰკიდოს და ეს კი ვითომც აქ არაფერიაო, მწვანედ ხასხასებს. ეს ხომ ძვირფასი თვისებაა ხრიოკ, უწყლო ადგილების დასამშვენებლად და დღეს, მეტი რომ არა მენახა რა, ესეც საკმარისი იქნებოდა, თუნდაც ხვალაც ნურაფერს ვნახავ. ქარქვეტას ამ თვისების დადასტურება თუნდაც ერთი კვირის შრომად ღირდა.

უკვე ვეღარა ვგრძნობ სიცხეს, გული მღერის და მივდივარ წინ. მე ხომ კაი ნანადირევი მაქვს უკვე. მივდივარ და გაოცებისაგან ერთხელ კიდევ ვჩერდები. ღრმა და მაღალ ფლატეზე ვარ დამდგარი, ძირს გადაშლილია საკმლის ხის, ვაშლოვანის ნათელი ტყე, ეს განუმეორებელი სიმშვენიერე ჩვენი ბუნებისა. ასეთ რამეს ჩრდილო აფრიკის უდაბნოს ნაპირებზე ნახავს კაცი, აფრიკის სავანებში.

ვაშლოვანი ჩვენმა ხალხმა დაარქვა იმიტომ, რომ ზევიდან იგი ვაშლის ბაღსა ჰგავს, ხეები ქოჩორაა, ბურთივით მრგვალი, ურთიერთს დაშორებული. ისინი ისეა განაწილებული

მთელ ამ ფერდობზე, როგორც წყალი ეყოფათ. ყოველ ხეს თავისი არჩივი აქვს, ზედმეტს არავინ დაანებებს, არც ნაყოფს მიიღებს, რაკი აქ გვალვა იცის, ნიადაგში წყალი ცოტაა, თითო ხეს მეტი ფართობი სჭირია, ვიდრე ნამდვილ ტყეში. ამიტომაა იგი „ნათელი“, ჩვეულებრივი ტყისაგან განსხვავებული. მეტად მკვეთრად, მეტად მძაფრად ჩანს აქ ბრძოლა არსებობისათვის, ყაირათიანადაა გამოყენებული ბუნების მთელი საწარმოო ძალა, როგორც ჰაერში, ისე მიწის სიღრმეში. მიდიხარ ამ თავისებურ სავანეებში და გაოცებს უზარმაზარი ხეების სიხშირე, ზოგის დიამეტრი მეტრზე მეტია, მაშასადამე, ათასწლისანი მაინც არიან. იჩქარი, რომ ფოტოფირზე აღნიშნო, გეშინია ვაითუ ხვალ ვერც კი შეხვდე ასეთს, ადამიანის დაუნდობელმა ხელმა მოსპოს. განა ცოტა იყო უზარმაზარი უთხოვარი, კაკალი, ძელქვა, მუხა, დათვის თხილი და სხვა ასეთი, მაგრამ დღეს სანთლით საძებნი გამხდარა.

რად ღირდა სოფ. ბაბანეურში შეხვედრა. ერთ ბაბანეურელს ვთხოვე ესწავლებინა გზა ძელქვიანებისაკენ. ვერა გავაგებინე რა. უცბად გადმოდგა წინ ჭაღარაშერეული, ჭარმაგი ვაჟკაცი, დიმიტრი გაუარაშვილი. ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ქედზე მიმითითა და მითხრა: ტყიდან რომ ყველაზე მაღალი ხე ამოზრდილა, ხომ ხედავ, ჰოდა ეგაა ერთი ძელქვა, „ტყის ბელადს“ ვეძახი. დილით, როდესაც თვალს გავახელ, მაგას გავხედავ, დგას თუ არა, მის ქოჩორს, რომ დავინახავ, გული სიხარულით მევსება. იცოცხლე დიდხანს, ჩემო ბელადო! — შევძახებ ხოლმე...

ტყის ბელადიც და დიმიტრი გაუარაშვილიც, რომელმაც ბელადთან მიმიყვანა, ჩემი კოლექციის ძვირფასი ნიმუშებია.

არ ღირდა მათი ფირზე აღბეჭვა? ღირდა.

ერთი მონადირისა არ იყოს, სიტყვა გამიგრძელდა. ყოველივე ზემოთქმულისათვის „ვნადირობ“ ხოლმე ჩემს ახალ „ნადირზე“, მით უმეტეს, რომ დალოცვილ ჩვენს ქვეყანაში ძველი სანადირო გაწყდა. ერთი ორი ხოხობი გადარჩა და დაე იცოცხლონ ჩვენი მხარის დასამშვენებლად.

1962 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რქამოტეხილი ჯიხვი

ჩემმა ქარავანმა განვლო სოფლები: ფშაველი, ლეჩური და შეუდგა მჩქეფარე და დაუდეგარ, ადუღებულ რძესავით მოქათქათე სტორის ნაპირას გაჭრილ ვიწრო ბილიკს. ქარავანი — მეთქი, ხუმრობა არ გეგონოთ. მართლა ქარავანია — ცხრანი ვართ, თექვსმეტი ცხენი გვყავს.

ქარავანს წინ სამსონი მიუძღვის, ბოლოს პავლე მოსდევს, შუაში ლაზარე და კიმო არიან. პავლე წოვათუშია, დანარჩენი ჩალმებია და ერთმანეთს არ ასვენებენ, ექილიკავებიან. პავლე ჩალმებს თუშებად არ თვლის, — თუში მე ვარო, ჩალმებს ეს სიცილად არ ჰყოფნით: ნამდვილი თუშები ჩვენ ვართო. მთელ ზაფხულს ვერ მორჩნენ დავას, ერთმანეთს ეარაკებიან. „ალაზნის პირას ჩალმებს დაედოთ ბინა და ცხვარს ასვენებდნენ, თურმე გზაზე ახალი ფარა დაინახეს. აგერ თუშები მოდიან კიდეო, — თქვა ერთმა, — თუშები კი არა, წოვებიაო, — უპასუხეს სხვებმა. ახლა მომავლებმა დაინახეს დაბინავებულნი და თქვეს: — თუშებს ბინა დაუდვიათო. — თუშები კი არა, ჩალმებიაო, — უპასუხა თურმე მეორემ. და, აი, ასე უმასპინძლდებიან ერთმანეთს არაკებით, მაგრამ არასდროს კეთილ და გულიან ხუმრობას არ გასცილდებიან.

ქალაქელები ხუთნი ვართ. შვიდ ცხენს ჩვენი ბარგი ჰკიდია. ლაზარე და კიმო ხშირად დაქვეითდებიან ხოლმე და უკივიან კლდეზე გადამდგარ ცხენს. აი, ერთს კიდეც დაუსხლტა ფეხი, სტორის კლდეზე გადაეკიდა. ლაზარე ცხენიდან კი არ გადმოხტა, აფრინდა... აფრინდა და თვალის დახამხამებაზე განწირულ ცხენთან გაჩნდა, კუდში სწვდა. ცხენიც მოსწყდა კლდეს და უკვე ნელა, ლაზარესთან ერთად დაეშვა მდინარის ნაპირისაკენ. ცხენი კანკალებდა, თრთოდა. შევასვენეთ და რის ვაი-ვაგლახით ხუთმა-ექვსმა კაცმა ამოვიყვანეთ ბილიკზე. დავაბარგეთ. ლაზარემ გონზე მოვიდესო, საბელი შეაბა, წინ გაუძღვა. ახლაღა ვიფიქრე, რომ ჩემი ცხენიც შეიძლება დაგორებულიყო, აღვირი ავკრიფე.

— შენი ცხენი ნებაზე მიუშვი, გამოცდილია, ნუ გეფიქრება, — თითქოს ჩემი ფიქრი გაიგო, გამომძახა სამსონმა. სიწითლემ გადამკრა: ეს როგორ მომივიდა, — გავიფიქრე —

ცხენი ხომ ჩემთვის უცხო არ იყო. რაღას ვიზამდი, ძალაბა-
ეროვნული
ბიბლიოთეკა
რევი ღიმილით თავი დავუქნიე და სტორის აქოჩრილ ტალ-
ღებს მაინც გავხედე. მთაში ხეებში დაგროვილი თოვლი დნე-
ბოდა და სტორი ბობოქრობდა, ღრიალებდა, ყეფდა, კაპა-
სობდა...

ვიწროა სტორის ხეობა, შვეულად დაშვებული მთის ფერ-
დო, უფრო კი კბოდე, პირდაპირ მდინარის პირას არის მომდ-
გარი, განსაკუთრებით მარცხენა ნაპირზე. მის ზემო მხარეს
თვალი, რომ აუწვდინო, ქუდი გადაგივარდება. მთა შვეულად
ან კიბე-კიბედ ეშვება და რამდენიმე ოროკოს ქმნის, ხოლო
ოროკოებზე უზარმაზარ ხეებს მოუკიდიათ ფეხი, ორმოცი-
სამოცი მეტრის სიმაღლის წიფელი, ცაცხვი და იფანი აშრი-
ალებს თავის ხშირ ფოთლებს. ლეჩურთან მოთავდა ალაზნის
პირის თავისებური ჭალა. იგი ხომ კოლხური ტიპის ტყეა, იშ-
ვიათი ნაშთი ძველი ტყისა აღმოსავლეთ საქართველოში. აქ
შესანიშნავი ლაფნარია, ლალისყურთან კი ძელქვიანი, თალი-
შის (ლენქორანის) კვალიც ჩანს. ჩვეულებრივი სუროს გარდა
თალიშური სურო წიფლის ტყეს კარგა შორს მისდევს. ქარ-
თული მუხა, იქ, სადღაც ლეჩურთან შეცვალა რცხილამ და
იფანმა. აქ კი შესანიშნავი წიფლნარია. ოცდაათი — ორმო-
ცი მეტრის სიმაღლის ხეებს მხოლოდ წვერზე აქვს მოდებუ-
ლი ქოჩორი. ზოგან ბილიკი მაღლა იწევს და ამ უზარმაზარ
წიფლნარს ზევიდან დავცქერი, ამ დროს სტორს ვეღარ ვხე-
დავ: ვუსმენ მხოლოდ მაღლიდან, თითქოს ციდან გადმოქუხს
ჩანჩქერი, ისიც ტეხილია ოროკოსავით. თვითეული საფეხურის
შუბლი ორმოცი მეტრი მაინც იქნება. ძირამდე ჩანჩქერის
წყალი კი არა, წყლის მტვერი ჩამოდის და ციდან ფერებს
ნაირნაირად ამტვრევს.

მზე საშუადღეოზე იყო ამოწეული, როდესაც თორღვას
აბანოს ამოვაღწიეთ. ჯერ ზაფხული ძალაში არ არის შესული,
მაგრამ თითო-ოროლა კარავი მაინც მოჩანს. თორღვას აბა-
ნოს დიდი სახელი აქვს გავარდნილი: მრავალ სენს კურნავს
თურმე და ზაფხულობით აქ კაცი ფეხს ვერ აუქცევს. სამ-
კურნალოდ მოდის თუში და კახელი, ქისტი და ლეკი...

— ცხენებსაც არგებს შესვენება და ჩვენც, — გამოაცხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სამსონმა. წიფლის ჩრდილოებში შევაყენეთ ცხენები, მოვ-
ხსენით ბარგი, შეკაზმულობა და გავუშვით მწვანე ბალახზე.

ჩვენც გავმართეთ მუხლი.

თორღვას წყაროსკენ გავეშურეთ. ცხელა. გადმოსჩქეფს
კლდიდან დაუსრულებელ ნაკადად მომავალი დიდი სიმდიდ-
რე ჩვენი ქვეყნისა. ეს ქეჩის კარვები, ნეშოს ქოხები ხომ ბალ-
ნეოლოგიური კურორტის წინაპარნი არიან — დასაწყისი, სა-
თავე. ალბათ, ეს ფერდობნიც მალე ლამაზი შენობებით აფე-
რადდებიან.

მზე უკვე გადახრილი იყო, როდესაც კეპნების ბილიკს
შევუდექით. ეს ბილიკი კი. არა, ეშმაკის კიბეა, წვერამახვი-
ლებულ კლდეთა შორის ღარივით რომ მიდის, ცხენები ხვნე-
შით, ოხვრითა და ფრუტუნით მიიწევენ ზევით, სულ ზევით...
თუ გაუჭირდება ცხენს, შეფერხდება ან გადაიხრება უფს-
კრულისაკენ თუში შეუკივლებს ერთ-ორს და ისიც გაისწო-
რებს ნაბიჯს, ავარდება შედარებით „სწორ“ ადგილზე და
გაჩერდება, ქარს ამოიღებს, დიდხანს აღარ დააყოვნებს —
კვლავ მიისწრაფვის ზევით, თითქოს ცისკენო.

ფეხდაფეხ მივდევ ჩემს ცხენს. მეც თუშებს ვბაძავ კარგი
მხედარი დაღმართზე ცხენს არ შეჯდება, მაგრამ, არც მე-
ტისმეტად უჯიათ აღმართზე. უკან უნდა მისდიო და ხმით გა-
ამხნევო. მაგრამ, ვგონებ, მე ჩემს თავს უფრო ვამხნევებ,
ვიდრე ჩემს საღარას.

ერთ გზაწვრილზე მთათუშეთში მიმავალი ოჯახი წამოგვე-
წია. თუშს ორი სახლი აქვს (ჩაღმას): ერთი მთაში, ერთი ბა-
რად, ძირითადად — ქვემო ალვანში, თითო-ოროლა ლაწის-
ყურსა და ფშაველში, შეხვდებით პანკისის ხეობაშიც. შე-
მოგვხვდნენ მგზავრები ათიოდე ცხენზე დიაცები სხედან.
ვაჟები ცხენებს ფეხდაფეხ მისდევენ. ერთი ქერაულვაშიანი
ვაჟკაცი დიაციან ცხენს თავს ევლება. აი თურმე რაშია საქ-
მე! ცხენზე გადაკიდებული ხურჯინის ორივე მხრიდან თავი
ამოუყვია ორ მაყვალთვალება ბალღს. პირველად ვხედავ
ასეთ მგზავრებს, მიკვირს. თანამგზავრები მიამბობენ: ამ ორი-
ოდე კვირის წინათ შენაქოელ დედას ბალღებიანი ცხენი გა-
დაუვარდა სტორის ბილიკიდან. დედამ აღვირს არ უშვა ხე-
ლი, თან გადაჰყვა და ცხენი შეაჩერა. მოხდა საოცრება. ბავ-

შვებიც გადარჩნენ და დედაც. ახლა ამათ აღარა მოუვათ-რაო, დაასკვნეს.

როგორც იყო, „ავივაკეთ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენზე შევსხედით და მზე რომ ჩაიწვერა, ალაზანზე ავედით. აქ უნდა ვათიოთ ღამე. მთაში ღამე არ მგზავრობენ. საღამოა და სამშვიდობოზე ჩასვლას ვერ მოვასწრებთ. მოვხადეთ ბარგი, საკაზმი. აქ კი ნამდვილად ვშველი, ცხენის ყადრი გამეგება. მე ხომ ძველი „ნასალდათარი“ ვარ, კაი ხანს ზარბაზნის ძირის ცხენების მეხრე. ჩემს ახალ მეგობრებს უხარიათ.

სანამ კარავს დავცემდით, პავლემ ერთი დიდი ზურგი დეკა მოიტანა — ცეცხლი დავანთოთ, მწვადი შევწვათ, ცხვრის ხორცი გვაქვსო.

— ერეკლე ნეფე რო კვდებოდა, — წამოიწყო ლაზრომ, — ინატრა: ნეტა, ისე არ მოვკვდე დეკაზე ნახუხი მწვადი არ მაჭამა და ზედ თოვლის ნაჟური წყალი არ დამალევინაო.

— აი თოვლის ნაჟურიც, — მიმითითა პავლემ მოჩუხჩუხე ნაკადულზე, მართლაც იქვე ფერდობზე თოვლი მოჩანდა, მისი სათავე.

— რა გემო აქვს დეკას ალზე შემწვარ მწვადს, ახლავე გაიგებ!.. — გამომეხმაურა სამსონი.

დაინთო ცეცხლი, ტკაცა-ტკუცი დაიწყო დეკამ.

— აბა, ბიჭებო, კიდევ ჩამოვზიდოთ, ღამე ცივი იქნება, — თქვა პავლემ და თითქმის ყველანი დეკიანისკენ გაიყოლია.

ღამე ჩამოდგა. ცაზე გუნდ-გუნდად აინთო ვარსკვლავთა კრებული. სუფრამ გემრიელად ჩაიარა. მართლაც, სურნელოვანი იყო მწვადი, დეკას ხომ ბევრი აქვს ეთეროვანი ზეთი... ის აძლევს ამ გემოს და არომატს. გარდა ამისა, ნამგზავრს რომ მწვადი გემრიელი მოეჩვენოს, რა გასაკვირია? თოვლის ნაჟური წყალი მწვადის შემდეგ მაცოცხლებელ სასმელად მეჩვენება.

მალე გავეხვიეთ ნაბდებში, ბარგთან წამოვწექით და თვალი ჯერ კიდევ მოვარაყებულ ცას უცქეროდა, როდესაც ჩამეძინა. ალბათ მძინარემ თუ დავხუჭე თვალი. დილით რომ ავიხედე, შავი კლდე და საყორნე თავს დაგვცქეროდა.

— აბა, ლაზრო, კიმო, თქვენ ცხენებს მოუარეთ, აქ სამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს მაინც დარჩებით. დანარჩენები საყორნისაკენ ავყვეთ.

— თოფს წამოვიღებ, — მთხოვს სამსონი. ოთხი თვალი გვაქვს, შამხანა. სამსონი და ლაზარე ძმები არიან. ამბობენ, რომ მაგათთანა მონადირენი მთათუშეთში არ არისო. განსაკუთრებით სამსონს აქებენ. ჯიხვებზე მონადირე ყოფილა. ძველი წესით თოფი უკვე სამჯერ უნდა ჰქონდეს დამარხული. ვაჟას თქმით ასი ჯიხვის მოკვლის შემდეგ თოფს მარხავდნენ თურმე. თვითონ სამსონი არაფერს ლაპარაკობს, სხვები კი გვიამბობენ. განა, მარტო ჩვენი გამყოლები? არა! სადაც კი გავჩერდით მთაში, ყველა ვალდებულად თვლიდა თავს, როცა სიტყვა მოიტანდა, სამსონიც შეექო.

— პავლე შენც აიღე.

— მენა? მე ერთი ბეღურა მყავს მოკლული, ჩემს სიცოცხლეში. დამამძიმებს... — და თოფს ხელი არ მოჰკიდა.

ავყევით ფერდობს და მალე დეკიანს შევერიეთ. დილის ნამისაგან ფეხი მუხლამდე დაგვისველდა. მზე ამოსულია, მაგრამ საყორნეს ეფარება, ცაში ატყორცნილ სხივებს ვხედავთ მხოლოდ, ჩვენთან კი კარგა მუქი ჩრდილია. გრილა, ხევებიდან ნისლი ნელ-ნელა ბოლავს და მაღლა მიიწევს ლაჟვარდისაკენ, უცბად ცხვირწინ როჭომ შეიფრთხიალა. რა ლამაზია წყეულო! შავი, წითელსაყურეებიანი, გეგონება, გიშრისაგან გამოუკვეთიათო, ჭახჭახით ნისლში შეერია და სანამ შთაინთქებოდა, ნისლის თეთრ ზეწარში გაშლილი მისი შავი ფრთები და წითელი საყურეები უჩვეულო ფერების შეხამებით თვალს ატყვევებდნენ. რკინის გული უნდა გქონდეს ადამიანს, რომ თოფი ესროლო და ძირს ჩამოაგდო. კიდევ კარგი როჭოზე მონადირეს მგლის მუხლი მოეთხოვება, სუნთქვა ამირანისა და მისი ძმებისა. ასეთნი კი ბევრნი არ არიან!

დეკიანებს ავცდით, მაღლა მთის მდელოზე ვართ, ორიათას შვიდას მეტრზე მეტია ზღვის დონიდან. მთამაღალის გაზაფხულია, თოვლი ახლახან აუღია. ზოგან მიწა ჯერ კიდევ სველია, ნათოვლარი კარგად ეტყობა. ხნარცვში თოვლი ჩანს, მაგრამ მისი ნაპირი და სველი მდელო უკვე დამშვენებულია ასფურცელას ხალიჩასავით. აი, თოვლისპირას მორცხვად იღიმება პირისფერი ფურუსელა, ოქროსფერ დიდბაიას თვალები დაუბდღვიალებია. ამწვანებული მოლი კი, გეგონებათ, თვალ-

მარგალიტით, ზურმუხტ-იაგუნდითა და ფირუზით მოჭურვა-თო, — კაბას გავს სადედოფლოს; მიწის პირიდან შემოგვცი-ნიან: ოქროსფერი გვირილა და მთის ბაია, ცისფერი ყვავილა, ცისთვალა, ქათქათა ცხენის კბილა, დაგვიანებული ენძელა, ყვითელხალიანი ღვინა, გუგულის კაბა და მრავალი სხვა — გაზაფხულის პირველი მაყრიონის მომღერლები. ფრთხილად მივდივარ, ფეხს ვარიდებ, ზოგან ჩავიჩოქებ და თვითეული მათგანის სახელწოდება ჩემს სამგზავრო რვეულში თავის ადგილს იჭერს. ზოგს ძირფესვიანად ვიღებ და აბგაში ქაღალდებს შორის ვალაგებ.

— რას არ ნახავს კაცი: შავი კლდის ბალახს ქაღალდში ახვევენ და ქალაქში მიაქვთ! — თავს აქნევს პავლე.

შავი კლდე ნისლმა დაფარა და მალე ჩვენც გავეხვიეთ თხელ ბურუსში.

— არა უშავს რა. მზე გამოიხედავს თუ არა, აიკრიფება, — მამშვიდებს სამსონი.

რამდენადაც მაღლა მივიწევთ, იმდენად უფრო დედდება ნისლი. ფეხქვეშ ქვამ და ნამსხვრევებმა იმატა, უკვე ლილოჭრილოებში ვართ. თოვლი მარტო ხნარცებში და ჩავარდნილ ადგილებში კი არა ჩანს, არამედ გავაკებულზეც. სიმაღლისმზომი სამიათას მეტრს აჩვენებს. ჩვენ მაინც მივიწევთ ზევით. უცბად ნისლებში ფრთათა ტლაშუნი და კრიახი ატყდა.

— შურთხები! — ვერ მოასწრო ამის თქმა სამსონმა, რომ ჩვენს წინ ნისლში რაღაცამ გაიელვა. დაგორებული ქვა და ღორღი ხრიალით ჩაეშვა სადღაც.

— ჯიხვებმა გადაირბინეს, შურთხებმა გაგვცეს, — თავი გადააქნია სამსონმა. — მთაში ამბობენ: შურთხი უფალმა ჯიხვს მიუჩინა დარაჯადო, ჯიხვებს ატყობინებს მონადირის მიახლოებასო.

ერთი შეხვედრით ეს მართლაც ასე ეჩვენება კაცს. შურთხი ჯიხვების არვესთან, მათ საძოვართან სადილობს. ძალიან ფრთხილია და მონადირისა თუ სხვათა მოახლოებას სხვაზე ადრე იგებს. ფრთების ტლაშუნით, კრიახით აფრინდება ხოლმე, და რა გასაკვირველია, რომ ჯიხვებიც დაფრთხნენ.

— ნეტავ, ხეირიანად დამენახა მაინც, — გავიფიქრე და ხმამაღლა აღარ ვთქვი ეს. არც სამსონი ამბობს რამეს.

მზემ წამოიყელყელავა, შავ კლდეს თავზე დააღგა, ნისლი გაქრა ისე, თითქოს არც კი ყოფილიყო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავზე დაგვადგა ბრწყინვალე და მოელვარე ლაჟვარდ-გუმბათი. ჩრდილოეთით გაწვა კავკასიონის გამყოლი სპეტაკი ქედი. აი, ტებულო (სწორედ ტებულო და არა „თებულო"), აწუნთა, მყინვარწვერი, ადაიხოხი, შორს იალბუზი... თითქოს ისახება შხარაც, თეთნულდიც. განა, შეიძლება კიდევ საიდანმე ასეთი სიმშვენიერის ხილვა?

ჩვენ მთავარ ქედზე ვართ, კავკასიონზე. გალმა კი, გამყოლი ქედია ძირს, ამ ორ უზარმაზარ ქედს შორის, ღრმა ხეობაში, მთათუშეთია: აი ჩალმის ალაზანი, გომეწრის ალაზანი, ესენი მდინარე ყოისუს სათავეები და შენაკადებია. მათ სათავეებშია მთათუშეთი — მთის ფერდობზე შეფენილი სოფლები.

წოვათა! გამაოცა წოვათამ. აქ ამ ას-ასორმოცდაათი წლის წინათ, წოვა-თუშები ცხოვრობდნენ, იბრძოდნენ, ებრძოდნენ ბუნებას, შემოსეულ მტერს. გაჭირდა საქმე. ჯერ კიდევ ქართველი მეფეების დროს ჩამოვაკება იწყეს და მეცხრამეტე საუკუნეში ხომ ყველა წოველი ძირს ჩამოვიდა. დასახლდა ალონის მინდორზე. წოველებმა დატოვეს მამაპაპის აგებული და ნაშენი სოფლები, ჟანგმოკიდებული, ფიქლით გადახურული სახლები და კოშკები დღესაც ფეხზე დგანან, დგანან და თითქოს ელიან, რომ წასულნი მოვლენ, კვლავ აანთებენ კერას. გეგონებათ ამ მიტოვებულ კოშკებსა და სახლებზე იყოს ნათქვამი:

ტირიან თუშის ქალები,
არ მოგვივიდნენ ქმარები,
ვაი, თუ დაუხვდნენ ქისტები,
დააყრევინეს თავები.

სწორედ ამიტომ დაიხურა „თუშის ქალმა შავი მანდილი და აღარ მოუხდია" (ამბობენ, საგირთიდან წასული ყველა ვაჟკაცი ომში დაღუპულა, სახლში აღარ დაბრუნებულა და ამის შემდეგ თუშის ქალი შავ ტანისამოსში დადისო).

წოვათში ერთ ჟანგმოკიდებულ სახლში შევედი. აფრთხიალდა ღამურა, დაიწრუწუნა. ფეხი უკან გადმოვდგი, ერუ-

ანტელმაც კი დამიარა, იქნებ ველოდი, მასპინძელი შემეხმა-
ურებოდა. აგერ ტახტი, ტახტზე პირმომტვრეული ლიტრა, ჯა-
მი, ჯამფილა, კოვზი, ხონი... ფიქრით, მაგიდას ძველ-ძველ
მოსცილდა: თუშის ქალს სუფრა გაუწყვია, მეორე ოთახში
გასულა ხორაგის მისატანად. გული ყელში მომადგა, მგონი
ცრემლიც.

სოფლის თავში აკლდამებია, მრავალი თავისქალა და
ძვალია. აკლდამაში ტახტივით თაროა დატანებული, ერთზე
ნახევრად დაშლილი ჩონგური დევს.

ამბობენ, წინათ, შავი ჭირი, რომ ყოფილა, ვინც ავად გახ-
დებოდა, აქ მოდიოდა, თაროზე წვებოდა, ჩონგურს უკრავდა
და ისე კვდებოდა. მეორე რომ მოვიდოდა თურმე, ცხედარს
ძირს ჩააგდებდა და თვითონ წვებოდა. მაგრამ, გავყვეთ ჩვენს
გზას და წოვათამდეც მივალთ.

ნელნელა ავიწიეთ მაღლა. უკვე სამიათას ხუთას მეტრზე
მეტია, უკვე თანაბარია თოვლი, მაგრამ ზაფხულის ბოლოს
ესეც დნება. შავ კლდეზე, აგვისტოსათვის, თოვლი აღარ რჩე-
ბა. ჩავიმუხლეთ. შორს ორბები და ფასკუნჯები ტრიალებენ.
ჰაერი ელვარებს, წმინდაა, წმინდა!...

— აგერ, — გაიშვირა ხელი სამსონმა მაღლა კლდეებისაკენ
და დურბინდი გამომიწოდა.

დავაკვირდი: წითელი, უფრო სწორად ზანგელა ფერის
თხები ჩანდნენ თოვლიან კლდეებში.

— ჯიხვები, — ვერ მოასწრო ამის თქმა, რომ მთელი აივე
მოსწყდა ადგილს და ჭიუხიან ფერდოს გადაევლო. რამ შე-
აფრთხო ისინი ვერ მივხვდი. ეს კია, რომ თითქოს მიწამ ჩაყ-
ლაპაო, ისე გაქრნენ.

— სწორედ მაგათ დასტრიალებდნენ არწივები, — დაარ-
ღვია სიჩუმე სამსონმა, როდესაც ზევით ამომფრენი პირდა-
ღებული ფასკუნჯი დამანახვა. ალბათ, ზემოდან გამოუქროლა
კლდის პირას მდგომ შუნს ან თიკანს, მაგრამ, როგორც ჩანს,
ამაოდ და გაცრუებული მიიწევდა ზევით, მზისკენ.

— არწივი მზისკენ, ჩვენ კი მიწისკენ!—და ჩვენ ჩრდილო-
აღმოსავლეთის კლდოვან ფერდოთი დავეშვით. კარგად მოჩან-
და ჩალმის სოფლები: ხისო, ხახაბო, შენაქო, ომალო... ფიქ-
ვნარში ჩამალული მშვენიერი სოფლები, ხვალინდელი დღე

ამ სოფლებისა — დიდი კლიმატური სადგურებია. მთათუშეთში, სოფლების ირგვლივ, თორმეტი ათასი ჰექტარი ფიჭვნარი ტყეა, მთამაღალი კი ასოციათას ჰექტრამდე სათიბ-საძოვრებითაა დამშვენებული.

— განა, მეტი რამ სჭირდება კლიმატურ სადგურს?...

სჭირდება: გზა, სანატორიუმები, ექიმები... ამას დიდი ხარჯი უნდა, მაგრამ ყოველივეს ერთი ათასად აანაზღაურებს.

— ხისომდე ალატოვნიდან ძალიან დაკიდული ჭირკვალი* ჩასდევს, კაცს მუხლები ჩასწყდება სანამ ალაზნამდე** ჩაღწევს, — შემეხმაურა სამსონი, როდესაც ვუთხარი: ხისომდე კაცი ხმას ჩააწვდენს-მეთქი. ხისო ათასხუთას მეტრ სიმაღლეზეა, ჩვენი ბანაკი კი ორიათასხუთასზე ზღვის დონიდან. ერთი კილომეტრით ძირს დაშვება „ხელის გაწვდენა“ ხომ არ არის?

როდესაც ბინაზე ჩავედით, კიმოს ცეცხლი უკვე დაენთო, ნედლ დეკას ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა, დუღდა ჩაიდანი, მძიმედ სუნთქავდა ხავიწის ქვაბი. შორიდანვე გვეცა მისი სურნელება. მალე მწვადიც აშიშხინდა და დაგვავიწყდა, რომ სადღაც არსებობდა ქალაქი თავისი ბობოქარი სიცოცხლით, სოფელი თავისი ჭირ-ვარამითა და სიხარულით. ვიყავით ცა და მთები, მდელო და ნაკადული, ძირს ცეცხლი, მაღლა ვარსკვლავები და ჩვენ, ამჟამად მათი მზირალი და ტრფიალი.

— ჯიხვებზე წავალთ სანადიროდ, — შემეხვეწნენ სამსონი და ლაზრო.

ღამიანად წასულიყვნენ და როდესაც სამუშაოდან დავბრუნდი, მაშინლა შევნიშნე, რომ გალმა ფერდოდან ორი მგზავრი ეშვებოდა: ერთი-ორი საათის შემდეგ, ორივე ძმა ცეცხლის ალზე აიმართა.

— არა, უეჭველად მფარველი ანგელოზი გამოუჩნდათ მაგათ, თვალი, რომ ვერსად დავკარით!

— სანამ მე არ წამოვალ, ჯიხვს ვერ ჩამოიტანთ. — გაიხუმრა პავლემ.

— წოვა და ჯიხვი?! — გაჰკრეს კბილი ძმებმა.

---

* ჭირკვალი — დაკლაკნილი გზა.

** თუშები ყოისუს სათავეებს ალაზანს უწოდებენ — პირიქითის ალაზანი, გომეწრის ალაზანი.

— აი, ნახავთ! — დაემუქრა პავლე და ვინ იცოდა, რომ ეს გახუმრება ძალიან მალე ასრულდებოდა.

ორ-სამ კვირაში „დავლახნეთ“ კავკასიონის მთავარი საძოვრები, ისინი რომელნიც სამხრეთითა და ალმოსავლეთიდან ეშვებიან, მადლიან კახეთს რომ გასცქერიან: „ფურთკალო“ (აქედან ლეკებმა ფურები გარეკესო), „ლეკთა ვაკე“ (აქ მოთარეშე ლეკები ამოხოცესო), „მელთკუდა“ (მელის კუდსა ჰგავს ეს სერებიო); „დიდვაკე“ (ორ სერ შუა მოქცეული მცირე ვაკე); „დიდგორი“ (ირგვლივ, რომ გახედავ ყველაზე პატარა ის ჩანს); გადავიარეთ დიდი და პატარა ბორბალოს ქედები. ადგილად ითქმის, მაგრამ ბორბალო ხომ ხუთი მდინარის სათავეა. აქედან იწყება იორი და ალაზანი. არაგვი და არღუნი, ყოისუ, ისინი აქეთიქიდან ისე ჩამოუდიან, თითქოს ბორბლის ფრთებიაო. მოვიარეთ ალაზნის თავი, საჯინჭვლე წოვათა თავისი მიტოვებული სოფლებით. აქ თვლემენ: წარო, ვაშკოლთა, შტროლთა. გადავსერეთ ძნელგადასავალი ნაროვანი და პირიქითის ალაზნისაკენ ციცაბოდ დაქანებული ფერდოთი გადავეშვით ქვახიდისაკენ, ქვახიდისაკენ გული მიწევდა. ამბობენ, თითქმის ოცი წელია, რაც იქ ცხვარი აღარ ადის, ეშინიათ მოთარეშეებისაო. თუ ავა რომელიმე გამბედავი მეცხვარე, ისიც ცოტა ხნით და მალევე ჩამობრუნდება გირევისაკენო. კარგი კი იქნებოდა შემედარებინა შესვენებული საძოვრები გამუდმებულ ნაძოვართან, ბევრი საინტერესო ცვალებადობა ალმოჩნდებოდა უეჭველად.

— ფრთხილად იყავით, იქ მოთარეშენი ხშირად არიან, — გაგვაფრთხილეს. ჩვენც შაშხანებს გადავუსვით ხელი. ისიც კარგად ვიცოდი, რომ თუ მართლაც მოთარეშენი გაბედავენ თავდასხმას, ძნელად გამოვიყენებდით იარაღს. მოთარეშე ხომ ყოველთვის ჩასაფრებულია და დაგასწრებს.

შუადღე გადასული იყო, როდესაც ქვახიდში ავედით. ნაროვანის ზეკარი რომ გადავლახეთ, ძირს ჩამოვედით და მდინარის პირს ალმა ავყევით. გზა მეტად ძნელია— ხშირია გზაწვრილი და ჭირკვალი. ალაზნის პირას კლდეზე მიმავალი გზა ხშირადაა წყალში ჩაყურყუმელავებული, ღადაღუდიანი. ცხენები გაიტანჯნენ. იქნებ სჯობდა, ნაროვანში გაგვეთია ღამე. შემდეგ ავყოლოდით ქედს და ქვახიდის ზემოთ მოვქცე-

ულიყავით. ოფლში გავიწურეთ და ძლივს გავედით მოლიანზე, გადავიარეთ ქვახიდი (უზარმაზარი გრანიტის ლოდი, მთის მწვერვალიდან დაგორებული, ისე დავარდნილა, რომ მჩქეფარე მდინარეზე ხიდად იყო გადებული) და ერთ ველობდის ძირას, დეკიანის პირას გავშალეთ კარავი. გავუშვით ცხენები, შევუდექით ცეცხლის თადარიგს.

— აქ ერთი-ორი მწყემსიც უნდა იყოს, — თქვა კიმომ და ლაზარეს გაკვირვებაზე დაუმატა: — ფარსმელი ბიჭია, მაგას არ ეშინიან, ქისტებში ძმადნაფიცები ჰყავს.

ეს საუბარი არც კი დამთავრებულიყო, რომ თავს მთასავით ვაჟკაცი წამოგვადგა. მოგვესალმა, მშვიდობით ამოსვლა მოგვილოცა, დატრიალდა. — ეს ხომ ჩემი ბანაია, — ამბობდა. მართლაც, გალმით მოჩანდა გრანიტის ლოდნარში შეხამებული ბინა-ყორით ნაგები ქოხი. — მასპინძლობა ჩემი საქმეაო. — დეკა ჩამოიტანა. — ცეცხლი დაანთე, — უთხრა ლაზროს და თვითონ მსუბუქი, მთური ნაბიჯით ქვახიდს გადაუარა. ბინაში აირბინა. კლდის ნამსხვრევში გაუჩინარდა. მალე ისევ ხიდზე გამოჩნდა, გაგვიღიმა და ერთი კარგი თოხლი მხრებიდან ჩამოიღო, თან დააყოლა:

— გუშინ საგორავმა კანჭი გაუტეხა. ლაზრო, მოუარე!

ცოტა ხნის შემდეგ გაიშალა სუფრა. ჩვენი მასპინძელი გამხიარულდა, ბარიდან ამოყოლილი ჭაჭის არაყი და ცოტაოდენი ღვინო გვქონდა კიდევ. ორ კვირაში ერთხელ ბარიდან (სოფელ ფშავლიდან) გამომცხვარი პური, ბოსტნეული და ხილი ამოგვქონდა. ამან ხომ უფრო ასიამოვნა და ასიამოვნა. — თვეზე მეტია ხალის* გარდა არა მინახავს-რაო.

სადღეგრძელოებმა დიდხანს გასტანა. მსიამოვნებდა, რომ ჩვენი მასპინძელი გულით ხარობდა, ჩვენი მოსვლა მეტად ეამა. ძნელია მთაში თვეობით ყოფნა ვისმესთვის ხმის გაუცემლად. უცბად კი ამდენი ხალხი ესტუმრა.

წინათაც ვიყავ მთათუშეთში, ხისელ კიმო მურთაზაშვილს გავყევი. ორწყალის თავზე მწყემსი დაინახა. ქვევიდან შეჰკივლა: „აქ ჩამოდიო“. მწყემსი, რომ ჩამოვიდა, შეცბა, გამარჯობის თქმა დაავიწყდა.

---

* ხალი — დახალული ხორბალი, ქერი, დაფქვილი და მარილით შეზავებული.

— რა, გამარჯობა მაღლა ხომ არ. დაგავიწყდა, — შეეხმაურა ჩვენი თანამგზავრი და ხურჯინიდან თავამოშვერილ ტა-ჭორას პირი მოხსნა, ყანწი გაავსო და მიაწოდა... მეორეც გაუვსო, მესამეც, ხაჭაპურის ნაჭერიც შესთავაზა. მწყემსი ილოცებოდა და ქვევიდან შესცქეროდა. კიმომ ტიკს პირი მოჰკრა, შეჯდა ცხენზე, მათრახი შემართა და ხმაში მყინვარის სიცივე და მქუხარება ჩაუდგა.

— ეხლა ყური მიგდე, თუ კიდევ გამიგია, რომ ჩვენი გვარის ცხვარი მოგისხლეტიათ, მიწას გალოკინებთ, გაიგე?! როდესაც მწყემსმა თავი დაუქნია, ცხენს მათრახი გადაჰკრა და ჩვენი ქარავანიც დაიძრა.

— დიდი რამეა, მწყემსს ხმა გასცე, არაყი დაალევინო, მოიკითხო?

— ეგ რაღა მადლია, ამოუშხამე და...

— არგებთო, — თქვა და ჩაიღიმა. ამაზე მეტი არა უთქვამს რა.

მაგრამ მოგონება შორს წაგვიყანდა, გავყვეთ ჩვენს ამბავს.

ქვახიდშია ნასკვი მთათუშეთის მთებისა, — ტეხულო, აწუნთა, ნაროდანა აქ იყრიან თავს. გამყოლი ქედი სერებით უერთდება მთავარ კავკასიონს. ჩვენს დასავლეთით იორი და არაგვია, სამხრეთით კახეთის ალაზანი. ჩრდილოეთით — არღუნი, აქეთ კი, მთათუშეთს, ყველა ალაზანი იწყება.

— ამ მხარეში ცხვარი ჩემს მეტს არავის ჰყავს, ერთი ფარსმელია, ის სულ ძირსაა. აბა, სამსონ ჯიხვი თუ გინდა მე გასწავლი, სად არის და შენი კაცობაც გამოჩნდება. კახებს ჯიხვის წვადი ვაგემოთ! — მიუბრუნდა სამსონს (ბარელებს ყველას კახებს უწოდებენ).

ეს თქვა და უცბად წამოხტა, ბნელში გაუჩინარდა და ჩქერების ხმაურში მისი ხმაც გამოიკვეთა. „ახლავე". მართლაც, მალე ჩამოჯდა თავის ადგილას, ხელში ფანდური ეჭირა და დაამღერა.

თუშო, ნუ ჩახვალ ხოშორსა
ხოშორი ეკლიანია,
ჩახვალ და ვეღარ ამოხვალ,
ამოსვლა მეტად ძნელია.

ჯიხვების განავალი კლდე,
რომ ნახო, გაგიკვირდება.
იმათ ნაწოლსა, ნადგომსა,
თოვლი არ მოეკიდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა არ თქვა: — შირაქის ბოლოზე მწყემსის სიკვდილი, სალეკოს დალაშქვრა, თმაგრძელ თინიას გატაცება... მაგრამ, როდესაც ზეზვას კვალს გაჰყვა, ვეღარ გავარჩიე, სად იყო ვაჟა და სად ხალხური! თითქმის მთელი „ბახტრიონი“ დაამღერა, ბევრგან ახლადგახალხურებული, ხალხურიდან ჩამატებული. ყველას ერთნაირად მღეროდა, თუშურ კილოზე. მაგრამ ვაჟკაცურ სიმღერათა დროს კილო ოდნავ იცვლებოდა, ნელდებოდა, ადგილ-ადგილ შემტევიც კი იყო.

გომეწრის ალაზანი ზვავქვემოდან გადმოქუხდა, გუგუნებდნენ აწუნთისა და ტებულოს მყინვარები, შავი ციდან კი ელვარე ვარსკვლავები ჩამოციმციმდნენ.

მზეს უკვე წვერი ამოეყო, რომ გამომეღვიძა, ჯერ ექვსი საათიც არ იყო, მაგრამ მაინც ცოტა არ იყოს შემრცხვა, ამ დროისათვის უკვე ველად ვართ-ხოლმე. ჩვენი გუშინდელი მასპინძელი აქვე ტრიალებდა. ტაგნით რძე ჩამოეტანა, ახალი ყველი...

— გამასპინძლება ერთხელ შეიძლება, — შეხუმრებით შევნიშნე, მიწყინა.

— როგორ, თქვენსა რომ ჩამოვალ, ერთხელ გამიმასპინძლდები?

— იქ სხვაა, აქ მთაა...

— რითაც ვარ მდიდარი, ის მიიღე, ბარად კი სხვა ანგარიშებია.

რა უნდა მეთქვა ამ ალალმართალ სიტყვებზე, და ჩვენც რძესა და ახალ ყველს, გუშინდელი ცხვრის ყაურმას მოვულხინეთ, ექვთიმემ კი — ჩვენმა მასპინძელმა, ჭაჭასა და ნაფარეულს.

სტუმარ-მასპინძლობის დრო არ იყო. მალე წამოვდექით, სწრაფად ავკრიფეთ საჭირო ხელსაწყოები და ნელი ნაბიჯით შევუდექით აწუნთის ფერდობებს. ტიპიური ალპური საძოვრებია. კლდის ნამტვრევებით დაფარული, ნამტვრევთ შორის

მცენარე აღმოცენებულა. ძირითადად წივანიანია, ცხვრის წივანას ორიათას ექვსას მეტრს ზევით, წვრილი [illegible] ცვლის. მოჩანს ისლი, ალპური ბარბაცა და მათ [illegible] ქარცხვი, წვრილი გვირილა, ღიღილო, ნაღველა, ბაია, მთის ჟუნჟრუკი, ფრინტა და მრავალი სხვა. ამ მდელოსათვის დამახასიათებელია მღიერთა სიჭარბე, გეგონება ტუნდრის საძოვრებიაო. ადგილ-ადგილ მოჩანს მოცვიანები, კეწერიანები.

ერთმა მოცვნარმა გამაკვირვა: ასი-ასორმოცდაათი კვადრატული მეტრი იქნებოდა, აქვე მოცვიანშივე წამოკრეფილი ქვით შემოვლებული ზღუდე კი ასე, ოცდაათი-ორმოცი სანტიმეტრი სიმაღლისა, ისეთი რომ ცხვარი აერიდება, ვერ შევა, შიგ, მოცვის გარდა, ბალახი არც კი ჩანს, ეტყობა გაუმარგლიათ. გავჩერდი, გავვოცდი. რად, ან ვინ შემოღობა ეს ადგილი?

— ეს მწყემსის ბაღია, — მებატკნისა. რა აკეთოს ამ გაგანია დღეს. დგას და პატარ-პატარა ბაღებს იკეთებს. აი, ასეთ სელშავიანს (თუშები მთის მოცვს, სელშავს უწოდებენ) შემოღობავს, ავყია ბალახს ამომარგლის. სხვა მწყემსი დაუკითხავად შიგ არ შევა, თუ მოცვი უნდა, ღობის გარეშე მოკრეფს, — მელაპარაკება სამსონი, — ასეთი ბაღები კიდევ შეგვხვდება.

ეს ხომ პირველადი საფეხურია მცენარის მოშინაურებისა, შორეული წარსულიდან დღემდე შემორჩენილი. ჯერ ბუნებაში უვლიდნენ მას, მერე სახლთან გადაჰქონდათ. ასე იწყებოდა ბევრი მცენარის მოშინაურება.

— ბალღები სოფლიდანაც მიდიან იმ მოცვიანში, რომელნიც სოფელს არ არიან დაშორებულნი და ყველა თავთავის ადგილს იჩემებს. დუციანებში და დიყიანებშიც იციან ადგილების დათქმა, სხვა ბალახების ამოგლეჯა. სოფლებში რომ ჩავალთ, გაჩვენებ, — დამპირდა სამსონი, როდესაც შემამჩნია, რომ მისმა ნალაპარაკევმა გამიტაცა.

დუცი და დიყი ქოლგოსანი ბალახოვანი მცენარეებია, ერთ წელიწადში სამი მეტრის სიმაღლისა იზრდება. მათ ნორჩ ყლორტებს კრეფენ, ფცქვნიან და ჭამენ. შემდეგში ბევრჯერ ვნახე სოფლისაკენ ჟივილ-ხივილით, რომ მოდიოდნენ ბავშვები. ყოველ მათგანს, საბლით შეკრული, დუცისა და დიყის

დიდი კონა მოჰქონდა. სიხარულით ხვდებოდნენ მათ სოფელ-
ში დარჩენილი ბალღები და დიაცები. იქვე სალაყბოზე ჩამოს-
ხდებოდნენ ხოლმე და თითქმის სოფლურად, თავისებურად
ფსონი იმართებოდა, ფცქვნიდნენ მცენარეს და გემრიელად
ახრამუნებდნენ. ტყის პირებში, განსაკუთრებით არყნარებში,
იცის დუცი და დიყი. აი, აქ, ადრე გაზაფხულზე, როდესაც
დუცსა და დიყს ჯერ მარტო წვერი თუ ამოუყვია, ბალღები
მიდიან და მარგლიან, სტოვებენ მხოლოდ სასურველს, და-
სარყავენ (დანიშნავენ) მათ და უცდიან როდის „მომწიფდე-
ბა“. დასარყულში სხვა არავინ შევა. ამ ჩვევაშიც მოშინაურე-
ბის ერთ-ერთი პირველი საფეხურთაგანია.

დღეს, რომ მეტი არა ვნახოთ რა, ესეც საკმარისია, მაგ-
რამ ველად გასული კაცი როგორ გაჩერდება, თუ მზე ჩასას-
ვლელად არაა მზად. საღამო ხანს დაღლილები და დაქანცუ-
ლები, ვუახლოვდებით ჩვენს ბინას.

— აბა კახო, ჩქარა ჩემკენ! — მეძახის ექვთიმე, რომ-
ელიც წამოწოლილა და მის ზემოთ ამართულ სერს ასცქე-
რის. — ბატკანი რომ ძოვს დეკიანის თავში, იმ ადგილს გა-
ხედე.

ვიცქირები, ბატკანია, როგორც ჩანს, ზანგელა თხებიც
ურევია.

— ვერა ხედავ?

— ბატკანსა და თხებს!

— ჯიხვებს ვერ ხედავ?

თავს ვაქნევ უარის ნიშნად.

— კაცო, ასზე მეტია და ვერ ხედავ? ჯიხვია ბატკანში შე-
რეული.

სხვებიც გასცქერიან და თავს აქნევენ. სამსონს ნესტოების
ძირი გაუყვითლდა. მე რომ თხები მგონია, ის თურმე ჯიხვები
ყოფილა.

ამ დროს ექვთიმე წამოხტა და მთელი ხმით შესძახა მთას.

— ბიჭავ, არ ესროლო, არაა!..

ახლალა შევნიშნე, რომ ბატკანში, ქვემო მხრიდან მიწას
გართხმული მებატკნე ბიჭი, ნელ-ნელა მიხოხავდა, მაღლა
მიიწევდა. აქედან სამსონმა ასძახა, იქიდან ლაზრომ: — და-
იცადე, ნუ ესვრიო. — მაგრამ გავარდა თოფი, მოსწყდა წითელ-

ბალნიანთა არვე და როგორც ელვამ, ისე გადაიქროლა მთის ფერდო.

— უჰ, რა ქნა ურჯულომ, მაგას ხომ საჩიტე [illegible] აქვს! — წამოიძახა თითქმის ყველამ ერთად, დანანებით. მაგრამ რას გააგონებდნენ ბიჭს, რომელიც ჯიხვების მთელ არვეს ასე ახლოს ხედავდა?

ცეცხლის პირას როდესაც ჩავმწკრივდით, გაიბა საუბარი, ზოგმა რა თქვა, ზოგმა რა. ერთმა ისიც კი გვითხრა, რომ ბევრჯერ სამასი ჯიხვიც მინახავს ერთადო.

— მე კი მაგდენს პირველად ვხედავ, — დინჯად თქვა სამსონმა. — ლაგოდეხის თავშიც არ მინახავს მაგდენი. — სხვებმაც დაამოწმეს: — მართალია. ამდენი ერთად იშვიათია.

შემევედრნენ მონადირეები — ხვალ წავალთო. უარი ვუთხარი. თვითვე კი ვიგრძენი, რომ უარს ცალყბად ვეუბნებოდი. თოფები ჩემს კარავში დავაწყე, მაგრამ, ისე რომ კონდახები კარში გამოჩენილიყო. შუაღამე გადასული იქნებოდა, როდესაც ჩემს გვერდით თოფი შეირხა და კარში გასრიალდა, მას მიჰყვა მეორე, მესამე... გავიტრუნე... დილით სამსონი, პავლე და ლაზარე ბინაზე აღარ იყვნენ, ჩვენ აწუნთის დასავლეთით ავიღეთ გეზი. თუშებიდან ჩვენთან კიმო და აბრო იყვნენ.

შუადღე გადაწეული იყო, როდესაც ქვიანი ფერდო ავათავეთ და ხერხკბილა გრძელ ქედს თავზე მოვექეცით. ის იყო უნდა ჩაგვემუხლა, აბგებს ვიხსნიდით, რომ შორს სადღაც ჭიუხებსა და ხორხების გადაღმა თოფი გავარდა.

ისევ იმ ხორხის ერთი კბილის ჩრდილში ვისხედით, რომ კიდევ რამდენიმე ყრუ სროლა შემოგვესმა.

— ჩვენებია. მოკლეს, უეჭველად მოკლეს, — თქვა კიმომ. გაკვირვება, რომ შემამჩნია დაუმატა: — ისე ყრუ ხმა იყო, რომ ნამდვილად მოხვდა.

აღარ შევეკამათე, მათ ხომ რაღაც მეექვსე გრძნობაც აქვთ. დახედავენ ბილიკს და იტყვიან — ცხვარს და ციკანს გაუვლიაო. მე კი ვერას ვხედავ.

ბიჭებო ჩვენებურებო,
ხმა თქვენი გადმოდიოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაიმღერა აბრომ.

ცხელოდა, ოფლი ღვარად ჩამოგვდიოდა. პური, ყველი და ნიორი ამოვიღეთ გუდებიდან. იქვე ახლოს თოვლის ნაჟური წყალი მოჩუხჩუხებდა. ამ წყალს საუზმეს დავაყოლებდით და მეტი რაღა გვინდოდა?! კიმომ მოხსნა თავის განუყრელი ხბოს გუდა, შიგნიდან ბატკნის პატარა გუდა ამოიღო, ხუთიოდე პეშვი ხალი ჩაყარა შიგ, ცოტა წყალიც ჩაუმატა, მოკრა პატარა გუდას პირი და დაუწყო ზელვა. ცოტა ხნის შემდეგ პირი მოხსნა. დაზელილი ხალი თითო მუჭა დააგუნდავა. მეც მომაწოდა.

— აბა, კახო, თქვენებურ ნაზუქს თუ არ სჯობდეს, თავი შემირცხვეს, — დაუმატა ღიმილით.

მართლაც შესანიშნავი იყო, გემრიელი, სურნელოვანი და როგორ არ ეჩვენება გემრიელად, სამიათას ორას მეტრ სიმაღლეზე დილიდან ნასიარულევ კაცს.

— მართალია კიმო, ნაზუქს სჯობიან!

— ხო გითხარ! — დაადასტურა და კეთილად გაიღიმა.

საუზმეს მოვრჩით და გავყევით ფხიან ზურგს. აღმოსავლეთისაკენ სიმაღლემ თანდათან აიწია, სვლა ძნელი გახდა. ფიქალი იყო გაშლილი, ბევრგან პირდაპირ ზღაპრულ ფხებსა ქმნიდა, აი ისეთს — ასფურცელამ რომ სავარცხელი და როდინის ქვა გადააგდო და მისი მდევრის წინ კლდეები რომ აიმართა. ქედის „კბილების“ ძირში თოვლი იყო კიდევ. დნებოდა და ფეხს გვისველებდა, ამიტომ ფეხი ხშირად გვისხლტებოდა. თვითონ კლდეები თეთრი და ბრინჯაოსფერი მღიერებით იყო შემოსილი. წერაყინით ვხდი ფიქლის თხელ, მღიერიან ფირფიტას და გუდაში ვალაგებ, დაბლა კი, ამ კბილების ძირში, თოვლის პირას და თოვლქვეშაც, ბუჩქოვანი მღიერია, პალმერია, ესაა სწორედ ერთ-ერთი საკვები ჯიხვისა. მაშინ, როდესაც ჯიხვი მდელოზე ვერ გამოდის კაცისა თუ სხვისი შიშით, ამ კლდეებში უნდა იყოს შეხიზნული, ამ მღიერით უნდა გავიდეს იოლად. მაგრამ მარტო მღიერი კი არა ყოფილა აქ. აი, თითქმის სამიათას ხუთას მეტრ სიმაღლეზე მღიერისა და ხავსის გარდა, პაწაწინა, მიწის აუცილებელი ყვავილოვანი

მცენარეც შემოგცინებს ხოლმე, კლდის პატარა ნაპრალებში და ფოსოებში ფეხი მოუკიდია, და კორდი შეუქმნია შესანიშნავ ლურჯყვავილება სამკბილა ქარცხვს, მისი ღერო და ფოთოლი რძითაა სავსე და ჯიხვის საუკეთესო საკვებია, მიწაზე მწვანე გუნდებად არის გართხმული პირისფერი კვლიავი, რომელიც ზოგჯერ ჯამისოდენაა, ზოგი კი მუშტისოდენა. აქვეა ყვითელყვავილება წამოსკუპული ქუდუნები, ბალიშა ქარცხვიც იშვიათი არ არის. ფესვმაგარისა და მარმუჭის ფოთლებშორისაა ამოშვერილი გვრიტას ლურჯი, მეტად ელვარე და მუქი, ძაბრა ყვავილები, გეგონება ლაჟვარდის ნატეხი დაუბნევიათო.

მისი ღერო და ფოთოლი სულ არ ჩანს, ყვავილი ღეროზეც და ფოთოლზეც სამჯერ მეტია. ამ სიმაღლეზე ხომ მწერი მეტად მცირეა და მაშ, როგორ, რანაირად მიიზიდოს ეს იშვიათი და სასურველი სტუმარი, თუ ყვავილი დიდი და ბრდღვიალა არ იქნება? მაღალმთის მცენარეთა უმრავლესობა დიდი და ჭიოტაყვავილებიანია. ადგილ-ადგილ მთის ლურჯყვავილება ფურუსელაც ჩნდება, პაწაწინა ბაიაც, ისლებიც და მარცვლოვანებიც, მართალია, ერთ მთლიან კორდს არ ქმნიან, მაგრამ პაწაწინა ბუჩქებად კი ამოზრდილან ფიქლის ნამტვრევ შავ ქვიშახრეშზე. ამ პრიალა ფიქლებს შორის, თითქოს თეთრი მძივი დაუბნევიათო, ისე იზრდება მაღალმთის პირთეთრა. აგერ ძიგვა, მართალია მიწას არ ასცილებია, მაგრამ მაინც ძიგვაა. აი, კისერწვრილა მთის თივაქასრა, პაწაწინა ალპური ცახცახა, ფეხის ხმაურზე რომ კანკალებს.

— კაცო, ეგენი ქვევითაცაა, იქ მოვაგროვოთ, — მეხმაურება კიმო.

— ჰე, თუშო, ხომ არ დაიღალე?

— დაღლა რა შუაშია, თუ ქვევითაც ვნახავთ ამისთანას, აქ რაღას ვეძებთ?

რა იცის კიმომ, რომ საქმე ისიცაა, ვიცოდეთ რა სიმაღლემდე აღწევს აქ სიცოცხლე. ეს მცენარენი დასავლეთ კავკასიონზე ხომ სამიათას ას მეტრზეც კი იშვიათია. აქაური მთათუშეთის მხარე გვალვიანია, თოვლიც ცოტა მოდის. ამიტომ თოვლის ხაზი თუშეთში ოთხასი-ხუთასი მეტრით უფრო მაღლაა, ვიდრე, ვთქვათ, სვანეთში. ახლა აქ ამის ახსნის დრო

არ არის, ძირს რომ ჩავალთ ცეცხლისპირას ვიტყვი ყოველ-ვეს ასეთ ჭაპანწყვეტაში კი, როდესაც ფეხის დასადგმელს ეძებ-და ხელის თითებში სისხლი ჟონავს, ძნელია ლაპარაკი. ბოგ-ფიქალის „კბილი“ სამი-ოთხი მეტრის სიმაღლისაა, ვერ შემო-უვლი, უნდა აფოფხდე ზედ და მეორე მხარეს მოექცე, ოფლი ღვარად მოდიოდა, მთის მზე კი კისერში გვაჭერდა. თუ რას ნახავ და რას წააწყდები აქ, ძნელად გაითვალისწინებ. ერთ-ერთ შედარებით იოლ „კბილს“ თუ „ფხას“ რომ შემოვუარეთ, უცბად წამოგვაწყდა ჯიხვების ნოტო (ნოტო ფარის, პატარა მცირე ნაწილია. ფარაში ათასამდე სული ცხვარია, ნოტოში ოცი-ოცდაათი ან მეტი). ათი-თხუთმეტი იქნებოდა. ორი ცი-კანი მოკუნტრუშობდა, ჩანს არ გველოდნენ, ვერ გვხედავდ-ნენ, ძნელი გასარჩევიც ვიყავით, ფიქალის ფხები ხომ გაჩერე-ბულ შავჩოხიან ვაჟკაცებივით იდგნენ.

შევჩერდით, გატრუნულები ვუმზერთ და ველით, როდის შეფრთხებიან. უკან ჩამორჩენილმა მიტომ, რომელსაც არ წარმოედგინა რა სურათს ვუჭვრეტდით, როგორც ჩანს გა-უფრთხილებლად ქვა დაგორა, ფეხი აუსხლტა. მთელი ნოტო უცბად გაქუავდა, ჯიხვებმა ბრიალა თვალები შემოგვანათეს, თავი დაიქნიეს და ჩაეშვნენ სამხრეთის კლდოვან ფერდობზე. კლდეებს შორის გაუჩინარდნენ. მათი ფეხის ნასხლეტი ქვის ხრიალი თუღა გვესმოდა.

— ეგ ჩვენი ბიჭების დამფრთხალი ნოტოა!.. — დაასკვნა აბრომ.

გზა ისევ ხერხიანი ზურგით განვაგრძეთ. მოტიტვლებული, საქარე კლდეები იყო და თავისებური მცენარეები მეგულე-ბოდა.

კიმო წინ მიდიოდა და ბილიკს ის არჩევდა, თუმცა ერთში ასარჩევი არა იყო რა. შედგა და ცას ახედა, სამი თუ ოთხი ორბი წრეს უვლიდა, ძირს ჩამოჰყეფდნენ. ერთი მოსწყდა კიდეც ცას და იქვე, ჩვენ წინ ჭიუხისაკენ ჩაეშვა. კიმომ ხელი მოიჩრდილა და ძირს ჩაიხედა, ჩაიხედა და ისიც მოსწყდა ად-გილიდან, მსუბუქი ხტუნვით, საკმაოდ ღრმა ღრანტესაკენ ჩა-ეშვა. სხვა დროს ასეთ ადგილას იგი მეტისმეტად ფრთხილობ-და, ახლა კი, რამ დააკარგვინა ეს სიფრთხილე?! შავ ფიქლებს მოეფარა და მალე, ქვევიდან ძახილი მოგვესმა.

— აბრო ჩამოდი, ნადირია ჩაჩეხილი!...

მე წინ წავედი, უკან აბრო მომყვა. ფრთხილად ვეშვებოდით და ნეტავ, არ ჩავშვებულიყავ. ფხადაშვერილ ორ ფიქალ-შორის რქამოტეხილი ჯიხვი იწვა, იწვა და კვნესოდა, შემოგვხედავდა საღამოჩამდგარი თვალებით, წამოიღებდა თავს, მაგრამ ტანი აღარ მოსდევდა, თავი ისევ ფიქალზე დაუვარდებოდა, და დაიკვნესებდა, ადამიანის კვნესას ჰგავდა იგი. იქნებ, გვევედრებოდა კიდეც, მაგრამ ადამიანები, რომელნიც მას ამ დროს დასცქეროდნენ, კი არ ნაღვლობდნენ მის ავბედობას, ხარობდნენ, კიმომ ხანჯალს გაივლო ხელი.

— ეს ჩვენი ბიჭების ნახელავია. დაუჭრიათ, მეტი ველარ უვლია!

— დაიცა, მე ავალ ზევით, — და შევიბრუნე ზურგი, ავყევი კლდეებს და ჩვენს ბილიკზე ჩამოვჯექი. სხვები მეკითხებიან: დიდია?!

— ვაცია!... და ხმა აღარ გავეცი. გული დამიმძიმდა.

— ეჰ, სად მოეწევა კაცს ბედის მდევნელი. რამდენი ირბინა ამ კლდეებში, მაგრამ მაინც ძალამ უმტყუნა, გამოელია, სისხლიდან დაიცალა, ცალი რქაც წაწყვეტილი ჰქონდა.

კაი ხნის შემდეგ გუდაში ამოყვანილი ჯიხვის ხორციც ამოიტანეს. ჯიხვის ცალრქიანი თავი ერთ მაღალ ფიქალზე შედეს.

რაღას ვიზამდი, გეზი ბინისაკენ უნდა ამეღო. მზე ისედაც გადასული იყო და ბინამდე კი მზის ჩასვლის წინღა ჩავდიოდით. მუშაობის ხალისიც დამეკარგა. რა ღმერთი გამიწყრა დილას თოფები რომ გააცურეს კარვებიდან და არ შევაჩერე! ალბათ, მაშინ ჩემშიც გაიღვიძა შორეულმა სისხლმა, — ვფიქრობდი და ფრთხილად ვეშვებოდი ქვიან ფერდობზე. კიმო? ამოდენა ტვირთით კიმო ისე მიფრინავდა, როგორც ჩიტი. გახარებული იყო, უთოფოდ ჯიხვი ვინადირეო. სერზე რუხჩოხიანი მგელი გამოჩნდა. დაჰკივლეს. დაჭრილის ნაკვალევს გამოჰყოლიაო, — დაასკვნეს. საშინელი სანახავი იყო, ქეციანს ჰგავდა. ზამთრის ბეწვს იცვლიდა.

ბინაზე ატყდა ჟრიამული: აბა, ჩქარა ცეცხლი, შამფური, ქვაბი, ყაურმა გავაკეთოთ.

და როდესაც ჩვენი ნანადირევის კერძი მზად იყო და ის-

ის იყო უნდა შევდგომოდით სადილს თუ ვახშამს, ქვემოდან ამოჩნდნენ დილას წასული მონადირენი. პავლე ცხენზე ისე იბერებოდა, სამსონი და ლაზრო თავჩაღუნულნი მოსდევდნენ. ეტყობა ვირდით, ცხენს თითქოს ხურჯინიც ეკიდა.

— ხომ არ იზარალა რამ პავლემ? — ხმამაღლა თქვა ყველას ფიქრი აბრომ.

— არა, ჯიხვები მოაქვთ და ბელადი, როგორც ჩანს, პავლეა! — დაასკვნა კიმომ.

ჩვენი მონადირენიც მართლაც მოგვადგნენ კარს. პავლე ცხენზე ისე იბერებოდა, გეგონებოდათ, ყეენიაო. ხმას არც ერთი არ იღებდა, ბოლოს ისევ სამსონმა ამოთქვა:

— უცნაური დღეა, ორი ჯიხვი იდავლა იმან, ვისაც ერთი ბეღურის მეტი არა ჰყავს მოკლული.

— იცის ბიჭმა და! — ახლაღა თქვა პავლემ. ჩამოვხადეთ ბარგი, კიმომ და აბრომ ახალი ნანადირევიც თოვლის ნაზვავის იმ გამოქვაბულში ჩაიტანეს, საიდანაც ალაზანი გამოჰქუხდა.

შევუდექით ნანადირევით ვახშმობას. პავლე თავში იჯდა და კარგ ნაჭრებს მიითვლიდა: ეგეც ჩემი ბიჭობააო. სამსონი და ლაზრო აღარ დაობდნენ.

ბოლოს, როგორც იქნა, გვიამბეს რაც გადახდათ.

ჯერ გათენებული არ იყო, როდესაც საჯიხვეებზე ავიდნენ. ნიავი არ იძროდა. პავლე ერთ ყელში ჩასვეს, ჯიხვები თუ დასავლეთისკენ წამოვიდოდნენ, ამ ყელს ვერ ასცდებიანო, უთხრეს. სამსონი და ლაზრო კი აღმოსავლეთის ხორხისაკენ წავიდნენ და ხორხის ზურგს გაჰყვნენ. მიდიოდნენ ფრთხილად, კატის ნაბიჯით. აი, მზეც ამოიწვერა და განათდა მთის წვერები. პირიქითის ალაზნის სათავის ხორხებს ზვერავდნენ, მაგრამ არ ჩანდა რა. უცბად ლაზროს ფეხი დაუსხლტა, ქვა დაგორდა და გატყორცნილი ისარივით ცისა და მიწის შუა გაიჭრა ჯიხვების არვე. დროდადრო დაგორებული ქვის ჩქამს რომ არ დაერღვია დილის სიჩუმე, გეგონებოდათ, ფრთები აქვთ და ჰაერში მიფრინავენო. ერთი გასროლა ძლივს მოასწრო სამსონმა და ერთი ჯიხვი ჩამორჩა, ჩანს ტყვია დაეწია, მაგრამ შორიახლო მაინც გაჰყვა სხვებს, და მალე თვალს მიეფარა.

— ვაიმე, ვაიმე, პავლეს წააწყდებიან და, ნეტავ, თუ იცარ-
გებსო? — სთქვა თურმე ლაზრომ.

— არ ვივარგო, განა ჩალმა ვარ! — გაჰკრა ცალი ფეხ-
ლემ. — აი ეს ჯიხვები ჩემი ნადავლი არაა? — და დაიწყო
ნელი, დინჯი თხრობა:

— ვზივარ კლდეებში, ნაოფლი ვიყავ და ცოტა შემაქრქო-
ლა. ნეტავ, რა მომარბენინებდა, როდის მივლია ჯიხვებზე,
რომ ახლა წამოველ?! ამ ფიქრში, რომ ვარ, უცბად მომესმა
ბაგი-ბუგი, გეგონებოდათ, ათასი დოღის ცხენი მოდისო. ვხე-
დავ, და რას ვხედავ? ზედ ჩემზე მოჰქრის ჯიხვების უზარმა-
ზარი ფარა — რემა. თოფი ვერც კი ავწიე. ერთმა თავი ვერ
შეიკავა, თავზე გადმომევლო, ჩემ წინ კიდევ ჩანდა, ავწიე თო-
ფი და დავახალე და დავახალე, თოფში ტყვიები რომ გამო-
მელია, ჯიხვების მცირე ნაწილი დალმა ორწოხებშიღა ჩანდა.
არვე ნოტოებად დაშლილიყო, ჭიუხებიდან ჩემი თოფის ქუ-
ხილიღა ისმოდა. წამოვიწიე და ჩემს წინ გადავიხედე, ბიჭოს,
მივარგია! დაბლა, რქაგადაგრეხილი ჯიხვი იყო ჩაჩეხილი, ამო-
ტანა გამიჭირდა, ხანჯალიც არ მქონდა. შევიცადე, ვიცოდი
სამსონი და ლაზროც აღარ დაიგვიანებდნენ. მართლაც, მალე
დამადგნენ თავზე: ძაან გივარგია, ორი მოგიკლავსო, მითხრეს.
მეორეც თურმე შორიახლო ეგდო, კლდეებში ჩაჩეხილი. და-
ვატყავეთ, გუდებში ამოვიღეთ, ავქენით, ჩავაწყეთ ახალ გუ-
დებში, მოვკარით პირი და დავაწყეთ ფიქლები. გავყევით
ფხიან ქედს. აიჩემეს: შორს არ წავიდოდნენო. ბევრი ვიარეთ,
მზე უკვე თავზე დაგვადგა, მაგრამ კვალი ვერსად დავხე-
ლეთ. ერთ ლოდზე სისხლიც ვნახეთ, კვალს ვდიოთო, მაგრამ
კვალიც დაიკარგა. ნადავლთან, რომ მივედით შუადღე გადახ-
რილი იყო. ნანადირევი სამსონმა და ლაზრომ წამოიკიდეს. ჩა-
მოვყევით ქედს და ქვემოთ, ფარსმელის ბინაზე ჩამოვედით.
დავისვენეთ, შევნაყრდით, ნანადირევი ვუწილადეთ. ცხენიც
გვათხოვა... მაშ... დაამთავრა და ამაყად გადმოგვხედა.

— მაინც არა ხარ მონადირე!

— დაე, ეგრე იყოს! თქვენ მონადირენი გერქვათ, მე კი
ნადირი ვხოცო (ნადირს ჯიხვს ეძახიან).

— ტერტერამ უღელი გადააგდო და ორი კურდღელი
მოკლაო.

— ილბლიანი ყოფილა...

და წავიდა ხუმრობა, ერთმანეთის ფრთხილი გაკილვა-ცილი, მხიარულება. სამი ნადირი იყო საცივეში და მხიარულობდნენ. ბოლოს ხელმოცარულმა მონადირეებმაც გაიღიმეს. ჯერ ამ ხუმრობას მეც ავყევი, მაგრამ მომაგონდა რქამოტეხილი ჯიხვი, ჭიუხებში თავგადაგდებული რომ ეგდო, ავდექ, დროა ყველამ თავისი ბინა ნახოს-მეთქი და გავწიე ჩემი კარვისაკენ.

გადავიხურე ნაბადი, და წამოვიდა ფიქრის ქარავანი...

ჯიხვი ხომ ლაზათია და მშვენება ჩვენი მთებისა! ვაქკაცის მარჯვენამ როგორ უნდა გაიმეტოს მოსაკლავად? ასეთი ჯიხვები — დაღესტანური და სვანური — ხომ სხვაგან არსად არის? მაშ, რაღას ვერჩით? დაამშვენონ ჩვენი მთები და გაახარონ თვალი ალპინისტისა, მოგზაურისა, ჩვენი მთების მკვლევარისა.

ხომ შეიძლება მათი მოშინაურება, შეჯვარება!

ჯიხვს არც მე ვესვრი ოდესმე და არც სხვას გავამეტებინებ მოსაკლავად.

— მოიტათ აქ თოფები!

ყველა თოფი კარავში შემომაწოდეს. თავთით დავიწყე, ისე რომ ვერც კონდახსა და ვერც ლულას დაინახავდნენ.

1964 წ.

დიდო ალაზნის ჭალაო!

კახეთის ვაკისათვის დამახასიათებელია ჭალის ტყე, რომელიც ალაზნის ნაპირებს გასდევს პანკისიდან მოყოლებული, ვიდრე მოსაბრუნის ბოლომდე, ხოლო ამ მანძილზე იგი ცვალებადობს თავისი შემადგენლობით.

თუ შუა და ზემო წელზე გავრცელებულ ჭალას ნესტიანი ჰავის ტყის ფერი დაჰკრავს, სამაგიეროდ აღმოსავლეთ ნაწილში შედარებით უფრო მშრალი ტყის ელემენტი სჭარბობს.

ჯერ, საერთოდ, ამ ტყის ძირითად შემადგენლობაზე. მისთვის ტიპიურია ვერხვები — ხვალო და ოფი; ტიპიურია ძეწნა და მდგნალი; შუა წელზე — ლაფანი და მურყანი. ... უმთავრესად, მდინარის ნაპირისაკენ ქმნიან უწყვეტ ზოლს, რომელნიც გადახლართული არიან ღვედკეციით, ეკალღიჭით, ჩვეულებრივი სურროთი, პასტუხოვის სურროთი, კატა-ბარდით, ვაზით, სვიით, მაყვლის ბარდებით. ცული ან ხანჯალი უნდა ეჭიროს კაცს, რომ მდინარის პირისაკენ გავიდეს როგორმე. სწორედ მდინარის პირას მძლავრობენ მხიარანი: ეკალღიჭი და ღვედკეცი, რომელნიც ხშირად ისეთ გაუვალ კედელს ქმნიან, რომ ცულიც ვერ უშველის კაცს. ალაზანი, განსაკუთრებით ქვემო ნაწილში, აუარებელ და გრძელ მიანდრებს, კალაპოტის თავისებურ ყულფებსა ქმნის, ზოგჯერ ამ ყულფის გვერდი ერთი კილომეტრია და მისი ერთი ბოლო მეორისაგან დაცილებულია ოციოდე ნაბიჯით. სწორედ ამიტომ ეს პირველი, ვერხვიანი ზოლი, ხშირად ერთი კილომეტრის სიღრმისაც შეიძლება იყოს.

პირველი ზოლის შემდეგ იწყება მეორე, საკმარისად ვრცელი ზოლი მუხიანისა. ამ ზოლის მთავარი შემქმნელია გრძელყუნწა მუხა, თელა, იფანი, ნეკერჩხალი; მუხიანში ბარდებია, მაგრამ ისე არ მძლავრობენ, როგორც პირველ ზოლში, აქ უფრო ხშირია მაყვლები, კატაბარდა, სურო, ალაგ-ალაგ ეკალღიჭი. ორივე ზოლისათვის ტიპურია: პანტა, მაჟალო, ტყემალი, შავი კუნელი, წითელი კუნელი, ჯახველი, კვიდო.

ადგილ-ადგილ აღინიშნება თუთა, ხურმა და, რაც მთავარია, კაკალი. ფიქრობდნენ, რომ კაკალი ჩვენში შემოტანილი იყო შუა აზიის მთებიდან, მაგრამ ალაზნის პირებზე (ჯუმაის ყურე) გავრცელებული კაკლიანი ადასტურებს იმას, რომ კაკალი ჩვენი ჭალის ტყეების დამახასიათებელი მცენარე—მისი ერთ-ერთი კომპონენტია. ეს დაადასტურა ნიადაგის ღრმა ფენების მტვრის ანალიზმაც. 8—9 ათასი წლის ფენებში, ივრის პირებზე, კაკლის მტვერი ჩვეულებრივადაა გავრცელებული. ეს დაახლოებით ქვის ხანაა და იმ დროს ინტროდუქციაზე ფიქრი არავის შეეძლო. სამწუხარო ისაა, რომ კაკალს არც აქ აყენებენ — სჭრიან და ჩეხავენ.

თუ ალაზნის ზემო ნაწილის ჭალის ტყე ბდიდარია ლაფა-

ნით, ხოლო მუხიან ზოლში გვხვდება ძელქვაც (ლალისყურ-
ი — ბაბანეური) და ამით ერთგვარად უახლოვდება
ხურ ტყეს, სამაგიეროდ ქვედა ნაწილის მუხიანში ჩვეულებ-
რივია საკმლის ხე, ქართული ნეკერჩხალი, ქართული კოწა-
ხური და სხვანი, რომელნიც მას აახლოვებენ გვალვიანი ად-
გილების ტყეებთან.

მდინარის პირებზე ხშირია ქაცვის გაუვალი რაყანი, ზოგან
კი იალღუნიანი, რომელნიც აქ ხის მაგვარნიც კი არიან.

ამ ტყეთა მნიშვნელობა მთელი კახეთისათვის აუწერელია.
მათ გარეშე კახეთი ველარ იკახეთებს ისე ვაჟკაცურად, რო-
გორც დღემდე კახეთობდა. ტყე ათანაბრებს კლიმატს, ანე-
ლებს მის მერყეობას, გარემოს იცავს ცხელი ქარებისაგან.
ჭალის ტყე ანელებს მდინარე ალაზნის ტალღების ძალას და
ნებას აღარ აძლევს დაანგრიოს ჩვენი მიწა-წყალი და წაიღოს
კასპიის ზღვაში.

ალაზნის ჭალა თავშესაფარი იყო მრავალი კეთილშობილი
სამონადირეო ფრინველის (ხოხბის, მტრედის, ქედნის, გვრი-
ტის, ძიგვინის მთელ სიღრმეში. ნაპირებისაკენ კი გნოლის,
დურაჯის), შვლის და ირმის, აგრეთვე, დათვის, მგლის, ტუ-
რის, კვერნისა და სხვათა.

ალაზნის ჭალა და კახეთის სოფლის მეურნეობა ერთმა-
ნეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ვენახი ჭალის ტყის
გარეშე ძნელი წარმოსადგენი იყო. იგი იძლეოდა სარს, ჭიგოს,
მარგილს, სამეურნეო იარაღის (გუთნის, ურმის, მარხილის)
მასალას (იფანი, თელა, ნეკერჩხალი); წვრილი იარაღის (ორ-
თითი, ფიწალი, ბარი, თოხი) ტარებს; სამშენებლო მასალას
(მუხა, იფანი, თელა); ღობის ჯალჯს (ქაცვი, ჩიტავაშლა), მარ-
გილს (მუხა); ხილეულს (კაკალი, მაჟალო, პანტა, კოწახური,
ჯახველი, მაყვალი და სხვ.); გარეულ ფრინველს აძლევდა
საზრდოს (კოწახური, მაყვალი, კუნელი, ეკალღიჭი); ეგრეთ-
წოდებულ კახურ ღორს—საკვებს (რკო, პანტა, მაჟალო) და ასე
დაუსრულებლად შეიძლება საუბარი ჭალის ტყის სიკეთეზე.
სწორედ ამიტომ, ძველთაგანვე, ჭალის ტყე იყო ერთ-ერთი
ისეთი ნაკვეთი ჩვენი ბუნებისა, რომლის სიკეთისათვისაც
ზრუნავდა ხალხი. სიგელ-გურჯებში, ნასყიდობის ბარათებში,
ჭალის ტყის ბოძება ან ყიდვა-გაყიდვა ვენახისა და ბაღის

გვერდითაა მოხსენებული („მოგყიდეთ ჭალის ტყე საკაფი-თო“... „გიბოძეთ ჭალის საკაფი“).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ყოველივე ამას რომ თავი დავანებოთ, მდინარის პირის გამაგრება, კლიმატზე დადებითი გავლენის მოხდენაც კი საკმარისია იმისათვის, რომ ჭალის ტყე კვლავ დიდი მოვლის საგანი გახდეს. სამწუხაროდ, დღეს ასე არ არის. დაუნდობლად ნადგურდება იგი, განსაკუთრებით ამ ტყის მეორე ზოლი — მუხიანი და არც კი ვიცით, რომ ამით ჩვენ იმ ტოტს ვჭრით, რაზედაც ვსხედვართ.

როგორ, ვენახის მოშენება ტოტის მოჭრაა? შემედავება ზოგი და ზოგი. დიახ, უეჭველად. იქ, სადაც მუხა უნდა იდგეს, იმისათვის, რომ ბალ-ვენახი ვაშენოთ, ამ მუხას ხელი არ უნდა ვახლოთ. თუ წარსულში უცოდინრობით დავაშავეთ ჩვენი ქვეყნის წინაშე, ახლა უნდა გამოვასწოროთ — მოვუაროთ, აღვადგინოთ.

ჭიათურის ტყეც კი ძირს დაუციათ!

ნაკლები დღე არ ადგას პირველ ზოლსაც — შიგ ფერმებია ჩადგმული და, ყოველგვარი სისტემის გარეშე, წარმოებს ამ ტყის ექსპლოატაცია.

ერთი რამ უნდა გვახსოვდეს, ალაზნის სათავეებში კაშხალების კეთების შემდეგ ქვა და ღორღი იკლებს. როდესაც ქვა-ღორღი კლებულობს კალაპოტში, ძლიერდება წყლის მიერ ნაპირის ნგრევა და რადგან ალაზნის ვაკეზე მდინარის კალაპოტი ნალექ ქანებშია გაჭრილი, ამიტომ ნგრევა ნაპირისა ფრიად ინტენსიურად წავა. თუნდაც მარტო ამისათვის ღირს, რომ ალაზნის ჭალას თვალისჩინივით მოვუაროთ.

მდინარე ისეთი ძალაა, რომ მისი ალაგმვა ისევ ბუნებას თუ შეუძლია!

1969 წ.

გადავარჩინოთ ჩვენი ბუნება

წყალი სიცოცხლის წყაროა. სიცოცხლე წყალში გაჩნდა და განვითარდა. ამჟამადაც წყალი სიცოცხლის სიმბოლოა. უჯრედში თუ წყალი ამოშრა ან გაიყინა, უჯრედი კვდება. თუ

უჯრედები დაიხოცა, კვდება ის ორგანიზმიც, რომელიც ამ უჯრედებითაა აგებული. ადამიანი უმაღლესი ორგანიზაციის არსებაა ცოცხალ ორგანიზმთა შორის, მაგრამ მისი სხეულის 80 პროცენტზე მეტი წყალია. უწყლოდ არ მოვა მოსავალი, გადახმება მთა და ბარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს ძველებს ეს კარგად ესმოდათ და აკი ქართულ ენაში სიკეთის გამომსახველ სიტყვებში წყალი ისმის: „წყალობა", „შეწყალება", „ღვთის წყალობა", ქართველ კაცს „წყალობაც" ერქვა.

ამავე დროს ადამიანი ჩვენშიც და მთელს მსოფლიოში უდიერად ეპყრობა ისეთ ფენომენს — როგორიც წყალია.

საკუთარი ხელით აქცევს და ანადგურებს ბუნების იმ ნაწილს, რომელიც წყალს უნახავს. ანადგურებს ტყეებს, მდელოებს, არ უფრთხილდება მცენარეს. ამის გამო მიწაში წყალი აღარ ჩადის და ზაფხულში (და არა მარტო ზაფხულში) მდინარეებში წყალი კლებულობს, ან სულ არ არის. უყაირათო და წინდაუხედავი მოქმედების შედეგად მიწათმოქმედი ხშირად იმაზე მეტს, ვიდრე მას ესაჭიროება, ხმარობს მინერალურ სასუქს, წამლავს მცენარეს სხვადასხვა მწვავე შხამქიმიკატებით და ცუდად გამოყენებულ სარწყავ ჭარბ წყალს ამ ნივთიერებათა დიდი ნაწილი მდინარეში ჩააქვს, წამლავს მას. მთავარი უბედურება მაინც ისაა, რომ მრეწველობის მიერ გადამუშავებული წყალი (ქაღალდის მრეწველობის, საფეიქრო მრეწველობის, ქიმიური მრეწველობის, მძიმე ინდუსტრიის და სხვა) საკმაოდ მოწამლული და მოშხამული მდინარეებში ჩადის და წამლავს მას. ამ ბოლო დროს ცდილობენ ასეთი წყალი გაწმინდონ, მაგრამ ჯერჯერობით ეს მუშაობა წვეთია ზღვაში.

წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, რამდენ წყალს ხარჯავს მრეწველობა და რამდენს აჭუჭყიანებს, მოვიტანოთ რამდენიმე ცნობა:

ერთი ტონა ქაღალდისათვის საჭიროა 250 ტონა წყალი;

ერთი ტონა აზოტური სასუქისათვის საჭიროა 600 ტონა წყალი;

ერთი ტონა ხელოვნური ქსოვილისათვის 700 ტონა წყალია საჭირო და სხვ.

ქალაქის კანალიზაციით მდინარეში ჩასული წყალი რამ-
დენიმე კილომეტრის შემდეგ წმინდავდებოდა. მას შემდეგ, რ
ქალაქები გაიზარდა, ეს საკითხი თითქმის გადაუჭრელ
ამოცანად წამოიჭრა მსოფლიოს წინაშე. მდინარე სენა პარიზ-
მა მოკლა, მდინარე მოსკვარეკა ქ. მოსკოვმა. ამ ორიოდე წლის
წინათ გაწმიწდეს მდინარე მოსკვარეკას კალაპოტი და თევზი
კვლავ გაჩნდა, მანამდე კი ამომწყდარი იყო.

მრავალ მდინარეში გაწყდა თევზი, კაშხალების გვერდით
ვერ შოულობდა თევზის სავალი გზების დატოვება, თევზი ვე-
ღარ აღწევს საქვირითეებისაკენ. კატასტროფულად დაეცა
თევზის რაოდენობა კასპიის ზღვაში, აზოვის ზღვაში და სხვა-
გან. იშვიათია ზუთხი, ორაგული და სხვა ძვირფასი თევზი.

მრეწველობა სხვა მხრივაც მტრობს წყალს და ბუნებას.
ბოლთან ერთად ჰაერში ადის ჭვარტლი და სხვადასხვა ნივ-
თიერება. მსოფლიოში 250 მილიონი ავტომობილია, რომლის
გამობოლქვილი გაზი 200 მილიონ ტონას უდრის. მრეწველო-
ბის თავისებური ნაშთები ჰაერშია გაბნეული, ეფინება მყინ-
ვარებს, რის გამოც ისინი უფრო ძლიერად ხურდებიან და
სწრაფად დნებიან. სწრაფი დნობა ეტყობა კავკასიის მყინვა-
რებს. ზოგიერთმა მყინვარმა 50 წლის მანძილზე 100 მეტრით
დაიხია უკან.

ძალიან ხშირად ანგარიშგაუწევლად ვაშრობთ ჭაობებს და
განსაკუთრებით ტორფის ჭაობებს. მაგალითად, ტორფიან
ჭაობს, რომლის ფართობი 1.000 ჰექტარს უდრის, სიღრმე
კი 5 მეტრს, შეუძლია შეინახოს 45 მილიონი კუბმეტრი წყა-
ლი. ასეთ ჭაობთა დაშრობამ პოლონეთში მრავალი სოფელი
უწყლოდ დატოვა.

სხვა ბუნებრივი მოვლენების გაუთვალისწინებლობის სა-
უკეთესო ნიმუშია სევანის ტბა, სადაც წყალმა კატასტროფუ-
ლად იკლო (წყლის ჰესებისათვის გამოყენების შემდეგ) და
ახლა უზარმაზარი და ძვირად ღირებული ღონისძიება ტარ-
დება იმისათვის, რომ სევანი კვლავ წყლით გავამდიდროთ.

მთებში კაშხალთა აშენებამ, მდინარეთა გადაღობვამ ზღვას
მოაკლო ღორღი, რის შედეგადაც ზღვა ანგრევს ნაპირებს,
ასეთი პრობლემა დგას ოჩამჩირესა და ანაკლიის წინაშე.

დიდად გაიზარდა წყლის ხარჯვა. მაგალითად, წყლის ონკანი თუ ქუჩაში ერთია, იქიდან დღეღამეში ერთ კაცზე იხარჯება 30—50 ლიტრი წყალი, თუ ბინაშია, მაშინ 50—80 ლიტრი წყალი. თუ ბინაში აბაზანა და ცხელი წყალია, იხარჯება — 150—200 ლიტრი.

ქალაქების ზრდამ როგორც მთელ მსოფლიოში, ისე ჩვენში დააყენა წყლის პრობლემა. მსოფლიოში ბევრია ისეთი ქალაქი, სადაც მოსახლეობას წყალს 2—3 საათის განმავლობაში აწოდებენ მხოლოდ. ამიტომაა, რომ დღეს დიდი მუშაობა მიმდინარეობს ზღვის წყლის გამტკნარებაზე. ზოგი ყინულოვანი ოკეანეებიდან აისბერგების მითრევასა და მათ გადნობასაც კი ფიქრობს.

დღეს მთელი მოსახლეობა (3.600.000.000 კაცი) წელიწადში ხმარობს 2.000.000 კუბურ კილომეტრ მტკნარ წყალს. არსებობს სხვადასხვა გამოანგარიშება. მაგალითად, 2 000 წლისთვის დედამიწაზე იქნება 6.800.000.000 კაცი, რომელთაც დასჭირდება 3.000.000 კუბური კილომეტრი მტკნარი წყალი, ანუ არსებული მარაგი. ორიოდე ათეული წლის შემდეგ კი, ვთქვათ 2 040 წ. წყალი ნამდვილად დააკლდება.

ნადგურდება ნადირ-ფრინველი, კლებულობს ნიადაგისეული სიმდიდრე და სხვა მრავალი.

აი, ის მრავალი პრობლემა, რომელიც დღეს კაცობრიობის წინაშე დგას. სწორედ ამ პრობლემების გადაწყვეტას ემსახურება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 9 იანვრის დადგენილება.

ამ დადგენილებით დასახულია ღონისძიებანი, თუ როგორ უნდა გადავარჩინოთ ჩვენი ბუნება, თუ როგორ უნდა მოვუაროთ მას, რომ მან მოგვცეს რაც შეიძლება მეტი სარგებლობა. ყველა იმ სამინისტროს და ორგანიზაციას, ვისაც ეხება ბუნების მოვლა-დაცვა, მიცემული აქვს კონკრეტული დავალება.

ჭეშმარიტად შესანიშნავი დადგენილებაა, შესაფერისი ჩვენი პარტიისა და ჩვენი ხალხისა.

1973 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს წერილი ძველი, კარგად ცნობილი ამბით მინდა დავიწყო.

ერთ მშვენიერ დღეს ცნობილ მეცნიერთან — ჩარლ დარვინთან ფერმერები გამოცხადდნენ და შესჩივლეს: სამყურას თესლის მოსავალი მოგვიცდა, იქნებ გაიგო ამის მიზეზი, რომ სამერმისოდ მაინც გვეშველოსო. დარვინმა ყოველივე გულდასმით გამოიკვლია, და რა გამოირკვა: ბოლო წლებში ჭირს კატები გაეწყვიტა; კატა რომ გაწყდა, თაგვი გამრავლდა, თაგვმა მუსრი გაავლო კრაზანის ჭუპრითა და მატლით სავსე ფიჭებს; კრაზანაც გაწყდა, კრაზანა კი ყვავილის დამმტვერავი, გამანაყოფიერებელია. დაუმტვერავად სამყურას ყვავილი თესლს ვერ მოგვცემს.

ერთი შეხედვით თითქოს არავითარი კავშირი არა აქვს ერთმანეთთან სამყურას თესლის მოსავალსა და კატას, მაგრამ თურმე კატის არსებობა ან არარსებობა უშუალო გავლენას ახდენს სამყურას მოსავალზე.

მახსოვს, ერთხელ, ჭაბუკობის დროს, ნადირობიდან ბრუნდებოდი; ცაში მტრედების გუნდი ნავარდობდა. უცებ მტრედებს შევარდენი დაესხა თავს. გუნდი ძირს დაეშვა, შევარდენიც დაჰყვა; მაშინ გუნდმა მაღლა აჰკრა კამარა. შევარდენი შეფართხალდა, მაგრამ სწრაფად აჰყვა და ზევიდან მოექცა. გუნდი კვლავ ქვემოთ დაეშვა და, აი, ამ დროს ერთი მტრედი გამოეყო გუნდს. ფრთებს ალახლახებდა, „დაიღუპა“ მეთქი, — გავიფიქრე და თოფი გავუშხუილე ბრძოლის ველისკენ. შევარდენი შეტრიალდა, აჰკრა კამარა და მოლივლივე ცაში დაიკარგა, მტრედი კი ლახლახით თავის გუნდს გაჰყვა. არ ვიცი დაეწია თუ არა, გუნდი უკვე შორს იყო. მე სიამოვნებით გავიღიმე, „ერთი არსება გადავარჩინე-მეთქი“, — ვიფიქრე. მაშინ ასე ვფიქრობდი, რომ წამოვიზარდე და ცოტა რამ გავიგე, ისე აღარ მეამაყებოდა მტრედის გადარჩენა. იგი, როგორც ჩანს, სუსტი მტრედი იყო, სუსტი მტრედი კი სუსტ შთამომავლობას მოგვცემს. ბუნებას თავისი კანონები აქვს: ძლიერი რჩება, სუსტი იღუპება. გარდა ამისა, ბუნებაში, განსაზღვრული რაოდენობით, ყველა ცოცხალი არსებაა საჭი-

რო: მგელიც და ირემიც, ტურაც და კურდღელიც, ქორიც და მტრედიც, ხოხობიც და შევარდენიც... მტაცებელნი ბუნების სანიტრების როლს ასრულებენ. თქვენ ალბათ გიყვართ ტყე-ღრეში სიარული, ბუნების სილამაზით დატკბობა და, დარწმუნებული ვარ, არსად არ შეგხვდებოდათ რომელიმე ცხოველის ან ფრინველის ლეში — ის უკვე „ალაგებული“ იქნებოდა ამ „სანიტრების“ მიერ.

ამასთან ერთად, მტაცებლები ხელს უწყობენ ძლიერი თაობის გამრავლებას. შორეული ციმბირი, ტაიგა, ტუნდრა ნადირით სავსე მხარეა. იქ ირემიც ბევრია, შველიც, მგელიც, მაგრამ ირემი არ ამოწყვეტილა. მიჰქრის ირმის ჯოგი და მისდევს ენაგადმოგდებული მგლების ხროვა. მიჰქრის ირმის ჯოგი და, აი, ერთი ჩამორჩა და წაიფორხილა, წაიფორხილა და მგლების ლუკმა გახდა. გადარჩნენ ძლიერნი, რომელნიც ძლიერ თაობას მოგვცემენ.

ამერიკის ზოგიერთ ნაკრძალში მგლები და სხვა მტაცებლები ამოწყვიტეს, მაგრამ ოციოდე წლის შემდეგ დაინახეს რომ ირმები, შვლები, გარეული თხები, ცხენ-ირმები და მისთანანი დაავადდნენ, დასნეულდნენ. გამოირკვა, რომ რაკი „ბუნების სანიტრები“ აღარ ჰყავდათ, მათი შთამომავლობა დაჩიავდა. ნაკრძალთა ადმინისტრაციამ მგლები სხვა მხარეებში შეიძინა. ისინი განსაზღვრული რაოდენობით გაუშვეს ნაკრძალებში.

ამერიკის ზოგიერთ შტატში დინგო (გარეული ძაღლი) და მგელი ცხვრის ფარებსა და საქონელს დიდ ზიანს აყენებდნენ. დინგოცა და მგელიც მთლიანად გაწყვიტეს. გამრავლდა ბოცვერი (კურდღლის ერთ-ერთი სახეობა), რომელმაც მოსავალი გააჩანაგა. ზარალი მრავალჯერ აღემატებოდა ცხვრისა და შინაური ცხოველის დანაკლისს. იძულებულნი გახდნენ მგლები და დინგოები სხვა მხარეებიდან შემოეყვანათ და განსაზღვრული რაოდენობით მოემრავლებინათ. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ადამიანი არ უნდა ერეოდეს ბუნების წონასწორობის მოწესრიგებაში. არის შემთხვევა, როდესაც ესა თუ ის მავნებელი ისე მრავლდება, რომ დიდი ზარალი მოაქვს. აი, სწორედ აქ არის საჭირო ადამიანის ჭკუა-გონება. მავნებელნი მხოლოდ იმ რაოდენობისა

უნდა დავტოვოთ, რაც ხელს შეუწყობს ბუნების წონასწორობის დაცვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენადაც ლამაზი, მრავალფეროვანი და ყოველმხრივ დამშვენებულია ჩვენი ბუნება, იმდენად სასიამოვნოა მის წიაღში ყოფნა და ცხოვრება.

საქართველო ერთ-ერთი ულამაზესი ქვეყანაა; თოვლიანი მთებიდან ერთი დღის სავალია ველებამდე. გზად გადივლი ალპურ მდელოებს — ათასნაირი ყვავილით დამშვენებულს, ულრან ტყეებს, სადაც უთხოვარი და წაბლი, ცაცხვი და ბოყვი, წიფელი და მუხა და მრავალი სხვა ხე ერთმანეთს ენაცვლება; მრავალჯერ წააწყდები მთის მჩქეფარე მდინარეებსა და ნაკადულებს, რომელთაც დედის რძესავით სწოვენ ჩვენი ბაღ-მინდვრები; ხან აქ და ხან იქ წინ გადაგირბენს ქორბუდა ირემი, ცქვიტი კურდღელი, კლდის ბინადარი ამაყი ჯიხვი, ფსიტი, გარეული თხა... რა სჯობს ამ სიმდიდრეს! გონიერ ადამიანს აზრად არ უნდა მოუვიდეს სიცოცხლეს გამოასალმოს ეს შესანიშნავი არსებანი. დაე იცოცხლონ, გაახარონ ჩვენი თვალი, დაამშვენონ ჩვენი ბუნება!

მართალია იმ შემთხვევაში, თუ ისე მომრავლდნენ, რომ საქვეყნო დოვლათს ზარალს მიაყენებენ, საჭირო იქნება გარეულ ცხოველთა შემცირება, მაგრამ ეს სახელმწიფო ღონისძიებით, მეცნიერთა მონაწილეობით უნდა მოხდეს.

თუ ჩვენი ქვეყანა ლამაზია, თუ აქ ამდენი შესანიშნავი ნადირ-ფრინველი ბუდობს, მთის მდინარენი და ნაკადულები მოჩქეფს, ეს იმიტომ, რომ ჩვენი მთის ფერდობები ჯერ კიდევ ტყით არის შემოსილი. საქართველოს ტერიტორიის სამ მეოთხედ ნაწილზე მეტი მთიანია, მთიანი ტერიტორიის ნახევარზე ნაკლები ტყით არის დაფარული, მეორე ნახევარი მთის მდელოებს უჭირავს. მთების დაახლოებით ერთ მეხუთედს კი თოვლი და ყინული ფარავს. ეს თოვლი და ყინულია, მარადიულ სიცოცხლეს რომ აძლევს ჩვენს წყაროებს, ნაკადულებს, მდინარეებს. მაგრამ იგი ოდნავადაც არ იქნებოდა საკმარისი, მთის ფერდობი ტყით და შეკრული კორდით რომ არ იყოს დაფარული. უფრო მეტიც: ტყე რომ არ ყოფილიყო, არც ამდენი თოვლიანი მთა და მყინვარი გვექნებოდა; მთის კალთები ჩამოირეცხებოდა, ნიაღვარი წამოიღებდა

ქვასა და ღორღს, ქვიშასა და ლამს. გამოქანდებოდა ვაკე-საკენ, წალეკავდა ბაღებსა და ვენახებს, მინდორს, სოფელს, ქალაქს. ბევრი სოფელი და ქალაქი აღუგვია პირისაგან მიწისა ადიდებულ მდინარეს. მაგალითად ქარული ეროზიის შედეგად ჰაერში ატაცებულმა მტვერმა, ჩვენი საუკუნის ოცდათიან წლებში ამერიკაში მზე დაბნელა, მტვრით დაფარა ქალაქები.

ჩვენშიც, იმ რაიონებში, სადაც ტყის ყადრი არ იცოდნენ, ბევრი სოფლის ახალ ადგილებში გადასახლება მხოლოდ იმიტომ გვიხდებოდა, რომ ამ სოფლების მიდამოებში ტყე უსისტემოდ იჩეხებოდა და უდიდესი რაიონები დაიმეწყრა (ქვემო იმერეთი, აფხაზეთი).

ტყე აჯანსაღებს ჰაერს, იგი ბუნების ერთ-ერთი ელემენტია, მასზეა დამოკიდებული ჰავის ზომიერება, ჟანგბადით ჰაერის სიმდიდრე, მდინარეთა სიუხვე, ელექტროსადგურების, სარწყავი არხების სიმრავლე და სხვა მრავალი. ყოველივე ეს ხალხის ჯანმრთელობაზე, ხალხის ფსიქიკაზე მოქმედებს. ფსიქიკაზე და ჯანმრთელობაზე მარტო ის კი არ მოქმედებს, რომ მიწა კარგ მოსავალს იძლევა, არამედ ბუნების სილამაზეც. მაღლიდან გადმოვარდნილი ჩანჩქერი, კლდეზე რომ მარგალიტის შეფებად იმტვრევა და ცხრათვალა მზის სხივებში ელვარებს, ვის არ მოსწყვეტს თვალს, მეტადრე თუ ამ დროს მთის თხემზე ქორბუდა ირემი გადმოდგა, ან ცქვიტმა შველმა გაირბინა — ეს ხომ გვირგვინი იქნება მთელი დღისა!

არასდროს არ დამავიწყდება: მთა-თუშეთის თოვლიან მთებში ვიყავი, ხელში წერაყინი მეჭირა, მხარზე საჭერბარიო აბგა და ფოტოაპარატი მქონდა გადაკიდებული; ავედი ქედის თხემზე, შემოვუარე კლდეს, „გუშაგს“ რომ ვეძახდით ალპინისტები, და უცბად გავშეშდი, სუნთქვა შემეკრა: ჩემს წინ ჯიხვის არვე ბალახს სძოვდა, მამალი ჯიხვი მალიმალ ასწევდა თავს, გაშეშდებოდა, გარინდდებოდა. არ ვიცი როდემდე ვიდექ ასე. ბოლოს ამოვისუნთქე, ჯიხვმა უმალ თავი დაიქნია, შუნებმა ყურები ცქვიტეს და კლდეებზე გაფრინდნენ. ფოტოაპარატი მქონდა და ისიც კი დამავიწყდა. მაღლა ავიხედე. ფასკუნჯი წრეს უვლიდა, ლურჯ ცაში ქანაობდა. დავჯექი და გავყევ ბედნიერ ოცნებას. ეს მთა, ჯიხვის არვე, ცაში

ფასკუნჯი, ლურჯი ცა, ყვავილებით დამშვენებული მდელო ხომ მე მეკუთვნოდა.

იქნებ იკითხოთ, მაშ ხე არ მოვჭრათ? არა, უნდა ამოვჭრათ, მაგრამ ისე, რომ ამ მოჭრამ მრავალი სხვა მცენარეს ვერ მოზრდას ხელი შეუწყოს. ან რა შევებრძოლოთ მგელს? უნდა შევებრძოლოთ, როცა მას დიდი ზარალი მოაქვს, მაგრამ არ უნდა ამოვწყვიტოთ. ქორ-მიმინოს იმდენი სარგებლობა მოაქვს თაგვებისა და სხვა მღრღნელების განადგურებით, რომ სადაც ეს იციან, იქ მათთვის მაღალ სარებს არჭობენ მინდვრებში, რომ დაჯდნენ ზედ და ირგვლივ მიმოიხედონ, თაგვი და სხვა მღრღნელები დაინახონ.

ბუნების სარგებლობაზე ბევრი, ძალიან ბევრის თქმა შეიძლება. დააკვირდით ბუნებას, ისწავლეთ ამ დიდი წიგნის კითხვა; დაეხმარეთ ბუნებას, რომ იგი უფრო დამშვენდეს; დარგეთ ხეები, რომ თქვენს მხარეს სიმწვანე შეემატოს; გაუფრთხილდით სასარგებლო ნადირ-ფრინველს.

1968 წ.

ყვავიან მახაროblebი

გაზაფხული დადგაო, — ვიტყოდით შარშან ამ დროს ან წინათ, წელს კი უცნაური გაზაფხული გვაქვს შუა ზამთრიდან, ზოგან უფრო ადრეც წამოვიდა, კიდეც და აგრძელებს თავის გზას. ზამთარმა თოვლი მოგვანატრა, აქა-იქ წამოფიფქა და ისევ მალე აიღო. ეს არაფერს ნიშნავს, ნათქვამია: „თუ ზამთარი თოვლიანიაო, მოსავალიც გულიანიაო“. ნიადაგმა წყლის მარაგი ზამთრიდანვე უნდა შემოინახოს, რომ ზაფხულიდანვე მოახმაროს ჭირნახულს. წელს კი ნიადაგში წყლის მარაგი ჯერჯერობით ცოტაა. ამიტომ სარწყავ არხებსა და რუებს ამთავითვე კარგად უნდა მოვლა, ზაფხულში სარწყავი წყლის ერთი წვეთიც არ უნდა დაიკარგოს უსარგებლოდ.

ამინდი ჭირვეულობს, ალაგ-ალაგ თოვლიც ჩამოყარა, კა-

ხეთი დათოვლა. ეს კარგია, მაგრამ თუ მარაგი არ მიუმატა, გული საგულეს არ უნდა გვქონდეს.

შარშან ნუში თბილისში და მის მიდამოებში ოთხ-ხუთ დღეს აყვავდა, წელს კი — ორ თებერვალს, ორი თვით ადრე. რა-საკვირველია, ადრეა! მარტის ერთ ღამეს რომ ყინვამ დაჰ-კრას, მოსავალი დაიღუპება.

გაზაფხულის სხვა მახარობლები უკვე იანვარში და ზოგან დეკემბერში ჩანდნენ, განსაკუთრებით მზვარე ადგილებში, ტყის პირებზე ხარისძირამ წამოყო თავი და მწვანე ყვავილე-ბით თვალი დააჭყიტა, ბუჩქის ძირებში გეგონებათ ლალის ნამტვრევები მოუფანტიათო, ისე ამობიბინდა ყოჩივარდას ყვავილები. მას გვერდი დაუმშვენა მორცხვმა, თავდახრილმა ცისთვალამ, ცხენისკბილამ. ღია ადგილას ენძელა და ჩიტის-თავაც გაჩნდა. მაგრამ არც ერთს არ ჰქონდა ის პეწი და სი-ლაღე, რომელიც მაშინ აქვთ ხოლმე, როცა დროზე ამოდიან, ყვავილობა არ ჩანდა მხარაბმული, კანტიკუნტად მოჩანდნენ, და ეს უკვე იმის ნიშანია, რომ მართალია, თვალი გავახილეთ, მაგრამ მაინც მახარობლები ვართო.

ასეა თუ ისე, მარტი მაინც გაზაფხულის თვეა და კალენ-დრით გაზაფხულიც დადგა, თუმცა მარტისთანა ჭირვეული თვე ჩვენ არა გვაქვს. „მარტი ვარ, ქალი ლამაზი, დღეში ცხრაჯერ მოვირთვები, ცხრაჯერ მოვიღუშებიო“, — ამბობს ჩვენი ხალხი, „თებერვლიდან დღეს იმდენი ემატება, რამდენ-საც ბატკანი გადახტებაო“. ბატკანმა ხტუნვა კარგი იცის, მარტს კიდევ მეტი ემატება, მაგრამ რაკი ჭირვეული თვეა და მთებზე თოვლი ჯერ კიდევ კარგად ჩანს, ამიტომ დილის (და ღამისაც) ყინვებია მოსალოდნელი, ბაღებში ბუჩო და ჩინჩ-ხვარი უნდა იყოს დაგროვილი. იგი არც ვენახებში უშლის, რა-დგან წელს ვაზი ადრე გაისხლა და ორ-ორი რქაღაა დატოვე-ბული, რომელსაც დიდი გაფრთხილება უნდა. თუ კარგი ამინ-დი დაიჭირა, ნუშის გარდა ბევრი სხვა ხეხილიც აკოკრდება და თუ სიცივე დადგა, ბაღებში ბოლის საფარი უნდა გადავახუ-როთ ხეხილს, დაგროვილი ბუჩო ხომ საქმის წინ წაგდებაა.

მარტში უკვე ყვავიან გაზაფხულის მახარობლები: ენძელა და ჩიტისთავა, ყოჩივარდა და ხარისძირა, ცისთვალა და ცხე-ნისკბილა, კესანე და ჟუნჟრუკი, პირისფერი ფურუსელა, ბო-

ლა და სხვანი. თხილმა თავის საყურეები კარგა ხანია დაკიდა და მტვრად იცლება. მზვარე ადგილებშიც შვინდი ყვითლად იპენტება.

იწყება თბილი ქვეყნებიდან ფრინველების დაბრუნება, მაგრამ შოშიები ჯერ არა ჩანან, ეს კი შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ მარტმა შეიძლება იმარტოს და ძალიანაც იჭინჭყლოს. მაგრამ თუ კარგი ამინდი დაიჭირა, შოშია და შროშანიც გვეწვევა, წეროების მწკრივიც გადასერავს ცას, ღამით კი გარეული ბატების გუნდის ყიყინსაც გავიგონებთ. მარტის ბოლოს მერცხალიც შემოგვჭიკჭიკებს, და ეს იქნება უკვე ნამდვილი გულის დაჯერება, რომ გაზაფხულმა საფუძვლიანად მოიდგა ფეხი.

ბარად ყველგან მუშაობაა გაჩაღებული. ვენახები იბარება და იხვნება, ვაზი ისხვლება, ახალი ვენახი — ბაგა იყრება, სარი ედგმება; ჯეჯილს დამატებით საკვებს აძლევენ. ნუ შეგეშინდებათ, თუ ზოგან ნახნავის პირი მოყინულია. ზედ შეიძლება დაიყაროს სასუქი, გალხობილი წყალი იმასაც გაადნობს და მიწაში ჩაიტანს.

გახურებულია ახალი ბაღების გაშენება, სარის შედგმა, ბაღში სასუქის შეტანა, ჩახვნა-ჩაბარვა. ხეების ტანს ასუფთავებენ, მწერის საჭერ რგოლებს ხსნიან და წვავენ. წინდახედული მეურნე ბაღში ფუტკრის ძირებს ერთ ჰექტარზე ორ ძირს თუ არა, ერთ ძირს მაინც დაადგამს, რათა ვაშლი რომ აყვავდება, ფუტკარიც ჩაებას ხილის მოსავლის საძირკველის ჩაყრაში. ფუტკარი ბაღში მოსავალს ამრავლებს. იქ, სადაც ფუტკარი არ არის, ბაღი არ ისხამს, თუ ისხამს, ძალიან ცოტას.

ჩაის პლანტაციებიც აჭრელებულია ნაირ-ნაირი სამოსით, სხლავენ, ბარავენ, მინერალური სასუქი შეაქვთ, კეთდება ღობე, იწრიტება წყალსაწრეტი არხები და სხვ. ასეთივე გულიანი მუშაობაა ციტრუსების ბაღშიც.

გზის პირებზე ირგვება საჩრდილობელი ხეები. მოწაფეებს, ბავშვებს ტყის დღე გამოუცხადებიათ და ცარიელ ადგილებს ამწვანებენ, ხეებს და ბუჩქებს რგავენ.

ბუნების მოყვარულთა წრე ამ დროს ბევრ საქმეს პოულობს, უფროსებს ამოსდგომიან გვერდში და ბაღ-ვენახებიდან

გააქვთ ნასხლავი. ანთებენ კოცონს და წვავენ მწერის საჭერ
რგოლებს, ან კიდევ ხეებზე და მოსახერხებელ ადგილებში ჩი-
ტის ბუდის სახლებს ამაგრებენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კვალსათბურების ირგვლივაც გაჩაღებულია მუშაობა, საქ-
მიანობაა მესაქონლეობის ფერმებშიც. მარტში ხომ ყველაზე
მეტი ნამატი იცის, განსაკუთრებით ყურადღებით ეკიდებიან
საბატკნეებსა და სახბორეებს.

ერთი სიტყვით გაზაფხულის პირზე არც ბუნებაა მოსვე-
ნებით და არც ადამიანი.

ზაფხულ-შემოდგომას ახლა ეყრება საძირკველი.

1970 წ.

მუდამ ყვაოდეს ვარდი და ია

თბილისი რომ დღითიდღე ლამაზდება და მშვენდება, ამას
მტკიცება არ უნდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ
გაშენდა მრავალი ბაღი და სკვერი, ქალაქის შემოგარენი ნორ-
ჩი ხელოვნური კორომებითა და ჭალებით დაიფარა.

ამ პატარა წერილში მინდა აღვნიშნო ის, თუ ამ სიმშვენი-
ერეში კიდევ რა გვაკლია, რა დავუმატოთ ისეთი, რითაც ჩვე-
ნი დედაქალაქი უფრო ლამაზი და კოპწია იქნება.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის ბაღებს,
პარკებს, ქუჩებს ყვავილი აკლია; რაც მთავარია, აკლია ვარ-
დი, მაშინ როცა იგი თბილისისათვის განუყრელი უნდა იყოს.
დედაქალაქის ქუჩებს ყვავილი ამშვენებს შემოდგომით, რო-
დესაც ქრიზანთემებს ვრგავთ.

დანარჩენი დრო? საკმარისი არ არის ერთი-ორი ყვავილ-
ნარი. ამისათვის საჭიროა გაზაფხულის პირიდან ქალაქის სა-
ნერგეებში, სათბურებში მზად გვქონდეს ყოველი ორი კვი-
რისათვის თუ თვისათვის გამოყვანილი, აყვავებული ყვავი-
ლოვანი მცენარე. მთავარ ქუჩებსა და მთავარ პარკებში ერთი
რიგი რომ დაიყვავილებს, მათ სანაცვლოდ სწრაფად უნდა
(უკეთესია ღამით) დაირგოს მეორე. ეს ჯგუფიც დაიყვავი-
ლებს თუ არა, ისიც ახალი ყვავილებით უნდა შეიცვალოს.

მრავალ ქალაქში ქუჩას გაზაფხულზე ტიტაც ამშვენებს, რატომ არ შეიძლება ჩვენც დავრგოთ იგი და მისი სილამაზით გავახაროთ თბილისელები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის გარდა, არის მრავალნაირი დეკორატიული ალუბალი, ვაშლი, ატამი და ა. შ. კასრებსა და ქოთნებში დარგული დეკორატიული მცენარენი სათბურებში უნდა ავაყვაოთ და გაზაფხულზე ქოთნითა და კასრიანად ქუჩებში დავრგათ. 20—30 დღის შემდეგ, როდესაც ისინი დაიყვავილებენ, უნდა შევცვალოთ ახლით, სხვა სახეობით. აყვავებულ ატამზე ან ალუბალზე ლამაზი და კოპწია შეიძლება სხვა ვერც ვნახოთ, საპატარძლოს ჰგავს ჯვრისწერისათვის გამზადებულს. მათთვის ქუჩის გასწვრივ, გაზონებზე დატოვებული უნდა იყოს ორმოები, რომლებიც სწორედ ასეთი მცენარეებით დროდადრო ამოივსება, ისე რომ ორმო არასდროს ცარიელი არ ჩანდეს.

ვარდი ისეთი მცენარეა, რომელიც მთელ საველეტაციო პერიოდში ყვავის. მართალია, მას აქვს ყვავილობის უხვად და ნაკლებად მოყვავილე პერიოდები, მაგრამ მაინც გამუდმებით ყვავის. ამის დამადასტურებელია თუნდაც ლენინის მოედანი თბილისში, სადაც ვარდი ზამთრის პირამდე იფურჩქნება. რატომ ასევე გამუდმებით არ უნდა ყვაოდეს ეს მცენარე თბილისის სხვა თვალსაჩინო ადგილებშიც? უნდა ყვაოდეს და კიდეც შეიძლება, თუ გულს დავუდებთ.

აყვავებულ მცენარეთა გადმორგვაზე და მათ შენაცვლებაზე იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ თბილისში საველეტაციო პერიოდი გრძელია და იშვიათია ისეთი მცენარე, რომელიც განუწყვეტლივ ყვაოდეს.

ზამთრისათვისაც გვაქვს მოყვავილე მცენარენი. ასეთია ხიმანანთუსი, რომელიც დეკემბერ-იანვარში იშლება, ყვავის დიდხანს და ლამაზად. ამიტომ ფართოდ უნდა გამოვიყენოთ.

მეორე საკითხი, რომელიც ყოველთვის მაწუხებს და ხშირად აღმინიშნავს, ის არის, რომ არ შეიძლება ყველა ქუჩაში და ყველგან ერთი და იგივე ხე დავრგათ, მაგალითად ჭადარი, მერე რა, რომ ადვილად ხარობს. ჯერ ერთი, იგი ფრიად მაღალი იზრდება და ტოტებგანიერია, სულ მალე ქუჩაში ვეღარ ეტევა, მეორეც, საკმაოდ ანაგვიანებს ქუჩებს. რაც დარგულია, ის

უნდა ვიკმაროთ. მომატება, ჩემი აზრით, საჭირო აღარ არის. არის მრავალი სხვა მცენარე, რომელიც თბილისის ქუჩას მოუხდება, არც ძალიან იზრდება და ჩრდილსაც კარგს იძლევა (ქართული ნეკერჩხალი, ზოგიერთი მარადმწვანე მუხა და სხვა). ერთ ქუჩაზე რომ ჭადარს დავრგავთ, მეორეზე თელა იყოს, მესამეზე — ნეკერჩხალი, მეოთხეზე მარადმწვანე მუხა. საჭიროა ქუჩისათვის უფრო მეტად გამოვიყენოთ ლამაზად მოყვავილე ხეები. მაგალითად, იუდას ხე, ლაგისტრემია და ა. შ. ლაგისტრემია ხომ სამი-ოთხი თვე, ივლისიდან სექტემბრის ბოლომდე ყვავის ლამაზი წითელი ყვავილებით.

ჯერჯერობით ვერტიკალური გამწვანების საკითხი თბილისში ვერ გადავჭერით, ვიწრო ქუჩების მხვიარა მცენარეებით გამწვანება (სურო, ამპელოპსისი, ვიშტარია, უცხოური კატაბარდები და სხვა) აუცილებელი და გადაუდებელია. ევროპის ქალაქებში იგი ჩვეულებრივად ვითარდება. სხვა არა იყოს, ერთი-ორი მუშაკი, ვინც გამწვანებაზე მუშაობს, უნდა გაიგზავნოს ევროპის ქალაქებში ამ საკითხის შესასწავლად. ეს ძალიან სასარგებლო საქმე იქნება.

ამ ბოლო დროს თავი იჩინა ქვის ბაღების მშენებლობის ტენდენციამ. აგებენ ქვას, ქვის ზოლებს შორის — ბელტს, არც ხე, არც ბუჩქი, ყვავილიც კი არ ჩანს. ასეთი ბაღი ჩრდილოეთის ბაღია, იმ მხარისა, სადაც მზე აკლიათ, ჩვენ კი ჩრდილიც გვინდა. თავისთავად, არქიტექტურულად, ამგვარი სკვერები ლამაზია, კარგია, მაგრამ ჩვენში ფუნქციას მოკლებულია. ერთი-ორი ასეთი სკვერი ურიგო არ არის, მაგრამ მათ გვერდით უნდა გვქონდეს შესაფერი, ჩრდილიანი და ყვავილიანი სკვერიც.

ეზოს გამწვანებასაც დიდი ყურადღება ეთმობა. კარგი იქნება, რომ ზოგიერთს მაინც ძველი თბილისის ეზო-ბაღის კოლორიტი შერჩეს. იგი ძალიან ლამაზიც არის და ქართველი კაცის გულთანაც ახლოს დგას. ასეთ ბაღებში ჩვეულებრივი იყო ნუში, ფსტა, უნაბი, ლეღვი, ბროწეული, ვაზი, ჭერამი, გარგარი და ბალი. ჯერ ერთი, გაზაფხულზე მათი უმრავლესობა ლამაზად ყვავის, ნაყოფიერების დროსაც თვალწარმტაცია და გვიან შემოდგომაზეც ფოთოლი ნაირნაირად იფერება (ყვითელი, ნარინჯი, წითელი). იქნებ თქვან, ხილია, არ დააყე-

ნებენო, კარგად მოვლილ ეზოში დააყენებენ. საყურადღებო დეკორატიული ყურძენი, რომლის ზოგი მტევანი ერთი მეტრია და ნაირ-ნაირი ფერისაა.

ამგვარად, მოსაგვარებელი საკითხი ბევრია, თვითეულს დაფიქრება და ყურადღებით მოპყრობა სჭირდება, თუ მათ განვახორციელებთ, თბილისს უფრო დავამშვენებთ.

1968 წ.

ყვავილი სიხარულია

ქართველი დედა თავის პირმშოს აკვნიდანვე იისა და ვარდის ენაზე ელაპარაკებოდა, უმღეროდა:

იავ ნანა, ვარდო ნანა,
იავ ნანინაო...

აი ამ სიმღერაში ექვსი სიტყვაა და ორი ულამაზესი ყვავილია. ვარდს ხომ ყვავილთა დედოფლად სახავენ და დედა თავის პირმშოს სწორედ მას ადარებდა; ია უნაზესი, უმორცხვესია ჩვენს ყვავილთა შორის. მას მოაქვს გაზაფხულის სურნელება, გაღვიძებული ბუნების პირველი სიხარული. და დედის სიმღერაშიც სწორედ ეს სიხარული, ეს სიყვარულია გამოსახული.

ხალხურ ლექსებში, არაკებში, ბევრი რამ არის ნათქვამი მცენარეთა ბუნებაზე, ყვავილებზე, მათ სილამაზეზე. ან აბა აიღეთ ყვავილების სახელები: „ცისთვალი“, „მზიურა“, „პირიმზე“, „ციურა“, „ნამიკრეფია“, „თამარ დედოფლის თვალები“ და სხვა მრავალი.

რად უყვარს ჩვენს ხალხს ასე ძლიერად ყვავილები? იმიტომ, რომ ყვავილი ლამაზია, იგი ამშვენებს ჩვენს ცხოვრებას, თვალს ახალისებს.

ამ რამდენიმე წლის წინათ ინგლისელი პროფესორები იყვნენ ჩვენში. ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებელი დაათვალიერეს. სამშობლოში რომ დაბრუნდნენ, წერილები გამოაქვეყნეს. ამ წერილებში ნათქვამი იყო, თბილისში დიდ ყურადღებას აქცევენ ახალგაზრდობის ესთეტიკურ აღზრდას, შენობები ყვავილებშია ჩაფლულიო. ეს მართალია, ყვავილის გარემო

აკეთილშობილებს ადამიანს, შრომაში ახალისებს. ზრუნვა და შრომა ხომ ადამიანის უკეთილშობილესი თვისებებია. ამიტომაც უნდა ვეცადოთ, ჩვენს ირგვლივ რაც შეიძლება შეტი ყვავილი იყოს.

მაშ შევუდგეთ საქმეს, ჩემო პატარა მეგობრებო.

1967 წ.

გაზაფხულის მაყრიონი

ჩვენი ბარის გორაკები და ვაკეები ლილოჭრელით რომ დაიფარება და კაცი ფიქრობს ამის შემდეგ დაიწყება ბუნების გამოღვიძებაო, თურმე ნუ იტყვით, გაზაფხულის მახარობლებს უკვე ჩაუბამთ ფერხული და თვალი გაუჭყეტიათ, შესცინიან პირველ გაზაფხულის მზეს. ბუნებას უკვე კაი ხანია გაუღვიძია.

ჯერ კიდევ სველი, თოვლებშორის დარჩენილი გადამავებული მიწა თითქოს სადაფის ღილებივით მოურთავთ, პირდაპირ მიწიდან, უფოთლოდ, უღეროდ თავი ამოუყვიათ ენძელებს და ზაფრანას, ესენია ჩვენში პირველი მახარობელნი. ორი-სამი დღის შემდეგ მას მოჰყვება ხოლმე კდემამოსილი ჩიტისთავა, რომლის ოქროსფერი ყვავილები ისე ბრწყინავენ თითქოს მორცხვ ღიმილს აფრქვევენო, მაგრამ საკმარისია მზეს ღრუბელი გადაეფაროს, ასისინდეს ჩრდილოეთიდან წამოპარული სიო და თითქოს მიწამ უყო პირიო, ისე გაქრებიან ეს პირველი მახარობლები. აღარსად ჩანს ენძელა, ზაფრანა, ჩიტისთავა. სიცივემ დაახურვინა ყვავილსაფარი, ყვავილის შიგნით მოექცა ბუტკო და მტვრიანები. ამის შემდეგ ყვავილის ნაზი ნაწილები, დახურულ ყვავილში ადვილად ვეღარ დაზიანდება. ამ ყვავილების ასეთი თვისების გამო ჩვენ ხალხში ერთი თქმულებაა:

„ერთმა ზარმაცმა კაცმა იკითხა თურმე — მეზობლებო თივის ასაღებად სამზადისი როდის დავიწყო, ცელი როდის გავლესოო?

— როცა ენძელა აყვავდება იმ დროიდან უნდა ემზადოო, — უპასუხეს.

— ძალიან კარგიო, — თქვა და დაიარხეინა გული.

გავიდა ხანი. ხედავს მეზობლები თივას ეზიდებიან.

— კაცო ე როგორ არის, ენძელა ჯერ არ აყვავებულა? თქვენ კი თივას ეზიდებით.

— აი, შე ნაცარქექია, შენა! წელს ხომ ცივი გაზაფხული იყო, ნიავი ქროდა, ამის გამო ენძელა ძალიან ხშირად არა ჩანდაო — უპასუხეს მეზობლებმა".

ეს პატარა არაკი სწორედ იმას ნიშნავს, რომ ჩვენმა ხალხმა ძალიან კარგად იცოდა ენძელას და საერთოდ პირველი გაზაფხულის ყვავილების ბუნება. მით უმეტეს გამოჩნდებოდა თუ არა პირველი ენძელა ბალღები აიღებდნენ პატარა ბარულებს და ჰერი ბიჭო, გაკრავდნენ მინდორში, იღებდნენ ენძელას ძირებს და პირს ჩაიკოკლოზინავებდნენ ხოლმე. საქმე იმაშია, რომ ენძელა ბოლქოვანი მცენარეა, მიწაში გამსხვილებული ნაწილი აქვს, ამ მიწისქვეშა ნაწილში წინა წელს გროვდება საზრდო ნივთიერება და ადრე გაზაფხულზე სწორედ ამ საზრდოს ხარჯზე ენძელას და მის მაგვარ მცენარეებს ამოაქვთ ყვავილი. ამ დროს ბოლქვში დაგროვილია სახამებელი, შაქარი და სხვა, იგი საკმაოდ ტკბილია და ბავშვებიც მას ეტანებიან. ასეთებია ჩიტისთავა, ზაფრანა, თეთრი ყვავილი, ცხენისკბილა, ცისთვალი.

ეს უკანასკნელებიც ადრე გაზაფხულის მცენარენი არიან, ენძელა, ჩიტისთავა და ზაფრანა თუ ღია ადგილებში იზრდებიან, თეთრი ყვავილი, ცხენისკბილა და ცისთვალი ბუჩქნარებისა და ტყის პირის ბინადარნი არიან. ისინიც პირველი გაზაფხულის სტუმრებია, მათი ყვავილიც ხშირად თოვლის გვერდით ანათებს ხოლმე, მათი ყვავილის ნაწილებიც ნაზია, მათაც ეშინიათ სიცივის, მაგრამ ყვავილის საფარი ფურცლები ისე მკვრივად არ იხურებიან, როგორც ენძელასი და ჩიტისთავას ყვავილი. სამაგიეროდ ძირს არიან დახრილნი, პატარა ზარებივით ჰკიდიან, ზემოდან წამოსული წვიმის წვეთი თუ თოვლის ფიფქი ვეღარ ხვდება, გარდა ამისა ბუჩქის ძირას ხომ უფრო მყუდროცაა.

ბუჩქის ძირას და ტყის პირებში ამათ გარდა სხვანიც იზრდებიან. იანვარშიც კი, თუ თბილი ამინდი დადგა, განსაკუთრებით მზვარე ადგილებში, ყოჩივარდას მარჯნისფერი

ყვავილი ყველას ასწრებს და თითქოს სხვებისა ეხათრება ისე მორცხვად იღიმება, იგი ენძელასაც კი ასწრებს.

ყოჩივარდას მიწაში მსხვილი გორგლი აქვს, საზრდო ხმელ თიერებით გაჭიკნილი. ზამთარს კარგად განვითარებულ კვირტებით და ფოთლით შეჰყვება ხოლმე და თოვლქვეშ მწვანე ფოთლით ექცევა. ამიტომ საკმარისია თოვლი ადნეს, სამოთხი დღე მზემ დახედოს და გრძელყუნწიანი კოკრები წამოიწევიან და იშლებიან. რა ვუყოთ, რომ მიწა გაყინულია და ფესვები მიწიდან წვენს ვერ ამოიღებენ, ამ დროს ეს არც სჭირია, მსხვილ გორგლში ხომ უკვე წინა ზაფხულს დაგროვდა საზრდო და ყვავილს ესეც ეყოფა. ზოგჯერ ყოჩივარდას ყვავილს შეცდომით იას ეძახიან, მაგრამ იგი იას ვერ შეედრება. მართალია ია ცოტა გვიან იშლება. მაშინ, როდესაც მიწაზე მოლიც გაჩნდება ხოლმე, მაგრამ სურნელებით მას ვერც ერთი გაზაფხულის ყვავილი ვერ დაედრება. ია როდესად გაიშლება, გაზაფხულის სურნელი იკმევა ხოლმე, ია თვალსაც ახარებს, გულსაც და ყნოსვასაც, ამიტომაა, რომ ია ყველას უყვარს, დიდსაც და პატარასაც.

აყვავებულა ნაზი კესანე, პაწაწინა ციკნიყურა და კიდევ მრავალი. ერთ მცენარეს გული დასწყდება ტყეში კიდევ რომ არ შევიხედოთ.

ჩვენებურ მუხიანებში და რცხილნარებში ადრე გაზაფხულზევე ჩნდება ხოლმე პირისფერი ფურუსელა ლამაზი და კოპწია. ეს ფურუსელა დაიყვავილებს თუ არა, მას ფეხდაფეხ მოსდევს ყვითელი ფურუსელა და ეს კი უკვე იმას ნიშნავს, რომ გაზაფხული ძალაში შესულა, ახლა გინდ თოვლი წამოვიდეს უკვე ვეღარ შეაშინებს გაზაფხულის ჭრელჩოხა და ჭიოტა კაბიან მაყრიონს. ეს თოვლი დროებითია. ბევრი ყვავილი თავსაც აღარ ხრის დაბლა, არც ყვავილის საფარს ხურავს.

ახლა გამარჯვებულია გაზაფხული, ზამთარს ძალა გამოელია.

მოდის გაზაფხული და მოიმღერის, მას წინ მოუძღვის ყვავილთა მაყრიონი.

1961 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაი ყმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაი ყმა

ბევრი, ძალიან ბევრი კარგი საქმე გაკეთდა გასულ წელს. ისე, როგორც ყოველთვის, ქართველი ხალხი პირნათლად შეხვდა ამ ახალ წელსაც, მაგრამ მე მიძნელდება უკვე გაკეთებულის ქება და ხოტბა. გაკეთებული უკვე წარსულია. ქართველ კაცს თავიდანვე სწამდა, რომ „თავის ქებით მთას ვერ გადაივლიდა“.

ტყუილად ხომ არ მღეროდა იგი:

კარგი ვარ, იმას ნუ იტყვი,
თავს ნუ დაუწყებ ქებასა,
კარგი ჩვენც მოგვეწონება,
ავი არც თავის დედასა.

ქართველ კაცს თავის დროშაზე ეწერა: პატიოსნება და მოვალეობისადმი დიდი პასუხისმგებლობა, და ყოველთვის ახსოვდა, რომ ბრძოლიდან თუ სამუშაოდან გამოქცეულის „მოსვლასა არ მოსვლაი სჯობს შინაო“, ვაჟკაცი „კაი ყმა“ უნდა ყოფილიყო. ისე, როგორც, „მგელი არ მოიშლის მგლობასა, კაი ყმა ვაჟკაცობასა“ და რომ „გაჭირდება — მჭექარი“.

ეს არ ავიწყდებოდათ ჩვენს ძველებს. სწორედ ამიტომ არის, რომ სამშობლო გამოატარეს ისტორიის გრძელ გზაზე, და თანამედროვე კაცობრიობის წინაშე პირნათლად წარსდგნენ. მათ შექმნეს კულტურისა და მატერიალური ძეგლების უჭკნობი მშვენებანი.

ყოველივე ეს შესაძლო გახდა იმ სინდისისა და პასუხისმგებლობის შეგრძნების ძალით, რომელიც „კაი ყმის“, ჩვენი ხალხის, განუყრელი თანამგზავრია.

მომავალშიც ეს ეროვნული გრძნობა სინდისისა, პატიოს-
ნებისა ყოველთვის შეუბღალავი უნდა იყოს. ჩვენ[illegible]
ნებამ, ჩვენმა მეცნიერებამ თავისი შემდგომი მუშა[illegible]
ეს თვისება უფრო უნდა გააძლიეროს.

ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენს კინოეკრანებზე გამოჩნდა პა-
ტარა, უპრეტენზიო, მაგრამ შინაგანი ძალით დატვირთული
ორი სურათი. ერთი „ალოობა“ ლეილა გორდელაძისა და
მეორე „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება“ — ნანა მჭედლი-
ძის. ერთიცა და მეორეც რევაზ ინანიშვილის მოთხრობების
მიხედვით არის გაკეთებული. რევაზ ინანიშვილი რომ მეტაფ-
ფაქიზი მწერალია, ეს ცნობილია. იგი პატარა ამბავში ხშირად
„პატარა“ ადამიანით ამჟღავნებს საერთოდ ადამიანის სულ-
დიდ სილამაზეს, სიფაქიზეს, მის პატიოსან სინდისს, პასუ-
ხისმგებლობასა და საერთოდ ყოველივე საუკეთესოს, რა-
ადამიანშია და რაც შეიძლება მიძინებული იყო ან თვლემდ-
ხშირად ეს ისეთ პატარა ნიუანსებშია გამოკვეთილი, რომ
ცი, ერთი შეხედვით, ვერც კი შეამჩნევს. მაგრამ ზემოდასა-
ხელებულ სურათებში ინანიშვილის მოთხრობების სწორედ
ეს სპეციფიკაა დანახული და თითქოს „პატარა საქმეებით“
გამომჟღავნებულია ადამიანის საუკეთესო თვისებები, თვისე-
ბები, რომლებიც მისი ბუნების საწყისშივე იყო ჩასახული
და რომლებსაც თავიდანვე სჭირდება სათუთი სიყვარული და
მოვლა.

„ალოობაში“ ეს თვისება — ალალმართლობა, სინდისი,
პასუხისმგებლობა მოყვასის წინაშე სურათის გმირის, მშრო-
მელი გლეხკაცის ბეჟანის ბუნებაში შემდეგნაირად ვლინ-
დება:

ის-ის იყო ბეჟანი (ზ. ქაფიანიძე) მინდვრიდან შინ დაბრუნ-
და, რომ კართან ატუზული მევალე დახვდა, რომლისგანაც
ფული ესესხა და პირობა მიეცა, შემოდგომაზე ჩაგაბარებო,
მაგრამ მსესხებელსაც გაჭირვება მოსდგომოდა კარს, და ბე-
ჟანმაც პირობა მისცა: ხვალ ჩაგაბარებო. გადაწყვიტა ქვევრი
მოეხადა და ღვინო ბაზარში წაეღო, გაეყიდა და ვალი დაებ-
რუნებინა. ცოლმა ეს რომ გაიგო, ცეცხლი მოეკიდა, რა დროს
ღვინის გაყიდვაა, თუ მაინც და მაინც წაიღებ, წყალი გაურიეო.
ბეჟანს გაეღიმა მხოლოდ და როცა ცოლი არ დაცხრა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუტია: ასეთი რამ მეორედ აღარ გამაგონოო, სად გაგონილა ალალი მარჯვენით მოყვანილი კაცმა წაბილწოს, გააყალბოს ცოლი გაწყრება (მას მხოლოდ ოჯახისათვის ცოტათი მეტის შემატება უნდა). ბეჟანი წმინდა ღვინოს გაყიდის. საღამოზე გულმართალი, გულსავსე, მხიარული ბრუნდება შინ. მთელი ოჯახი რომ ასეთი პატიოსანი და სპეტაკია, ეს საღამოს სუფრაზედ ჩანს. ყველა კმაყოფილია, ცოლიც შუბლგახსნილია.

აქ თითქოს ბევრი არაფერია, პატარა საქმედ მოჩანს, მაგრამ ვინც ასეთ „პატარა“ საქმეში ასეთია, დიდ საქმეში უფრო მტკიცე იქნება. ამ პატარა საქმით ადამიანის დიდი თვისება: სინდისი, პატიოსნება, შრომისადმი პატივისცემა, პასუხისმგებლობა, მშრომელის მოვალეობის შეგრძნება შესანიშნავად არის გამოვლინებული.

მკვეთრად მოჩანს ეს თვისებები მჭედლიძის ფილმში: „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება“. სოფლის ექიმი (ს. ჭიაურელი) ის იყო დილაადრიანად ადგა, თავის მეგობართან ერთად მიუჯდა სუფრას, აიღო ლუკმა და ამ დროს შესძახეს: ექიმო, მალე, საჭირო ხარო. დააგდო ლუკმა (გაიხსენეთ: დილის საუზმე ცოლის მზითევსა სჯობსო), წამოდგა, გადიგდო ჩანთა მხარზე და გაეშურა. მთელი დღე დადის და აფრქვევს სიყვარულისა და სათნოების სხივებს (ს. ჭიაურელის დიდი შინაგანი წვის შედეგია, რომ ეს თვისება არსად არ ყვირის). ხალხიც ამითვე უპასუხებს. მას აქვს თავისი პირადი დარდი, პირადი მწუხარება, მაგრამ ამის მოზიარეს არ ეძებს, თვითვე ერევა. აი ამ სურათშიც იგივე თვისებებია გამოვლინებული. ერთი მხრივ გლეხკაცი, მიწის მუშა, მეორე მხრივ ინტელიგენტი, ექიმი, მაგრამ ქართველი კაცის საუკეთესო თვისებანი: პასუხისმგებლობა, სპეტაკი სული. სინდისი თანაბრად ძლიერია.

ჩვენმა ხელოვნებამაც ეს თვისება განსაკუთრებით მკვეთრად და დამაჯერებლად უნდა გამოავლინოს. ნაკლის დაფარვა, მისი მიჩქმალვა ბოროტება იქნებოდა, სწორედ იმავ სინდისის წინაალმდეგ წასვლა, მაგრამ ამ ნაკლთა ჩვენების გაზვიადება (დიახ, გაზვიადება) არ იქნება. ილია ჭავჭავაძემ „კაცია-ადამიანი?!“ დაწერა, მაგრამ მას გვერდში ამოუყენა ოთარაანთ ქვრივი და მისი შვილი გიორგი. (ალოობის ბეჟანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს აგრძელებს ოთარაანთ გიორგის ცხოვრებას) გი ძლიერია სწორედ თავისი სულიერი სისპეტაკით, სით და ამით, რომ „გლეხკაცის საქმეს არ ეღალატება". სწორედ ამ კონცეფციის შედეგად არის, რომ საქართველოში უმოკლეს ხანში ავითვისეთ და ეროვნული მეურნეობის დარგად, მსგავსად მევენახეობისა და მებაღეობისა, გავხადეთ მეჩაიეობა. არსად, არცერთ ქვეყანაში ისეთ მოკლე დროში მეურნეობის დარგი ისე სწრაფად და ისეთი მასშტაბით არ აუთვისებიათ, როგორც ჩვენში. ეს იყო შეერთებული ძალა მთელი ქართველი ხალხისა — მიწათმოქმედისა, მეცნიერისა, ინჟინრისა, პარტიისა და მთავრობისა. რასაკვირველია, ამ დიდ საქმეში მკვეთრად გამოჩნდა სწორედ ხალხის ეს სინდისი, პატიოსნება და პასუხისმგებლობის გრძნობა საკუთარი ქვეყნისა და ერის წინაშე.

ანდა მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების განვითარება ავიღოთ ჩვენში. ამ ორმოცდაათი წლის წინათ, ისტორიისა და ბედის უკუღმართობის შედეგად, თანამედროვე მეცნიერული ტერმინოლოგიაც არ გვქონდა, დღეს კი არ არის დარგი მეცნიერებისა, რომელშიც ქართველი კაცი არ მუშაობდეს. მრავალი ათასი კაცია მეცნიერულ მუშაობაში ჩაბმული ჩვენში ოცი და მეტი მეცნიერული სკოლა ჩამოითვლება: მათემატიკის, გეოლოგიის, ფსიქოლოგიის, ენათმეცნიერების, ქართული ფილოლოგიის, ბიოლოგიის და მრავალი სხვა.

ჩვენი უნივერსიტეტის პირველმა რექტორმა პ. მელიქიშვილმა თავის პირველ ლექციაში თქვა: მეცნიერება მოითხოვს დიდ თავდადებას, პატიოსნებას, სიყვარულს და დიდ შრომას. ამის განსახიერება იყო უნივერსიტეტის დამაარსებელი ივანე ჯავახიშვილი, რომელსაც საქმის სიყვარულში და სინდისში ბაძავდნენ შემდეგი თაობანი და სწორედ ამიტომ არის, რომ დღევანდელ საქართველოს შეუძლია თვალი თამამად გაუსწოროს მომავალს.

მაშ, რად ვლაპარაკობთ დღეს ამაზე? სწორედ იმიტომ, რომ ეს თვისება, თვისება კაი ყმისა, არ მოვაჩლუნგოთ, ჩრდილში არ მოვაქციოთ. ვლაპარაკობთ ამაზე იმიტომ, რომ დღეს მომძლავრდნენ ხელოვნების სხვადასხვა დარგში „კაი ყმის" მოპირისპირენი — „ცუდაები".

კაი ყმა ხმალსა ჩაჰხედავს, —
ნეტავ გამიხსნის თუ არა.
ცუდაი ქალის უბესა, —
ნეტავ გამიჭრის თუ არა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი ეს „ცუდაი“ დღეს ზოგჯერ ჩრდილავს კაი ყმას. ჩრდილავს იმიტომ, რომ ეფემერულად იგი უფრო მკაფიოდ ჩანს, ამაში როდესაც „კაი ყმა“ საქმეს ჩაჰკირკიტებს, შრომობს, იფლს ღვრის, აკეთებს დიდ საქმეს და, როგორც ყოველ დიდ საქმეს სჩვევია, არა ყვირის. მისი საქმეები მაშინ გამოჩნდება, როცა ხალხის სამსახურში ჩადგება.

დღეს, ვიდრე ოდესმე, გვჭირდება ამ ჩვენი ხალხის ძირეულ თვისებებს — პატიოსნებას, პასუხისმგებლობას, სინდისის სიწმინდეს — უფრო მეტად და ფაქიზად მოვუაროთ, ქართველი ხალხის ამ შესანიშნავ თვისებებს უფრო სათუთი მოვლა სჭირდება, მისი გაზრდა, დავაჟკაცება (სკოლის პირველი საფეხურებიდანვე). სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ჩვენი ცხოვრების „ცუდაის“. ყოველივე დიდ საქვეყნო საქმეს ეროვნული საფუძველი აქვს, „კაი ყმის“ თვისებების გაზრდა ადამიანში იმის საფუძველია, რომ საკაცობრიო იდეალებისათვის მებრძოლი ადამიანი ვზარდოთ.

ვისურვებდი, რომ მომავალ წელს სწორედ ეს კაი ყმანი კიდევ უფრო მომრავლებულიყვნენ.

1969 წ.

დ ე დ ა

დედაზე დაწერე რამეო. დედაზე უძვირფასესი და ძნელი თემა არ არსებობს. ვერც კალმით და ვერც სიტყვით ვერ გამოითქმება ის გრძნობა, რომელსაც კაცი გულში ატარებს. ამიტომ არ მგონია ოდნავ მაინც ვიტყვი იმას, რაც ნამდვილად დედა იყო ჩვენთვის.

დედის ალერსით განებივრებული არ ვყოფილვართ, ბევ-

რი ვყავდით, აუარებელი საქმე ჰქონდა და ალერსისათვის დრო არა რჩებოდა. თან თავისი მტკიცე რწმენა ჰქონდა:

„შვილი მტრულად გაზარდე, მოყვრულად გამოგადგება“. მაგრამ, როდესაც წამოვიზარდე, მაშინ მივხვდი და ვხედავდი რა ჩაუქრობელ ცეცხლად ენთო მის გულში შვილების სიყვარული. დღესაც მახსოვს მისი ნანა, საღამოს რომ უჯდა ერთ-ერთი მომდევნო ძმის აკვანს და ღუღნებდა:

საითაც ქარი ამოვა,
იქიდან მოგეფარები.

რა ბევრი გვაქვს დაკარგული! რა კარგი იქნებოდა, რომ ვილაცას თავის დროს ჩაეწერა ჩვენი დედების ნანა. ყველა დედას ხომ თავის რჩეული სიტყვები ჰქონდა.

დიდი ოჯახი იყო ჩვენი ოჯახი და ერთი ქალი ტრიალებდა. ცხრა და-ძმა ვიყავით ერთიერთმანეთის მომდევნო, ყველას მოვლა-პატრონობა, დაპურება, წამსვლელ-მომსვლელის დახვედრა, ღორ-ხბო, ფრინველი, სახლი, ბოსტანი, მინდვრის მუშა — მის კისერზე იყო. სად ჰქონდა ალერსისათვის დრო, ხოლო ღამით თუ რომელიმეს ძილი გაგვიკრთებოდა, საბანს გაუსწორებდა, შუბლს გაუსინჯავდა, ჩასჩურჩულებდა: „დაიძინე დედა გენაცვალოს“; ამ დროს ზოგი „მარგალიტის მტევანი“ ვიყავით, ზოგი — „დედას ოქროს შანდალი“, „მამის ქამარ-ხანჯალი“, „ჩემი დამტირებელი“, „ცრემლის დამპკურებელი“, „ქვეყნის გამხარებელი“, „ამომავალი მზის თვალი“, „შავუკუნეთ ღამეში დროზე ამოსული ცისკარი“, „ზაფხულში დილის ცვარ-ნამი“, „ობლის გზაზე გამყვანი“ და ვინ იცის კიდევ რა.

როდესაც დღეს ვიგონებ მის ამ სიტყვებს გაოცებული ვარ საიდან ამოჰქონდა ეს უდიდესი მარაგი ამ საალერსო სიტყვებისა, ან სად წავიდნენ, დღეს რატომ აღარ ისმის?

წიგნიდან? არა. დედას სკოლა არ გაუთავებია. წერა-კითხვა ბეჭის ძვალზე ესწავლა. მაგრამ ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი სიბრძნე დედის ძუძუსთან ერთად ეწოვა და შეეთვისებინა. სწამდა, რომ შვილს ქვეყნისათვის ზრდიდა, სოფელს უნდა ამშვენებდესო.

ხუთი-ექვსი წლისა ვიყავი, როდესაც ხელში წკეპლა მომცა და ბატების გუნდი ჩამაბარა. დავდიოდი ფეხშიშველა ბოლო-მინდორ-მინდორ, ნაწვერალზე და გოროხიან მინდორზე, ბევრეს ხბორები ებარა, მესამეს გარეცხილ ხორბლისათვის უნდა ედარაჯნა, მეოთხეს აკვნისათვის არ უნდა მოეცილებინა თვალი, არ გვაპატიებდა საქმისათვის რომ ნირი შეგვეშალა.

ჩვენი სწავლისათვის თავდადებული მებრძოლი იყო, „ჩემი თავიც მეყოფა ბნელშიო“. მამის რჩევას: „ქალო, უფროსები სახლში იყვნენ, შეგვეშველებიან, უმცროსები მივაბაროთ სკოლაშიო“, — ყურად არ იღებდა.

თავისი გაიტანა. ჩამოგვიყვანა ქალაქში. გზას იყო გაკრული. ჩამოჰქონდა სანოვაგე: ფქვილი, ერბო-ყველი, ბოსტნეული, ხილი. ერთი სიტყვით ყველაფერი. ვერ გაუძლო, სისხლი აღებინა. იძალა, თავი მოირჩინა და ისევ გზას გაეკრა. მორიგ პატარას ვერც სოფელში ტოვებდა, ვერც ქალაქში, თან დაჰყავდა საბანში შეხვეული. ზამთრის გრძელ გზაზე მაინც გაუცივდა, ხელიდან გამოეცალა. იდარდა, მაგრამ გული არ გაიტეხა. მამის სიკვდილის შემდეგ ხომ გალომდა, მარტო ტრიალებდა.

თავისი გაიტანა და ყველას გვასწავლა. დავიზარდენით, დავვაქაცდით. ვეხუმრებოდით: „ბევრსა გვცემდიო“. „უმაგისოდ კაცები არ დადგებოდითო“, — გვიპასუხებდა. „მაშ მოგწონვართ?“ — არ ვეშვებოდით. „რას იზამ, ყვავს თავისი ბახალა ურჩევნიაო“, — არც აქ იტყოდა სრულად, მაგრამ შრომით დაღალულ ხელს რომ მოგვითათუნებდა, მაშინ ვიგრძნობდით რა დიდი სიყვარულით იყო იგი სავსე. „ჯერ კიდევ არა ხართ ისეთი, როგორც ქვეყანას უნდაო“, ბოლომდე მეტს მოითხოვდა ჩვენგან.

და აი ეს განუწყვეტელი მოთხოვნა: „ვაქკაცი სოფლის გვირგვინი უნდა იყოსო“. მუდამ თან მდევდა. მოთხოვნა იმ დედისა, რომელმაც მთელი სიცოცხლე შვილების დაზრდას მოახმარა, დედისა, რომელსაც საგარეო კაბა შობა-ახალწელიწადს და აღდგომას თუ ჩაუცვამს და მუდამ სანიადაგო კაბა და ზედატანი ემოსა.

და როდესაც დავდივარ, ყოველთვის ვეძებ, მინდა ვნახო კიდევ ისეთი დედა, რომელიც მართალია გმირი არ ყოფილა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მთელი თავის შრომით ამტკიცებდა, რომ იგი ნამდვილი ქართველი დედა იყო, დედა სიცოცხლის ბოლომდე საუბედურო თალხ კაბაში გამოწყობილი.

მართალია შვილიშვილებს შეესწრო, მაგრამ იგი ღირსი იყო მეტი ეცოცხლა და ეს სანიადაგო შრომის კაბა ბოლოს და ბოლოს საგარეო კაბით შეეცვალა.

1963 წ.

მოგონება და სინამდვილე

სვანეთში პირველად 1925 წელს ვიმოგზაურე.

ვნახე ცადაწვდილი მთები: მოღუშული უშბა, მკერდგანიერი შხარა, კეკლუცი თეთნულდი, წყალმრავალი ენგური, კოპწია სოფლები ულეველი კოშკებით.

ვნახე ჯიხვისტყავიანი წარბშეკრული ვაჟკაცები, ტყეში გასული მოსისხლენი, ტაძრების ირგვლივ მლოცველნი, მოვისმინე დიადი ჰიმნი მზისადმი — „ლილე“, დავტკბი უჩვეულო რიტმის ცეკვებით... ერთი სიტყვით, ვნახე რომანტიკის მხარე, სადაც ჯერ კიდევ იგრძნობოდა გარდასულ საუკუნეთა სუნთქვა.

კვლავ სვანეთისაკენ მივდივარ ახლა და გზადაგზა ვფიქრობ: ნეტავ როგორია დღეს ეს კუთხე? ვიცი, გზებია გაყვანილი, სკოლები აშენდა, მრავალმა ახალგაზრდა სვანმა უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა. ამჟამად ბევრია სვანი აგრონომი, ბიოლოგი, ინჟინერი, გეოლოგი, ექიმი, ლიტერატორი, ეკონომისტი, ბევრ მათგანს პირადადაც ვიცნობ, მაგრამ მინდა ვნახო, როგორ განახორციელეს მათ ჩვენი ახალი ცხოვრების ძირითადი ამოცანები.

ამ ფიქრებში ვიყავი გართული, რომ სოფელ ჯვართან, ზემო სვანეთის კარიბჭესთან, ხელი ასწია ახოვანმა ვაჟკაცმა. მანქანა შევაჩერებინე. ნაცნობი ინჟინერი გამოდგა, ხაიშამდე მიდიოდა. ჩვენს შორის მალე გაიბა გულითადი საუბარი.

— მე, როგორც ინჟინერ-გეოლოგს, ამ მთებში ხშირად მიხდება მოგზაურობა. დაახლოებით თქვენი ასაკისა ვართ. 1925 წელს, როცა თქვენი ჯგუფი მესტიიდან აფხაზეთისაკენ გავიდა, ჩვენი გეოლოგ-მზვერავების ჯგუფი მაშინ ლატფარის უღელტეხილით მესტიაში ჩამოვიდა.

— თქვენ ბრძანებთ, რომ გაინტერესებთ როგორი იქნება ახლანდელი სვანეთი? ერთ ამბავს გიამბობთ, და შემდეგ თვითონ გამოიტანეთ დასკვნა.

— შარშან, — დაიწყო ჩემმა თანამგზავრმა, — ქვემო სვანეთში გახლდით. ჩემთან იყო ერთი ჩემი თანამოსამსახურეც. საბადოს შესახებ ზოგიერთი საკითხი გვქონდა დასაზუსტებელი. საქმეს რომ მოვრჩით, ჩემმა თანამგზავრმა მთხოვა, ერთ სოფელში შევიაროთ, აქაურმა ახალგაზრდამ ჩემი ქალიშვილი შეირთო, მართალია, ისინი ამჟამად აქ არ არიან, მაგრამ მისი ნათესავები ჯერ არ მინახავს, აქედან რომ მათ უნახავად წავიდე, ვაჟკაცობასაც დამიწუნებენ და ქართველობასაც.

საღამოს უკვე ორსართულიანი სახლის ზემო სართულის დარბაზში სუფრას ვუსხედით და იყო გულთბილი მასპინძლობა. ისმოდა სიმღერა სვანური, კახური, იმერული, ქართლური და — ყველა ქართული. მასპინძლის გარდა სუფრას უსხდნენ მასწავლებლები, ექიმები, ინჟინრები, ერთი დოცენტი, ყველა აქაური, — ჩვენ ორს გარდა.

გაგრძელდა ლხინი. ცაზე ვარსკვლავები დიდი ხანია აენთო. შუა ლხინში რომ ვიყავით, უცბად ელექტრონათურა ჩაქრა. დიასახლისები დატრიალდნენ და სულ მალე ორი ნავთის ისეთი დიდი ლამფა შემოიტანეს, რომ სინათლეს ბევრი არა დააკლდა რა, დარბაზი ისევ გაჩირაღდნდა.

ცოტა ხნის შემდეგ ჩვენს მასპინძელს მოუსვენრობა დაეტყო; ელექტროჭაღს მალმალე შეხედავდა ხოლმე. ბოლოს ველარ მოითმინა და შვილს მიმართა — უნივერსიტეტის ახლად კურსდამთავრებულ ახალგაზრდას.

— ბიჭო, დაურეკე ელექტროსადგურში, აამუშაონ ჩქარა, თორემ ამ ნავთის ლამფამ თვალებში სინათლე გამომილია!

მოულოდნელად თითქოს შავი ფარდა აიხადაო, თვალწინ დამიდგა 1925 წელს ზემო სვანეთისაკენ მიმავალი მგზავრების ჯგუფი. ჩვენი მასპინძელი მაშინაც სწორედ ეს კაცი გახლ-

დათ, აი ეს მხიარული, თეთრი თმით შემოსილი ჭარმაგი კაცი. თითქოს ნათლად ცოცხლდება მაშინდელი სურათი: შუაცეცხლი ანთია, იხარშება ვახშამი. მაგრამ აი ჩანელდა ცეცხლი, ვახშამი უკვე მზად არის. ჩვენი მასპინძელი ტრიალებს. აანთო კვარი, გაგვინათა სუფრა: „ჩემი არჩეული კვარიაო“, ამბობს და იღიმება. აი ეს ღიმილი დაჰკრავს ახლაც, როდესაც ელექტროსადგურზე ბრაზობს: გაჩირაღდნებულმა ლამფამ „თვალები დამივსოო“...

გამეხარდა, რომ ასე მკვეთრად განსხვავდებოდა ძველი ახლისაგან. თვითონ ეს დარბაზი კმაროდა სიხარულისათვის: კარადა წიგნებით, კედელზე სურათები. სადღაა ძველი მაჩუბი, ბოსლიდან რომ თავი გადმოუყვიათ ძროხებს საცხოვრებელ დარბაზში.

ვეღარ მოვითმინე, წამოვხტი და გადავეხვიე გაკვირვებულ მასპინძელს. როცა გაირკვა ჩემი ოცდაცამეტი წლის წინანდელი სტუმრობა, ამან ერთხელ კიდევ აგვავსებინა სასმისები“. — დაამთავრა საუბარი ჩემმა თანამგზავრმა.

გამიტაცა ფიქრმა: ამაზე უკეთესი რაღა უნდა ვნახო? კითხვას ვაძლევ ჩემს თავს და ვინ იცის რანაირი სურათი არ წარმოვიდგინე. დიდხანს ვართ ჩუმად მეც და ჩემი თანამგზავრიც.

მიიკლაკნება კლდეში გაჭრილი გზა, ძირს კი ქუხილით მიექანება წყალმრავალი ენგური. ივლისია, და იგი ჩვენებურ სხვა მდინარეებს არ წაგავს, რომლებიც ამ დროს განახევრდება ხოლმე, ზაფხულზე ენგურს წყალი არ აკლდება. მას კავკასიონის ყველაზე დიდი და ძლიერი მყინვარები კვებავენ: ჰადიშის, წანერის, ლეხზირის, ჭალაათის, გულისა და სხვა მრავალი. ასეთი მყარმარაგიანი მეორე მდინარე კავკასიონზე არ მეგულება. მართალია, ჩვენში ცოტა როდია სწრაფი მდინარეები, მაგრამ ასეთი გრძელი და თანაც მთელ მანძილზე დაუდეგარი არც ერთი არ არის. ერთგან, ლახამულისა და ხაიშს შუა, ორასიოდე მეტრის მანძილზე მას თავისი სისწრაფე შეუნელებია. აქ იგი აღარცა გრგვინავს და აღარც ღრიალებს. სწორედ ამის გამო სვანეთში ერთი იუმორით სავსე ლეგენდა შექმნილა: პეტრე მოციქული შეხვედრია მეორე მოციქულს და, საუბარი კარგად რომ გაეგოთ, ენგურისათვის უთხოვნი-

ათ: „ცოტა წყნარად, ნუ ხმაურობო“. თურმე „ამიტომ“ ირის აქ ენგური წყნარი და თვინიერი.

ენგურს, ამ დიდ ეროვნულ განძს მოვლა უნდა. ამიტომ გა-
გიკვირდეთ, მდინარეს რა მოვლა უნდაო. უნდა, როგორ არ
უნდა! აი, დააკვირდით, მდინარის ტალღებს მოაქვს და მო-
აქვს სოჭისა და ნაძვის მორები, მრავალი გარიყულა ნაპირზე,
ჩახერგილა კლდეებში, მდინარის ვიწროებში. ეს მორები
ჩვენი ტყის მიერ მოძღვნილი განძია, საქაღალდე მასალა,
რომელიც ქაღალდის ქარხნისაკენ მიექანება. რასაკვირვე-
ლია, ტყე უნდა გამოვიყენოთ, მაგრამ ისეთ მთიან ქვეყნებში,
როგორიც ჩვენი მხარეა, თუ ტყის ექსპლოატაციის საქმეში
შეცდომა დავუშვით, ზედმეტად ვიხარბებთ, გამოუსწორებელ
ბოროტებას ჩავიდენთ. მოტიტვლდებიან მთის ფერდობნი და
მაშინ ენგურიც მხოლოდ ბოროტებად იქცევა... სამწუხაროდ,
ზემო სვანეთში ასეთი შეცდომა უკვე დაშვებულია. წარ-
სულში ეს შეცდომა მოხდა ნაკრას ხეობაზე, სადაც მშვე-
ნიერი წიწვიანი ტყეები უკვე კაი ხანია ანწლმა შეცვალა.
ამ ცოტა ხნის წინათ ლატალის ტყეებიც ზედმეტად გაამეჩ-
ხერეს. ამჟამად ახალი საექსპლოატაციო უბნებიც არ არის
დაზღვეული ასეთი შეცდომებისაგან. დროა რომ ენგურის ქა-
ღალდის ქარხნისათვის ხელოვნური ტყეების გაშენებას უფრო
ენერგიულად მოვკიდოთ ხელი ენგურის ჭალებში, სამეგრელო-
სა და აფხაზეთის ვაკეებზე.

— მართლაც, მეტისმეტად საშიშარია ეს სალიშარის
კლდეები! — არღვევს ფიქრებს ჩემი თანამგზავრი.

გადავიხედე, მარჯვნივ თვალჩაუწვდენი უფსკრულია, ენგუ-
რის ხმაურიც კი ვეღარ აღწევს ჩვენამდე, ძირს თითქოს პა-
წაწინა მდინარედ მიიკლაკნება. ვაშა ვაჟკაცის მარჯვენას, რომ
ასეთ კლდეებში გზა გაკაფა დღეს, საბჭოთა ქვეყნის ეპოქაში
ნამდვილად ხორცი შეისხა თამარის დროის ერთ-ერთი ეპი-
ტაფიის სტრიქონებმა:

უსიერი მთა გავკაფე,
დიდი შარა გზა გავიღე...

მართლაც, გზა გაკაფულია უსიერ კლდეებს შორის, მაგრამ
ამ გზას ჯერ კიდევ დიდი მუშაობა სჭირდება: სამაგიეროდ ეს

შრომა ერთიათად ანაზღაურდება: რამდენი სოფელი და თემი შეიძლება ერთ მთლიან კურორტად გადაიქცეს. ამისათვის ყველაფერია: მინერალური წყალი, ფიჭვნარი და ნაძვნარი, შესანიშნავი მთის ჰაერი, თოვლიანი მთები, სიმაღლე — სოფლების ზღვის დონიდან 2.400 მეტრამდეა. აარჩიეთ რომელიც გნებავთ: ცხუმარი, ლენჯერი, ლატანი, უღვირი, წთირმიში, კალი თუ იფარი... კურორტების ასაგებად დაუშრეტელი წყაროა, დაუშრეტელი...

სვანეთის განვითარების ერთ-ერთი პერსპექტივაა: მსოფლიო მნიშვნელობის კურორტები, ალპური ბანაკები, ტურისტული ბაზები. იშვიათია ასეთ მცირე ფართობზე იმდენი ლამაზი და ნაირნაირი მთა, რამდენიც ზემო სვანეთშია, ამიტომ აქ ისტორიულ ძეგლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ამჟამად მესტიაში შეკრებილია მნიშვნელოვანი სიძველენი: IX, X, XI საუკუნეების ხელნაწერები, ჰადიშის სახარება, სხვადასხვა უნიკალური ხელნაწერები, ოქრომჭედლობის ნიმუშები და სხვ. ყველაფერი ეს კი ერთ პატარა ნატაძრალშია მოთავსებული... და ეს მაშინ, როდესაც სვანეთში იმდენია შესანახი, მოსავლელი, სამუზეუმო, რომ რომელიმე ერს საისტორიოდ ეყოფოდა. მესტიაში აუცილებლად უნდა აიგოს ახალი მუზეუმის შენობა, ექსპონატები კარგად უნდა დამუშავდეს და განლაგდეს. ვფიქრობ ეს საქმე უნდა იკისროს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ.

მუზეუმის ეზოში ვიცანი ის პანტა, რომელიც 1925 წელს ვნახე, და რომელმაც მაშინ ჩემი ყურადღება მიიპყრო. ამ ნამყენმა პანტამ მაფიქრებინა მაშინ, რომ აქ ხილის მოყვანაც კარგად შეიძლებოდა. და აი, მესტიაში ახლა ყოველ ეზოში უკვე პატარა ბაღჩა-ბაღია. აქ უხარებიათ: ვაშლებიდან — კეხურა, ბელფლორი, შამპანური რენეტი, ზამთრის ოქროს პარმენი და სხვ. ბალი დროგანა, ქლიავებიდან: შავი ქლიავი, ჭანჭური, მწვანე რენკლოდი და მრავალი სხვა. კოლმეურნეობაშიც გაუშენებიათ ბაღები, მაგრამ მოვლის წესები ყველგან კარგად არ იციან. მუდმივი მეხილე-აგრონომი თუ არ ეყოლება აღმასკომს სათანადო განყოფილებას, მაშინ საჭიროა ერთი სეზონის განმავლობაში აქ მივლინებულ იქნას მევენა-

ხეობა-მებაღეობის ინსტიტუტის სპეციალისტები, რომლებიც ადგილობრივ მცხოვრებლებს პრაქტიკულად დაეხმარებიან ასწავლიან ხეხილის მოვლის წესებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაკვირველია, არაზუსტი იყო „ბუნების კარისა“ და „დედაენის“ ცნობები, „სვანეთში ქერის მეტი არა მოდის რაო“.

როგორც ჩანს, სვანეთი, ჩვენს სხვა მთიან მხარეებთან ერთად, ერთ-ერთი სამშობლოა ზოგიერთი ხორბლისა. ზემო სვანეთში არსებობს სოფელი დოლი (ბეჩოს თემში). „დოლის პურის“ სახელწოდებაც ამ სოფლიდან უნდა იყოს წარმოშობილი. სვანეთში დოლის პურს დიდი პატივით იხსენიებენ. „დია, დია, დოლამ დიარ!“ ეს სვანური იდიომია, რომელიც ვერ ითარგმნება, მაგრამ აზრის გადმოცემა შეიძლება. ამ თქმაში არის ნატვრაც და ქებაც დოლის პურისა. „ახ, სადა ხარ, დოლის პურო“, „დედავ, დედავ, დოლის პურო“ და სხვ. თუ მესხეთში არსებული ერთი ადგილის სახელწოდება „დოლის ყანა“ შეიძლება სახელის მომცემი იყოს დოლის პურისათვის, მაშინაც უპრიანია ეს პრიორიტეტი სოფელ დოლს ჰქონდეს, მით უმეტეს, ზემო სვანეთის დოლის პურის მარცვლის ღირსება უფრო მაღალია. ამიტომ, გასაკვირი არ არის ბარში დოლის პურის ჯიში მთიდან წაეღოთ და ეწოდებინათ იმ სოფლის სახელი, საიდანაც წაიღეს. მით უმეტეს დიკას თითქმის ყველა არსებული ქვესახეობა მონახული იქნა სვანეთის სხვადასხვა პატარა მინდვრებში. მიწათმოქმედება, ისევე როგორც მთელ საქართველოში, აქაც კარგად იყო განვითარებული, და მის განვითარებაში მთელ ქართველ ხალხთან ერთად, სვანსაც თავიხი წვლილი შეჰქონდა.

ერთი კია, მესაქონლეობა ახლაც ჩამორჩება მემინდვრეობას, მაშინ როცა მესაქონლეობას სვანეთში თავიდანვე წამყვანი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. სამყურა ბალახი ზემო სვანეთში სამჯერ გაითიბება და ათჯერ მეტ მოსავალს მოგვცემს, ვიდრე ჩვეულებრივი სათიბი. ასევე საიმედოა იონჯა, ტიმოთელა, სათესი წივანა და სხვ.

დროა ფართოდ დაინერგოს მაღალხარისხოვანი საკვები ბალახების თესვა-მოყვანა. ეს სვანეთსაც და მთელ რესპუბლიკასაც მეტ სარგებლობას მისცემს, საკვები ბალახების თეს-

ვასთან ერთად ჯოგის გაუმჯობესებაც უფრო გეგმაშეწონილად და უფრო ფართოდ უნდა წარმოებდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვსაუბრობთ ამგვარად მე და ჩემი ახალი მეგობრები ჯერის მინდვრებში, სადაც სამყურას შესანიშნავი, მესამედ გასათიბი პატარა მინდორი ვნახეთ. ამ ზაფხულს უკვე ორჯერ გათიბულა და მესამედ თითქმის უკვე შემოსულა. ასეთი ნათესი კი ცოტა როდია, რამდენიმე ადგილას ვნახეთ. ცდისათვის ესეც კმარა.

რამდენი რამ ვთქვი და სათანადოდ ჯერ არც უშბა მიხსენებია, არც თეთნულდი, არც ჩიტინთაუ და შხარა ისე, როგორც მათ შეჰფერის. იქნებ მეპატიება, ახალმა სვანმა და სვანეთმა დაჩრდილა ბუმბერაზი მთები, და ჩემი რა ბრალია!

1958 წ.

გადავარჩინოთ ჩვენი ენის „მზეკაბანი“ და „პირიმზე“

ენა ყველაზე უდიდესი, ყველაზე ძვირფასი და წმინდა საუნჯეა ერისა, ეს საუნჯე ისეთი მარგალიტითა და ლალითაა სავსე, რომლის ბადალი არ არსებობს არსად; ენა დიდებაა ხალხისა, მისი დროშაა უკვდავებისა, ენა აძლევდა ძალას გადაეტანა ჟამთა სიავე; სიტყვით, მშობლიური სიტყვით გონება მიხდილს შემოაბრუნებდა ამ ქვეყნისაკენ.

რა ენა წახდეს
ერიც დაეცეს.

რაა ის ხალხი, რომელსაც მშობლიური ენა დაუკარგავს და აღარ აქვს?

და თუ იყო სადმე ასეთი, თუ ავბედობამ და ჟამთა სიავემ დაუკარგა მას იგი, მეოცე საუკუნემ და მისმა დიდმა იდეებმა მისცა ის ძალა, რომლის მეშვეობით იბრძვის დაიბრუნოს დაკარგული საუნჯე.

ენა ადამიანისათვის უდიდესი სიხარულია. ენა აძლევს საშუალებას გამოთქვას ფიქრი და ნააზრევი. რა იქნებოდა, ადამიანს ეს საშუალება რომ ჰქონდეს დაკარგული. რამდენად ლამაზი და კარგია სიტყვა, იმდენად ნააზრევის გადმოცემაც მკაფიოა და სახალისო.

ჩვენმა ხალხმა თავის სიცოცხლის გრძელ მანძილზე მრავალი შესანიშნავი სიტყვა შექმნა, ყოველ მათგანს თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ. თუ მოხდა ისე, რომ რომელიმე მათგანმა ახალი ყოფის გამო თავისი ფუნქცია, თავისი პირველადი მნიშვნელობა დაკარგა, მას ახალი მნიშვნელობა უნდა ავუჩინოთ. (თუნდაც არნადი — ბზის და მიწის შესახვეტი, დღეს ყანა ბზედ აღარ ილეწება, სამაგიეროდ ბულდოზერის წინა ნაწილი არნადის ფუნქციისაა).

კარგი სიტყვა, და რომელი სიტყვა არ არის კარგი? მშვენიერ სიტყვას ჩვენ დალოცვილ ქვეყანაში რა გამოლევს?! ყოველთვის დიდ ნატვრისთვალად მევლინებოდა ქართველი კაცის გული კარგი სიტყვის დაუშრეტელი საბადოა, საბადო, რომელიც ყოველთვის მდიდრდება, ერთი სიტყვა მეორეს ბადებს, იღებ ამ ძვირფას მადანს და არ ილევა იგი, მემადნის წერაქვი განუწყვეტლივ უნდა მუშაობდეს, იბრძოდეს ამ დიდი საქმისათვის, რომელსაც ხალხის ლექსიკა ეწოდება.

ჯერ ბევრი რამ არ ვიცით, იგი ხალხის გულშია დაბუდებული, შენახული, მისი ამოკრეფაა საჭირო, საყოველთაო სახმარად გახდომა.

სიხარულით აივსო გული, როდესაც რამდენიმე წლის წინათ ძველი სალაროდან „მზაკაბანი“ მოჰყვა სიტყვის მაძიებლის წერაქვს. „ყანას მზეკაბანმა გადაუარაო“, რა ლამაზი და პოეტურია! და რამდენი ასეთი მზეკაბანია ხალხის გულში ჯერ მთვლემარე.

ამ რამდენიმე წლის წინათ სოფლის შარაზე, ბალღები მორბოდნენ ჟივილ-ხივილით, შევაჩერე: „საით მიჰქრით ბიჭებო?!“ — შევეკითხე. — „სოფლის ბოლოზე ბელტიყლაპიას დაუწყია მუშაობა, იქ მივდივართო“.

ბელტიყლაპია ექსკავატორი აღმოჩნდა. ხალხი არ ჩერდება, ზღაპრის გმირმა დაკარგა ძველი სურნელება, მისი სახელი

ნამდვილ ობიექტს მიეკუთვნა, სადაც იგი უკვე უფრო გამართ-
ლებულია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განმარტებითმა ლექსიკონმა თავი მოუყარა ყველა იმ სიტ-
ყვას, რომელიც „წერაქვის წვერს“ დღემდე მოხვდა. ფურ-
ცლავ ამ უზარმაზარ რვა ტომს და სიამაყით ივსები: რა მდიდ-
რები ვყოფილვართ. ეს სიმდიდრე განსაკუთრებით მკვეთრად
გამოჩნდა მაშინ, როდესაც ერთად შეიკრიბა. რა შესანიშნავი
მკვლევარნი გვყოლია, რა დიდი შრომა გაუწევიათ, ასე იცის
ხალხის სიყვარულმა, მაგრამ ეს ერთი მესამედიც არ არის იმ
სიტყვებისა, რაც საქართველოში ქართული სიტყვა არსე-
ბობს. ეს სიტყვებია გეოგრაფიული სახელწოდებანი, რომელ-
ნიც ლექსიკონში არ არის შეტანილი. საქართველოში ოთხი
ათასზე მეტი სოფელი, ქალაქი და დასახლებული პუნქტია,
ამაზე მეტი ხეობა, ხევი, ღელე და მთა, ყოველი დიდი პუნქტის,
ირგვლივ აუარებელი მცირე კუთხეა, რომელსაც თავის სა-
ხელი ჰქვიან. ამას წინათ რამდენიმე სოფლის ირგვლივ ჩავი-
წერე მინდვრის, სარწყავი არხის, რუსა და სხვათა სახელწო-
დება. თითო სოფლის ირგვლივ 30—40 სახელწოდება მაინც
იყო. მაშასადამე სულ ცოტა 200—250 ათასი სახელწოდება
მაინც, მერე რა სიტყვები, თვითეული სიტყვა თითო ბედა-
ურად ღირებული. „მზეთა-მზე“, „პირი მზე“, „სანისლო“,
„ტირიფონა“, „დუბიანი“, „კავთიხევი“, „ძეძუნარა“, „ლიახ-
ვი“ და სხვადასხვა.

ენათმეცნიერი არა ვარ, მაგრამ ბევრი ეს გეოგრაფიული
სიტყვა მაფიქრებს, საიდან, როგორ? რა უნდა შუა ქართლში
ისეთ სახელწოდებას როგორიცაა „ტირიფონა“, იგი ხომ ზა-
ნურია და ნიშნავს ტირიფიანს.

„კავთიხევის“ სახელწოდება ამას წინათ ვერ აიხსნა. „კა“
სვანურ ერთ-ერთ დიალექტზე ქვას ნიშნავს, ხომ არ არის
ქვათახევი — კავთიხევი, იქვეა ქვათახევიც.

„ლიახვი“ — ლია — ქვემო იმერულში სველი ადგილია,
რომელზედაც წმინდა წყალი დგას, ლიც — სვანურად წყა-
ლია. საქართველოს მრავალ კუთხეში „ლიახვი მოვარდაო“
რომ იტყვიან, „წყალდიდობას“ უთანაბრებენ.

„ძეძუნარა“ ადგილია ქართლში ძეძვიან-ნარიანი. ჯერ ერ-
თი როგორ კეთდება „ძეძუ“-თ „ძეძვი“, და გარდა ამისა, მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ბუნებისმეტყველს მაინტერესებს გეობოტანიკური ტერმინოლოგიის თვალსაზრისითაც. ბევრი გეოგრაფიული ხელწოდება შესანიშნავი და მკვიდრი გეობოტანიკური ტერმინია: თელიანი, მუხიანი, შქერიანი, დეკიანი და სხვანი, ზოგი გეოგრაფიული სახელწოდებიდან აღებული სახელწოდება გამოყენებულ იქნა გეობოტანიკურ ტერმინად და იგი საერთაშორისო მნიშვნელობასაც კი პოულობს.

ახალი ყოფის გამო ბევრი სახელწოდება იკარგება, თავის ფუნქციას კარგავს. პატარა ნაკვეთების ნაცვლად უზარმაზარი საკოლმეურნეო ნაკვეთია, რომელიც წარსულში ათეულ სახელწოდებას შეიცავდა, დღეს ერთი სახელითაა ცნობილი.

მაშ დაგვიანება არ იქნება.

და აი, ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა ეს უდიდესი საუნჯე ამ ხუთიოდე წელიწადში შევკრიბოთ, დავბეჭდოთ, განვმარტოთ.

ყოველ სოფელში უნდა ჩამოყალიბდეს კომისია სკოლის მასწავლებლის, სოფსაბჭოს თავმჯდომარის და სხვა მუშაკთა შემადგენლობით, ამ კომისიამ უნდა ჩაწეროს ყოველი ადგილის სახელწოდება, მიუწეროს ადგილობრივი განმარტება და, გადმოგზავნოს დედაქალაქში. ამ საქმეს სათავეში უნდა ჩაუდგეს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, მეცნიერებათა აკადემია (ენის ინსტიტუტი, გეოგრაფიის ინსტიტუტი).

განმარტებითი ლექსიკონის გამოცემით საქმე დიდი, გიგანტური, დევგმირული გაკეთდა, წინ კიდევ უფრო მეტია გასაკეთებელი.

ამასაც დაძლევენ ჩვენი მეცნიერები, „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი“.

1958 წ.

მარად იჩუხჩუხოს ჩვენმა ნაკადულმა

ქართველ კაცს ნაკადული და წყარო ოდითვე უყვარდა, უყვარდა, რადგან მასში ხედავდა სიცოცხლის გამოსახულებას, სიცოცხლის სიმბოლოს, დაუსრულებელ სწრაფვას შე-

ერთებოდა მეორეს და ამ შეერთებით შეექმნა ძლიერი მდინარე, რომლის სიცოცხლეს მეტ ძლიერებას მისცემდა.

მე ჯერ არ მინახავს და არც მეგულება ისეთი ეროვნული კაცი, რომელსაც წყაროს და ნაკადულის ახლო გაევლოს, არ შეჩერებულიყოს, ხელი არ დაებანოს, შუბლი არ გაეგრილებინოს, სიამოვნებით არ ავსებოდეს გული და მადლიანად არ გაეღიმოს...

და აი, სწორედ ასეთი გრძნობით ევსება გული კაცს, როდესაც ამჟამად ესმის „ნაკადული". ჩვენი გამომცემლობა „ნაკადულიც" ხომ წყაროს თვალივით და ნაკადულივით წმინდაა, რადგან წმინდა საქმეს ემსახურება; ისე, როგორც ნაკადულთაგან დიდი და ძლიერი მდინარე იქმნება, რომელიც ურწყავს სარწყავად ხდის, უდაბნოს ბაღითა და ვენახით ამშვენებს, გადამხმარსა და გადახრუკულს სიცოცხლის ძალას აძლევს.

ისევე გამომცემლობა „ნაკადულის" მიერ გამოცემული მრავალი შესანიშნავი წიგნი მიედინება ნორჩი მკითხველის გულისა და გონებისაკენ, ამდიდრებს მას, აფაქიზებს, ავაჟკაცებს, ავსებს ქვეყნისა და ხალხის სიყვარულით, აქცევს ისეთ უკვდავების ძალად, რომელიც მარად იცოცხლებს განახლებული ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მარტო ხალხის „საუნჯის" ოცი ტომის გამოცემა რად ღირს! ეს უკვე ნაკადული კი არა მთელი უზარმაზარი მდინარეა, ამ გამოცემაში თავმოყრილია ყველაფერი ის საუკეთესო, რაც საერთოდ ჩვენს ერს შეუქმნია. პირველი ორი ტომის დამზადებაში, მასალის შერჩევაში, დიდი ხალისით მონაწილეობდა ჩვენი წარსულის ისეთი დიდი და უებარი მცოდნე, როგორიც იყო აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე. „საუნჯის" გამოცემით დიდი საქმე გაკეთდა, მაგრამ ეს მიიღო ერთმა თაობამ. წამოზრდილმა, ახალმა თაობამ რა ქნას? ამიტომ საჭიროა იგი დაუყოვნებლივ ხელახლა გამოიცეს. როგორც ჩანს ეს გამოცემა ყოველ 5—6 წელიწადში ერთხელ შესაფერი დამატებებით და კორექტივებით ხელახლად უნდა იქნას განმეორებული, ეს ისეთი წყარო და ნაკადულია, რომელიც არასდროს არ უნდა მოაკლდეს ჩვენს მინდორსა და ჯეჯილს. ამ ნა-

კადულის გარეშე ჩვენი ჯეჯილი ვერც კარგად დაიმუხლებს და ვერც კარგად დაითავთავებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ნაკადულის“ ძველი მკითხველი და კეთილის მსურველი ვარ (ჯერ ჟურნალის 1907 წლიდან), გამომცემლობა „ნაკადულის“ მკითხველი და მოკეთე დღიდან დაარსებისა, მაგრამ არასდროს ისე გულსავსე სიხარულით არ ვყოფილვარ, როგორც ამ უკანასკნელ ხანში, როდესაც ჩვენი „ნაკადული“ მართლაცდა საბავშვო გამომცემლობად გადაიქცა. ამჟამად როდესაც ბავშვები იღებენ „ნაკადულის“ მიერ გამოცემულ წიგნებს (ამის მოწმე ხშირად ვარ) ცალ ფეხზე სიხარულით შემოტრიალდებიან ხოლმე და „შენი გულისაო“ შესძახებენ. მინახავს ბავშვი, რომელსაც ჩვენი გამომცემლობის წიგნი გულში ჩაუხუტებია და დაუკოცნია, ვფიქრობ ეს დიდი ჯილდოა გამომცემლობის მუშაკებისათვის. (ასეთი წიგნი მრავალია: მ. მრევლიშვილის — „ჭანჭიკელა“; ზღაპრები: „ადი ხანჯალა“, „ქოსატყუილა“, „წიქარა“; ვაჟა-ფშაველას — „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „იზარდე მწვანე ჯეჯილო“ და მრავალი სხვა).

მაგრამ აქაც მაქვს რამდენიმე შენიშვნა და სურვილი. ჩვენში ნახევარ მილიონზე მეტი ისეთი ბავშვია, ვინც კითხულობს, გამოცემათა ტირაჟი კი 10—20 ათასია, რასაკვირველია ფრიად მცირეა. ქაღალდი ყოველთვის დამაკმაყოფილებელი არ არის. ყველა ყველა და ბავშვს წიგნი ყოველთვის საუკეთესო ქაღალდზე დაბეჭდილი უნდა მივაწოდოთ, ამიტომ გამომცემლობა „ნაკადულს“ პირველ რიგში უნდა მიეცეს საუკეთესო ქაღალდი და საკმაო რაოდენობითაც. მართალია ამ ბოლო დროს გამომცემლობის ფერადი ბეჭდვა გაუმჯობესდა, მაგრამ ჯერ იმდენად არა, რომ ვთქვათ: „კმარაო“. საჭიროა „ნაკადულს“ ფერადი ბეჭდვის საკუთარი საამქრო ჰქონდეს. ისევე, როგორც გამომცემლობამ შეძლო ნიჭიერი და მარჯვე ახალგაზრდა მხატვრების თავის გარშემო შემოკრება და წიგნების მხატვრობის გაუმჯობესება, ვფიქრობ, ასევე გააუმჯობესებს მხატვრული ბეჭდვის საქმესაც. ჩვენმა ბავშვმაც ისეთივე ლამაზი წიგნი უნდა მიიღოს, როგორსაც იღებენ სხვა ქვეყნის ბავშვები. რითი არიან ისინი ნაკლებნი?

ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც უფრო მეტად შემეხება, ესაა მ ე ც ნ ი ე რ უ ლ - პ ო პ უ ლ ა რ უ ლ ი წ ი გ-

ნების გამოცემა. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ საერთოდ დიდი ტრადიცია არა გვქონია, მაგრამ ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში ჩვენი მოღვაწენი „გაზეთებს" თვის იღვწოდნენ და ცოტას როდი აკეთებდნენ. ბავრს ალბათ ახსოვს იაკობ გოგებაშვილის, ილია ალხაზიშვილის, ალექსი ჭიჭინაძის, ივანე როსტომაშვილის და სხვათა საბუნებისმეტყველო პოპულარული წიგნები, მაგრამ ეს წვეთი იყო ზღვაში. ამ ბოლო ხანებში კი ამ საქმეს კარგი პირი უჩანს. ჯერ ერთი, გამომცემლობაში დაარსდა მეცნიერულ-პოპულარული და სათავგადასავლო ლიტერატურის რედაქცია, რომელმაც მოიზიდა ჩვენი სახელოვანი მეცნიერები. მათ ჩვენ ახალგაზრდობას შესანიშნავი საჩუქრები უძღვნეს. ამის დასადასტურებლად საკმარისია მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი:

აკადემიკოსმა გ. ძოწენიძემ დაწერა აკადემიკოს ალ. ჯანელიძის მეცნიერული მოღვაწეობის შესახებ, აკად. ხარაძემ — „კოსმოსში", აკად. გ. მელიქიშვილმა — „როგორ ამეტყველდნენ ლურსმული წარწერები", პროფ. ალ. მაყაშვილმა — „ჩვენი ხეები და ბუჩქები", პროფ. ი. რცხილაძემ — „გავუფრთხილდეთ ბავშვებს" და სხვა მრავალი.

მაგრამ ვფიქრობ ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ის ტიტანური სამუშაო, რომელიც ნაკადულის კოლექტივმა თავისთავზე აიღო, ესაა საბავშო ენციკლოპედიის ათი ტომის თარგმნა და გამოცემა. ეს უბრალო თარგმნა კი არ არის, არამედ გზადაგზა ხდება ტერმინთა დაზუსტება, დადგენა, მთარგმნელთა და რედაქტორთა კადრების შერჩევა, მომზადება, ენციკლოპედიის ადგილობრივი სპეციფიკური მასალით გამდიდრება. უკვე თარგმნილია ორი ტომი, მესამის თარგმნა მთავრდება. პირველ ტომს ჩვენი მკითხველები ამ ცოტა ხანში მიიღებენ, ყოველი ცალკეული ტომის რედაქტორებად მოწვეული არიან ჩვენი ცნობილი მეცნიერნი. ეს დიდი და საშვილიშვილო საქმეა! ამ სამუშაოს დამთავრება მოამზადებს კადრებს იმისათვის, რომ რამდენიმე წლის შემდეგ შევუდგეთ ორიგინალური, ქართული საბავშვო ენციკლოპედიის გამოცემას.

კარგი და დიდი საქმეა დაწყებული, მაგრამ ჯერ კიდევ ჩვენი მეცნიერების მხოლოდ მცირე ნაწილია ჩაბმული ამ ფრიად

სასარგებლო საქმიანობაში, მაშინ, როდესაც მეცნიერულ-პოპულარული წიგნების წერას არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე თვით მეცნიერულს, ამის დამადასტურებლად ეროვნული ბიბლიოთეკა რისია მოვიტანოთ დიდი რუსი მინერალოგის ფერსმანისა და დიდი ბოტანიკოსის ტიმირიაზევის მოღვაწეობა. ახალგაზრდობის გათვითცნობიერება, მისი მომზადება მეცნერების ასათვისებლად ეს ხომ უდიდესი მნიშვნელობის საქმეა. განა ბევრი რამ იცის ჩვენმა ახალგაზრდობამ ჩვენი ქვეყნის შესახებ? ვფიქრობ ძალიან ცოტა. ეს მაშინ, როდესაც ჩვენ უკვე მთელი არმია გვყავს გეოლოგებისა, გეოგრაფებისა, ბოტანიკოსებისა, ზოოლოგებისა, კლიმატოლოგებისა. მართალია ჩვენი ისტორიის სისტემატიკური კურსი დამუშავებული გვაქვს, მაგრამ ცალკეული საკითხები ამ ისტორიისა, ცალკეული მოვლენების გაშუქება, სახელმწიფო მოღვაწეთა ცხოვრების გაშუქება ჯერ კიდევ ელის მწერალს. ან თუნდაც კომუნისტური მოძრაობის მოღვაწეთა ცხოვრებაზე წიგნები ბევრი გვაქვს? გვჭირია თანამედროვე მეცნიერების მიღწევათა პოპულარული გადმოცემა, და ამავე დროს დროულად გადმოცემა. თანამედროვე ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის და სხვა დარგთა მიღწევანი თავის დროზე უნდა მივაწოდოთ ჩვენს შესანიშნავ ახალგაზრდობას, აქ ჩამორჩენა არ შეიძლება. კარგად დაწერილი წიგნი უკეთ მოამზადებს მას ჩვენი ახალი ცხოვრების მშენებლად, გაუხსნის გონებას, გაამდიდრებს მის ინტელექტს და ჩვენც ხომ ის გვინდა, რომ შვილი სჯობდეს მამასა. მაშ ნუ დავიზარებთ და დავეხმაროთ ნაკადულის კოლექტივს იმ კეთილშობილურ საქმეში, რომელსაც ის აკეთებს.

1965 წ.

რა არ გახარო ჩემო ქვეყანავ!

ამ სამოცდაათი წლის წინათ სულმნათი ილია ახალწლის წინაღამეს უჯდა მაგიდას და გულდათუთქული ფიქრობდა „რით გაგახარო, რა მოგილოცო ჩემო ტანჯულო ეროო...“

და ვერ პოულობდა იმ შავბნელ დროს ვერც გასახარელს, ვერც მისალოცს, და ქართველი კაცის გული ხომ დაიმდურრებოდა, ახალწელს ისე შეებიჯებინა, თან არ ჰქონოდა ჩვენი ქვეყნის ბარაქა, დოვლათი, მადლი და სიხარული. სულ რომ არა ჰქონოდა რა, ერთ ათიოდე მარცვალ თავთუხს იშოვნიდა, ათიოდე მარცვალ დოლის პურს, ერთ მუჭა ფეტვს, ჩამიჩს, წითელლოყა ვაშლს, ერთ ხელადა ღვინოს, დაალაგებდა ხონჩაზე და იმედიანად შესძახებდა: „მოგილოცავთ ახალ წელს, აივსოს სიხარულით თქვენი გულიო“... მე დღეს თითო მარცვლის ძებნა არ დამჭირვებია.

და აი, ქართულ ხონჩაზე დალაგებულ მრავალ და მრავალ მეცნიერულ შრომას ვხედავ, რომლითაც ქართველი ხალხი მსოფლიოს ულოცავს ახალ წელს, მშვიდობას, შრომას.

ამ მრავალთა შორის ვხედავ ისეთ შესანიშნავ ნაწარმოებთ, რომელთაც ქართველი ხალხის მადლი და სიმშვენიერე ჩვენს საზღვრებს გადაღმა, შორს მიაქვთ.

ესენია ჩვენი უებრო მეცნიერების ვ. გულისაშვილის — „ეკოლოგია“, ილია ვეკუას — „განზოგადებული ანალიზური ფუნქციები“, ი. ბერიტაშვილის ორი წიგნი — „მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ“ და „უმაღლეს ხერხემლიანთა ქცევის ნერვული მექანიზმები“, ლ. დავითაშვილის საგულისხმო ახალი ნაშრომი. ეს ის შრომებია, რომლებიც მსოფლიოს აცნობს, რა მაღალ დონეზე დგას მეცნიერება თანამედროვე საქართველოში, მაგრამ ამ ფონზე შესანიშნავად ბრწყინავენ ისეთი შრომები, რომელნიც მსოფლიოს აცნობენ ჩვენი თვითმყოფი კულტურის სიდიადეს, მის თავისთავადობას.

ესენია: გ. ჩუბინაშვილის — „ქართული ოქრომჭედლობა“, შ. ამირანაშვილის — „ქართული ხელოვნების ისტორია“, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით გამოსული — „ქართლის ცხოვრება“ და მრავალი სხვა. ვინ ჩამოთვლის ყველას.

აი იზნიქება ქართული ხონჩა სიმძიმით, ჩვენი ერის ნაღვაწით თუნდაც ერთ დარგში, ბრწყინავს იგი და ელავს, ასევე დიდი ბარგით მოდიან სხვა დარგები ჩვენი დღევანდელი ქვეყნისა.

როგორ არ მოვიგონო ამ დროს ღამენათევი ილია, სამშობლოს დარდით შუბლდაღარული და როგორ არ შევძახო

სიხარულით და იმედიანად: „გაიხარე და იცოცხლე ჩემო ხალ-
ხო, ახალ ცხოვრებას შენ შეხვდი შენი სულიერი სიძლიერ
ახალი, უჩვეულო ნაყოფიერი გაფურჩქვნით. ია და ვარდი
გეფინოს გზაზე!

1962 წ.

უანგარო და წმინდა ჯადოსნური ხელით

ამ რამდენიმე დღის წინათ მიხეილ მამულაშვილს ვეწვიე, ჩრდილში ვისხედით, ჯადოსნური თაიგულებით გარშემორტყმულნი...

შვილს დაავალა: აგერ ის ვარდები მოჭერი და მოართვიო.

სამი ვარდი მოიტანა, უნაზესი შეფერილობა ჰქონდათ მათ ფურცლებს, მეჭირა ხელში და დავსცქეროდი, სულსა და გულს ახარებდა მათი სილამაზე. უცბად მიხეილმა წამომატანა ხელი, გამომართვა სამივე, დახედა, კმაყოფილებისა და სიამის ღიმილმა გადაკრა, შემომხედა, კვლავ გაიღიმა, თვალები ეშმაკურად აუციმციმდა, ხელი გადაუსვა, მოუალერსა და გამომიწოდა: იმდენი სიყვარული და იმდენი გრძნობა იყო ამ უხმო ალერსში, რომ გაოცებული შევყურებდი, მოსიყვარულე დედას ჰგავდა, თმახუჭუჭა ბავშვი რომ უჭირავს ხელში.

ამ ფიქრის დასაბუთება ვერ მოვასწარი, რომ მიხეილმა კვლავ წამატანა ხელი და კვლავ მოინდომა ვარდების ჩამორთმევა, მაგრამ ახლა უკვე მე გავუძალიანდი და შევეხუმრე.

— შენ რომ ყური გიგდო, ამ ვარდებს არც კი გამატან.

— რომ იცოდე, რა კარგები არიან!... ესღა მიპასუხა.

— მაშ რახან აგრეა, მე მოგაგონებ ერთ შემთხვევას, რომელიც ამ ორმოცდაცამეტი წლის წინათ მოხდა. შენს ყვავილების მაღაზიის ფანჯარაში ერთი პატარა კალათი იყო გამოფენილი: ლასტი, ლასტზე ხასხასა ხავსი, მლიერიანი პატარა ქვა და ქვის ძირში ასეთი ვარდი ეგდო...

თვალების კიაფით მიგდებდა ყურს, თავს აქნევდა და სახეზე ნელნელა სიამე ეფინებოდა.

შევატყვე, რომ რაღაც მოაგონდა...

— ჰოდა, მერე მაღალი, თმახუჭუჭა ყმაწვილი [illegible] საყვავილეში, არა? გამიღიმა.

— დიახ, ასე იყო. ეს ყმაწვილი ახლა შიგნიდან დასცქეროდა ამ უჩვეულო კალათს.

— მოგეწონათ ყმაწვილო, არა? — შეეკითხა ამ მაღალ ყმაწვილს შავწვერა შუატანის კაცი.

— კარგია, ძალიან კარგია...

— ინებეთ ჩემგან, რახან გაიგეთ მაგის ყადრი!..

ყმაწვილს სიწითლემ გადაუარა, გაუხარდა კიდეც და მადლობა უთხრა...

— კარგია, კარგია აქ, სხვებთან იგი უფრო ლამაზად ჩანს, ჩემთან ვაი თუ მოიწყინოს...

ყმაწვილმა თავის პაწაწინა ოთახში ვერ გაბედა ამ თაიგულის წაღება.

მიხეილი ღიმილით მიყურებდა და როცა გავჩუმდი, მითხრა:

— მეც ბევრი ვიფიქრე, რატომ არ წაიღე მაშინ ის ლამაზი თაიგული. მას შემდეგ, თუ შენც გახსოვს, ასეთ თაიგულს ყოველთვის ვაკეთებდი და გამოვფენდი ხოლმე, თვალყურს ვადევნებდი, მოხვიდოდი თუ არა, ერთხელ მთელი ზაფხულის განმავლობაში არ გამოჩნდი, მეექვსე თაიგული ჭკნებოდა და მენანებოდა, როცა შემოდგომაზე კარი შემოაღე, კარგად შემოგიტიე კიდეც: სად იყავ აქამდე, სად გადაიკარგეო...

— შემოტევა არც ახლა გვაკლია! — შევეხუმრე.

და მართლაც, საკმარისია ნახვა დაუგვიანოთ, რომ ლამაზი წერილით შეგახსენოს, სად დაიკარგეთ „ბზობის ყვავილივით“, — აყვავდა სუმბული, აყვავდა ნარგიზი, ტიტა და, თუ ორიოდ დღეში არ ნახეთ, უცადეთ მომავალ წელსო.

თვითონ მიხეილის ბარათია ცალკე წერილის თემა. ცისფერ ქაღალდზე დაკრულია ლამაზად გამშრალი ჟუნჟრუკი, ან ია, ან ენძელა, ბევრი კი არა, ერთი-ორი, პატარა ნოველას ჰგავს, რომელიც ადამიანს დააფიქრებს, გულისყურში ჩააგდებს: ნეტავ, რა მოუვიდა ნოველის გმირს, როგორ გააგრძელებს იგი ცხოვრებასო.

მაგრამ გავყვეთ აზრთა დინებას, ძალიან სწყინს, როდესაც კარგ კალათას გააკეთებს, ან ახალი რამ აყვავდება და მისი მეგობრები არ ნახავენ. „ყოველივე ეს იმისათვისაა, რომ ხალხმა ნახოს, დატკბეს, მისი სული და გული გააკეთილშობილოს, გაალამაზოს. ადამიანის გული ყვავილივით სუფთა უნდა იყოს, რამდენსაც მეტ ლამაზ ყვავილს ნახავს, იმდენად სწრაფად გალამაზდება მისი სული და გული“, დაუმატებს ხოლმე და ალერსით გადაუსვამს ხელს რომელიმე უცნაურ ქვას, რომელშიც ბროლის კრისტალებია ჩამჯდარი და ზედ რამდენიმე მცენარე ისე გაუხარებია, გეგონება ჩვენი თოვლიანი მთების ნატეხი ძირს, მცხეთაში ჩამოუტანიაო.

მისი ხელოვნების ერთ-ერთი ნიშანდობლივი თვისებაა, პატარა ხის ტოტზე, ქვის ნატეხზე, ჭურჭლის ნატეხარზე ან უბრალოდ დაწნულ კალათაზე მოგვცეს არა უბრალოდ თაიგული, არამედ ცოცხალი ბუნების ულამაზესი ნაწილი, მთელი თავისი საიდუმლოებით, რომელიც დაგაფიქრებს და აგავსებთ სიამოვნებით, სიხარულით, მოგაგონდებათ, რომ ბუნებაში სადღაც გინახავთ ასეთი ან შემდეგში ცდილობთ, რომ ნახოთ, დაიხსომოთ... მიზანი მიღწეულია, თქვენ მისმა „თაიგულმა“ წუთიერი სიამოვნებით კი არ გაგახარათ, არამედ გული გაგიხსნათ, გააღვიძა თქვენში სურვილი სილამაზის ხილვისა და მისი ძიებისა, სილამაზის ხილვის სურვილი ხომ ეს ერთ-ერთი უკეთილშობილესი თვისებაა კაცური კაცისა.

ხშირად ვუმზერ მის მიერ შექმნილ მოტივებს და ვფიქრობ: ვის შეიძლება შეადარო, ვისი ლექსია ასე გულში ჩამწვდომი? ვაჟასი თუ გალაკტიონის? ანასი? თუ მუსიკაა ალაბიევის, სულხან ცინცაძის, რეზო ლაღიძის მელოდიები... აქ ყველა მათგანის ნაწარმოებს შეიცნობთ, ლექსის მუსიკალობასაც, უნაზესი სიმღერის გულში ჩამწვდომ მელოდიასაც.

შეიძლება თუ არა მუსიკა ყვავილებით გამოსახოო, შეიძლება, თუ ყვავილების დალაგებას მიხეილ მამულაშვილს მიანდობთ.

იქნებ დიდი მხატვარია? მაშინ ვინ? ფიროსმანი? არა, იგი თავისებურია და თავისთავადი.

მაგრამ მიწასაც დავუბრუნდეთ.

ამ რამდენიმე წლის წინათ გადაწყდა მაისის ბოლო რიცხვებში მოწყობილიყო ყვავილთა დღეობა, გამოფენა.

მიხეილმა უნდა მიიღოს მონაწილეობა და შეძლებს? ... ... ხომ 85 წლისაა. ვთხოვეთ. ერთ-ორ კალათას შემოგაკეთებ. გაგვეხარდა, ადგილი შევურჩიეთ. გამოფენის წინა საღამოს შემოვიდა პავილიონში, შემოჰყვა ყვავილთა კალათები „ერთი, ორი... ათი, თხუთმეტი, ოცი, ოცდახუთი“... თვალები დავაჭყიტეთ, ეს ყვავილების თაიგული კი არა, ზღაპარი იყო... გადავეხვიე. „ასე იცის, — ამბობს მისი ქალიშვილი პელო, — დაიწყო და აღარ გაათავა, — გაიხარონო...“

ყვავილების დღესასწაულმა თუ გაიმარჯვა და თბილისს საბჭოთა კავშირის მრავალმა ქალაქმა წაბაძა, ამაში დიდი ღვაწლი მიხეილსაც მიუძღვის.

1963 წელს აგვისტოში, მოსკოვში ყვავილების გამოფენა მოეწყო. „ჩვენ მივიღებთ მონაწილეობას იმ შემთხვევაში, თუ მიხეილიც გააკეთებს თაიგულებს...“

და თითქმის 90 წლის მიხეილმა, დიდი გულისა და სულის პატრონმა, ყვავილების კალათები კი არ გააკეთა გასაგზავნად, არამედ გაბედა და ჩაფრინდა მოსკოვში, ჩაფრინდა და გამოფენის დარბაზიდან 15 დღის განმავლობაში არ გამოსულა, არ გამოსულა და გამოფენაზე შემსვლელებიც მიაჯაჭვა საქართველოს სტენდთან, საქართველოს ყვავილებთან.

იყო აღტაცება, სიხარული, ღიმილი, აღფრთოვანება...

მიხეილს კი კეთილი ღიმილი უთრთოდა სახეზე. საქართველოს ყვავილებმა პირველი ადგილი დაიჭირეს, ეს მაშინ, როდესაც ცალკეული ყვავილი, ცალკეული ჯიში უკეთესი ჰქონდა სხვა რესპუბლიკას, ვინც კი იყო გამოფენაზე. მაგრამ ყვავილებს, როდესაც მიხეილის ხელი ეხებოდა, ახალი სული ესახებოდა და მათი შეხამება ხელოვნების შედევრად იქცეოდა.

მე განზრახ გავიხსენე სხვადასხვა წლები მიხეილის ცხოვრებიდან, ისეთნი, რომელთა მომსწრე და მოწამე მე ვარ. ამ მაგალითებიდან ჩანს მიხეილის ფაქიზი სული და გული, დიდი სიყვარული არჩეული საქმისა, ხალხისა, მშობლიური ქვეყნისა...

ცოდნის წყურვილი ბავშვობიდანვე დიდი ჰქონდა. [illegible] ტომ იყო, რომ 1913 წელს, დანაზოგი ფულით, მ[illegible] ობის მექას — ჰოლანდიას ეწვია და მოინახულა მეყვავილეთა პლანტაციები და დაწესებულებანი, ჰოლანდიაში მოინახულა ძველი ნაცნობები, ისინი, ვინც თბილისში ენახა. მოიარა ბერლინი, შვეიცარია, პარიზი და დაბრუნდა საქართველოში. მართალია, ბერლინში დიდი ფერმის პატრონმა შმიდტმა უთხრა: „შენ ჩვენ ვერას გასწავლით თაიგულების და ყვავილების კეთებაშიო“, მაგრამ ევროპაში მიხეილმა ბევრი რამ კარგი ნახა, პირველ რიგში თვით ყვავილების დიდი ასორტიმენტი, მათი თესვა და მოყვანა, სელექცია, ახალი ჯიშების გამოყვანა. ევროპიდან, გარდა გამდიდრებული ცოდნისა, წამოიღო მრავალი მცენარის თესლი, ბოლქვი, ნერგი და თავისი ბაღის საშუალებით გაამრავლა თავის საყვარელ სამშობლოში. ბევრი ეს მცენარე ამ 70 წლის განმავლობაში მთელს ჩვენს ბაღ-პარკებს მოედო.

1916 წელს მცხეთაში მიხეილს მოუვიდა ძვირფასი მასწავლებლის ილია წინამძღვრიშვილის წერილი:

„ჩემო სულიერო შვილო, მიხა! ღმერთსა ვთხოვ შენს ჯანმრთელობას. შენს შრომას ფასი არა აქვს საქართველოს მოზარდი შვილებისათვის, განურჩევლად წოდებისა და ეროვნებისა...

შენი შრომა ყველა მეურნისათვის თვალსაჩინოა. არავის ჩვენში ეგეთი საქმე თავისი დაუღალავი შრომით და ცოდნით არ გაუკეთებია. შენ წმინდა, უანგარო კაცი ხარ, ღმერთმა ჰქნას, საქართველოში გამრავლდეს შენისთანა ადამიანები, მოსიყვარულენი სამშობლოსი“.

დღეს თითქმის ას წელს მიღწეული მიხეილი კვლავ ხალისით მუშაობს და ახარებს მისი ბაღის მნახველებს.

ჩვენც ილია წინამძღვრიშვილის სიტყვებს ვიმეორებთ:

შენ წმინდა და უანგარო კაცი ხარ, ღმერთმა ჰქმნას საქართველოში გამრავლდეს შენისთანა ადამიანები, მოსიყვარულენი სამშობლოსი და თავისი ხალხისა.

1970 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი სიკეთის მთესველი

მიხეილ მამულაშვილის ხსოვნას

დადნება თოვლი, ახმაურდება ნაკადული, გატყდება ყინვა, მიწას ავარდება ორთქლი და მოვა გაზაფხული.

მოვა და ამწვანდება მთა-ბარი, თვალს გაახელს და აყვავდება ია და კესანე, პირიმზე და ენძელა, ცისთვალი და დილის ყვავილი...

მიიხედ-მოიხედავენ, გაოცდებიან, რომ მათ თავისი ჩვეული კეთილი ღიმილით არ შეხვდა მათი გულის მესაიდუმლე მიხეილი; იმასაც გაიგებენ რომ იგი აღარასოდეს შეხვდებათ, ატირდებიან და დააფრქვევენ ნამადქცეულ ცრემლს, აკვნესდებიან, დაიტირებენ.

მიხეილი ხომ ის ადამიანი იყო, რომელიც აი, თითქმის ასი წელია ყოველ დილით ხვდებოდა მათ, უვლიდა, ეფერებოდა, ისეთი ტკბილი სიტყვებით ეჩურჩულებოდა, რომელნიც მეტ სილამაზესა და სინაზეს, სიმშვენიერესა და მომხიბვლელობას აძლევდა მათ და ადამიანთათვის ეს კიდევ უფრო სასურველს, სანატრელს და საყვარელს ხდიდა...

ამიტომ იყო, რომ ის ყვავილი, ის მცენარე, რომელსაც მიხეილი შეეხებოდა, უკვე ყვავილი კი არა, გულიჩამწვდომი ლექსი იყო, ხან ცქრიალა მოკისკისე, ხანაც ღრმა სევდით ჩაფიქრებული, მაგრამ ყოველთვის ლამაზი და მშვენიერი.

მიხეილს ყვავილი ისეთივე ცოცხალ არსებად სწამდა, როგორიც თვით ადამიანი იყო. ისიც სწამდა, რა გინდ გულდიდი ყოფილიყო კაცი, მის გულში დროულად ნათქვამი კეთილი სიტყვა უეჭველად იპოვიდა ადგილს, გაიზრდებოდა, დავაჟკაცდებოდა და მთლიანად გასდევნიდა ბოროტების ნასახს. ამიტომ იყო, რომ მცენარეს, რაგინდ ეკლიანი ყოფილიყო იგი, ეალერსებოდა, კეთილ სიტყვას ეუბნებოდა და მის ხელში ეკლიანიც კი სხვა თვისებას იძენდა, ეკლიანობას კარგავდა, რამდენი ეკლიანი ყვავილი თუ ტოტი დაუყენებია და დაუდვია სხვების გვერდით და შეუქმნია ხელისგულის ოდენა ლასტზე ულამაზესი კუთხე. გეგონებათ ჩვენი სამშობლოს ნატეხიაო.

„არ არის მცენარე, ზღაპრული სილამაზე რომ არ ჰქონდეს,

მხოლოდ თვალი უნდა გქონდეს, ეს სილამაზე დაინახო, ხელი, რომ უფრო გაალამაზო", — იტყოდა ხშირად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მას ჰქონდა თვალიც, ხელიც, რაც მთავარია, გულიც, რომელიც სავსე იყო თავისი ქვეყნისა და ხალხის უსაზღვრო სიყვარულით. სხვას რას შეეძლო თუ არა დიდ სიყვარულს, როდესაც თითქმის ასი წლის ადამიანი დაუღალავად შრომობდა და ქმნიდა ხელოვნების ისეთ შედევრებს, რომელნიც გაყინული გულის პატრონსაც კი სიხარულით აავსებდა და გაყინულ გულს გაულხობდა.

ნეფე-პატარძალს უფრო დააჯერებდა მომავალში, ახალ დედას დაარწმუნებდა მისი პირმშოს კარგ კაცობაში...

ამაზე დიდი მადლი შეიძლება კიდევ?! და ამ მადლს თესავდა ოთხმოც წელზე მეტ ხანს, ხალხს ანიჭებდა სიხარულს, ბედნიერ წუთებს. წუთიერი ბედნიერებაც ხომ ადამიანს უხანგრძლივებს სიცოცხლეს!

აი, სწორედ ასეთი ადამიანი რომ იყო მიხეილი, ატირდებიან ია და კესანე, პირიმზე და ენძელა, დილის ყვავილი და ცისთვალი, მაღლა მთიდან კი კენკეშა და ციურა გადმოაფრქვევენ ყვავილ-ყვავილ მოგროვილ ცრემლებს.

მოაკლდათ სიკეთის მთესველი მინდია, არა მარტო მათ, არამედ მრავალ კეთილ ადამიანს, მინდია, რომელიც ყვავილთა ფერების ირგვლივ დაუშრეტელ სიკეთეს თესავდა.

ადამიანთა შორის სიკეთის მთესველი კი უკვდავია.

1973 წ.

უკანასკნელი არაგველის სადღეგრძელო

ამბობენ, არაგვის ხეობაში პირველად უკანასკნელი არაგველის სადღეგრძელოს დალევენ და შემდეგ სამასი არაგველისას და ყველა იმათი ვინც სამშობლოს დიდებას თავი შესწირა. პირველად ეს რომ გავიგე, მეწყინა. განა ყველამ თავი არ დადო სამშობლოს დიდებისათვის? ვფიქრობდი. მაგრამ და-

ვუკვირდი და დავრწმუნდი, რომ უკანასკნელი არაგველი ღირსია, რომ მისი სადღეგრძელო განსაკუთრებით დაილიოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლადაც წარმოიდგინეთ გახურებული, სისხლისმღვრელი ომი, ირგვლივ ყველა შემოგიხოცეს და მარტო დარჩი, ჭრილობანი შენც გამჩნევია, შუბლს სისხლი ჩამოგდის, მაგრამ ნაბიჯს უკან არ სდგამ, შენი ხმალი კვლავ წივის, ხედავ მარტო ხარ, მაინც იბრძვი...

ალბათ აქ დაიბადა, ან ასეთი ბრძოლების შედეგად:

მაღალი მთისა ვაჟკაცი გეზელ ქორივით ჰკიოდა,
ასი ნახმლევი შუბლს აჩნდა, მკერდს სისხლი ჩამოსდიოდა,
ორასზე მეტი მოეკლა, უვაჟკაცობას სჩიოდა.

რა ძალა იყო ის ძალა, რომელიც უკანასკნელ არაგველს უკან არ ახევინებდა, ან რა ძალა იყო ის, რაც კამეჩის მეხრეს დიდად არაფრად მიაჩნდა, რომ ასზე მეტი მტერი მოეკლა და ჯერ არსად ეთქვა.

აი ყური მიუგდეთ:

კამეჩის მეხრე ვიყავი, მეში მეცვა და მეხვია,
ასი მომიკლავს ურჯულო, ორასი ამიჩეხია.
ჯერ არსად მითქვამს ტოლებში, ჯერ არსად დამიკვეხია,
ვაჟკაცს ტოლებში მკვეხარსა თავზე დაეცეს მეხია.

ეს შემთხვევითი ლექსი არაა. იგი ხალხის მსოფლმხედველობის გამომხატველია თავის მოვალეობაზე.

არც ჩვენი ქალები ჩამორჩებოდნენ ვაჟკაცებს:

თუშის ქალმა სთქვა: შევირთავ ბასრის ხმლის ამომღებელსა,
სულ უწინ ომში ჩამსვლელსა, სახელის შინ მომღებელსა.

სწორედ ამიტომაა რომ ჩვენმა ხალხმა გულში ჩამწედომი ლექსი უძღვნა:

თამარსა ვაშლოვანელსა ვაშლი უდგია თავსაო,
რიგი მწიფს, რიგი ყვავილობს იმის საფლავის კარსაო.

კაი ყმა ყოველთვის იდეალი იყო ჩვენი ხალხისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელს სტირიან ქალები, სოფელს კაი ყმა კვდებაო,
ღმერთო ნუ მოჰკლავ კაი ყმას სოფელი წაგვიხდებაო.

კაი ყმას

ომში წინ წასვლა უყვარდა, ხელთ დაბღუჯვილი ხმალია
არას დასდევდა სიკვდილსა, ოღომც არ შერცხვეს ჯარია.

აი, სწორედ ეს იყო ძირითადი და მთავარი, „არას დასდევდა სიკვდილსა, ოღომც არ შერცხვეს ჯარია". ის საქვეყნო საქმეზე, სამშობლოზე ფიქრობდა, იგი ეხატა გულზედა.

საქმე ის არის, რომ ქართველი კაცი, კაი ყმობას მარტო ომში კი არ აფასებდა. კაი ყმა ყოველთვის და ყველგან კაი ყმა უნდა ყოფილიყო, კარშიც და სახლშიც. გამრჯე, ფაქიზი, თავაზიანი. ყველგან კაი ყმობის კვალი უნდა დაეტოვებინა, სულ ერთია დიდი იყო იგი საქმე თუ პატარა. დაუფასებელი არ რჩებოდა.

კაი ყმის ნაბინავარში შეშანი დარჩებიანო,
ცუდაის ნაბინავარში ქარნი ნაცარსა ჰყრიანო.

ამავე დროს ჩვენი ხალხი ცხოვრებას დიდ პრეტენზიას არ უყენებდა.

ქართველი კაცის ცხოვრებას ბევრი არ უნდა ხრიალი,
ულელი ხარი ეყოფა, ორიოდ ძროხა რქიანი,
. . . . . .
ცოლი შეირთოს მშრომელი, პატიოსანი, ზნიანი —
თვითონაც იყოს მუშაკი, ცოლშვილმოყვარე ჭკვიანი,
მეზობელ ნაფესავებთან ხათრიან-თავაზიანი.....

მე აქ ხალხური ლექსების და საერთოდ ფოლკლორის განხილვას და შეფასებას არ ვაპირებ. იგი ასე ვთქვათ მოწმედ გამოვიყენე, არც ერთ ისტორიულ ძეგლში, თუ დაწერილ მატიანეში, ისე ნათლად არ ჩანს ხალხის მრწამსი, იდეალი, როგორც ხალხური შემოქმედების ნიმუშებში. ხალხური ლექსი, თუ თქმულება საუკუნეთა მანძილზე იხვეწებოდა, ყოველივე ზედმეტი სცილდებოდა, რჩებოდა ხალასი და სწორედ ამ ლექ-

სებში ჩანს თუ რა მიაჩნდა ჩვენს ხალხს კაცობისა და ადამიანობის იდეალად — ეს იყო კაცი, თავდადებული, მებრძოლი თავის ერის გადასარჩენად, საკეთილდღეოდ.

ერეკლესი ვარ ლაღი ყმა, მტერო არ შეგიშინდები.

მან იცოდა მოვალეობა სახელმწიფოს წინაშე. „ერეკლესი ვარ“ აქ სახელმწიფოსი ვარო.

და როდესაც მტერი გვეხვია ირგვლივ ყველაზე დიდი მოვალეობა იყო სწორედ ბრძოლა ხალხის გადასარჩენად, მისი დიდების შესანარჩუნებლად.

დღეს? დღეს კი:

თქვენი ჯერია ახლებო, ხელის დადება ხმალზედა,
ყორნები დასუქებულან მამების ნაომარზედა.

დღეს, მშვიდობიანი მშენებლობის დროს, კაი ყმას სხვა მოთხოვნილებას ვუყენებთ, თუმც მეორე სამამულო ომმა გვიჩვენა რომ ძველებურ კაი ყმობას თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს. მრავალმა ქართველმა ვაჟკაცმა ოქროს ასოებით ჩაწერა თავისი სახელი სამშობლოს სადიდებელ მატიანეში. მოიგონეთ ირაკლი ციციშვილის გმირობა დნეპრზე, დავით ბაქრაძისა მტრის ზურგში უკრაინასა და კარპატებში, ალბათ მათ გმირობაზედაც და კაი ყმობაზე შეიქმნება ლექსები და სიმღერები. ამ ვაჟკაცების სიცოცხლეს რომ თვალი გადავავლოთ, დავრწმუნდებით, მშვიდობიან ცხოვრებაშიც მთელი მათი სიცოცხლე მხოლოდ და მხოლოდ კაი ყმობაა, შემოქმედებითი შრომაა საკუთარი ხალხის საკეთილდღეოდ. ომის შემდეგ ირაკლი ციციშვილმა ორჯერ დაიცვა დისერტაცია, პროფესორია, მაგრამ არა მარტო პროფესორი და მკვლევარი, არამედ მებრძოლი საზოგადო მოღვაწე, ყოველთვის იბრძვის იქ, სადაც საჭიროა და სადაც ხმა მიუწვდება, თუმც შეიძლება ეს ბრძოლა „პროფესორის კოდექსში“ არც ეწეროს. იცავს ჩვენი ერის დიდ მემკვიდრეობას, კულტურის ძეგლებს სიტყვით და საქმით (ძეგლთა დაცვის პრეზიდიუმის წევრია), მონაწილეობას იღებს კულტურის ახალი ძეგლების შექმნაში, ამზადებს

კადრებს — მშენებლებს (უმაღლეს სასწავლებლის პროფესორია) და ნუ გაგიკვირდებათ თუ ზოგჯერ ფერმკრთალი ... ...
მე ქვეყნის ფიქრში გაუტარებია, სამაგიეროდ რამდენ ... ...
და სიხარულია მის თვალებში, როდესაც საქმე საქმეზე მივა
და ქვეყნის სასარგებლოდ დამთავრდება.

დავითმა მრავალი ათასი კილომეტრი ბრძოლებით განვლო მტრის ზურგში და კაი ყმის ვარსკვლავით დაბრუნდა სამშობლოში; თითქოს აქ არაფერიაო, მყისვე ჩადგა ხალხის სამშვიდობო სამსახურში. ეს არ იკმარა, ღამეები წიგნების წერაში დალია და მოგვცა შესანიშნავი მატიანე სამამულო ომში პარტიზანთა ღვაწლისა და მასში ქართველი ბიჭების მონაწილეობისა.

ეს მაგალითები სამამულო ომიდან იწყება. დღეს ხომ ერეკლეს დრო არ არის, ან დიდი თურქობა, რომ ყოველ დღე ხმალი ამოღებული გვეჭიროს. ომი უკვე მეოთხედი საუკუნეა მოთავდა, მაგრამ ასეთი ომი რომ აღარ მოხდეს სწორედ იმიტომ გვჭირია კაი ყმობა, და ყველაზე მეტად ჩვენ, ქართველებს, გვჭირია, ჩვენ ხომ ცოტანი ვართ და ქერჩის ტრაგედია რად ღირს ჩვენთვის.

თანამედროვე კაი ყმა უნდა იყოს მშრომელი, ალალმართალი, პირდაპირი (თუმც „ვაქკაცი წყნარი სჯობიან, რო გაჭირდება მჭეხარი"), არ უნდა შეუშინდეს სოფლის ავყიობას. ძველადაც იყო კაი ყმის აუგად ხსენება. ახლანდელი მოგონილი როდია!

კარგ ყმასა ჰშურობს სოფელი, იტყვიან კარგი რად არის?
საქმე რო გაუჭირდებათ, ყველა იბარებს სად არი?

აი, ესაა გამარჯვება ადამიანისა. როცა გაუჭირდათ მოიკითხეს, ასეთი გამარჯვებისათვის არ უნდა დაერიდოს არც შრომას, არც დილის დათენებას შრომით შემოქმედებაში.

კალამს ხელში არ ავიღებდი, ჩვენში ასეთი ყმანი რომ არ მეგულებოდეს, მაგრამ გული კაცისა მაინც ხარბია კაი კაცობაშიც, და ამიტომ მინდა, რომ ჩვენ ქვეყანას ასეთნი ბევრი ჰყავდეს.

დღეს ცხოვრება ფრიად მრავალფეროვანია, ყველგან ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოასწრებს კაცი, მაგრამ რა დარგსაც აირჩევ, იქ უნდა იყო პირველი (პირველს აქ ვხმარობ კარგის, სამაგალითოს, ფასეულ საზრისით), სხვებისათვის მაგალითის მიმცემი. მართალია მჯობნს მჯობნი არ დაელევა, მაგრამ, მაინც უნდა ეცადო დღეს პირველი იყო შენს საქმეში, ხვალ სხვა იქნება და არ უნდა გეწყინოს, რადგან მისი პირველობა შენი პირველობის განვითარებაა და რაც მთავარია ქვეყნისათვის გამოსადეგი.

არც ერთი კარგი საქმე უბრალოდ და ადვილად არ მოდის, ყოველ პროფესიას სჭირია შრომა, არა მარტო დიდი შრომა, არამედ გონიერი, ყოველმხრივ გეგმაშეწონილი, გაანგარიშებული.

ყველას გვახარებს ალექსანდრე მეტრეველის და რომან რურუას გამარჯვებანი მსოფლიო სარბიელზე. თითქოს უბრალოა „ხელმარჯვედ სცემდე ჩოგანსა“, ან დროზე წამოიღო კისრულზე მოწინააღმდეგე, მაგრამ აბა ჰკითხეთ ან ერთს და ან მეორეს, რამდენი უფიქრიათ ამა თუ იმ ილეთის გასაუმჯობესებლად, რამდენი დღე, ღამე გაუტარებიათ ჯიუტ შრომაში, რამდენი ოფლი დაუღვრიათ და ყოველივე იმისათვის, რომ თავისი მშობლიური ხალხი გაეხარებინათ. და განა არ გვიხარია ხოლმე, როდესაც ავსტრალიიდან, ინდოეთიდან მოდის ამბები ალექსანდრეს გამარჯვებისა ან მექსიკიდან რომანის ფალავნობისა?! ან ნონა და ნანა ხომ სიამაყეა ჩვენი.

ყოველი მათი გამარჯვება მრავალ ათას ადამიანს სიხარულსა და სიამოვნებას ჰგვრის, ეს კი უდიდესი დამსახურებაა ერის წინაშე, რადგან ყოველი სიხარული თავდებია სიცოცხლის რაღაცა ნაწილის გაგრძელებისა. ამას წინათ მოვისმინე ალექსანდრე მეტრეველის გულისწყრომა, რომელიც მან გამოთქვა ზოგიერთი სპორტსმენის უპასუხისმგებლობის გამო. მე, რომელიც ზიარებული ვარ სიტყვის დედას, ეს ჩემებურად აღვიქვი: „თუ ხარ იყავ და თუ არა, წყალსაც წაუღიხარ“.

მიხეილ ხერგიანი ჩემთვის ახლობელი იყო, წყნარი და უწყინარი, თავმდაბალი და თავაზიანი, წყნარმოუბარი და ჭკვიანი, მაგრამ საქმე რომ საქმეზე მიდგებოდა, ნამდვილი ვეფხვი იყო, ამიტომაც მას კლდის ვეფხვი შეარქვეს. სამშობლო მას გულზე ეხატა და მისთვის შრომობდა.

ლიანა ისაკაძემ, ელისო ვირსალაძემ, მარინე გოგლიძემ,

სამმა დამ იაშვილმა სიხარულით აავსო ჩვენი გული. ვის ეგონა თუ ეს ცქრიალა გოგონები მსოფლიოს გააოცებდნენ თავისი უებრო ხელოვნებით, დიახ, მსოფლიოს! მათ ხომ სამი თაშორისო შეჯიბრებებში მოიპოვეს ლაურეატობა.

ყველა ჩვენგანს ახარებს მათი გამარჯვება, მათი ყოველი გამოსვლა.

როცა ლიანა სცენაზეა და მისი პაწია ხელი ჯადოსნურ ხმებს გამოაცემინებს ვიოლინოს, ხშირად ვუმზერ მსმენელს და მახარებს ის, რომ მათ სახეზე უდიდესი ბედნიერებაა ასახული. მიანიჭო ადამიანს ბედნიერება, განა კაი ყმობა არ არის? ასევეა ელისო, მარინე, ირინე, ნონა, ნანა მშვენებანი ჩვენი ქვეყნისა. თანამედროვე კაი დიაცნი (მაია წყნეთელი, თამარ ვაშლოვნელი).

და რაოდენი განუზომელი შრომის შედეგია მათი კაი ქალობა!

ახა თვალი გადაავლეთ ჩვენს მეცნიერთ, ახალგაზრდებს, ფიზიკოსებმა გიორგი ჩიქოვანმა და თინათინ ასათიანმა ლენინის პრემია მოიპოვეს, მათ ხომ უნივერსიტეტში ფეხი მოკრძალებით მხოლოდ ამ ოციოდე წლის წინათ შემოდგეს და მათი ხელსაწყოები ფიზიკის მსოფლიო ცენტრების აუცილებელი სამუშაო იარაღია. ბევრი ღამე და დღე შეალია ჩიქოვანმა თავის ჩანაფიქრს. მერე რა თავმდაბალი, რა ჭკვიანი, მეზობელ-ნათესავებთან ხათრიან-თავაზიანი იყო, სწორედ ამ თავაზიანობის გამო, მისი შრომის მონაწილე გახდა მრავალი სხვა მეცნიერი, მართალია იგი შეეწირა ამ დიდ შრომას, მაგრამ მისი სახელი დარჩება როგორც უკვდავება სამშობლოს სიყვარულისა.

ჩიქოვანს მხარს უბამენ ახალგაზრდა მეცნიერი ფიზიკოსები და მათემატიკოსები (რევაზ გამყრელიძე, ალბერტ თავხელიძე), ფიზიოლოგები (ვაჟა ოკუჯავა, თენგიზ ონიანი), ფილოლოგები (თამაზ გამყრელიძე), მხატვრები? აი, კოკი მახარაძის დიდი ტილო. ეს ხომ მთელი იმედიანი საქართველოა, ის ვინც დღემდე მოიტანა სამშობლო და ვინც წაიღებს წინ, აწ მერაბ ბერძენიშვილის გიორგი საკაძე! რაოდენი მგზნებარება დუღს მასში. ან ელგუჯა ამაშუკელის გორგასალი! რამდენი ნებისყოფა ჩანს ქვეყნის მშენებელისა! არიან, უეჭველად

არიან ჩვენს ახალგაზრდებში დღევანდელი ცხოვრების კა-
ყმანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად ღირს კოლმეურნეობის თავმჯდომარენი (შანავა
დაშვილი, არსენ კობაიძე), ჩაის ოსტატები (ვინარი სხულუხია),
რკინის მესაიდუმლენი (შოთა ფირცხალავა, ამირან ფანცულა-
ია) და სხვანი და სხვანი, განა ერთი და ორი, არამედ მრავალი.

როდესაც მათ სახელებს ვწერ, არც ცნობარში ვიყურები,
არც უბის წიგნაკში, თავისთავად მოდის, კალამი თვით წერს.
ესაა სიცოცხლე ერისა, ესაა უკვდავება ხალხისა, ესაა დღევან-
დელი სამშობლო და როდესაც ამ ახალგაზრდებს ვიმოწმებ,
მე მინდა, რომ ჩვენი ახალგაზრდობა, ყველა თუ არა, დიდი
უმეტესობა ასეთი იყოს.

ხალხის გარეშე არც სამშობლო არსებობს.

სამშობლო კი ყოველმხრივ დამშვენებული უნდა იყოს
პირველ რიგში ხალხით, ყველა დანარჩენს თვით ხალხი თა-
ვის სამშობლოს საჭირო იერსა და პეწს მისცემს.

ქართველები ვამაყობთ პეტრე იბერით, გიორგი მთაწმინ-
დელით, პეტრიწით, რუსთაველით, გურამიშვილით, საბათი,
ვახუშტით, ვაჟა ფშაველათი, დავით აღმაშენებელით, გი-
ორგი ბრწყინვალით და სხვათა სახელებით (ბედნიერი ხალხი
ვართ, რომ ამდენი გვყავს), აბა წარმოიდგინეთ რა ვიქნებო-
დით, ან რა იქნებოდა ჩვენი წარსული, იმ დიდ გზას, რომე-
ლიც გამოვიარეთ, მათი სახელები რომ არ ამშვენებდეს, რომ
არ ბრწყინავდნენ ისინი, როგორც ჩაუქრობელი სანთლები,
იქნებოდა ჩვენი ისტორია? შეიძლება ყოფილიყო, მაგრამ
ფრიად უფერული, ფრიად უხალისო.

მე ვერ მივიღებ იმ ახალგაზრდის სადღეგრძელოს სამ-
შობლოზე, რომელსაც ჯერ არაფერი გაუკეთებია, თქვენ იტ-
ყვით დაგვაცადეთ, ახალგაზრდები ვართო. ჯერ ერთი ამ ბო-
ლო დროს ზოგიერთი წინდაუხედავი მშობლის წყალობით
ცნება „ახალგაზრდობის პერიოდი“ ფრიად გახანგრძლივდა
და ნებას არ აძლევენ „ახალგაზრდას“ დამოუკიდებელი ცხოვ-
რებისას (საბედნიეროდ ეს გამონაკლისია და უნდა ვეცადოთ
არ გავრცელდეს), მაგრამ მე ვერ დავაცდი, რადგან მოვალე-
ობა ხკოლის მერხიდანვე უნდა დაიწყოს. მოწაფე ხარ? ბრწყი-
ნვალე მოწაფე უნდა იყო, შრომით მიაღწევ ამას. სტუდენ-

ტი ხარ? უნდა იყო ბრწყინვალე სტუდენტი. ეს ბრწყინვალება მე არ მიმაჩნია ისეთად, რომ ციდან ვარსკვლავებს ვრთავდეო — არა. საკმარისია შენი მოვალეობა წმინდად, ზუსტად და კარგად შეასრულო, განა ამას დავა უნდა? დღეს შენ ეს გევალება და ეს უნდა გააკეთო, თუ გინდა კარგი შენობა ააგო, კარგი საძირკველი უნდა ჩაყარო. სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი ისეთი ადგილსამყოფელია, სადაც მაგარი საძირკველი უნდა ჩაიყაროს.

განა ამას უნდა თმაში ჭაღარა? არა, არ სჭირია, არ უნდა. ამას უნდა გაგება, რომ შენ გამგრძელებელი ხარ დიდი ტრადიციისა, მამულის დიდი სიყვარულისა, ჩვენმა ძველებმა ჩვენი ქვეყანა დღემდე მოიტანეს და ჩვენც იგი, უფრო ბრწყინვალე, მომავალ თაობებს უნდა გადავცეთ.

სამასი არაგველი რომ კრწანისის ველზე იბრძოდა და უთანასწორო ბრძოლაში იხოცებოდა, ისინი სწორედ თავის ქვეყნის ჩაუქრობელ კერაზე ფიქრობდნენ.

ამ გმირ სამას არაგველში სწორედ უკანასკნელია გმირთა-გმირი, მარტო დარჩა და ფეხი მაინც წინ წადგა, მრავალჯერ დაჭრილმა, სისხლით დაცლილმა, მაინც ხმალი მოიქნია. აი რისთვის სვამენ უკანასკნელი არაგველის სადღეგრძელოს.

1971 წ.

გმირების საგულარი

ჩვენი უნივერსიტეტი ბევრი დიდი და კარგი საქმის წამომწყებია საქართველოში. ერთ-ერთი ასეთი კარგი საქმე, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტში დაიწყო, მთამსვლელობაა. იგი ისეთმა უებრო მეცნიერმა და ვაჟკაცმა დაიწყო, როგორიც უდროოდ გარდაცვლილი ჩვენი პროფესორი გიორგი ნიკოლაძე იყო. მან ამ საქმეს დააბერტყა მთელი მადლი და სიყვარული, თავისი ვაჟკაცობა, და აკი მართლაც მის გვერდით დადგნენ ისეთი შესანიშნავი ახალგაზრდები, როგორებიც იყ-

ვნენ უნივერსიტეტის სტუდენტები, ზოგი მათგანი შემდეგში მისი თანამშრომელი, — დევი მიქელაძე, შოთა მიქელაძე, სვიმონ ჯაფარიძე, ატო აღნიაშვილი, გიტო გიორგაძე [illegible] ვალი და მრავალი სხვა. მათ გაკაფეს ამ შესანიშნავი სპორტის უძნელესი და მართლაც კლდოვანი გზა. მათ ამ გზაზე დატოვეს შესანიშნავი სინათლე, რომელიც ეხმარება, აღაფრთოვანებს ყველა მათ, ვინც შემდგომ ამ გზაზე შედგა და განავითარა იგი.

პირველი ჩვენი ალპინისტები აფრინდნენ ამ ბუდიდან როგორც შევარდნები, როგორც არწივები და თავისი ვაჟკაცური შეძახილით, განვლილი ცხოვრების სიმშვენიერით მამაცობისათვის აღანთებდნენ მომავალ თაობებს.

ამ შესანიშნავი ბუდიდანაა უმრავლესობა იმ ვაჟკაცებისა, რომელთაც საბჭოთა და საქართველოს ალპინიზმს სახელი გაუთქვეს მსოფლიოში.

ამ ბუდიდანაა აფრენილი მრავალი იმ ვაჟკაცთაგანი, რომელნიც თავს შემოევლნენ ტიან-შანისა და პამირის მთებს და ლამობდნენ უფრო შორსაც გაფრენილიყვნენ.

ხალხს, ერს, ყოველთვის სჭირია ისეთი ვაჟკაცები, რომელნიც ყოველთვის მისაბაძნი იქნებიან.

ალპინიზმი ერთ-ერთი ისეთი დარგია, რომლის მიმდევარი, თუ იგი გულწრფელად და მთელი თავისი შეგრძნებით შეიყვარებს ამ დარგს, ჭეშმარიტად ვაჟკაცური თვისებების მატარებელი უნდა იყოს.

ასეთები იყვნენ ისინიც, რომელთა ლამაზი სიცოცხლე ამ ზაფხულს ტიან-შანის მთებში ამ საქმეს შეეწირა: ჩვენი უნივერსიტეტის გაზრდილები — ჯუმბერ მეძმარიაშვილი და თეიმურაზ კუხიანიძე, ლაღი სვანეთის შვილი — ილია გაბლიანი.

მთელი მათი მოქალაქეობრივი სიცოცხლე იყო უმწიკვლო, ფმირობითა და ვაჟკაცობით აღსავსე. მათ გულში თავისი ქვეყნის სიყვარული უკანასკნელ წუთამდე არ ჩამქრალა. მხოლოდ სამშობლოს შეუძლია კაცის გულში ისეთი დიდი სიყვარული დაანთოს, რომლისთვისაც სიცოცხლეს არ დაიშურებს.

მაგრამ... „კიდევაც დაიზრდებიან“ ასეთი ვაჟკაცნი და იზრდებიან კიდეც.

1961 წ.

ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტის მოგონება

ბევრი კარგი და ტკბილი დღე მახსოვს ჩვენი უნივერსიტეტის წარსულიდან. ჩვენი უნივერსიტეტის დამაარსებელთან — ივ. ჯავახიშვილთან მრავალი შეხვედრიდან მოვიყვან მხოლოდ ორ შემთხვევას.

1921 წელს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საცდელი საქმის სამმართველოს უფროსმა გ. რცხილაძემ, რომელიც ჩვენი უნივერსიტეტის აგრონომიული განყოფილების მდივნის მოვალეობასაც ასრულებდა, დაგვიბარა დაახლოებით 10—15 სტუდენტი და გვითხრა: „დროა ჩაებათ საკვლევ მუშაობაში, საჭიროა კარგად შევისწავლოთ ჩვენი მხარე, მისი ბუნებრივი პირობები, ნიადაგი, მცენარეული საფარი, ჩვენი კულტურული მცენარეულობა, ამისათვის კი საჭიროა მინდვრად გასვლა, დიდი და დაუღალავი მუშაობა“.

რასაკვირველია, დავიწყებული არ იყო ასეთი შესწავლის დიდი ეროვნული მნიშვნელობაც. იმ დროს ჩვენი მკვლევარები თითზე ჩამოსათვლელებიც არ გვყავდა.

პირადად მე თბილისის ბოტანიკური ბაღი მერგო. დავიწყე მუშაობა კულტურულ მცენარეთა განყოფილებაში, რომელსაც მაშინ პროფ. პ. მ. ჟუკოვსკი განაგებდა. შევთანხმდით, რომ უნდა გამომეკვლია ქართლის ვაკის სარეველა და კულტურული მცენარენი. თბილისის ბიბლიოთეკებში ერთი კვირის მუშაობის შემდეგ ავიკრიფე გუდა-ნაბადი და გამოვცხადდი გორის მაზრის ხელმძღვანელებთან, მაგრამ აქ ცოტა შემიფერხდა საქმე. ჩემი მანდატი, ბოტანიკური ბაღის მიერ გაცემული, საკმარისი არ აღმოჩნდა. „საჭიროა სახალხო კომისრის ამხ. ბესო კვირკველიას ნებართვა“ — მითხრეს და იძულებული გავხდი დავბრუნებულიყავ თბილისში.

სადგურიდან ფეხით წამოვედი (ვგონებ იმიტომ, რომ ტრამვაი წესიერად ვერ მუშაობდა). ვერის აღმართზე მივდივარ სწრაფი ნაბიჯით, ზურგზე აბგაწამოკიდებული. ვფიქრობ: „როდის მიმიღებს ამხანაგი კვირკველია, ვინ იცის, 2—3 დღე გამიცდეს!...“

ამ ფიქრში გართულმა ვერც კი შევნიშნე, როგორ წამოვე-

წიე ოდნავ წელში მოხრილ ჩვენს რექტორს, ივანე ჯავახიშვილს, რომელსაც ხელში დიდი პორტფელი ეჭირა; მეორე ხელებით მივესალმე და განვაგრძე სიარული. „ყმაწვილებო, გარბიხართ. ალმართში ჩქარი სიარული არ ვარგა“. ცხადია, შევჩერდი. დაველოდე, რექტორი მომიახლოვდა და ხელი გამომიწოდა. საით მიიჩქარიო, — მკითხა. როდესაც ავუხსენი, რა საქმიანობას ვიწყებდით და რა იყო ჩვენი მთავარი მიზანი, ძალიან გაეხარდა.

„ეგ ძალიან-ძალიან კარგია, ეცადე, ყველგან მცენარის სახელებიც ჩაწერო, შეამოწმე ბევრგან... რაც შეეხება სახალხო კომისრის ნახვას, ალბათ, ადვილი არ არის, აბა, წავიდეთ!“

გამიყარა ხელი მკლავში და გავუყევით რუსთაველის პროსპექტს. რუსთაველის პროსპექტისა და ლუნაჩარსკის ქუჩების კუთხის სახლში იყო ის შენობა, სადაც სახალხო კომისარი ბ. კვირკველია მუშაობდა. გზადაგზა მესაუბრებოდა იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს კულტურულ მცენარეთა შესწავლას. „ამ შესწავლით ჩვენი ისტორიის მრავალი საკითხიც გაირკვაო“. პროფ. ივ. ჯავახიშვილი პირადად ბევრ სტუდენტს იცნობდა და ხშირად ჰქონდა მათთან საუბარი. მაშინ ცოტანი ვიყავით.

კომისარმა, მოახსენეს თუ არა, რექტორი მიიღო. მალე გაიღო კარი და ჩვენი რექტორი გაღიმებულმა კომისარმა მოაცილა კარამდე. ივ. ჯავახიშვილმა ჩემზე მიუთითა, დაგვემშვიდობა. მე კი, სანამ მისაღები ოთახიდან გავიდოდა, დამავალა: ზაფხულში თუ ჩამოხვალ, მნახეო. ერთი საათის შემდეგ ხელში მეჭირა სახალხო კომისრის მიერ ხელმოწერილი საკმაოდ დიდი მანდატი და იმავე დღეს გორში ვიყავი. ეს მანდატი მართლაც დამეხმარა. იმხანად ველად კვლევას ხალხი შეჩვეული არ იყო, ალმაცერად გვიყურებდნენ, სახარჯო ფულიც საკმაოდ არ გვქონდა. ამ მანდატის გაცნობის შემდეგ სოფლის თავკაცები დიდი გულისყურით მეკიდებოდნენ. ხელს მიწყობდნენ და მართლაც შემოდგომისთვის საკმაოდ დიდი და საინტერესო მასალა დაგროვდა.

უნივერსიტეტის ბუნებისმეტყველ და აგრონომ სტუდენტებს სამეცნიერო წრე გვქონდა. მოხსენებებზე გვესწრებოდა თითქმის ყველა პროფესორ-მასწავლებელი და ზოგჯერ, როცა კი ეცალა, უნივერსიტეტის რექტორი, ჩვენი დიდი მოამაგე

ივანე ჯავახიშვილი. აი ერთ დღეს ჩემი მოხსენება დაინიშნა „ქართლის სარეველი მცენარენი“ ეწოდებოდა. ჩემს მოხსენებას. მოხსენების დაწყებამდე თითქმის ყველა მეკითხებოდა: „ეს სარეველი რაღაცაა...“ მეც ხუმრობით ვპასუხობდი „ეგ კამათისთვის შეინახეთ“ — მეთქი. მომცა სიტყვა ჩვენმა თავმჯდომარემ გ. აბესაძემ და როგორც კი მივედი კათედრასთან, გაიღო კარი და რექტორი შემობრძანდა, აუდიტორიაში თითქოს ყანაზე მზეკაბანმა გადაიარაო, ისეთმა წყნარმა ჩურჩულმა გაირბინა. ყველას გაეხარდა, მე კი გავწითლდი და გულმა ბაგაბუგი დამიწყო. მოკრძალებით გავიხედე ჩვენი რექტორისაკენ, მან ოდნავ გაიღიმა, თავი დამიქნია და ყურზე ხელი მიიდო. პირველმა შეკრთომამ გამიარა და, თითქოს ჰაერში ამიტაცესო, ისე დავიწყე ლაპარაკი. მოხსენებას ჩვენი ხალხის ანდაზებს, თქმულებებს, რაც თემას შეეხებოდა, ვურთავდი; ბ-ნ ივანეს ყოველ ასეთ შემთხვევაში ეღიმებოდა. ვგრძნობდი, რექტორს ყოველივე ეს მოსწონდა.

დავამთავრე მოხსენება და პირველი შეკითხვა რექტორმა მომცა:

— სიტყვა „სარეველი“ მოიგონე თუ გაიგონე?

დავუსახელე სოფელი (ს. აჩაბეთი), სადაც ჩავიწერე; ჩანიშნული მქონდა გვარიც ამ ტერმინის მომწოდებელი მიწათმოქმედისა და როდესაც მოვახსენე, რომ ეს ტერმინი ბევრგან დადასტურდა, მაშინ თქვა:

— რახან ხალხშია ნახმარი, თუ სხვა მართლაც არა გვაქვს, ეგ სიტყვა უნდა მივიღოთ... შევატყვე კი, რომ მაინცდამაინც არ მოეწონა.

მას შემდეგ ეს სიტყვა შემოვიდა ჩვენს ლიტერატურაში, მხოლოდ „სარეველი“ „სარეველად“ გადაკეთდა. ვერ წარმოიდგენთ, რანაირი კეთილი ნათელი ადგა სახეზე, როდესაც სტუდენტებმა კამათი დაიწყეს; ყოველი გამოსვლა, ყოველი სიტყვა ახარებდა. კამათის დასასრულს გვესაუბრა იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მატერიალური კულტურის შესწავლას. და მეც ჩვენი რექტორი, კულტურის კერის დამაარსებელი და შემქმნელი დამამახსოვრდა, როგორც დიდი მოსიყვარულე და მოამაგე ჩვენი ახალგაზრდობისა, ჩვენი ერისა.

1963 წ.

ნინო ნაკაშიძის 90 წლის იუბილე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანის სიცოცხლე ისეა წარმართული, რომ ბევრ თავის სიყრმის დროს უნდა მოაგროვოს და ჩაილაგოს სამგზავრო ბუღაში თავისი კაცობის ის საგზალი, რომელიც მთელი სიცოცხლის გრძელ გზაზე უნდა გამოიყენოს და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე გამოიზოგოს.

სიყრმის ხანში ეს საგზალია: მამულისა და ხალხის სიყვარული, გულწრფელობა და პირდაპირობა, შრომა და პატიოსნება.

ეს თავისთავად არ მოდის, გარემო უნდა იყოს ისეთი, რომ ასეთი გრძნობანი, ასეთი საგზალი, შეიძლებოდეს შეიკრიბოს.

სხვისა არ ვიცი და პირადად ჩვენი ქვეყნისა და ხალხის სიყვარულის საგზალი გამოვიყოლე „იავნანამ რა ჰქმნა“ და „ასპინძის ომიდან“, გულწრფელობა და პირდაპირობა — „ინგილო ქალიდან“, ბუნების სიყვარული — „შვლის ნუკრის ნაამბობიდან“, შრომა და პატიოსნება დედაენიდან და ყველა ეს იმ ხალხისაგან, რომელსაც ჩემი ცხოვრების ბავშვობასა და სიყრმის დროს შევხვდი: ესენია ლუარსაბ ბოცვაძე, პეტრე მირიანაშვილი, ივანე მაჭავარიანი, ილია ნაკაშიძე, ნინო ნაკაშიძე და სხვანი მრავალნი.

პირველად ჩვენი იუბილარი 1911 წელს შემხვდა. ყრმა ვიყავ, ულვაშის გინგლიც კი არ მეტყობოდა.

დავწერე რაღაც, ჩავიდე უბეში და გადავწყვიტე წამეღო „ნაკადულის“ რედაქციაში.

ვერაზე ვცხოვრობდი და პირველ დღეს მხოლოდ ვერის დაღმართამდე გავბედე ჩასვლა.

მეორე-მესამე დღეს ჩამოვედი გოლოვინის პროსპექტისა (ახლანდელი რუსთაველის პ.) და მამადავითის ქუჩის კუთხემდე, მაგრამ რედაქციის კარს ვერ გავეკარე. გული მიკრთოდა, ვღელავდი.

მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ მივედი რედაქციის კარამდე, დავრეკე, მაგრამ ვერ გავძელ და გამოვიქეცი. მეორედ უკვე ვეღარ მოვასწარ გამოქცევა. ილია ნაკაშიძემ გამიღო კარი, მომკიდა მკლავში ხელი: „აბა წავიდეთ ყმაწვილო“ და შეალო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი, ოთახში მაგიდასთან ნაზღიმილიანი სათნო ქალი იჯდა.

— ალბათ მოგვიტანე რამ, ხომ? — ადგა, მომიახლოვდა, თავზე ხელი გადამისვა და ჩამომართვა რვეული.

გადაშალა, ერთი თუ ორი გვერდი გადაიკითხა, ღიმილი შეუთამაშდა, „კარგი, წავიკითხავ და მოდიო“...

ის ღიმილი დღემდე გამომყვა, ის ალერსი, ის სიკეთე, როდესაც მეც ახალგაზრდას ვხედავ, ყოველთვის ნინოს ნათელი ღიმილი მაგონდება.

ამის შემდეგ 1917 წლამდე განუწყვეტლივ ვწერდი.

გავიდა დრო. დავვაუკაცდი. სკოლის მასწავლებელი ვიყავ, 1925 წელი იყო. ეს კომპლექსური მეთოდიო, ეს უწიგნოთ მუშაობაო და სხვა. დაიქანცნენ მასწავლებლები. აღარ იცოდნენ რა ექნათ.

მეორე ჯგუფის მასწავლებელმა მითხრა:

„მთას ვასწავლი, მთის შესახებ კი ვერსად რა ვიპოვე, იქნებ მიშველოო“...

დავუწერე „გელა და ცქვიტო“ და ჩავაბარე.

გავიდა ერთი თუ ორი კვირა ამის შემდეგ და სკოლის ბუნებისმეტყველების კაბინეტში შემოვიდა დღევანდელი ჩვენი იუბილარი ქ-ნი ნინო.

— შენ მოსაკლავი მყავხარ, სადა ხარ დაკარგული, არ გრცხვენია?

ერთი ხიტყვით დამიწყო ტუქსვა. თურმე ნუ იტყვით დირექტორს უჩემოდ ის ჩემი „გელა და ცქვიტო“ მიეტანა განათლების კომისარიატში, სადაც მაშინ საბავშვო გამომცემლობა იყო მოთავსებული, რომელსაც ნინო ხელმძღვანელობდა. მან ხელახლად დამაწყებინა წერა, თითქმის 10 წელიწადი ვწერე, კვლავ შევწყვიტე და ამ ბოლო დროს კვლავ დავუბრუნდი...

ეს მოგონებანი, მოგონებად, მაგრამ მთელი ჩემი შემდგომი მოღვაწეობა წარმართა ამ პირველმა შეხვედრამ. თუ არა ნინო, მისი დარიგება, სათნოება და თუ არა ლუარსაბ ბოცვაძე, რომელმაც, როდესაც 1911 წელს ნაკადულში დაიბეჭდა ის პირველი მოთხრობა, დამარიგა: „თავში არ აგივარდესო“... როგორ წარიმართებოდა ჩემი და ჩემისთანათა ცხოვრება არ ვიცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ნინო არის ის და ისეთი ადამიანი, რომელიც ყოველთვის მაგალითად უნდა იყოს ჩვენთვის.

1962 წ.

განუწყვეტელი მოლოდინი

დაკარგავ ახლობელს, იდარდებ, დაინანებ და ბოლოს შეურიგდები...

მაგრამ არიან ადამიანები, რომელთა სიკვდილი არ გჯერა. გაივლის წელი, ათი, ოცი და ისევ ელი, გგონია რომ ისევ შეხვდები, შემოგანათებს მისი ლამაზი თვალები, სიყვარულით განათებული ღიმილი.

ორმოცდაერთ წელზე მეტია გრიგოლ მეგრელიშვილი („მთის ნიავი") ახალციხის მაზრის, სოფელ უდესთან მოკლეს ოსმალთა ასკერებმა, ცხრამეტი ტყვიით განგმირული დაეცა ჭაბუკი პოეტი.

ისე წავიდა ფრონტზე, ახალციხეში, რომ ხმაც კი ვერ გაეცი. ჰოსპიტალში ვიწექი, თავი არ მქონდა ლაპარაკისა, გაიღო პალატის კარი და შემოვიდა ჯარისკაცის ტანსაცმელში გამოწყობილი გრიშა (ასე ვეძახდით), შედგა, მიიხედ-მოიხედა, დამინახა, გაიცინა და წამოვიდა ჩემკენ. ალბათ ძლივს გავიღიმე, რომ მას სახეზე უცებ შეეყინა ნათელი და გულკეთილი ღიმილი.

ჩამოჯდა ჩემს ლოგინზე, მიცქერდა და უცებ თვალებიდან გადმოსკდა ცრემლების ღვარი, იჯდა და უხმოდ ტიროდა...

— კარგი, გრიშა!...

გაიღიმა, გაიცინა, ადგა, ფრთხილად მაკოცა და წავიდა. ორი-სამი კვირის შემდეგ იმავე ჰოსპიტალში შიო მღვიმელი შემოვიდა, დავინახე, გამიხარდა.

— მოგვიკლეს ბიჭო მთის ნიავი, — თქვა და გადმოსცვივდა ცრემლი.

ჩემთვის ეს აქამდე არავის ეთქვა. სუნთქვა შემეკრა, შიომ

თურმე არ იცოდა, რომ ამ ამბავს ახლობელნი მიმალავდნენ, ტრადიციის კაცი იყო: მთის ნიავის სიკვდილი რომ გაიგო, სამძიმარი უნდა ეთქვა ვისთვისმე და ჩემკენ წამოვიდა.

— თურქები მოეძალნენ თურმე, ჩვენებს უკან დაეხიათ, გრიშა კი არ მოეშვა, მარტო იჯდა სახუნდარში და იბრძოდა, ხან ტყვიამფრქვევით, ხან თოფით, მაგრამ მარტო იყო, მაინც მოკლეს, იმ დღესვე გააბრუნეს მტერი, გაიგდეს წინ და როდესაც გრიშას სახუნდართან მივიდნენ, იგი მკვდარი ეგდო, ცხრამეტი ჭრილობა აღმოაჩნდა თურმე. აი, ლექსიც დავწერე, — მითხრა შიომ.

მას შემდეგ ველი გრიშას და ეს ლოდინი დღემდე ოდნავადაც არ შენელებულა.

ცოდო იყო მისი სიკვდილი, ცოდო, 18—19 წლისა იყო, მაგრამ უკვე ჩამოყალიბებული მოქალაქე, ჩამოყალიბებული პოეტი.

გრ. მეგრელიშვილი ჩვენს გიმნაზიაში, თბილისის ქართულ გიმნაზიაში, 1914 წელს მეხუთე კლასში გადმოვიდა. შუატანისა იყო, მხრებში ოდნავ მოხრილი, მკერდჩავარდნილი, დიდთვალება, შავი წარბები ნამგლებივით გადასჭდომოდა ლამაზს, თეთრსა და მაღალ შუბლზე, შავი თმები ლამაზად აქოჩროდა. როდესაც ამხანაგს შეხვდებოდა, პირზე ღიმილი, კარგი, სიკეთით სავსე ღიმილი უკრთოდა. ხმა ხავერდოვანი, წყნარი ჰქონდა. ნაკითხი იყო, ბევრს კითხულობდა შემდეგშიც.

1916 წელს ქართული გიმნაზიის მოწაფეებმა გამოვეცით ჟურნალი „ცრემლის ღუზა“ (ეს უცნაური სახელი დავარქვით იმიტომ, რომ „ვტირით, მაგრამ იმედი გვაქვსო“, ასე ვხსნიდით). ამ ჟურნალში დაიბეჭდა გრიგოლის ერთი უსათაურო ლექსი და პოემა „გალაათიდე“. ეს ნაწარმოებები გამსჭვალული იყო სამშობლოს უღრმესი სიყვარულით.

პოეტი ისე დაიწვა და ჩაიფერფლა ამ სიყვარულით, რომ ვერ მოესწრო თავისუფალ საქართველოს, „ამაყსა და თავმომწონეს“.

მას გულს უკლავდა იმდროინდელი ყოფა, ფუქსავატობა და ამაოება, რაც ასე მკვეთრად ჩანდა განსაკუთრებით ჩვენს პროვინციაში, სადაც ზედაფენები მთელ დროს ლოტოსა და ცეკვა-თამაშში ატარებდნენ.

იგი ლექსს დაუფლებული იყო უჩვეულოდ, წერდა მეტის-მეტად ადვილად, მსუბუქად, შეეძლო საკლასო შრომაც კი ლექსად დაეწერა; ასეც მოიქცა ერთხელ, საკლასო [illegible] „ვეფხისტყაოსნის ქალები“ შოთას ლექსით დაწერა, შოთას რითმა კი არსად იხმარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენმა მასწავლებელმა, პეტრე მირიანაშვილმა, ესღა უთხრა: „შენ მოყოლით უნდა დაგეწერა, მაგრამ მაინც, კარგიაო“. განსაკუთრებით მაჯამის ჯადოქარი იყო.

ერთ-ერთ წერილში მწერდა: „დავწერე რამდენიმე ლექსი, რომელთა შორის მომწონს „დაჭრილი შველი“, თან ლექსიც დაერთო. აი ერთი ადგილი ამ ლექსიდან:

ჩემო სიცოცხლევ, აივანზე მჯდომს
ხელში გეჭირა წიგნი გახსნილი,
ყელს მშვენიერსა შემოგხვეოდა
თმა საოცნებო, შავ-შავი, მსხვილი,
და ჰკითხულობდი, თუ ვით დიანამ
ისარით დასჭრა გულმკერდში შველი,
თუ ვით შესცქერდა იმის წამებას
ქალღმერთი ტურფა, გულმკერდ შიშველი.

„როგორია ნიკო?“ მეკითხებოდა წერილში. რასაკვირველია მომეწონა.

ძალიან უყვარდა მეგობრებთან საუბარი. ხშირად შევიყრებოდით ერთად ს. ფაშალიშვილი, გ. ლეონიძე, პ. კურცხალია, მოვიდოდა ალ. ქუთათელი, რომელიც გრიშას ჯერ კიდევ ქუთაისში ამხანაგობდა; გავმართავდით შაირობას. მე სოფელში ვიყავი გაზრდილი, შაირი ბევრი ვიცოდი, ჩემს ხალხურ შაირს გრიშა სახელდახელოდ შექმნილ შაირს დაუპირისპირებდა, ხშირად პირდაპირ პასუხს, იყო ერთი სიცილი და მხიარულება. ხშირად დაგვთენებია, მაგრამ არა მარტო შაირობაში, არამედ საკმაოდ სერიოზულ საუბარში.

მომავალს ნათლად ვისახავდით, მიუხედავად იმ დროის სიდუხჭირისა, მომავლის დიდი იმედი გვქონდა.

გრიგოლმა ლექსების წერა ადრე დაიწყო. 1914 წელს გიმნაზიაში დავაარსეთ ხელნაწერი ჟურნალი „პირველი სხივი“. მე ვრედაქტორობდი და ყოველ ნომერს ოთხ ცალად ვწერდი.

ახლაც მიკვირს, როგორ ვახერხებდი. ერთ ნომერს ქუთაისის ქართულ გიმნაზიას ვუგზავნიდი, სანაცვლოდ იქიდან ორი ნომერი „ქართული მოწაფე“ მივიღეთ. დღემდე „ბავშვის სხივის“ 10 ნომერი შემომრჩა. გადავათვალიერე და ვნახე, რომ 1914 წელს, ჟურნალის მერვე ნომერში გამოცხადებულია საუკეთესო ლექსისათვის დანიშნული კონკურსის შედეგები. პირველი ჯილდო მიგვიკუთვნებია მიხ. ხერხეულიძის ლექსისათვის: (მაშინ VII კლასის მოწაფე); „ბუნებამ გაიღვიძა“, ხოლო მეორე ჯილდო გრ. მეგრელიშვილის ლექსისათვის: „მითხარ მთვარეო!“

ჯილდოდ გამოცხადებული იყო ალ. აბაშელის წიგნი „მზის სიცილი“, პირველი — ყდით, მეორე — უყდოდ. როცა საღამოთი გრიგოლს ჯილდო მივუტანე, ბოდიში მოვუხადე: „ასე მოგვივიდა, შენი ლექსი სჯობდა, მაგრამ მიხეილს მივეცით პირველი ჯილდო“. „იცი რადა ბიჭო? იმის ლექსში სამშობლოზეა ლაპარაკი, მე კი განყენებულ საკითხებზე ვსაუბრობო“, — მიპასუხა. მე გაკვირვებულმა შევხედე, მაშინ მივხვდი, რომ ეს მართალი იყო. ამ გამარჯვებით იყო გამოწვეული, თუ სხვა რამით, რამდენიმე დღის შემდეგ წავედით „თემის“ რედაქციაში. გრიგოლმა წამოიღო ლექსი „შაშვი“, მე კი პატარა წერილი. რედაქტორმა წაიკითხა ლექსი, გაკვირვებულმა შეხედა გრიგოლს და ჰკითხა: „შენ დაწერეო?“. გრიგოლი გაწითლდა, დიდი შავი წარბები შეიკრა და ხელი გაიწოდა. „არა, არაო, დავბეჭდავ, დავბეჭდავო“, — თქვა რედაქტორმა და ლექსი უჯრაში ჩადო.

ორშაბათს გავშალე „თემი“ (ორშაბათობით გამოდიოდა) და ხმამაღლა წამოვიძახე: „შაშვმა შესძახა“ მგონი ასე იწყებოდა ეს ლექსი.

ამის შემდეგ მთის ნიავი ხშირად ბეჭდავდა ლექსებს „თემში“, „თეატრსა და ცხოვრებაში“, შემდეგ „საქართველოში“ და სხვ. ყველაზე გულღიად გვხვდებოდა „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორ-გამომცემელი ი. იმედაშვილი. მისი რედაქცია (სულ ერთი მაგიდა იდგა) „სორაპნის“ სტამბაში (მადათოვის კუნძულზე) იყო მოთავსებული. მთის ნიავის ლექსებს იმედაშვილი დაუბრკოლებლივ ბეჭდავდა. რაღაც განსაკუთრებით თბილად, შინაურულად გვხვდებოდა, ოდნავ უხერხულობასაც კი არა ვგრძნობდით.

— აბა რა მოიტანეთ? — გვკითხავდა, ჯიბეებს მოგვრეხრიკავდა, ნაწერებს უჯრაში ჩაკეტავდა. „აბა, ახლა მიშველეთ“ — იტყოდა და გვილაგებდა წინ ახლად გამოსულ ჟურნალის ნომრებს. „აბა დააწერეთ მისამართები, დააკეთეთ [illegible] კები“. სანამ არ მოვრჩებოდით ამ საქმეს, არ გამოგვიშვებდა, ბოლოს ფოსტაში გაგვატანდა, ჩაბარეთო. მიტანილი მასალა მომავალ ნომერში უეჭველად დაიბეჭდებოდა.

გრ. მეგრელიშვილი დედით ობოლი იყო. მამა კი ეტყობოდა ხელმოკლე იყო, ბევრით ვერაფრით ეხმარებოდა. თბილისში გრიგოლს თავისი ბინა არ ჰქონდა. ხშირად ჩვენთან იყო, თუ ისე მოხდებოდა, რომ ჩვენც საკუთარი ბინა არ გვქონდა (ე. ი. დედა ვერ ჩამოვიდოდა თბილისში და ბავშვებს ვინმესთან მიგვაბარებდა, გაგვანაწილებდა), გრიგოლი ხან ს. ფაშალიშვილთან იყო ხოლმე, ხან პ. კურცხალიასთან.

1915 წლის 7 ივლისს იგი მწერდა: „საქართველოს“ რედაქციაში აღარ ვმუშაობ, რადგან სანამ მე ჩამოვიდოდი სოფლიდან, აქ უკვე სხვა შეერჩიათ. ისე, რომ დავრჩი უსაქმოდ. რედაქციაში მპირდებოდნენ ადგილს, მეც ვუცდიდი, მაგრამ ამაოდ“.

15—16 წლის ჭაბუკი აი ასე დადის, ეძებს სამსახურს, ეძებს ლუკმაპურს და თავის თავში ნახულობს იმდენ ძალას, რომ წერს შესანიშნავ პოემებს — „სალომეას“, „შუქურვარსკვლავს“, „გალაათიდეს“ და სხვ. იმისდა მიუხედავად, რომ ამ ნაწარმოებებს აქებდნენ, მოსწონდათ, პოეტი ბოლომდე იყო თავმდაბალი, უცნაურად კდემამოსილი.

1915 წლის 28 ივლისს გრიგოლი მწერდა: ახლა როვევის ხანას განვიცდი. ვზივარ ხანდახან, ვფიქრობ და უცაბედად ცრემლები გადმომცვივა თვალთაგან. იცი, ნიკო, ერთი სასაცილო ამბავი უნდა მოგწერო: „თეატრისა და ცხოვრების“ ამბებში წერია, „ახალგაზრდა მგოსანმა მთის ნიავმა დაწერა ხალხური ლეგენდა „შუქურვარსკვლავი“, რომელიც ჩვენი ჟურნალის მომავალ ნომერში დაიბეჭდებაო“. შენ გენაცვალე, სასაცილოა, მაშ რა ოხრობაა: საკმარისია ერთი ათი-თერთმეტი ლექსი დაწერო და ხელად მგოსნად მოგნათლავენ. განა მგოსანი ასე უბრალო სიტყვაა?“.

მართლაც მგოსანი არ არის უბრალო სიტყვა, მაგრამ გრ.

მეგრელიშვილი ჭეშმარიტი მგოსანი იყო, ნამდვილი შემოქმედი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას ისე მოესწრაფა სიცოცხლე, ჭაბუკობის დამთავრებაც ვერ მოასწრო; მწარე სიყრმე ჰქონდა, ხშირად სხვის კარად ყოფნა უხდებოდა, მაგრამ გული არ გასტეხია, სწავლობდა კარგად, წერდა მშვენიერ ლექსებს, პოემებს, წერილებს. აკაკის გარდაცვალებაზე დაწერა ლექსი და ლეგენდა „მარგალიტის კრიალოსანი", ეს მართლაც მშვენიერი ქმნილებები იყო.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ჯარში წაიყვანეს, გადაცვეს ჯარისკაცის მაზარა. „ბევრი რამ უნდა მოგწერო, — მწერდა ქუთაისიდან, სადაც ის ჯარის ნაწილში იყო, — მაგრამ ხომ იცი თევზის არაკი!"

და აი, 1918 წელს იგი ფრონტზე დაიღუპა.

ვინ უვლიდა, ვინ უფრთხილდებოდა მაშინ ერის საუნჯეს, თორემ გრიგოლი დღესაც ცოცხალი იქნებოდა... იქნებოდა და კიდეც დაამშვენებდა ჩვენს პოეზიას.

დღემდე ვერ ვწერდი, რადგან მეშინოდა, რომ მასზე დაწერილი წერილი დადასტურება იქნებოდა მისი დაკარგვისა; მე კი განუწყვეტლივ ველოდი, ველოდი რომ დაბრუნდებოდა.

ახლაც არ მჯერა და ხშირად აი ამ წერილის წერის დროსაც თითქოს ველოდი: აი შემოვა ჩვენი მთის ნიავი, შემომცინებს და გაღიმებული გამომიწვდის ხელს.

ასეა, როდესაც უდროოდ იკარგება იმედიანი ადამიანი. ერთი პატარა სურათი შემომრჩა. მასზეც ოდნავი ღიმილი უკრთის.

1959 წ.

ხალხის უანგარო მოამაგე

ილია წინამძღვრიშვილის დაბადების 125 წლისთავის გამო

დაუვიწყარია ყველა ის ადამიანი, ვისაც თავისი ხალხის უკვდავების ტაძრის მშენებლობაზე ერთი ქვა მაინც მიუტანია და ამ ტაძრის სიმტკიცე გაუძლიერებია, გაუხანგრძლი-

ვებია. სწორედ ასეთ ადამიანთა სახელები შერჩებ[illegible] ისტორიას და მადლიერი თაობა დროდადრო იგონებ[illegible] რათა მათი საქმიანობა, საქვეყნო საქმისადმი თავდადება მათთვისაც და შთამომავლობისთვისაც მაგალითი გახდეს. „კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდეს — ამბობს ჩვენი ხალხი, — ერთი აქ დასარჩენი, მეორე — თან წასაყოლიო“. სწორედ ასეთი ორი სახელი ჰქონდა მეცხრამეტე საუკუნის ერთ-ერთ უწყინარს, ჩუმს, მაგრამ დიდ მოამაგეს ილია წინამძღვრიშვილს.

ჩვენი მეცხრამეტე საუკუნე, განსაკუთრებით მისი მეორე ნახევარი, მდიდარი იყო უანგარო მოღვაწეებით. ასეთი ხალხი რომ არ გვყოლოდა, ვინ იცის, რა დაემართებოდა ჩვენს ხალხს, ჩვენს ქვეყანას; ასეთი ხალხის თავდადებამ მოიტანა ჩვენი ქვეყნის სულიერი საუნჯე ჩვენს დრომდე.

ცნობილია, რომ ისედაც დაუძლურებული აღმოსავლეთ საქართველო 1795 წელს ირანის მპყრობელმა აღა მაჰმად-ხანმა დაარბია. მან გადაწვა და დაანგრია ჩვენი დედაქალაქი, მოაოხრა ქართლი. ამ დროს დასავლეთ საქართველო კი ოსმალთა სათარეშო ასპარეზად იყო გადაქცეული. რუსეთთან შეერთებამ მტრის თარეში მოსპო. მაგრამ ხალხი დიდხანს წელში ვერ გაიმართა, დამპყრობთა მიერ დანგრეული მეურნეობის აღდგენას დიდი დრო სჭირდებოდა. მეორე მხრივ, ხალხი ბატონყმობის უღელქვეშ გმინავდა, ფეოდალური არისტოკრატია მეფის პოლიტიკის ჭკვიანი და ცბიერი გამტარებლის ვორონცოვის და სხვა მეფისნაცვალთა მიერ მოწყობილი ბალებით და ლხინით ერთობოდა, მამულებს აგირავებდა, ჩალის ფასად ანიავებდა, მათი მამულები უცხოელების ხელში გადადიოდა. თითო-ოროლა ადამიანი თუღა ფიქრობდა ხალხის კეთილდღეობაზე. ეს თითო-ოროლაც უფრო ხშირად მწუხარედ მოსთქვამდა: „ვაჰ, დრონი, დრონიო“ და წარსულს მისტიროდა, მომავალში ნათელს ვეღარ ხედავდა. სამოციან და სამოცდაათიან წლებში პირველად გაისმა ახალთაობის, ეგრეთ წოდებულ, თერგდალეულთა მჭექარე ხმა.

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ და ეს წინასწარმეტყველური თქმა გლეხკაცს, გაიბოტნელ ლელთ ღუნიას ათქმევინეს, ათქმევინეს და თავის სამოქმედო დროშაზე დაეწერეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თერგდალეულთა მთელი პლეადა, რომელსაც სათავეში ედგნენ ჩვენი დიდი წინაპრები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე და სხვანი, ენერგიით შეუდგა იმ საქმიანობას, რომელმაც ქართველ ხალხს თავის თავი კვლავ ამცნო, თავი მაღლა ააღებინა და ჩვენს დიდებულ დროს პირნათლად შეახვედრა.

მეცხრამეტე საუკუნის დიდი განმანათლებელნი მარტო ლიტონი სიტყვით არ კმაყოფილდებოდნენ. აარსებდნენ ბანკებს, სათავეში უდგნენ ახალი ქალაქების მშენებლობას. იკვლევდნენ და ეძიებდნენ მიწის წიაღისეულს, აარსებდნენ თეატრებს, სკოლებს, სასოფლო-სამეურნეო, ისტორიულ და ეთნოგრაფიულ, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებებს და ვინ იცის, კიდევ როგორ იღვწოდნენ უანგაროდ. მხოლოდ იმიტომ, რომ ხალხში განათლება შეეტანათ, რათა მას თავისი თავი ეცნო, თავისი ძალა ეგრძნო.

ჩვენი განმანათლებელნი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ გლეხკაცის მდგომარეობას და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სოფლის მეურნეობის აღორძინებას. ამიტომ იყო რომ ჩვენს განმანათლებელთა შორის მომწიფდა სასოფლო-სამეურნეო სკოლების გახსნის იდეა.

1881 წელს ჩვენს გაზეთებში ილია წინამძღვრიშვილი აცნობებდა საზოგადოებას, რომ მას განზრახული აქვს წინამძღვრიანთკარში, საკუთარ მამულში გახსნას ქართული სასოფლო-სამეურნეო სკოლა.

ამ ცნობას ქართველი საზოგადოება დიდი სიხარულით შეხვდა. მალე გამოჩენილ მოღვაწეთა მონაწილეობით შემუშავდა მომავალი სკოლის წესდება. სკოლაში სწავლების ვადა 6 წელი იყო. წესდების პირველი მუხლი ასე იყო ჩამოყალიბებული:

„სწავლება ყველა საგნისა, პირველი წლიდან დაწყებული მეექვსე წლის დასრულებამდე, უნდა მიმდინარეობდეს ქართულ ენაზე“.

სწორედ, ეს მუხლი უშლიდა ხელს წესდების დამტკიცებას. წესდების დაუმტკიცებლად კი სკოლა ვერ გაიხსნებოდა. ი. ჭავჭავაძეს და ი. გოგებაშვილს დიდი შრომა და ცდა დას-

ჭირდათ, სანამ მეფის ნაცვალს წესდებას დაამტკიცებინებდნენ. 1883 წლის 3 სექტემბერს სკოლა გაიხსნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი როგორ დასახა ამ სკოლის დანიშნულება და განვითარება მისმა დამაარსებელმა:

„ბევრს თქვენგანს გააკვირვებს ჩემი მოქმედება, რომ დღეს მე სამეურნეო სკოლას ვხსნი. მართლა რომ ეს საქმე სამძიმო საქმეა, მაგრამ ეს საქმე მე გამაბედვინა ერთის მხრივ იმან, რომ ყოველის მამულიშვილის ვალია შეძლებისამებრ შეეწიოს ღარიბსა და უცოდინარ ხალხსა, მეორეს მხრივ აუცილებელმა საჭიროებამ აქაურ ხალხში სასარგებლო და პრაქტიკული ცოდნის გავრცელებისამ. მე დარწმუნებული ვარ, რომ გზაზედ ბევრი გაჭირვება მოგველის, მაგრამ ამ გაჭირვების დაძლევა შეუძლია საქმისადმი სიყვარულს, გულის დადებას და ენერგიას, ...მაშ ყველანი, ვინც კი ერთგულად ეკიდება სახალხო განათლების საქმეს, ამოვუდგეთ გვერდით მეცნიერების დროშას, წავიდეთ წინ და მოვფინოთ ბნელს ხალხში ნათელი ჭეშმარიტებისა“.

ილია ჭავჭავაძემ თავისი შესანიშნავი სიტყვა, რომელიც მრავალ სახელმძღვანელოში შევიდა, როგორც ნიმუში ბრძნული მჭევრმეტყველებისა, სწორედ ამ სკოლის გახსნაზე წარმოთქვა, დაახასიათა რა დიდია მნიშვნელობა აგრონომიული ცოდნისა, თვით ილია წინამძღვრიშვილზე თქვა:

„გამოვიდა ჩვენში ერთი გულმტკივნეული კაცი და გვითხრა: გზას მე გიჩვენებთო, თქვენ ოღონდ ხალისი გამოიჩინეთო. ეს კაცი მარტო თავისი მცდელობით, თავგამოდებით, მხნეობით შეუდგა ამ ძნელ საქმეს და თავის სასახელოდ და ჩვენდა საბედნიეროდ. აქ, ამ სოფელში, აკვანი დადგა ცოდნის გასაზრდელად და ძუძუსათვის ძიძები მოიწვია. ის კაცი ილია წინამძღვრიშვილია, ის აკვანი — აი ის პატარა შენობაა, რომელიც ასე ლამაზად უხდება ამ პატარა სოფელს, ძიძები კი მისგან მოწვეული ოსტატებია.

აი სად და ვისი სახელით აინთება აქ ის სასიხარულო სანთელი, რომელიც მტერს დააფრთხობს და მოყვარეს გაახარებს და რომელსაც ცოდნა ჰქვიან“.

დიდმა აკაკიმ ი. წინამძღვრიშვილს, როცა მას 1913 წ.

იუბილე გადაუხადეს, სკოლის ეზოში გამართულ კრებაზე ასე მიმართა:

„სასწავლებელი ბევრი გვაქვს, საქალებო გიმნაზიები, სხვადასხვანაირი სკოლები, ეხლა კიდევ უმაღლეს სასწავლებელს გვპირდებიან, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ასე არ გვხიბლავს ჩვენ, ქართველებს, როგორც ეს შენი პატარა სკოლა... შენი სკოლა მიტომ არის ჩვენთვის საყვარელი, რომ ძველი ქვაკუთხედი არა აქვს ამოგდებული და სახელოვანს საფუძველზე დგას“.

თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ილია ჭავჭავაძე სკოლას, იმითაც დასტურდება, რომ იგი, სკოლის გახსნიდან 3 წლის შემდეგ, კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს და 1886 წ. „ივერიის“ 141-ე ნომერში წერილი გამოაქვეყნა, რომელშიც მოითხოვდა, რომ სკოლისათვის საზოგადოებას და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დახმარება აღმოეჩინათ.

მაგრამ ილია რა ილია იქნებოდა, რომ მარტო წერილით დაკმაყოფილებულიყო. 1890 წლიდან სკოლას ბანკიდან 5 000 მანეთი დაუნიშნა, აქედან 1 000 მანეთი — 10 მოწაფის შესანახავად. რასაკვირველია, ეს დიდი დახმარება იყო.

წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლა მაგალითად იქცა მაშინდელი სახალხო სკოლებისა. ი. გოგებაშვილი აცხადებდა, რომ მხოლოდ წინამძღვრიანთკარის სკოლა არის ნამდვილი სკოლა, რომელიც ნამდვილ ცოდნას აძლევს ახალგაზრდობას. 1886 წელს კი ამ სკოლის პირველი გამოშვების შემდეგ, ნ. ნიკოლაძის თაოსნობით ქუთაისში დაარსდა ფერმის სკოლა, რომელიც ამავე მიზნებს ისახავდა.

სკოლის 30 წლის თავზე (1913 წელს) სკოლაში 153 მოწაფე სწავლობდა. მათ შორის დუშეთის მაზრიდან — 117 მოწაფე იყო, გორის მაზრიდან — 12, თბილისის მაზრიდან —3, თიანეთის მაზრიდან — 9, სიღნაღის მაზრიდან — 2, ქუთაისის მაზრიდან — 3, ოზურგეთის მაზრიდან — 8. ოცდაათი წლის განმავლობაში სკოლაში 623 მოწაფე სწავლობდა.

ილია წინამძღვრიშვილმა შეძლო პირველი მასწავლებლები ისეთნი შეეკრიბა, რომელთაც კარგად იცოდნენ სად მიდიოდნენ და რატომ მიდიოდნენ, იცოდნენ, რომ გაჭირვება და დაბრკოლება ბევრი დახვდებოდათ წინ, მაგრამ არ შეშინდ-

ნენ და საქმეს მხნედ შეუდგნენ. ეს მასწავლებლები ეროვნული ერმილე ნაკაშიძე, შესანიშნავი ადამიანი და მოქალაქე, ბ. ... მიშვილი, ევგ. კანდელაკი, გ. ტყემალაძე, თაბუსიძე და სხვანი.

პირველი გამოშვებიდან (1886 წ.) სამი მოწაფე ილია წინამძღვრიშვილის ხარჯით იალტაში ნიკიტსკის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში გაიგზავნა სასწავლებლად. შემდეგშიც ამ სკოლის ბევრმა კურსდამთავრებულმა სწავლა იალტის სკოლაში განაგრძო და მეოცე საუკუნის დასაწყისში აგრონომიული ცოდნის დიდ პროპაგანდისტებად იქცნენ. ასეთები იყვნენ: ს. ხუნდაძე, დ. გორთომაშვილი, თ. მეგრელიშვილი, გ. ნახუცრიშვილი, კ. ქარცივაძე, აპ. წულაძე, ა. შარაშიძე, მიხეილ მამულაშვილი და სხვა მრავალი.

პირველმა მივლენილებმა გამოცდები ბრწყინვალედ ჩააბარეს, მათ შორის რუსული ენაც. სწორედ ამან აღაფრთოვანა გოგებაშვილი, იგი ხომ ამტკიცებდა, რომ რუსული ენა მშობლიური ენის დახმარებით უნდა ისწავლებოდესო.

დღის დატვირთვა ჰარმონიულად იყო განაწილებული პრაქტიკულ შრომასა და სწავლებას შორის: რასაკვირველია, ზამთრისა და ზაფხულის დღეების განრიგი, მუშაობის მიხედვით, ურთიერთისაგან განსხვავდებოდა.

თვითონ ილია წინამძღვრიშვილი განათლებით აგრონომი არ ყოფილა, მაგრამ ეს დაუღალავი ადამიანი დღედაღამ შრომობდა, სამსახურის შემდეგ, ძილის ხარჯზე გამონახავდა ხოლმე დროს და სწავლობდა სოფლის მეურნეობას. სწავლობდა ერთგულად, ენერგიულად. ამის დამადასტურებელი ის არის, რომ მან პირველმა დაწერა და 1889 წელს გამოსცა პირველი ქართული აგრონომიული სახელმძღვანელო „ვაზის მოშენება“; 1919 წელს კი — „საუბარი მიწათმოქმედების შესახებ“. რა ხარვეზიც არ უნდა ჰქონდეს ამ წიგნებს, ისინი, განსაკუთრებით პირველი მაინც, საწყისია ჩვენი აგრონომიული თანამედროვე ლიტერატურისა, ძეგლია იმისი, თუ რა შეუძლია ადამიანს, რომელსაც უყვარს თავისი ხალხი და თავისი სამშობლო.

ილია წინამძღვრიშვილი დაიბადა დუშეთის მაზრის სოფელ წინამძღვრიანთკარში 1826 წლის 3 მაისს. წერა-კითხვა სახლში, სოფელში უსწავლია და უკვე ჭაბუკობის დროს შეუყვანიათ

(1842 წელს) პირველ გიმნაზიაში, რომელიც 1856 წელს დაამთავრა. ხელმოკლეობის გამო უმაღლეს სასწავლებელში ვერ წავიდა და თბილისში დაიწყო სამსახური. ბოლოს ნოტარიუსად მუშაობდა. ცოლი შეირთო, მაგრამ მალე დაქვრივდა, შემდეგში ცოლშვილს აღარ მოჰკიდებია. მთელი თავისი ახალგაზრდობა, სიცოცხლე და გულში დანთებული დიდი სიყვარული წინამძღვრიანთ სკოლას შეალია. რასაც შოულობდა, ამ სკოლას ანდომებდა, ყოველ კვირა ადიოდა თბილისიდან და შაბათ-კვირა თავის აღზრდილებთან რჩებოდა.

ილია წინამძღვრიშვილის ადამიანობის, მისი სისპეტაკის დამადასტურებლად მოვიყვანოთ საქართველოს დამსახურებული აგრონომის რევაზ გედევანიშვილის მოგონება წინამძღვრიშვილის შესახებ. თურმე რ. გედევანიშვილი და ილია 1912 წელს სადგურზე მიდიოდნენ წინამძღვრიანთკარში გასამგზავრებლად. ილია ტრამვაიში არ ჩაჯდა, რევაზს შაური გამოართვა და 4 რვეული იყიდა ბავშვებისათვის.

ელისაბედ ოქროპირიძის მოგონებაში აღნიშნულია:

„თავის თავზე ნაკლებ ზრუნავდა. ერთხელ შევნიშნე ძველი პალტო ეცვა. ყმაწვილო, რა გაგიჭირდა ასე, ერთი პალტოს ყიდვა, — უთქვამს მანდილოსანს.

— ამდენი ფული რომ პალტოში გავიმეტო, ჩემს შვილებს რაღა ეშველებათო, — უპასუხია ილიას“ („ცოდნის კარი, არაგვის ხეობაზე“).

ამიტომ იყო, რომ ბავშვებიც მოუთმენლად ელოდნენ სკოლაში ილიას ჩასვლას. ისინი სიხარულითა და ჟივილ-ხივილით ხვდებოდნენ თავის საყვარელ კეთილმოსურნეს, ეხვეოდნენ, კოცნიდნენ (რ. გედევანიშვილი).

ილიას არ შეუნელებია სკოლისთვის ზრუნვა და ამ სკოლის 30 წლისთავის იუბილეზე, რომელიც დიდი ზეიმით აღნიშნეს, სკოლის დირექტორმა (წინათ ამ სკოლის მოწაფემ) სვ. ხუნდაძემ ილიას ღვაწლი შემდეგი სიტყვით გამოხატა:

„ბატონი ილია, ისე როგორც ამ 30 წლის წინათ, დღესაც თავს ევლება ამ სკოლას და დღემდე მის კეთილდღეობაზე ზრუნავს. საკვირველი და გასაოცარია ამ დიდებული კაცის ბუნება. 30 წელიწადი ასეთი მძიმე ტვირთი ატარა და არ დაიღალა, განა ჩვენში მსგავსი რამ ვინმეს გაგიგონიათ! მახსოვს,

ამ 28 წლის წინათ, სწორედ 4 სექტემბერს, ამ სკოლაში მიმაბარეს, ილია თავს ევლებოდა სკოლას. მასწავლებლებს და ბავშვებს შრომას ასწავლიდა, სიხარულს და უნარს ანიჭებდა და ყველას, ვინც გარშემო ეხვია და დღეს როცა შევადარე 1883 წლის 4 სექტემბერი 1913 წელს ჭეშმარიტად გაკვირვებული დავრჩი: ის დღესაც უკლები ენერგიით და რწმენით აკეთებს სკოლის საქმეებს. 30 წლის წინათ აქ მარტო ცარიელი მინდორი იყო და დღეს აქაურობა ქალაქსა ჰგავს, მრავალი საჭირო შენობით და ვეებერთელა ბაღით შემკული. ყოველივე ეს ერთი კაცის მადლიანი უნარით არის შექმნილი".

რა ძალა იყო ის ძალა, რომელმაც ილიას შეაძლებინა ეს დიდი საქმე? ეს იყო თავისი ხალხისა და თავისი მამულის უანგარო სიყვარული, რომელიც მისსა და მისი მეგობრების გულში ჩაუქრობელ სანთლად ენთო. რასაკვირველია, ილია მარტო არ იყო. ნათქვამია: კაცი კაცითაო და მეცხრამეტე საუკუნის ჩვენი დიდი მოღვაწენი (ილია ჭავჭავაძის მეთაურობით) მხარდაჭერას არ აკლებდნენ. ესენი იყვნენ ი. გოგებაშვილი, ნ. ნიკოლაძე, ნ. ცხვედაძე, ლ. ბოცვაძე, შ. ჩიტაძე და მრავალი სხვა.

ი. წინამძღვრიშვილი მაშინდელი ცხოვრების ორომტრიალშიც იყო ჩაბმული, მრავალ საკითხს ეხმაურებოდა. ოთხმოციანი წლებიდან სისტემატურად იღებდა მონაწილეობას პრესაში (წერდა წერილებს, უმთავრესად სოფლის მეურნეობის საკითხებზე, სწავლა-აღზრდაზე და სხვ.), მაგრამ რაც სკოლის დაარსებით გააკეთა, ერთი კაცისთვის ისიც საკმარისია. სკოლის შექმნა მხოლოდ წინამძღვრიშვილის დიდი ენერგიისა და სიყვარულის შედეგი იყო. ადრე დაქვრივებულმა, უშვილომ მთელი სიყვარული თავის მოწაფეებზე გადაიტანა. და ეს სიყვარული მან სკოლას სიკვდილამდე არ მოაკლო. იგი გარდაიცვალა 1920 წლის 2 სექტემბერს, ღრმად მოხუცი, 84 წლისა. ი. წინამძღვრიშვილმა ანდერძად დატოვა, წინამძღვრიანთკარში დამასაფლავეთო. ანდერძი შეუსრულეს. წავიდა და აქ დატოვა თავისი სახელი, თან წაიღო

მეორე სახელი შარავანდედით მოსილი. ნათქვამია, აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესო, მაგრამ ეს ნათელი ... აქაც დაადგა, იმდენი კარგი და საშვილიშვილო საქმე გააკეთა.

1963 წ.

გიორგი ნიკოლაძე

ცხოვრების დიდი გზა გავიარე და ამ გრძელ გზაზე ისეთი სრულყოფილი და ყოველმხრივ დამშვენებული კაცი, როგორიც გიორგი ნიკოლაძე იყო, არ შემხვედრია.

იშვიათი მოყვანილობისა და ახოვნებისა იყო, მაღალი, ბეჭგანიერი, მკერდღრმა, კუნთმაგარი, პირკეთილღიმილიანი, მიუხედავად ამ ახოვნებისა ყოველთვის მიკვირდა სად ეტეოდა ამ ადამიანში ის დიდი და დაუსრულებელი სიყვარული თავისი ქვეყნისა და ერისა, რომელიც მასში ასე ძლიერად ყვაოდა. ამ სიყვარულზე არასოდეს თვითონ ხმას არ ამოიღებდა, მხოლოდ მუშაობდა, სხვასაც მაგალითს აძლევდა და ამუშავებდა. უსაქმოდ არასდროს მინახავს. სახლში მივიდოდა მუშაობდა, კარში მუშაობდა. შინ ორი თუ სამი სამუშაო მაგიდა ედგა, ერთზე მათემატიკური და გეომეტრიული ნახაზების ხროვა იდგა, მეორეზე მეტალურგიული ჟურნალები, წიგნები, ღუმელის მოდელები, მესამე ჩვენი იყო, მთამსვლელებისა და მოგზაურების. ფოტოაპარატები, ფოტო-სურათები, წრიაპები, წერაყინის ნიმუშების ნახაზები, დღიურები და ასეთნი ერთმანეთს სცვლიდა: — მიდი, გაშინჯე და შენი აზრი მითხარი. — მეტყოდა და უხმოდ განაგრძობდა მუშაობას.

მე არც წმინდა სპორტსმენებს ვეკუთნოდი მთლიანად და არც მთამსვლელებს, მათ ერთგვარ დამაკავშირებლად მივაჩნდი და ამიტომაც ყოველთვის დიდი ყურადღებითა და ჩვეული სიყვარულით მეკიდებოდა.

ჩვეულებრივ ცხოვრებაში კეთილი, სათუთი, ნაზი (დიახ! ნაზი ეს დევივით კაცი), საქმეში გაუტეხელი, ვერავითარი სიძნელე ვერ მოდრეკდა, თუ საჭირო იყო საკმარისად მკაცრიც.

მხოლოდ ამ გაუტეხელმა ნებისყოფამ დააძლევინა იალბუზის ექსპედიციას ის სიძნელენი, რომელიც მას წინ გადაეღობა. თერთმეტის თავშესაფარში რომ ავედით, ამოვარდა ქარი და ქარაშოტი, დაჭრილ მხეცივით ბღაოდნენ კლდეები, რუსეთის ალპური კლუბის წევრები, ცნობილი ნაცადი ალპინისტის ფროლოვის მეთაურობით გამოგვემშვიდობნენ და დაეშვნენ ძირს, მეტი ვერ გაძლეს. გიორგიმ კი ჭადრაკში შეჯიბრება გამოაცხადა: გამარჯვებულს მწვერვალზე ვეთამაშებიო. ყველა ჩაება შეჯიბრებაში, გიორგისთან მწვერვალზე თამაშის ბედნიერება ამჟამად აკადემიკოს ლევან ყანჩაველს ერგო. ამ შეჯიბრით გიორგიმ ის თქვა, რომ აქედან სანამ მწვერვალზე არ ავალთ, ფეხს არ მოვიცვლითო.

დღეს ადვილია ლაპარაკი, როდესაც თანამედროვე ალპინისტის განკარგულებაშია კარგი კარავი, საძილე ტომარა, შესანიშნავი სპეციალური სურსათი, სათანადო შეიარაღება, მაგრამ ამ ორმოცდა სამი წლის წინათ, როდესაც ალპური საძილე ტომრის ნაცვლად ნაბდისძველა გვქონდა, ალპური ფეხსაცმელის ნაცვლად ბალახჩაგებული ბანდული. საზრდო? იალბუზის ძირას მდებარე პატარა სოფელში ძლივს ვშოულობდით ნაცარში ნახევრადგამომცხვარ ხმიადებს და მორიგეობით აგვქონდა თერთმეტის თავშესაფრამდე.

სიმტკიცემ თავისი გაიტანა და გიორგი მწვერვალზე ეთამაშა იალბუზის ჭადრაკის ჩემპიონს. ეს იყო ამავე დროს პირველი მასიური ასვლა. 1924 წელს საჩხერიდან ერწოში მივდიოდით, ერწოდან ჩრდილოეთ კავკასიაში უნდა გადავსულიყავით. ეს მგზავრობა გიორგიმ იალბუზზე ასვლის მოსამზადებელ მგზავრობად დასახა.

მოვიარეთ არდონის ხეობა, გადმოვლახეთ ჩანჩახი-მამისონი, ჩავიარეთ შოვი, უწერა, ონი, ამბროლაური, ხარისთვალა და ნაქერალით ჩავედით სოფ. ჭოლევში.

ჭოლევში ცხოვრობდა გიორგის მამიდა, ცნობილი საზოგადო მოღვაწის ალექსი ჭიჭინაძის მეუღლე, სახელმოხვეჭილ ბესიკ ჭიჭინაძის დედა. იმჟამად მამიდა და მამიდაშვილები ქალაქში იყვნენ. დატრიალდა ხალხი. გაიშალა მადლიანი იმერული სუფრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თამადად შენ დაგნიშნავთ, იცოდე, — მეუბნებოდა ორგი.

— მერე და ჩვენ ხომ ღვინოს დალევის უფლება არა გვაქვს. (საქმე ისაა, რომ, როდესაც ჩვენი ჯგუფი მთაში მიდიოდა, არავითარ შემთხვევაში არც ერთი ჩვენგანი სასმელს არ უნდა მიჰკარებოდა).

— სწორედ მაგიტომ უნდა იყო შენ. არც შენ დალიო, არც ჩვენთაგანს ვისმე დაალევინო.

— გიორგი გავბრუნდები უკან, ფეხშველა ვივლი, იმავე გზით თბილისში ჩავალ, მხოლოდ მაგას ნუ დამავალებ.

— შენ დოქით წყალი მოიდგი, ბიჭებსაც იქიდან დაუსხი და იქეიფე.

თან კვდება სიცილით, მაგრამ ვიცი რომ სიტყვას აღარ გატეხავს.

ენად გავიკრიფე, მაშ რით დავფარო, რომ ღვინოს არ ვსვამ. სანამ ჭიქა იყო კიდევ ჰო, მაგრამ ყანწებზე რომ მიდგა, აბა მაშინ გაჭირდა საქმე, მაგრამ დავალება, დავალება იყო.

იმან კი მიშველა, რომ გიორგიმ ცალცალკე სტუმრებსაც გაანდო ჩვენი ამბავი.

გაიმართა ლხინი, თურმე გული თუ ხარობს იქ ღვინო საჭირო არაა..

სუფრის შემდეგ მთელი საღამო გიორგი კვდებოდა სიცილით და წყალწყალა თამადას მეძახდა.

— ისეთი „გულქვა“ გაფრენის თავი რომ გეყოლება, წყლად ქცევის მეტი რა დამრჩენია. „გასტეხს ქვასაცა მაგარსა“, ხომ იცი? ნიშანს ვუგებდი.

რასაკვირველია, აქაც, რომ წესი არ გავტეხეთ, გიორგის ნებისყოფის ბრალია.

ბევრი, ბევრი კარგი მახსოვს და თუ გახსოვს, გიორგის კარგის მეტი არაფერი გეხსომება.

იგი იყო ნამდვილი კაცური კაცი, მოსიყვარულე და ერთგული თავისი ქვეყნისა და ერის.

1968 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებისყოფით და სიყვარულით სავსე გული

საბჭოთა ალპინიზმს, მთამსვლელობას, როგორც ძველად ვუწოდებდით, საძირკველი ჩვენმა უნივერსიტეტმა ჩაუყარა. ამ საქმის მოთავე იყო სახელოვანი მეცნიერი, პროფესორი გიორგი ნიკოლაძე. მისი მეთაურობით და ხელმძღვანელობით 1923 წლის 28 აგვისტოს 18 ქართველი ახალგაზრდა ავიდა მყინვარის მწვერვალზე და ამით დაიწყო საბჭოთა ალპინიზმის შესანიშნავი და წარმტაცი ისტორია.

როდესაც გიორგი ნიკოლაძის ჯგუფი მწვერვალიდან ბრუნდებოდა, გზად შემოეყარა მწვერვალისაკენ მიმავალი მეორე ჯგუფი, პროფესორ ა. დიდებულიძის ხელმძღვანელობით. ეს ჯგუფიც წარმატებით ავიდა.

ორივე ეს ასვლა შესანიშნავი იყო. ჯერ ერთი იმით, რომ დადასტურდა: ალპინიზმი მარტო რჩეულთა სპორტი კი არ არის, არამედ იგი შეიძლება იყოს მასობრივიც. ორივე ეს ასვლა იყო პირველი მასობრივი ასვლა არა მარტო ჩვენში, არამედ მსოფლიოშიც, მეორე, ასეთ ასვლებში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ ქალებმაც. გ. ნიკოლაძის ჯგუფში ხომ 5 სტუდენტი ქალიც იყო — ლ. ჩხეიძე, ელ. ლორთქიფანიძე, მ. ბეჟანიშვილი, მ. ტყავაძე და ას. ნიკოლაიშვილი. ეს ორი უკანასკნელი 40 წლის შემდეგ, მართალია, მყინვარივით თავშეთეთრებულნი, მაგრამ გულით კვლავინდებურად მაგარნი ისევ მოექცნენ მყინვარწვერზე. სხვათა შორის, ესეც თავისებური რეკორდია. ა. დიდებულიძის ჯგუფში კი პირველად მიიღო მონაწილეობა ჩვენმა უებრო მთამსვლელმა ქალმა ალ. ჯაფარიძემ.

და. აი, დღეს, საბჭოთა ალპინიზმის ორმოცი წლისთავზე, არ შეიძლება პირველ რიგში არ მოვიგონოთ ჩვენი შესანიშნავი მეცნიერი, სპორტსმენი, მეტალურგი, მათემატიკოსი, დიდი საზოგადო მოღვაწე პროფესორი გიორგი ნიკოლაძე. ეს იყო ადამიანი, რომელსაც მკერდში დიდი სიყვარულით სავსე გული უფეთქავდა და დიდი და მდიდარი სულიერი სამყაროს მფლობელი იყო, მას უყვარდა თავისი ხალხი, ჩვენი ახალგაზრდობა, და ამ ახალგაზრდობისათვის არ იშურებდა

არაფერს, მთელ თავის სიცოცხლეს, ენერგიას, ცოდნას მათ ანდომებდა. როდესაც მას ახალგაზრდებთან მოსაუბრეს ეხი-დავდი, ასე მეგონა, იგი სიყვარულით სავსე თასი ... დანაც ეს სიყვარული უნაწილდებოდა ყველას და თასი კი არ იცლებოდა. მისი სიცილი, მისი ღიმილი, რაღაც უცნაური, დაუსრულებელი კეთილშობილებით იყო სავსე და ეს კეთილშობილება უშუალოდ გადადიოდა მათზე, ვინც მასთან იყო, მასთან ტრიალებდა.

„მოდი, დარბაზში იატაკი დავაგოთ“... თქვა ერთხელ ახალგაზრდობის ჯგუფში. „დავაგოთ“... და დაიწყო უნივერსიტეტის ეზოდან ზურგით ჯერ ფიცრების ზიდვა, შემდეგ — მიწისა (თვითონ ყოველთვის წინ მიდიოდა) და ორ კვირაში დავაგეთ იატაკი იმ დარბაზში, რომელიც ახლა უნივერსიტეტის საქტო დარბაზია.

1923 წელს ამ დარბაზში გადაწყდა მყინვარწვერზე ასვლა. მთელ ზაფხულს კი მომავალი მონაწილენი გიორგის ექსკურსიებზე დაჰყავდა, რათა მუხლი და გული გაემაგრებინათ.

იმ დროს სად იყო ასეთი დიდი მზრუნველობა სპორტის ამ სახეობისადმი. ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფო პირველი მსოფლიო ომის წყლულებს იშუშებდა. ამიტომ მოწყობილობის შეძენა თუ სხვა ხარჯები თვით მონაწილეებზე და, პირველ რიგში გ. ნიკოლაძის კისერზე გადადიოდა. ვაწყობდით ფასიან ლექციებს, მხატვრულ საღამოებს და ამგვარად აღებულ ფულს ვუმატებდით ჩვენს დანაზოგს. ერთ-ერთი მოგზაურობის დროს, ჩრდილოეთ ოსეთიდან რაჭაში რომ გადმოვედით, ფული შემოგვაკლდა. გადაწყდა, რომ ონში გ. ნიკოლაძე ლექციას წაიკითხავდა აინშტაინის თეორიის შესახებ. ასეც მოვიქეცით. ხალხი ბევრი მოვიდა. ჯერ ერთი, პროფესორის გამოჩენა იმ დროს ჯერ კიდევ იშვიათი რამ იყო, მეორეც ნიკო ნიკოლაძის შვილის ნახვა ბევრს უნდოდა. ბევრს კი აინშტაინი შტეინახი ეგონა (მაშინ გაახალგაზრდავების შესახებ შტეინახის ცდები ახალი ამბავი იყო).

ასე იყო თუ ისე, ლექცია ჩატარდა, ცოტაოდენი თანხაც დაგვრჩა და მეორე დღეს მხიარული საუბრით გამოვწიეთ ტყიბულისაკენ, გამოვიარეთ ამბროლაური, ნიკორწმინდა და ქუთაისში ნაქერალათი ჩამოვედით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ნიკოლაძე არასოდეს გამოცალკევდებოდა სხვებისაგან. იგი თანატოლი იყო ექსპედიციის ყველა წევრისა, რაც უნდა მათზე უმცროსნი ყოფილიყვნენ.

ზოგჯერ ხალხს არც კი სჯეროდა, რომ ასეთი უბრალო კაცი ნიკო ნიკოლაძის შვილი იყო. ნიკოს შვილი მოკლე შარვლით არ ივლისო, — აგვიხირდა ერთი საჩხერელი.

1924 წელს გიორგიმ რამდენიმე კაცს გაგვანდო: „მომავალ წელს იალბუზი დავლაშქროთ, წელს კი მოვემზადოთ ამ იერიშისათვისო“ — და გაგვაცნო მიმდინარე წლის გეგმა: „საჩხერემდე მატარებლით ავიდეთ, იქიდან ყვირილის სათავეს — ერწოს ტბას ვეწვიოთ, ხოლო ერწოდან დიდი ლიახვის სათავეში გადავიდეთ, გადავლახოთ კავკასიონი ზეკარით, ჩავიდეთ არდონის ხეობაში, მოვინახულოთ სადონის მიდამოები, წეიას მყინვარი, ჭანჭახის (მამისონის) ზეკარით გადმოვიდეთ რაჭაში და რაჭის მოვლის შემდეგ — ქუთაისშიო“.

შესანიშნავი გეგმა იყო, ისიც თქვა, იალბუზის ამბავს ჯერ ნუ გავახმაურებთო. დავიწყეთ სამზადისი, მოვაგროვეთ ცოტაოდენი ფული (მოხსენებების, მხატვრული საღამოების მეოხებით) და უკვე ივლისში 23 ახალგაზრდა გიორგის მეთაურობით დასახულ გზას შეუდგა. საჩხერის შემდეგ, სოფ. ჭალაში, გიორგი ავად გახდა, სიცხე 39°-ზე მეტი ჰქონდა. „ერთი დღე დავიცადოთ, ზეგ დილით, თუ შევძელ, მეც წამოვალ, თუ არა თქვენ წახვალთ, მე დავბრუნდები“, გადაწყვიტა.

დილით წამოდგა და, მეც მოვდივარო განაცხადა, ვხედავთ კი, რომ სიცხე მაღალი აქვს, თვალები ჩაცვენილი... წავედით, გიორგი ნელი ნაბიჯით მოდის. ძალიან ჩამორჩა. დავუცადე, ბარგს შევუმსუბუქებ-მეთქი. თან მეშინია, აბგა არ გადმომცეს. ვიცი, თუ აბგა მომაწოდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მძიმედაა ავად. აბგა გამომიწოდა. ერიჰაა! შემომხედა. ალბათ ამოიკითხა ჩემი გულის ნადები, თითქოს გაიღიმა და მითხრა: „ხვალ კარგად ვიქნებიო“. მართლაც მეორე დღეს თავის ზურგჩანთა არავის დაგვანება. თუმცა სიცხე კიდევ ჰქონდა. მჟავე წყალზე ღამე ვათიეთ და სოფ. წონაში კვლავ გიორგის მხიარული სიცილი ისმოდა.

მეორე წელს იალბუზის დასალაშქრავად თერთმეტის თავშესაფარში ერთად შევიყარენით — კისლოვოდსკის ალპინის-

ტები — ცნობილი მთამსვლელის ფლოროვის მეთაურობით და ჩვენები — გიორგის მეთაურობით. იერიში ერთად დაგვიწყეთ, მაგრამ პასტუხოვის ნაბინავარს ძლივს მივაღწიეთ, ატყდა საშინელი ქარიშხალი. ფეხზე ძლივს ვიდექით. პირი ვიბრუნეთ, ჩამოვედით კვლავ 11-ის თავშესაფარში. მთელი ღამე ქარი გუგუნებდა, გათენდა, ამინდი ისევ ბობოქრობდა.

ამ პირობებში ფლოროვის ჯგუფმა უარი თქვა მწვერვალის იერიშზე. გ. ნიკოლაძე კი გადაწყვეტილებაზე მტკიცედ დარჩა.

... ბანდულები დაიგლიჯა, ძველი ნაბდები სიცივეს ვერ იჭერს. მაშინ წარმოდგენაც კი არ გვქონდა საძილე ტომრებზე, ალპურ ფეხსაცმელზე. საზრდოდ ნაკვერჩხალზე გამომცხვარი მჭადი გვქონდა და ბაქსანური ყველი. დრო რომ ადვილად გასულიყო, გამოცხადდა ჭადრაკის ჩემპიონატი. „ჩემპიონს იალბუზზე მე ვეთამაშებიო“, დანიშნა ჯილდო გიორგიმ.

ამანაც ხალისი შეიტანა. არ ჩადგა ქარი და არა. მაგრამ აი, 12 აგვისტო რომ თენდებოდა, ქარმა იკლო, გათენებისას, ექვსის ნახევარზე დაიწყო იერიში და 12 საათსა და 15 წუთზე უკვე მწვერვალი დაპყრობილი იყო. ქარი კვლავ ამოვარდა და ჭადრაკის ჩემპიონატში გამარჯვებულს (ლ. ყანჩაველს) გიორგი ვეღარ ეთამაშა. სიმბოლურად კი ეს თამაში ჩატარდა. ფიგურები კალთამოფარებულში გააწყვეს. იალბუზზეც 18 ავიდა, მათ შორის 5 ქალი — მყინვარწვერის გმირი.

ეს ასვლაც მხოლოდ გ. ნიკოლაძის ნებისყოფის შედეგია. მტკიცედ დადასტურდა, რომ ჩაეყარა საფუძველი საბჭოთა ალპინიზმს. და ეს საფუძველი სწორედ საბჭოურ ალპინიზმს ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორმა - გ. ნიკოლაძემ და მისმა ახალგაზრდა მეგობრების ჯგუფმა ჩაუყარა.

1963 წ.

ჩვენი სიამაყე

1917 წელს გუდამაყრისა და ფშავის გადმოვლით ჩამოვიარე ახმეტა და ერთ მშვენიერ დღეს საქართველოს პატარა, მაგრამ ულამაზეს ქალაქში, თელავში აღმოვჩნდი. რევოლუციის პირველი თვეები იყო.

მაშინ პირველად ვნახე ჩვენი მთა. მადლიანი კახეთი და, საერთოდ, ჩვენი ქვეყანა ასე ახლოს. მოჯადოებული ვიყავი ჩვენი ქვეყნის სილამაზით, სიყვარულით, ხალხის ხიბლით და, როგორც 43 წლის წინანდელ ჩემს ასაკს შეეფერებოდა, რომანტიკულადაც განწყობილი. თელავში სკოლის ამხანაგები ვნახე. ვანო ბიწკინაშვილმა, ამ უდროოდ დაღუპულმა იშვიათი ხმის პატრონმა, მითხრა „წავიდეთ, მხატვარი ქალის ნამუშევართა გამოფენა არის და ვნახოთო“.

გამეხარდა, „აი, ჯერ თავისუფლება არც კი გვაქვს და ქალებიც კი გამოფენას აწყობენ“, ვთქვი აღტაცებულმა. ორ პატარა ოთახში იყო გამოფენა, ყველა სურათი მომწონდა, მომწონდა იმისათვის, რომ, ჯერ ერთი, ეს იყო პირველი გამოფენა ქართველი ქალის ნაწარმოებებისა და, მეორეც იმიტომ, რომ ყოველ სურათში ფეთქავდა სიახლე, სიჭაბუკე, მზე, ჩვენი ქვეყანა.

„აქ რომ იყვეს გადავკოცნიდი“ — წამოვიძახე აღტაცებულმა. ვანოს გაეღიმა და გვერდით მიიხედა, „აი, ეს არისო“... იქვე, ჩვენს გვერდით იდგა ახალგაზრდა, წარბაწეული და ცოტა კოპებშეკრული, მაგრამ პირზე ოდნავ ღიმილიანი ქალი... მე მხოლოდ ხელი გავუწოდე და, ვგონებ, გავწითლდი კიდეც. ვიცოდი, რომ მხატვარი ახალგაზრდა იყო, მაგრამ არ მეგონა თუ ასეთი ახალგაზრდა იქნებოდა.

და აი, უკვე 43 წელია ვიცნობ ელენე ახვლედიანს, როგორც მხატვარს, ჩვენი ქვეყნის დიდ მომღერალს, მასზე თავდავიწყებით შეყვარებულს. ვის, თუ არა დიდ მომღერალს, ბუნების დიდ მგოსანს შეუძლიან ასე აამეტყველოს ჩვენი მთა და ბარი? ბევრს შრომობს, ბევრს ხატავს და ყოველთვის ახლებურად ჟღერს მისი ყოველი ნაწარმოები, მისი „იმერეთი“, „ციხის ჯვარი“, „კახეთი“, „გუდამაყარი“... აქ მარტო ფერების სიმფონია კი არ არის, არამედ ლაპარაკობენ ჩვენი მთები, გორაკები, ბაღ-ვენახები, ტყე და მდელო, ხალხი ბევრგან არ ჩანს, მაგრამ სურათიდან გესაუბრება ქართველი ხალხი თავის საქმიანობით: ჰესებით, ქარხნებით, ბაღ-ვენახით, პლანტაციებით, თავისი გმირული, ჭირნახული, მაგრამ დიდებული წარსულით, სისხლშემხმარი ციხე-კოშკებით, ქალაქთა ნანგრე-

ვებით, მონუმენტური ტაძრებით, მთის წვერებიდან რომ ასე ამაყად გასცქერიან სამყაროს. გარკვევით გესაუბრებიან ხან აკაკის ცქრიალა და ფრთამალი ლექსით, ხან ილიას ... მდორედ, მაგრამ გზააუცდენლად მომდინარე ტკბილი ქართულით, ხან მთიდან მოხეთქილი, ზავთიანი ვაჟას მყივანი და ომახიანი ხმით.

უმზერ ელენეს ყალმით გამოცოცხლებულ ხმელ წიფელს (ხე, — 1948 წ.) და გკერა, რომ

> განა ყველა, რაც ხმელია,
> კაცისგან საწუნარია?
> ათას ცოცხალსა ბევრჯერა,
> ათჯერ სჯობს ერთი მკვდარია.

რამდენჯერ აგვივლია წყნეთის გზაზე, მაგრამ განა ოდესმე დაგვინახავს ის სიღრმე, ის უჩვეულო შინაგანი სილამაზე, რომლითაც აჟღერებულია დიდი ტილო; „წყნეთის მიდამოები“? (1959). მაგრამ განა მარტო ეს „იმერეთი“ (1959—1960), „გომბორის გზაზე“ (1957), „ციხისჯვარი“ (1953), „ფასანაურის მიდამო“ (1960) და მრავალი და მრავალი სხვა. ასეთი დიდი შემოქმედებითი გზა შეეძლო გაევლო ადამიანს, რომლის გული აჟღერებულია თავისი ქვეყნის უსპეტაკესი, უღრმესი და უდიდესი სიყვარულით, რომელსაც სურს ეს მხარე, ეს ქვეყანა შეიყვაროს სხვამაც. იგი აღწევს ამას, რადგან ყოველი მისი სურათიდან, გარდა ქართული ტკბილი სიტყვისა, ისმის ქართული სიმღერაც, ხან კრიმანჭული, მთის წყაროსავით მოჩუხჩუხე, ხან კახური მრავალჟამიერი, ალაზანივით ზავთიანი და დინჯი, ხან ენგურივით მჭექარე სვანური ლილე. და ვინც ნახავს ამ მადლიანი შემოქმედების ნაყოფს, უეჭველად შეუყვარდება ის მხარე, რომელსაც ეს დიდი მგოსანი უმღერის.

სწორედ ამიტომაცაა იგი საყვარელი ჩვენთვის.

მერე როგორც ოსტატი? იგი ხომ შეუდარებელია. აიღეთ მისი პეიზაჟები, სადაც ცის ნატამალი სრულიად არ არის, მაგრამ რამდენი სივრცეა, რამდენი ჰაერი, დაუსრულებელი თავისუფლება. (წყნეთის მიდამო, იმერეთი, გომბორის გზაზე,

ფასანაურის მიდამო). და ასე ხვავიანი, მრავალფეროვანი, დაუღალავი, მდიდარი განა ბევრია სადმე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ელენე მარადჟამს უჩვეულოდ ახალგაზრდა. ეს ველთვის სიახლის უნაზესი შეგრძნება ახასიათებს. ამის საუკეთესო მაგალითია სურათების სერია ჩეხოსლოვაკიის შესახებ, უკანასკნელი ნამუშევრები (უკანასკნელი თოვლი, გომბორი და სხვ.).

ვუმზერ ამ გამოფენას და უნებლიეთ მაგონდება ახალგაზრდა ელენეს ნამუშევრების პირველი გამოფენა, ამ 43 წლის წინათ რომ ვნახე. როგორ შორს წასულა მას შემდეგ და ამავე დროს რა ახლოა მასთან, რა თვალუწვდენ სიმაღლეზე ასულა, მაგრამ მას არ დასცილებია, ვუმზერ და მინდა დღეს, მართალია 43 წლის დაგვიანებით, მაგრამ გულიანად ვეამბორო მის თვალებს და ხელს, ასე მადლიანს, ასე მახლობელსა და მშობლიურს.

1960 წ.

როგორც მახსოვს

ია ბნელ ხევში მოსულსა,
დიდი ჭადარი ჰფარავდა,
ეწადა ბეჩავს სიცოცხლე,
წადილს აღარა მალავდა.

— იცი, ია ვინ არის?
— ვინა?
— საქართველოა!
— ჭადარი?
— ?!

გვიყვარდა ვაჟას ლექსები და ხშირი იყო ტოლებში, ჯერ კიდევ პირველ-მეორეკლასელ მოწაფეთა შორის ასეთი საუბარი.

ქართული გიმნაზიის მოწაფეთა შორის ვაჟა-ფშაველა,

ილიასა და აკაკისთან ერთად იხსენიებოდა. ჩვენი აღმზრდელები ლ. ბოცვაძე, პ. მირიანაშვილი ყოველთვის დიდი სიყვარულით ლაპარაკობდნენ ვაჟაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟას უფროსი შვილი ლევანი და ძმისწული პავლე (ბაჩანას ვაჟი) ჩვენს სკოლაში სწავლობდნენ, ლევანი უფროსი იყო, პავლე და მე კი ერთ კლასში ვიყავით. ვაჟა ქართულ გიმნაზიაში რამდენჯერმე მოვიდა. ელვასავით გავარდებოდა ხოლმე ხმა, ვაჟა აქ არისო.

ჩვენც შორიახლოდან ვუმზერდით მას, მხარბეჭიანს, დარბაისელს, შავჩოხა-ახალუხიანს, პირდაპირ და ჯიქურ მზერალს. მოწაფეობაში ზოგი გოგოთურს ადარებდა, ზოგი ალუდას, ზოგი მინდიას.

1912 წელს მე და ჩემი უმცროსი ძმა შაქრო შიო მღვიმელმა შეგვიკედლა. მასთან ვცხოვრობდით, მამას, რომელიც შიოს დიდი მეგობარი იყო, სოფლიდან ჩამოჰქონდა საზრდო, რაც ჩვენ შესანახად საჭირო იყო. შიოს მაშინ სამსახური არა ჰქონდა, შემთხვევითი სამუშაოთი გადიოდა იოლად, უფრო ხშირად კორექტურას აკეთებდა.

ერთ დღეს, სკოლიდან რომ დავბრუნდი, შევაღე ჩვენი პატარა ოთახის კარი და ქუჩისკენ მდებარე ოთახიდან ხმამაღლა ლაპარაკი შემომესმა. გავიხედე, — სუფრას სტუმრები უსხდნენ.

— ძმისწულო, მოდი აქ! — გამომძახა ძია შიომ.

გავედი... სუფრას უსხდნენ: შიო მღვიმელი, ვაჟა-ფშაველა, ივანე ბექურაული და ორი კიდევ სხვა. შევკრთი, ვაჟა ქართველი გიმნაზიელების საყვარელი პოეტი, დიდი ქართველი, პირისპირ შემხვდა. შეკრთომა გაძლიერდა, როცა მაგიდაზე დავინახე ჩემი რვეული, რომელსაც ლეიბის ქვეშ ვინახავდი ხოლმე. საქმე ის არის, რომ იმ დროს გადაწყვეტილი მქონდა დღეში ორი ლექსი დამეწერა და ვწერდი კიდეც. ახლა კი შიოს და ვაჟას უდევთ წინ. როგორ არ შევკრთებოდი?

— ეს არის მოლექსე? — ვაჟამ თავზე ხელი დამადო, — არა, ძმისწულო შენგან მოლექსე არ გამოვა. აგერ ამ ამბავს კი არა უშავს რა...

მე ფერ-ფური მიმდიოდა, აღარ ვიცოდი რა მექნა.

— აბა მოსვი ღვინო, ჩემი ძმის ნიკოს (მამაჩემი) სადღე-

გრძელო დავლიეთ და სამადლობელი შენზეა. კარგახანია არ მინახავს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე დავტაცე რვეულს ხელი, გამოვვარდი ჩემს ოთახში, მივხურე კარი, ნაკუწნაკუწად ვაქციე რვეული და დავიწყე მწარედ ტირილი. კარგა ხნის შემდეგ გამოვიდნენ, მამშვიდებდნენ და იცინოდნენ. დავიტირე ჩემი ლექსები. ამის შემდეგ ლექსი აღარ დამიწერია.

1913 წლის შემოდგომაზე ფიქრის გორაზე, ფურცელაძის სახლში ვცხოვრობდით. დედამ ორი თუ სამი ოთახი დაიქირავა, ყველა და-ძმა (შვიდი) ერთად ვიყავით.

სკოლიდან შინ რომ მოვედი, სასადილო ოთახში ვაჟა, შიო და მამაჩემი დამხვდნენ. შიომ შემომანათა თავისი ჟუჟუნა თვალები და მომხვია ხელები.

— ოო... მტირალა ვაჟკაცს ვახლავარ! — შემომაგება ვაჟამ. — შიომ მაჩვენა შენი ნაწერი „ნაკადულში". ეგრე სჯობს... (სწორედ იმ ხანებში „ნაკადულში" ჩემი პატარა მოთხრობები იბეჭდებოდა).

მე ალმური მედებოდა სირცხვილისაგან. ამ დროს შემოირბინეს უმცროსმა და-ძმამ და მიხსნეს. მე კიდევ კუთხეში მივჯექი და ვტკბებოდი ჩვენი ორი საყვარელი მწერლის მზერით.

მალე გაიშალა სუფრა. ერთი-ორი კაციც შემოგვემატა, და ქართულ სუფრას მეტი რა უნდოდა.

ცოტა ხნის შემდეგ ვაჟამ გადმოგვხედა ჩამწკრივებულ ბავშვებს და წამოდგა.

— ჩემო ძმაო, დამისხი ღვინო! — ცოტა გაჩუმდა, ჩაახველა. — ჩემო დაო, ჩემო რძალო, — მიმართა დედაჩემს, — დაზე უტკბესო, ჩვენო ქართველო დედაო, შენ და შენისთანები გვირგვინია ჩვენი ქვეყნისა. ჯარასავით რომ ტრიალებ და ამდენი ქართველი ქვეყნისათვის შეგიმატებია — ხელი გამოიშვირა ჩვენსკენ — იცოცხლე ქვეყნის სასახელოდ. დალია, დაჯდა. კარგა ხანს ხმა არ ამოუღია. მის თვალში დღემდე ცრემლი მახსოვს.

ცოტა ხნის შემდეგ შიომ წამოიწყო ჩვენი სადღეგრძელო და სადილი თავის კალაპოტში ჩადგა.

ამის შემდეგ მამაჩემმა და ვაჟამ თითქოს ხუმრობით, თით-

ქოს მართლა პირობა დადეს და ამით ერთხელ კიდევ გამა-
წითლეს.

„მემრის ჩარგალში ჩამოდი, შენი ბიჭებიც წამოიყვანე, ეს
გოგოები მყავს ბევრი, იქნებ ერთმანეთი მოუვიდეთ თვალში
და უფრო დავმოყვრდეთ. მეც ქართლში ხშირად გეწვევით,
ხან ჩემს ძმას თორტიზაში, ხან შენ ტყვიავში“.

— აბა, სიყრმისავ, — გამომძახა, — იქნებ „არწივი“ თქვა.
მე ხმა ვერ ამოვიღე, თვითონ წამოდგა და თქვა. ერუანტელმა
დამიარა, რადგან ვაჟას ნათქვამში არწივი კიდევ უფრო მკვეთ-
რად ჩანდა საქართველოდ.

1915 წლის ზაფხულში სოფელში გავიგე ვაჟას სიკვდი-
ლი. წავალ-მეთქი, ვუთხარი მამას.

— წადი, შვილო, შენ გასწიე ჩემი მაგივრობაც! — და ამო-
ოიხრა.

საღამოზე ჩავედი თბილისში, ქაშვეთის ეკლესიაში ესვენა,
პანაშვიდი იყო, ქაშვეთის წინამძღვარი კალისტრატე ცინცაძე
სწირავდა.

ხალხი ბევრი იყო, უფრო ბევრი ეზოში.

მეორე დღეს დიდუბეში წაასვენეს. ცხელოდა. ხალხი, მი-
უხედავად ამისა, მაინც ბლომად იყო... არ იყო ალიაქოთი,
აურზაური. ვაჟა დაასაფლავეს უხმოდ, ზედმეტი ზარ-ზეიმის
გაუმართავად, დაასაფლავეს ისე, როგორც შეეფერებოდა რა-
ინდს, რომელმაც დღენი სიცოცხლისა შრომასა და ბრძოლაში
დალია.

1961 წ.

წმინდა სიცოცხლე

ადამიანისათვის ყველაზე დიდი ღირსებაა სიცოცხლე ისე
განვლო, თქვან „კაცური კაცი იყოო...“

ასეთ ადამიანს სამშობლო ქვეყანა და ხალხი თვალისჩი-
ნად მიაჩნია. მათი ბედნიერება — დიდების საქმედ.

ქვეყნისა და ხალხის უკვდავებას სწორედ ასეთი ადამიანე-
ბი ქმნიან, მათ აქვთ უტეხი ნებისყოფა, ალალი გული, იციან
სამშობლო ქვეყნის სიყვარული.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ქართველი ალპინისტების სახელი დედამიწის ყოველ კუთხეში მჭექარედ გაისმის. იგი ისე ქუხს, როგორც შხარას მკერდიდან მოწყვეტილი ზვავი.

როდესაც ჰიმალაის მწვერვალის დამპყრობნი, ჩინელი მთამსვლელები, საქართველოში ჩამოვიდნენ, ერთხმად იკითხეს: ჯუმბერი სად არისო...

ჯუმბერ მეძმარიაშვილი თავმდაბალი, სულით მაღალი კაცი იყო... განზე დადგა. სტუმრებთან პირველი მისალმება სხვას დაუთმო. მხოლოდ როცა მისი სახელი მეორედ გაიგონა, მაშინ გამოჩნდა, გაეცნო სახელოვან ალპინისტებს... ასე იყო ყოველთვის, უტეხი ხასიათი, დიდი სიყვარული, მეგობრობა, თავმდაბლობა — აი, რა დიდი სიმშვენიერით იყვნენ დაჯილდოებული ჯუმბერი და მისი თანამებრძოლები.

საბჭოთა კავშირის სახელოვან ალპინისტთა მშვენებაა ქართველი მთამსვლელები. ამ სახელმოხვეჭილ კოლექტივში შესანიშნავი, მამაცი ადამიანები იყვნენ სპორტის ოსტატები: ჯ უ მ ბ ერ მ ე ძ მ ა რ ი ა შ ვ ი ლ ი, ი ლ ი კ ო გ ა ბ ლ ი ა ნ ი, თ ე ი მ უ რ ა ზ კ უ ხ ი ა ნ ი ძ ე. უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე მთამსვლელობაში ჩვენი გამარჯვებანი, ამ გამარჯვებებით გამოწვეული ყველა სიხარული მათ სახელთან იყო დაკავშირებული.

სამივე ჩვენში ახალი ტიპის ალპინიზმის, სიმაღლოვანი ასვლებისა და ამ დარგში ახალი ხერხების შემოღების პიონერი იყო.

ჯუმბერი მწვერვალის იერიშს ყოველთვის სათავეში ედგა.

აი ახლაც დაიპყრეს უძნელესი მწვერვალი გამარჯვების პიკი, მაგრამ უკან დაბრუნებისას ბედმა უმუხთლათ, დაიღუპნენ!

თუ ოდესმე რაინდის წოდება ვისმეს რგებია, ეს პირველ რიგში უდროოდ დაღუპულ სამ ვაჟკაცზე — ჯუმბერ, ილიკო და თეიმურაზზე ითქმის. მათ დაიპყრეს ისეთი მწვერვალები, გოლიათები, როგორიცაა უშბა და შხარა, მიჟირგი და შხელდა, ლენინის პიკი და კომუნიზმის პიკი, მოსკოვის პიკი და ტიანშანის მასივი, ზულუმარტის ქედები და მრავალი სხვა.

ამ სამოდე წლის წინათ ჩვენმა ალპინისტებმა ერთხელ კიდევ გააკვირვეს მსოფლიო, მათ დაიპყრეს დარვაზის ქედი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვლეს ქედ-ქედ 40 კილომეტრზე მეტი, გზადაგზა ავიდნენ მრავალ უმაღლეს მწვერვალზე, რომელნიც 6.000 მეტრიანი �ლა არიან ზღვის დონიდან. ეს იყო არა მარტო საბჭოთა, არამედ მსოფლიო ალპინიზმის ბრწყინვალე ზეიმი.

ჯუმბერი, თეიმურაზი და ილიკო იყვნენ ამ გამარჯვების სული და გული.

— აი ედელვეისი წამოვიღე, ჩვენი უნივერსიტეტის კოლექციას დაამშვენებს: იგი საქართველოში არ იზრდება, — მეუბნება თეიმურაზი და მაწვდის სათუთად შეხვეულ, მაღალმთის იშვიათ ყვავილს... რა შთამაგონებელია! ვაჟკაცები შორეულ პამირში ფიქრობდნენ თავიანთ გამზრდელ უნივერსიტეტზე... მისთვის ზრუნავდნენ. ზვავთა და ქარბუქთა გამაყრუებელ ხმაურში ეძებდნენ და კრეფდნენ იშვიათ ყვავილებს. ასეთ დროს მარტო ნებისყოფა კი არ არის საკმარისი, არამედ სულით და გულით უნდა იყო პოეტი, ბუნების მესაიდუმლე. სწორედ ასეთები იყვნენ ჩვენი გმირები, ისინიც სიყვარულის იმ ცეცხლით იწოდნენ, რა ცეცხლმაც დაწვა ალიოშა და სიმონი, შოთა და პიმენი...

როგორც ეს გოლიათები კავკასიონის მთებიდან უხმობენ ვაჟკაცებს ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ, ასევე ჯუმბერი, ილიკო და თეიმურაზი ტიანშანის ჭიუხებიდან მოუწოდებენ ქართველ მთამსვლელებს: იყვნენ მამაცნი და უტეხნი, უყვარდეთ სამშობლო ქვეყანა, ვაჟკაცობით ასახელონ იგი.

დიდების ღირსნი არიან ეს მართლა დევგმირები, კაცური კაცები. თანამემამულეებმა პირნათლად უნდა გააგრძელონ მათი დაწყებული დიდი საქმე. წმინდად შეინახონ გმირულად დაცემული ვაჟკაცების უკვდავი სახელი.

1961 წ.

დიდი კაცი, დიდ შრომაში ჩაფერფლილი

იშვიათი არ არის, როდესაც ხალხს, ერს ბრწყინვალე ისტორია აქვს, მაგრამ იგი დაფარულია იმ დავიწყების ფერფლით, რომელიც ისტორიის ავბედობის თანამყოლია. ხში-

რად ეს ბრწყინვალება ნებით თუ უნებლიეთ მიჩქმალულია და თანამედროვე თვალთაგან მიფარებული. ამიტომაა, რომ თანამედროვეობას იმ ძალით არ ემსახურება, როგორიც მას უძლია. წარსულის ნათელი მაგალითები არ აღვიძებენ იმ კეთილშობილ სურვილებს და გრძნობებს, რომელნიც გულში აღგვიძრავენ დაუსრულებელ სწრაფვას, დღესაც ამშვენებდეს მისი ხალხის შემდგომ გზას წარსული ისტორიის ბადალი ან დღეისათვის უკეთესი ძეგლები ხუროთმოძღვრებაში იქნება, მწერლობაში, მუსიკაში თუ სხვა დარგში. იმაში, რაც ამშვენებს ერის საგანძურს.

სწორედ ამ დროს უნდა გამოჩნდეს ადამიანი, რომელიც წარსულს დავიწყების ფერფლს მოაცილებს, ყოველივე ზედმეტს ჩამოაშორებს და ააბრწყინვალებს იმ ელვარებით, რომლის სინათლე დიდსაც და პატარასაც გულში ჩასწვდება.

გიორგი ჩუბინაშვილი იყო ასეთი ხელმადლიანი ადამიანი.

გარეჯის უდაბნოს კომპლექსი, რამდენიმე ბერის თავშესაფრად ჩანდა, შეეხო ბატონი გიორგის ხელი და იგი აბრწყინდა ისეთი სიძლიერით, ყველამ ვიწამეთ, რომ თუ არის ერი, რომელსაც ისტორია არა აქვს, მიეცი გარეჯი და უბადლო ისტორია ექნება.

მისი მარჯვენისა და ნიჭის მადლით ბექა და ბეშქენ ოპიზარების სინათლემ მეთორმეტე საუკუნიდან მეოცეში მოჰფინა შუქი და დაგვანახა, არა მარტო ჩვენ, არამედ მსოფლიოს, რომ ოპიზარების სადარი ვაჟკაცები დღესაც მუშაობენ ჩვენს კურთხეულ სამშობლოში.

მან დაგვანახა, რომ დიდი შემოქმედების კერები გაგვაჩნდა არა მარტო ტაოში, არამედ სამეგრელოში, სვანეთში, ქართლში...

სხვა კუთხით დაგვანახა ჯვარი და სვეტიცხოველი, გელათი და ალავერდი, ცხრაკარა და ვარძია. ამან კი გული ჩვენი აავსო სიხარულით და დაუშრეტელი სიყვარულით.

ადამიანისათვის, იმაზე ძვირფასი არა არის, იმუშაო იმისათვის, რომ შენს თანამოძმეთ გაუძლიერო კეთილშობილი გრძნობები, სიყვარული ქვეყნისა.

სწორედ ამიტომ იყო, რომ აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი მთელი თავისი დიდი სიცოცხლის მანძილზე იკვლევდა,

წერდა, შრომობდა, შრომობდა იმდენს, რომ ყველას აოცებდა ეს თავდადება. აკი წლებს თავისი მიაქვს და ამ სიყვარულსა და შრომაში ჩაიფერფლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითონ ჩაიფერფლა, მაგრამ მის მიერ შექმნილი დიდი მემკვიდრეობა იბრწყინებს საუკუნეთა მანძილზე, როგორც ბრწყინავს შოთას და საბას, ბექა და ბეშქენ ოპიზარების, არსაკიძის, ივანე ჯავახიშვილის საფიცარი უკვდავი სახელები.

1973 წ.

დიდი შრომის დიდი მადლი

დავით მეფეს დიდგორს ვახლდი
თურქს დავუხვდი ფიცხლად,
ვნახე მხარე მშენებარე, საქართველო
ვიცან.

ეს სტრიქონები ახალგაზრდა კაცის დავით მჭედლურის პატარა ლექსის სტრიქონებია, სულ რვატაეპიან ლექსში, მას ეზმანება დიდი დავითი, დიდგორი, ბრძოლა, სადაც საქართველოს ბედი გადაწყდა, მზიანეთში დალანდა მწუხრი დიდებისა, ერწუხის ბოლოსაც გადაიარა.

ეს გულითადი ლექსი კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებელით“ არის შთაგონებული, ბედნიერია მწერალი, როდესაც მისი ნაწარმოები, მის მიერ შექმნილი გმირები ახალგაზრდა კაცს (და არა მარტო ახალგაზრდას!) სიზმრად მიჰყვება და ათქმევინებს:

ეს რა კარგი სიზმრებია, ეს რა კარგი ღამე.

მე, ჩვენში არ ვიცი მეორე თანამედროვე მწერალი, რომლის თხზულება ასე გაჰყოლოდეს კაცს და ასეთ გულითად ლექსში ანთებულიყო.

კონსტანტინეს „დავით აღმაშენებლის“ კითხვის დროს არა

ერთსა და ორს ჩვენგანს დაჰნათებია და უნატრია: ნეტავ დიდ-
გორსა და ერწუხში, ან შირვანში დავითის ჯარში მეც ვყო-
ფილიყავ, რომ საქართველოს უკვდავების სამსხვერპლიზე
მცირე წვლილი მაინც მიმეტანა...

მისი ნაწერი ასეთ ფიქრებს იწვევს იმიტომ, რომ მისი
გმირები ყველა ომახიანია და ვაჟკაცური. ეს იმას არ ნიშნავს,
რომ მათ სითბო აკლდეთ; რად ღირს შამან ერისთავისა და ბა-
კურის შეხვედრა, ნიანიას და დედისიმედის უკანასკნელი სა-
უბარი, დედისიმედის გამოთხოვება?!

„დავით აღმაშენებელი“ უზარმაზარ მდინარეს წააგავს,
რომელიც შორიდან მოედინება, ქვეყნის სიღრმეში აქვს სა-
თავე და გზადაგზა მიერთვის აუარებელი შენაკადი, რომანში
ჩართულია ამბები ბიზანტიიდან, ყივჩაღეთიდან, ირანიდან,
ერაყიდან, ინდოეთიდან, არაბეთიდან, ეგვიპტიდან, ხმელთა-
შუაზღვეთიდან და ვინ იცის კიდევ რამდენი მხრიდან არა. მა-
ოცებს კონსტანტინეს რომანების გეოგრაფია, აურაცხელი ის-
ტორიული ფაქტი, ამის უკან კი უზარმაზარი შრომა დგას, ძა-
ლიან დიდი შრომა.

იშვიათად მოიძებნება რომანი, სადაც ასეთი მრავალი ცოდ-
ნის განმტოებანი იყოს თავმოყრილი. პლატონის, არისტოტე-
ლეს, ბუდას, ქრისტეს, მაჰმადის და სხვათა მოძღვრებათა ესა
თუ ის დებულება რომ მიუსადაგო რომანის ამა თუ იმ სიუ-
ჟეტს, ამისათვის ამ მოძღვრებათა ღრმა ცოდნაა საჭირო, ზაზა
ფანასკერტელის „წიგნი სააქიმოს“ თუ ერთი წამალია გამო-
ყენებული, ამისათვის საჭირო იყო მთელი ამ კარაბადინის
გულდასმით გადათვალიერება და ცოდნა.

ერთია დაწერო რომანი სივრცესა და დროის გარეშე და
მეორეა შექმნა თხზულება, სადაც ასახულია ქვეყნის ცხოვ-
რება ორმოცსა და ორმოცდაათი წლის მანძილზე, ისტორია
ბობოქარი დღეებისა, ისტორია ქვეყნის გადარჩენისა, ისტო-
რია ერის დამკვიდრებისა. ამას მხოლოდ ქვეყნის დიდი სიყ-
ვარული შეაძლებინებს კაცს და ამიტომაა, რომ კონსტანტინეს
გმირები ჩვენს შორის, მთელს ქვეყანაზე ვაჟკაცურად და-
დიან, მათ თავზე ნამუსის ქუდი ახურავთ.

კონსტანტინემ დავითის პორტრეტით დაგვანახვა თუ რო-
გორი უნდა იყოს ადამიანი, რომელიც თავისი ქვეყნისათ-

ვის იბრძვის, ადამიანი, რომელმაც ამისათვის უნდა დაივიწყოს ყოველი პირადული: გახსოვთ, დავითი ... რომ შეხვდება დედისიმედს: „მაპატიე, დაო, თუ შენი და ჩემი ბედნიერება და სიცოცხლე საქართველოს შევწირე ტარიგად“...

ნესტან-დარეჯანს, თინათინს, ოთარაანთ ქვრივს, კონსტანტინემ გვერდში ამოუყენა დედისიმედი და შორენა, კდემამოსილებით და გმირული სულით დამშვენებული ქალები, ისინიც დავითივით, გიორგისა თუ არსაკიძესავით თავმანდილიანნი დაიარებიან...

აი ამიტომ დამათენდება ხოლმე თავზე კონსტანტინეს რომანების კითხვაში და ჩვენს ირგვლივაც ვეძებ მისი გმირების სადარ ქვეყნის მოჭირნახულე ადამიანებს.

მართლაცდა ბედნიერია კონსტანტინე, რომ ხალხმა ასე შეითვისა მისი გმირები, და ხალხიც, რომელსაც კონსტანტინე გამსახურდია ჰყავს.

1972 წ.

ცის ნამი

როდესაც ანა კალანდაძის ლექსების წიგნი მიჭირავს ხელში, მდელო მაგონდება, ათასნაირი ყვავილით დამშვენებული, რომელსაც დილის ნამი აქვს მოპკურებული, ანას ლექსები კი მგონია ცისკარზე პირიმზის ყვავილის ფურცელზე მარგალიტის მძივად ასხმული აკრეფილი ცის ნამი.

განა არ ელავს მზის სხივების გაბრწყინებულ ალმასის თვალივით თუნდაც

— თქვი არჯაელო მხვიარა,
ქსანზე ვინ ჩამოიარა?
— რავი, ღრუბლებზე ვფიქრობდი
და არა გამიგიარა...
— მეც... სხვათა შორის ვიკითხე,
სალაპარაკოდ კი არა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენჯერ წამიკითხავს, რამდენჯერ მომისმენია და ყოველთვის მომგონებია ჭაბუკობა, ახალგაზრდობა, როდესაც არა მადარდებდა რა, როდესაც გული ცდილობდა დაცლილიყო სიყვარულის სიმღერად.

მისი ლექსის სიმშვენიერე და მადლი იმაშია, რომ ვაჟასი არ იყოს, ერთი ორი სტრიქონით დახატავს სურათს, აღწერს ბუნებას და მერე შენ მოგანდობს ფიქრთა სავალად

მადლიანი ხარ, ბუერავ,
მთას მჯდარო ფეხებმორთხმითა,
მთის წყალი დამალევინე
შენი ლამაზი ფოთლითა.

და მოჩანს ბუერას ფოთლებს იქით მჩქეფარე ნაკადული, ტყე და მდელო, ჩვენი ხალხი და მთელი სამშობლო.

მიუხედავად უდიდესი ლირიზმისა, რომელიც საერთო დაუმრეტელი საუნჯეა, ანა ყოველთვის ხედავს სამშობლოს, მის ხალხს, მის ხასიათს.

— რისთვის აქებ ქისტებს, ბერდედავ
მის ვაჟკაცობას, ძალას და სიმხნეს?
მიწა უვსიათ მათ ხევსურთ ძვლებით,
— რას ამბობ ქალავ, ვაჟკაცებ იყვნეს.
— ამღას გაწყვიტეს ბრგე ვაჟკაცები
ახიელაშიც უზომო ხოცეს...
— რას ამბობ, ქალავ, ვაჟკაცებ იყვნეს.
— რა ვიცი... ღმერთმა მშვიდობა მოგცეს.

დაუძინებელი მტრის ვაჟკაცობასაც კი არ დაკარგავდა ჩვენი კაცი და ამით მოძმის სულში ვაჟკაცობის ნათელს ჩაღვრიდა. სწორედ ამ გრძნობამ ათქმევინა მოყმის დედას

ხან იფიქრებდა: უდედოდ გაზრდა ვინა თქვა შვილისა.
იქნება ვეფხის დედაი ჩემებრ დღე და ღამ სტირისა,
წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ უთხრა ჭირისა.

ეს ხომ უშესანიშნავესი ნიმუშია ადამიანობისა და ვაჟკაცობისა.

ამიტომაა, რომ ანას ასე სათუთად ახსოვს ლადო, ლადო

უდროოდ ჩამქრალი ჩირაღდანი ქართული პოეზიისა, ლადო სინათლე ქართული სულისა და გულისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ასე მწამს, ერთი ნორჩი ნაძვის ძირას.
ყაყაჩოში საუკუნოდ ჩაგეძინა,
ჩაგეძინა სიყვარულით ანაჩრდილებს...
არა, ლადო, აღარ მოვწყვეტ ყაყაჩოებს...

დიახ, იმ ყაყაჩოებს, რომელნიც ლადოს ასე უყვარდა

ჰეი, თქვენ არაგველებო, გაუმაძღარნო ომითა,
თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა.
'მავ ჩოხიანო ვაქკაცო ჭრილობა ხომ არ შეგხსნია,
ეგ სისხლი არის, თუ მართლა ყაყაჩოების ცეცხლია.

და უკვდავია ყველა ის მწერალი, ვისაც ფესვები გამჯდარი აქვს ხალხში, ეს ხალხურობა თავისებურად კიაფობს ანას ლექსის სტრიქონებში.

ნისლაურო, ნისლი ხარო,
გამიქრები: მზისი ხარო...
მე არაგვზე დავრჩებოდი,
მაგრამ რა ვქნა სხვისი ხარო...
როცა ახლოს ვერა გხედავ,
ჩემი გულის შიში ხარო,
მაგრამ კლდენი არ გამწირვენ
არწივების შინში ხარო...

და აი, ამიტომ გვახარებს ანა თავის იშვიათი მარგალიტებით, მაგრამ მარგალიტიც ხომ ასე იშვიათია ბუნებაში.

იქნებ ამიტომ ასე იშვიათად და მცირე ტირაჟით ბეჭდავენ ანას ლექსებს.

1968 წ.

ბუნებისმეტყველება ი. გოგებაშვილის „ბუნების კარში“

ი. გოგებაშვილი რომ დიდი პედაგოგი იყო, ეს აღიარებულია. ეს დებულება შესანიშნავად დადასტურებულია „ბუნების კარში“ მოთავსებული საბუნებისმეტყველო მასალითაც.

ამ მასალის მთავარი მიზანია ბავშვს შეაყვაროს ბუნება, ჩაახედოს მის საიდუმლოებებში, აღძრას მის გულში სათნოებისა და სიკეთის გრძნობა, გააფაქიზოს მისი შინაგანი ბუნება.

„მერცხლის“ შესანიშნავ აღწერას ი. გოგებაშვილი ასეთი სიტყვებით ამთავრებს:

„რა კარგი იქნებოდა, რომ ყველა ადამიანი და ყველა ყმაწვილი იყოს იმისთანა კეთილი, უვნებელი, გამრჯელი, მხიარული, მოსიყვარულე, სასიამოვნო და სასარგებლო ქვეყნისათვის, როგორიც არის მერცხალი!“

ამ პატარა ამონაწერში ადამიანის ყოველი სიკეთეა ამოწერილი და ეს სიკეთე მთელი წიგნს წითელ ხაზად გასდევს: სიყვარული ბუნებისა მთავარია, სისტემატური ცოდნა თითქოს უკან იხევს, მაგრამ მასალის მარჯვე შერჩევით გოგებაშვილი აღწევს იმას, რომ ბუნებაც შეაყვაროს და საბუნებისმეტყველო მასალაც შეასწავლოს მოსწავლეს.

თანამედროვე ჩვენი სკოლის ბუნებისმეტყველება სისტემატურია, იგი პროგრამის მიხედვით უმაღლესი სასწავლებლის პროგრამას წააგავს. მასალას თითქოს დიდს ვაძლევთ, მაგრამ ბავშვი განზე რჩება, მას ამ მასალიდან ცოტა რამ ამახსოვრდება. იშვიათად მინახავს ბავშვი, რომელსაც ჩვენი თანამედროვე სკოლის კურსი დაემთავრებინოს და ზოოლოგიისა და ბოტანიკის მასალა, პროგრამით გათვალისწინებული, ახსოვდეს. ი. გოგებაშვილმა წიგნის მიზანი თავიდანვე (1863 წლიდან) შემდეგნაირად განსაზღვრა:

„რომელი საგნები არიან უფრო სასიამოვნო და სასარგებლო ყმაწვილის გონებისათვის?

ბუნება საზოგადოთ და ყოველი რაც ყმაწვილს გარშემო არტყია. ყოველი ყმაწვილის კითხვა შეეხება ბუნებას და მის საგნებს. რით საზრდოობენ გარეული პირუტყვნი, როგორ ატარებენ ცხოვრებასა, სად არიან ის ფრინველები ზამთარში, რომლებიც ზაფხულში ჩვენ ქვეყანაში სცხოვრობენ, საიდან წარმოსდგება ქარი, წვიმა, თოვლი, ქუხილი, ელვა, — აი რა კითხვები ებადება ყველაზე ხშირად ყმაწვილს გონებაში. ამიტომ ნამდვილათ საინტერესო წიგნი ჩვენ ყმაწვილებისათვის, უნდა იყვნეს ისა, რომელიც შესდგება ბუნების და იმის საგ-

ნების აწერითაგან, რომელიც დაბეჭურათ ხსნის ბუნების მოვლენებსა. ეს აზრი გვქონდა ჩვენ სახეში, როცა შევუდგეთ წიგნის შედგენასა. უმთავრესი მიზანი ამ წიგნისა არის უხსნას ყმაწვილს თანაგრძნობა ბუნებისა, შეაყვაროს მისი გამოძიება და მისი განხილვა. ერთი სიტყვით უნდა გახდეს ბუნების კარათა" („ბუნების კარის" 1 გამოც. წინასიტყვაობა, 1868 წ.). სწორედ იმისათვის, რომ შეაყვაროს ბუნება, ცხოველი თუ მცენარე, იმისათვის რომ საერთოდ სიცოცხლის კანონები გააცნოს იღებს უმეტეს შემთხვევაში სასარგებლო მცენარეებს და ცხოველებს, ისეთებს, რომელნიც ბავშვთან უფრო ახლოა, უნახავს. მაგრამ მას მშრალად კი არ აღწერს, არამედ მხატვრულად, თხრობის ისეთი კილოთი, რომელიც ბავშვს იტაცებს, აწვდის ისეთ მასალას, რომელიც ბავშვს ადვილად დაახსომდება, რომელსაც ცხოვრებაში შეხვედრილი მასალით განიმტკიცებს.

„გარეული ცხოველების აგებულება და სახე აწერილი არ არის, ეს იმიტომ მოხდა, რომ ამგვარი აწერა, რაც უნდა დაწვრილებით იყოს, სრულიად უსარგებლოა, რადგანაც ყმაწვილი ვერ შეიძლებს პირუტყვის ნიშნები ისე შეაერთოს, რომ მთელი სურათი გამოვიდეს". შემდეგში (1912 წ.) ეს აზრი ბუნების კარის წინასიტყვაობაში შემდეგნაირად ჩამოაყალიბა:

„რათა უფრო მიმზიდველი გაგვეხადა ყმაწვილებისათვის „ბუნების კარი", მისი შედგენის დროს გვერდი ავუქციეთ იმისთანა მშრალ მხარეებს საგნებისას, როგორიც არის კლასიფიკაცია მცენარეებისა და ცხოველებისა, და მათი ანატომიური აგებულება, რაც შეადგენს პირდაპირ საგანს ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოისას, სამაგიეროდ დიდი ყურადღება მივაქციეთ მას, თუ რა დამოკიდებულება არსებობს მცენარეთა და ადამიანთა შორის, როგორ სცხოვრობს ცხოველი, როგორ იბრძვის არსებობისათვის, რა ადგილი უჭირავს ბუნებაში, რა დამოკიდებულება აქვს ცხოველებთან და მეტადრე ადამიანებთან და თვით თავის სამშობლოსთან".

აი მისი თხრობის ძირითადი ობიექტები:

ქერი, ხორბალი, ბრინჯი, ღომი, ბამბა, ჩაი, შაქრის ლერწამი, ყავა და სხვ. ზღარბი, თხუნელა, ღამურა, გომბეშო, მერცხალი, შოშია, მწყერი, ბულბული და სხვანი. ყოველ ამ აღ-

წერილობას ურთავს მხატვრულად გამართულ ლექსს, მაგალითად „მერცხალს“ მოსდევს რაფიელ ერისთავის შესანიშნავი ლექსი „მერცხალი“, სტატიას „შოშია“ კი შიო მღვიმელის „შოშია“, ყველა ეს ცხოველი, მცენარე, ფრინველი აღწერილია უჩვეულო სითბოთი და სიყვარულით, ეს სიყვარული და სითბო პირველი სტრიქონებიდანვე, სათაურიდანვე ისმის. აი რამდენიმე მაგალითი:

„უდანაშაულოდ დასჯილი თხუნელა“, „დევნილი მეგობარი ანუ ზღარბი“, „დიდი მოკეთე მტრის კანში, ანუ ბელურა ჩიტი“ და სხვა.

არანაკლებ საყურადღებოა ქვესათაურები: „რად გვიყვარს მერცხალი“, „რა სიკეთეს სძღვნის მოსავალს“, „ორგვარი სიკეთე ჭოტისა“, „რად უყვარს ადამიანს შოშია მერცხალსავით“ და სხვა მრავალი.

ი. გოგებაშვილი არც თანმიმდევრული დარვინისტი იყო, არც მით უმეტეს მარქსისტი, მაგრამ მისი ნაწარმოებნი არც ერთს ღალატობენ და არც მეორეს. მის საბუნებისმეტყველო ნაწარმოებებში უცხოა იდეალისტური თვალსაზრისი. ეს მკვეთრად ჩანს, თუნდაც ისეთ სტატიაში, სადაც ადამიანი და ცხოველია დაპირისპირებული და სადაც ფრიად დამაჯერებლად მოჰყავს ის საბუთები, რითაც ადამიანი განსხვავდება სხვა ყველა ცოცხალი არსებისაგან.

სავსებით შეესიტყვება მარქს-ენგელსის მოძღვრებას ადამიანის გავლენა გარემოს ცვალებადობაზე.

იგი კარგად იცნობდა მეცხრამეტე საუკუნის ისეთ ბუნებისმეტყველებს, როგორიც იყვნენ გარდა დარვინისა, ბრემი, ფოხტი, ბოგდანოვიჩი, ვაგნერი და სხვანი.

ერთი შესანიშნავი თვისება კიდევ. ყოველი მასალა, რომელსაც აწვდის ბავშვებს, ამ უკანასკნელთა გარემოსთან არის დაკავშირებული, საქართველოსთან, ან თუ უცხოა იგი, ისეა გამოყენებული, რომ ობიექტს ბავშვი თავის სამშობლოში ხედავს (ბამბა, ქინაქინის ხე, ჩაის მცენარე და სხვა).

ყოველი ამის გაცნობის შემდეგ ბავშვს მიცემული აქვს ბუნებისმეტყველების ძირითადი საფუძვლები, სრული წარმოდგენა ეძლევა სასიცოცხლო ციკლზე. მის ნაწერებში ასახულია მატერიალისტურად მოაზროვნე მეცნიერთა შეხედუ-

ლებანი. ვისაც ურთიერთისათვის შეუდარებია 1868 წლისა და 1912 წლის გამოცემული ბუნების კარი დარწმუნდება იმაში, თუ რა დიდ მუშაობას ეწეოდა იაკობი წიგნის გაუმჯობესებისათვის. იგი ცდილობდა არ ჩამორჩენოდა მეცნიერების დონეს და არც ჩამორჩენილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაკობს ღრმად სწამს, რომ ჩვენი ერის ბედნიერება ცოდნის შეძენაშია, მით უმეტეს თუ ამ ცოდნას გამოიყენებს ჩვენი ბუნებრივი საწარმოო ძალების მთვლემარე შესაძლებლობების განვითარებისათვის.

„დაწინაურებულს, განათლებულს ქვეყნებში კარგად აქვთ შეგნებული, რომ ბუნების ცოდნა და მის ძალთა დამორჩილება წარმოადგენს ერთს უმთავრეს ბურჯს ერისა და კაცობრიობის ბედნიერებისას“.

მანაც თავის სიცოცხლე თავისი ერისათვის ბედნიერების ძიებას შეალია.

1965 წ.

სათნოება და რისხვა

აკაკის ლექსს თუ ვისმენ ან ვკითხულობ, ვგრძნობ, რომ სათნო, კეთილი ღიმილი მიკრთის სახეზე. ეს ღიმილი აკაკის ლექსის კითხვის დროს სხვის სახეზეც შემიმჩნევია. ეს არის თვისება აკაკის პოეზიისა: პირველ რიგში სათნოება და სიკეთე დათესოს ხალხში.

მაგრამ ყოველთვის სათნო როდია მისი ლექსი, ხშირად რისხვაც ისმის, წყრომაც, მაგრამ ყოველთვის დაუშრეტელი წყაროა ხალხის სიბრძნისა.

სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ
რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ.

უთხრა გამზრდელმა ცუდად ზრდილს, მეგობრობის პირის გამტეხს, ზნე-ჩვეულების მოღალატეს. ორმოცი წელზე მეტია ვასწავლი ახალგაზრდობას და ყოველთვის მახსოვს აკაკის ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრისხანე სიტყვები. ჩვენში ცუდად ზრდილს თუ ვხედავდი, ჩემს ბრალსაც ვგრძნობდი.

მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა გმირი,

ამბობს აკაკი ამირანზე, ყოველთვის მწამდა, რომ ჩვენი გმირთა-გმირი ჯაჭვს გაწყვეტდა და ჩემი მშობელი ერი კვლავ ეზიარებოდა თავისუფლების სიტკბოებას, მაგრამ ისიც ვიცოდი: თავისთავად არაფერი მოვიდოდა და ვცდილობდი მცირედი წვლილი მიმეტანა ქვეყნის სამსხვერპლოზე. ამისათვის ვშრომობდით, ვტეხდით ღამეებს.

შენ სომეხი ხარ და მე ქართველი,
მაგრამ ძმები ვართ ერთმანეთისა,

მღეროდა აკაკი, აგონებდა თავის მშობელ ხალხს, რომ ერთა შორის ძმობა, ურთიერთის ფიქრის გაგება საწინდარია ერის უკვდავებისა.

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოკვდები...

ასე მღეროდა აკაკი და ამ სიმღერაში ჩანს დიდი მამულიშვილის სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით აძგერებული გული.

1962 წ.

მოგონება გალაკტიონზე

ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ მაიაკოვსკისა და ვანის რაიონში მომიხდა რამდენიმე დღით ყოფნა.

იმ წელს (1953 წ.) გაზაფხულმა უწყალოდ დაიგვიანა, დაიგვიანა ხვნა-თესვამაც, შუა მაისი იყო და კვალი ახლა

ივლებოდა. სულ რამდენიმე დღეში უნდა მომთავრებულიყო გასაკეთებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდვრად გავედი, ზღაპრული გაზაფხული იდგა იმ ადგილებსა. დაგვიანებული გაზაფხულის გამო ერთად ყვაოდა ტყემალი და ატამი, ვაშლი და მსხალი, ანათებდა მზე, ბზუოდა ფუტკარი. ყღურტულებდნენ ფრინველები.

„ატმის ყვავილით სტირის აპრილი“, მომაგონდა ტიციანის სტრიქონები.

ამაღამ მგონი იქნება ქარი
ვაი დედოფლის ტყემლების ბრალი...

და იყო რაღაც ლირიკული განწყობილება, ან რა უნდა ყოფილიყო, სადაც ერთად იყო შერწყმული აპრილი და მაისი, სადაც დადიოდა ტიციანისა და გალაკტიონის აჩრდილი.

და ვიმეორებდი ჭაბუკობიდან გამოყოლილ

ამ მაისს, ამ ივნისს...

და როდესაც სულში „შრიალებდა ტოტი ვერხვისა“... ჩავიარეთ სოფელი ჭყვიში და მივადექით აბობოქრებულ რიონს, მხოლოდ მოჰქუხდა, მოჰქუხდა და ეხეთქებოდა კბოდეს, ეხეთქებოდა და უზარმაზარი ნაკვეთი მიწისა ეხეთქებოდა ატალახებულ რიონის ტალღებში და მოჰქონდა მშობლიური მიწა შავი ზღვისკენ.

სოფლის განაპირა კარ-მიდამომდე ასიოდე მეტრიღა იყო დარჩენილი.

— გალაკტიონის სახლია! — მეუბნება ჩემი თანამგზავრი.

ჩქარი ნაბიჯით წაველ გალაკტიონის სახლისკენ. მწვანე, ხასხასა მოლი კოინდრისა, ერთი ძირი წითლად გაფოთქილი ატამი, შორიახლო ორი ძირი დედოფალივით მდგარი ქათქათა ტყემალი. შუა ეზოში დგას ერთი თვალი ფიცრული სახლი, გადარაზული, კლიტე დადებული.

„და ესაა გალაკტიონის სახლი?! ამ სახლში დაიბადა ორი ძმა, ერთი გალაკტიონის მამა, მეორე ტიციანისა“...

თვალს ვერ ვაცილებ. ეს იყო სურათი კი არა, რაღაც უცნაური, სულში ჩამწვდომი გალაკტიონის ლექსი...

გვიან, გვიან გამოვბრუნდი, წამოველ რიონისაკენ, ახლა

მომაგონდა, რომ თან ფოტოაპარატი მქონდა. დავბრუნდი, გადავიღე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერებათა აკადემიაში იმ ოთახების გასწვრივ ... მუშაობა მიხდებოდა, გალაკტიონი ხშირად მთელი დღეობით ბოლთას სცემდა.

იქ მანქანაზე უბეჭდავდნენ სასტამბო მასალას და ამგვარად უცდიდა. ბევრჯერ ვთხოვე დაესვენა, მაგრამ.

— არა მიშავს რა ბიძიკო... — არ მოდიოდა.

ერთ დილით აივანზე კვლავ დამხვდა გალაკტიონი.

უბეს ხელი გავიკარ. ორი ფოტოსურათი გადავეცი, გამომართვა.

— მადლობ, მადლობ, — დახედა და განაგრძო სიარული.

გამიკვირდა. ნუთუ არავითარი ემოცია? შევედი ოთახში. შემყვა გალაკტიონის რაღაც ღიღინისებური...

ის-ის იყო დავჯექი და სული მოვითქვი, რომ გაიღო კარი და ხელგაშლილი გალაკტიონი შემოიჭრა.

— ბატონო ნიკო, ნიკო, ჩემო ნიკო...

და გულაჩუყებული სულს ვერ ითქვამდა, თვალზე ცრემლი ადგა.

— ეს ხომ, ეს ხომ ჩემი სახლია, ჩემი ოდა, ჩემი სახლი...

დაეშვა სკამზე და ჩამოსდიოდა ცრემლი. „ეს რა ღმერთი გამიწყრა“, — ვფიქრობ, „რად მოვუტანე“...

დიდხანს იყო ასე. უხმოდ ადგა და წავიდა.

— ჩემს ლოგინთან მაქვს ის ჩემი ოდა... ყოველთვის მას ვუცქერ...

ყოველი შეხვედრის დროს მეტყოდა და ტკბილი ღიმილი გადაჰკრავდა ხოლმე.

1967 წ.

მეცნიერების დიდი მოამაგე

აკადემიკოს ვ. გულისაშვილის დაბადებიდან 60 წლისთავისათვის

აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის ხსენებაზე, ან მაშინ, როდესაც მას ვხვდები, ვესაუბრები, ან ვხედავ ტრიბუნაზე მთელი სულით და გულით მოლაპარაკეს, ხშირად მომაგონდება ერთი ჩვენებური პატარა თქმულება:

„ტყეში ხმა გავარდა, დარბაზი დაინგრაო. მუხამ გადმოიხედა და იკითხა: „ჩვენი ბიჭი ხომ არავინ ერიაო“, „ერიაო“ — უპასუხეს. „კიდეც მაგისთვის დანგრეულაო“... — [illegible] მე მუხამ“.

და აი სწორედ ასეთ მუხად, რომელიც დედაბოძად უდგას დარბაზს, მესახება იგი, სანამდე იგი ბურჯად დგას ჩვენი მეტყეველობის მეცნიერებისა, მას არა გაუჭირდება, ყოველთვის მაგრად იდგება და ნორმალურად განვითარდება. ჩვენში ხომ ამ დარგის მეცნიერების განვითარება სახალხო და საშვილიშვილო საქმეა, ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების ერთ-ერთი ძირითადი ბურჯია.

სხვადასხვა პირობათა გამო ოქტომბრის რევოლუციამდე, საქართველოში ეროვნული მეცნიერების განვითარებამდე, ჩვენს ტყეებს უყურებდნენ როგორც ექსპლოატაციის ობიექტს, მხოლოდ მერქნის მომცემს და ანგარიშს არ უწევდნენ იმას, რომ მას უშუალო კავშირი აქვს ქვეყნის საერთო და, კერძოდ, სოფლის მეურნეობის განვითარებასთან, რის შედეგადაც ისპობოდა მთის ტყეები და მრავალ ადგილას ხდებოდა სოფლის მეურნეობის დეგრადაცია. ტყის ნიადაგდაცვის და წყლის შენახვის და მარეგულირებელ თვისებებზე ნაკლებად ფიქრობდნენ; მთის ტყეებში კი ამ საკითხების დაუმუშავებლად მეურნეობის წარმოება დაღუპავს ტყესაც და მასზე დამოკიდებულ სახალხო მეურნეობის სხვა დარგებსაც.

ამ საკითხებს დიდი ყურადღება მიექცა მას შემდეგ, რაც ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა საფუძველზე, ჩვენში შესაძლებელი გახდა ეროვნული მეცნიერების განვითარება, მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების შესწავლას სათავეში ჩაუდგნენ ადგილობრივი მეცნიერული ძალები.

ჩვენი ტყეების ღრმად და ფართოდ შესწავლა თანამედროვე პროგრესული მეცნიერების მეთოდების გამოყენებით განსაკუთრებული გაცხოველებით დაიწყო მას შემდეგ, რაც 1931 წელს ლენინგრადიდან საქართველოში დაბრუნდა გულისაშვილი, რომელმაც 1926 წელს დაამთავრა ლენინგრადის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტი, ხოლო 1931 წელს დაუსწრებლად — ქიმიურ-ტექნოლოგიური. სატყეო-სამეურნეო

ფაკულტეტის დამთავრების უმალ (1926 წ.) ვ. გულისაშვილმა დაიწყო მუშაობა სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებაში, სადაც მუშაობდა ისეთ დიდ მეცნიერებთან, როგორებიც — ორის აკადემიკოსი ვ. ნ. სუკაჩევი, პროფესორი ტკაჩენკო და სხვები. მათთან 1931 წლამდე იმუშავა ჯერ ასისტენტად, შემდეგ უფროს მეცნიერ მუშაკად და დოცენტად უმაღლეს სასწავლებელშიც. ამ დროს მან დაამუშავა თანამედროვე პროგრესული მეთოდების ზუსტად გამოყენებით მრავალი საკითხი ტყის ეკოლოგიიდან, ტყის ნიადაგმცოდნეობიდან, ტიპოლოგიიდან და სხვ. ლენინგრადის და რუსეთის სხვადასხვა სატყეო-სამეცნიერო დაწესებულებებში აითვისა მეტყევეობის დარგში არსებული რუსეთისა და საბჭოთა კავშირის მეცნიერთა დიდი მემკვიდრეობა, ახალი საბჭოური მეცნიერება მეტყევეობის დარგში და თეორიული და პრაქტიკული ცოდნით შეიარაღებული დაბრუნდა სამშობლოში. საქართველოში ეს ცოდნა შემოქმედებითად გამოიყენა, პირველ რიგში შეისწავლა ჩვენი ტყეებისა და საერთოდ მცენარეული საფარის განვითარება, კანონზომიერებანი და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო იმ ღონისძიებათა განხორციელება, რომელთა უმრავლესობა კანონმდებლობით მიღებულია და გამოყენებულია ჩვენს სატყეო მეურნეობაში.

მუშაობის დაწყებამდე ყურადღება მიაქცია ტყის ნიადაგების შესწავლას და 1929 წელს უკვე აქვეყნებს მონოგრაფიას „ჰუმუსის საფარის მორფოლოგია და აქტიური მჟავიანობა". ამ შრომაში ტყის აღდგენის საკითხები პირველად არის განხილული ნიადაგის მჟავიანობასთან დაკავშირებით. ამ შრომამ ნათლად დაარწმუნა ახალგაზრდა მეცნიერიცა და მისი ხანდაზმული მასწავლებლებიც, რომ ტყის ნიადაგების შეუსწავლელად ძნელი იქნებოდა ტყის საიდუმლოების ამოცნობა და მის განვითარებაში აქტიური ჩარევა.

1934 წელს გამოაქვეყნა (ა. სტრატონოვიჩთან ერთად) კაპიტალური შრომა — „ტყის ნიადაგების ფიზიკური თვისებანი", ეს შრომა არ არის პრაქტიკას მოწყვეტილი, მისი ამოცანა შორს არის გამიზნული და მასში უკვე ჩანს ვ. გულისაშვილის შემდგომი მოღვაწეობის ძირითადი გზები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში დაბრუნების უმალ ვ. გულისაშვილი სათავეში ჩაუდგა სატყეო განათლების თანამედროვე მეცნიერების დონეზე დაყენებას. ზოგადი მეტყევეობის კათედრის ირგვლივ შემოიკრიბა ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკები, მალე სათავეში ჩაუდგა სატყეო ინსტიტუტის საგამოკვლევო სექტორს, ამიერკავკასიის სატყეო საგამოკვლევო ინსტიტუტს, ფართოდ გაიშალა საქართველოს და ამიერკავკასიის ტყეების შესწავლა. პირველ რიგში დასადგენი იყო ჩვენი მთის ტყეების თავისებურებანი, მათი ნიადაგის ფიზიკური და ქიმიური თვისებანი, ამ ნიადაგის წყლისა და სითბოს რეჟიმი, ტყის ტიპები, მათი სტრუქტურა, ეკოლოგია, ე. ი. ურთიერთობა გარემოსთან, ტყეში აღდგენისა და ზრდის საკითხები და მრავალი სხვა. ეს მუშაობა განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა მას შემდეგ, რაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ჩამოყალიბდა სატყეო საგამოკვლევო ინსტიტუტი, რომელსაც დაევალა შეესწავლა ჩვენი ტყეები, შეეჩერებინა მათი დეგრადაცია და დაესახა ღონისძიებანი მთის ფერდობებზე ტყის შენარჩუნების, აღდგენისა და განვითარებისა. ვ. გულისაშვილმა დაკისრებული მოვალეობა პირნათლად, მეცნიერულად მაღალ დონეზე შეასრულა. ეს ინსტიტუტი ფაქტიურად გახდა ამიერკავკასიის ტყეების შემსწავლელი ინსტიტუტი, რადგან მოძმე აზერბაიჯანისა და სომხეთის მეტყევე სპეციალისტები რჩევა-დარიგებას და საერთო კონსულტაციას ამ ინსტიტუტში და მისი ხელმძღვანელებისაგან იღებენ.

ამ ხანებში (1930—40 წლები) ვ. გულისაშვილის ერთ-ერთი საზრუნავი იყო შეედგინა ჩვენი ტყეების მაგალითებით გამდიდრებული მეტყევეობის ზოგადი კურსი, და მან მართლაც შექმნა და რამდენჯერმე გამოსცა ორტომიანი სახელმძღვანელო: „მეტყევეობა, მცენარეთა ეკოლოგიისა და გეოგრაფიის საფუძვლები“. ამ წიგნებზე გაიზარდა ჩვენი მეტყევეთა მრავალი თაობა. მეტყევეთა მომზადების გარდა ვ. გულისაშვილი ენერგიულად ხელმძღვანელობს ახალგაზრდა მეცნიერთა მომზადებას. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა 40-ზე მეტი მეცნიერი მუშაკი, ბევრი მათგანი აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან.

აკად. ვ. გულისაშვილმა თავისი ხანგრძლივი კვლევის შე-

დეგები განაზოგადა უკანასკნელი წლების კაპიტალურ შრომებში „მთის მეტყეევობა“, რომელიც 1956 წელს გამოიცა. და „ზონალობის საფუძვლები კავკასიაში“. ამ ორ შესანიშნავ შრომაში მოცემულია თეორიული საფუძვლები ჩვენი ტყეების სასიცოცხლო პროცესებისა, მათი კავშირი ბუნებრივ პირობებთან, ამ ბუნებრივი პირობების გავლენა ცოცხალ ორგანიზმებზე და კერძოდ მცენარეულობაზე, განსაკუთრებით კი ტყეზე, მეორე მხრივ ტყის გავლენა ბუნებრივ პირობებსა და ზონალობაზე. „მთის მეტყეევობა“ ითარგმნა ჩინურ ენაზე. ჩინეთში მთის ტყეების აღდგენის დროს, რაც გრანდიოზული მასშტაბით მიმდინარეობს, ამ წიგნის ძირითადი მეცნიერული პრინციპები ფართოდ არის გამოყენებული.

ვ. გულისაშვილი დიდ პედაგოგიურ მუშაობას ეწევა არა მარტო მეტყეევეთა აღზრდისათვის, არამედ ოცდაათ წელზე მეტია ლექციებს კითხულობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ბიოლოგებს უკითხავს „ზოგად ეკოლოგიასა“ და „მცენარეთა ეკოლოგიას“. იგი კვლავ დიდად გაისარჯა და ბიოლოგებისათვის შექმნა შესანიშნავი სახელმძღვანელო „მცენარეთა ეკოლოგია“, რომელიც პირველი სახელმძღვანელოა მეცნიერების ამ დარგში არა მარტო ჩვენში, — საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირშიც.

ვ. გულისაშვილი ფართო დიაპაზონის მეცნიერია. მართალია, თავისი მუშაობისა და სიცოცხლის დიდი ნაწილი ტყის შესწავლისა და მოვლის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს შეალია, მაგრამ იმისთვისაც პოულობდა დროს, რომ დაემუშავებინა ზოგადბიოლოგიური საკითხები, აინტერესებდა მცენარის სტადიურობა მის აკლიმატიზაციასთან დაკავშირებით, ამის დამუშავებისა და შესწავლის შედეგად გამოიტანა პრაქტიკული დასკვნები უცხო მერქნიანი ხის ჯიშების ჩვენში აკლიმატიზაციის გზებისა და მეთოდების შესახებ. მის შრომებში ფართოდ გაშუქებულია ისეთი საკითხები, როგორიც არის ლანდშაფტური ზონები, ნათელი ტყეების წარმოშობა, ტყისა და ველის ურთიერთობა და მათ შორის კანონზომიერების საკითხები და სხვა მრავალი.

ვინც ჩვენი ბუნების შესწავლას მოანდომა თავისი სიცოცხლის დიდი და საუკეთესო ნაწილი, რასაკვირველია, გულ-

გრილი არ დარჩებოდა მისდამი, ადვილად ვერ აიტანდა მისდამი უდიერ ან უცოდინარ დამოკიდებულებას. ამიტომ ვ. გულისაშვილი დაუღალავად შრომობს სახელმწიფო ორგანიზაციებში, რათა მრავალი კვლევის შედეგი პრაქტიკულად დაინერგოს წარმოებაში. ჩვენმა სატყეოებმა იმუშაონ მეცნიერების მიღწევათა მიხედვით. ამ მხრივ ვ. გულისაშვილი ერთ-ერთი ისეთი მეცნიერია, რომელსაც თეორიული დასკვნები პრაქტიკაში დაუნერგავად ვერ წარმოუდგენია. გარდა იმისა, რომ იგი სახელმწიფო დაწესებულებებში ეწევა დიდ პრაქტიკულ და შემოქმედებითს მუშაობას, შესანიშნავი საზოგადო მოღვაწეც არის.

იგი არის ერთ-ერთი პირველი მოღვაწეთაგანი ჩვენი ნაკრძალების მოვლისა, შენარჩუნებისა და გაფართოებისათვის. მეცნიერებათა აკადემიაში გარდა სატყეო ინსტიტუტისა, ხელმძღვანელობს ბუნების დაცვის კომისიას. ვ. გულისაშვილი იყო ერთ-ერთი დამაარსებელი იმ საზოგადოებისა, რომელსაც „ტყის მეგობარი“ ერქვა და რომელსაც რეორგანიზაციის შემდეგ „საქართველოს ბუნების დაცვის ნებაყოფლობითი საზოგადოება“ ეწოდა. იგი ამ საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეა დღიდან დაარსებისა. დაუღალავად შრომობს, რათა ბუნების დაცვის და მოვლის კეთილშობილური იდეა ფართოდ და ღრმად განვითარდეს ჩვენში, ღრმად გაიდგას ფესვები. ამ საქმეში მის ენერგიას ამოძრავებს თავისი მშობლიური ხალხისა და ქვეყნის დიდი და უსაზღვრო სიყვარული, და მართლაც, თუ ეს სიყვარული არა, ისე შეუძლებელია დაიმსახუროს ის სიყვარული და პატივისცემა, სახელი ჭეშმარიტი საზოგადო მოღვაწისა, რომელიც მას აქვს. არ არის საკვირველი მისი ასეთი დიდი შრომისუნარიანობა. ვასილ გულისაშვილი შვილია ცნობილი ხალხოსანი მწერლის ზაქარია გულისაშვილისა, რომელმაც თავის შვილებს ჩაუნერგა სამშობლოსა და მის სადიდებლად შრომის სიყვარული.

სწორედ იმიტომ, რომ იგი არის ჭეშმარიტი მეცნიერი, ექსპერიმენტატორი, ავტორი მრავალი შესანიშნავი შრომისა, 1944 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ აირჩია წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1948 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. აქ მისი ინიციატი-

ვით 1945 წელს დაარსდა სატყეო ინსტიტუტი, რომელსაც დღემდე თვითონ ხელმძღვანელობს. მისი მეცნიერულ-მუშაობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-დოებრივ მუშაობასთან, იგი მრავალჯერ იყო ქალაქის საბჭოს დეპუტატი, სადაც ნაყოფიერად მუშაობს თბილისისა და მისი მიდამოების გამწვანების საკითხებზე. ჩვენი დედაქალაქის ხრიოკი ფერდობების გატყევება ვ. გულისაშვილის ხელმძღვანელობით დამუშავებული პრინციპების საფუძველზე ხორციელდება. მისივე ხელმძღვანელობით შემუშავებულია ტყის ზოლების გაშენების მეთოდები და წესები. საბჭოთა მთავრობამ ვ. გულისაშვილი დააჯილდოვა შრომის წითელი დროშის ორი ორდენით და მედლებით, მიანიჭა მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ვ. გულისაშვილი უებრო მეცნიერია და მთელს თავის დიდ მეცნიერულ ერუდიაციას, მთელ თავის ენერგიას, სიცოცხლის ყოველ წუთს, სრულიად უკომპრომისოდ ახმარს ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის შრომას, სწორედ ამიტომ არის მისი მუშაობის მეცნიერული შედეგები მნიშვნელოვანი და აღიარებულია ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეშეც.

სწორედ ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ მისი ხსენებისა თუ დანახვის დროს, მომაგონდეს ტოტებგაშლილი, ფესვმაგარი მუხა, რომელიც ჩვენში ოდითვე სიმბოლოა სიმაგრისა, გამძლეობისა და კეთილშობილებისა.

1963 წ.

საბავშვო ლიტერატურისათვის მეტი ოფლი მოვიწუროთ

ზოგჯერ, როცა დავუკვირდებით იმას, თუ რამ განაპირობა ჩემი მსოფლმხედველობა, ფიქრი ჩვეულებრივად სამ ნაწარმოებთან მიდის. ეს არის ი. გოგებაშვილის „ინგილო ქალი და ერეკლე მეფე“, დუტუ მეგრელის — „მე პატარა ქართვე-

ლი ვარ“ და ვაჟა ფშაველას — „შვლის ნუკრის ნაამბობი“ პირველმა ორმა ჩემში გააღვივა და გააძლიერა სამშობლოს სიყვარული და ეს გრძნობა ბალღობაში გულში ჩაბეჭდილი დღემდე მომყვა. „შვლის ნუკრის ნაამბობში“ კი ჩვენი ბუნება და გარემო იმდენად ნათლად და კარგად არის დახასიათებული, რომ ჩემი ძირითადი პროფესია განსაზღვრა. იქნება თავის დროზე „შვლის ნუკრის ნაამბობი“ რომ არ წამეკითხა, ბუნებისმეტყველებისათვის ზურგი შემექცია.

მე ამით მინდა ვთქვა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბავშვო ლიტერატურას ჩვენი ბავშვის მსოფლმხედველობის ჩამოსაყალიბებლად. საბავშვო ლიტერატურას მე უფრო მეტ მნიშვნელობას ვაძლევ, ვიდრე მოზრდილთათვის დაწერილ წიგნს, ვინაიდან კარგი საბავშვო ლიტერატურა კარგი აღმზრდელია, თავიდანვე კარგად და სწორად აღზრდილი ბოლომდე კარგი რჩება.

დღეს, როდესაც ჩვენი ცხოვრების ტემპებს ვაკვირდებით, თვალში გვეცემა ერთი ფრიად დამახასიათებელი მოვლენა, სახელდობრ ურბანიზაციის გაძლიერება. ხალხის სოფლიდან ქალაქში გადასვლა.

უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში მოსახლეობის თითქმის 40% სოფლიდან ქალაქში წამოვიდა. მაშასადამე ის ერთგვარად მოსწყდა ბუნებასთან ყოველდღიურ კავშირს და სწორედ ამიტომ დიდი როლი ეკისრება ჩვენ მწერლობას. მან ბავშვს უნდა შეაყვაროს ბუნება, ასე ვთქვათ დააბრუნოს მასთან ბუნების სიყვარული, მასთან დაბრუნება, მარტო ესთეტიკური კატეგორია კი არ არის, ეს არის აგრეთვე სამუალება მათი მსოფლმხედველობის განვითარებისა, ბუნების სწორი დანახვა ბავშვს უმტკიცებს მატერიალისტურ მსოფლმხედველობას, ე. ი. საფუძველს უყრის შემდგომში მისი მოღვაწეობისა და მუშაობის სწორ საფუძველს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ჩვენ მაინცდამაინც ყველაფერი რიგზე არ გვაქვს, არც ძველ თაობაში და არც ახალ თაობაში. ძველ თაობას რომ თვალი გადავავლოთ, ვაჟა ფშაველა შემოგვრჩება ხელში, რომელიც ბუნებას აცნობს და აყვარებს მკითხველს — უნდა გითხრათ ვაჟა ფშაველა ბუნებას ასე კარგად ხედავდა არა მარტო იმიტომ, რომ ის გენიოსი იყო, არამედ იმიტომაც, რომ პე-

ტერბურგის უნივერსიტეტში დიდი ბუნებისმეტყველების ლექციებსაც ისმენდა. ღრმად იცნობდა დარვინის შრომებს, თვალყურს ადევნებდა თავისი დროის პროგრესულ მეცნიერულ მიმართულებას, და ყოველივე ამას ახამებდა რა თავის დაკვირვებებთან, დიდი გენიოსური ნიჭის წყალობით, იძლეოდა ისეთ შედევრებს, როგორიცაა „ხმელი წიფელი“, „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „ქუჩი“, „სათაგური“ (მე ვასახელებ საბავშვო ნაწარმოებთ).

ამას წინათ „ნაკადულმა“ გამოსცა სულხან ქეთელაურის „ულრანი ტყის საიდუმლოება“. მან ჩემზე შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა, იმიტომ, რომ ის ემყარება ბუნების სწორ დანახვას და ფოლკლორს. აი თუნდაც ისეთი შესანიშნავი ამბავი, როგორიც არის: ტყეში დათვი შინდის ძირას დაწვა რადგან „ყველაზე ადრე აყვავდა და ამიტომ ყველაზე ადრე დამწიფდებაო“. ეს ხალხური არაკი, რომელიც ემყარება ბუნების სწორად გაგებულ მოვლენას, ქეთელაურმა მარჯვეთ გამოიყენა ისე, რომ მხატვრული დონისათვის არსად უღალატია.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი მწერლები სათანადოდ არ იყენებენ ხალხურ ზღაპრებს, ხალხურ თქმებს. აი, მაგალითად, თუნდაც ისეთს, როგორიცაა:

> იამ უთხრა ენძელასო,
> ნეტავ შენა ენძელაო
> წელიწადში სამჯერაო,
> ერთხელ მოვალ, მოვშავდები
> შავ მიწაში წავშავდები.

ამ პატარა ლექსში, შესანიშნავად არის მოცემული, ის რომ ენძელას მაგვარი მცენარენი ადრე გაზაფხულზეც ყვავიან და გვიან შემოდგომითაც. არა ნაკლებ შესანიშნავია შემდეგი: „ზარმაცმა კაცმა იკითხა: თივის ასაღებად როდის უნდა მოვემზადოო“, „ენძელა როცა აყვავდებაო“, უპასუხეს. გავიდა ხანი და ეს ზარმაცი ხედავს რომ ხალხს თივა მოაქვს. იკითხა: „რატომ მოგაქვთ თივა, ენძელა ხომ არ აყვავებულაო“. „წელს ქარიანი და წვიმიანი გაზაფხული იყო, გარედან ენძელა პირისფერი კი არა, მომწვანოა, მთლიანად ვერ გაშლილა და შენ ვერ დაგინახიაო“.

პატარა ნიკას ბაბუაწვერას ნაყოფიანი კალათა გაჩვენე, შევუბერე და ნაყოფები რომ აფრინდნენ, ავუხსენი: ეს გასამრავლებლად აქვს მეთქი. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ თვითონ უბერავს და აკვირდება, როგორ ფრინავენ ნაყოფები, სად ეცემიან. შემდეგ მოვიდა და მეკითხება: „ბაბუაწვერას ვინ მისცა ამოდენა ჭკუაო“.

აი ხედავთ რამდენია მასალა ჩვენს ირგვლივ, რომლის მხატვრულად გადმოცემა ბევრს, ძალიან ბევრს მისცემდა ჩვენს ბავშვს.

მე როდესაც ამას ვამბობ სრულიადაც არ ვგულისხმობ იმას, რომ ჩვენმა მწერალმა წმინდა საბუნებისმეტყველო დოგმები გადმოსცენ. ეს საჭირო არაა, მაგრამ არც ის უნდა ხდებოდეს, რომ ფურ-ირემს ქორბუდი აჯდეს თავზე, ან კაჭკაჭს შუა ტყეში აჩხავლებდნენ. საქმე ისაა, რომ კაჭკაჭი ტყის პირის ფრინველია. ჩვენში სურამის ქედის გადაღმა არა გვხვდება. ერთი მწერალი წერდა: „ეზოში კოპიტი და იფნა იზრდებოდაო“, მას ეგონა ორი მცენარე დაასახელა. ეს კი ერთია, დასავლეთში კოპიტად ცნობილი, აღმოსავლეთში კი იფნად.

ამიტომ საჭიროა დიდი შრომა, დიდი ცოდნის შეძენა და ამ ცოდნის მხატვრულად მიტანა ბავშვებამდე.

სამწუხაროდ არც ახალგაზრდა მწერლებში ჩანს საკმაო რაოდენობის ასეთი მწერლები, მაგრამ არც მეცნიერნი ეტანებიან ამ ჟანრს. მართალია ამ უკანასკნელ დროს ყინული თითქოს გალხვა, მაგრამ იგი ჯერ მოჩუხჩუხე ნაკადულად არ გადაქცეულა. ჩვენმა მეცნიერებმა ბავშვისათვის მისაწვდომ ენაზე უნდა აღწერონ თანამედროვე მეცნიერების მიღწევანი, ბუნების მოვლენანი. ეს დიდი და საპატიო მოვალეობაა.

ეს ხარვეზი მალე უნდა გამოსწორდეს და მეც, როგორც თქვენს შორის ხშირად მყოფს, ამ მხრივ, ბევრი მევალება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციო ახალგაზრდა ბუნებისმეტყველებს.

მწერალი, ნიჭიერი ახალგაზრდობა, მარტო ფილოლოგიურ ფაკულტეტზე კი არ უნდა მიდიოდეს სასწავლებლად, არამედ სხვა ფაკულტეტებზეც (საბუნებისმეტყველო, საინჟინრო) ეს ბევრ სარგებლობას მოუტანს მწერალსაც და ხალხსაც.

ერთი ორი სიტყვა მინდა ვთქვა ენის შესახებაც. ბევრი ჩვენი მწერლის ენა ფრიად ღარიბია. ზოგჯერ შიში შემიპყრობს ხოლმე. ასე რომ ვიაროთ 500—600 სიტყვაღა შემოგრჩება ხელში. ერთი ჩვენი მუშაკი მეუბნებოდა „ხალხში თითქმის ვერ ვნახე ბზის ასაღები ხელსაწყოო“. თურმე მას უნდოდა ეთქვა „ფიწალი“. ძველმა მწერლებმა ეს უკეთ იცოდნენ.

შიო მღვიმელი დიდი მწერალი იყო. მისთვის ცნობილი იყო გოდორი, გიდელი, ფიწალი, ტაბიკი და ა. შ. იმიტომ, რომ ის სოფელში გაზრდილი იყო და მის ლექსებში ეს ჩვეულებრივად მოჩანდა, მაგრამ დღეს ისე ჩვეულებრივი აღარაა „ფიწალი“, „ტაბიკი“ და „თავტაბიკი“. რადგან ცხოვრება წინ წავიდა, ჩვენმა ბავშვებმა ეს აღარ იციან. დღეს უკვე ატომია, ბულდოზერია, ბელტიყლაპიას რომ ეძახიან, კოსმოსი და სხვა.

ამიტომ ლექსიკა მდიდრდება ახალი ტერმინებით, ახალი მოვლენებით, რაც კარგად უნდა იქნას ათვისებული. ამავე დროს ძველი ლექსიკური მასალა არ უნდა უგულვებელვყოთ. იგი ან თავის ადგილას გამოვიყენოთ, ანდა სათანადოდ შევუფარდოთ ახალს. ჩვენი მწერალი უნდა გავიდეს ხალხში. შეისწავლოს ენა. გაეცნოს ფოლკლორს, გამოცემულს თუ არქივებში არსებულს, ბევრი მწერლებისათვის დღეს სამწუხაროდ მარტო ეს გზაღაა დარჩენილი.

ერთი სიტყვით, საჭიროა, როგორც მეცნიერთა მოსვლა მწერლობაში, ისე თანამედროვე ჩვენი მწერლების წასვლა მეცნიერებაში და ზოგიერთი რამის შესწავლა, რასაც ისინი მხატვრულად გამოიყენებენ.

თუ გვინდა ვიყოთ ნამდვილი საბავშვო მწერლები, უნდა ვიყოთ ღრმად განათლებული, ჩვენ ბავშვებს წინ უნდა ვუსწრებდეთ, რომ ჩვენი ნაწარმოებები სახალისო იყოს. ამიტომ ჩვენ გვჭირდება ამ მასალის ათვისება ბავშვზე უკეთ.

ბავშვი არის ჩვენი მომავალი, ჩვენი სამშობლო; სამშობლო მარტო მთა და ბარი კი არ არის, სამშობლო ხალხია და ეს ხალხი ქმნის ამ სამშობლოს და ამ ხალხისათვის ღირს ცოტა მეტი ოფლის მოწურვაც.

1970

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

პირველი იმპერიალისტური ომის დასაწყისს, 1914 წელს, ჭაბუკი შევესწარი, ომის დასასრულს კი მისი მონაწილე ვიყავი.

მაშინ სოფლად წერა-კითხვის მცოდნე ცოტა იყო. ჯარისკაცის ცოლებს და დედებს კი ბარათები უნდა მიეწერათ ომში წასულთათვის. წერილებს უწერდნენ: მღვდელი, მამასახლისის მწერალი და ერთი აზნაურის ნაცოლარი. მღვდელი წერილის დაწერაში ერთ ვარიას იღებდა. მწერალი — ერთ ვარიას და 5 კვერცხს, აზნაურის ნაცოლარი — ერთ შულო აბრეშუმს. ეს რომ გავიგე, მეოთხე „მწერლად“ დავდექი იმ განსხვავებით, რომ ჩემი ქაღალდითა და კონვერტით უსასყიდლოდ ვწერდი. ამ კონვერტებს და ქაღალდს სკოლაში ვაგროვებდი, ამხანაგები მეხმარებოდნენ. არდადეგებზე სოფელში რომ ავდიოდი, მოსვენება არა მქონდა, შავებში ჩაცმული ჯარისკაცის დედები, პირახვეული ცოლები ისხდნენ იფნის ჩრდილში და უცდიდნენ თავიანთ რიგს, როდის დავუწერდი. მოდიოდნენ კარის მეზობლები, ზემო და ქვემო უბნელები. მეც ვწერდი და ვწერდი... ხშირად დილით რომ დავიწყებდი, მზე გადაიწვერებოდა და კვლავ ისმოდა: „ახლა მოგიკითხა ჩვენებიანთ ფეფემ, ნახვის ნატვრითა, პირზე კოცნითა, შორიდან ხელის ჩამორთმევითა. ახლა მოგიკითხა სანდრამა“... წერილის დასასრულს მეც მივუწერდი: ახლა მოგიკითხა ამის დამწერმა მეთქი...

ამას წინათ ერთ სოფელში ვიყავი. სკოლის ახალ დარბაზში ხალხი დეპუტატობის კანდიდატს ხვდებოდა. კრება ჯერ არ დაწყებულიყო და მეც სოფლის თავკაცებს ველაპარაკებოდი. ვხედავ ხალხს გამოეყო და ჩვენკენ წამოვიდა მაღალი, ჭაღარაშერეული ქალი. მოდის და იღიმება. გვერდით ორი ლამაზად ჩაცმული ახალგაზრდა მოსდევს.

— გამარჯობა, — მიწვდის ხელს, — ველარ მიცანი? — და რომ შემატყო, ვერ ვიცანი, განაგრძო, — ამ ოროცი წლის წინათ ამათ მამასთან, — მიმითითა ყმაწვილებზე, — წერილებს მიწერდი. ჰო, გაიცანი, ეს ჩემი უფროსი ვაჟი ინჟინერია, ეს კი უმცროსი — აგრონომი, ქალი კიდევ უნივერსიტეტის სტუდენტია.

ხელი მომხვია, დავიხარე და მის ჭაღარა თმებს მოწიწებით ვეამბორე. რომ ამოიხედა, თვალებში ცრემლი უბრწყინავდა.

— დედი, რა გატირებს? — ცოტა არ იყოს, გაიოცეს ბიჭებმა. დედამ კი ბედნიერად გაიღიმა.

— შვილო, ტირილი მაშინ გენახათ, თქვენ რომ პატარები მყავდით, განა ახლა ვტირი?!

*

* *

1914 წლის პირველმა მსოფლიო ომმა სოფელი დააცარიელა. გუთნის მეხრეებად ბალღებიღა დავრჩით. გუთნიდედად ხანში შესული ხვთისო იყო. ახლა თუ ვინმე წამოიღიღინებდა, ისედაც სევდიანი ოროველა უფრო სევდიანად ისმოდა.

სამხრად ხვთისო ხან რა ამბავს იტყოდა და ხან რას. თანაც ისე, თითქოს ამ საქმის ჩამდენი თვითონ ყოფილიყოს.

— აგრე ამბობენ, თეთრი ხელმწიფეც აპირებს ომში ჩარევასო.

— ლურჯმა ხელმწიფემ უკვე იშიშვლა ხმალი! — ჩაურთავდა სიტყვას გოგია, შუამეხრე...

— ჩრდილოელი თუ არ ჩაერია, კიდევ კარგი!.. — შეაწევდა სიტყვას რომელიმე.

მე სკოლაში ნამყოფი ვიყავი და ამიტომ ვიცოდი ვინ ომობდა, ვიცოდი ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრიის შესახებ, ვუხსნიდი, ველაპარაკებოდი, მაგრამ ვერც ხვთისომ გამიგო „ვინ იყვნენ“ ეს ამერიკა და ინგლისი და მე კი დღესაც არ ვიცი ვის გულისხმობდა თვითონ ხვთისო, როდესაც „თეთრ ხელმწიფეს“ ან „ჩრდილელს“ ახსენებდა.

ამასწინათ, შემოდგომაზე, სოფლის თავკაცებთან ერთად

შარაზე მივაბიჯებდი. ახალი მანქანა-ტრაქტორების საოგური არსდებოდა და ადგილი უნდა ამოერჩიათ. სოფლის გარეუბანზე შევჩერდით. მშვენიერი ადგილი იყო და მხიარულად ვსაუბრობდით. ამ დროს მინდვრის გზიდან დატვირთულმა ურემმა გამოუხვია. წინ სრულიად თეთრწვერა მოუძღოდა. სიმინდი მიჰქონდა.

— ორასზე მეტი შრომადღე აქვს. — ამაყად თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ.—ოთხმოცდახუთი წლის არის!— დაუმატა ისე, თითქოს ვიღაცას ნიშნს უგებსო.

ურემი რომ გაგვისწორდა, მეურმე შედგა. ხარებს თავზე ხელი მოუსვა.

— გამარჯობათ! ემტეესი აქ იქნება? კარგია! — პასუხს აღარ დაუცადა, დაგვიდასტურა, ბეჭედი დაჰკრა ჩვენს არჩევანს. გამეხარდა, ხვთისო რომ ასე ჭარმაგად დავინახე. მივედი ხელი მოვხვიე: შემომხედა. მიცნო და გაიცინა.

— გახსოვს ხვთისო ჩემი მეხრეობა და შენი გუთნიდედობა? — შენ რომ თეთრ ხელმწიფეზე ლაპარაკობდი?

— ჰაი, ჰაი, რომ მახსოვს. — გაჩუმდა, ჩაფიქრდა, მერე ეშმაკურად გაიღიმა და დალაგებით მითხრა:

— ამბობენ, ეიზენჰაუერი პარიზში ჩაფრინდა, იქიდან კი ჰოლანდიაში მიფრინავსო, დალესი მალე ტოკიოში გაფრინდებაო. ძაან ფრინავენ, არა? იმათ იფრინონ, ჩვენ კი ტირიფონჰესი ავაშენოთ, ემტეესიც გავმართოთ. ასე, ასე და... თეთრი ხელმწიფეც პატრონს ჩაბარდება და ლურჯი ხელმწიფეც.

მივხვდი, რომ ძველი „თეთრი ხელმწიფის“ პასუხი იყო ხვთისოს სიტყვები.

*

* *

1914 წელს ჩვენს სოფელში ორკლასიანი სკოლა გახსნეს. სკოლას ალიზის ერთოთახიანი შენობა მიუჩინეს. მასწავლებლად 16—17 წლის გოგონა გამოგზავნეს. ერთი წელი სკოლამ მშვიდად გაატარა. მასწავლებელი ყოჩაღი გამოდგა. ბავშვებს სკოლა შეუყვარდათ.

1915 წლის კვირა დღე იყო. ეზოში კუნძზე ვიჯექი და თოხის ტარს ვთლიდი. ეზოში ოფლში გახვითქულმა პატარა სოსომ შემოირბინა და ბარათი გადმომცა (ახლა ის ბალიმა, ხელმოხვეჭილი აგრონომია). „ჩამომეშველეთ, სკოლის დახგრევა უნდათ“, — ეწერა ბარათში. გაოცება ვერც მოვასწარი, წამოვხტი და სკოლისაკენ გავიქეცი. სკოლის წინ ხალხი ჩოჩქოლობდა, ყაყანებდა, ჩავერიე, ვამშვიდებ. ყველაზე მეტად ყვირის და ფაფხურობს ერთი ჭარმაგი გლეხკაცი მიხა.

— შენ გაჩუმდი, ხმა არა გაქვს! ეგრე იმიტომ ლაპარაკობ, სკოლის მასწავლებლობაზე ფიქრობ! გაიგე, რომ ჩვენ სკოლა არ გვინდა! — მეუბნება, ცოტა არ იყოს, უკმეხად.

— მართალია, — ყვირიან სხვები, — არ გვინდა, არა, არა! თითო აბაზი ნავთის ფულიო, მერე შეშის ფულიო და ვინ იცის ხვალ რას იტყვიან. სად არის ამდენი ფული? სადა?

უმწეოდ ვიხედები აქეთ-იქით, მხოლოდ ახლა შევამჩნიე, რომ მასწავლებელი ერთ ჩვენებურ თავკაცს ელაპარაკება, აწითლებულია, ალმური ასდის. თავკაცი მასწავლებელს მალე მოშორდა და ხალხს მიუბრუნდა.

— მაშ დავანგრიოთ სკოლა?!

— დავანგრიოთ, დავანგრიოთ! სად მაქვს ამდენი აბაზები, ნავთის, შეშის ფულიო, ფოსტის ფულიო, ჯანდაბის ფულიო! — ყვირის ნიკა.

— რახან არ გვინდა, აგრე იყოს! მიხა, გამო ბარი დაჰკა! — მიუბრუნდა ხანშიშესული კაცი იმას, ვინც ყველაზე მეტს ლაპარაკობდა და ყვიროდა.

— მე?! მე რად უნდა დავკრა? სხვა არავინ არის?! — უკან დაიხია მიხამ.

— მაშ, ნიკა, შენ გამოდი! — მიუბრუნდა მეორეს.

— ჩემს მეტი სხვა არავინ არის? მე რა ბარის დამკვრელი ვარ?!

ამან გადაწვიტა ყველაფერი. ცალცალკე ბარის დამკვრელი არავინ გამოჩნდა.

სკოლა არ დაუნგრევიათ, მაგრამ 1922 წლამდე ორკლასიანი იყო.

ამ რამდენიმე ხნის წინათ იმ სოფელში ახალი სკოლის შენობის გახსნას დავესწარი. სრული საშუალო სკოლაა. ამ სკო-

ლაში 25 მასწავლებელია. ყველა ამ სოფლელი, ყველა უმაღ-
ლესდამთავრებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საზეიმო სხდომა ჯერ არ დაწყებულა. კარგი დარიგ-ვეობ-
ვების ჩრდილში თავკაცები სხედან. მიიწ-მოიწიეს. მეც მათ
შორის ჩავჯექი. ჩემს გვერდით გათეთრებული მიხა იჯდა. მის-
მა დანახვამ შორეული წარსული მომაგონა.

— ვინაა სკოლის დირექტორი? — ვითომც არ ვიცოდი,
ისე ვკითხე.

— ჩემი შვილიშვილია! — ამაყად თქვა მიხამ.

— შენი შვილიშვილი? ყოჩაღ!

— ეგ რაა, ერთი ექომიცა მყავს, 3 კიდევ უმაღლესში
სწავლობს.

ველარ მოვითმინე, გავუღიმე და მოვაგონე.

— გახსოვს ამ ორმოცი წლის წინათ რა ამბავში იყავ?
გახსოვს?!

— დაიცა. დამანებე თავი. — გაჩუმდა, შემდეგ უცებ
წამოდგა და სკოლის შენობისაკენ გაემართა.

1958 წ.

სიცოცხლის სახსოვარი

ყველას აქვს განვლილი ცხოვრებიდან რაიმე სახსოვარი,
მოსაგონარი და, თუ შემთხვევა მიეცა, ამ სახსოვარზე დიდ-
ხანს ილაპარაკებს. მოიგონებს ყოველ წვრილმანს, არ დაერი-
დება გამეორებას, თუნდაც იმიტომ, რომ მასთან განშორება არ
უნდა.

ერთხელ ხუთი თუ ექვსი ძველი, ჭაბუკობისდროინდელი
ამხანაგი შევიყარეთ. რასაკვირველია, საუბარი მალე ძველ
ამბებზე გადავიდა, ვიგონებდით წარსულიდან პატარა თუ
დიდ შემთხვევებს. ერთი ამხანაგი დიდხანს იყო ჩუმად, მე-
რე, როდესაც ძალა დავატანეთ, გვიამბო ბალადა თავის ცხენ-
ზე. ჯარში არაბული ცხენი ჰყოლოდა, ლამაზი, ჭკვიანი, სწრა-

ფი. სხვას თურმე არ შეისვამდა. ფრონტზე განუყრელი მეგობრები ყოფილან. ერთხელ ჩვენს მეგობარს ოთხი ტყვია წამოსწევია. მძიმედ დაჭრილი ძირს დაცემულა. მაღლა რომ აუხედავს, ცხენს თავი მაღლა აეღო და ჭიხვინებდა, "მეძღვალარაფერი მახსოვსო. გონს ფრონტიდან დაცილებულ ჰოსპიტალში მოსულა. დაიკარგა მისი ჰარილე... ამბავი რომ დაამთავრა, თვალებში ცრემლი შეკნიშნეთ. დამნაშავესავით გაიღიმა. ყველამ განვიცადეთ მისი მოგონება, მაგრამ ერთმა ჩვენთაგანმა ყველას თითქოს ცივი წყალი გადაგვასხა.

— თქვენ რა, მართლა გგონიათ, რომ მაგას თავისი ჰარილე ენანება? არა, მაგას მაშინდელი თავისი თავი, მკვირცხლი, ვაჟკაცური ახალგაზრდობა ენანება, რომელიც წლებმა თან წაიღეს, ვით წყალმა ნაფოტი.

პირველად გვეწყინა, მაგრამ ყველა კი ჩაგვაფიქრა. ალბათ, მართლაც წარსულის მოგონებისას ჩვენი თავი უფრო გვენანება, და გვინდა ისევ განმეორდეს ახალგაზრდობა თუნდაც იმიტომ, რომ ხელახლა მოვიმოქმედოთ კეთილად მოსაგონარი.

მეც ცხოვრების საკმაოდ გრძელი გზა გავლილ და რა გასაკვირველია, რომ ასეთი მოსაგონარი არა ერთი და ორი მქონდეს, მაგრამ ამათ შორის მაინც თავისებური კდემამოსილებით ბრწყინავს უნივერსიტეტის სტუდენტთა ლიტერატურული წრე, „პირველსხველები". თვალწინ მიდგანან თმახუჭუჭა, წვერულვაშ ახლად აღერებული ბიჭები, შვლისთვალება გოგონები. მათთან შეხვედრები დამრჩება ერთ-ერთ უძვირფასეს მოგონებად. დღეს, როცა ჩვენს ცხოვრებას თვალს ვავლებ, ვხედავ, რომ ის პირტიტველა ბიჭები, რომელნიც ოცი წლის წინათ მოკრძალებით შემოდიოდნენ ჩვენს ცხოვრებაში, დღეს უკვე დაბრძენებული მწერლები და მოღვაწენი არიან.

ყველას ვერ ჩამოვთვლი ამ პატარა მოგონებაში, მაგრამ ზოგიერთის გახსენება დაგვარწმუნებს, რომ იმ წრის მოგონება ჩვენთვის ყოველთვის ძვირფასი იყო.

აი, ლიტერატურისა და ენის თეორეტიკოსები, მეცნიერების დოქტორები და კანდიდატები: მაგალი თოდუა, ტარიელ კვანჭილაშვილი, სარგის ცაიშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე, ნოდარ ნათაძე, ზურაბ კაკაბაძე, თენგიზ ბუაჩიძე, ნოდარ ჩხეიძე,

ალექსი ჭინჭარაული, მაია ნათაძე, ბეჟან ბარდაველიძე, შოთა ლომსაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროზაიკოსები: რეზო ინანიშვილი, არჩილ სულაკაური, ნოდარ დუმბაძე, რეზო ჯაფარიძე, თამაზ ჭილაძე, არლი თაყაიშვილი, თენგიზ გოგოლაძე, ლეილა სულხანიშვილი.

დრამატურგები: აკაკი გეწაძე, გიგლა ხუხაშვილი.

პოეტები: ანა კალანდაძე, მუხრან მაჭავარიანი, ოთარ ჭილაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ნაზი კილასონია, ნოდარ შამანაძე, მორის ფოცხიშვილი, შოთა ნიშნიანიძე.

მთარგმნელთა შესანიშნავი პლეადა: თამაზ ჩხენკელი, ალექსანდრე გვახარია, ვახტანგ კეკელიძე, კარლო ქილარჯიანი, გიორგი შახსევანიძე.

რა, ბევრია? ღმერთმა ამრავლოს, მე ხომ მხოლოდ ნაწილი ჩამოვთვალე. ამ ოცი წლის წინათ უნივერსიტეტში დავაკაცებულნი პირნათლად ასრულებენ საქვეყნო საქმეებს.

ერთი მძიმე მწუხარება გამოერევა ხოლმე ჩემს სიხარულში. ამ ბრწყინვალე გუნდს უდროოდ, მოულოდნელად გამოაკლდნენ ნოდარ ჩხეიძე, კარლო ქილარჯიანი, ვახტანგ კეკელიძე. ასეა, ცხოვრება ხშირად მკაცრია და დაუნდობელი.

არა მგონია, რომელიმე ახალგაზრდულ ლიტერატურულ წრეს 4—5 წლის მანძილზე იმდენი შესანიშნავი მწერალი და მოღვაწე მოეცეს, რამდენიც „პირველსხიველთა“ წრემ მოგვცა, ამიტომაა, რომ სიხარულითა და სიამოვნებით ვიგონებ მათთან პირველ შეხვედრებს და დღესაც ისევე ვხვდებით ერთმანეთს, როგორც მაშინ, ოცი წლის წინათ.

ერთ-ერთ სხდომაზე რეზო ინანიშვილი კითხულობდა „სახსოვარს“, ფაქიზად და დიდი სიყვარულით დაწერილი მოთხრობა იყო. გამიტაცა ოცნებამ, ფიქრმა: „უნდა დაიბეჭდოს. გაიზრდებიან, ცხოვრებაში გავლენ“. მეორე დღეს რექტორის კაბინეტში შეიკრიბნენ და გადაწყდა ალმანახი გამოგვეცა და მისთვის „პირველი სხივი“ გვეწოდებინა. ეს იმიტომ კი არა, რომ ვითომ უნივერსიტეტის პირველი კრებული იყო, არა. ეს ალმანახი იბადებოდა იმ ოთახში, სადაც 1914 წელს ქართული გიმნაზიის მოწაფეებმა თავისი ხელნაწერი ჟურნალი „პირველი სხივი“ დააარსეს. ერთ-ერთ სხდომაზე წავიკითხეთ მომავალი ალმანახის წინასიტყვაობა, წრის წევრებმა საბო-

ლოო რედაქციისათვის წაიღეს. შემდეგ სხდომაზე რომ წაეკითხეთ, ბოლო აბზაცი ასე იკითხებოდა: „უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას განზრახული აქვს განაგრძოს ამ ალმანახის გამოცემა ნიჭიერი ახალგაზრდობის შემოქმედებითი მუშაობის წასახალისებლად“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე გამეცინა. რამდენადაც ვიცოდი, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ეს ჯერ გადაწყვეტილი არ ჰქონდა.

— რა, მართალი არაა?! — იკითხა ერთმა.

— რასაკვირველია, მართალია, — ვუპასუხე.

ყველას გაეცინა, თვალები გაუბრწყინდათ და ალმანახი პერიოდულ გამოცემად იქცა. ოთხ წელიწადში ოთხი ტომი გამოვიდა. ამჟამად კი მერვე ტომი მზადდება.

ალმანახში დასაბეჭდი ან საჯაროდ წასაკითხი მასალა წრის გაფართოებულ გამგეობაზე იკითხებოდა. ეს გამგეობა იმ ხანად რექტორის კაბინეტში იკრიბებოდა. მსჯელობა იყო ფრიად მეგობრული, პირდაპირი და პირუთვნელი, არაფერი იფარებოდა, არც ავი, არც კარგი. რაც არ უნდა მკაცრი საუბარი ყოფილიყო, არავინ ნაწყენი არ მახსოვს. ეს საუბარი კი, ხშირად შუაღამე გადავიდოდა და, მაინც გრძელდებოდა. ამ საუბრებს, როგორც ჩანს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, შემდეგში შევამჩნიე, რომ საუბარში გამოთქმული აზრებისა თუ სხვადასხვა მონათხრობის ეპიზოდებზე ლექსები და ნოველებიც იწერებოდა. ეს იყო უაღრესად სასარგებლო შეხვედრები, რადგან, როგორც აღვნიშნე, აქ იყო პირდაპირი და გულწრფელი თქმა სიმართლისა.

არ შეიძლებოდა წრეს მუდმივი ხელმძღვანელი არ ჰყოლოდა და ასეთ ხელმძღვანელად ბესარიონ ჟღენტი დაასახელეს. არც შემცდარან. ბესო იყო და არის ახალგაზრდობის შესანიშნავი მეგობარი და მრჩეველი.

პირველ სხდომაზევე გაგვახარა ნოდარ დუმბაძემ.

როგორ მიყვარს ეს ლომგულთა საბუდარი...
ჩემო ჩანგო, ვაქკაცური დაუკარი,
და თუ ვინმემ ვერ გაიგოს ეს სიმღერა
და ეს ჩემი სიყვარული გაიოცოს,
უთხარით, რომ საქართველომ ამამღერა — დაილოცოს.

შემდეგში ამ ლექსს ხშირად დაიღიღინებდა წრის რომელიმე წევრი სხდომის დაწყებამდე. არჩილ სულაკაურმა ლექსების გარდა პოემაც მოიტანა, რამაც ფრიად გვასიამოვნა.

მიუხედავად ამისა, სრულიად არ ვნანობ, რომ ერთმაც და მეორემაც პროზაში თქვეს თავისი სათქმელი, იმედი მაქვს, კიდევ ბევრს იტყვიან. თამაზ ჭილაძემაც რედაქციაში პირველად მოიტანა ფაქიზი და ლირიზმით სავსე ლექსები, რომელთაც „სამგორის აკვარეულები“ ეწოდა.

ერთ-ერთ სხდომაზე რეზო ინანიშვილის ახალ მოთხრობას ვკითხულობდით.

— რეზო რატომ არაა?

— რეზომ უნივერსიტეტს დაანება თავი, სოფელში დაბრუნდა.

— ??!

გამოირკვა, სახლში ბევრი ჰყოლოდა მოსაელელ-შესანახი. წავიდა, რომ ოჯახს დახმარებოდა.

არჩილ სულაკაურს და ტ. კვანჭილაშვილს დაევალა მოენახათ, მოლაპარაკებოდნენ. წავიდნენ ერთხელ, მეორედ, ვერ იპოვეს. თავი არ დაანებეს. მაინც იპოვეს სოფ. უჯარმაში. სამგორის მშენებლობის საწყობში მუშაობდა. შემდეგ დაუბრუნდა უნივერსიტეტს, ყველას გაუხარდა. შეკრებებზე მორცხვად იჯდა. იშვიათად ამოიღებდა ხმას, მაგრამ მალე გაგვახარა დახვეწილი ოსტატური მოთხრობებით.

ფრონტიდან დაბრუნებულმა ვაჟკაცებმა მოიტანეს გამარჯვების სიხარული და სიამაყე. მათი სახელით აკაკი გეწაძე ამბობდა:

ახლა კი ღობე რა არის,
გადავაბიჯე ბერლინსაც.
და ის მაყრობაც სხვა არის, მე რომ
მაყრობა მეღირსა,
რაიხსტაგიდან ლომგულებს დროშა
მოგვქონდა მოსკოვთან,
დროშას მზის ფერი მოსწონდა,
მზეს დროშის ფერი მოსწონდა.

დღეს, უკვე მისი პიესები იდგმება ბევრგან.

მუხრან მაჭავარიანი შავი ხალათით მოვიდა, საკინძეგახს-

ნილი, მოიტანა „ჭადარს ეტყვის ჭადარი“ — შესანიშნავი, ლალი წყობის ლექსი, და უჩვეულო ფორმის, მაგრამ მუსიკალური, მწუხარებითა და პატრიოტიზმით სავსე „სულხან-საბა ორბელიანი“.

მოგწყინდა განა უნაყოფოდ,
ელჩო, ყიალი?
გულს ნუ გაიტეხ, მუხა კვლავაც
შეიმოსება.

ჯანსუღ ჩარკვიანმა და ოთარ ჭილაძემ დაუღლებული, უხედნი მოზვრებივით სიმღერით შემოდგეს ფეხი და ძალიან მალე ჩაებნენ წრის ფერხულში.

ბიჭებს არც გოგონები ჩამორჩნენ.

ეთერ ბასილაშვილის „ჩემი ძიძა“ ბევრმა იცოდა ზეპირად. ეს ძიძა უნივერსიტეტი იყო, რომელიც

სიმკაცრეში ოთარაანთ ქვრივს
ჩამოჰგავს,
სიუხვეში თინათინსაც გაუსწრებს.

როზა ფეიქრიშვილი მაშინ პატარა დიდთვალება გოგონა იყო, მაგრამ ვაჟკაცურად უმღერდა თავის ხალხს:

ომში ცვდებოდა მერნის ნალები,
ქარი კონავდა ისრების თავთავს,
შენი ნაბარი,
შენი ნახმლევი,
ცხრათავა დევის ნამუხლარს გავდა.

ნაზი კილასონიამ მოიტანა ქართლის მინდვრების სურნელება და მისი გაზაფხულის სინაზე:

შავი კაბა ქართლის მზეზე
გაგიხუნდა
და მზედაკრულ კალთით ვთბები,
დაგიბრუნდა, შენი ბარტყი,
დაგიბრუნდა,
ჩემო ბები.

ანა კალანდაძე?! ანა კალანდაძე მაშინაც ასე თავმდაბალი და მორცხვი იყო... მისი ლექსების რვეული ბიბლიოთეკა და მწერალთა კავშირში სიმონ ჩიქოვანისათვის მიეცა. ეს იყო დიდი აღმოჩენა. ხოტბა და ქება არ დააკლეს. გამოჩნდნენ აუგის მთქმელნიც. შეგვეშინდა გზისთვის არ აეცდინათ. ვისაუბრეთ, რვეულიც მოიტანა. წაიკითხა რამდენიმე ლექსი და პირველ რიგში ის გამეხარდა, რომ მის ნიჭს ვერც ქება და ვერც აუგი ვერას დააკლებდა.

ერთხელ ტარიელ კვანჭილაშვილმა საკმაოდ სქელი რვეული გადმომცა, პირველკურსელი სტუდენტისაა, საინტერესო ჩანსო. წავიკითხე, პიესა იყო. მეორე-მესამე დღეს ტარიელს ვთხოვე, პიესის ავტორი მოეყვანა. ჩემს წინ ზის ხეხელა, დიდთვალება გოგონა. ლამაზ თვალებს შველის ნუკრივით აცეცებდა. ეფიქრებოდა უფროსებთან შეხვედრა. ეს იყო ლეილა სულხანიშვილი.

— ლეილა, არ აჯობებს საბავშვო მოთხრობები წერო? აბა სცადე.

ვხედავ, თითქოს იწყინა. წამწამები აათამაშა.

— ნუ გგონია საბავშვო მოთხრობების წერა იოლი იყოს, საბავშვო მწერლობა ძალიან დიდი საქმეა.

ვისაუბრეთ, იგი თავს აქნევდა მხოლოდ.

წავიდა, არა თქვა რა. როცა შეხვედრისას ვეტყოდი: „როგორაა საქმე. შეგვირიგდი?“ — ეღიმებოდა. ვხედავდი, შეგვირიგდა და მართლაც, კაი ხნის შემდეგ მოგვიტანა საუცხოო საბავშვო მოთხრობები. მალე წიგნადაც დაიბეჭდა და ვარაუდი გამართლდა.

მაგრამ, გოგოებო, თუ ახლა დარბაისელო მანდილოსნებო, უფრო მკაფიოდ და ხშირად გაგვაგონეთ თქვენი ხმა, მოიგონეთ ახალგაზრდა ქალობა.

დიდხანს, დიდხანს შეიძლება ყველა მათგანზე საუბარი, არც მომწყინდება. რად მომწყინდება, ისინი ხომ ჩემს თვალწინ ვაუკაცდებოდნენ. ახლა, როდესაც მათ ვხედავ უკვე ჩამოყალიბებულ, სახელოვან მწერლებად, რომელნიც თავის ნაამაგდარ წინამორბედებთან ერთად ამდიდრებენ ჩვენი ერის საუნჯეს, ჰქმნიან და სჭედავენ ჩვენი ხალხის უკვდავებას, რასაკვირველია, გული სიხარულით მევსება.

მიყვარს მოგონება მათი ჭაბუკობისა, მათი პირველი ნაბიჯებისა არა მარტო იმისთვის, რომ მაშინ დღევანდელზე ახალგაზრდა ვიყავ, არამედ იმისათვისაც, რომ მათში ვხედავდი მათ, ვინც ისინი დღეს არიან.

ეს მოგონება ჩემი სიცოცხლის ერთ-ერთი ძვირფასი სახსოვარია.

1968 წ.

კარგი წიგნი ხვალინდელ კარგ მოქალაქეს ზრდის

ბავშვი ხვალინდელი სამშობლოა; ბავშვია გამგრძელებელი ერის სიცოცხლისა, მისი ტრადიციისა, შემქმნელია და ჩამომყალიბებელი დროის შესაფერისი სიახლისა. სწორედ ამიტომაა, რომ მას უდიდესი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ, საუთუოდ, მისთვის ბევრი უნდა ვიშრომოთ, ერთ-ერთი დიდი მოჭირნახულე ამ საქმეში საბავშვო ლიტერატურაა.

თქმა არ უნდა, ამ მხრივ ჩვენში ძალიან და ძალიან ბევრი გაკეთდა, გვაქვს საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობა, რომელიც ძალიან ბევრს და ამასთანავე ლამაზ წიგნებსა სცემს, გვყავს შესანიშნავი საბავშვო მწერლებიც, ეს უდაოა. მიუხედავად ამისა, არის საკითხები, რომლებიც ჯერ კიდევ გადაწყვეტას მოითხოვენ.

საკვირველია, მაგრამ სიმართლეა, რომ საბავშვო ჟურნალები 60 წლის წინათ მეტი გვქონდა, ვიდრე დღესაა. აი თუნდაც 1911 წელი. თვეში გამოდიოდა „ნაკადულის“ 3 ნომერი. ერთი მოზრდილთათვის — 32 გვერდი და ორ-ორი — მცირეწლოვანთათვის, თვითეული 24 გვერდი, ე. ი. სულ 80 გვერდი, აგრეთვე „ჯეჯილის“ ერთი ნომერი — 32 გვერდის მოცულობით, ის, რაც ახლა გამოდის, ძველის ნახევარიც არ არის.

საჭიროა არსებული ჟურნალების მოცულობის გაზრდაც და ახალი ჟურნალების შექმნაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბავშვო წიგნები, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, ძალიან მცირე ტირაჟით გამოდის, 5—10 ათასი თვითეული. ჩვენში ხუთი ათასზე მეტი სკოლაა, ბიბლიოთეკაში თითო წიგნი მაინც არ იყოს? ბავშვებს? რვაასი ათასი ბავშვია სკოლებში, ყოველ მეათეს მაინც უნდა ჰქონდეს წიგნი. ხშირად ჩივიან — უმაღლესში უცოდინარები მოდიან, განვითარება აკლიათო. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი წიგნის ნაკლებობაა, მოზარდი ვერ კითხულობს, წიგნს ვერ შოულობს. ამ მხრივ სოფლის სკოლებისა და ბავშვების წინაშე ვართ დავალებულნი, რადგან გამოსული წიგნების დიდი უმრავლესობა ქალაქად რჩება.

მეტყვიან — ტირაჟი ძველად ფრიად მცირე იყო. მართალია, მაგრამ ძველად ფრიად მცირე იყვნენ წერა-კითხვის მცოდნენიც. ახლა ექვსი წლიდან ბავშვი უკვე კითხულობს, გვინდა, და არამარტო გვინდა, სავალდებულოა ახალგაზრდა განათლებული და განვითარებული იყოს, მას საჭირო რაოდენობით კარგი წიგნი უნდა მივცეთ. გარდა ამისა, ჩვენი საბავშვო გამომცემლობა სათანადოდ არაა აღჭურვილი პოლიგრაფიული ბაზით, მას უნდა ჰქონდეს, გარდა კარგი სტამბისა, კარგი ფერადი ბეჭდვის სტამბაც.

არაა საკითხავი, რომ კარგი მწერლები გვყავს, ბევრი შესანიშნავი წიგნი იქმნება. მეოცე საუკუნე, თავის ხარკს მოითხოვს. ახლანდელმა ბავშვმა ძალიან ბევრი იცის სამყაროზე, კოსმოსზე, ბუნებაზე, ადამიანზე და მის განვითარებაზე. თანამედროვე ბავშვი ძალიან მალე „მწიფდება“, გონებაც სწრაფად ეხსნება, ახლანდელი უფროსკლასელი ინფორმაციით უფრო მდიდარია, ვიდრე თუნდაც ათი-თხუთმეტი წლის წინანდელი და როდესაც ახალგაზრდისათვის ვწერთ, თვითონ ჩვენ ეს ინფორმაცია სამყაროზე გაცილებით მეტი უნდა გვქონდეს. ამიტომ თანამედროვე საბჭოთა საბავშვო მწერლისათვის საკმარისი არაა ნიჭი და საერთო განათლება, მისთვის საჭიროა ზოგადი განათლების გარდა კონკრეტული დარგების კარგი ცოდნა: ბუნებისმეტყველების, ისტორიის, არქეოლოგიის, ეკონომიკის და სხვ. ყველა ამ დარგის სათანადო დონეზე შესწავლა, რასაკვირველია, გაძნელდება, მაგრამ მწერალმა ნებისმიერად, თავისი შესაძლებლობის მიხედ-

ვით უნდა აირჩიოს ერთ-ერთი დარგი: ფიზიკა და ტექნიკა, ბოტანიკა და ზოოლოგია, ისტორია და არქეოლოგია, ქიმია და სხვა დარგი, შეისწავლოს იგი და მხატვრულად გადმოსცეს ახალგაზრდობას ცოდნა ამ დარგებიდანაც. არავითარ შემთხვევაში არ ვგულისხმობ, რომ მწერალმა შეცვალოს ფიზიკოსი ან ქიმიკოსი, ბოტანიკოსი ან ზოოლოგი, ისტორიკოსი ან ანთროპოლოგი. არა, ამ დარგთა მასალა მან სწორად უნდა გამოიყენოს მხატვრულ ლიტერატურაში. რამდენია სხვაგან ასეთი, ბავშვებისათვის საყვარელი მწერალი.

ცოტა გვაქვს ლიტერატურა მოგზაურობათა შესახებ. კარგი იქნება ჩვენი მწერალი მეტს მოგზაურობდეს, თუნდაც გამომცემლობის ხარჯებით და შემდეგ მხატვრულად აღწეროს ესა თუ ის მხარე, მისი ბუნება, ხალხი, წარსული. ასეთ ლიტერატურას რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვებისათვის, ეს ცხადია, მაშ რაღად ვაყოვნებთ? ბევრი მწერალი იყო საზღვარგარეთ, მაგრამ ჯერ ცოტაა მათი წიგნები ამ მოგზაურობათა შესახებ.

ძალიან სწრაფად მიდის ურბანიზაცია, ბავშვი მოწყდა ბუნებას, ამას ანგარიში უნდა გაეწიოს და ლიტერატურამ უნდა აუნაზღაუროს ის, რაც დაკარგა, ამ მხრივაც ბევრი გვაქვს გასაკეთებელი.

პრობლემათა მთელი ციკლია წამოჭრილი ჩვენი საბავშვო ლიტერატურის წინაშე და იმედია, ჩვენი ნიჭიერი მწერლობა ამას ღირსეულად გადაჭრის.

მხოლოდ საჭიროა თავდადებული შრომა.

1970 წ.

ხელგარაჭიანად!

დიდად საპატიო საქმეა ჩვენი სახელოვანი მეცნიერების სახელით საქართველოს მიწაწყლის მშრომელებს მივულოცო ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა, კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო მესამე ყრილობის დაწყება.

ჩვენი სოფლის მშრომელებს საქმე აქვთ იმ მიწასთან, რომელიც მორწყულია ქართველი ხალხის ოფლით. საქართველოში არ არის არც ერთი მტკაველი მიწა, არ გდია არც ერთი ქვა, რომ იგი განბანილი არ იყოს ქართველი კაცის სისხლით. ხშირად გაგვიგონია, რომ ქართველ კაცს ძველად ცალ ხელში ხმალი ეჭირა, ცალში გუთანიო. და ეს მართალია. ვინ არ შემოგვსევია, ვის არ მოუმდომებია ჩვენი ძირფესვიანად აღმოფხვრა, მაგრამ ბევრი მათგანი დღეს აღარ არის: ქართველი ხალხი, ქართველი მშრომელი კი პირნათელი ხვდება განახლებულ ცხოვრებას და თავისი დიდი წვლილი შეაქვს კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

ქართველი კაცი დაუღალავი იყო თავისუფლებისათვის ბრძოლაშიც და შრომაშიც. არ ასვენებდნენ, მაგრამ თავის მიწაწყალს თავს არ ანებებდა. მას უვლიდა და აკეთილშობილებდა, და რასაც მიწიდან იღებდა, მას ორმაგად უბრუნებდა. რადგან იცოდა უამისოდ იგი უარს იტყოდა სამსახურზე.

შემოქმედებითი შრომის ტრადიცია დღესაც გრძელდება. ქართველმა კოლმეურნემ ქართველ მეცნიერთა მხარში დგომით უმოკლეს ხანში აითვისა სოფლის მეურნეობის ახალი კულტურები. ჩაის მრეწველობამ ჩვენში უჩვეულო დონეს მიაღწია. და აკი მსოფლიოშიც გაითქვა სახელი! ის სახელმწიფონი, სადაც ჩაის მეურნეობა მათი ისტორიის კუთვნილებაა, რჩევა-დარიგებას ქართველ კოლმეურნეთაგან იღებენ.

შემოქმედებითი ცეცხლი არ ჩამქრალა მეთქი, რომ ვთქვი, ეს იმიტომ, რომ ჩვენმა მეცნიერებმა გამოიყვანეს ჩაის მაღალმოსავლიანი ჯიშები (ქს. ბახტაძე). ვაშლის, მსხლის, ატმის მაღალმოსავლიანი და სურნელოვანი ნაირსახეობანი (ელ. ერისთავი, ვ. ბესტავაშვილი, ცერცვაძე), ახალი ვაზები, საქვეყნოდ ცნობილია ნატახტრის სასელექციო სადგურის ნამუშევარი და სხვა მრავალი.

აივსო ქვეყანა ბარაქითა და დოვლათით, დახვავდა მიწისა და ჩვენი კოლმეურნის მარჯვენის მადლი ჩვენს მიწაწყალზე.

არ ჩამქრალა ქართველი კაცის შემოქმედებითი ცეცხლი. იგი ახალმა, ლენინურმა ეპოქამ გააძლიერა, ჩაბერა ახალი

ცეცხლი, და ქართველი მეცნიერების მხარდგომით კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავა ჩვენი სოფლის მეურნეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშ პატივი ვცეთ მიწის მუშაკს, მის შრომას! ბუნებ კი, ჩვენი სოფლის მშრომელებო, მოდით კვლავაც გულდადებით მოუარეთ ჩვენს მიწაწყალს. ამ მიწაწყალმა შეგვინახა მრავალ საუკუნეთა მანძილზე. ჩვენი ვალია ეს სიყვარული დავუბრუნოთ მას. მოვუაროთ, გავუფრთხილდეთ!

1969 წ.

მარად დაუშრობელი მდინარე

მწერლობაზე და პოეზიაზე როდესაც ჩამოვარდება ხოლმე სიტყვა, ჩემი ბავშვობა და ყრმობა მაგონდება. ბიჭები ჩამოვსხდებოდით ლიახვის პირას და გატაცებით შევყურებდით მის ლურჯ ანკარა ტალღებს, მათ დაუსრულებელ დინებას. სად იწყება, ვინ იცის? სად მიდის, ვინ იცის? რა დაუსრულებელია! რა ლამაზია! რა შეედრება ნეტავ მას, მოდის და მოაქვს სიცოცხლე, ხალისი.

იქნება იმიტომ, რომ სიცოცხლისა და სილამაზის შეგრძნება იყო, რომელიმე ჩვენგანი წამოიწყებდა:

— ნიკავ, მომყე:

> იმერეთი მომივლია,
> ქართლი შემიჯერებია,
> არ მინახავს შენისთანა,
> ყელი მოგიღერებია!

ნიკაც არ დააყოვნებდა:

> თუ მოვკვდე, მოვკვდე ხის ძირსა,
> ფოთოლი დამედინოსა,
> მოვიდეს ქალი ლამაზი,
> ზედ ცრემლი დამადინოსა.

— აბა, გია, შენი ჯერია:

ნადარბაზევის ტირილი
ჩამოდის ზარის ხმაზედა,
მე ბულბულები მეგონა —
ქალი ტიროდა ქმარზედა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლირიკულს მოჰყვებოდა საგმირო სასიმღერო.

რად იყო, რომ კამკამა მდინარის პირას სწორედ ლექსები გვაგონდებოდა? ალბათ იმიტომ, რომ ლექსი, პოეზია, წყალი და ქართველი კაცი განუყრელია. ყველაზე დიდი ჯილდო „ღვთის წყალობაა“, სიხარულსაც და მწუხარებასაც ქართველი კაცი ლექსით გამოხატავს. როგორც „წყალობა“ და „ღვთის წყალობაა“ ჩვენი ბუნებისათვის დამახასიათებელი, ისევეა ლექსიც და საერთოდ პოეზიაც. მე არ მეგულება სხვა ხალხური პოეზია, რომელსაც ამშვენებდეს ისეთი შედევრი, როგორიცაა „ვეფხი და მოყმე“.

ამიტომაა, რომ ჯერ კიდევ ბალღებს დაგვაღამდებოდა ხოლმე ლექსაობაში და მჩქეფარე მდინარის ტრფობაში.

რა გასაკვირველია, რომ ყოველთვის ჩვენი მწერლობა, პოეზია, ერის სულიერი ცხოვრების მედროშე იყო.

იმაზე ძნელბედობა რაღა უნდა ყოფილიყო, როგორიც იყო მეთვრამეტე საუკუნე, დ. გურამიშვილის ჩანგის ჟღერა მაინც არ შეწყვეტილა. მეცხრამეტე საუკუნე მეოცე კარიბჭემდე ილიას, აკაკისა და ვაჟას პოეზიის მხრებმა მოიტანეს, მეოცე საუკუნეში მთელმა პლეადამ უმღერა უკვდავება თავის სამშობლოს. უკვდავია იგი იმიტომ, რომ მან ძუძუ წოვა იმ დედისა, რომელიც შოთას უწოვია, ამიტომაა, რომ იგი მოდის დაუსრულებლად, ბარაქიანად, ხვავიანად, ვით ჩვენი მთის მდინარენი. რად მაგონდება ლიახვის ნაპირი? ბალღობა? ლექსაობა? — იმიტომ, რომ იგი უკვდავების სიმბოლოა.

1970 წ.

კიდევ კაი ყმა

ორმოცდაექვსი წლის წინათ ოცდასამი ქართველი ახალგაზრდა, ცნობილი მეცნიერისა და მოღვაწის გიორგი ნიკოლაძის მეთაურობით მყინვარწვერის დასალაშქრავად მიიწევდა

მაღლა-მაღლა. დღე კარგი იყო და ყველა მხიარულად მიიწევ-
და მწვერვალისაკენ. ეს გახლდათ შესანიშნავი, ისტორიული
დღე. საძირკველი ეყრებოდა საბჭოთა ალპინიზმს. ყველა
გრძნობდა ამას და ამიტომ იყო, რომ ყველას დიდი სურვი-
ლი ჰქონდა, უეჭველად ასულიყო და ამ დიდი საქმის დასაწ-
ყისში თავისი წვლილი შეეტანა.

გიორგი დინჯად მიუძღოდა ახალგაზრდებს. ყველა თავის
ფიქრში იყო წასული. ატო აღნიაშვილი კი ხან წინ მოექცე-
ოდა, ხან უკან, ხან ერთს შეაშველებდა ხელს, ხან მეორეს.
ზოგს გაეხუმრებოდა, ზოგს გაამხნევებდა. პატარა ტანისა
იყო, მხრებში ოდნავ მოხრილი, ზედმეტ სიტყვას სხვა დროს
არავის ეტყოდა, იყო წყნარი და უჩინარი, თავმდაბალი.

მთაში ამინდი უცებ იცვლება ხოლმე და იმ დღესაც ისე
მოხდა. წამოვიდა ღრუბელი, ამოვარდა ქარი, ჩაქრა მზე.

აი ამ დროს ეს პატარა ატო ერთიანად გაიზარდა, ყველას,
ყველას უთხრა თბილი სიტყვა, გაამხნევა.

— ვანო მოწყდა!... — გაისმა უკანმავალის ხმა...

ყველა გაშეშდა და მიაშტერა თვალი ვანოს, რომელიც ცი-
ცაბო ფერდობზე მისრიალებდა და მიგორავდა.

ვიღაც ერთი მოსწყდა კიდევ ჯგუფს და გაექანა ქვევით,
გაუსწრო კიდეც მას, ვინც ქვევით, უფსკრულისაკენ მიექა-
ნებოდა. წერაყინი ჩაარჭო თოვლში და სწვდა ვანოს. გაჩე-
რა. ყველამ ამოისუნთქა.

ატო შეუდგა მხარში და ირიბად გამოიყვანა ფერდის ზურ-
გზე. ყველა შემოეხვია.

— ვანო ზევით ვეღარ წამოვა, — თქვა გიორგიმ, — ვინმე
უნდა დარჩეს მასთან.

საშარიისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ჩანდა, უცებ ვერ გადა-
ეწყვიტათ. ატომ აიღო თავი მაღლა და მტკიცედ თქვა:

— მე დავრჩები!..

ეს ისე მტკიცედ იყო ნათქვამი, რომ ხმა ვეღარავინ ამო-
იღო.

ავიდნენ უატოოდ.

განა ატოს ვაჟკაცობას ის არ ეყოფოდა, რომ ამხანაგის
გადასარჩენად თავი არ დაინდო და გადაარჩინა? რასაკვირ-

ველია, ეყოფოდა. მაგრამ კაი ყმა რის კაი ყმა იქნებოდა, რომ აქაც ამხანაგის მოვლის საკითხი თავისაზე მაღლა არ დაეყენებინა.

აი გავიდა ორმოცდაექვსი წელიწადი მას შემდეგ. ეს შემთხვევა მთაში დღესაც მახსოვს, სხვები? მახსოვს, როგორ არ მახსოვს, მაგრამ პირველ რიგში ატო და გიორგი მომაგონდება, რადგან ერთიცა და მეორეც განსახიერება გახლდათ კაი ყმისა.

ქართველი კაცი თავიდანვე დიდი პატივისმცემელი იყო კაი ყმისა. ამიტომ არის, რომ უმღეროდა მას.

მგელი არ მოშლის მგლობასა,
კაი ყმა მამაცობასა.

ან კიდევ:

კაი ყმა მაშინ კარგია,
ხმალი რომ შეიქმნს ელვასა,
მოციქულობდეს ისარი,
შუბი აგდებდეს ენასა.

კაი ყმა ყოველთვის ვაჟკაცი უნდა იყოს, მიუხედავად შეჭურვილობისა, მიუხედავად მდგომარეობისა.

ვაჟკაცსა გული რკინისა,
ფარხმალი თუნდა ხისაო.
ვინც რომ კაცია, — ჩოხა-ჯაჭვია,
ქუდი ნაბდისა — ჩაბალახია.

აი ხედავთ, ვაჟკაცი ყოველთვის ვაჟკაცი უნდა იყოს და მაშინ ნაბდის ქუდიც კი რკინის მუზარადია.

ჩვენი ვაჟკაცობა კი რა არის?

პირველ რიგში კარგად სწავლა. ეს გახლავთ ჩვენი მოვალეობა. ამისათვის გვაქვს კარგი სკოლა, გვყავს მასწავლებელი, დედ-მამა ზრუნავს ჩვენთვის და, რასაკვირველია, ჩვენ რა დაგვრჩენია მეტი, კარგად უნდა ვისწავლოთ. მაგრამ ეს ჩვენი კაცობის გამოჩენის მხოლოდ მცირე ნაწილია.

რა გასაკვირია, რომ კარგად ისწავლო, გარდა ამისა, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიროა კაი ყმაც იყო, ე. ი. გააკეთო იმაზე მეტი, რაც პირ-დაპირ გევალება.

არ უნდა მისცე არავის უფლება, სუსტი ამხანაგი დაჩაგროს, ისე უნდა მოექცეთ მას, რომ დარწმუნდეს, მათი თანატოლი ვარო ყოველმხრივ. თუ რომელსამე საგანში ვერ ასწრებს, უნდა დაეხმაროთ, აუხსნათ, განუმარტოთ და რჩევით, დარიგებით აიძულოთ შეისწავლოს, ერთხელ, ორჯერ და შემდეგ იგი გაგითანასწორდებათ, თქვენთან იქნება. თქვენს ბედნიერებაში ასეთი ქცევა იქნება კაი ყმობა. კაი ყმობა, რომელსაც ჩვენი მამა-პაპა უმღეროდა.

ზოგჯერ თამაშობის დროს ზოგიერთი საერთო ტემპს ჩაბორჩება ხოლმე, ან იმდენი ძალა არა აქვს ფეხში და მკლავში, რამდენიც თქვენ, ან ზოგჯერ მოხერხებულობა აკლია. მერე ეს დასაძრახისია, როგორც ზოგიერთმა იცის? არა. ამ დროს უნდა ეცადოთ, გამოძებნოთ მასში ისეთი რამ, რასაც კარგად აკეთებს და ის შეუქოთ, დაუფასოთ. ზოგი კარგად ხატავს, ზოგი კარგად გალობს, ზოგი კარგად წერს, ზოგს ლექსი ეხერხება და ზოგს — ტანვარჯიში, ამიტომ თქვენ გულთბილი მოპყრობით, რჩევით, დარიგებით, დახმარებით უნდა გაითანასწოროთ.

ამხანაგის ამხანაგობა, მისი ჭირ-ვარამის გაგება, მისი მწუხარების თავის მწუხარებად მიჩნევა — ჩვენს ხალხს სწორედ ასეთი კაი ყმა უყვარდა. პატრიოტობა ის კი არ არის, გაჰკიოდე: ჩემი ქვეყანა მიყვარსო, არამედ ის, რომ ამ ქვეყნისათვის კარგს აკეთებდე, თუნდაც ცოტას, მაგრამ იმაზე მეტს, რაც პირდაპირი მოვალეობაა.

კაი ყმა მაშინ კარგია,
ომშიგათ ამოდიოდეს,
არ იკვეხოდეს ბიჭობას,
სხვათა უქმობას ჩიოდეს.

კაიკაცობა, კაი საქმე არასდროს არავის არ უნდა დააყოვედრო.

1969 წ.

დღეს გასაკეთებელი დღესვე გააკეთე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორმოცდათვრამეტი წლის წინათ შევაღე კარი სასწავლებლისა, რა დიდი დრო გასულა არა? ნახევარ საუკუნეზე რვა წლით მეტი!

მე ადრეც უნდა შევსულიყავ სკოლაში, მაგრამ ჯერ მშობლებმა რაღაც საჭირო მოწმობა ვერ იშოვეს და იმ წელს დავრჩი სკოლის გარეშე. მეორე წელს იშოვეს მოწმობა, მაგრამ იმ წელს მეფის ჟანდარმერიამ დაარბია ქართული სკოლა, სწორედ ის სკოლა, რომელშიც მიპირებდნენ მიბარებას, მოკლეს მისი დირექტორი შიო ჩიტაძე, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და კვლავ დავრჩი სკოლის გარეშე. მხოლოდ 1907 წელს მოვხვდი სკოლაში. ისიც შემთხვევით და დიდი გაჭირვებით...

შევდგი ფეხი სკოლაში და გული სიხარულით აივსო, გული საგულეს აღარ დგებოდა. ბედნიერი ვიყავ! ეს სითბო, ეს სიხარული დღესაც ნათლად მახსოვს.

ძნელი იყო წინათ სკოლაში შესვლა. მე, როგორც ხედავთ, სამ წელიწადს მოვუნდი... მაშინ ჩვენ სოფელში სკოლა არ იყო, მხოლოდ 1914 წელს გახსნეს 2-წლიანი სკოლა. ახლა კი ჩვენს სოფელში უკვე 2 სკოლაა...

ეს სამი წელი, წლები, რომელნიც სკოლაში შესვლის ლოდინის წლები იყო, მომაგონდება ხშირად და განსაკუთრებით სწავლის დაწყების დღეებში რამდენჯერ ჩამწყვეტია გული, რამდენჯერ დამიღვრია ცრემლი, ავტირებულვარ, მაგრამ, მაგრამ ისევ სკოლის გარეშე დავრჩენილვარ.

თქვენი ცხოვრება კი ნათელია და უღრუბლო, თქვენთვის სკოლის კარი ფართოდაა გაღებული, წინ მოსიყვარულე მასწავლებლები გეგებებიან და გისურვებდით, რომ ეს შესანიშნავი თქვენი უღრუბლო ცხოვრება მარადიულად ასე დარჩენილიყოს და რაც მთავარია კარგი შრომით, კარგი სწავლით გეპასუხოთ ასეთი ბედნიერი ცხოვრებისათვის.

სკოლაში როდესაც მივედი, გული რომ საგულეში არა დგებოდა, სწორედ მაშინ მომიახლოვდა ერთი კეთილთვალებიანი კაცი, მომკიდა ხელი და მითხრა:

— აბა წამოდი, შენი კლასი გაჩვენო, — ჩამომხედა მაღლიდან და კეთილად გამიღიმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა პირობა მომეცი, რომ რასაც გასწავლი დაიხსომებ, კარგი?

თავი დავუქნიე „კარგი მეთქი“.

— იცოდე თუ დღეს დაგრჩა უსწავლელი, ხვალ მისი სწავლა გაგიძნელდება, ძველს რომ ახალიც დაემატება, არა? ერთი და ერთი რამდენია?

— ორი, — გაკვირვებულმა ვუპასუხე.

— ჰო და ერთის მორევა უფრო ადვილია ხომ?

ამ კეთილი ადამიანის ეს დარიგებაც ყოველთვის მაგონდება.

თქვენც ბალღებო გახსოვდეთ ეს. ამ დარიგებამ მე ცხოვრებაში ბევრი სიკეთე შემძინა, რადგან მას ვასრულებდი.

თქვენც გისურვებთ სწავლაში და შრომაში დიდ სიკეთეს, მაგრამ გახსოვდეთ იგი თქვენს ხელთაა: „დღეს გასაკეთებელი ხვალისათვის არ გადადოთ“.

1965 წ.

გამარჯობათ ჩვენო მოგზაურებო!

გაიფრინა ჩვენმა ზაფხულმა, დასვენებისა და შრომის ზაფხულმა, ცხრათვალა მზით დამშვენებულმა.

უჰ! რამდენი რამ ნახეთ, რამდენი რამ გააკეთეთ, არა? მერე და რამდენი კარგი საქმე, სასარგებლო ქვეყნისათვის, თქვენი ხალხისათვის! რა, ასეთი შეფასება გადაჭარბებული გეჩვენებათ? ვითომ და რადაო? ყოველი კარგი საქმე, რა გინდ პატარა იყოს იგი, სასარგებლოა ქვეყნისათვის, დიდი სახლი ხომ პატარა აგურით იგება, დიდი საქმეც, საქვეყნო საქმეც, მრავალი პატარ-პატარა საქმით არის გაკეთებული.

საქმე ხომ შრომის შედეგია და შრომა კი, განსაკუთრებით საკეთილო, სასარგებლო შრომა აკეთილშობილებს ადამიანს,

აგრძნობინებს, რომ იგი დიდი ქვეყნის მშენებლობის მონაწილეა. აი ავიღოთ თუნდაც ერთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხალისო შრომადა ჩანს ჯართის შეკრება, მართლაც და ... ჭეჭყილი, ჟანგიანი რკინის თრევა თითქოს ვის რად უნდა, არა? მაგრამ აი ჩვენი რესპუბლიკის პიონერებმა რამდენიმე ათასი ტონა ჯართი შეაგროვეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ჯართისაგან ჩვენ სატრაქტორო ქარხნებს **რამდენიმე ათასი ტრაქტორის** გაკეთება შეუძლია, ან საავტომობილო ქარხანას — **რამდენიმე ათასი ავტომობილისა.**

რა კარგია, რომ მონაწილე ხარ ასეთი დიდი საქმისა. გზაზე რომ ავტომობილი მოქრიალებს შეგიძლიან იფიქრო, რომ მის შექმნაში შენც გიდევს წილი — გესიამოვნა?!

ეს სიამოვნება გაგიძლიერა არაჩვეულებრივმა მგზავრობამ, მგზავრობამ, გონივრულად შედგენილი მარშრუტით, საზაფხულო დასვენებისა და შრომის გეგმით და ამ გეგმის შესრულებით.

გაიარა ზაფხულმა, გაიფრინა და გიხარიათ, რომ ზაფხული სასარგებლოდ გაატარეთ! მარტო თქვენ კი არა, მეც მიხარია და ჩემთან ერთად მრავალს სხვას, ვინც თქვენ ამ ზაფხულის არაჩვეულებრივ მგზავრობას თვალს ადევნებდა.

როგორ არ გაუხარდება კაცს, რომ ბესლეთის სკოლის პიონერებმა მთელი ზაფხული ასე შესანიშნავად გაატარეს! იმოგზაურეს: იყვნენ რიწას გზაზე, ბესლეთის სათავეებში და სხვაგან, ბუნების მრავალ მოვლენას გაეცნენ, დააკვირდნენ, შეადგინეს კოლექცია, გამოიკაჟნენ, მზით გაირუჯნენ.

სკოლაც არ დაივიწყეს, ბაღსა და ვენახს უვლიდნენ, რომ შემოდგომით, როცა სკოლას დაუბრუნდებოდა დიდი და პატარა, ბაღიც და ვენახიც ისე დახვედროდათ, როგორც მოწინავე სკოლასა და რაზმეულს შეეფერება, საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთ!

ამ რაზმის მეორე ჯგუფი კი კოლმეურნეებს შველოდა თამბაქოსა და პამიდორის რგვაში, ერთ ჰექტარზე მეტი დარგეს. ჩვენში, საქართველოში 4 000 სკოლაზე მეტია, თითო სკოლამ რომ 2—3 ჰექტარი რამდენიმე კულტურული მცენარე დარგოს და თესოს, გათოხნოს და გამარგლოს, 10—12 ათასი ჰექტარი იქნება, ეს კი აი რას ნიშნავს, ვთქვათ ეს 12 ათასი ჰექ-

ტარი სიმინდია — მოსავალი სულ მცირე 1.340.000 ფუთი იქნება (20 ცენტ. ჰექტარზე), თუ პურია 864.000 ფუთი და სხვა. მე საშუალო მოსავალი ვიანგარიშე (პური 12 ცენტ.), თორემ თუ ჯიშიანი პურის მარცვალს დათესავთ, კარგად მოუვლით, მაშინ ხომ მოსავალი 20—24 ცენტნერია ჩვეულებრივი!

ზურმუხტოვან აფხაზეთის სოფელ ბესლეთის სკოლას ეხმაურება სამხრეთ საქართველოს, ძველი მესხეთის ლელოვანის სკოლა. მათაც გონივრული გეგმა შეუდგენიათ, კარგად დაუსვენიათ, კარგად უმუშავიათ, მშვენიერი ექსკურსიები ჩაუტარებიათ, ბავრი რამ უნახავთ, ბევრი რამ უსწავლიათ, ცოდნით გამდიდრებულან. ზაფხულში ფერმებში პიონერები მიუმაგრებიათ, რომელნიც უფროსებს ეხმარებოდნენ ცხვარძროხის მოვლაში, მოცადობის* გამოზრდაში, გათიბული თივა შეუგროვებიათ, დაუფოცხიათ, დაუბულულებიათ.

ამითაც არ დაკმაყოფილებულან, 3 ფერმაში კონცერტი გაუმართავთ, უმღერიათ, უცეკვიათ, მხატვრული კითხვით გაურთვიათ უფროსები: დედ-მამა, ბიძა, ძალუა!

აფხაზეთს და ძველ მესხეთს ძველი ალბანეთის მხარე, ლაგოდეხი არ ჩამორჩა, და განსაკუთრებით ვარდისუბნის სკოლის პიონერები. მათაც დაისვენეს, იმოგზაურეს, იშრომეს, იმღერეს და იცეკვეს. აი ამ სკოლის ფრიად მოკლე ანგარიში: დაკრიფეს 300 კგ ყაზანლიყის ვარდი, აკრიფეს 80 კგ ქერის თავთავი, 120 კგ პურის თავთავი, კოლმეურნეებს უშველეს ეთეროვანი რეჰანისა და თამბაქოს დარგვაში, გამოიყვანეს 8 კგ აბრეშუმის პარკი, გამართეს კონცერტი, მოაწყვეს ლაშქრობა და სხვა. მათი კარგი საქმენი რაიონის გაზეთმაც აღნიშნა. ბორჯომის ხეობელებმაც, ახალდაბელმა პიონერებმა — მოუარეს 1,5 ჰექტარ სიმინდს, იმოგზაურეს ბაკურიანის მთებში და სხვა.

ზემო იმერეთის ქორეთის სკოლამ კი შესანიშნავი მხარეთმცოდნეობის მუზეუმი გამართა და მოაწყო, ძველი ახალი მასალით შეავსო, კარგი და ძვირფასი მასალით. მომავალ წელსაც თუ ასე იმუშავებენ ამ მხრივ მათ ბევრი ვერ დაედრება...

---

* მოცადობა — ახალგაზრდა, მოზარდი საქონელი — ხბორები.

მაგრამ განა შეიძლება ამ მოკლე ბარათში ყველა კარგი საქმის ჩამოთვლა?

კარგს ამბავს იწერებიან გურჯაანელები, თბილელებ[illegible] [illegible]ელები, ახმეტელები, ქუთათელები, ცხინვალელებ[illegible] [illegible]ლები, ლენინგორელები და სხვა მრავალი.

ყოველი წერილი ყვავის სიხარულითა და საქმისადმი სიყვარულით.

ერთი შენიშვნა კი მინდა მოგცეთ.

ჯერ ყველამ არ იცით ნახულის გადმოცემა.

ჩვეულებრივ ასე წერთ: „მივედით და ვნახეთ გამოქვაბული“. „ვიარეთ, ვიარეთ და ვნახეთ ტბა“ და სხვ. საჭიროა აწეროთ გზადაგზა რა ნახეთ, როგორი იყო იგი. მაგალითად მე ასე დავწერდი: „ჩვენი მიზანი იყო მდინარის სათავის გამოქვაბული გვენახა. მდინარის ბილიკს ავყევით, გზა ძნელი სავალია, მაგრამ სახალისო, ხშირად გადავდივართ ერთი ნაპირიდან მეორეზე, ზოგან საცალფეხო ხიდია, ზოგან კი გატოპვა გვიხდება, წყალი წელამდე გვცემს, მაგრამ ჩვენ ეს არ გვაშინებს, ისმის სიცილ-კისკისი და ჩვენ მხიარულებას მთის კალთები ეხმაურება.

„მდინარე მიიკლაკნება ვიწრო ხეობაში. ნაპირი ტყითაა შემოსილი, ასწლოვანი წიფლები და ცაცხვები მდინარის პირამდე ჩამოდიან, მდინარის პირას კი მურყანია. უცნაურია, ტყეში ფრინველი არა ჩანს, არც სხვა რამე ცხოველი. ამბობენ ჩვენი ტყე ღარიბია ფრინველითო!

ერთ მდელოზე შევისვენეთ, ისმის მდინარის ჩხრიალი“... და სხვადასხვა.

შეეჩვიეთ ნახულის აღწერას.

ბევრს კარგი კოლექცია შეუგროვებია, მაგრამ ჯერ ბევრმა კარგად არ იცის მასალის შეგროვება. გამგზავრების წინ მასწავლებელს სთხოვეთ, რომ მასალის შეგროვების წესები კარგად გასწავლოთ.

ზოგი ენაში კოჭლობს.

„100 ძირი ვენახი გვაქვსო“. „ვენახი“ კი არა „ვაზი“. „ვენახი“ თანამედროვე ქართულში ვაზის ბაღია (ძველად კი მართალია „ვაზს“ „ვენახი“ ეწოდებოდა). ერთი რაზმეული იწერება: „ამ გზიდან 3 კილომეტრს მანძილზე აღმოჩენილი იქნა

ნამარხი. ეს იყო ჩვენ წელთა აღრიცხვამდე". (თქვენ თვითონ გაარკვიეთ რა შეცდომებია ამ წინადადებებში).

ხერთვისთან ერთმანეთს ერთვის არა ფოცხოვი და ქვაბლიანი, არამედ „ჯავახეთისა" და „არტაანის" წყლები და სხვა. კიდევ შეიძლებოდა ასეთი რამ ჩამომეთვალა, მაგრამ იმედი მაქვს, რომ თუ ასე განაგრძეთ მუშაობა ამ ხარვეზსაც მალე მოერევით. თქვენი პიონერული ნებისყოფა ამის თავდებია.

მაშ განვლილი ზაფხულით კმაყოფილები მივესალმოთ ახალ სასწავლო წელს.

მე კი სულით და გულით გისურვებთ გამარჯვებას ჩემო პატარა გმირებო.

1956 წ.

ჩემო ძვირფასო გოგონებო და ბიჭუნებო!

გეჩქარებოდათ, მაგრამ გაზაფხულმა მაინც დაიგვიანა, დაიგვიანა და მერე როგორ? თითქმის სამი კვირით. მართალია თებერვალმა გაამართლა ლექსი: „თებერვალი დადგა, ხეში წყალი ჩადგა", ენძელამა და ყოჩივარდამაც გაახილეს თვალი, მაგრამ მერე ისევ დაუბერა ცივმა ქარმა, დაჰკრა ყინვამ, წამოვიდა თოვლჭყაპი და შეაჩერა ნამდვილი გაზაფხული. მთელი მარტი ზუზუნებს ცივი ქარი, აპრილმა ცოტაოდენი გაგვახარა, გაიშალა ნუში, ტყემალი, ჭერამი, მაგრამ კვლავ სიცივემ დაჰკრა, აირია თოვლი, წვიმა, ხოშკაკალა ერთმანეთში და შეყინა ყვავილი, ზოგან ნორჩი ფოთოლიც, კვლავ გაჩერდა გაზაფხულის სიმღერა...

გაჩერდა, მაგრამ რა გააჩერებს გაზაფხულის მოსვლას?

იგი მაინც მოვიდა და მორთო მთა და ბარი, დაამშვენა მინდორი და ველი, ბაღი და ვენახი, აშრიალდა ტყე, ლიკლიკსა და ჩუხჩუხს უმატა ნაკადულმა და წყარომ.

და თქვენც ჩემო პატარა მეგობრებო შეგეტყოთ გაზაფხულის მოსვლა, დაამთავრეთ სწავლა და შეჰკარით კამარა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოედეთ ბუნების წიაღს, შესცინეთ ჩვენს ლამაზ ცხრათვალა მზეს.

ან რატომაც არა?

ის ვინც ზამთარში კარგად მუშაობდა, ვინც ახარებდა დედ-მამას და მასწავლებელს კარგი სწავლით, ღირსია კარგი და გონიერი დასვენებისა. გონიერი დასვენება კი იმის საწინდარია, რომ მომავალ წელს სწავლაში კვლავ უფრო კარგები იქნებით, ჯან-ღონით სავსენი, ბეჯითნი.

ბევრს ივლით და ისეირნებთ ტყეში, მთაში, მინდორში, მაგრამ ამ სეირნობის დროს უეჭველად დაკვირვებულებიც იქნებით.

მინდვირიდან, ღია ადგილიდან, ტყეში რომ შეხვალთ, უეჭველად სიგრილეს იგრძნობთ, ქვებზე ხმაურით მოხტის ნაკადული, ჩუხჩუხებს, სიხარულით მიექანება ქვევითკენ. გეხსომებათ, რომ მოტიტვლებულ გორაკებზე ასეთი ნაკადულები არ მოჩუხჩუხებს.

ტყე ინახავს წყალს, გაზაფხულზე, მაშინ, როდესაც ღია ადგილას თოვლი აღებულია, ტყეში იგი ჯერ კიდევ დევს, ნელ-ნელ დნება და მთლიანად მიწაში იყონება. წვიმის წყალი ღია, უტყეო ფერდოზე თუ უცბად ჩამოირბენს, ტყეში თითქმის 80%, თუ მთლიანად არა, მიწაში ჩადის და ზაფხულის თვეებში ნაკადულად გვევლინება. ტყეში ზამთარში უფრო თბილა, ვიდრე ღია ადგილზე, სამაგიეროდ ზაფხულში ღია ადგილთან შედარებით უფრო გრილა.

მარტო ნახვა ხომ არ კმარა. თქვენს სამგზავრო რვეულში აღნიშნეთ რა და რანაირი მცენარენი იზრდება ნაკადულის ნაპირას, რანაირები მის მოშორებით.

თუ ამ მცენარეების ჰერბარიუმსაც გააკეთებთ და მცენარეების სახელსაც წააწერთ, იმ სახელებს, რომელსაც მოსახლეობა უწოდებს, ამაზე კარგი რაღა იქნება. არ გადავიწყდეთ, რომ ჯერ ყველა ტერმინი, მცენარის, ფრინველის, თევზის, ცხოველის, მწერის, მინერალის და სხვათა სახელი ჩაწერილი არ არის, შეკრებილი არა გვაქვს, და შეიძლება სკოლაში ისეთი კარგი და ლამაზი ტერმინი ჩამოიტანოთ, რომელიც ჩვენ არა გვაქვს.

ტყეში ყოველი ხის ნიმუშიც უნდა აიღოთ და მისი სახე-

ლიც ჩაიწეროთ. დააკვირდით ერთნაირი ბალახი ან ფრინველი არის თუ არა წიწვიანსა და ფოთლოვან ტყეებში და სხვა.

შეიძლება ბევრმა თქვენგანმა შორსაც იმოგზაურა. ვთქვათ ცხრამთა გადაიაროს. დასაკვირვებელი აქაც ბევრია.

ტყეს რომ ასცდებით და მთის მდელოზე გახვალთ, დააკვირდით წიფელი ან ნაძვი ზემო ტყის პირში რომელმა ხემ შეცვალა, ზოგან არყსა ნახავთ, ზოგან მთის ბოყვს, მთის მუხას, ცირცელს და სხვას. მთის ტყის ზემო საზღვარზე ისეთი ხეებია, რომელნიც ქვემო ტყეში არ გვხვდება და ბარათ ხომ არ არის და არა.

ასევეა ფრინველიც და მწერიც. ყვავილები ხომ პირდაპირ გაგაოცებენ. შეიძლება მაღლა მთაში ნახო ისეთი, რომელიც ქვევით შეგხვდა, მაგრამ აქ, მთაში უფრო კაშკაშა იქნება. წითლად კიაფობს პირიმზე და ყაყაჩო, ვარდისფერი მედგარა და მთის გვირილა, ცისფრად კენკეშა და მაჩიტა, ლურჯად ღიღილო და ციურა, ყვითლად ბაია და ფურუსელა. გაუშლიათ უზარმაზარი ქოლგები დიყსა და დუცს და ვინ იცის კიდევ რამდენ ლამაზად მოყვავილე მცენარეს, ყველა ესენი უნდა გასინჯო, ნახო როგორი ფესვი აქვს, ღრმად მიდის თუ არა მიწაში? ზოგი ასეთი ლამაზი მცენარე უნდა ამოთხარო კიდეც, შეინახო და წამოიღო, დარგო სკოლის ბაღში, დაამშვენო იგი. ამით შენ მონაწილეობას მიიღებ მცენარის გაკულტურებაში, მოშინაურებაში, შეიძლება ამისათვის ასეთ მდელოზე ღამის გათევაც დაგჭირდეს, მაგრამ მერე რა, ამას რა სჯობიან, ღამე მთაში ულამაზესი სანახავია. ვაჟასაც მოიგონებ, მაგრამ მარტო მცენარე ხომ არ არის აქ: აგერ გულყვითელა ჩიტი, აგერ ბოლოცეცხლაც, თითქოს კუდზე მართლა ცეცხლი წაუკიდებიათო, შეიძლება დეკიანებში გიშერივით შავმა როჭომ შეიფრთხიალოს, ცოტა მაღლა კლდიანებში კი შურთხმაც დაუსტვინოს, ყოველივე ეს უნდა დაიხსომო, ჩაიწერო...

ცოდნა გროვდება თანდათანობით... ყოველი დღე ცოდნის დიდი სალაროა.

ეს ასეა მთაში, მაგრამ ბარში?

ბარსაც ჰყავს თავისი როჭო და შურთხი, კაკაბი, მწყერი, გვრიტი და გნოლი, კენკეშა და პირიმზე, ზამბახი და ტიტა...

ვინც მთაში ვერ წავა და ბარად დარჩება, თავის სოფელში, მასაც ექნება ძალიან ბევრი და კარგი საქმე.

ჯერ ერთი ხანში შესული ხალხისაგან უნდა ჩაწერილ-ერეულ ... ხალხური ლექსები, ზღაპრები, ანდაზები, გამოცანები, მართალია ამ მხრივ ბევრია გაკეთებული, მაგრამ უფრო ბევრი გასაკეთებელია.

თქვენი სოფლის გარემო ბუნებაც არა ნაკლებ საინტერესოა. უნდა მოინახულოთ ბუნების ძეგლები, ისტორიული ძეგლები, ჩვენს მამაპაპათა ნაჭირნახულევი, თუ სადმე ასეთი ძეგლი ზიანდება მათ მიხედვა უნდა, დაცვა და მოვლა. ამის ინიციატორები თუ თქვენ იქნებით, ფრიად სასახელოა.

ითავეთ და დღემდე უყურადღებოდ დატოვებული ძეგლი გაასუფთავეთ, მოაცილეთ ნაგავი, შეაბით კარი, შეაკეთეთ გალავანი და სხვა, ხოლო რჩევა-დარიგებისათვის მიმართეთ გამოცდილ კაცს, მასწავლებელს ან სხვას, ვისაც ამ საქმისა გაეგება.

ყანის მკა იწყება და მორბედი ბიჭისა და გოგოს ხელი იქაც საჭიროა, დიდი დახმარება შეგიძლიათ გაუწიოთ მშობლიურ სოფელს.

მაშ ასე, შევუდგეთ გზას და გვახსოვდეს, რომ მშობლიური მხარის შესწავლა ეს დიდი და საპატიო საქმეა, კარგი და გონიერი დასვენება კი საწინდარია ახალ წელს კარგი მუშაობისა.

1965 წ.

ანგარიში გავუწიოთ ბავშვის ასაკსა და შესაძლებლობას

ცნობილია, რომ ჩვენს სკოლებში ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის რიგზე. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდობის სწავლებაში არსებული სიძნელეები უპირველეს ყოვლისა გამომდინარეობს ზოგიერთი პროგრამისა და სახელმძღვანელოს უვარგისობიდან, ამ პროგრამებისა და სახელმძღვანელოების გადატვირთულობისაგან.

ზემოაღნიშნულის ნათელსაყოფად მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალო სკოლაში ბიოლოგიას დათმობილი აქვს 330 საათი, სახელმძღვანელოები კი შეიცავენ 1 200 გვერდს, ე. ი. ყოველი გაკვეთილისათვის მოსწავლემ საშუალოდ 4 გვერდი უნდა ისწავლოს. ეს, რასაკვირველია, ძალიან ბევრია. მაგრამ საქმე მარტო იმაში არ არის, თვით მასალა და პროგრამაც არ შეეფარდება მოსწავლეთა ასაკს. ბოტანიკა იქნება თუ ზოოლოგია, ფიზიოლოგია თუ დარვინიზმი — ყველა ეს საგანი წარმოადგენს უმაღლესი სასწავლებლის კურსს, შესაფერი მასშტაბით შემცირებულს. საშუალო სკოლაში უმაღლესი სასწავლებლის ძირითადი საკითხები მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინცაა შეტანილი. ცხადია, ეს გარემოება ძნელად შესათვისებელს ხდის საგანს. ამ სახელმძღვანელოებში ბევრი ისეთი საკითხი იხილება, რომლისთვისაც ჯერ სათანადო საფუძველი არ არსებობს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სახელმძღვანელოთა შემდგენელნიც სხვაგვარად ვერ მოიქცეოდნენ, რადგან პროგრამა ითვალისწინებს ყველა საკითხის განხილვას. საჭირო კი იყო ბიოლოგია აგებულიყო ისეთი საკითხების ფართო გაშლით, რომლებიც ბავშვს თვით ბუნების საიდუმლოებაში ჩაახედებდა.

ისმება კითხვა: საჭიროა თუ არა ცალკე საგნად ისწავლებოდეს დარვინიზმის საფუძვლები? ვფიქრობ, დარვინიზმის საფუძვლები ბოტანიკისა და ზოოლოგიის სწავლებასთან ერთან უნდა გადავცეთ მოსწავლეებს, უფრო სწორად, ეს საგნები დარვინიზმის საფუძვლების მიხედვით უნდა ისწავლებოდეს. სამაგიეროდ, ბოტანიკამ და ზოოლოგიამ უფროსი კლასებისკენ უნდა გადმოინაცვლოს. IV—V კლასებში კი ბიოლოგიის სწავლება წარიმართოს ისეთ მასალაზე, რომელიც ბავშვებისათვის გასაგები იქნება.

საშუალო სკოლაში შესასწავლი საგნების მოცულობის სიდიდეზე მიუთითებს აგრეთვე ისტორიის, გეოგრაფიისა და სხვა საგანთა სახელმძღვანელოების მეტისმეტი სისქე. საშუალო სკოლის გეოგრაფიის კურსის შესასწავლად დაწერილია 8 სახელმძღვანელო, რომელიც თითქმის 2 000 გვერდს შეიცავს, ასე რომ, უმაღლესი სასწავლებლის კურსიც კი არ

არის ამდენი (უმაღლესი განათლების სამინისტროს მითითებით უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელო 25 ფორმაზე მეტი არ უნდა იყოს, ე. ი. 400 გვერდი). გამოდის, რომ მოსწავლემ ყოველი გაკვეთილისათვის 6 გვერდი უნდა ისწავლოს (!).

სახელმძღვანელოები უსათუოდ უნდა განიტვირთოს ზედმეტი მასალისაგან, სახელმძღვანელო ბავშვის ასაკის გათვალისწინებით უნდა დაიწეროს და აიგოს. რაკი ჩვენში შემოღებულია სახელმძღვანელოების თარგმნა, ხოლო ზოგიერთი სახელმძღვანელო იმავე საკითხზე ადგილობრივ იწერება, ნათარგმნ წიგნებშიც და ადგილობრივშიც ხშირად ერთი და იგივე საკითხები იყრის თავს, ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა თარგმნისას გათვალისწინებულ იქნას კონკრეტული პირობები.

საქართველოს გეოგრაფიის სწავლება ბევრად მოიგებდა, თუ საქართველოს ფიზიკურ გეოგრაფიას VII კლასიდან და ეკონომიურ გეოგრაფიას IX კლასიდან VIII კლასში გადავიტანთ და მოსწავლეს ერთ მთლიან სახელმძღვანელოს მივცემთ (ეკონომიური გეოგრაფიისათვის საფუძველი ხომ ფიზიკური გეოგრაფიაა). ეს შესაძლებელს გახდიდა 400-გვერდიანი წიგნის ნაცვლად მოსწავლეებისათვის 200—250 გვერდიანი წიგნი მიგვეცა. კონცენტრაცია ერთ კლასში პედაგოგიურადაც გამართლებულია და საგნის შესწავლაც ბევრს მოიგებდა, ვიდრე ის, რომ VII კლასში 1 კვირეული საათი იყოს და IX კლასშიც 1 საათი დავტოვოთ.

ბავშვმა უნდა იცოდეს საერთოდ გეოგრაფია, მაგრამ განსაკუთრებით კარგად — თავისი სამშობლოს გეოგრაფია, მით უმეტეს ახლა, როდესაც სკოლის დამთავრების უმალ იგი უშუალოდ პრაქტიკულ მუშაობაში ებმება. საათების გაზრდის შემთხვევაშიც სახელმძღვანელო მაინც უნდა დაიხვეწოს, საშუალო სკოლისათვის გაკეთდეს.

არც ისტორიის სახელმძღვანელოების მოცულობა ჩამოუვარდება უმაღლესი სასწავლებლებისათვის განკუთვნილ ისტორიის სახელმძღვანელოთა მოცულობას. ამიტომ გასაკვირველი არ არის, როდესაც ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტს ხელში საშუალო სასწავლებლის სახელმძღვანელო უჭირავს. ამ სახელმძღვანელოებში ბევრია წვრილმანი, მეორეხარისხოვანი მასალა, ან მეტად რთული, ბავშვისათ-

ვის ძნელად გასაგები საკითხი; ამიტომაა, რომ მოსწავლეებს ამ საკითხებიდან მინიმუმიც კი შეუთვისებელი რჩებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს მოსწავლე-ახალგაზრდობას უნდა მივცეთ მათ ასაკთან, გონებრივ და ფიზიკურ ძალებთან შეფარდებული სახელმძღვანელოები, ყოველმხრივ დახვეწილი და გაუმჯობესებული სასწავლო წიგნები და მაშინ გაცილებით მაღალ დონეზე დადგება მოსწავლეთა განათლებისა და აღზრდის საქმე.

1958 წ.

ჩვენვე გამოვჭედოთ ჩვენი მომავალი

იური ლერმონტოვი ოცდაშვიდი წლის გარდაიცვალა, ოცდაშვიდისავე გარდაიცვალა ნიკოლოზ ბარათაშვილი. თითქმის ჭაბუკები იყვნენ ჯერაც, მაგრამ საუკუნეზე მეტია მათი სახელები მოწიწებით მოიხსენება.

ამბობენ დავით აღმაშენებელი თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის იყო საქართველოს ჯარს რომ წარუძღვა და დაამარცხა სელჯუკიანთა აურაცხელი ჯარი, ერეკლე ჩვიდმეტი წლისა იყო, როდესაც პირისპირ შეებრძოლა ლეკთა მარბიელთა ბელადს და მოკლა კიდეც, რამაც ბრძოლის ბედი გადაწყვიტა.

ნიკოლოზ დობროლუბოვი (1836—1861) ოცდახუთი წლისა დაიღუპა, ლადო კეცხოველი ოცდაშვიდი წლისა ვერაგულად მოკლეს და აბა მოიგონეთ, რამდენი ამაგი დასდო მან თავის ხანმოკლე, მაგრამ ბრწყინვალე მოღვაწეობით რევოლუციის გამარჯვებას, ჩვენს დღევანდელ დღეს.

დღევანდელი ჩვენი ცხოვრება ამ ახალგაზრდა და მათ მსგავს ადამიანთა შრომის ნაყოფიცაა.

დღევანდელი დღე სჭედავს ხვალინდელ დღეს. დღევანდელი შემოქმედებითი მუშაობა ანათებს ხვალინდელ დღეს, რამდენადაც ბევრი და ამავე დროს მადლიანად გაკეთდება დღეს, იმდენად უფრო ბევრი გაკეთდება ხვალ და მაშასადამე მომავალი განვითარება სამშობლოსი უზრუნველყოფილი იქნება.

ყველა ერს აქვს თავისი ისტორიული წარსულიდან საამაყო რამ. ჩვენ, ქართველები, ვამაყობთ პეტრიწით, იოანე და

გიორგი მთაწმინდელებით, ბექა და ბეშქენ ოპიზრებით, ჩახ-
რუხაძითა და რუსთაველით, საბა-სულხანითა და ვახუშტი ბაგ-
რატიონით, ბარათაშვილითა და ვაჟა ფშაველათი, ილიათი, ნ
აკაკით, ჯვრის მონასტრითა და ვარძიით, გელათითა და სვეტი-
ცხოველით და მრავალი სხვა რამით. რა იქნებოდა ჩვენი
ისტორია, ცხოვრების გზაზე დიდებულ ადამიანთა სინათლე
რომ არ ეფინებოდეს.

„ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“, — ამბობდა სულ-
მნათი ილია და ამ მომავალისათვის არაფერს იშურებდა.

თვითმპყრობელობის შავბნელ ეპოქაში ოდესის უნივერ-
სიტეტის პროფესორი ვასილ პეტრიაშვილი (1846—1908) მე-
ოცე საუკუნის დასაწყისში, ოდესაშივე, ქართულად წერდა
უმაღლეს სასწავლებლის სახელმძღვანელოებს, ეძებდა ხალ-
ხში ტერმინებს, თუ არ იყო ქმნიდა მათ, მან პირველმა შექ-
მნა გამოყენებითი ქიმიიდან და სოფლის მეურნეობის ტექნ-
ოლოგიიდან რამდენიმე დიდტანიანი სახელმძღვანელო. რა აი-
ძულებდა რუსული უნივერსიტეტის პროფესორს ოდესაში,
ყოველმხრივ უზრუნველყოფილს, უნივერსიტეტის რექტორს
ქართულად ეწერა სახელმძღვანელოები მაშინ, როდესაც
იგივე დაწერილი რუსულად, თუ სხვა ენაზე, მას უფრო დიდ
სახელს მოუხვეჭდა. „აიძულებდა“ სიყვარული თავისი ქვეყ-
ნისა, მომავლის დიდი რწმენა და იმედი.

ივანე ჯავახიშვილი ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის პირველ
ათეულ წლებში შეუდგა სამზადისს ქართული უნივერსიტე-
ტის გახსნისათვის. პირველ რიგში შეისწავლა და აღნუსხა
რუსეთის იმპერიაში და დასავლეთ ევროპაში ქართველთაგანი
მეცნიერულად ვინ მუშაობდა (ეს ის დრო იყო, როდესაც
პირველი რევოლუციის შემდეგ რეაქცია პარპაშობდა). რო-
დესაც, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ შესაძლებელი გახ-
და 1918 წლის იანვარში დაარსებულიყო ქართული უნივერსი-
ტეტი, ივანე ჯავახიშვილმა უკვე კარგად იცოდა ვინ მოეწვია
და საიდან. დადგა დრო და ჩვენს ქართულ უნივერსიტეტში
ლექციები თავიდანვე ქართულად დაიწყო.

ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

სამშობლო მარტო გეოგრაფიული კატეგორია არ არის,
არამედ პირველ რიგში ხალხია და ხალხის ინტელექტი რამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენადაც უფრო მაღალია, ფაქიზია, თავის წარსულის აწ-მყოს და მომავლის მოსიყვარულე, იმდენად უფრო ... ულია და უკვდავი, ასეთი ხალხი სარგებლობას მოუტანს არა მარტო თავის თავს, არამედ მეზობელსაც. მისი სინათლე მასაც მოხვდება და დაამშვენებს.

ამ მაგალითებიდან ცხადია თუ რა ეკისრება ყველა ჩვენგანს: პირველ რიგში ერთგულად, პატიოსნად გააკეთოს ის, რაც ევალება მას საზოგადოებისაგან, მშობლებისაგან თუ სხვათაგან. მასზე დაკისრებული საქმის ზუსტად შესრულება არის ის აგური, რომლითაც შენდება ჩვენი ერის უკვდავების ტაძარი. ახალგაზრდისა თუ დავაჟკაცებულის მიერ კარგად გაკეთებული დიდი თუ პატარა საქმე, ემატება ჩვენი მომავლის ცხოვრებას.

ჩვენ ვართ ჩვენი ცხოვრების მჭედლები — და ქვეყნის და თავის ხალხის სიყვარული პირველ რიგში ნიშნავს ამ ხალხისათვის და მომავლისათვის საქმის კეთილად კეთებას.

1967 წ.

ბოტანიკა 50 წლისთავზე

ჩვენი თანამედროვე ბოტანიკური მეცნიერება, ისე როგორც უმრავლესობა საქართველოში, საბჭოთა წყობილების პირმშოა, მეცნიერების განვითარებას და, რაც მთავარია, ამ დისციპლინაში ეროვნული კადრების მომზადებას პირველ რიგში ხელი შეუწყო 1918 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებამ და მასთან საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ჩამოყალიბებამ.

ძველ საქართველოში, შუა საუკუნეებში, ბოტანიკა როგორც ცალკე მეცნიერება არ არსებობდა, ისევე როგორც მაშინდელ ევროპაში, ცნობები მცენარეთა შესახებ სამკურნალო მცენარეთა აღწერასა და მათ გამოყენებას არ სცილდებოდა, ამ მხრივ შესანიშნავია კარაბადინები, სადაც ასეთი

ცნობანი უხვად მოიპოვება. მრავალი ცნობა გაბნეულია სხვადასხვა წერილობით ძეგლშიც. გარდა ამისა, ჩვენში ადრე ბოტანიკოსნენ იყო წალკოტნი და სამოთხენი (სასეირნო ბაღი), რომელნიც იმ დროს თანამედროვე ბოტანიკური ბაღების დანიშნულებას ასრულებდნენ. საქართველოში ერთ-ერთი ასეთი სამეფო ბაღი იყო თბილისში, ლეღვთა ხევში, იქ, სადაც ამჟამად თბილისის ბოტანიკური ბაღია გაშენებული. სხვადასხვა წყაროებით დასტურდება, რომ ბაღში ირგვებოდა როგორც ჩვენებური, ისე უცხოური მცენარეები.

ამის ნათელსაყოფად საკმარისია მოვიყვანოთ თუნდაც ორი წერილობითი ცნობა, აი ამონაწერი ჩვენი დიდი მეცნიერის ვახუშტი ბატონიშვილის უკვდავი „საქართველოს გეოგრაფიიდან"... „და მთა კეჩუთისა და ბოლოლისისა არიან უტყეონი და ხევთა შინა არს არყნალნი და მთა ბალახოვანნი, შამბნარიანი, ყვავილოვანი და წყაროიანი, აქა არს ყვავილი სუმბული, ფერით სპეტაკი, მზგავსი ნარისა და მიწასა და გართხმული, სურნელი ვითარცა ამბარი, და უმეტეს ფშოსანი და ეკლოვანი, 94 მეფემან ვახტანგ (ვახტანგ VI) მიიღო სავარდესა შინა, არამედ არა ჰყო ნაყოფი".

ეს ნიმუშია შინაგანი ინტროდუქციისა, არის აგრეთვე ცნობები რომ ინტროდუქცია ხდებოდა შორეული ქვეყნებიდანაც ვახტანგ მეექვსეს დაუწერია შრომა: „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიის ქმნისა შეკრებილი მეფის ვახტანგისაგან". ვახტანგი ამ წიგნში ნახსენებია მეფედ, ე. ი. წიგნი დაწერილი უნდა იყოს 1716—1724 წლებში, როდესაც ვახტანგი ოფიციალურად მეფე იყო. წიგნი გადაწერილია ვახუშტი ბატონიშვილის მიერ. ამ წიგნის § 37 ეხება ქაფურის ამბავს.

„ქაფურის ამბავი"

„ქაფური ხის ფისია, თვითან ამის ხე მეც მქონდა, რომ ზედ ესხა. ინდოეთიდან მოვა. ორი რიგის მეტი არ იქნება. ერთი წამალში რომ ხმარობენ ის არის, ჯოვდანას ეძახიან, უფრო ბევრია, მარილის თვალსავით (კრისტალი — ნ. კ.) გასჭვირს" (ეს ამონაწერი მოტანილია მ. შენგელიას „ეტიუდებიდან", 1963 წ.).

ეს უკვე იმის უტყუარი საბუთია, რომ მცენარეთა ინტრო-

დუქცია ხდებოდა აგრეთვე უცხოეთიდან. როდესაც ვახტანგი წერს: „თვითონ ამის ხე მეც მქონდა, რომ ზედ ესხა“.

ეს იმას ნიშნავს, რომ ბაღში იგი საკმაოდ კარგად ფლობდილი, უკვე მსხმოიარე ხე ყოფილა.

თვით ვახუშტი ბატონიშვილის შრომაში — საქართველოს გეოგრაფიაში, საქართველოს მცენარეული საფარი წარმოდგენილია იშვიათი სიზუსტით და მთლიანობით. ჯერ ერთი, პირველად მსოფლიო ლიტერატურაში, როგორც ეს ი. ჯავახიშვილმა აღნიშნა თავის „საქართველოს ისტორიაში“, კულტურული მცენარეულობის ზონები ვახუშტიმ მოგვცა. მან საქართველოში კულტურულ მცენარეთა შემდეგი ზონები გამოყო: ნარინჯ-თურინჯისა, ბრინჯ-ბამბისა, ვაზისა, ხილეულისა, პურეულისა და სხვანი.

როდესაც ვახუშტი საქართველოს მცენარეულობას იხილავს, მას ამისათვის ჩამოყალიბებული აქვს ფორმალები. ასე, მაგალითად: „შამბ-შროშან-ბალახიანი“, „შამბ-შროშანიანი“, „ბალახ-ყვავილოვანი“, „ყვავილოვანი“. ასეთი ფორმულა — ტერმინი, რომელ ადგილისათვისაც აქვს გამოყენებული, ზუსტად ასახავს ამ ადგილის მცენარეულობას. „შამბ-ბალახ-შროშანიან-ყვავილოვანი“ უდრის თანამედროვე ბოტანიკოსთა „სუბალპების მაღალ ბალახეულობას დასავლეთ საქართველოში, „შამბიანი“ — მაღალ ბალახეულობას აღმოსავლეთ საქართველოში, „ბალახ-ყვავილოვანი“ — სუბალპურ მდელოს და „ყვავილოვანი“ — ალპურ მდელოს. ასევე შეიძლება მივუყენოთ ეს ფორმულები ჩვენი მცენარეულობის სხვა ჯგუფებს. და როდესაც ამ ტერმინების მიხედვით აღინიშნება რუკაზე მცენარეულობა, საქართველოს ტერიტორიაზე შესანიშნავად ისახება ველური მცენარეულობის ზონები. სადაც ქვევიდან ზევით ვარჩევთ, ნახევარ უდაბნოს, ველს, ძეძვიანს, ნათელ ტყეს, ვაკის ტყეებს, მთის კალთების ტყეს, არყნარს, შამბ-ბალახ-შროშანიანს, ბალახ-ყვავილოვანს, ყვავილოვანს, მთას „ყინულით შეკვერცხილს“ (მარადი თოვლი — ნ. კ.).

ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ, მართალია, თანამედროვე ტიპის მეცნიერება ძველად არ ყოფილა ჩამოყალიბებული, მაგრამ ცნობები მცენარეთა სიცოცხლისა და მათი განვითარების კანონზომიერებაზე, ეკოლოგიაზე, კარგად იყო

განვითარებული. და დღევანდელი ჩვენი გეობოტანიკური კვლევანი აგრძელებენ, ავითარებენ ჩვენშივე ჩამოყალიბებულ შეხედულებებს, თუ ვახუშტის მცნებანი მაშინდელ ევროპაში არ გავრცელდა, ეს იმიტომ, რომ მისი „საქართველოს გეოგრაფია“ ერთი საუკუნე დაუბეჭდავი იდო, დაიწერა 1742 წ., დაიბეჭდა ფრანგულ-ქართულ ენებზე მხოლოდ 1842 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთვრამეტე საუკუნეში საქართველოს მიეძალნენ ევროპელი მეცნიერნი (ერეკლე მეორის დროს — გიულდენშტედტი) და რუსეთის სამეფო კარის მიერ მოვლენილი მეცნიერი — მზვერავები (გიორგი XII-ის დროს — მარშალ ბიბერშტეინი). მათი ძირითადი ამოცანა იყო შეესწავლათ საქართველოს ბუნებრივი საწარმოო ძალები.

1801 წლიდან თბილისის გარეუბანში ლეღვთახევში მდებარე სამეფო ბაღი რუსეთის ჯარის სარდლობის ხელში გადავიდა და „სალდათთა სასეირნო ბაღად“ გადაიქცა, ხოლო XIX საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან ეს ბაღი ბოტანიკურ ბაღად გარდაქმნეს. ამავე ხანებში თბილისში დაარსდა კავკასიის მუზეუმი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ჩვენი სასიქადულო მწერალი რაფიელ ერისთავი. ამ დაწესებულებებმა, განსაკუთრებით სამოცდაათიანი წლებიდან, მრავალი მეცნიერი მიიზიდა რუსეთიდან (ჰ. რადე, ი. მედვედევი, ა. როლოვი, მაქსიმოვი, ვორონოვი და სხვანი). მათ მრავალი შრომა გამოაქვეყნეს და კავკასიისა და საქართველოს შესწავლას დიდი ამაგი დასდეს. ბოტანიკურ ბაღში განსაკუთრებული საქმიანობა გაჩაღდა მას შემდეგ, რაც მეოცე საუკუნის დასაწყისში მუშაობა დაიწყო რუსეთიდან ჩამოსულმა ახალმა ნაკადმა. მათი მუშაობის ძირითადი მიმართულებანი იყო: ფლორისტიკა (დ. სოსნოვსკი, ა. გროსჰეიმი), გამოყენებითი ბოტანიკა (ვ. ეუკოვსკი — ხორბლეული, ლ. დეკაპრელევიჩი — სელექცია), საკვები ბალახები (ნ. ტროიცკი), ფოტოპათოლოგია (ვ. ნაგორნი), ალგოლოგია, მიკოლოგია (ნ. ვორონიხინი), მცენარეთა ანატომია-ფიზიოლოგია (ნ. მაქსიმოვი, ვ. ალექსანდროვი). ამ ცნობებიდან ჩანს, რომ ბოტანიკის ძირითადი დარგები ბოტანიკური ბაღის განყოფილებებში საკმაოდ ძლიერად გამოიყურებოდა, მაგრამ მათ გვერდით შეიმჩნეოდა, რომ თანამშრომელთა შორის ადგილობრივი კადრები არ ჩანდა. 1911—

1914 წლამდე ამ დაწესებულების მუშაკთაგან არც ერთი ქართველი არ ყოფილა. 1911 წელს პირველად ფეხი შედგა ქალთა უმაღლესი კურსების სტუდენტმა ლ. კემულარიამ (ყოფილად ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ლ. კემულარია-ხათაძე) და 1914 წელს ხარკოვის უნივერსიტეტის რექტორისა და ბოტანიკის კათედრის გამგის პროფ. არნოლდის ჩარევის შედეგად კოლექტორად მიიღეს ზაქარია ყანჩაველი (შემდეგში უნივერსიტეტის პროფესორი და 1932 წლამდე გარდაცვალებამდე ბოტანიკის კათედრის გამგე) და ბუაჩიძე, რომელმაც 1920 წლიდან დაანება თავი ბოტანიკაში მუშაობას.

უნივერსიტეტში (1918 წ.) საბუნებისმეტყველო და აგრონომიული ფაკულტეტების ჩამოყალიბების შემდეგ დაიწყო ადგილობრივი კადრების მომზადება ბოტანიკასა და საბუნებისმეტყველო დარგებში.

უნივერსიტეტში პირველი ლექცია ბოტანიკაში პროფ. ს. ქურდიანმა წაიკითხა. იგი მეტყევე იყო, მეტყევეობის კათედრასა და მის განვითარებაზე უხდებოდა ზრუნვა. მალე ეს კათედრა დაიკავა ცნობილმა მეცნიერმა, ორმაგი განაყოფიერების აღმომჩენმა, პროფესორმა ს. ნავაშინმა, რომელსაც ასისტენტობდა ზ. ყანჩაველი. ზაქარია ყანჩაველმა, ქართული ენის კარგმა მცოდნემ და ხალხში გაზრდილმა, თავიდანვე დიდი ყურადღება მიაქცია (ჯერ კიდევ 1915 წლიდან) ქართული ტერმინოლოგიის შეკრება-დამუშავებას. 1918 წელს ზ. ყანჩაველმა არამც თუ ქართულად ჩაატარა პრაქტიკუმი (ს. ნავაშინი ლექციებს რუსულად კითხულობდა), არამედ, გამოსცა მცენარეთა სასწავლო სარკვევი და ბოტანიკის პრაქტიკუმის რვეული. ს. ნავაშინი კათედრის საქმეებში არ ერეოდა. 1921 წელს მან კათედრას თავი დაანება და ორი წლის შემდეგ რუსეთში დაბრუნდა. კათედრას სათავეში ჩაუდგა ზ. ყანჩაველი. ამ დროიდან, 1921 წლიდან, ლექციების კითხვაც ქართულად მიმდინარეობდა. 1925 წლისათვის კი მან (ზ. ყანჩაველმა) იმდენად ტიტანური მუშაობა ჩაატარა, რომ დაწერა უმაღლესი სასწავლებლების ბოტანიკის სახელმძღვანელო ორ დიდ ტომად, რომლებიც გამოქვეყნდა 1927 წელს. სახელმძღვანელოს შემდგენლის წინაშე დიდი პრობლემა იდგა — რა ტიპის სახელმძღვანელო უნდა შექმნილიყო: სპეციალური

ბიოლოგებისათვის თუ კომპლექსური, შედარებით-ენციკლოპედიური, რომელიც თანაბრად გამოადგებოდა ბიოლოგებს, აგრონომებს და მედიკოსებს? ავტორი ამ უკანასკნელ-ყურადღებ-ტზე შეჩერდა. ეს იყო წიგნი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ბოტანიკურ ქართულ ლიტერატურას. ამას აგრეთვე დაეხმარა ა. გროსჰეიმის, დ. სოსნოვსკის და ნ. ტროიცკის „საქართველოს მცენარეულობის" ქართული თარგმანი, რომელშიც ფართოდაა გამოყენებული ქართული ხალხური გეობოტანიკური ტერმინოლოგია. დღეს ხმარებული გეობოტანიკური ტერმინოლოგია ძირითადად ამ წიგნიდან მომდინარეობს. ზ. ყანჩაველმა შემოიკრიბა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტები და მათი დახმარებით ხალხში დაიწყო შეკრება ქართული ბოტანიკური და საერთოდ ბუნებისმეტყველური ტერმინოლოგიისა. ამ მასალამ დიდი სამსახური გაუწია ჩვენში ბოტანიკის შემდგომ განვითარებას.

1921 წელს ჩატარდა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ღონისძიებაც. საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატის საცდელი საქმის გამგემ გიორგი რცხილაძემ, რომელიც აგრონომიულ ფაკულტეტზე ლექტორადაც იყო მიწვეული (შემდეგ აგრონომიული ფაკულტეტის მდივანი და მისი სულის ჩამდგმელი იყო), დაიბარა ოცდაათამდე სტუდენტი და გაგზავნა მაშინ არსებულ საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებებში: ბოტანიკური ბაღის 4 განყოფილებაში (სისტემატიკის, ანატომია-ფიზიოლოგიის, გამოყენებითი ბოტანიკის და უმნარეთა დაცვის სადგურში და ჩაარიცხვინა თანამშრომლებად, ნარეთა დაცვის სადგურზე და ჩაარიცხვინა თანამშრომლებად, ე. ი. ამისათვის ამ დაწესებულებებს მისცა შტატი და სათანადო სახსრები. მაინცდამაინც პირველად დიდად ხელგაშლილი არავინ დაგვხვედრია, თუმცა ყინული ნელ-ნელა გალხვა და უმრავლესობა, ამ პირველი ნაკადიდან, მეცნიერმუშაკებად ჩამოყალიბდა, რომელთაგან ბევრი დღესაც ნაყოფიერად მუშაობს როგორც ბოტანიკაში, ისე სხვა დარგში.

ოცდაათიანი წლებისათვის უკვე ჩამოყალიბდა რამდენიმე კერა, სადაც ბოტანიკური კვლევა მიმდინარეობდა. მათ შორის მთავარი იყო და არის ბოტანიკური ბაღის ზემოდასახელებული განყოფილებანი. შემდეგში, 1934 წლიდან ბოტანიკის ინ-

სტიტუტი, რომელიც ჩამოყალიბდა ბოტანიკური ბაღის ძირითადი ლაბორატორიების ბაზაზე; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრა და მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის კათედრა; სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შესაბამისი კათედრები, საქართველოს მუზეუმის ბოტანიკური განყოფილება და 3 ბოტანიკური ბაღი: თბილისის, ბათუმისა და სოხუმის.

ყველა ამ დაწესებულების წინაშე თავიდანვე ერთი ძირითადი მიმართულება დაისახა — ქართული ტერმინოლოგიის დადგენა, ქართულად ლიტერატურის შექმნა და ჩვენი ქვეყნის მცენარეების ინვენტარიზაცია-სისტემატიკა. მიუხედავად იმისა, რომ კვალიფიციური კადრებით უფრო ძლიერი იყო ჯერ ბოტანიკური ბაღი, შემდეგში ბოტანიკის ინსტიტუტი, გარკვეული პირობების გამო, მიმართულებას მაინც უნივერსიტეტი აძლევდა, მით უმეტეს, რომ უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრის გამგე ზ. ყანჩაველი 1927-დან 1932 წლამდე იყო ბოტანიკური ბაღის დირექტორიც.

1932 წლის ბოლომდე უნივერსიტეტში ბოტანიკას ძირითადად სისტემატიკურ-ფლორისტიკური მიმართულება ჰქონდა, რომელსაც გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა ზ. ყანჩაველი. მძიმე იყო ზ. ყანჩაველის დაკარგვა, მაგრამ მუშაობა მაინც ერთხელ აღებული ტემპით მიმდინარეობდა.

1933 წელს ფაკულტეტების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი — ბიოლოგიური, ქიმიური და გეოგრაფ-გეოლოგიური განყოფილებებით. ახალმა მდგომარეობამ საჭიროდ გახადა კათედრის მუშაობის იმგვარად გარდაქმნა, რომ მას მაქსიმალურად შეეწყო ხელი შესაფერისი კადრების აღზრდისათვის, საჭირო გახდა დიფერენცირებული სწავლება. თანამედროვე მეცნიერება ბიოლოგიური, განყოფილებისათვის ველარ ეტეოდა ისეთ კომპლექსურ საგანში, როგორიცაა ბოტანიკის ძირითადი კურსი და კათედრის მუშაობაში თანდათანობით ჩაება ჩვენში ამ დროისათვის უკვე წამოზრდილი კადრები. 1934 წლიდან მარტო ბოტანიკის ძირითადი კურსი კი არ იკითხებოდა, არამედ კათედრა უკვე აერთიანებდა 14 საგანს. მცენარეთა მორფოლოგიას, გეობოტანიკის და ა/კავკასიის მცე-

ნარეულ საფარს კითხულობდა კათედრის გამგე ნ. კეცხოველი, მცენარეთა ეკოლოგიას — პროფ. ვ. გულისაშვილი, მორფოლოგიას — პროფ. დ. სოსნოვსკი, მცენარეთა ფიზიოლოგიას და სისტემატიკას — დოც. ალ. მაყაშვილი, ფოტოგეოგრაფიას — დოც. მიხეილ სახოკია, აკლიმატიზაციას და დენდროლოგიას — დოც. ვ. მირზაშვილი, მიკოლოგიას — დოც. ლ. ყანჩაველი, მცენარეთა ფიზიოლოგიას — ქს. ცხაკაია, მცენარეთა ანატომიას — ქ. აბესაძე (ორმოციან წლებიდან ანატომია-ფიზიოლოგია ცალკე კათედრად ჩამოყალიბდა). ამავე ხანებში ჯერ ლაბორანტებად, შემდეგ ასისტენტებად მუშაობდნენ: ვ. შეროზია (დაიღუპა სამამულო ომში), ალ. ლორთქიფანიძე, ალ. კახაძე, გ. მთვარაძე (დაიღუპა სამამულო ომში), ა. ხარაძე, ქ. გაჩეჩილაძე, ქ. ბექაია, ნ. ანელი, ე. შანიძე, ე. ცხადაია (ეს ოთხი უკანასკნელი შემდეგ მცენარეთა ფიზიოლოგიისა და ანატომიის კათედრაზე გადავიდნენ), ქ. სანაძე, თ. ჯიბლაძე, გ. მელია, ო. კეცხოველი, ალ. ერქომაიშვილი, ზ. შენგელია, გ. მუშკუდიანი, სტ. დოლიძე (დაიღუპა სამამულო ომში), რომელთა უმრავლესობა კვლავ ნაყოფიერად განაგრძობს მუშაობას ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში.

ამ დროისათვის უნივერსიტეტის კათედრის ირგვლივ შემოიკრიბა 26—28-კაციანი კოლექტივი, რომელიც ფრიად ენერგიულად მუშაობდა. იმ ხანებში დაარსდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი რომელთანაც ჩამოყალიბდა კათედრა; სატყეო ინსტიტუტთანაც დაარსდა ბოტანიკის კათედრა და ამ კათედრის თანამშრომელთაგან ფრიად ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა მცენარეთა ანატომიაში იოსებ ჩხუბიანიშვილმა. გარდა ამისა, სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც ჩამოყალიბდა კათედრები, რომლებიც კადრებით სავსებით უზრუნველყოფილი იყო.

1934—1935 წლებში ჩამოყალიბდა ბიოლოგიის ფაკულტეტი ორი განყოფილებით — ბოტანიკური და ზოოლოგიური. საამისოდ წინასწარ ჩატარდა ერთგვარი მოსამზადებელი მუშაობა, რაც უმთავრესად კადრების მომზადებით გამოიხატა. ჯერ კიდევ 1929—1930 წლებში კათედრასთან დატოვეს ახალგაზრდები (ალ. ლორთქიფანიძე, შ. ნახუცრიშვილი და სხვ.). ზოგი მათგანი 1935 წლიდან მიავლინეს ლენინგრადში,

საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტში სამუშაოდ. ამ დროისათვის მრავალმა მათგანმა დაიცვა დისერტაცია ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად (ალ. ლორთქიფანიძე, შ. ნახუცრიშვილი, გ. მთვარაძე, დ. გრიგორაშვილი, ქ. გაჩეჩილაძე, ქ. სანაძე, ლ. კემულარია-ნათაძე, ა. პაპავა, გ. შეროზია, მ. შანშიაშვილი და სხვ.). გარდა ამისა, ლაბორანტებად დატოვეს ნიჭიერი და საიმედო ახალგაზრდობა, რომელნიც განსაზღვრული მუშაობის შემდეგ შეძლებდნენ ასისტენტობას და მოემზადებოდნენ მეცნიერული მუშაობისათვის. დავიწყებული არ იყო აგრეთვე ბოტანიკური ბაღიც. როგორც უკვე აღინიშნა, ბოტანიკური ბაღის სათანადო განყოფილებებში მზადდებოდა და მუშაობდნენ ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკები, მართალია, ბაღებში და ბოტანიკის ინსტიტუტში პირველ ხანებში მაინც ძნელდებოდა ადგილობრივი კადრების მომზადება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფიზიოლოგიის და გეობოტანიკის განყოფილებებში მაინც ჩაებნენ ახალგაზრდები, რომლებიც სპეციალდებოდნენ ბოტანიკის სხვადასხვა დარგში. ამ ინსტიტუტის ლაბორატორიებში გაიზარდნენ აკადემიკოსი ლ. ჯაფარიძე (ფიზიოლოგიის განყოფილების გამგე); ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორები: თ. კეზელი. თ. სულაკაძე, ნ. ანელი, ლ. კემულარია-ნათაძე, ი. მანდენოვა, ი. თუმაჯანოვი, ა. ხარაძე (სისტემატიკის განყოფილების გამგე), აგრეთვე ალ. სანაძე მ. ტიმოფეევი, ალ. ტიმოფეევი და სხვები.

1933—1934 წლებში ხშირად იმართებოდა უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრის ღია სხდომები. ერთი წლის განმავლობაში წაკითხულ იქნა 30-მდე მეცნიერული მოხსენება. ამ პერიოდში ბოტანიკის კათედრა ერთადერთი დაწესებულება იყო, სადაც სისტემატურად იმართებოდა საჯარო მოხსენებანი და პაექრობა ბოტანიკის მეცნიერების ირგვლივ.

მოხსენებას სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე კითხულობდნენ არა მარტო საქართველოს მეცნიერნი, არამედ, ა/კავკასიისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებიდან ჩამოსული მეცნიერები. ასე მაგალითად, ბაქოდან პროფ. ალ. გროსჰეიმი, ერევნიდან — პროფ. ნ. ტროიცკი (ორივე თბილისიდან ოცდაათიან წლებში წავიდა), ლენინგრადიდან — ნ. ბუში,

ე. ბუში, ვ. ალექსანდროვი და სხვები. ეს სხდომები ნამდვილი მაღალი ტიპის სიმპოზიუმი იყო, სადაც იხილებოდნენ ჩვენი მეცნიერების თანამედროვე პრობლემები. ამან [illegible] ყო ხელი და ერთგვარი გეზი მისცა საქართველოს მცენარეულობის კვლევის საკითხებს. ეს გეზი შემდეგ ძირითად საკითხებში გამოისახა.

1. საქართველოს ძირითადი მცენარეული საფარის განვითარების დინამიკა და ამასთან დაკავშირებით მცენარეული საფარის რეკონსტრუქცია დღევანდელი მეურნეობის განვითარების დონეზე;

2. საქართველოს მცენარეული საფარის, როგორც ბუნებრივი საწარმოო ძალის, ათვისება.

ეს გეზი დაისახა კათედრის ღია სხდომათა ციკლზე და საქართველოს ბოტანიკურმა მეცნიერებამ სახელმძღვანელოდ მიიღო. ამ გეზმა დაგვანახვა, რომ საჭირო იყო ბოტანიკის სხვა დარგების განვითარება (ლიქენოლოგიის, ბრიოლოგიის, ალგოლოგიის და სხვათა). დაახლოებით 1935—1940 წლებიდან დაიწყო სათანადო კადრების მომზადება და დღეს ჩვენ გვყავნან ამ დარგში მომუშავენიც. ბოტანიკის ინსტიტუტში არსებობს უმდაბლეს მცენარეთა განყოფილება (გამგე ი. ი. ნახუცრიშვილი); ბოტანიკური ბაღის ლაბორატორიებში დავაკაცდა აკადემიკოსი ლ. ყანჩაველიც, რომელიც ამჟამად ხელმძღვანელობს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტს, სადაც შემოკრებილია ქართველ მიკოლოგთა ძლიერი კოლექტივი.

გარდა ამისა, აღნიშნულ მოხსენებათა და პაექრობათა შემდეგი დიდი მნიშვნელობა ისიც იყო, რომ მან, ერთი მხრივ, გამოამჟღავნა ბოტანიკურ მეცნიერებაში მუშაობის სურვილი, შესაძლებლობანი და საამისო ფართო პირობანი, მეორე მხრივ კი, სასურველი გზით წარმართა კადრების მომზადების საქმე.

ამ დროიდან გარკვეულად ჩამოყალიბდა არა მარტო უნივერსიტეტში, არამედ საქართველოში ორი მიმართულება — გეობოტანიკური, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბოტანიკის კათედრა და ბოტანიკის ინსტიტუტის გეობოტანიკის განყოფილება და სისტემატიკური, რომელსაც მეთაურობდა ბოტანიკის ინსტიტუტის სისტემატიკის განყოფილება.

თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ დარგებში მუშაობა სხვაგანაც არ მიმდინარეობდეს (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, თბილისის, სოხუმის, ბათუმის ბოტანიკურ ბაღებში, საქართველოს მუზეუმში, სატყეო ინსტიტუტში, მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში და სხვ.).

საქართველოს ბოტანიკოსები ოქტომბრის რევოლუციის დიად დღესასწაულს პირნათლად ხვდებიან. ჩვენ უკვე გვაქვს ამ დარგის ჩამოყალიბებული მეცნიერება საკმაოდ მდიდარი კადრებით. ასე, მაგალითად, 1965 წლისათვის ბოტანიკის ინსტიტუტში მუშაობდა 250 კაცი. აქედან 12 დოქტორი და 50 მეცნიერებათა კანდიდატი. ასევე მაღალკვალიფიციური კადრებით არის დაკომპლექტებული უნივერსიტეტის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, საქართველოს პედაგოგიური ინსტიტუტების შესაფერისი კათედრები, ბოტანიკური ბაღები. ამჟამად საქართველოში მუშაობს 500-ზე მეტი ბოტანიკოსი, რომელთა შორის 16 მეცნიერებათა დოქტორი და 100-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატია.

შეიქმნა საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა, სისტემატურად გამოდის ბოტანიკის ინსტიტუტის შრომების რამდენიმე სერია, საქართველოს ბოტანიკური საზოგადოების შრომები, მონოგრაფიები. რაც მთავარია, ჯერ კიდევ 1952 წელს დამთავრდა და გამოვიდა „საქართველოს ფლორის“ რვატომეულის უკანასკნელი მერვე ტომი, რომელშიც აღწერილია საქართველოს ფლორის 4000-მდე სახეობა, აგრეთვე ალ. მაყაშვილის მიერ შედგენილი „თბილისის მიდამოების ფლორა“, აკად. ვ. გულისაშვილის რედაქციით — „საქართველოს დენდროფლორა“ (რუსულად), ა. კოლაკოვსკის — „აფხაზეთის ფლორა“ 4 ტომად (რუსულად), დიმიტრევას — „აჭარის ფლორა“ 2 ტომად. დაიწყო გამოსვლა „საქართველოს მცენარეთა სარკვევის“ ორტომეულმა ა. ხარაძის რედაქციით. გამოვიდა აგრეთვე ამ წერილის ავტორის „საქართველოს მცენარეული საფარი“, „კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში“, ვ. მირზაშვილის „დენდროფლორა“ ორ ტომად, ლ. ჯაფარიძის „სქესი მცენარეში“ 2 ტომად, თ. კეზელის „ვიტამინები საქართველოს მცენარეებში“, ლ. კემულარია-ნათაძის „კავკასიის ბაიასებრნი“, ვ. გულისაშვილის „მთის მეტყევეობა“, „მცენარეთა ეკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოგია", ა. დოლუხანოვის „წიფლნარები" და სხვადასხვა ტო ბოტანიკის ინსტიტუტის თანამშრომლებმა დღემდე 1 500 შრომაზე მეტი გამოაქვეყნეს.

გარდა წმინდა ბოტანიკური დაწესებულებებისა, საქართველოში ჩამოყალიბდა: სატყეო ინსტიტუტი (დირექტორი აკად. ვ. გულისაშვილი), მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი, რომლებშიც ფართოდ გაიშალა მუშაობა. ამ ინსტიტუტებმა გამოყენებითი ხასიათის შრომებთან ერთად გამოაქვეყნეს მრავალი წმინდა ხასიათის შრომაც.

დიდი გზა გავიარეთ. ცოტა არ გაკეთდა, მაგრამ კიდევ მეტია გასაკეთებელი. ბიოლოგიის ის საკითხები, რომლებიც უკანასკნელ ხანს დაისახა — თუნდაც ექსპერიმენტული ბოტანიკის დარგები — სათანადოდ ასახული არ არის ჩვენს ბოტანიკოსთა თემატიკაში. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს უმდაბლეს მცენარეთა დარგებს. უახლოეს ხანში უნდა შედგეს და გამოქვეყნდეს: „საქართველოს ბიოფლორა", „საქართველოს ალგოფლორა", „საქართველოს მიკოფლორა", „საქართველოს ლიქენოფლორა". რასაკვირველია, ამ დარგებში კადრების მომზადებასაც ყურადღება უნდა მიექცეს. ეს ამ მეცნიერებას განვითარების ახალ ჰორიზონტებს გადაუშლის.

1967 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

ჩვენი ერის დედაბოძი

მუხა 5
ტყე და ქართველი კაცი 9
თავს სინანული სჯობია ბოლო ჟამს დანანებასა 16
ერის საზრუნავი 20
რას გვიამბობს თრიალეთის მუხა 29
ბუჩქნარიც ტყედ ვაქციოთ 33
ჩვენი გუთნისდედისა და მეზვრის მადლი და ბარაქა . . . 36
საქართველოს ზვარი 49
ჩვენი ვაზის დედანი 55
მარად ყვაოდეს ჩვენი ბაღი და ვენახი 63
შევინარჩუნოთ ჩვენი სამშობლოს უჭკნობი სილამაზე . . . 69
ადიდებულა ტანაო, მთები თან მოიტანაო 71
მთა და ბარი ვის გაუყვია 74
ტყე ერის საუნჯეა **81**
ჩვენი კერის დედაბოძი **86**
ბუნების სილამაზის ძალა და ბარაქა 98
გონივრულად გამოვიყენოთ ხალხის გამოცდილება 101
დაე იცოცხლონ ხოხობმა და კაკაბმა 104
რქამოტეხილი ჯიხვი 110
დიდო ალაზნის ჭალაო 132
გადავარჩინოთ ჩვენი ბუნება 135
იკითხეთ ბუნების წიგნი 139
ყვავიან მახარობლები 143
მუდამ ყვაოდეს ვარდი და ია 146
ყვავილი სიხარულია 149
გაზაფხულის მაყრიონი 150

კეი ყმა

კეი ყმა 155
დედა 159
მოგონება და სინამდვილე 162
გადავარჩინოთ ჩვენი ენის „მზეკაბანი“ და „პირიმზე“ . . . 168
მარად იჩუხჩუხოს ჩვენმა ნაკადულმა 171
რა არ გახარო ჩემო ქვეყანავ 175

უანგარო და წმინდა ჯადოსნური ხელით 177
კაცი სიკეთის მთესველი 182
უკანასკნელი არაგველის სადღეგრძელო 183
გმირების საბუდარი 191
ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტის მოგონება 193
ნინო ნაკაშიძის 90 წლის იუბილე 196
განუწყვეტელი მოლოდინი 198
ხალხის უანგარო მოამაგე 203
გიორგი ნიკოლაძე 211
ნებისყოფით და სიყვარულით სავსე გული 214
ჩვენი სიამაყე 217
როგორც მახსოვს 220
წმინდა სიცოცხლე 223
დიდი კაცი, დიდ შრომაში ჩაფერფლილი 225
დიდი შრომის დიდი მადლი 227
ცის ნამი 229
ბუნებისმეტყველება ი. გოგებაშვილის „ბუნების კარში“ . . . 231
სათნოება და რისხვა 235
მოგონება გალაკტიონზე 236
მეცნიერების დიდი მოამაგე 238
საბავშვო ლიტერატურისათვის მეტი ოფლი მოვიწუროთ . . . 244
წიგნის ნათელი 249
სიცოცხლის სახსოვარი 253
კარგი წიგნი ხვალინდელ კარგ მოქალაქეს ზრდის 260
ხელბარაქიანად 262
მარად დაუშრობელი მდინარე 264
კიდევ კაი ყმა 265
დღეს გასაკეთებელი დღესვე გავაკეთოთ 269
გამარჯობათ ჩვენო მოგზაურებო 270
ჩემო ძვირფასო გოგონებო და ბიჭუნებო 274
ანგარიში გავუწიოთ ბავშვის ასაკს და შესაძლებლობას . . . 277
ჩვენვე გამოვჭედოთ ჩვენი მომავალი 280
ბოტანიკა 50 წლისთავზე 282

18615

ეროვნული ბიბლიოთეკა

Кецховели Николай Николаевич

Человек и природа

(на грузинском языке)

რედაქტორი ხუტა ბერულავა

გამომც. რედაქტორი ნ. თალაკვაძე
გარეკანის მხატვარი ჯ. უავლაშვილი
მხატვრული რედაქტორი ს. ბოტკოველი
ტექრედაქტორი თ. მანჯგალაძე
კორექტორი მ. კებულაძე

გადაეცა წარმოებას 20/VII-73 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/XII-73 წ.,
ქაღალდი № 2, ქაღალდის ზომა 84×108, ნაბეჭდი თაბახი 18, 5,
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13.58.
ტირაჟი 2000 უე 00576 შეკვ. № 784

ფასი 59 კაპ.

გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, მარჯანიშვილის 5.
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.
1974

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა
და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფ-
მრეწველობის სტამბა № 1, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

Типография № 1, Главполиграфпрома Государственного комитета
Совета Министров Грузинской ССР по делам издательств,
полиграфии и книжной торговли, Тбилиси, ул. Орджоникидзе, 50.